114
1977/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

2

1977

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 54-ე. № 2 თებერვალი, 1977 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი


ირაკლი აბაშიძე — ლექსები . . . 3
ტარიელ ჭანტურია — წიგნიდან: თაფლობის საუკუნე. ლექსები . . . 5
გრიგოლ ჩიქოვანი — მიწა. რომანი. გაგრძელება . . . 11
ზურაბ კუხიანიძე — ლექსები . . . 51
გენო კალანდია — ლექსები . . . 54
მირონ სურგულაძე — გურია. ლექსი . . . 57
აკაკი ვასაძე — ლექსები . . . 60
ქეთევან ფილაშვილი — ფორიაქი. მოთხრობა . . . 63
ოთარ კუპრავა — სირიაჩქონის ტყის სიზმარი. რომანი. გაგრძელება . . . 67
ნიკო კეცხოველი — კიდევაც დაიზრდებიან. მოთხრობა. გაგრძელება . . . 100
რევაზ ჯაფარიძე — ევროპაში და ევროპის გარშემო. ნარკვევი. დასასრული . . . 110

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

პოეზიის დიადი შუადღე . . . 133
გიორგი მერკვილაძე — ისევ „ახალ ჰორიზონტზე“ . . . 150
ვლადიმერ ჯიბუტი — მწერალი და დრო . . . 154
გიორგი ბაქრაძე — საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობის შესახებ . . . 158
ოთარ ფირალიშვილი — ნიკო ფიროსმანის მხატვრობის ძირეულ ნიშანთვისებათა შესახებ . . . 167
თამარ ლომიძე — შიო არაგვისპირელის შემოქმედების მხატვრულ-მეტაფორული თავისებურებები . . . 175
სერგი დურმიშიძე — ერის მეჭურჭლეთუხუცესი . . . 182
თამარ ერისთავი — დიმიტრი ერისთავის მხატვრულ სამყაროში . . . 185



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა



13466

კ. მარქსის სახ. ს. ს. ს. რ. სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

## წიგნების მიმოხილვა

ხ. ჩიტაური — ხალხის პოეტური ხმა . . . . . . . . . 190

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 7/I-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/III-77 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108/^1{}_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.
უე 00008. ტირაჟი 11.650, შეკვ. 65.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

# შენ მთხოვდი ერთად...

შენ მთხოვდი ერთად,
შენ მთხოვდი ერთად,
მეც ჩემმა ბედმა არ გამაწბილა;
მაგრამ მე შენთვის,
            მაგრამ მე შენთან
მომქონდა მხოლოდ ნაწილ-ნაწილად.
შენ მხოლოდ ერთად,
შენ მთხოვდი ერთად,
გულს გაკლდა ჩემგან
            ნაწილ-ნაწილი;
მამყოფე შენთვის, მამყოფე შენთან,
მე კიდევ დამრჩა შემოსაწირი.

# ო, ეს ზამთარი!

მე აღარ ვამბობ:
— ო, ეს ზამთარი
გავიდეს, მორჩეს,
            მორჩეს, მოთავდეს;
გინდაც გაჰქონდეს მიწას ზანზარი —
თოვლქვეშ, ყინულქვეშ მიწა შფოთავდეს.

მე აღარ ვამბობ:
— ო, ეს ზაფხული
მორჩეს, გავიდეს,
            მორჩეს, გათავდეს;
გინდაც მზე დუღდეს, ჯერ არნახული —
ცა უმოწყალოდ მიწას შანთავდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბული და ხვატი
სულ მტვრად დაფქული,
მიწა და ზეცა
        სულ ნირწამხდარი...
იყოს, სულ იყოს ცხელი ზაფხული,
იყოს, სულ იყოს დიდი ზამთარი.

## ვარსკვლავები

ის ძალა მქონდეს —
მე ოცნებებს, ახლა ბებრულებს,
ისევ იმ ალმურს შევუნთებდი,
        ალმურს ბუნებრივს;
ის ძალა მქონდეს —
        დღეებს უღვთოდ გაქანებულებს
იმ ძველ სიზანტეს,
        იმ ძველ სიგრძეს დავუბრუნებდი.
ის ძალა მქონდეს —
და ერთი თქმა:
        — მორჩა, გათენდი —
და გაჰქრა ღამე,
        მორჩა ღამე,
        ღამეს შაბაში;
ის ძალა მქონდეს —
მე ვარსკვლავებს ახლად გავწმენდდი —
ისე არ კრთიან როგორც მაშინ, ჩემს ბავშვობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ტარიელ ჭანტურია**

# წიგნიდან: თაფლობის საუკუნე

## „ცოტა აქეთ მოიშოშე, გოგო...“

ჭრელი აცვია ქურთ ქალს!
ცოცხი უჭირავს ქურთ კაცს!
მათ ბიჭს — ბახჩოე ისკოს —
შვენის „ვრანგლერის“ კურტკა!

თუ დავუჯერებთ ჩემ ბიჭს —
„ისკო? ღმერთივით ბიჭი!“
მის დას სურნელი ასდის
სახელგანთქმული „ფიჯის“.

მე — .ენით, რწმენით ქართველს —
ქართული მიყვარს ქურთის!
ვწუხვარ: მის ოქროს ვალებს
ვიხდი ამ ლექსით — ხურდით...

რა სიყვარულის ტვირთი
გამოგუძებნო ქურთ კაცს! —
საქვეყნოდ განთქმულ ქართულ
სკას მიმატებულ ფუტკარს!..

* * *

მეც ათას ღვინოს თვალებით ვჭამდი,
და რაც ვერ შევსვი, თამადის ხელით
წინანდლის ღვარი კისერში ჩამდის,
ღვარი მზესავით მღვრიე და ცხელი.

დამაღამდება მეც სადმე გზაში,
და ეს სიმღერა პათეტიკური
ჩაიკარგება ლექსების ზღვაში,
ვით პონტოს წყალში — ციცქნ. .იქორი...

## უცნობი ჯარისკაცის საფლავი

„ვაითუ დადგეს ისეთი წამი,
როცა ეს ცეცხლი იქნება შენიც...“ —
ვიფიქრებ უცებ მე, ბიჭის მამა,
და მთელ სხეულში დამივლის დენი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხმა სამარიდან

ჩემი სამარის მწვანე ხავერდო,
მოწყენილი ვარ, როგორ გავერთო,
ვერ მოვუჩეჩე თმები კონდარს,
ხმა ვერ შევუწყვე წყაროს კამერტონს.

გამოვიღვიძე წელან ხმაურზე
და იმის მერე მცივა... ვერ ვთბები:
ჩემს გამხმარ ტვიას წყალი დაუსხეს
და საყელოში ჩამდის წვეთები...

## ნ ა ფ ო ტ ი

სულს მოიბრუნებს,
ცას ახედავს,
ცულს შეიბრუნებს,
და ცვივა მერე თეფშისტოლა
ნისი ნაფოტი!
ერთხელ ამ ღელეს გადაეჩხო —
წყალი მოხვრიპა —
და სამუდამოდ უწყლოდ დარჩა
ეს კალაპოტი!

ეს როდის იყო... შარშან მგონი...
წელს მისი ლანდი
ტანდაკორძებულ თხმელებს შორის
არ დააბოტებს!
და სანახევროდ მოჭრილ კოპიტს
სველი ყვავები
ცვივა ბედითად,
ვით დამწვარ ხეს — შავი ნაფოტი...

## გამოგზავნილი ღვინო

რა ჯიქურ დასდო ოხერმა ცელი
შენს დაწარცხებულ თავის ქალაზე —
ჩვენ ვნახეთ ყველამ! და მაინც ველით
შენს გამოჩენას, გულდა კალაძე!

ველით, რადგანაც ისევ ამშვენებს
შენს ქალაქს შენი მიამიტობა!

იმ დღეს ღვინო რომ წამომაშველე,
მადლობელი ვარ მე ამიტომაც...

და რაკი ისევ პრიალებს ცელი,
ახლა მე მინდა, დაგიდგე მხარში,
და შენი ღვინის მოგვრილი ცრემლით
გაგინახევრო სიკვდილის ხარჯი...

## მოქცევა და მიქცევა

მხოლოდ ბალღების
ტიტინზე
ამოდის ქვეყნად
დიდი მზე!

მხოლოდ დედების
ქვითინზე —
მწუხრის ჟამს ჩადის
დიდი მზე...

მაგრამ ბალღების
ტიტინზე
ისევ ამოდის
დიდი მზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რითმის კაპრიზი

ფოთშიც ჩაგიყვანს რითმა: „ფოთიშა!"
ბოდიშსაც გათქმევინებს: „ბოდიში!"
ბადეშიც გამოგამწყვდევს: „ბადეში!"
ზუგდიდში ხარჩოს გაჭმევს: „ოდიში!"

ურთგულესად ვინც იშვა ქალად,
აუცილებლად დასწამებს — „ღალატს!"
გინდა პერანგისამარა იჯდე? —
აუცილებლად ჩაგაცმევს — „ხალათს!"

უნდა? — წაგიყვანს დასაკარგავში,
ვთქვათ, აფრიკაში — „კასაბლანკაში!"
ანდა — „შირაქში!" ან — „შრი ლანკაში!"
ან ქალაქიდის არშინ ლაქაშში!

ამ ყოფაში ვარ ცხოვრება მთელი:
ერთი მსურს — რითმა მეორეს მტენის,
და ათასი მყავს მოყვარე თუმცა —
რითმა მარწმუნებს: „მეტი გყავს მტერი!"

* * *

ნიჩაბქვეშ წყალი ვენეციის
ჩქეფს ისევ, მაგრამ ვინ იცის,
ისიც ისევე გასრულდეს,
ვითა სიზმარი ვინჩის...

უუძველესი კილიკიის
და უფრო ძველი მიდიის

ჯერ ჩვენთან მოდის ბილიკი
და მერე მიდიის, მიდიის!..

ოღონდ საითკენ — ვინ იცის!
ოღონდ საითკენ — ვინ იცის!
სანამ იჩქეფებს წყალი
ვენეციის —
ვინ იცის...

## რეპლიკა

ის, რაც ინტელექტს მოკლებულია,
ჩემთვის ინტერესს მოკლებულია!

* * *

თორმეტტომეული შენი! —
მე შინა მაქვს ეს ტომები,
სავსე უსაშველო სევდის
აურაცხელ შეცდომებით.

თორმეტტომეული შენი! —
მე შინა მაქვს ეს წიგნები!
სადაც რუსთაველი მღერის.
იქ ტირილში შენც იქნები!

თორმეტტომეული შენი!
ჩე გულში მჭირს ეს დანები! —
ლაღი ავთანდილები და
დაუხსნელი ნესტანები.

თორმეტი თვე! — ცრემლი, ღიმილს
გადაჯვარედინებული!
ხიდან ერთადერთი ფოთლის
ვარდნა ნელი... დიდებული...

ციდან ფრთამოტეხილ ჩიტის
დაღლილ ფანტელივით ვარდნა!
თოვდა თოვლი. იმ წელს თოვლმა
მთლად მთაწმინდა გადაბარდნა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეათე ხერხეულიძე

ცხრა საფლავი გალობს ცხრა ძმის!
ბრწყინავს ცრემლი მეათე ძმის!
შუქი ადგას ოქროს საწმისს!
ზვირთი მინანაობს თეძმის.
ცხრა ძმას იავნანად ესმის
ვაშა გამარჯვებულ რაზმის.
მომე თასი! — წყალი თეძმის
ნუგეშით აავსებს სასმისს!

ყველა ღმერთმა — ქრისტემ, ზევსმა —
განუგეშოს! — მომე თასი!
სადღეგრძელო უნდა შევსვა
საწყალ ქოჩრის — პაატასი.
ზვირთი მინანაობს თეძმის —
სიტკბოება აიაზმის.
ბრწყინავს ცრემლი მეათე ძმის —
ტოლად გასაყოფი ცხრა ძმის...

## ქართველითა ქართველისა დამთრგუნველი...

*პოეტის ბოლოთქმა ნიკო ბერძენიშვილის ატომეულისათვის*

ისკანდერია! მამელუკთა ისკანდერია!
წყნარად რიგებში! მიდგეს მარცხნივ, ვინც ქართველია!
მე რა ვარ ჩემი სამშობლოსთვის! — მტვერი უბრალო!
თქვენი სამშობლო — მაგ უდაბნოს ქვიშის მტვერია!..

დგას საქართველოს სამსჯავროს წინ ლომი — ალი ბეი,
და არც მას თურმე საკმარისი არ აქვს ალიბი.
დგას ნოსტეს გმირი, შემოსილი იდუმალებით,
და არც მას, არც მას საკმარისი არ აქვს ალიბი.

ახლა ქალები, მშვენიერი ჩვენი ქალები!
მათი ღიმილი, მათი თმები, მათი ხალები!
ზოგჯერ — ღალატი. ზოგჯერ — ცრემლი. ზოგჯერ —
ღალატი.
ბოლოს — კვლავ ცრემლი: საკმარისზე მეტი ალიბი!

ანდა ის — ხაკის ხალათი და ხაკის გალიფე! —
არც მას ჰქონია საკმარისი თურმე ალიბი!

ხსოვნას ხალხისას ათასწლობით სწვავდა სახმილი.
სახმილმა დასწვა ბოროტების ბევრი სამხილი,
და დღეს ვინ იცის, რამდენ ლაჩარს, რამდენ გარეწარს
მამული იცნობს წამებულის წმიდა სახელით!

ცხოვრება ჩვენი — გადარჩენის დიდი ლეგენდა!
და მტკვარი ჩვენი — სისხლი ჩვენი ლეკერტ-ლეკერტა!
არვინ იცოდა, რა ეღონა და რა ეცადა,
და სისხლის მტკვარი რა ჯებირით გადაეკეტა!

ახოვანები, სათნოები და გულჩვილები —
ერთმანეთს ულეტდნენ საქართველოს დიდი შვილები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლოცულობდნენ დამხობილი მათი დედები —
გულმოკლულები, მოკლულები და შეშლილები!

და ქართველითა ქართველისა დამთრგუნველები —
იშვებდნენ მტრები! აღემართათ ყველგან ძელები!
აევსოთ ჩვენი ვაჟკაცებით ჩვენი მინდვრები!
მოერწყათ მათი წმინდა სისხლით მათივ ველები!

ქართველს ქართველით — სისხლიანი ჰქონდა ხელები!
ქართველს ქართველით — არ ეწვოდა ცრემლით თვალები!
და ქართველითა ქართველისა დამთრგუნველები —
ხარობდნენ მტრები! ჩვენ დღემდე გვაქვს მათი ვალები!

ხიდი მეტია დღეს რიონზე! მაგრამ ამ ხიდით
ვეღარ გადახვალთ! ვეღარ დამცემთ! ვეღარ გამყიდით!
მომავალში კი, მომავალში, ვიცი, გადახვალთ
აი, ამ ხიდით. აი, ამ გზით. აი, ამ ხიდით!

გადახვალთ, თუმცა საკმარისი არ გაქვთ ალიბი,
და მოსილია სახე თქვენი იდუმალებით,
და კვლავ ლოცულობს თქვენს სახელზე ხალხი მშობელი
ბრძენო გიორგი, გმირო როსტომ, ლომო ალი ბეი...

## გაბრაზებულ გულზე

მისი ავკაცობა
შეესაბამება
საერთაშორისო
სტანდარტებს!

ბოლმით ათენებს და
შურით ალამებს და
ქვეყნის არაფერი
ადარდებს!

გამო, თუ კაცი ხარ! —
გადაგდებს!

* * *

ქალი კაცს ეალერსებოდა — თვალი მოვკარი!
ნეტა ის თვალი დამფსებოდა — ქალი მოვკალი:
ალბათ ვეგონე ძმის ძმაკაცი! მამის ძმაკაცი!
ანდა ვეგონე მოგზავნილი ქმრისგან ნაგაზი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეწუხებული,
„უიმეთი“ და „ვაიმეთი“
მოშორდა კედელს... მეც ვერაფრით დავაიმედე...
მე ჩემი ბედი! — რას ვერჩოდი, რისთვის მოვკალი!
მე ჩემი თვალი! — იმ ქალს თვალი რისთვის მოვკარი...

* * *

სულ ცოტა ხანში ვიქნებით ხონში.
გვედგმება ხილი ვეება ხონჩით!
ჯერ წინ — ველია ყვავილით ჭრელი,
და უნაგირა ქედები გონჯი!
— რა დროა, ძია? — პატარა გოგო
გვილიმის მკვახე მუშმალის ხიდან.
— რა დრო არისო? — გუგუუ! გუგუუ! —
ასი გუგული გამოხტა ტყიდან!
ერევა ტკივილს დათრობის ხოში...
სულ ცოტა ხანში ვიქნებით ხონში...
შემოიტანენ სუფრაზე კალმახს
და ირმის ნახტომს — ცისფერი ხონჩით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

# მიწა

რომანი

ვასო ბრეგვაძემ საავადმყოფოდან გამოწერამდე შეიტყო ანდრო განგიას ამბავი. არ ირწმუნა, ყურს არ დაუჯერა, არც გულსა და გონებას. ამ აუჩქარებელმა, დინჯმა, დისციპლინირებულმა და ცოტა კონსერვატიულმა კაცმა უცებ დაკარგა ყველა ეს თვისება.

ნებით რომ არ გასწერეს საავადმყოფოდან, ღამით პიჟამოს ამარა გაიპარა შინ და მეორე დილით სამმართველოს კიბე ისე აიარა, დერეფანი ისე განვლო, არავის მისალმებია, არავისათვის არ შეუხედავს. ყველამ გაკვირვებული თვალი გაადევნა მშენებლობის სამმართველოს უფროსის კაბინეტისაკენ გაფითრებულსა, თმააწეწილსა და აქლოშინებით მიმავალს. მიხვდნენ, რატომ იყო ვასო ბრეგვაძე ასეთ დღეში. ზოგმა თავი გადაიქნია, ზოგმა სიმწრით ტუჩი მოკუმა და ამით გამოხატა თავისი თანაგრძნობა.

არ მისალმებია არც მდივანს, არც შეუხედავს. ქარდას კაბინეტის კარი შეაღო და ზღურბლიდანვე დაიწყო საყვედური:

— მუუუ... იიიი... მუუუ... რატომ მიმალავდით?! — მკაცრი, ულმობელი თვალებით უყურებდა ქარდას. ქუდი ხელში ეჭირა და ანგარიშმიუცემლად ჭმუჭნიდა.

ქარდა წამოდგა. უნდოდა ხელი ჩამოერთმია. დაინახა, რომ ეს საჭირო არ იყო.

— დაჯექი ვასო... მაშინ ვერ გითხარი, ისეთ დღეში მყოფს.

— მუუ... იიი... მუუუ... ვინ გითხრა, რომ ვსაჭიროებდი ასეთ შებრალებას? — თავი ვერ შეიკავა და სკამზე დაეშვა. იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, სახე ხელებში ჩარგო. ასე იჯდა დიდხანს, ცდილობდა დამშვიდებულიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ქარდა თავზე ადგა. ხმას არ იღებდა. ამაო იყო ბრეგვაძის დამშვიდება. სინანულით უყურებდა, რა უმწეოდ უთრთოდა ჩასხმული მხრები.

ბრეგვაძე ვერც შინ დამშვიდდა. თვალწინ ედგა ის თათბირი, წყალდიდობის ღამეს რომ გაიმართა. თვალწინ ედგა სიცხით გავარვარებული განგიას სახე. რა თავდაჯერით ისმენდა ანდრო მის უმართებულო სიტყვებს, დაუმსახურებელ საყვედურს.

ბრეგვაძე იმ ღამის უბედურების შემდეგ და საავადმყოფოში წოლისას საბოლოოდ დარწმუნდა, თუ რა დიდი

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1.

მნიშვნელობა ჰქონდა განგიას წინადადებას. სინდისი ქეჯნიდა. საავადმყოფოდან მარტო იმიტომ კი არ გაიქცა, რომ განგიას ამბავი გაეგო, კიდევ იმიტომ გაიპარა, რომ გამოტყდომოდა თავის შეცდომაში ყველას, ვინც იმ ღამეს თათბირს ესწრებოდა.

საღამოს ტარიელ ქარდას დაურეკა და თხოვა, ხვალვე გაეგზავნა ჭალადიდის უბანში სამუშაოდ, ყველაზე უფრო ძნელ და საჭირო მასივში, სულ ერთი იყო, რა თანამდებობაზე. არ თაკილობდა არავითარ სამუშაოს, ოღონდ ამით გამოესყიდა განგიას წინაშე დანაშაული.

ამაოდ ეცადა ქარდა დაერწმუნებია, რომ სამუშაოდ გასვლა ასეთ დღეში მყოფს — ჯერ კიდევ ნახევრად განუკურნავს, ზიანს მოუტანდა მის ჯამრთელობას. ბრეგვაძე გაკერპდა — თუ არ გამგზავნით, მაშინ შავ მუშად წავალო, დაემუქრა ტარიელ ქარდას.

ქარდა კარგად იცნობდა მის ხასიათს, იცოდა, მართლა ასე მოიქცეოდა ბრეგვაძე და იძულებული გახდა გაეგზავნა მართლაც ყველაზე უფრო ძნელ მასივში — დედაარხის მშენებლობაზე, რომლის ნაპირები კვლავ შვავდებოდა.

ეს საფრთხეს უქმნიდა არხზე მომუშავე მბარავებს. გარდა სვანებისა, სხვებიც ერიდებოდნენ იქ მუშაობას, მაგრამ საქმე მოითხოვდა და მუშაობდნენ. საფრთხეს უქმნიდა არხის დროზე გაყვანასაც. ჩამოშვავებული მიწა ხელახლა უნდა ამოეღოთ, კედლები ამოეშენებიათ. იხარჯებოდა გაუთვალისწინებელი სახსრები, ყოვნდებოდა საქმე.

ბრეგვაძეს გაეხარდა დედაარხზე დანიშვნა. იგი იქ მომუშავე ყველა მუშასა და ტექნიკურ პერსონალს იცნობდა. ყველასთან საქმიანი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. თვით ისიდორე სიორდიასთანაც კი.

ბრეგვაძე ადამიანში კარგ მუშაობას დიდად აფასებდა და მზად იყო სხვა ნაკლზე თვალი დაეხუჭა, არ დაენახა. სიორდიას ერთ ნაკლს მაინც ვერ აარიდებდა თვალს: სამუშაოთა მწარმოებელს მამამისის ტატაჩია სიორდიასავით, ყველა უფროსის ერიდებოდა, ყველა უფროსთან ძაღლივით კუდს აქიცინებდა, მლიქვნელობდა. ყველა უმცროსს თავზე აჯდებოდა, ფეხით გათელავდა. ამას ვერ ურიგდებოდა ბრეგვაძე. სიორდია ვერც ბედავდა მისთან დასწრებით ცუდად მოქცეოდა ვინმეს.

ლანჩხუთის უბნის არც ერთ მასივში არ ჩამოშვავებულა არხების ნაპირი. იქ ნიადაგი ნაკლებ ჭაობიანი როდი იყო, ვიდრე ყორათში, ქვალონში ან ჭალადიდში!

მაშ, რატომ შვავდებოდა ნაპირები დედაარხზე? ბრეგვაძემ გადაწყვიტა თვითონ შეემოწმებია დედაარხის ტრასა. რამდენჯერმე გაიარა თავიდან ბოლომდე აღმა-დაღმა. სიორდია თან დაჰყავდა. თან დაჰყავდა გუდუია ესვანჯიაც.

ამოწმებდა არხის ჩამოშვავებულ კედლებს. ამოწმებდა აწ გასაყვან ტრასასაც, რომელსაც სეროვას პარტია იძიებდა. ბევრი ჩამოშვავებული არხის კედლები უნახავს თავის სიცოცხლეში და ამის მიზეზი ერთი და იგივე — გრუნტისქვეშა წყლები იყო.

„ცუდად ყოფილა შესწავლილი ძველი ტრასა, — უკვირდა მოხუცს. — რატომ ანდრო განგიამ მაინც არ მიაქცია ყურადღება?!! არ შეიძლებოდა, ანდროს არ მიექცია ყურადღება. აბა, რაშია საქმე?!“

ანდრო განგია მშენებლობის სამმართველოში რომ მოვიდა, დედაარხის გეგმა დიდი ხნის დამტკიცებული იყო.

ისიდორე თვალში შეჰყურებდა ბრეგვაძეს. გრძნობდა, რაზე ფიქრობდა ინჟინერი. უკვირდა, რატომ არაფერს მეკითხებაო. ისიდორე ვასოზე ადრე მოვიდა მშენებლობაზე. თავიდან იგი ჭალადიდის უბანში მუშაობდა ქვალონის მასივში. ტექნიკურ-ეკონომიური პროექტის შედგენის ყველა პროცესი ახსოვდა. თვითონ მონაწილეობდა ამ პროცესში. ეს იცოდა ვასო ბრეგვაძემ და არაფერს ეკითხებოდა. სიორდიას გული მოსდიოდა, ბოლოს მაინც ვერ

მოითმინა და დიდი ყოყმანის შემდეგ შემპარავად უთხრა:

— მე ვხდებ, რაზე ფქრობთ, პატენ ვასო.

— რაზე? — სწრაფად შეხედა ბრეგვაძემ. არ მოეწონა მისი კილო.

დაყურადდა გუდუია ესვანჯია. არც მას მოეწონა მისი კილო. შუბლშეკრული მიაჩერდა.

— მჯრს თქმა, პატენ ვასო, მაგრამ არც დამალვა შემძლა.

— თქვი, — თითქმის ბრძანებით უთხრა ბრეგვაძემ. იგრძნო, რომ კარგის თქმას არ აპირებდა.

— რას ფქრობდნენ ჰდროლოგებ არხს პროექტს შედგენსას?

— მუუუ...: იიიი... მუუუ... — მთლად დაება ენა ბრეგვაძეს მღელვარებისაგან. — რას ფიქრობდნენ?

— შჯრს თქმა, პატენ ვასო, — გაიმეორა ისევ და შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა. დიდი შიში და რიდი ჰქონდა ბრეგვაძის და ახლა მის მუქარით სავსე თვალებს რომ ხედავდა, ეს შიში უფრო გაუძლიერდა. — ძალან მჯრს. პატენ ნუნერ.

— მუუუ... იიიი... მუუუ... რატომ გიჭირს, თუ სიმართლის თქმას აპირებ?

— მტომ მჯრს, რომ განგებ არ გათვალსწნეს, რომ ამ ტრასაზე გრუნტს წყლებ არს, — ძლივს ამოღერღა ისიდორემ.

ბრეგვაძე მრისხანედ შეჰყურებდა. ხვდებოდა, რომ სიორდია რაღაც უმსგავსოს იტყოდა.

შეშინებულმა სიორდიამ გადაწყვიტა სიტყვა აღარ გაეგრძელებია, მაგრამ გვიან იყო, ბრეგვაძე მაინც ძალით ამოგლეჯდა იმ სიტყვას.

— მუუუ... იიიი... მუუუ... ვინ არ გაითვალისწინა განგებ?!

— მტერმა, პატენ ვასო.

ბრეგვაძემ ნერწყვი ძლივს გადაყლაპა. ის „მუუუ"-ც ვერ ამოთქვა, გაბოროტებით უყურებდა სიორდიას.

— რატომ მყურებთ ეგრე, პატენ ნუნერ? — ბაღანი აყარა სიორდიას.

— მუუუ... იიიი... მუუუ... ვინ-მეთქი?

— ხალხის მტერმა, — დიაცური, გამკინავი ხმით ამოიკნავლა საქციელ წამხდარმა ისიდორემ. — ანდრო განგამ.

— რაო? — წამოიყვირა ბრეგვაძემ. სიორდიას სიტყვამ თავზარი დასცა. ხელები დაემუშტა, უნდოდა სახეში შემოეკრა ისიდორესათვის. არ ინება ხელის გაჭუჭყიანება. — ისიდორე, — უთხრა ზიზღით. — შენ კარგი მუშაკი ხარ. მუუუ... იიიი... მუუუ... მაგრამ ბინძური ადამიანი... — მეტი ვერაფერი უთხრა. ძლივს იკავებდა კანკალს. ისიდორეს აღარ უყურებდა. მუხლი მოეკვეთა და რომ არ წაქცეულიყო, გუდუიას მოკიდა ხელი, თავი შეიმაგრა.

— მე ისც მეყოფა, რომ კარგ მუშაკ ვარ... ბინძურ ადამან თუ ვარ, ეს ჩემ პრად საქმეა.

— არ არის პირადი საქმე, შე ძაღლის შვილო, — შეუღრინა გუდუიამ და თვალი ისე გადაუბრიალა ისიდორეს, კინაღამ სული გაცვივდა.

ერთადერთი კაცი ადამიანურად რომ ექცეოდა, ბრეგვაძე იყო. ისიდორე მიხვდა, რომ ამიერიდან ეს ადამიანიც დაკარგა და თავის სიცოცხლეში პირველად ინანა. სინანულს არ იყო ჩვეული. შვილი რომ მოეკლა, არ ინანებდა, მაგრამ დღეიდან სულ მარტო რჩებოდა და ამიტომ წახდა.

ერთხელ დედაარხის იმ მონაკვეთზე, სადაც ნაპირი ახალი ჩამოშვავებული იყო, ასამდე სვანს მუშაობა მიეტოვებია. დამბაზე ჩამომსხდარნი თუთუნს ახვევდნენ და გაცხარებული კამათობდნენ.

— მარტო ფულისათვის ხომ არ ვმუშაობთ, — ამბობდა მოკლედ წვერშეკრეჭილი, დაბალი, ჯმუხი გიორგი ჩართოლანი.

— დროა გუდა-ნაბადი ავიკრათ, — ბანი მისცა ადილ ჩეგიანმა.

— რა დღეს, რა ხვალ, ჩამოშვავებული მიწის ქვეშ მოვყვებით.

— ვთხრით, ვთხრით ამ დასაქცევს

და წინ არ მივიწევით, უკან ვუბრუნდებით ჩვენს განათხარს.

— ახლა ისიც ვთქვათ, რა დღეში ვართ. არც საჭმელი გვივარგა და არც სასმელი.

— არც ბინა...

— ციება და კოლო...

— არც წამალი.

ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

ზევით, ცოტა მოშორებით გუდუი იდგა არხში. ბარი ფეხის ერთი დაკვრით ტარამდე ჩაყავდა ჩამოშვავებულ მიწაში. ვეება ბელტს ორი მეტრის სიმაღლეზე მსუბუქად ისროდა დამბაზე. გულმოდგინედ მუშაობდა, მაგრამ ყური სვანებისაკენ ეჭირა.

ასი სვანი ორი ექსკავატორის საქმეს აკეთებდა არხზე. მათი წასვლა დიდად შეაფერხებდა არხის მშენებლობას.

„სვანები არ უნდა წავიდნენ", — ფიქრობდა გუდუა. ის იყო მუშაობა მიატოვა, ბარი მხარზე გაიდო და სვანებისაკენ დააპირა წასვლა, რომ არხში მომავალი ბრეგვაძე, სეროვა, შამუგია და ბაჩილო დაინახა. გუდუიც მათკენ გაეშურა.

— სვანები წასვლას აპირებენ.

— ვიცი, — უთხრა ბრეგვაძემ და შედგა.

სხვებიც შედგნენ სვანების ლაპარაკს მიუგდეს ყური. სვანები ისე იყვნენ გართულნი, არ დაუნახავთ ისინი.

— გუდა-ნაბადის აკვრა ადვილი სათქმელია, — წამოდგა პირხმელი, შავ ახალუხიანი კიჯი გარდაფხაძე, ყველას ერთად გადახედა, პირში გაჩრილი ჩამქრალი ყალიონი კბილით ეჭირა, სქელ წარბებქვევიდან უკმაყოფილოდ უელავდა დიდი თვალები, — მაგრამ რა პირით მივიდეთ ცოლ-შვილთან?!

— აქ რა იმედით ვიყოთ? — წამოდგა ჯანსულ გუჯეჯიანიც და ჰკითხა კიჯი გარდაფხაძეს.

— იმ იმედით, რომ ადრე, თუ გვიან წამალს დაადებენ ამ საქმეს, — მიუგო პირხმელმა სვანმა. — მახსოვს, ერთხელ, ქვალონის არხს რომ ვთხრიდით, ანდრო განგიამ თქვა...

— ჰო, ქვალონშიაც ასე შვავდებოდა ნაპირი, — თქვა გიორგი ჩართოლიანმა.

— ეს იმატომ ხდებაო, მითხრა მაშინ განგიამ, — განაგრძობდა კიჯი გარდაფხაძე. — გრუნტის წყალი დგასო დამბის ქვეშ.

— მერეო? რა ეშველებაო? — წამოიძახა ადილ ჩერგიანმა.

ბრეგვაძე, სეროვა, შამუგია, ბაჩილო და ესვანჯია ყურადღებით უსმენდნენ.

— თუ ასე გაგრძელდაო...

— მივანებოთ თავიო? — მოთმინება არ ეყო და ჰკითხა გარდაფხაძეს ფიცხმა ციოყ ავალიანმა.

— არა, — დინჯად მიუგო პირხმელმა სვანმა.

— აბა, რაო? — ისევ არ ეყო მოთმინება ციოყ ავალიანს.

— დამბა უნდა გადავწიოთ ნაპირიდანო.

— რათაო?!

— იმათაო, რომ ამ სიმაღლე დამბამძიმედ აწვებაო ნაპირს.

— კარგად უთქვამს, განგიას! — წამოიძახეს სვანებმა.

— თავიანი კაცია განგია.

— არაფერი შეეშლება.

— აქამდე რატომ ვაგრძელებთ ამ ტრასით გათხრას?

— რატომ არ გამოიფერთხეს ყური სამმართველოში?

— რას უცდიან?!

— ან ახალი ტრასა მოვძებნოთ, ან ამ ტრასით გავაგრძელოთ მუშაობა, ოღონდ დამბა უნდა გადავწიოთო, — დაამთავრა სათქმელი კიჯი გარდაფხაძემ და დაჯდა, ყალიონი გააწყო და მოუკიდა.

— ახალი ტრასა მოძებნეს კიდევაც, — თქვა ადილ ჩეგიანმა. — ორი თვე მუშაობდა სეროვა და მისი პარტია ახალი ტრასის შესასწავლად. არა, მე არსად წამსვლელი არა ვარ. ჩემი გუდანაბადით აქ ვრჩები. დღეს, თუ ხვალ ან დამბას გადაგვაწევინებენ, ან ახალ ტრასაზე გადაგვიყვანენ. თურმე მოსკოვიდან ელიან პასუხს, როგორ მოიქცნენ.

— მოსკოვის პასუხი რად უნდა ამას?! ჩვენ თვითონ ვერ გადავწყვეტთ როგორ ჯობია? — თქვა უკმაყოფილოდ ციოყ ავალიანმა.

ანდრო განგიას ამბის გაგების შემდეგ არ გაუღიმია ბრეგვაძეს და ახლა გაიღიმა. გაებადრა მრგვალი, მსუქანი სახე.

— მუუუ... იიიი... მუუუ... გაიგონეთ, გალინა არკადიევნა?

— გავიგონე, ვასილ გიორგევიჩ. კარგად თქვა ციოყმა, დიდებულად თქვა.

— თქვენ გაიგონეთ? — მიუბრუნდა მოხუცი ინჟინერი შამუგიასა და ბაჩილოს.

— გავიგონეთ, — უპასუხა ერთხმად ორივემ.

— მუუუ... იიიი... მუუუ... მათ ადგილზე მე, — თავი სვანებისაკენ გადაიქნია, — მოთმინება არ მეყოფოდა. პასუხს მოვთხოვდი ყველას. მშენებლობის სამმართველოს უფროსიდან დაწყებული, თვით ჩემს თავსაც.

— მართალსა ბრძანებთ, ვასილ გიორგევიჩ, — უთხრა ანტონ ბაჩილომ, — მაგრამ სვანები დინჯი ხალხია, ითმენენ...

— მუუუ... იიიი... მუუუ... თქვენ, თქვენც ითმენთ აქამდე. რატომ ვითმენთ აქამდე?! — ჰკითხა სეროვას და ანტონ ბაჩილოს.

სეროვამ ვერ უპასუხა. იგი თვითონაც ბევრჯერ შეკითხვია თავის თავს, რატომ ითმენენო და პასუხს ვერ პოულობდა.

— ჩვენ, ბელორუსები მომთმენი ხალხი ვართ და მეც ვითმენდი სვანებივით, — იხუმრა ბაჩილომ ვასო ბრეგვაძის დასამშვიდებლად.

მოხუც ინჟინერს გაეცინა. მერე სამივეს შეხედა:

— მეტს აღარ მოვითმენთ, რას იტყვით, გალინა არკადიევნა?

— აღარ მოვითმენთ, ვასილ გიორგევიჩ.

სეროვამ მშენებლობის სამმართველოს მაღალი კიბე აირბინა. კიბის თავზე მოაჯირს დაეყრდნო.

დერეფნის ბოლოდან ნაბიჯის ხმა შემოესმა, ვიღაც მოდიოდა. არ უნდოდა, ვინმეს დაენახა. სული მოითქვა, დინჯად, აუჩქარებლად გაემართა ქარდას კაბინეტისაკენ, ისე, როგორც არაერთხელ გაუვლია დერეფანი. შევიდა მისაღებ ოთახში და იქ მაინც უმტყუნა ნერვებმა. კაბინეტის კარის სახელურს როგორღაც არაბუნებრივად სტაცა ხელი, რომ ტირილი არ წასკდომოდა, კაბინეტში შესვლა მოესწრო. ისე ძლიერ მოსწია კარს, რომ სახელური ხელიდან გაუსხლტა, კარი კედელს მიასკდა. ყურადღება არ მიაქცია, ისევ მოკიდა სახელურს ხელი, კაბინეტში შევიდა და კარი მიიხურა.

მშენებლობის სამმართველოს უფროსთან ჯაფარიძე და ბრეგვაძე ისხდნენ. წამოცვივდნენ სკამიდან, გაკვირვებულები მიაჩერდნენ კართან მდგარ სეროვას.

გალინა არკადიევნა ძლივს იბრუნებდა სულს. კარის სახელურს ხელს არ უშვებდა.

— რა მოხდა, გალინა არკადიევნა?! — პირველმა ქარდამ დაარღვია დუმილი.

სეროვა მაუდგადაფარებულ მაგიდასთან მივიდა და პირველსავე სკამზე დაჯდა.

ყველამ დაინახა, რომ მან რაღაც ძალიან ცუდი ამბავი მოიტანა. მეორედ ვერავინ გაბედა ეკითხა რაიმე. სეროვა არასოდეს არ უნახავთ ასე შეწუხებული და შეშფოთებული. არავის არ უყურებდა. მისი დიდრონი, ცისფერი თვალები უაზრო და კიდევ უფრო დიდი იყო. ქვედა ტუჩს კბილს აჭერდა, რომ ქვითინი შეეკავებია. ასე იჯდა რამდენიმე წამი.

ყველა დაჭიმული მოლოდინით შეჰყურებდა. ვაჟამ იფიქრა, მშობლებისაგან თუ მიიღო რაიმე ცუდი ამბავით.

მაგრამ იცოდა, ასეთი ამბით საშმართველოში არ მოვიდოდა.

— აღარ არის ანდრეი ნიკოლაევიჩი, — თქვა ბოლოს ჩავარდნილი ხმით სეროვამ. სახეზე ხელები აიფარა.

მშენებლობის სამმართველოს უფროსმა, ვაჟა ჯაფარიძემ და ვასო ბრეგვაძემ ვერ გაიგეს, რას ნიშნავდა აღარ არის ანდრეი ნიკოლაევიჩი. სეროვა მიხვდა ამას. სახიდან ხელები ჩამოიღო:

— წუხელ ციხის საავადმყოფოში კიბოთი გარდაიცვალა.

ტარიელ ქარდა და ვაჟა ჯაფარიძე სკამზე დაეშვნენ. ვასო ბრეგვაძე ფეხზე იდგა. მან სიმრამბა დაკარგა. ვერ მისწვდა მის გონებას, ვერ დაიჯერა სეროვას მოტანილი ამბავი.

— ანდრეი ნიკოლაევიჩი გარდაიცვალა, — უთხრა სეროვამ.

— მუუუ... იიიი... მუუუ... სიტყვა ვერ მოაბრუნა, ყელი გაუშრა. შეხედა ქარდასა და ჯაფარიძეს.

ისინი გაფითრებულები ისხდნენ.

— მუუუ... იიი... მუუუ... — ვერა, ვერც ახლა მოაბრუნა ენა. ფეხის თრევით კართან მივიდა. ჩაკეტა. მერე შებრუნდა და ფანჯარასთან დადგა ზურგით მაგიდისაკენ. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო.

ქარდამ საყელო შეიხსნა. ოფლმა დაასხა.

ჯაფარიძე თავჩაქინდრული იჯდა.

ვასო ბრეგვაძე მშენებლობიდან სამმართველოში იმიტომ იყო მოსული, რომ ტარიელ ქარდასთან, სეროვასთან, ჯაფარიძესა და პარტორგ კოჩა ყორშიასთან ერთად გადაეწყვიტა დედაარხის საკითხი. იმ დღეს, სვანების საუბრის მოსმენის შემდეგ, ბრეგვაძემ მოსვენება დაკარგა. სვანები მართალი იყვნენ. ამდენი ხანი არ უნდა დაეცადათ მოსკოვიდან „გლავვოდხოზის" პასუხისათვის.

სეროვას იმიტომ შეაგვიანდა სამმართველოში მოსვლა, რომ ანდრო განგიას ამბავი გაიგო. ვიდრე არ გამოიტირა, შინიდან ვერ გამოვიდა. თათბირზე ვერც სპირიდონ გუნია მოვიდა. იგი ფოთში ეგულებოდა მშენებლობის სამმართველოს უფროსს, მაგრამ თურმე არ ჩამოსულა. არც პარტორგი აღმოჩნდა ქალაქში. რიონის ხიდის მშენებლობაზე წასულიყო.

სეროვამ ანდრო განგიას ამბავი რომ მოიტანა, სწორედ მაშინ იმაზე საუბრობდნენ ტარიელ ქარდა, მთავარი ინჟინერი და ვასო ბრეგვაძე, რომ თათბირი გადაედოთ, საღამოს ყორათის მასივის კანტორაში სპირიდონ გუნიასთან შეკრებილიყვნენ და სხვა მშენებლებთან ერთად იქ გადაეწყვიტათ დედარხის საკითხი.

— მუუუ... იიიი... მუუუ.... ყორათში წასვლამდე იქნებ სადმე დავსხდეთ. წოპე წოწორიას დუქანში წავიდეთ, — თქვა ყველასთვის მოულოდნელად ბრეგვაძემ და მაგიდისაკენ მიბრუნდა. იგი არასოდეს არ ყოფილა წოწორიას დუქანში. იცოდა, რომ მყუდრო ადგილი იყო და ყოველგვარი საჭმელი ჰქონდა წოწორიას, რასაც კი მოისურვებდი, თან ისე გემრიელად ამზადებდნენ კერძებს, ჭამით ვერ გაძღებოდი. ბრეგვაძე არ სვამდა, არ დადიოდა დუქანში, და რესტორანში, ოჯახურ წვეულებებზედაც კი იშვიათად ნახავდით. ისევ ამოიღო ცხვირსახოცი, მაგრამ ცრემლი დროზე შეიკავა. — მუუუ... იიიი... მუუუ... თითო ჭიქა წავუქციოთ ანდროს.

არავის გაუკვირდა ბრეგვაძის წინადადება. ამის გაკეთება საჭირო იყო. გაუკვირდათ მხოლოდ ის, რომ თვითონ ვერ მოიფიქრეს ეს და მოისაზრა კაცმა, ქორწილისასაც რომ გაურბოდა ღვინის დალევას.

ჯაფარიძე წამოდგა. საკიდარიდან ბრეგვაძის ქუდი ჩამოიღო და თვითონ დაახურა...

ყორათში გვიან საღამოს ჩავიდნენ, რომ მუშები არ მოეცდენათ სამუშაოდან თათბირზე დასასწრებლად. სპირიდონ გუნია თავის კაბინეტში იყო. მასთან იყო პარტორგიც. გუნიამ და ყორ-

შიამ მოსულებს მაშინვე შეატყვეს, რომ ცუდ გუნებაზე იყვნენ. მიზეზი არ ჰკითხეს. შეკრებილი ხალხის მოერიდათ. არც ქარდამ უთხრა მათ განგიას ამბავი, რათა ამას ხელი არ შეეშალა თათბირისათვის.

სპირიდონ გუნიამ თავისი სკამი შესთავაზა მშენებლობის სამმართველოს უფროსს. ქარდა არასოდეს არ ჯდებოდა თანამშრომლის სკამზე. გუნიას მადლობა გადაუხადა და მის მაგიდასთან მიდგმულ, ვიწრო მაგიდას მიუჯდა სეროვასთან, ბრეგვაძესა და ჯაფარიძესთან ერთად.

კანტორაში თანდათან იკრიბებოდნენ მშენებლები და მისალმების შემდეგ კედლის გასწვრივ სხდებოდნენ. ოთახში სიცხის, ოფლისა და თამბაქოს ბოლის სუნი იდგა.

კანტორის ოთახი ბარაკში იყო. ჭერზე ჩამოკიდებული ნავთის ლამფა ანათებდა საკმაოდ დიდ ოთახს, მშენებლების დაღლილ, ჭუჭყიან, ოფლიან სახეებს. ყველამ იცოდა, რა საკითხზე იყო თათბირი მოწვეული. მოსულებს შორის პირხმელი სვანი კიჯი გარდაფხაძე, ფიცხი ციოყ ავალიანი და ადილ ჩეგიანიც იყვნენ.

ქარდას მდივანს გაფრთხილებული ჰყავდა სპირიდონ გუნია, პარტორგს რიონის ხიდის მშენებლობაზე შეატყობინე, რომ რვა საათზე ვიკრიბებით ყორათის კანტორაშიო. აგრეთვე მოეყვანა ყველა, ვინც საჭიროდ მიაჩნდა თათბირზე დასასწრებლად და აი ისინი შემოდიოდნენ ახლა ოთახში.

ლამფის შუქზე თათბირზე მოსულთა სახეები მოღუშული, უკმაყოფილო ეჩვენებოდა ქარდას. თვითონაც მოღუშული იჯდა. მის ჭაღარას დილის შემდეგ კიდევ შერეოდა თეთრი. როგორ არ ცდილობდა გაეხსნა შუბლი, გადაეყარა მწუხარე ფიქრი, ვერა, ვერ ახერხებდა. შესავალ სიტყვაში მოკლედ, ძალიან მოკლედ თქვა რა გადაუდებელ საკითხზე არის თათბირი მოწვეული. თავისი აზრი არ გამოუთქვამს ამ საკითხზე. უნდოდა გაეგო, სხვები რას იტყოდნენ ბრეგვაძის წინადადებაზე და პირველი სიტყვა მას მისცა.

— მუუუ... იიიი... მუუუ... — დაიწყო ბრეგვაძემ, მაგრამ მეტი ვერაფერი თქვა. ცხვირსახოცი ამოიღო იმისი შიშით, რომ ცრემლი არ მორეოდა და ეს რომ არ შეემჩნიათ, სათვალე მოიხსნა, ვითომ მის გასაწმენდად ამოიღო ცხვირსახოცი. სული შეუბერა, გაწმინდა, გაიკეთა და ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო. — ჩვენ ხელთაა დედაარხის გათხრის გაგრძელების პროექტის ორი ვარიანტი. ორივე ვარიანტი საფუძვლიანად შესწავლილია და, როგორც იცით, დასამტკიცებლად გაგზავნილია „გლავვოდხოზში“. ერთი ვარიანტი დამბების გადაწევაა ნაპირიდან და ძველი ტრასით არხის გათხრის გაგრძელება. ამ ვარიანტით გათხრა უფრო ძვირი ჯდება და მეტ დროსა და თანხას მოითხოვს. ეს ყველამ იცით, ამხანაგებო, — მძიმედ, ნელა ლაპარაკობდა, — მეორე ვარიანტით ნაგულისხმევია ახალი ტრასა. იგი ორი კილომეტრით უფრო მოკლეა და საიმედოც. მოცდა აღარ შეიძლება, — გრძნობდა, არეულად ლაპარაკობდა და თანაგრძნობით შეჰყურებდნენ სეროვა, ჯაფარიძე და ქარდა. ბრაზობდა თავის თავზე.

ყველა, ვინც თათბირზე იყო დაბარებული, იმასვე ფიქრობდა, რომ მოცდა აღარ შეიძლებოდა. ინტერესით შეჰყურებდნენ ბრეგვაძეს, რა წინადადებას შემოიტანდა. ბრეგვაძე ყველა თათბირზე და სხდომაზე, პარტბიუროზე და კრებაზე მკაცრად, მოურიდებლად, პირდაპირ გამოდიოდა ყოველგვარი სიფრთხილის, ყოყმანის, გაუბედაობის და თავდაზღვევის წინააღმდეგ. ასეთივე გამოსვლას ელოდნენ ახლაც.

— მუუუ... იიიი... მუუუ... გარდა ამისა, რომ ახლი ტრასა უფრო მოკლეა, ამ ტრასაზე არსად არ გვხვდება გრუნტქვეშა წყლები. ტყითა და ეკალჯაგებით ნაკლებადაა დაფარული. ზოგან ისეთი მინდორია, გაკაფვა და ამოძირკვაც კი არ დაგვჭირდება. ეს დიდი



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ...

შეღავათია. ვიმეორებ: მუშახელის, დროის და ფულის დაზოგვაა.

— თუ ასეა საქმე, რაღას ვუცდით?! — წამოიძახა ფიცხმა ციოყ ავალიანმა და მის გვერდით მჯდარ, ყოველთვის დინჯ, პირხმელ სვანს კიჯი გარდაფხაძეს გადახედა, საჭირო იყო თუ არა, ამის კითხვაო.

კიჯი გარდაფხაძემ მოწონებით ოდნავ დაუქნია თავი.

— მეც მინდა ვიკითხო, რას ვუცდით?! — მიუგო ბრეგვაძემ ახალგაზრდა სვანს. — რაც შეეხება პირველ ვარიანტს, მას დიდი მინუსი აქვს. იგი მეტ მუშახელს, ტექნიკას, დროსა და ხე-ტყეს მოითხოვს. მაშასადამე, გაცილებით ძვირი ჯდება ამ ვარიანტით არხის გათხრის გაგრძელება. რას ვუცდით, ამხანაგებო?!

— თქვენი წინადადება, ამხანაგო ვასო? — უთხრა პარტორგმა.

— მუუუ... იიიი... მუუუ... დაუყოვნებლივ შევუდგეთ ახალი ტრასით გათხრას.

ყველამ მშენებლობის სამმართველოს უფროსს შეხედა.

— რას იტყვის სპირიდონ გუნია? — თქვა ქარდამ.

გუნია წამოდგა.

ქარდამ წინასწარ იცოდა, რას იტყოდა გუნია. უკმაყოფილოდ უყურებდა. გუნიას ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. მაგრამ უკმაყოფილობაში ტკივილიც ჩანდა ქარდას სახეზე. გუნიამ ტკივილის ჩრდილი ჯაფარიძის და სეროვას სახეზეც დაინახა. — „რა მოხდა?! რატომ სხედან მგლოვიარესავით?! — გაიფიქრა, მაგრამ მაშინვე იგრძნო, ახლა ამის პასუხს ვერ მიიღებდა.

— ვასო ბრეგვაძემ ძალიან კონკრეტულად და მოკლედ ილაპარაკა ორივე ვარიანტზე, — დაიწყო გუნიამ, — თან დასაბუთებულად. აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ „გლავვოდხოზის“ გადაწყვეტილებას მაინც უნდა დავუცადოთ...

— რატომ?! — ჰკითხა მკაცრად ბრეგვაძემ და კი არ წამოდგა, წამოხტა სკამიდან. წამოდგა თათბირზე თავის სიცოცხლეში პირველად. იგი ყოველთვის დამჯდარი ლაპარაკობდა. — რატომ?! გიმეორებთ, ამხანაგო სპირიდონ? — უთხრა ხმის აწევით, არამეგობრულად, შეკავებული ირონიით.

— იმიტომ, რომ არა გვაქვს უფლება ზევიდან გადაწყვეტილების მიღებამდე, — ცოტა არ იყოს შემცბარი ხმით უპასუხა გუნიამ.

— მუუუ... იიიი... მუუუ... ვინ წაგვართვა უფლება ვიაზროვნოთ ჩვენი ჭკუით, გადავწყვიტოთ ჩვენი შეხედულებით?! — მიახალა ახლა უკვე აშკარა ირონიით და ბრაზით.

— მაკვირვებს თქვენი შეკითხვა, ამხანაგო ვასო, — მეტი ვერაფერი უთხრა ჭალადიდის უბნის მშენებლობის უფროსმა და დაჯდა.

— მუუუ... იიიი... მუუუ... მე, შენი პასუხი მაკვირვებს, სპირიდონ. ვიმეორებ: ვინ წაგვართვა უფლება ვიაზროვნოთ ჩვენი ჭკუით, გადავწყვიტოთ ჩვენი შეხედულებით?! თუმც აქ არაფერია გადასაწყვეტი. ჩვენ თვითონ წავართვით ჩვენს თავს უფლება. მე თათბირს მოვახსენე, რომ ახალი ტრასა უფრო მოკლეა, ტრასაზე არ გვხვდება გრუნტქვეშა წყლები, ჭკალჯაგნარი. დავზოგავთ ფულს, მუშახელს, რომელიც ასე გვიჭირს, დაბოლოს — დროს, რომელიც ასე ძალიან ჰირდება ხალხს. რას ვუცადოთ?! ქაღალდს?! ქაღალდის მონა ვიყოთ?! ჩვენ ხომ დარწმუნებული ვართ ორი ვარიანტიდან ახალი ტრასის ვარიანტს რომ დაგვიმტკიცებენ „გლავვოდხოზში“ საკმაოდ მცოდნე ხალხი ზის. მათ ეყოფათ იმისათვის ჭკუა, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღონ. მე დავამთავრე, — თქვა და მოწყვეტით დაჯდა.

მშენებლობის სამმართველოს უფროსმა პარტორგს გადახედა.

კოჩა ყორშია მოწონებითა და კმაყოფილებით უსმენდა ბრეგვაძეს. კმაყოფილებისას იგი მარჯვენა ყურის ბიბილოზე იკიდებდა ხელს. როგორც კი

შენიშნა, ქარდა მიყურებსო, ყურს ხელი შეუშვა. არ უნდოდა, დაენახა მშენებლობის სამმართველოს უფროსს, რომ იგი მხარს უჭერდა ბრეგვაძეს. აინტერესებდა, სხვები რას იტყოდნენ.

სეროვა მოუთმენლად ელოდა, როდის მისცემდა მშენებლობის სამმართველოს უფროსი ვაჟას სიტყვას. თვითონ გალინა არკადიევნა აღტაცებული იყო ბრეგვაძის გამოსვლით.

ჩამოვარდა წამიერი დუმილი. სიორდიას გარდა, ყველას მოსწონდა ბრეგვაძის სიტყვა.

სვანებმა ერთმანეთს გადახედეს და გაუღიმეს.

თათბირის მონაწილეებს ეგონათ, რომ ქარდა სხვებსაც შესთავაზებდა გამოეთქვათ თავისი აზრი: პარტორგს, სეროვას, თარგამაძეს, მასივების სამუშაოთა მწარმოებლებს, მაგრამ მშენებლობის სამმართველოს უფროსმა ვაჟა ჯაფარიძეს მისცა მხოლოდ სიტყვა.

— რას იტყვის მთავარი ინჟინერი?

წამოდგა ვაჟა:

— იმასვე გავიმეორებ, რაც ვასო ბრეგვაძემ მოგახსენათ, —მიმართა ყველას. — მართლაც არ შეიძლება ქაღალდის მონა ვიყოთ, არ ვაზროვნებდეთ, ჩვენი შეხედულება არ გვქონდეს. დიახ, არ შეიძლება ერთი დღის დაკარგვა, ხვალვე უნდა შევუდგეთ ახალი ტრასით გათხრას.

— კარგად ბრძანეთ, ვაჟა ვასილევიჩ, — დაუძახა ოთახის კუთხიდან ანტონ ბაჩილომ.

თავი ვერ შეიკავეს და ტაში დაუკრეს სვანებმა.

მთელი სახით გაიღიმა გალინა არკადიევნამ.

გულში დაეთანხმა ვაჟას სპირიდონ გუნია.

სახე მთლად დაუწვრილდა სიორდიას. მიმოიხედა. მის გვერდით სვანები ისხდნენ. მათ იცოდნენ სიორდიას აზრი და შეუბღვირეს. ისიდორეს სიტყვის თქმა უნდოდა, მაგრამ მათი შიშით ვერ გაბედა. ის იყო ხელი აწია, მაგრამ მაშინვე ძირს დაუშვა. სვანებმა შენიშნეს ეს, გაეღიმათ.

— ჰმ! — მხოლოდ ეს აღმოხდა ნიშნის მოგებით ისიდორეს.

— თუ ნებას მომცემთ, მე ამაღამვე გავალ არხის გასათხრელად, წამოიძახა ფიცხმა ციოყ ავალიანმა.

— მეც, — წამოდგა ადილ ჩეგიანი.

— ყველა სვანი, — თქვა კიჯი გარდაფხაძემ.

— მე და ანტონ ბაჩილოც, - წამოდგა უჩა შამუგია.

ჯაფარიძე დაჯდა:

— მე დავამთავრე.

ისიდორე ნერვიულად ცქმუტავდა. ვიწრო, გამხდარი მხრები უხტოდა და ვერ იკავებდა. ბოლოს სძლია შიშს, წამოდგა, სიტყვა მოითხოვა.

— ნება მომეცით, ამხანაგო მშენებლების უფროსო, ორიოდ სტყვა ვთქვა,

— თქვი.

— ზევიდან მოსულ ქაღალდ უბრალო ქაღალდ არ არის, როგორც აქ ზოგერთს ჰგონა. — ვაჟა ჯაფარიძის მისამართით ამბობდა ამას და მას უყურებდა. — მე არ ვეთანხმებ არც ამხანაგ ვასო ბრეგვაძეს და არც მთავარ ნჟნერს. უნდა დივუცადოთ „გლავვოდხოზს", მს გადაწყვეტლებს ქაღალდს. როგორ შეუდგეთ, აფხანაგბ ახალ ტრასთ არხს გათხრას ზევდან გადაწყვეტლებს მუღებლად. მოსკოვდან მოსულ გადაწყვეტლება უბრალო ქაღალდ არ არს. მე გაკრვებული ვარ. აფხანაგ ვასო ბრეგვაძე სტყვთ. ჩვენ ყველა პასუხს ვაგებთ, აფხანაგ მშენებლობს უფროსო!

— შენ არ აგებ პასუხს, სიორდია, — უთხრა ანტონ ბაჩილომ.

— მე არა, მაგრამ სხვებ...

— სხვების დარდი შენ არა გაქვს, ისიდორე, — მოუჭრა უჩა შამუგიამ.

— უყურეთ ამას, რას მბედავს ეს ბალანა! — აენთო სიორდია.

— დაჯექი, ისიდორე, — უბრძანა ქარდამ.

— მე კი დავჯდებ, მაგრამ... — სიორდია ცივად დაჯდა. სიტყვა ველარ დაასრულა. ისევ მიმოიხედა. სვანები კვლავ

გვერდით უსხდნენ, სახე მოღუშულები, გამწყრალები.

— თქვენ რას იტყვით, გალინა არკადიევნა? — მიმართა მშენებლობის სამმართველოს უფროსმა სეროვას. მან დაინახა, რომ სეროვას სიტყვის თქმა უნდოდა და არ შეეძლო არ მიეცა.

— მე თვითონ ვიკვლევდი ახალ ტრასას. ვასილ გიორგევიჩი ცამდე მართალია. ხვალიდანვე უნდა შევუდგეთ ახალი ტრასით არხის გათხრას.

— დიახ, ხვალიდანვე, გალინა არკადიევნა, — დაეთანხმა ტარიელ ქარდა. — ხვალიდანვე. მე ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას. ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ.

— უზომოდ ბევრი დრო, — წამოდგა ვასო ბრეგვაძე. სიხარულისაგან უცებ თავისუფლად დაილაპარაკა, ენას აღარ უკიდებდა. — აქამდეც არ უნდა მოგვეცადა „გლავვოდხოზისათვის". საქმე არ იცდის, ამხანაგებო. ერთი დღით დაგვიანებული საქმე, ერთი წლით დაგვიანებულიაო. ბრძნული ანდაზაა.

ყველა განცვიფრებით შესცქეროდა მოხუც ინჟინერს. რანაირად ალაპარაკდა ასე თავისუფლად ეს ენაბლუ კაცი. თვითონ ბრეგვაძე ჯერ არ იყო მიმხვდარი, არ შეუნიშნავს რა მოხდა, რად უყურებდნენ განცვიფრებით, რა თქვა ასეთი. ეს შეატყო ტარიელ ქარდამ და განგებ შეეკითხა, აბა, თუ ისევ ისე თავისუფლად დაილაპარაკებსო.

— შენთან ერთი შეკითხვა მაქვს, ვასო.

— ბრძანეთ.

— ანტონ ბაჩილო წინადადებით შემოვიდა, რომ უჩა შამუგიას ექსკავატორი მივცეთ. მას უკვე თურმე დამოუკიდებლად შეუძლია მუშაობა.

— შეუძლია, უნდა მივცეთ, — გაეხარდა ვასო ბრეგვაძეს და ახლაღა შეამჩნია, რომ ენას აღარ უკიდებდა. არ დაიჯერა, გამოსაცდელად სიტყვა განაგრძო, — „პრიტსმანი" მივცეთ, — „აღარ ვუკიდებ ენას", — კინაღამ შეჰყვირა სიხარულით. — ვიცი, ამხანაგებო, რატომ მიყურებთ განცვიფრებით. ენას აღარ ვუკიდებ. ხომ ასეა, ხომ არ მეჩვენება? — იკითხა და მოლოდინით შეაჩერდა ყველას.

— ასეა, — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— რა მოხდა?! — განცვიფრდა თვითონაც. — ალბათ, კარგმა საქმემ, დიდმა სიხარულმა დამიბრუნა ენა. მსოფლიო ომში კონტუზიისაგან დავკარგე და აი, ამდენი ხნის შემდეგ ასე უცებ, მოულოდნელად აღმიდგინა... აღმიდგინა კარგმა ამბავმა.

— რა ამბავმა, — ვასილ გიორგევიჩ? — ჰკითხა სეროვამ.

— რომ არ დავუცადეთ ქაღალდს. ბევრი არასაჭირო ქაღალდი იწერება. ეს საქმეს ვნებს. არ არის საჭირო ამდენი ქაღალდი, — მღელვარებისაგან სუნთქვა ეკვროდა. — მართალი მითხარით, აღარ ვუკიდებ ენას?! აღარა ვარ ენაბლუ?!

— აღარა ხარ ენაბლუ, — ვასო, უთხრა მშენებლობის სამმართველოს უფროსმა. — რაღა გვეშველება აწი. რა დაგიდგება წინ. ვერ გადავურჩებით შენს ენას.

— ვიმუშავოთ ზედმეტი ქაღალდების გარეშე და, პირობას გაძლევთ ყველას, ენამოთაფლული ვიქნები.

სიბნელე კიდევ უფრო გასქელდა. ცა ღრუბლებით დაიჯოგრა. დაბლა დაიწია და ჰაერი შეკრა.

მანქანის შუქფარი ძლივს ბჟუტავდა წყვდიადში. ჯაფარიძე გზას არ უყურებდა. მისთვის ნაცნობი იყო იგი. ათასჯერ ავლილ-ჩავლილი, ფეხით თუ მანქანით, ცხენით თუ ტრაქტორითა და ექსკავატორით.

მანქანას ცალი ხელით მართავდა. მეორეთი სახეზე ოფლს იწმენდდა. ისე ცხელოდა, რომ კანი ეწვოდა. სეროვასთან ერთად მარტონი ბრუნდებოდნენ თათბირიდან. ანდრო განგიას „ემკა"-ში ისხდნენ. ქარდამ დიდი ხანია ვაჟას გადასცა ეს მანქანა.

„ემკა" ვაჟასა და სეროვასათვის მარტო მანქანა არ იყო. მასში ანდრო განგიას რაღაც ნაწილი დარჩა. მათთვის ძალიან ახლობელი, ძვირფასი, თითქოს

ცოცხალი. ისეთივე სიყვარულით უვლიდა ვაჟა მანქანას, როგორც ანდრო განგია და იქნებ უფრო მეტითაც. „ემკა“ განგიასათვის მხოლოდ მანქანა იყო, ვაჟასათვის კი თვით ანდრო განგია. თავისი ხელით რეცხავდა, სინჯავდა ძრავას, წინასწარ გრძნობდა რა უჭირდა, რა ტკიოდა, რისი შეკეთება და რომელი ნაწილის გამოცვლა ჭირდებოდა.

გზის ორივე მხარეს კედელივით იდგა ხელუხლებელი ტყე. ბარდმოკიდებული ხეებს მუხლამდე წვდებოდათ ჭაობი და წვიმის წყალი. აქ წლის უმეტესი დრო წვიმიანია. ნაწვიმარი წყალი დაშრობას ვერ ასწრებს შემდეგ გაწვიმებამდე. წყალში და ჭაობში ყველაფერი დამპალია, ყველაფერი ყარს. შხამის სუნი კი არა, თვითონ ჭაობი შედის მანქანის სარკმელებში, შედის კოლოსთან და ქინქლასთან ერთად და აბრუებს, ბანგავს ტვინსა და გონებას. ასევე აბრუებს გონებას მათი წრიპინი, წუილი, ბზუილი და ბაყაყების გაუთავებელი ყიყინი.

არასოდეს არ შეხუთვია სული ვაჟას, არასოდეს გაოფლიანებულა ასე. ამის მიზეზი მარტო დამპალი ჰაერი და სიცხე კი არა, განგიას გარდაცვალების ამბავი იყო. დილიდან, მშენებლობის სამმართველოს უფროსის კაბინეტიდან, ჭოპე წოწორიას დუქნიდან, თათბირიდან მოყოლებული თავიდან არ ამოსდიოდა განგიაზე ფიქრი, მტანჯველი, შემაძრწუნებელი ფიქრი.

სეროვამ იცოდა ეს. რამდენჯერმე გადაწყვიტა გამოლაპარაკებოდა, გაერთო, მაგრამ ვერ ახერხებდა. თვითონაც ისეთივე დღეში იყო.

მანქანა ოღროჩოღროებში ყვინთავდა. სეროვას ხან ზევით ააგდებდა და სახურავზე აკრევინებდა თავს, ხან გვერდზე მიაგდებდა, ან ვაჟას მხარეს, ან კარის მხარეს. შეჩვეული იყო ასეთ გზებს, ასეთ ნჯღრევას. ყურადღებას არ აქცევდა. ცდილობდა თავი შეეკავებია. არ მიხლოდა ვაჟას, სხვა დროს [illegible] უკროდა. მანქანის სახურავსა და კარის სახელურს ეჭიდებოდა.

მოსახვევში ბარაკები იდგა, იქ არხზე მომუშავე სვანები ცხოვრობდნენ. იქვე ცხოვრობდნენ რიონის ხიდის მშენებლები, ტყის მკაფავები.

ბაილ ბეთქილ! შევარდენო
შენთან შეყრამ დამამშვიდა:
დამიმშვენებ მულახ-მუჟალს
შენი ცეკვა-თამაშითა.

— სვანები მღერიან, — უთხრა სეროვამ ვაჟას და გაიღიმა. გაიღიმა თავისთვის. არ უნდოდა ვაჟასათვის ღიმილი ეჩვენებია. — ალბათ, თათბირის გადაწყვეტილება შეიტყვეს. როდის გაგვასწრეს სვანებმა?!

— თაბირი დამთავრდა თუ არა, ისინი პირველი გავიდნენ ოთახიდან, — უთხრა ვაჟამ ცოლს. — უთუოდ თავისიანებს ახარეს თათბირის გადაწყვეტილება.

— აღარ წავლენ სვანები, ვაჟა.

— სვანები მაინც არ წავიდოდნენ.

— რატომ გგონია?

— მათ შრომის ფასი იციან. ვერ მიატოვებდნენ ამდენი ხნის ნაჯაფარს.

ბარაკის კიბის თავზე ფარანი ეკიდა და მკრთალად ანათებდა კიბეზე მსხდარ სვანებს.

მამაც მოუმეს ესვრის ლალად,
ცისფერ მანდილს თეთრი ქალი;
ბეთქილ შენმა სიყვარულმა
ამირია გზა და კვალი,

— ვაჟა, გააჩერე მანქანა. ყური დავუგდოთ სიმღერას.

ვაჟამ მანქანა შეაჩერა. ორივე მკლავით საჭეს დაეყრდნო. არ უნდოდა სიმღერის მოსმენა.

ბაილ ბეთქილ! შენი კოშკი
თეთრი ქვებით ნაშენია,
საჯიხვეში რაც ჯიხვია,
ყველა შენი ნაშენია.

— სევდაც არის და სიცოცხლის ტრფიალიც ამ სიმღერაში. რა ხმებია. თითქოს მთები მღერიანო, — თქვა სეროვამ. — რა ჰქვია ამ სიმღერას, ვაჟა?

— არ ვიცი.

— მე მეგრული სიმღერასთანა ნაზი,

ლირიკული მეგონა საქართველოს სხვა კუთხეების სიმღერებიც. ამ სიმღერაში სინაზეც არის და საოცარი ძალაც.

ვაჟა ყურს არ უგდებდა სიმღერას. არ ფიქრობდა სიმღერაზე. სეროვას უნდოდა ამ საუბრით გამოეყვანა ქმარი ფიქრიდან. ვაჟა მიუხვდა, მაგრამ არ ძალუძდა მოეშორებია მწარე ფიქრი.

დამთავრდა სიმღერა.

ვაჟამ ძრავა ჩართო. მანქანა დაიძრა. კვლავ გაისმა ბაყაყების ყიყინი, კოღოებისა და ჭინჭლების წრიპინი, წუილი და ბზუილი.

გასცდნენ ბარაკებს. დაიწყო ასფალტირებული გზა. მანქანა მსუბუქად გასრიალდა ასფალტზე. ასე მოეჩვენა სეროვას ოღროჩოღრო გზის შემდეგ.

გზის მშენებლები ღამითაც მუშაობდნენ.

გზაზე ზვინებად იდგა გავარვარებული ასფალტი. შლიდნენ, ასწორებდნენ, ტკეპნიდა სატკეპნი მანქანა. „ემკა“-ში ასფალტის მწკლარტე, ცხელი სუნი შემოიჭრა. სეროვამ კარების სარკმლების შუშები დახურა.

მანქანაში უფრო დაცხა.

ძლივს სუნთქავდნენ.

— ვაჟა, არ გინდა დამშრალი იყოს ჭაობები, გაკაფული და ამოძირკული ტყეები და ასეთი გზით დასერილი?

— არ მინდა, — უთხრა ვაჟამ. — მინდა თვითონ დავაშრო ჭაობები. მე გავაკეთო ის, რაც ანდროს უნდოდა გაეკეთებია. ჩემი ხელით მინდა დავაშრო.

— რა სულელი ვარ. მეც ხომ ეს მინდა. ჩემი ხელით. თვითონ. რა კარგად თქვი, ვაჟა.

— შენ ახლა ალბათ ოცნებობდი, გალინა.

— ვოცნებობდი. უოცნებოდ უფერული იქნება ცხოვრება.

— მართალია. უოცნებოდ უფერული იქნება ცხოვრება.

— ვიცი ვისი სიტყვებიცაა.

გასცდნენ ნაბადას. სოფელს ეძინა.

გამოჩნდა პატარა ფოთი. ოდებში აქა-იქ კიდევ ენთო შუქი.

მშენებლობის სამმართველოს უფროსი და პარტორგი ერთად ბრუნდებოდნენ ქალაქში. ქარდას მთელი გზა ხმა არ ამოუღია. ისევ იმ ფიქრში იყო. მხოლოდ გზაში გაუმხილა კოჩა ყორშიას განგიას ამბავი.

ორივე დუმდა.

დიდი მწუხარება ზოგს კრიჭას შეუკრავს, ზოგს აალაპარაკებს.

ქარდა ახლა განგიას ნათქვამ სიტყვებზე ფიქრობდა... ვიდრე კოლხიდის დაბლობების დაშრობას არ მოვათავებთ, კიბო ვერ მომკლავსო. არ დააცადეს დაშრობა. ხმამაღლა უნდოდა ეთქვა ეს. თავი დროზე შეიკავა. არ უნდოდა, კოჩა ყორშიასათვის, ამ ახალგაზრდა კაცისათვის კიდევ უფრო დაემძიმებია მწუხარება.

ქარდას ბევრი ამხანაგი და მეგობარი დაეღუპა. შეეძლო გამაგრებოდა ჭირსა და ვარამს, ზოგჯერ მარცხსაც კი. ახლა ვერ ახერხებდა.

წკვდიადმა აწვა ტყეს, ჭაობს, გზას. ქარდა მაინც ხედავდა ტყეს, ჭაობსა და გზას.

რამდენჯერ დაკარგვიათ გზა მასა და ანდროს ამ ტყეში, ამ ჭაობში. რამდენჯერ გადაურჩნენ ჭაობსა და მხეცს. ქარდა ჭალადიდელი იყო. აქ გაატარა ბავშვობა. ამ ტყეში ატარებდა ზოგჯერ არალეგარულ შეკრებებს. ეგონა, კარგად იცნობდა ამ ადგილებს, მაგრამ განგიამ სულ სხვა თვალით დაანახვა და წინათ თუ ძულდა ეს მიწა, განგიამ იგი შეაყვარა.

წელიწადზე მეტი გავიდა, უჩა შამუგია ცის სოფლიდან რომ წავიდა მშენებლობაზე. მას შემდეგ ერთხელაც არ ასულა მასთან, ერთი ბარათი არ მოუწერია. სული და გული იქ ჰქონდა, ქვეყანას ერჩივნა ცის ნახვა, თუნდაც შორიდან თვალის ერთი შევლება, მაგრამ მაინც არ ადიოდა, არ წერდა ბარათს. თავისდაუნებურად მაინც ტკიოდა გული, რომ ცის მშობლებმა ისე ცივად გამოისტუმრეს.

ჯეროდა, რომ მშობლები მართებულად მოიქცნენ. — „მიწაზე არ ცხოვრობ, ჰაობებში ვერ გაგატან შვილსო". ყველა მშობელი ასე მოიქცეოდა. ასჯერ მართალი იყვნენ ციას დედ-მამა. მადლობელი უნდა ვიყო მათი, მშენებლობაზე რომ გამომისტუმრეს. ისინი, რომ არა, იქნებ აქ არც მოვსულიყავი. გული ტკიოდა. — წელიწადზე მეტია არ მინახავს, ცია. რანაირად მიძლებს გული?! რას იფიქრებს, ცია! არ ვუყვარვარო. იქნებ მართლა არ მიყვარს „ისე ძალიან". ფუი ეშმაკს, ეს რა გავიფიქრე. ღამე ციაზე ფიქრით ვწვები და დილით ციაზე ფიქრით ვდგები. რა სულმოკლე ვარ, რეგვენი ვარ, უგულო ვარ. რამ გამაძლებინა ამდენი ხანი ციას უნახავად?!"

რამდენჯერ უფიქრია ასე და აი, ერთ საღამოს დედაარხში მის „პრისტმანს" სიორდია მოადგა კონვერტით ხელში.

— ბარათ მოგტანე ბოშ, — დაუძახა შორიდან თავისი დიაცური, გამკივანი ხმით, რომ მანქანის ღრიალ-ხრიალში გაეგონა უჩას მისი სიტყვები.

უჩამ მაშინვე გამორთო „პრისტმანი". ციასაგან ბარათს არ ელოდა. სხვას ვის უნდა გამოეგზავნა?!. იქნებ ციამ გამოგზავნა? მისამართი რომ არ იცოდა. ციასი იქნება. გადმოხტა ექსკავატორიდან. გაიქცა სიორდიასაკენ.

— ვისი ბარათია, ისიდორე? — მოთმინება არ ეყო და შორიდან დაუძახა.

— ძლაბს ხელს ჰგავს, — შურით შეხედა მოახლოებულ უჩას. — სამმართველოშ მომცეს. ხომ წაუღებო? ძლაბს ბარათს რაფერ არ წამოგღებდ, მაგრამ ცოდე. ძლაბს არაფერ დაუჯერო. ძლაბ დო ქალ ეშმაკსაა.

უჩამ წერილი ჩამოართვა. დახედა, კონვერტზე მსხვილი ასოებით ეწერა: ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲤᲝᲗᲘ. „ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲛᲨᲔᲜᲘ", ᲣᲩᲐ ᲨᲐᲛᲣᲒᲘᲐᲡ.

უჩამ თვალს არ დაუჯერა.

ციამ არ იცოდა, უჩა წავიდა თუ არა მშენებლობაზე. — „რანაირად მიხვდა, რომ ასე უნდა დაეწერა კონვერტზე? რა იცოდა ასე გამოგზავნილ ბარათს რომ მივიღებდი?!"

— შეყვარებულსაა, ბოშ, ბარათი?

— ციასია.

— ვს?

— შეყვარებულსაა, —უთხრა მის კილოზე უჩამ.

— ძლაბს არფერ დაუჯერო. ძლაბ და ქალ ეშმაკსაა, — უთხრა ისევ სიორდიამ. მისი ცოლი შვილების გამო ვერ ტოვებდა ოჯახს, თორემ ერთი დღე არ გაუჩერდებოდა. — აქეთ გწერს ბარათს?!

— აქეთ მწერს.

— ჰმ, — ჩაიცინა ღვარძლიანად სიორდიამ. შეხედა უჩა's გაბადრულ სახეს: — ლამაზ მაინც თუ არს?

— მზეთუნახავია.

— ლამაზ ქალ და ძლაბ მთლად ეშმაკსაა...

— შენი სულია ეშმაკის, — გული მოუვიდა უჩას. ზურგი შეაქცია. „პრისტმანისაკენ" გაიქცა, თან გზად კონვერტს ხსნიდა. კაბინაში შეხტა და კარი მიიხურა.

— მეც მზეთუნახავ მეგონა ჩემ ცოლ, მაგრამ ეშმაკ და ქაჯ გამოდგა. ასეა ყველა ქალ და ძლაბ, — იდგა სიორდია და ხმამაღლა ელაპარაკებოდა კარმიხურულ უჩას. აქედან ვერ გააგებინებდა, მაგრამ ცოლზე გამწარებული გულს იფხანდა. მერე გაახსენდა, რა უთხრა უჩამ, ცეცხლი წაეკიდა: —ჰატ! რა მაკადრა ამ ეღვნტმა ბაღანამ! შენ სულაო ეშმაკს. მე შენ გჩვენებ ვს სულსა ეშმაკ.

„ძვირფასო უჩა! — წერდა ცია. — არ ვიცი ამ ბარათს მიიღებ თუ არა. არ ვიცი სადა ხარ. მაშინ მითხარი აქედან პირდაპირ „კოლხიდმშენში" წავალო. მეც ამ მისამართით გწერ. იქნებ არ წახვედი მშენებლობაზე. იქნებ ჩემზე ნაწყენი ხარ. ამდენი ხანი გავიდა და ერთი ბარათი არ მაღირსე. მე კი, როგორც მაშინ გითხარი, სულითა და გულით შენთანა ვარ. იცი, უჩა, თურმე ამაოდ ვიტყუებდი თავს. არა. დრო მალე არ გადის. საათი დღეებად მეჩვე-

ნება, დღე წელიწადად. არ მინდა დავიჯერო, რომ „კოლხიდმშენში“ არ წახვედი, არ აშრობ იმ მიწას, იაზონმა ოქროს ვერძი რომ მოსტაცა.

უჩა! ყოველ საღამოს ვჩერდები ჩვენს ჭიშკართან. დავეყრდნობი მკლავებით და დავყურებ ჩვენს ზღვას. მე და შენ ერთად ვდგავართ მის ნაპირზე. დიდი ხანი ვდგავართ, უჩა. ვიდრე ზღვა ოქროსფრად არ დაიფერება. მერე ტანთ ვიხდით და ზღვაში შევდივართ. გახსოვს, ეს სიტყვები, უჩა? თუ ჭაობს აშრობ, გეხსომება. იცი, რას ვხედავ კიდევ? იმ სამ თხას. ისინი ყოველ საღამოს მაშინდელივით პირველი ამოდიან ხევიდან გზაზე და ისე მგონია, რომ შენ ძალიანზე უფრო გიყვარვარ. ერთს თუ არა, სამ თხას ხომ დაეჯერება, უჩა? მე მჯერა მათი. მჯერა, მჯერა, მჯერა. ველარა ვძლებ უშენოდ. რა სულელი ვიყავი, რომ დედასა და ბაბას დავუჯერე. უნდა წამოგყოლოდი, უჩა. შენთან ერთად მეც მეთხარა მიწა, მეშრო ჭაობი. დღეისწორს ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ესტატე ფარცვანია ფოთში მიდის. საცდელ სადგურში ლიმონის ნერგები უნდა დაუკვეთოს შემოდგომისათვის. მეც მოვყვები ესტატეს, რომ შენ გნახო. „კოლხიდმშენის“ წინ დამხვდი. ალბათ, შუა დღით ჩამოვალთ. ესტატე არ უნდა მიხვდეს, რომ მე მხვდები. შორიახლო დადექი შენობიდან. მე მოვალ შენთან. როდის დადგება ეს დღეისსწორი!

გწერს შენი ცია ცანა“.

ორჯერ წაიკითხა წერილი. თავი ასწია.

— როდის დადგება დღეისსწორი! — გაიმეორა ხმამაღლა. ჰაერი არ ყოფნიდა. კაბინის კარი გამოაღო. — როდის დადგება დღეისსწორი! — დაიყვირა მთელი ხმით.

— რაო?! — წამოიძახა სიორდიამ. იგი ისევ იქ იდგა.

დაინახა უჩამ, რომ ისევ იქ იდგა და ელოდა, რას წაიკითხავდა უჩა იმ ბარათში.

— სიორდია, ძლაბ და ქალ, ეშმაკ და ქაჯ კი არა, ანგელოსია, სიცოცხლეა. როგორა თქვი ქალზე ქაჯ და ეშმაკ არისო?! შენ გიზის სულში ქაჯი და ეშმაკი. — ბრაზი აღრჩობდა. მზად იყო გადმომხტარიყო ექსკავატორიდან და ყელში წვდომოდა სიორდიას. ჭიაყელა ყელში. მაგრამ ამის ნაცვლად, სიორდია რომ გულზე გაეხეთქა, ციას წერილი წაუკითხა: — აი, რასა მწერს ჩემი ძლაბი, ჩემი ცია: „ველარა ვძლებ უშენოდ. რა სულელი ვიყავი, რომ დედასა და ბაბას დავუჯერე“. გესმის შე ყურდასავსებო? შე სულძაღლო! — წერილი მაღლა ასწია და ჰაერში აafრიალა, ვითომ სიორდიას ცხვირწინ უქნევსო. — ამის დამწერია ქაჯ და ეშმაკ?! მარტო ამ წერილისათვის ღირს სიცოცხლე . ახლა მე ათჯერ, ასჯერ მეტს ვიმუშავებ, — კარი მიხურა, ბერკეტებს მიუჯდა.

აღიმართა მაღლა „პრისტმანის“ უშველებელი ციცხვი, მერე დაეცა ძირს, ახაპა მიწა, აიწია დამბის სიმაღლეზე, გადაიხარა დამბისაკენ და დაყარა მიწა დამბაზე.

— რაო, რა მთხრა?! — მოწყდა ადგილს, გაიქცა ექსკავატორისაკენ სიორდია. — სულძაღლოო?! მე შენ გჩვენებ ვნაა სულძაღლ! — შუა გზაზე შედგა. შიშით დაეცეცა თვალები. აქ, ტყეში რომ მცემოს, როგორ დავუმტკიცებო. გაიფიქრა და ცივად შეტრიალდა. უკან იხედებოდა, შამუგია ხომ არ მომდევსო.

ბარათის მიღების დღიდან უჩამ მოსვენება დაკარგა: როდის დადგება დღეის სწორი, როდის ჩამოვა ციაო. ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ იმას კი ვერა, რომ ცია თვითონ ჩამოვიდოდა.

„მე ერთხელაც არ აველი ციასთან. ერთი ბარათი არ გავუგზავნე; — ისევ უწყრებოდა თავის თავს. — ისიც არ მივწერე, სადა ვარ. იქნებ მართლა არ მიყვარს, თორემ რა გამაჩერებდა ამდენ ხანს? — იმეორებდა ისევ. შეეშინდა ამ ფიქრის. მიყვარს კი არა, სული მელევა მისი სიყვარულით. ალბათ, „ძალზე ძა-

ლიან რომ მიყვარს“, ამიტომ არ ვწერდი ბარათს, ამიტომ არ ავედი სანახავად, ამიტომ მეწყინა, რომ არ წამომყვა. დედასა და ბაბას დაუჯერა. რა სისულელეს ვჩმახავ? ცია მარტო გულს არ აჰყვა და ამიტომ არ წამომყვა. ცია გონებასაც უგდებს ყურს. მე არ მაქვს გონება. მარტო გულით არ ცხოვრობს ადამიანი. ცია ჩემზე ჭკვიანია. ციას უფრო ვუყვარვარ. ციამ გამიხსენა. ის ჩამოდის ჩემთან უჭკუოსთან“.

უჩასათვის დრო ნელა, მძიმედ გადიოდა. არასოდეს არ ჩვენებია დღე ასე გრძელი, დაუსრულებელი. ანტონ ბაჩილო ციებამ შეიპყრო. ყოველ დღე აციებდა. უჩა ორ ცვლაზე მუშაობდა. ანტონ ბაჩილოსთან დაღამებამდე ვერ მიდიოდა. მუშაობას აყოლებდა გულს ეს უმსუბუქებდა მოლოდინსა და ბაჩილოზე ჯავრს.

უჩა და ანტონ ბაჩილო ისევ ყულევში ცხოვრობდნენ იაკობისა და ესმას ოჯახში. შეეჩვივნენ მარტოხელა მოხუცებს და არ უნდოდათ ბარაკში გადასვლა. უჩა სამუშაოზე რომ იყო, ესმა დასტრიალებდა თავზე ბაჩილოს. საჭმელს უმზადებდა, ურეცხავდა, უგვიდა, ულაგებდა ოთახს.

ბაჩილო ისე დაასუსტა ციებამ, მაღალმა სიცხემ, ძვალი და ტყავი გახდა. გაყვითლდა, თვალები ჩაუღამდა, არაფერს ჭამდა. ქინაქინის ფხვნილი არ შველოდა. ექიმმა ქინაქინის ნემსები დაუნიშნა. ჭალადიდის აფთიაქში უარი უთხრა პროვიზორმა კარლო ხვინგიამ. დიდი ხანია ამპულებში აღარა გვაქვს ქინაქინაო.

უჩა ფოთში წავიდა. ვერც იქ იშოვა.

ბაჩილოს მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. უჩა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. არ იცოდა რა ექნა. საიდან სად მოსული კაცი უწამლობით კვდებოდა.

ერთხელ უჩამ ადილ ჩეგიანს უამბო თავისი გაჭირვება. ადილმა უთხრა კარლო ხვინგიას აქვს ამპულებში ქინაქინაო.

— ვიყავი მასთან.

— მერე?

— არა მაქვსო.

— ასე გეტყოდა.

— რატომ?!

— ვინც ზედმეტს მისცემს, იმისათვის აქვს.

უჩამ არ დაიჯერა.

— რანაირად შეიძლება პროვიზორმა წამალი დაუმალოს ავადმყოფს?

— უმალავს. ფულისათვის უმალავს...

— ფულისათვის კლავს ადამიანს?!

— ასე გამოდის.

— მერე ქვეყანა არ ხედავს?!

— ქვეყანას არ უჩვენებს. ჩუმად ყიდის.

— ვინ ყიდულობს ჩუმად?!

— ვისაც უჭირს.

— მოვკლავ, — დაიღრიალა უჩამ. — კაცი კვდება და პროვიზორი წამალს უმალავს?!

— მართლა მოსაკლავია, — უთხრა ადილ ჩეგიანმა. — ჩივილითაც არავინ უჩივის. ავადმყოფს ან მის ჭირისუფალს სად აქვს ჩივილის თავი. ურჩევნია ზედმეტი მისცეს და წამალი მიიღოს.

— შენ ზედმეტი მიეცი?!

— მე არ მაციებს. არ დამჭირვებია. სხვები აძლევენ. პერანგს გაიხდიან ავადმყოფისათვის და მისცემენ.

უჩას ფერი წაუვიდა.

— იმ ხვინგიას მამაც ერთი ძაღლთაპირი ყოფილა. სოფლის მეველე იყო თურმე. პავლე რქმევია სახელად. მთელ სოფელს ჭირივით ძულებია. ერთ ქორწილში ხანჯლით აუკუწიათ და მას შემდეგ სოფელს დაუსვენია. მამაჩემსაც ახსოვს ის პავლე ხვინგია. მამაჩემი ბარის სამუშაოდ ზამთარში ყოველ წელიწადს ჩადიოდა ოდიშში, — უჩა და ადილ ჩეგიანი დამბაზე ისხდნენ. — კიდევ ცხოვრობდა იმ სოფელში ერთი ხვინგია. შიშის ზარს სცემდა ხალხს. დღესაც მისი სახელით ბავშვებს აშინებენ — ყარამან ხვინგია მოდისო. მაგარი ვაჟკაცი ყოფილა, მაგრამ ავი და დაუნდობელი, ქურდი და ყაჩაღი. სოფელში აღარ დაედგომებოდა. კოლმე-

ურნეობის ერთი წევრი ჭირივით ძულებია. იმისთვის სახლი მიუყიდია. იმავე ღამეს ის სახლი ცეცხლისათვის მიუცია და თავისი მეგობარი მედუქნე, კოსტა წულაია, რომელიც თან უნდა გაჰყოლოდა, შიგ ამოუწვავს. მერე კოლმეურნეობის სასიმინდეებისათვის წაუკიდებია ცეცხლი. გაქცევა ვეღარ მოუსწრია. მთელი სოფელი დადევნებია და იმას, ვისაც სახლი მიყიდა, თოფით მოუკლავს.

— ძაღლი მიაკვდა მის სულს, — თქვა ბრაზით უჩამ. — ეს პროვიზორი იმ ყარამან ხვინგიაზე მეტ დანაშაულს ჩადის დღისით-მზისით. წავალ. სულს ამოვხდი, — დაიქადნა და წამოდგა.

მეორე დილით ადრე მიადგა კარლო ხვინგიას. აფთიაქში რამდენიმე ქალი და კაცი იდგა სალაროსთან. უჩა მათ უკან გაჩერდა. ყურს უგდებდა და თვალს ადევნებდა პროვიზორს.

პროვიზორი ახალგაზრდა კაცი იყო. სათვალე ეკეთა. სათვალის ქვევიდან შეხედავდა აფთიაქში მოსულს. ათვალიერებდა, აკვირდებოდა და მერე აძლევდა პასუხს ჰქონდა თუ არა წამალი.

უჩამ მაშინვე შენიშნა ეს. აჰა, მართალი მითხრა იმ სვანმა. ამ ტურამ იცის ვის როგორ მოექცეს, ვის მისცეს წამალი, ვის დაუმალოს. მუშას, ღარიბს აგდებულად უპასუხებდა. იმ წამალზეც უარს ეუბნებოდა, რომელიც ჰქონდა. მომზადება ეზარებოდა.

— რამ გაგხადათ ავად ყველა ერთად, ივანია ხომ არ გაგიჩნდათ?! — ბუზღუნებდა. — ერთი კაცი ვმუშაობ, ვერ ავუდივარ საქმეს, — გათავხედებული, რომ არავინ თხოვდა პასუხს ასეთი სიტყვებისათვის, თავს უფრო გადიოდა. — ამ პაპანებაში შინ ვერ დაჯდებით?!

— შინ რა დაგვსვამს, შვილო, ავადმყოფის პატრონებს?! — საყვედური შებედა შავთავსაფრიანმა მოხუცმა ქალმა.

მას მაშინვე უარი მიახალა ხვინგიამ წამალზე. რეცეპტი ჩამოართვა. განგებ დიდი ხანი უყურა. ჰქონდა წამალი და უარი უთხრა.

ამას მაშინვე მიუხვდა უჩა. მუშტებს კუმშავდა, მაგრამ თავს იკავებდა, სანამ რიგი არ მოუწევდა. როცა მისი ჯერი დადგა, თავი მოისაწყლა, რეცეპტი მორიდებით გაუწოდა.

— არა მაქვს, — არც შეხედა, ისე მიახალა მაშინვე ხვინგიამ.

— გაქვს, — უთხრა უჩამ შეკავებული ბრაზით.

— რაო?!

— გაქვს-მეთქი.

ხვინგიამ თავი ასწია.

— გუშინ ხომ გითხარი, რომ არა მაქვს.

— გუშინ მომატყუე, — წინ დაუდო რეცეპტი. — მოიტა წამალი.

— არა მაქვს-მეთქი, ვის ვუთხარი?! — წამოდგა ხვინგია.

უჩა საყელოში წვდა. ძირს დაიქნია პროვიზორის მძიმე ტანი. სკამზე დააგდო:

— წამალი!

— ხალხო! — დაიღრიალა ხვინგიამ. წამოხტომა და უკანა ოთახში შევარდნა დააპირა.

უჩა მიუხვდა. ისკუპა და დახლში ჩაუხტა. ისევ წვდა საყელოში. შეანჯღრია მისი ზორზოხა ტანი.

— დაგახრჩობ! სადა გაქვს ამპულები? ამოალაგე.

— რანაირად ამოვალაგო, მახრჩობ ადამიანს. ხალხო, ვერა ხედავთ?!

ხალხი მოწონებითა და ცოტა შეშფოთებით უყურებდა უჩას.

— გამიშვი და ამოვალაგებ, — თქვა განგებ ხრიალით ხვინგიამ.

უჩა ყელში არ უჭერდა. საყელოთი ანჯღრევდა.

— ვიხვრჩები...

უჩამ ხელი გაუშვა.

პროვიზორმა ხალხს შეხედა, მიშველეთო, მაგრამ ყველა ზრახვით უყურებდა. საქციელწამხდარმა ხვინგიამ, დახლის ქვედა უჯრიდან ამპულებით სავსე კოლოფი ამოიღო და უჩას გაუწოდა. უჩამ არ გამოართვა.

— დახლზე დადე!
— უიმე, რამდენი წამალი ჰქონია, ამ შეჩვენებულს, — ლოყაზე ხელი შემოიკრა შავთავსაფრიანმა ქალმა.
— აკი არ მაქვსო? — ჰკითხა უჩამ პროვიზორს. — ვინც ზედმეტს მოგცემს, იმისათვის გაქვს. თავი ასწიე და შეხედე ხალხს.
პროვიზორი ვერ ბედავდა თავის აწევას.
— სირცხვილისაგან ვერა წევ მაღლა თავს, თუ შიშისაგან? — უჩა ხალხს მიუბრუნდა: — რა ვქნათ ხალხო, მილიცია გამოვიძახოთ, თუ ჩვენ თვითონ გავუსწორდეთ?
— არა, შვილო, — უთხრა შავთავსაფრიანმა ქალმა. — ახლა ვაპატიოთ და სიტყვა ჩამოვართვათ, რომ აღარ გადამალავს წამლებს.
— ქურდის სიტყვას დავუჯეროთ, დედა?!
— ერთხელ დავუჯეროთ, შენ შემოგევლოს ჩემი თავი. შეხედე, რა ფერი ადევს მაგ უბედურს, რაც უნდა იყოს, ადამიანის შვილია.
— ადამიანის შვილი წამალს დაუმალავს ავადმყოფს?! ვინ იცის, რამდენი კაცი გაისტუმრა საიქიოს წამლის დამალვით! — თქვა შუახნის ტრაქტორისტმა პავლე ქანთარიამ.
— მეორედ თუ გადამალა, თავი გაუტეხოთ.
— რას იტყვით? — ჰკითხა უჩამ ხალხს.
— ავადმყოფს წამალს რომ დაუმალავს, ის ქვეყანაზე გასაჩერებელი არ არის, — უთხრა გზის მშენებლობის მუშის მამამ, მონუცმა სარდიონ ხურციამ. — ჩემი ბიჭი სიკვდილის პირასაა მისული და ამ მამაძაღლს ამდენი ამპულა ჰქონია და გვიმალავს. მეც უარი მითხრა. ახლა ვაპატიოთ და თუ თავისი არ დაიშალა, ღორივით მე თვითონ გამოვჭრი ყელს.
— პირობა მოგვეცი, რომ აღარ გადამალავ წამლებს, — უთხრა შავთავსაფრიანმა ქალმა პროვიზორს.
— არ გესმის? — შეუღრინა ტრაქტორისტმა.
ხვინგია გაოგნებული იჯდა.
— შიშისაგან ენა წაერთვა მაგ უსინდისოს, — თქვა სატვირთო მანქანის შოფერმა. ვერასმე თოდუამ.
— ხმა ამოიღე! — შეანჯღრია უჩამ.
— პირობას გაძლევთ, — ამოღერღა პროვიზორმა.
— აბა, ვინაა ქინაქინის ამპულებზე მოსული? — მიმართა ხალხს უჩამ. — ცალკე დადექით. გაეცი! — უბრძანა ხვინგიას.
პირველი შავთავსაფრიანი ქალი და სარდიონ ხურცია მიუშვეს ქინაქინის ამპულების მისაღებად.
პროვიზორი თავაუღებლად აძლევდა ამპულებს, სწრაფად ითვლიდა, იღებდა ფულს, არ უყურებდა უჩას, გრძნობდა იგი ხელებზე დასცქეროდა.
— შენ აგაშენა, შვილო ღმერთმა, — უთხრა შავთავსაფრიანმა ქალმა უჩას, წამალი რომ მიიღო. — მართლა ვინ იცის რამდენი კაცი გაისტუმრა საიქიოს ამ პირშავმა.
— შენ კი ვაპატიოთო მითხარი, დედა, — უსაყვედურა უჩამ.
— კი, გენაცვალოს დედა. ერთხელ ვაპატიოთ.
— ერთხელ კი არა, ალბათ, ასჯერ გაუსტუმრებია კაცი უარით, — არ ცხრებოდა უჩა.
— ასე იქნება მარა, ახლა იგი რომ შეშინებულია, ისე შეშინდეს შენი მტერი. მეტს ვეღარ გაბედავს, შვილო, — შავთავსაფრიანი ქალი თვალს არ აშორებდა ამპულებით სავსე კოლოფს. — უი, მაინც რამდენი წამალი ჰქონია გადამალული ამ ურჯულოს.
— ეს წამალი რომ ჰქონოდა სევერიანე გოგოხიას, დღეს ცოცხალი იქნებოდა, — სინანულით თქვა ქვალონელმა ჭორფლით შემკულმა გლეხმა.
— შეხედეთ, რა ფერი ადევს, — გაეცინა ვიღაცამ.
— არა. რავა დაუმალა ადამიანმა ადამიანს წამალი?! — თქვა ისევ პავლე ქანთარიამ.

— მართლა მოსაკლავია ეგ მამაძაღლი.

— შენ ვისთვის გინდა, შვილო წამალი? — ჰკითხა უჩას შავთავსაფრიანმა ქალმა.

— ერთი ბელორუსი ამხანაგისათვის.

— ვისთვის?! — ყურიდან თავსაფარი გადაიწია შავთავსაფრიანმა ქალმა.

— ბელორუსიიდან ჩამოსული ამხანაგისათვის.

— უცხო კაცისათვის ირჯები ასე, დედა?!

— უცხო რატომაა? ამხანაგია.

— მაინც სხვა ქვეყნის კაცისათვის ასე თავის გადადება... — სიტყვა არ დაამთავრა შავთავსაფრიანმა ქალმა. — კარგი გული გქონია შემოგევლე, ნანა.

— თავი ჩვენი ჭაობების ამოსაშრობად გადასდო იმ ბელორუსმა, — უთხრა უჩამ. — და ციება კლავს.

— შენი გამჩენი დედის ჭირიმე, ნანა. მართალი ხარ: ადამიანი ადამიანისათვის უცხო არ უნდა იყოს. თუ გასაჭირშია, მით უფრო. სადაური კაცი სად ჩამოსულა. გაიქეცი, ნანა. მიაშველე იმ ხვთისნიერს აგი წამალი, — უთხრა შავთავსაფრიანმა ქალმა. მერე პროვიზორს მიუბრუნდა: — შხამი არ გაქვს, კაცის ჭირო?

ხვინგია ისევ თავჩაღუნული იჯდა. სახეზე ალმური ეკიდა.

— კაცის საჩვენებელი პირი არა გაქვს, ხომ?

უჩამ ფული გადაიხადა, ამპულები აიღო, დახლიდან გადახტა, არავის დამშვიდობებია, ისე გავარდა აფთიაქიდან.

— შხამი რად გინდა, ეპინე? — ერთად ჰკითხა შავთავსაფრიან ქალს რამდენიმე ქალმა და კაცმა.

ეპინემ არ უპასუხა. ისევ ხვინგიას შეხედა:

— თეზაფი გექნება?

— გვითხარი, ეპინე, რად გინდა ან შხამი, ან თეზაფი?! — არ ეშვებოდა ხალხი.

— შხამი თუ აქვს, მაგ დასამიწებელ პირში ჩავასხამ, — თქვა ეპინემ. — თეზაფი თუ აქვს, სახეში შევასხამ.

უჩასაკენ მიიხედა. წასული რომ დაინახა, შეწუხდა:

— ეს რა ვქენით? — თანდათან მოსდიოდა გული ეპინეს: — მილიციისათვის უნდა დაგვეძახა, — თქვა სინანულით. — არ დავუჭერეთ იმ ბიჭს, ბიჭი კი არა, ქრისტე ყოფილა ის დალოცვილი. ვისი შვილია, თუ იცით? — ჰკითხა ხალხს.

— არ ვიცით.

— აქაური არ უნდა იყოს.

— რა ჭვიშტარს გამოვუცხობდი, რომ ვიცოდე რომელ მასივში მუშაობს.

— მარტო ჭვიშტარს მიართმევდი, ეპინე? ერთ შემწვარ დედალსა და დოქ ღვინოს არ მიაყოლებდი?

— დედალი კი არა, უშობელი უნდა დაუკლა მაგისთანა ადამიანს, — თქვა პავლე ქანთარიამ.

— გესმის, კარლოია, მაგ დასაძსებ ყურში? — უთხრა პროვიზორს სარდიონ ხურციამ.

— შენ რომ რაიმე გესმოდეს, წამალს დაუმალავდი მომაკვდავს? — უთხრა მთლად გაცეცხლებულმა ეპინემ. ნუ გეშინია, ადრე თუ გვიან, გეწევა მაგათი ცოდვა.

ქინაქინის ორი ნემსი რომ გაუკეთეს, ანტონ ბაჩილომ უცებ მოიხედა. მეტი აღარ გააცია. ისე კარგად შეიქნა, მესამე დღეს წამოდგა. ერთი კვირის შემდეგ ეზოში ჩავიდა და მთელი დღე ჭადრის ჩრდილში გაატარა.

ესმასა და იაკობის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. რა საჭმელს არ უმზადებდნენ. ხობისწყალში დაჭერილ კობრს საწებელით, შემწვარ ვარიას, ჭყინტ ყველს, ელარჯს, ჭვიშტარს. თვითონ უჭირდათ, ბაჩილოსათვის კი სულს არ იშურებდნენ. ჩვენს საქმეს კინაღამ შეეწირა, შვილო, ეუბნებოდნენ, ის ურჯულო პროვიზორი წამალს გიმალავდა. წუხელიდნენ ხვინგიას. რამდენჯერმე ნატანებში წასვლა დააპირეს, ცისანას ჩამოგიყვანთო.

ბაჩილომ არაფრით არ ჰქნა. ასეთ საცოდავ დღეში, როგორ დავენახოო, მილეული, ჩაყვითლებული და ჩაყანგებული.

წამალზე უფრო, ცისანას ნახვა მოგიხდება, უცებ ჩაგიდგამს სულსო. ეხუმრებოდა იაკობი. ერთი თავისი ამბავიც მოუყვა:

— ჩვენს ქვეყანაში ისპანკა რომ გაჩნდა, ესმა ახალი დანიშნული მყავდა. ის ოხერი ჭირი მაინცდამაინც პირველი მე დამეტაკა. ისე დამაძაბუნა, სული კბილით მეჭირა. შენზე უფრო მილეული ვიყავი. ყოველ დღე ორმოც გრადუსს სიცხეს მაძლევდა. მაშინ კი არა, ახლა არ იციან მისი წამალი. მერე ისპანკას გრიპი დაარქვეს, — ჩაახველა. სათუთუნე ქისა ამოიღო და ყალიონი გააწყო. — ჰოდა, ვიწექი და ვუცდიდი, როდის დამადგებოდა თავზე სიკვდილი თავისი ულმობელი ცელით. — ყალიონს მოუკიდა. — ცხონებულ მამაჩემს, უთუთიას უფიქრია, ამ ბიჭს მხოლოდ ესმას ნახვა მოარჩენსო. წასულა ხეთაში და სიკვდილის პირზე რომ ვიყავი, სწორედ იმ დროს ჩამომიყვანა და დამაყენა თავზე ჩემი ანგელოსი. ქუთუთოს ვერ ვწევდი ზევით, მაგრამ ესმა რომ დავინახე, სხივი ჩამიდგა თვალში. საიქიოს გზაზე დამდგარი იმ წუთიდან სიცოცხლეს დავუბრუნდი. ესმა აღარ მომშორებია, — ახალგაზრდული ეშხით შეხედა ცოლს. — რამდენი მოციქული არ გამოუგზავნა მამაჩემს ესმას მამამ, ქორწილამდე დამიბრუნე ქალიო, მაგრამ უთუთიას ცივი უარი დაურტყამს. — მოსწია ყალიონი, სიამოვნებისაგან თვალები მოჭუტა. — ჩამოგიყვან იმ შენს ნატანებელ ცისანას, ანტონ. პირობას გაძლევ, ერთ კვირაში ვაყა ცხენივით გახდები. ასე არ გავხდი მეც, ესმა? მიუბრუნდა იაკობი ცოლს და გაუღიმა.

— უი, თვალი დაგიდგეს, იაკობ. რამ გადაგრია ამ ხნის ყაძახი?! სირცხვილი არ იცი?! — თმა შეისწორა ესმამ და თვალებში ეშმაკური ღიმილი გაუკრთა.

— რა ვთქვი ისეთი?! სიცოცხლე დამიბრუნა-მეთქი ესმამ.

— კი. ზოგჯერ სიყვარული სნეზასაც აშარცხებს თურმე და სიკვდილსაც, — ახლა მთელი სახით გაიღიმა ესმამ.

ბაჩილომ გაიკვირვა — სოფელში დაბერებულმა ქალმა ეს რა კარგად თქვაო.

ბაჩილოს ცისანა ერთი დანახვით შეუყვარდა, (ეს მარტო რომანებში არ ხდება ასე), მაგრამ არც ცისანას უმხელდა და არც სხვას, ვიდრე გოგომ თვითონ არ აგრძნობინა, რომ მასაც მოსწონდა. მაშინ უფრო მეტად იგრძნო ანტონმა რა ძალით უყვარდა ცისანა. სახლ-კარი რომ ჰქონოდა, ალბათ მაშინვე შესთავაზებდა ცოლად გამომყევიო.

ცისანა დღე და ღამე ჩაის პლანტაციაში მუშაობდა. მაინც ალვასავით აშოლტილი იყო. მისი ეშხიანი სახე; დიდი თვალები, თეთრი კბილები და მომაჯადოებელი ღიმილი, კაცს ქვეყანას დაავიწყებდა.

ახლა ჭადრის ჩრდილში, ესმასა და იაკობის წინ მჯდარ ბაჩილოს თვალწინ ედგა ცისანას ტანი, ხედავდა მის დამატყვევებელ თვალებს, მის ხასხასა ტუჩებს და აღელვებულს, გახარებულს, კინაღამ წამოცდა, ჩამომიყვანეთ ცისანაო.

ერთხელ, გვიან საღამოს დედაარხიდან დაბრუნებულ უჩა შამუგიას სასიხარულო ამბავი დაახვედრა ბაჩილომ. ისევ ჭადრის ქვეშ იჯდა, საკმაოდ მომაგრებული და ფერზე მოსული. შემოაღო თუ არა უჩამ ჭიშკარი, ანტონი ჭილოფიდან წამოდგა და შუა ეზოში შეეგება.

უჩას გაუკვირდა. არასოდეს არ შეგებებია ბაჩილო.

ანტონმა შორიდანვე შეატყო გაკვირვება.

— კარგი ამბავი უნდა გახარო, მეგობარო, — უთხრა, მხარზე ხელი მოხვია, ჭადრისაკენ წაიყვანა. ჭილობზე დაჯდა.

— დაჯექი, მეგობარო.

უჩა ჭილოფის მეორე მხარეზე დაჯდა. ჭუჭყიანი, გატალახიანებული იყო.

— რა ამბავი უნდა მახარო, ანტონ? ცია ხომ არ ჩამოვიდა?

— არა.

— აბა, მეტი რა უნდა მახარო? — ჰკითხა უჩამ. დაღლილი იყო, მშიერი, ოფლიანი ტანსაცმელი ტანზე ეწებებოდა. სამზადიდან ქვიჯის ქვის ხათქახუთქი ისმოდა. ნიავს ამოლესილი ლობიოს მადისაღმძვრელი სურნელი მოჰქონდა. უჩა ისეთი მოლოდინით შეჰყურებდა ბაჩილოს, შიმშილიც დაავიწყდა, დაღლილობაც, აღარც ოფლი კბენდა, აღარც ტალახისა და ჭაობის ჭუჭყი აწუხებდა.

— ის უნდა გახარო, უჩა, რომ სამმართველო ახალ ექსკავატორს ღებულობს.

— რომელი ქვეყნისას?

— ჩვენი ქვეყნისას. საბჭოთა მარკისას.

— რას ამბობ, ანტონ! საბჭოთა მარკისას?! მაშ, ჩვენ ჩვენი ექსკავატორი გვექნება?!

— ჩვენი ექსკავატორი გვექნება. პოლესიაში რომ ვმუშაობდი, ჯერ კიდევ მაშინ ამბობდნენ, ჩვენმა კონსტრუქტორებმა უკვე შექმნეს ექსკავატორი და ახლო მომავალში დაიწყება მისი სერიული გამოშვებაო.

— გამოუშვიათ?

— გამოუშვიათ და ერთი პირველთაგანი ჩვენთვის გამოუგზავნიათ.

— ნეტა რომელ მასივს მისცემენ?

— ჩვენს მასივს.

— ჩვენ ხომ გვაქვს „მენიკი“ და „პრისტმანი“.

— გვაქვს, მაგრამ არ გვყოფნის. ორი კი არა, ოთხი ექსკავატორი უნდა მუშაობდეს ჩვენს მასივში. აბა, თუ მიხვდები, ვის მისცემენ ახალ ექსკავატორს.

— მე რანაირად მივხვდე!

— დღეს პარტორგმა მინახულა. ახალი წამალი მომიტანა.

— რა წამალიაო?

— აკრიხინი.

— ქინაქინის ამპულებს ჯობიაო?

— ეგ არ მიკითხავს.

— ყურადღებიანი კაცია ეგ ჩვენი კოჩა ყორშია.

— პარტორგი ყურადღებიანი უნდა იყოს.

— კი უნდა იყოს, მაგრამ ასეთი მონდომებული კაცი, როგორიც კოჩა ყორშიაა, არც ისე ხშირია.

— როგორა გგონია ვის მისცემენ ახალ ექსკავატორს? — ჰკითხა ისევ ბაჩილომ. სამამულოს, საბჭოურს? სახელიც დიდებული რქმევია.

— რა ჰქვიაო?

— „კომსომოლეცი“.

— დიდებული სახელია.

— ალბათ, დიდებულ დრაგერს მისცემენ, — უთხრა ბაჩილომ და ეშმაკურად გაუღიმა.

— ვინაა ჩვენს არხზე შენზე უკეთესი დრაგერი?

— მე არ მაძლევენ და არც მეკუთვნის.

— აბა, ვის ეკუთვნის?! — გაიკვირვა უჩამ.

— შენ.

— მეე?! მეხუმრები ანტონ?

— პარტორგმა მკითხა, ვის მივცეთო...

— და შენ უთხარი შამუგიასო?!

— თურმე თვითონაც ასე ფიქრობდა.

— იცოდე, ანტონ, არ შეგარცხვენ.

— ვიცი, უჩა. არ დაგავიწყდეს, კომკავშირელი რომ ხარ. სწორედ შენთვის უნდა მოეცათ „კომსომოლეცი“.

ამ საუბარში რომ იყვნენ, ესმამ სამზადიდან ტაბაკი გამოიტანა და უჩასა და ბაჩილოს შუაში ჩადგა.

— რაცხა ნამეტანი გახარებული ჩანხარ, უჩა, — უთხრა ესმამ შამუგიას. — ცია ხომ არ ჩამოგივიდა?

— არა.

— აბა, რამ გაგახარა ასე?

— ახალ ექსკავატორს მაძლევენ.

— ახლახან არ მოგცეს „პრისტმანი“?! — გაუკვირდა ესმას.

— საბჭოთა ექსკავატორს მაძლევენ. „კომსომოლეცს“.

— შენს „პრისტმანს“ ჯობია?

— არ ვიცი ჯობია თუ არა, მაგრამ საბჭოურია.

— მართალი ხარ, შვილო. ჩვენი უნდა ჯობდეს სხვისას, — თქვა ესმამ და სამზადისაკენ შებრუნდა ვახშმის გამოსატანად.

— ჯერ ნუ გამოიტან, დედა, — თხოვა უჩამ. — ზღვაზე წავალ, ვიბანავებ. ასეთ კარგ ამბავს, ასეთი ჰუჰყიანი როგორ შევხვდე...

ანტონ ბაჩილო მთლად არ იყო გამოჯანმრთელებული, სამუშაოდ გასვლა არ შეეძლო, მაგრამ ციას ჩამოსვლის წინა დღეს, უჩასთან თავი ისე ეჭირა, როგორც დოლის ცხენს. ისე კარგადა ვარ, ერთ ცვლაზე კი არა, ორ ცვლაზე შემიძლია ვიმუშავოო, უთხრა უჩას.

შამუგია მაშინვე მიხვდა, რატომ ეჭირა ანტონს თავი ასე მხნედ, რატომ უთხრა ასე. ექსკავატორის გაჩერება ერთი დღე კი არა, ერთი საათით არ შეიძლებოდა. ბაჩილოს „კოპელზე“ მისი ახალი თანაშემწე გივი ნემსაძე მუშაობდა. უჩას არ ჰყავდა თანაშემწე. მისი ფოთში წასვლით „პრისტმანი“ მთელი დღით გაცდებოდა; ამიტომაც მოიქაჩლა ბაჩილომ თავი.

უჩამ დაუჯერა ბაჩილოს. რომ არ დაეჯერებინა, ციას ვერ დახვდებოდა. ცია იფიქრებდა, უჩა არ წასულა „კოლხიდმშენში“ და ჩემს მშობლებზე და ჩემზე განაწყენებულია, მიმატოვა, აღარ ვუნდივარო. ბაჩილო ეცოდებოდა. ხედავდა, როგორ ცდილობდა მხნედ დაეჭირა თავი, როგორ უხაროდა, რომ უჩა ხვალ თავის საცოლეს ხვდებოდა და გულში ათას მადლობას უხდიდა.

მეორე დილით კარგად გათენებული არც იყო, რომ დაბანილ-დავარცხნილი, სუფთად გაპარსული, ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი და გალამაზებული უჩა, გზის მშენებლობის სატვირთო მანქანას ფოთში გაჰყვა.

სამმართველოს თანამშრომლებს რომ არ დაენახათ, იმ შენობას შუადღემდე არ გაკარებია. ჭადრის ქვეშ მოშორებით დადგა, იქნებ ადრე ჩამოვიდესო ცია. მოთმინება არ ყოფნიდა. ყოველ ამვლელ-ჩამვლელ სატვირთო მანქანას თვალს ადევნებდა.

იცოდა, დანიშნულ დროზე ადრე არ ჩამოვიდოდა ცია, გული მაინც არ უთმენდა. ჭადრის ქვეშ ვერ მოისვენა, წინ და უკან იწყო სიარული. სამმართველოს თანამშრომლებს რომ მოჰკრავდა თვალს, ზურგს შეაქცევდა.

ქუჩა თანდათან ამოძრავდა, ახმაურდა, გაივსო. მიიჩქაროდნენ ბაზრისაკენ მყიდველები და გამყიდველები. მიდიოდნენ ეტლები, ურმები, ორთვალები, სატვირთო მანქანები. მიჰქონდათ თევზი, ხორცი, ფქვილი, სიმინდი, ბოსტნეული, მიჰყავდათ საქონელი, ძროხები, ხარები, ხბოები, მიჰყავდათ თხები, თიკნები, ქათმები, ინდოურები, ციცრები, იხვები. მიჰქონდათ თიხის ჭურჭელი, მიჰქონდათ გობები, საცრები, ჩოგნები და კირზები.

ფოთის ბაზარი ღარიბია. ახლომახლო ჭაობიან სოფლებიდან გლეხს არაფერი აქვს გასაყიდად ჩამოსატანი. ხობისა და ახალსენაკის რაიონებიდან თუ ჩამოიტანს გლეხი რამეს. ფოთის გარესოფლებიდან მხოლოდ თევზს თუ შემოიტანს ბაზარში მეთევზე ან გლეხი. კეფალს, კამბალას, კობრსა და ღლავს.

უჩა გაერთო ხალხის ცქერაში, ეტლების, მანქანების, ორთვალებისა და ურმების ხმაურში. დრომ შეუმჩნევლად გაირბინა.

ის იყო შუა დღე გადავიდა, რომ ის სატვირთო მანქანაც გამოჩნდა, ასე მოუთმენლად რომ ელოდა უჩა.

ცია ძარაში იდგა. ხელებით კაბინის სახურავს ეყრდნობოდა და გაფაციცებით ათვალიერებდა ტროტუარის ორივე მხარეს.

„მე მეძებს“, — გაიფიქრა უჩამ და სწრაფად წავიდა იქით, სადაც მანქანა უნდა გაჩერებულიყო.

შოფერმა სამმართველოს წინ ერთ-

ბაშად დაამუხრუჭა. გაისმა რკინის გამაყრუებელი ღრჭიალი და საბურავების თრევის ხმა. დადგა გახურებული რეზინის სუნი. ეტყობოდა, შოფერი ქალაქელებს თავს აწონებდა მანქანის მარდი, ზედმეტად ლაღი მართვით.

ციამ თავი ვერ შეიკავა, წინ გადაქანდა, ზედატანით კაბინის სახურავზე დაეცა.

„გიჟია ეს მამაცხონებული ვიღაცაა, კინაღამ გადმოაგდო ქალი“ — ბრაზიანად გაიფიქრა უჩამ. ძლივს შეიკავა თავი არ მივარდნოდა შოფერს.

— ჭიჭიკო, ნუ აიშვი შენებურად თავი, — გაუწყრა ცია შოფერს.

ჭიჭიკომ მაშინვე გამოჰყო კაბინის სარკმლიდან თავი, დამნაშავის გამომეტყველებით ახედა ციას.

— გავიწყდება, რომ ქალაქში ხარ?

— ყური უნდა აგახიოს კაცმა შე მაჭამაღლო, — გაისმა კაბინაში მამაკაცის ბოხი, ჩახლეჩილი ხმა. მერე კარი ფართოდ გაიღო და მანქანიდან შუა ტანის, ჩასუქებული, მუცელწამოგდებული ესტატე ფარცვანია გადმოვიდა. კირზის ჩექმებში ჩატანებული გალიფე ეცვა. ძველებურ, ოდიშურ ყაიდაზე შეკერილ ღილკილოებიან ხალათზე ვიწრო ქამარი ერტყა. ღილკილოები შეხსნილი ჰქონდა, ოფლიანი და ბანჯგვლიანი მკერდი მოუჩანდა. თავზე კრაველის შავი ფაფახი ეხურა და იღლიაში პორთფელი ჰქონდა ამოჩრილი. შოფერს შეუბღვირა, უნდოდა გაწყრომოდა, მაგრამ ხელი ჩაიქნია, შებრუნდა, და ენერგიული ნაბიჯით სამმართველოს სადარბაზო კარისაკენ გაემართა.

როგორც კი კიბეზე ესტატეს ჩექმების ბრაგაბრუგი შეწყდა, ციამ ძარადან ისკუპა, ჭადრის ქვეშ მივიდა, უჩას გვერდით ჩაუარა. არ უნდოდა ჭიჭიკოს დაენახა, რომ უჩა მას უცდიდა.

ამას მაშინვე მიხვდა უჩა. უკან გაჰყვა ციას. ასიოდე ნაბიჯი რომ გაიარა და ჭადრებს მიეფარა, მხოლოდ მაშინ შედგა ცია. უჩასაკენ მიბრუნდა.

— უჩა.

— ცია, — უჩამ ორივე ხელი მოკიდა ხელებზე.

შუა ტროტუარზე იდგნენ. ძალიან ახლო ერთმანეთთან. ამვლელ-ჩამომვლელი ზოგი ღიმილით ავლებდა თვალს, ზოგი დაცინვით. იგრძნეს ეს, ხელები ჩამოუშვეს.

— გვიყურებენ, — უთხრა უჩამ.

— რა გვაქვს საყურებელი?!

— შეიძლება სამმართველოს თანამშრომლებმა დაგვინახონ.

— მერე რა, დაგვინახონ, — უთხრა ციამ.

— ექსკავატორი მივატოვე.

— რა მიატოვე?

— მიწის მთხრელი მანქანა.

— მანქანით თხრით მიწას?

უჩამ თავი დაუქნია.

— მიწის თხრის ერთი დღით მიტოვება ქვეყანას არ დააქცევს.

— დედაარხზე ვმუშაობ, ცია. პირველი რიგის სამუშაოა, — სიამაყით უთხრა უჩამ.

— დედაარხია ჰქვია შენს არხს?

— დედაარხი ჰქვია. მთავარი არხია, მაგისტრალური.

— რა კარგი სახელი დაგირქმევია. დედაარხი, — გაიმეორა ციამ.

— მე არ დამირქმევია. დედაარხი იმიტომ ჰქვია, რომ ყველა არხის წყალს ღებულობს და ზღვაში ჩააქვს. ასე შრება ჭაობი.

— მართლა დედაარხი ყოფილა, — უთხრა ციამ, — წავიდეთ აქედან. ქვეყანა ჩვენ გვიყურებს.

— წავიდეთ.

— სად?

კედელზე კინოაფიშა იყო გაკრული.

— კინოში წავიდეთ.

— რა გადის? — ჰკითხა ციამ.

— „ვარიეტე“.

— რაზეა?

— სიყვარულზე.

— სიყვარული ჩვენ არ გვაკლია, უჩა.

— არ გვაკლია.

გაყვნენ ტროტუარს. ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. მღელვარებას ვერ იოკებდნენ.

— მე შენთან დამნაშავე ვარ, ცია, — დაარღვია დუმილი უჩამ.

— რა დააშავე?! — შეხედა ციამ.

— წელიწადზე მეტი გავიდა და ერთხელ არ ამოგაკითხე. ერთი ბარათი არ მოგწერე.

— მოდი, ნუ ვილაპარაკებთ ამაზე, უჩა, — გულისტკივილით უთხრა ციამ.

— მაგრამ დღე და ღამე შენზე ვფიქრობდი.

— ამიტომ არ ამოხვედი ჩემთან?! — გაიცინა ციამ.

— სულ შენ მედექი თვალწინ.

— ამიტომ არ მწერდი ბარათს?!

— ბარათის წერა არ მეხერხება... ბარათში იმას ვერ დავწერ, რასაც ენით გეტყვი.

— ამოსვლა ხომ შეგეძლო.

— შემეძლო.

— რატომ არ ამოდი?

— ფეხები ეშმაკმა დამიბორკა, ცია.

— გული?

— დიდმა სიყვარულმა.

— მჯერა, უჩა, — გაუღიმა ციამ. — ამ დიდმა სიყვარულმა ჩამომიყვანა შენთან. ასე არ არის მიღებული, — ქალი არ მიდის ვაჟის სანახავად, მაგრამ გულს წესი და ჩვევა არ ცოდნია.

კინოთეატრის წინ შედგნენ.

— არ მინდა კინოში, — შედგა ცია. — მარტო მინდა ვიყოთ, — მკლავში ხელი გაუყარა. — ჩვენ ჩვენი სიყვარული გვეყოფა. სხვაგან წავიდეთ.

— ზღვაზე წავიდეთ, — უთხრა უჩამ.

— ზღვაზე რა გვინდა?

— ჩვენს ზღვაზე. დაგავიწყდა „ჩვენი ზღვა, ჩვენი მზე“?

— მაგას რა დამავიწყებს, უჩა. წავიდეთ, — უთხრა ციამ.

ცია პირველად იყო ფოთში. ეს იცოდა უჩამ. ჯერ ნავსადგური დაათვალიერებია. უჩვენა ჩვენი და უცხოეთის ხომალდები, მერე ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. მერე ეთნოგრაფიულ მუზეუმში წაიყვანა. იგი უჩასათვის ყველაზე უფრო საამაყო ადგილი იყო ფოთში. დარწმუნებული იყო, რომ მუზეუმი აღტაცებაში მოიყვანდა ციას, დაუდასტურებდა მის ნაამბობს, იქ, ლაკადაში, ციას ეზოს ჭიშკართან რომ მოუყვა მედეას, იაზონისა და ოქროს ვერძის ამბავი.

ცია სულგანაბული, გაფართოებული თვალებით ათვალიერებდა ყველაფერს. ძლივს გამოიყვანა უჩამ მუზეუმიდან და სადილის საჭმელად წოპე წოწორიას დუქანში წაიყვანა.

ციას არ უნდოდა დუქანში შესვლა. დუქანი არც რესტორანს ჰგავდა, არც სასადილოს და სასაუზმეს. ძველად გრძელი გზების პირას რომ იდგა მგზავრების შესასვენებლად და პურის საჭმელად, რაღაც ასეთ დუქანს ჰგავდა. აქ წოპე წოწორიას ყოველთვის ჰქონდა შემწვარი თევზი, კუჭმაჭი, ქინძმარში ჩადებული ღლავი, ნიგვზით შეკმაზული ლობიო, მოხარშული დედალი და შემწვარი ვარია, მწვადი და რა გინდა სული და გული.

უჩამ ძლივს დაარწმუნა ცია, წოპეს დუქანში ახალ სენაკიდან და ხობიდან ჩამოდიან პურის საჭმელად, ქალები და ქალიშვილებიც კი შედიან სადილისა და ვახშმის საჭმელადო...

მოსაღამოებული იყო, მალთაყვის პლაჟზე რომ გავიდნენ.

ცია გაოცებული შედგა.

ყველას, ქალსა და კაცს საბანაო კოსტუმი ეცვა. ნაირფერი, ძალიან მოკლე, ტანზე შემოსხეპილი.

კაცისა და ქალის ტანიც ნაირფერი იყო. ზოგს წაბლისფრად უბზინავდა, ზოგს ჩალისფრად და თეთრად. ყველა მზეს უშვერდა ტანს.

სოფელში მზეს ემალებიან. ჭილის ფართოფარფლიანი ქუდი ხურავთ. აქ კი ყველაფერს მზეს უჩვენებენ. ქალი და კაცი ისე ახლო წევს ერთმანეთთან, ტანით ეხებიან. ზოგ ქალს თავი კაცის მკლავზე უდევს, ზოგ კაცს — ქალისაზე.

— უი, არა რცხვენიათ?! — გაიოცა ციამ.

— რისი, ცია?!

— რავა გაშიშვლებულან და ერთმანეთს მიტყუპებიან.

უჩამ გაიცინა.

— ბარემ სულ გაეხადათ ტანზე.

უჩამ ისევ გაიცინა.

— რა გაცინებს?!

— პირველად მეც მეუცხოვა.

— მერე?

— მერე შევეჩვიე.

— შეეჩვიე?!

უჩამ თავი დაუქნია:

— ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, ცია.

— იქნებ შენც ასე გიდევს თავი ქალის მკლავზე.

— არა, მაგრამ ახლა დავდებ თავს ქალის მკლავზე.

— ვისაზე?!

— შენსაზე.

— ასე?!

— ასე.

— ამ ხალხში?! — შეშინდა ცია.

— ამ ხალხში.

— თავს მკლავზე დამადებ?! — არ დაიჯერა ციამ.

— სხვებს თუ უდევთ?

— სხვებს ალბათ, სირცხვილი არ აქვთ.

— ეს აქ სირცხვილად არ ითვლება, ცია.

— ცუდია, რომ სირცხვილად არ ითვლება.

— მოდი, ჩვენც ვიბანაოთ.

— ტანზე უნდა გავიხადო?!

— აკი ტანთ ვიხდით და ზღვაში შევდივართო! ასე არ მითხარი მაშინ შენს ჭიშკართან.

— არც ეს დაგავიწყდა?

— ან ამას რა დამავიწყებს.

— მაგრამ იქ მარტონი ვბანაობდით.

— აქაც მარტონი ვიბანავებთ.

— რანაირად?!

— აქ არავინ გვიცნობს. ამიტომ ვიქნებით მარტონი.

— მაინც მრცხვენია. წავიდეთ აქედან. იქნებ შენც ასე წევხარ და უყურებ მათ?

— მათ არა, შენ გიყურებ.

— მე რანაირად მიყურებ?!

— მეჩვენება, რომ ჩემს გვერდით წევხარ.

— როგორც აი, იმათ, ჩემს მკლავზე გიდევს თავი?!

— შენს მკლავზე მიდევს თავი.

— გადაირიე?!

— შენთან გადარეული ვარ.

ციას თვალები ვერ ფარავდა სითბოსა და სიყვარულს.

— წავიდეთ აქედან, — უთხრა შეცვლილი ხმით.

— არ ვიბანაოთ?!

ციას გულით უნდოდა ბანაობა. ცდილობდა დაეძლია სირცხვილი და ვერ ახერხებდა. — „ნეტა კიდევ მითხრას ვიბანაოთო... ნეტა დამაძალოს... კიდევ ერთხელ მითხრას“. — უჩა აღარ აძალებდა. გაწბილებული იდგა. ის იყო უნდა ეთქვა, რას ვუდგავართ აქ, ჩვენს მეტი არავინაა ჩაცმული, რომ ცია ფიქრს მიუხვდა.

— იქნებ წყალი ცივია, — უთხრა სწრაფად.

— წყალი თბილია.

— მართლა, უჩა?! — გაეხარდა ციას.

— მართლა.

ციამ ფეხსაცმელები წაიგდო, გაირბინა სილაზე გაფენილ ქალებსა და კაცებს შორის, წვივებამდე შევიდა წყალში.

— მართლა თბილია წყალი.

უჩა აღარ ეუბნებოდა ვიბანაოთო.

ცია შეშინდა.

— შემოდი, უჩა, რას უყურებ?!

— ფეხის დასასველებლად?!

ამ დროს ხელიხელ ჩაკიდებულმა გოგომ და ბიჭმა სიცილ-კისკისით ჩაირბინეს ციას წინ და იქვე ნაპირთან ტყაპანი გაადინეს. აშხეფდა წყალი, შეესხა ციას.

— რას შვრებით?! — შეკივლა ციამ.

ქალებმა სიცილი დააყარეს:

— ხი, გაიწუწა დედოფალი.

— გაცივდება.

— ხახა.

— რა ნაზია, გოგო.

— ტანზე არ იხდის.

— რა ქნას, იქნებ...

— სუ, იზოლდა, არ თქვა.

— ბიჭს შეხედეთ, არც ის იხდის.
— იქნებ იმასაც...
— არ თქვა-მეთქი, იზოლდა.
— სოფლელებია ალბათ. ცურვა არ ეცოდინებათ.
— ხახა. ზღვას ვერ მიუტანდნენ, სუსანა, სოფელში...
— რა მწარე ენა გაქვს, ლიანა.
— ნეტა რატომ ჩამოდიან ზღვაზე ასეთები!.. ხიხი. ჰო, სოფლელები იქნებიან, — ხიხი, — ხითხითებდა თმაშეღებილი იზოლდა.
ციას სილის გაწვნასავით მოხვდა იზოლდას სიტყვები.
— იქნებ ქვეშ არაფერი აცვია, დინარა.
— ფხუუ.
— ნამდვილად უკურთოა.
— ასე იქნება.
— ნუ მომკალი სიცილით, იზოლდა.
ციამ ენა გამოუყო იზოლდას.
ქალები და გოგოები უფრო ატკრციალდნენ, აფხუკუნდნენ, ახითხითდნენ.
უჩას ცეცხლი შემოენთო.
— უსირცხვილოები! — შესძახა ქალებს ციამ. — ყველაფერი გამოგიფენიათ.
— უი, თავი მომიკვდეს. გაიგონეთ, რა თქვა გოგო? — მუცელზე ხელები მოიკიდა თმაშეღებილმა. — უყურეთ ერთი ამ გომბიოს, რა გვაკადრა!
ცია უცებ კაბის კალთას დაწვდა და პერანგიანად წაიძრო, უჩასაკენ მოისროლა.
უჩამ ჰაერში დაიჭირა კაბა და პერანგი.
პლაჟზე ქალებს გაოცებისაგან თვალები გაუდიდდათ.
— ბიჩა, ვინ იფიქრებდა ასეთი ტანი თუ ჰქონდა, — წამოიძახა სუსანამ.
— თითქოს ყალმით დაუხატიათო, — თქვა თმაშეღებილმა იზოლდამ.
— კოლმეურნე უთხარი ახლა შენ მაგას! — გაოცდა ლიანა.
ცია იდგა ტანაშოლტილი... მრგვალი თეძოები, ბრტყელი მუცელი... ვიწრო წელზე ორივე ხელი მოხდენილად ედო. მარჯვენა ფეხი ოდნავ წინ ჰქონდა წადგმული. ეს უფრო ულამაზებდა ზომიერად სავსე ბარძაყებს და ჩამოქნილ წვივებს. ასე იდგა ერთი წამით ქალებისა და კაცების მოწონებით გამაყებული, თავის სილამაზეში თავდაჯერებული. გამომწვევად შეჰყურებდა ქალებსა და გოგოებს, წეღან ასე რომ კილავდნენ და ახლა თვალს ვერ აშორებდნენ.
უჩას სუნთქვა შეეკრა. რა ექნა არ იცოდა, ცალკე ციას ტანის სილამაზით თავგზააბნეულს, ცალკე ქალების აღტაცებითა და მოწონებით გახარებულს.
ციამ დაინახა ეს. თავი აიქნია და თმა უკან გადაიყარა.
— შემოდი, უჩა. რას უდგახარ? — დაუძახა უჩას.
უჩამ წამში გაიხადა ტანზე და ციასაკენ გაიქცა.
— შენი ჭირიმე, ცია, — უთხრა ჩურჩულით.
— რა იყო, უჩა, პირველად მხედავ? — ჩურჩულითვე უთხრა ციამ. გაუცინა. — შეხედე, რამდენი ჰყრია ჩემსთანა!.
— შენისთანა ლამაზი აქ არც ერთი არ არის, ცია!
— ჩუმად. გაიგონებენ.
— გაიგონონ, — უთხრა უჩამ და გაიმეორა: — შენისთანა ლამაზი აქ არც ერთი არ არის, შენისთანა გოგოს პირველად ვხედავ. რა ტანი გქონია, ცია!
— წვდა ხელში და გაიტაცა.
გაცურეს მკლავურით. ერთდროულად, ლამაზად. წვეთი წყალი არ მოჰყვებოდა მკლავებს, თითქოს ტანი გაქონილი ჰქონდათ და წყალი ფეხს ვერ იკიდებდა.
ზღვა წყნარი იყო, ლურჯი, კამკამა. ჩამავალი მზის ოქროსფერი ეფინა.
— აი, შენი მზის ზღვა, ცია, — უთხრა უჩამ მღელვარება რომ დაიოკა, მაგრამ სულ მთლად მაინც ვერ დამშვიდდა, კვლავ თვალწინ ედგა წელზე ხელებშემოწყობილი, თავისი სილამაზით გამაყებული ცია.
— ჩემი კი არა, ჩვენი ზღვა, უჩა!
— ჩვენი ზღვა, — გაიმეორა უჩამ.

— დიდხანს ვიცუროთ, უჩა!

— მზის ჩასვლამდე.

— მზე მალე ჩავა, — გაიცინა ციამ. — შეხედე, მზე ზღვას კოცნის, — ციამ ცისა და ზღვის დასალიერისაკენ გაიშვირა ხელი.

— ნუ გეშინია, ცია. მივუსწრებთ მზეს. მალე არ ჩავუშვებთ, — გაუცინა უჩამ.

— ვერ მივუსწრებთ, — გაუცინა ციამაც. — ზღვაში ჩაგვასწრებს.

მზე სწრაფად, ძალიან სწრაფად ეშვებოდა ზღვაში.

— მზის ჩასვლის შემდეგაც არ ამოვიდეთ ზღვიდან, — უთხრა უჩამ ციას.

მიცურავდნენ მზისაკენ. მიცურავდნენ მხარდამხარ, ისე ახლო, მხრით ეხებოდნენ ერთმანეთს. ზღვა მოოქროვილი იყო, მათი სახე, მხრები, მკლავებიც მოოქროვილი იყო.

— მზის ზარნიში ადევს ზღვას, — უთხრა ციამ.

— ისე ბრწყინავს და ვარვარებს, თითქოს მზის ზღვააო.

ზღვიდან მზის ნახევარი დისკო მოჩანდა. ზღვა და ცისკიდური ერთნაირად ენთო.

— ადამიანიც ტოვებსო თავის ზარნიშს, მითხარი მაშინ, უჩა. გახსოვს?

— მახსოვს, ცია, — სევდიანად მიუგო უჩამ.

— რა იყო, უჩა?!

— აღარ არის ის ადამიანი, ცია.

— როგორ?!

— აღარ არის ანდრო განგია.

— რატომ?!

— აღარ არის ანდრო განგია, მაგრამ მისი საქმე დარჩა ზარნიშად.

ცია ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა — „მისი საქმე დარჩა ზარნიშად“, ვერც იმას მიხვდა, რას ნიშნავდა, „აღარ არის განგია“. არ უნდოდა ახლა ამაზე ფიქრი. გატაცებული იყო, მოცული იყო უჩასთან შეხვედრის სიხარულით, ზღვით, პლაჟზე გაფენილი ხალხით, ჩამავალი მზის სილამაზით. მარტო იყო უჩასთან. შორს თავისი სახლიდან. უჩა იყო მისი პატრონი, მფარველი. სწრაფად უსვამდა მკლავებს. მზისაკენ მიისწრაფოდნენ.

მზის თავილა ჩანდა ზღვიდან.

— ვერა, ვერ მივუსწრებთ, — გაიცინა ციამ, ვერ დავიჭერთ მზეს.

— მე ჩემი მზე დაჭერილი მყავს, — უთხრა უჩამ.

მზის ვიწრო, ნამგალა თავიც ჩავიდა ზღვაში. მისი სხივები მაინც ანათებდა წყლით აკრიალებულ ციასა და უჩას სახეს, თმას, თვალებს.

— შენი მზე? — ჰკითხა უჩას. იცოდა, ვინ იყო მისი მზე და მაინც ჰკითხა, რომ კიდევ ერთხელ ეთქვა უჩას, ვინ იყო მისი მზე.

— ჰო, ჩემი მზე, — შეხედა ციას: — ცია, მოდი დარჩი აქ. შინ ნუღარ წახვალ.

— სად აქ?!

— ჩემთან.

— შენთან არა ვარ?!

— სულ დარჩი ჩემთან.

— უჩა! — ცია არ ელოდა, რომ უჩა ამას ეტყოდა. — დედასა და ბაბას რა შევუთვალო?!

— გავთხოვდი-თქო. დანიშნულები ხომ ვართ.

— პირდაპირ ასე შევუთვალო?! — სიხარულს ვერ ფარავდა ცია. — გული გაუსკდებათ.

— ამით ჯერ არც ერთ მშობელს არ გასკდომია გული.

— რა გავაკეთო აქ, მშენებლობაზე?!

— მშენებლობაზე არაფერი.

— აბა?

— ჩვენს სუბტროპიკულ საცდელ სადგურში იმუშავებ. თან ისწავლი.

— უსწავლელი არ გინდა, შენი მზე?

— სწავლას რა ჯობია, ცია!

— სწავლას არაფერი არ ჯობია.

— სწავლა სიბერემდეო. მეც ვაპირებ დაუსწრებელზე სწავლას.

— ერთად ვისწავლოთ, უჩა.

— ერთად.

— ბიძია ესტატემ რომ არ დამტოვოს აქ? ალბათ, თავქუდმოგლეჯილი დამეძებს.

— ნუ ეტყვი თავმჯდომარეს, რომ აქ რჩები.

ციამ ვერ გაუძლო სანატრელ ცდუნებას. ამ აზრით აფორიაქებულები შებრუნდნენ და ნაპირისაკენ გასცურეს. ცია მოულოდნელი წინადადებით დაფიქრებული, უჩა ციას პასუხის მოლოდინით სულგანაბული.

მათ გარშემო წყლიდან უამრავი თევზები ხტებოდნენ, ელავდნენ, ბრწყინავდნენ მზის სხივებზე და აკრიალებულ ზღვაზე.

— რამდენი თევზია, — თქვა ციამ, რომ წამით გამოთიშოდა მღელვარე ფიქრს.

— ზღვაში თევზი ბევრია, ცია.

— ზღვა სავსე ყოფილა თევზით.

ნაპირს უახლოვდებოდნენ.

— არ ვკითხავ, არ ვეტყვი თავმჯდომარეს, — ჩუმად უთხრა ციამ. — გავეპარო?

— გაეპარე.

— როგორ გავეპარო?!

— ეგ მე ვიცი.

— სირცხვილია გაპარვა, უჩა!

ციას უნდოდა უჩასგან მოესმინა, ასეთი გაპარვა არ არის სირცხვილიო.

— შენ აქაც ესტატეს კოლმეურნეობისათვის იმუშავებ.

— ესტატეს კოლმეურნეობისათვის?! ეს როგორ, უჩა?!

— ნერგებისათვის არ ჩამოვიდა ესტატე?

— ნერგებისათვის ჩამოვიდა.

— სათბურებში იმუშავებ. იქ გამოჰყავთ ნერგები.

— ვიცი.

— ბევრი ნერგი უნდა ჩვენს ქვეყანას, — უთხრა უჩამ და მთელი გულით გაუღიმა.

ცია მიუხვდა აზრს. იმანაც გაუღიმა.

— ნერგები ჩვენ უნდა მივცეთ ქვეყანას, — თქვა ციამ და თვალები დახუჭა — ბევრი ნერგი.

— ჰო, ბევრი ნერგი, ცია.

— აქ სად ვიცხოვრო, უჩა? — თვალი გაახილა.

— ჯერ საცდელი სადგურის საერთო საცხოვრებელში. მერე ყურათის მასივს რომ დავაშრობთ, იქ სახლს დავიდგამთ.

— ჩვენს სახლს?

— ჩვენს სახლს. ჩვენი ეზო გვექნება.

— საცდელ სადგურში რომ არ მიმიღონ.

— შენისთანა მეციტრუსეს ვინ არ მიიღებს. აქეთ შეგეხვეწებიან.

— იქ რა იციან, მე რანაირი მეციტრუსე ვარ?!

— იციან. საცდელი სადგურის დირექტორი კარგი კაცია. შენ გიცნობს.

— საიდან მიცნობს?!

— შორიდან გიცნობს.

— როგორ მიცნობს შორიდან.

უჩამ ამაზე არ უპასუხა.

— გახსოვს, რომ შემპირდი, ცია?

— რას შეგპირდი, უჩა?

— ისეთ პლანტაციას გავაშენებ იმ დამშრალ მიწაზე, ოქროდ იქცეს მიწაო.

ნაპირს უახლოვდებოდნენ.

ნაპირიდან ხელს უქნევდნენ ის ქალები, ეშინოდათ, ასე შორს წასულები ვეღარ დაბრუნდებიანო.

— გული გაგვიხეთქეთ.

— არ გვეგონა, თუ გამოაღწევდით.

— დელფინივით ცურავთ.

— ალბათ, ზღვაზე ხართ გაზრდილები, — მიაძახეს ერთხმად ნაპირზე რომ გავიდნენ.

ციას მკერდი და მუცელი სწრაფად აუდ-ჩაუდიოდა.

— რატომ წადით ასე შორს?! — ჰკითხა უჩას თმაშეღებილმა ქალმა.

— მზის დაჭერა მინდოდა, — უთხრა უჩამ.

— მზის დაჭერა?! — გაოცდა იზოლდა.

— მზის, — უპასუხა უჩამ.

— დაიჭირე მზე?

— დავიჭირე. აი, ჩემი მზე.

ციას ისევ მოხდენილად ედო წელზე ხელები.

მზე მაშინვე შესცვალა მთვარემ. მზესავით სავსემ, კაშკაშამ.

ზღვის ნაპირი და ზღვა დღესავით იყო განათებული.

ფეხშიშვლები სილაზე მიაბიჯებდნენ. ფეხსაცმელები და წინდები ხელში ეჭირათ. დროდადრო სილასა და მათ ფეხებს ნელა ლოკავდა თეთრქაფმოდებული მშვიდი ტალღა — ზღვის თეთრი ქოჩორი.

ქაფი წვრილ ბუშტებად კრიალებდა. ბუშტები რიგრიგობით სკდებოდა, ქრებოდა და ვიდრე ზღვაში ჩაბრუნდებოდა, სილაში იპარებოდა.

თავისუფალი ხელით ერთმანეთს ჩაჭიდებულნი ვერაფერს ამჩნევდნენ, ვერაფერს ხედავდნენ. არ ესმოდათ ზღვის ჩუმი ხვნეშა, არ გრძნობდნენ, როგორ აცდნენ სილას და იმ თეთრ ქოჩორზე მიაბიჯებდნენ. არ გრძნობდნენ იმიტომ, რომ არასოდეს ყოფილან ასე ახლოს ბედნიერებასთან.

არც იმას გრძნობდნენ, რომ სველ ტანზე გადაცმული ტანსაცმელი ზედ ეკრათ.

ცირა, ცირა, ნანაია, ცირა ქოგალე,
სი ვარდს უჯგუქ, ცირა ქოგალე,
თიშენ გოცქვანქ, ვარდი რექ,
ცირა ქოგალე,
ცირა, ცირა, ნანაია, ცირა
ქოგალე...

მღეროდა უჩა.

ცირა ვერ ართმევდა თავს ყველაფერ იმას, რაც დღეს ნახა, გაიგონა, განიცადა. ყველაფერი ეს ერთბაშად, მოულოდნელი იყო: უჩასთან შეხვედრის სიხარული, ზღვა, პლაჟზე გაფენილი ხალხი, ქალების დაცინვა და მერე ალტაცება, უჩას წინადადება, ეს სიმღერა.

მის ცხოვრებაში ერთ დღეში ამდენი რამ არასოდეს არ მომხდარა. თითქოს დღეს მეორედ დაიბადა და ისევ იმ პირველი გაოცებით აღიქვამდა ყველაფერს. რამდენი ხანი უცდიდა ამ დღეს. რა ლამაზად მოვიდა იგი. გვერდით მიჰყვებოდა უჩა, ხელჩაჭიდებული, მხრით ეხებოდა, სულით ეხებოდა, მას უმღეროდა, მას შეჰხაროდა, საცდელ სადგურში მიჰყავდა დირექტორთან.

— მე მიმღერი, უჩა?

— შენ გიმღერი, ცია.

— თუ ცირას უმღერი?

— შენა ხარ ჩემი ცირა, ჩემი ვარდი.

ცია, ცია, ნანაია, ცია ქოგალე...

ისევ ამღერდა უჩა, მაგრამ ციამ შეაწყვეტია:

— მეშინია, დირექტორმა რომ არ მიმიღოს. მაშინ რა ვქნა, უჩა? მაშინ ვერ დავრჩები შენთან. შინ არ მინდა. შენთან მინდა.

— ჩემთან დარჩები, — უთხრა უჩამ. — რომ გაიგებს რატომ რჩები, უსათუოდ მიგიღებს.

— რას ეტყვი, რატომ რჩებაო?

— ვეტყვი, რომ ნერგების მოშენება გვინდა.

— პირდაპირ ასე ეტყვი?!

— აბა, რა! პირდაპირ ასე ვეტყვი.

— ეს რა სათქმელია, უჩა?!

გაუცინეს ერთმანეთს. შედგნენ თეთრი ქაფის არშიაზე. ერთმანეთისაკენ მიბრუნდნენ და უცებ შიში ჩაუდგათ თვალებში, გულმა გაჩქარებით დაუწყოთ ცემა. მეორე ხელიც ჩასჭიდეს ერთმანეთს. უფრო შეეშინდათ. ფეხსაცმელები და წინდები თეთრი ქაფის არშიაზე დაუვარდათ.

— უჩა... — დაილაპარაკა შეცვლილი ხმით ციამ და ხელები ხელებზე მოუჭირა. — დაგვინახავენ, უჩა.

თეთრი არშია ნელა შამუნებდა სილაზე, ნელა არწევდა ფეხსაცმელებსა და წინდებს.

— რა გინდა, უჩა.

ტანი დაუმძიმდათ. დაეშვნენ თეთრ არშიაზე. არ ხედავდნენ, როგორ წაიღო წყალმა ფეხსაცმელები და წინდები. უჩამ მკლავები მოხვია მხრებზე, მიიკრა მკერდზე.

ცია ვერხვის ფოთოლივით თრთოდა ღონიერ მკლავებში.

— უჩა...

უჩა ტუჩებზე დაეწაფა.

ციამ ხელი ჰკრა... მოიგლიჯა. მაშინვე ინანა , მაგრამ მაინც წამოხტა. გაიქრა თეთრ არშიაზე. გამოუდგა უჩა.

სწრაფად გარბოდა ცია თითქოს

ფეხს არ აკარებდა მიწას, ელავდა მთვარის შუქზე მისი მაღალი კანჭები.

მისდევდა უჩა.

— ცია, ცია!

მაღალი ნახტომებით გარბოდა ცია. ელავდა მთავარის შუქზე მისი ლამაზი მუხლები.

არ გახსენებიათ ფეხსაცმელები და წინდები. არ გრძნობდნენ სველები რომ იყვნენ, ფეხშიშველები რომ იყვნენ. არ უყურებდნენ გზას, გარბოდნენ, ფეხებიდან ატყორცნილი წყალი სახეზე ეცემოდათ, ტანზე ეცემოდათ, სველდებოდნენ, იწუწებოდნენ. მირბოდნენ საცდელი სადგურისაკენ. უნდოდათ მიესწროთ გვანჯი ბუკიასათვის.

— ცია. ცია! დამიცადე ცია!

ცია ყურს არ უგდებდა. სულ უფრო სწრაფად გარბოდა, შეშინებული პირველი კოცნით.

უჩამ იცოდა, გვანჯი ბუკია გვიანობამდე რჩებოდა საცდელი სადგურის ლაბორატორიაში, მაგრამ შიშობდა, იქნებ დღეს ადრე წავიდესო.

ცია შედგა. აღარ იცოდა საით უნდა წასულიყო.

მიირბინა უჩამ.

— ვერ მივუსწრებთ, წავიდოდა დირექტორი... შენი ბრალია, უჩა.

— ჩემი ბრალია.

— რა დროს კოცნა იყო, — ვერ ეპატიებია თავის თავისათვის, რომ არ აცალა კოცნა.

— არ მინდოდა, ცია, მაგრამ თავი ვერ შევიკავე.

— არ გინდოდა?! — წარბები შეჭყარა ციამ, ვითომ გაუჯავრდაო.

— შენ არ გინდოდა.

— ვინ გითხრა, მე რომ არ მინდოდა? — გაიცინა ციამ მხიარულად, ხმამაღლა. ძლივს სუნთქავდა სირბილით გულამომჯდარი და მაინც იცინოდა გადამდებად, ლაღად.

გაეცინა უჩასაც. ხმამაღლა, მხიარულად.

— აბა რად გამექეცი? — ჰკითხა უჩამ.

— შენ რად არ დამეწიე? — უსაყვედურა ციამ.

— ისე გარბოდი, ქარი ვერ დაგეწეოდა.

— შენ უნდა დამწეოდი.

გაიქცნენ ისევ. გარბოდნენ ტალახში, გუბეში. ფეხქვეშ მიწას არ გრძნობდნენ. გული ამოვარდნაზე ჰქონდათ. მუხლები ეკვეთებოდათ. საცდელ სადგურს რომ მიუხლოვდნენ, ნაბიჯი შეანელეს.

— არ წასულა გვანჯი ბუკია. — უთხრა უჩამ. შვებით ამოისუნთქა. — აი ის განათებული ფანჯრები მისი ლაბორატორიისაა.

საცდელი სადგურის რკინის ჭიშკართან ესტატე ფარცვანიას სატვირთო მანქანა იდგა.

— დავიღუპე, ჩვენი მანქანაა, — წამოიძახა ციამ, — ბიძია ესტატე ალბათ, მე მეძებს. დირექტორთან იქნება. მე არ შევალ.

თავმჯდომარე მანქანაში იჯდა, კარის მხარეს გადაწოლილი. ისე მაგრად ხვრინავდა, ციამ და უჩამ გაიგონეს მისი ხმა.

ესტატე ფარცვანია რაიონში ერთ-ერთი მოწინავე თავმჯდომარე იყო. კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან თავს დასტრიალებდა „ოდიშის მზეს“. უსაქმოდ გაჩერებულს ვერ ნახავდი, მაგრამ დღენიადაგ გამოუძინებელი, იხელთებდა თუ არა თავისუფალ დროს და სულის მოსაბრუნებლად დაჯდებოდა, სადაც უნდა ყოფილიყო, ხვრინვას ამოუშვებდა და მერე ყურისძირში თოფი რომ დაგეცალა, არ გაეღვიძებოდა.

— რა კარგია, — გაეხარდა ციას თავმჯდომარის ხვრინვა რომ გაიგონა. მანქანისაკენ გაიქცა. — ჭიჭიკოსაც სძინავს . — მოაძახა უჩას. — ორივეს სძინავს, — მარცხნიდან მოუარა მანქანას.

შოფერი ისეთი მაღალი იყო. ისეთი გამხდარი, აწოწილი, საჭეს ოთხად მოკეცილი უჯდებოდა. ახლა ჭიჭიკოც კარის მხარეს იყო გადაწოლილი. თავი

კარსა და კაბინის სახურავის კუთხეში ჰქონდა მიბჯენილი.

ცია მივიდა, ტუჩზე ფრთხილად დაადო თითი.

— ჭიჭიკო.

შოფერმა მაშინვე გაიღვიძა. წინ წაიწია, კუთხიდან რომ თავი გამოეტანა და სარკმლიდან გაეყო. ციას ხმა კი იცნო, მაგრამ თვალი მაინც მოიფშვნიტა, ციას შეხედა. უნდოდა გაჯავრებით შეეხედა, ვერ შეძლო, კმაყოფილებით გაებადრა ცხენივით წაგრძელებული სახე.

— მადლობა ღმერთს, ქალბატონო,— მაინც გამომწვევად უთხრა ციას.

— რა იყო, ჭიჭი?! — მოფერებით ჰკითხა ციამ.

რა იყოო, უნდა დაეყვირა ჭიჭიკოს, მაგრამ ციამ ისევ დაადო ტუჩზე თითი.

უჩა ციას უკან იდგა. მის დანახვაზე ჭიჭიკომ ვეღარ მოითმინა და ხელი აუკრა ციას.

— აი, თურმე ვისთანა ბრძანდებოდი მთელი დღე! — არ დაუყვირია, კბილებში გამოსცრა. — ჩვენ აქ ქვეყანა შევძარით. მშენებლობა არ დაგვიტოვებია და ქალაქი. რა არ ვიფიქრეთ. ტყირპი გაგვძვრა შენს ძებნაში.

— სუ, ჭიჭი, უფრო ჩუმად, ჭიჭი! — შეეხვეწა ცია.

— ნუ მაჩუმებ, თორემ დავიყვირებ, — შეუღრინა ჭიჭიკომ.

— არა. ვიცი, არ დაიყვირებ, ჭიჭი. ჩემო ოქრო ჭიჭი. ხომ ხარ ჩემი ოქრო?

— შენი „ოქრო“ უკან გიდგას, — თვალი გადაუბრიალა უჩას. — იცოდე დავიყვირებ.

ციამ იცოდა, ჭიჭიკო არ დაიყვირებდა. ლოყაზე ხელი მოუსვა.

— ჭიჭი! შენ კეთილი გული გაქვს, ჩემო ჭიჭი.

— არა ვარ შენი ჭიჭი, მორჩა, გათავდა, ჭიჭიკო მქვია.

— არა. ჩემთვის მუდამ ჭიჭი იქნები. კეთილი გულის, ჭიჭი, — მეორე ლოყაზეც მოუსვა ხელი.

ჭიჭიკო მთლად დაიბნიდა. მაინც მკვახედ მიუგო:

— ნუ მეფერები. მაგით ვერ მოიგებ ჩემს გულს.

— მე აქ ვრჩები, ჭიჭი.

— რაო?!

— აქ ვრჩები-მეთქი.

— ამ „ოქროსთან“? მუქარით ჰკითხა ჭიჭიკომ. ისევ გადაუბრიალა თვალი უჩას.

— ამ ოქროსთან, ჭიჭი.

— ახლა კი ნამდვილად ვერაფერი დამაკავებს. დავიყვირებ, — დაყვირება უნდოდა და ვერ იმეტებდა ციას. კარი გააღო, მანქანიდან გადმოიწელა. გაიმართა, თავით კაბინის სახურავს აცდა.

უჩამ თვალები დაახამხამა — რანაირად შეეტია კაბინაში ეს ჭოკის სიმაღლე კაციო.

სიმაღლესთან ერთად ჭიჭიკო გამხდარიც იყო, მაგარამ ისეთი ღონიერი, საბურავის გამოსაცვლელად ხელით ასწევდა ხოლმე მანქანას და ისე შეუდგამდა საჭირო სიმაღლეზე დაყენებულ დომკრატს.

უჩას გარშემო შემოუარა. ახედ-დახედა, მარჯვენა ხელი დაემუშტა.

— ეს ჭყინტი ბოშია ოქრო? — მუშტი ასწია.

— ჭიჭი, არ გაბედო. — მივარდა ცია მუშტი ძირს დააწევია. — ჩემი საქმროა.

— საქმრო?! — სახე გაუნათლდა ჭიჭიკოს. თითი თვითონ მიადო ტუჩზე ციას: — ჩუმად! ესტატე არ გაალვიძო, — ის ხელი მერე უჩას გაუწოდა. ჩამოართვა. ისე მაგრა მოუჭირა, უჩას ხელის ძვლებმა ჭახანი გაიღო: — ზდრასტი. ჭიჭიკო ჭითანა მოგესალმება. მალადეც. თვალი დაგივსია ჩვენი სოფლის ბიჭებისათვის. შენი სახელი?

— უჩა.

— გვარი?

— შამუგია.

— კიდევ მალადეც. კარგი სახელი გრქმევია. კარგი გვარიშვილი ყოფილხარ.

— დირექტორთან მივდივარ, ჭიჭი,

— უთხრა ჭიჭიკოს მოწონებით გახარებულმა ციამ.

— დირექტორთან რა გინდათ, „მმაჩში“ წავიდეთ, — ჭიჭიკო ვერ ამჩნევდა ფეხშიშვლები, გაწუწულები რომ იყვნენ. — მე ვიქნები ხელის მომკიდე.

— ჯერ არა, ჭიჭი...

— რას ჰქვია, ჯერ არა?! ჲკი ვრჩებით ამ ოქროსთან, — შეხედა უჩას, თავით ფეხამდე შეათვალიერა. — მართლა ოქრო ბიჭია. მაგრამ ფეხშიშველი რატომაა? სველი რატომაა?! ჭაში ხომ არ ჩავარდი, ბიჭო?!

— არა, ჭიჭი. შემომხედე, მეც ფეხშიშველი ვარ, მეც სველი ვარ. ჭაში არ ჩავარდნილვართ. ახლა ამის გამოკითხვის დრო არ არის. ვრჩები, მაგრამ ჯერჯერობით ცალ-ცალკე ვიცხოვრებთ.

ცალ-ცალკე რანაირი დარჩენაა, ან რა ცხოვრებაა? — არ დაიჯერა ჭიჭიკომ. — აბმან.

— არა, ჭიჭიკო. აბმანი არ არის. ჯერ არ ვთხოვდები. აქ უნდა ვიმუშაო.

მათ ლაპარაკს თავმჯდომარის გაბმული ხვრინვა არღვევდა, ხან ჭექისებური, ხან მფშტვინავი, ხან ტკაცუნა.

— აქ უნდა იმუშაო?! — ცხენის სახე კიდევ უფრო დაუგრძელდა ჭიჭიკოს. — ნიზაჩტო, — დაიყვირა და შეშინებულმა, თავმჯდომარე არ გავაღვიძოვო, თვითონ დაიდო ტუჩზე ხელი, მაგრამ უმალვე მოიშორა: — იცოდე, ახლა კი ვერაფერი დამაკავებს — დავიყვირებ. გავაღვიძებ ესტატეს. რას ჰქვია აქ უნდა იმუშაო! შენს კოლმეურნეობას ღალატობ.?!, შენს სოფელს ღალატობ? შენს დედასა და ბაბას ღალატობ? ეტო ჟე იზმენა.

—ჰო, ჰო. აქ უნდა ვიმუშაო, ჭიჭი, — მოუთმენლად უთხრა ციამ. — იმიტომ რომ... — სულს ძლივს იბრუნებდა. იმიტომ რომ... განა სულ ერთი არ არის რატომ.

— არ არის სულ ერთი.

— იმიტომ რომ, უჩა აქ მუშაობს. ჩვენ ერთმანეთი დიდი ხანია გვიყვარს, ჭიჭი. მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია. უერთმანეთოდ ველარ გავძლებთ.

— აა! — გული აუჩუყდა ჭიჭიკოს.

— ჯვარის წერისას ხელის მომკიდე შენ იქნები, ჭიჭი.

— იასნო, მე ვიქნები, — უცებ მოლბა ჭიჭიკო. — როდის მოაწერთ ხელს?

— ყორათის ჭაობებს რომ დავაშრობთ.

— ეუიიი!

— ნუ გეშინია, ჭიჭი, მალე დავაშრობთ. დედაარხს რომ გავთხრით, სამოსახლო მიწას მოგვცემენ და დავსახლდებით... ესტატე ბიძიას თუ გაეღვიძა, არ გამოუშვა.

— წადით. ესტატეს ჯაჭვით დავაბამ.

ციამ უჩას ხელი ჩასტაცა. შეირბინეს ჭიშკარში, გაირბინეს ეზო, ჩაუარეს მთვარის შუქით განათებულ თეთრად მოქათქათე სათბურების გრძელ მწკრივს. შევიდნენ დერეფანში და ლაბორატორიის კარის წინ შედგნენ. აქ დაინახეს ფეხშიშვლები, სველები რომ იყვნენ. ის დაავიწყდათ, წელან რომ შენიშნა ეს ჭიჭიკომ. ახლა დაეცათ თავზარი, ახლა მოეგნენ გონს. ასეთები როგორ შევიდეთო დირექტორთან, თვალებით ჰკითხეს ერთმანეთს.

ამ დროს კარი გაიღო და ლაბარატორიიდან თვითონ გამოვიდა გვანჯი ბუკია. ხელში პორთფელი ეჭირა, დაღლილი იყო. დაკვირვებითა და განცვიფრებით დააცქერდა ორივეს.

— ჩვენა ვართ, ბატონო გვანჯი... მე და ცია.

—აა, ცია, ჰო. შენი ცია... რა დაგემართათ?! — ფეხზე დახედა, მერე ტანზე, სახეზე.

— არაფერი... დავსველდით... წვიმა...

— წვიმს?! — ფანჯარაში გაიხედა გვანჯიმ.

— არა... არა წვიმს... ჩვენ ზღვაში დავსველდით... ფეხსაცმელები და წინდები წყალმა წაიღო... ასე დავრჩით.

— არ გაცივდეთ.

— რა გაგვაციებს, ბატონო გვანჯი?! პირიქით, ისე გვცხელა.

— გცხელათ?! — არ მესმის.

— დიახ, ცოტა გვცხელა, — წაილუღლუღა ციამ, სირცხვილისაგან თავს მაღლა ვერ წევდა.

გვანჯიმ კარი გააღო.

— მობრძანდით.

— ასეთები?! — ჰკითხა ციამ.

— არა უშავს, ცია.

ცია ვერ ბედავდა ლაბორატორიაში შესვლას. გვანჯიმ ხელი მოკიდა და შეიყვანა. მაგიდას მიუჯდა, პორტფელი დადო. მაგიდის ლამფა აანთო და ციას შეხედა.

ცია შეშინებული და შეწუხებული უხერხულად იდგა მაგიდის წინ.

— გამარჯობათ, ცია. აი, თურმე როგორი ყოფილხართ!

— დიახ, ასეთი, სველი, ფეხშიშველი, გაწუწული, სასაცილო. უჩას ბრალია.

— ფეხშიშველი, სველი, გაწუწული, ოღონდ სასაცილო არა, ცია, — უთხრა გვანჯიმ. უცებ მოეწონა ცია, მოიხიბლა. თვალს ვერ აშორებდა.

— აბა, როგორი? — თავი ასწია ციამ და შეხედა გვანჯის.

— ისეთი, ვიდრე უჩა მიწაზე არ დასახლდება, რომ არ მიყვება.

— თქვენ საიდან იცით?! — გაოცდა ცია.

— მე ყველაფერი ვიცი.

— მივყვები უჩას... როგორ არ მივყვები. თქვენ არ იცით, მანამდე მივყვები, — უთხრა სწრაფად ციამ. — აქ ვრჩები, თუ სამსახურში მიმიღებთ. უჩასთან ვრჩები.

— დიახ, ჩემთან რჩება, თუ სამსახურში მიიღებთ, — უთხრა უჩამ ,— სანერგეში იმუშავებს. მეციტრუსეა.

— ვიცი. აკი მიამბე. მიღებით კი მივიღებ. მაგრამ სად იცხოვრებთ? ჩვენ მხოლოდ საერთო საცხოვრებელი გვაქვს, — უთხრა ციას გვანჯიმ.

— იქ ვიცხოვრებ... საერთო საცხოვრებელში. — ისევ სწრაფად თქვა ციამ იმის შიშით, არ გადაიფიქროს დირექტორმაო.

— საერთო საცხოვრებელში როგორ იცხოვრებთ ცოლ-ქმარი?! — ციას ასეთი სულსწრაფვით გამოწვეულ ღიმილს ვერ იკავებდა გვანჯი ბუკია.

— ჯერ ჩვენ ცოლ-ქმარი არა ვართ, ბატონო გვანჯი, — უთხრა უჩამ. — ცალ-ცალკე ვიცხოვრებთ. მე ყულეში, ცია აქ.

— ცალ-ცალკე?!

— ცალ-ცალკე. დედაარხს რომ გავიყვანთ, მერე ერთად.

— გიყვარდეთ ერთმანეთი და არხის გაყვანამდე გაძლებთ.

— გვიყვარს, ბატონო გვანჯი, — — წამოსცდა ციას და გაწითლდა. — გავძლებთ.

— კარგია სიყვარული, დიდებულია. სიყვარული ყველაფერს აატანინებს ადამიანს, — გვანჯიმ ბლოკნოტის ფურცელზე რაღაც დაწერა. ფურცელი ამოხია, ოთხად გაკეცა და უჩას გაუწოდა.

— ლონგინოზ ლომჯარიას მიუტანე, მეორე ბარაკში მისცემს ოთახს. აქვე იცხოვრებს, ჩვენს ეზოში.

„აქ ვიცხოვრებ“, — გაიმეორა ციამ გულში. ფეხებს ინაცვლებდა, ჩქარობდა, შიშობდა, ესტატეს არ გაღვიძებოდა, აქ არ შემოსულიყო. ერთი თვალი ფანჯრისაკენ ეჭირა, მეორე — კარისაკენ.

— აბა, ნახვამდის, მეგობრებო.

— გმადლობთ, ბატონო გვანჯი, — უთხრა ციამ და კარისაკენ გაემართა.

დერეფანში რომ გავიდნენ, ციამ უჩას წერილი ჩამოართვა. წინ გაუძღვა ჩქარი ნაბიჯით.

ესტატე ისევ ისე ხვრინავდა და ფშტვინავდა.

— რა ჰქენით? — მოეგება ჭიჭიკო ციასა და უჩას.

— ბინაც მომცეს და სამსახურშიაც მიმიღეს, — უთხრა ციამ. — ფანქარი გაქვს, ჭიჭი?

— მაქვს, — ჭიჭიკომ გულისჯიბიდან ფანქარი ამოიღო და მისცა.

ციამ გვანჯი ბუკიას წერილს სუფთა ნაწილი მოახია, მანქანის წინა ფრთაზე დადო და წვრილად დააწერა: „ბიძია ესტატე! მე გავთხოვდი. დედასა და ბაბას გადაეცი, იმ ბიჭზე გათხოვდა-

თქო. არ გეწყინოს, ბიჭის სახელსა და გვარს რომ არ გწერ, — დაფიქრდა და განაგრძო: — ძალიან ბედნიერი ვარ, ბიძია ესტატე. მიყვარს, მიყვარს, მიყვარს. შენი გადარეული, ცია". — ფანქარი ჭიჭიკოს დაუბრუნა. წერილიც მისცა: — ეს წერილი ხორგაში რომ შეხვალთ, მაშინ მიეცი ესტატე ბიძიას. აბა. ნულარ გაჩერდები. მანქანა რწევა-რწევით წაიყვანე. — მხარზე ხელი მოკიდა, ფეხის წვერებზე აიწია და ლოყაზე აკოცა. — ჭიჭი, რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ.

— გული ნუ ამიჩუყე, გოგო.

— არ იცი, რა არის სიყვარული, ჭიჭი.

— როგორ არ ვიცი. ნუ ამატირე, გოგო... ბიი, — კინაღამ აზლუქუნდა ჭიჭიკო, მანქანაში ავიდა, კარი ნელა მიიხურა — პირობა არ გამიტეხო, გოგო.

— შენზე უკეთესს ხელისმომკიდეს ვის ვიშოვი, ჭიჭი.

— ბიი...

— ხორაგამდე სულ რწევა-რწევით მიჰყავდა ჭიჭიკოს მანქანა. თავმჯდომარეს გვერდიც არ შეუცვლია. სიზმარში ციას ელაპარაკებოდა. უჯავრდებოდა, ემუქრებოდა ხვრინვასა და ფშტვენას მაშინ გააგრძელებდა, გაჯავრებასა და მუქარას რომ მოათავებდა.

— გაგიფრინდა, ესტატე ბიძია, შენი „გადარეული გოგო"... ულეტელა,—იღიმებოდა ჭიჭიკო, მაგრამ გულში მაინც წყინდა ციას გაფრენა.

ხორგაში რომ შევიდნენ, თენდებოდა. ახლა კი გაიღვიძებდა ესტატე. ამ დროს ყოველთვის ფეხზე იდგა. ჩიტთან ერთად იღვიძებდა. ეს იცოდა ციამ. ამიტომ უთხრა ჭიჭიკოს, ხორგაში რომ შეხვალ, წერილი მაშინ მიეციო თავმჯდომარეს. მართლაც ხორგაში შესვლა და ესტატეს გაღვიძება ერთი იყო. თვალები მოიფშვნიტა.

— სადა ვართ, ჭიჭიკო?!—გაუკვირდა საცდელ სადგურის ჭიშკართან რომ არ იდგა მანქანა.

— ხორგაში შევედით.

— რაო?!

— ხორგაში შევედით-მეთქი.

ესტატემ სარკმლიდან თავი გამოჰყო და ძარას ახედა.

— ცია სადაა?!

— ციი ნეტ, ესტატე ფილიპოვიჩ.

— რას ჰქვია „ციი ნეტ"?!

— ციი ნეტ იმასა ჰქვია რუსულად. რომ ცია არ არის. აი, მისი წერილი,— წერილი გაუწოდა.

— წერილი? რა წერილი?!—კინაღამ შეხტა ესტატე.—რა წერილი, რის წერილი. თუ ცია არაა, სად მოგყავდი?!. გააჩერე მანქანა!—იმხელა დაიგრგვინა, ჭიჭიკოს გაუკვირდა. რომ სახურავი არ აეხადა კაბინას.

მანქანა ერთბაშად დაამუხრუჭა. თავმჯდომარემ სარკმლიდან ისევ გამოჰყო თავი, ისევ ახედა ძარას. არ დაიჯერა იქ რომ არ იყო ცია. კარი გააღო, გადმოვიდა, ყოველმხრიდან შემოუარა ძარას, ფეხის წვერებზე შემდგარი იხედებოდა ძარაში. თვალს არ უჯერებდა. მერე სწრაფად ჩაჯდა მანქანაში, კარი ისე მოიჯახუნა, მთელი მანქანა შეანჯღრია: — მოაბრუნე მანქანა!—უბრძანა ჭიჭიკოს. ტახივით ქშიტინებდა. გულს ბაგაბუგი გაუდიოდა.

— რა აზრი აქვს. ბიძია ესტატე, მობრუნებას?! —მორიდებით უთხრა თავმჯდომარის ცოდვის შემყურე ჭიჭიკომ.— გაგიფრინდა შენი „გადარეული გოგო",—გადარეული გოგო ისეთი სითბოთი და სიყვარულით უთხრა, კვლავ აუჩვილდა გული.

— გამიფრინდა?!—ხმა წაუხდა თავმჯდომარეს, მოდუნდა, მოეშვა, დაიჩუტა რუმბივით სქელი კაცი.

— წაიკითხე წერილი, ესტატე ბიძია. მეც მინდა მოვისმინო,—უთხრა ჭიჭიკომ.

თავმჯდომარემ სათვალე გაიკეთა. ჯიბის ფარანი ამოიღო, წერილი გაშალა და ფარანი ზედ დაანათა.

— რაო?!. გავთხოვდიო?!.—ხმა წაუხდა. წერილი თვალთან მიუტანა ჭიჭიკოს, ფარანიც მიუნათა.—მართლა ასე წერია, ბიჭო?

— მართლა. ბიძია ესტატე. გათხოვილა.

— ვისზე, ბიჭო?! ვისზე გათხოვდა?

— წერილში ეწერება.

— დედასა და ბაბას უთხარი,—განაგრძო ესტატემ კითხვა,—იმ ბიჭზე გავთხოვდი-თქო, — ჭიჭიკოს შეხედა: — ვინაა „ის ბიჭი"?

— წაიკითხე, ესტატე ბიძია. ბარათში ეწერება.

ესტატემ ახლა თავის თვალთან მიიტანა ბარათი.

— არ გეწყინოს, ბიძია ესტატე, ბიჭის სახელსა და გვარს რომ არ გწერ.

— ზდოროვო, — წამოიძახა მოწონებით ჭიჭიკომ.—არ გეწყინოსო! ხიხი,— დაიხვიხვინა.—ყელი გამოგჭრა და არ გეწყინოსო. სახელსა და გვარს იმიტომ არ გწერს ალბათ, რომ არ მოძებნო. ზდოროვო.

— ამიტომაა ყოჩაღი, შე უსინდისო? ამიტომაა ზდოროვო?! კოლმეურნეობიდან გაგვექცა თითით საჩვენებელი გოგო. მიგვატოვა, გვიღალატა და შენ ყოჩაღიო ამბობ. ზდოროვოო ამბობ?!

— რა ვქნა, ბიძია ესტატე, ვამბობ. გოგო თავის ბედს ეწია და არ ვთქვა?!

თავმჯდომარემ ხელი ჩაიქნია. წერილი უფრო ახლო მიიტანა თვალთან:

— ბედნიერი ვარ, — განაგრძო კითხვა.

— ხომ გითხარი, თავის ბედს ეწიამეთქი!

— კი მითხარი, ბიჭო, მაგრამ შვილს რომ მერჩია ის გოგო, კოლმეურნეობის თვალი რომ იყო, ასე უცაბედად რომ წაგვივიდა ხელიდან, ეს მიკლავს გულს, თვარა ადრე თუ გვიან რომ ეწეოდა თავის ბედს, ეს მეც კარგად ვიცოდი,—ისევ განაგრძო კითხვა:—მიყვარს, მიყვარს, მიყვარს, — ხმა გაუსწორდა: — მთლად შეუშლია სიყვარულს ჩემი გადარეული გოგო.—თქვა სიხარულით:— ამდენი სიყვარული ვის გაუგია, ჭიჭი?!— ისევ წაიკითხა:—მიყვარს, მიყვარს, მიყვარს.

— ნათქვამია, სიყვარულმა ზომა არ იცისო, ბიძია ესტატე. ზდოროვო კი არა...—ვერ მოძებნა რუსულად უკეთესი სიტყვა.—ეხ, არა მაქვს რუსული ენის მარაგი. იცი, ბიძია ესტატე, რა სიტყვა მოუხდებოდა ასეთ სიყვარულს.

— რა სიტყვა, ბიჭო?—მოლბა თავმჯდომარე.—სიყვარულს სიტყვა რად უნდა შე ჭირიანო—შე ჭირიანოს მაშინ ეტყოდა ჭიჭიკოს, მისი მადლიერი რომ იყო.

— უნდა. როგორ არ უნდა! პოეტები ლექსებს არ წერენ სიყვარულზე? რა ჯობია სიყვარულს ქვეყანაზე. სიყვარულზე არ ვმღერით, სიყვარულით არ ვიწვით და არ ვიბუგებით.

თავმჯდომარე ყურს არ უგდებდა. წერილს კითხულობდა.

— შენი გადარეული გოგო, ცია ცანა,—დაამთავრა კითხვა და გაიცინა.

— ტყუილად კი არ ეძახდი გადარეულს,—უთხრა ჭიჭიკომ.—არა, ბიძია ესტატე, შენს ხელში არ იყო ცია გადარეული... სიყვარულმა გადარია. ახლაა გადარეული. სიყვარულს ცოდნია გადარევა, — ამოიოხრა მწარედ, გულსაკლავად: — მე ვერავინ გადავრიე. უბედური კაცი ვარ.

— რატომ, ბიჭო?!

— სხვა რომ გადამერია, მეც გადავირეოდი.

— მოვა დრო და შენც გადაირევი. მაგასაც მოვესწრები,—გაამხნევა თავმჯდომარემ.—ღმერთმა მიმრავლოს ციასთანა გადარეულები — თქვა და მერე მთელი თავისი მგრგვინავი ხმით დაიქუხა:—დავაი, ჭიჭი, ნა პოლნი ხოდ!

— ესტ, პრედსედატელ, ნა პოლნი ხოდ.

— მასე შე ჭირიანო. გული არ გაიტეხო. მეც ვიყავი ერთ დროს გადარეული. სიყვარული არავის ჩაუვლის გვერდით.

როგორც კი მანქანა თვალს მიეფარა, ციამ ფეხზე დაიხედა.

— როგორ ვეჩვენოთ იმ ლონგინოზ ლომჯარიას ასეთები? რას იფიქრებს, სასაცილოდ ჩაგვიგდებს.

— მართლა როგორ ვეჩვენოთ ასეთები, — შეცბუნდა უჩა.—ლონგინოზ ლო-

მჯარია ისეთი წესრიგის კაცია. ოთახშიაც არ შეგვიშვებს.

— რას ჰქვია არ შეგვიშვებს!—გაამხნევა ციამ.—აი, დირექტორის ბარათი,—კარიდან რომ არ შეგვიშვას, ფანჯრიდან შევალ. ოღონდ შენთან ახლოს ვიყო, უჩა.

— ახლოს არ იქნები. ცია. აქედან ყულევამდე დაახლოვებით ოცი კილომეტრია.

— მერე რა! ყოველ კვირა ვივლით ერთმანეთთან. საცდელი სადგური ალბათ კვირას არ მუშაობს.

— არ მუშაობს.

— მოდი, იმ ევკალიპტების ქვეშ მივდგეთ,—უთხრა ციამ.—კაბა და შარვალი გავწუროთ.

უჩამ ძიქვა გაიხადა, გაწურა, მაგრა დაიქნია, დაბერტყა, რომ ნაოჭები გასწორებულიყო, ჩაიცვა და ძირს დაჯიმა.

ცია კაბის კალთას წურავდა. ჭიმავდა. ისე სწრაფად აკეთებდა ამას, ახლავე რომ არ მისულიყო ლონგინოზ ლომჯარიასთან, თითქოს მერე აღარ მისცემდა ოთახს.

ერთმანეთს შეხედეს და გაიცინეს.

— ფეხზე რომ გვეცვას, ვერაფერს შეგვატყობდა, — თქვა ციამ, — წავიდეთ, — ხელი ჩაავლო უჩას და ბარაკისაკენ გაიქცნენ.

ბარაკი საცდელ სადგურთან ორ ნაბიჯზე იდგა ევკალიპტების ხეივანში. მავთულის ბადით შემოღობილი პატარა ეზო ვარდებითა და ყვავილებით იყო აჭრელებული. ვარდები ისეთი მკვეთრი ფერებით ლივლივებდა მთვარის ბასრ შუქზე, რომ ადვილად გამოირჩეოდა ერთმანეთისაგან. ჰაერი მათი სურნელით იყო გაბანგული. ეზოდან მოშორებითაც კი იგრძნობდი მათ ამბორს.

ბარაკის წინ ლონგინოზ ლომჯარიას ოთხცილინდრიანი მოტოციკლეტი იდგა.

— ლონგინოზის რაშია,—უთხრა უჩამ ციას.

ცია ისე იყო ალტაცებული ვარდ-ყვავილებით, არც შეხედა მოტოციკლს.

— გრძნობ, რა სურნელება დგას, უჩა?

— აქ ცხოვრებას არაფერი ჯობია. ისუნთქე ედემის ეს ვარდ-ყვავილები და იცხოვრე, როგორც ედემში. ჩვენ კი იქ ჭაობის შხამს ვსუნთქავთ,—უთხრა უჩამ, კმაყოფილმა იმით, რომ ციას ასე მოეწონა ეზო.

— მეცოდები, უჩა. შენ იქ ჭაობის მყრალი უნდა ისუნთქო, მე აქ ვარდ-ყვავილების სურნელი.

— მე შეჩვეული ვარ ჭაობის შხამის სუნს... იცი, ცია. ერთ კვირა დღეს მე ჩამოვალ შენთან, მეორე კვირა დღეს შენ ჩამოდი ჩემთან.

— კარგი, უჩა.

— კარგი, ცია.

— ისე გაივლის დრო, ვერც გავიგებთ.

— მაშინაც ასე ვთქვით, ჩემს ჭიშკართან, მაგრამ ერთი დღე ერთ წელიწადად მექცა.

— ისე ვთქვი თორემ, ერთი დღე ჩემთვისაც ერთი წელიწადი იქნება,— უთხრა უჩამ და მაშინვე დაუმატა!—ცია, მე ახალ ექსკავატორს მაძლევენ.

— მანქანას?—შედგა ცია კიბესთან.

— მანქანას? მისი ხორთუმი არხიდან ერთ ამოღებაზე ორას ბარ მიწას იღებს და დამბაზე ჰყრის.

— მანქანა კი არა, ვეშაპი ყოფილა ის შენი ექსკავატორი!—გაოცდა ცია.

— აქამდე ჩვენში საზღვარგარეთის ექსკავატორები მუშაობდა. ახლა ჩვენმა ქარხნებმა დაიწყეს გამოშვება. პირველ ექსკავატორს, რომელიც „კოლხიდმშენს“ გამოუგზავნეს, მე მაძლევენ.

— რითი დაიმსახურე ასეთი პატივისცემა?!—გაეხარდა ციას.

— არ ვიცი.

— აბა. ვინ იცის?!

— უფროსებმა იციან.

— მაინც რა გითხრეს უფროსებმა, რით დაიმსახურეო?

— ჯერ რა უნდა დამემსახურებია ისეთი! ინგლისურ, ძველ ექსკავატორზე „პრისტმანზე“ ვმუშაობ. სხვა რამისათვის მაძლევენ ახალ ექსკავატორს.

— რისთვის გაძლევთო არ გითხრეს?

— ქალს რომ არ გატანენ მშობლები, იმისთვისაო,—დარცხვენით უთხრა უჩამ.

— ამისათვის რატომაო?!

— იმიტომაო, რომ ყველაზე უფრო შენ გეჩქარება ამ მიწების დაშრობაო.

— ეს კი ასეა, უჩა, მაგრამ უფროსებს ასე უთხარი, ქალს არ მატანენო?!—არ დაიჯერა ციამ.

— აბა, რას ვეტყოდი?

— მართლა ასე უთხარი?!

— ასე ვუთხარი.

— ვითომ ასე გეჩქარებოდა?—თვალები უცინოდა ციას.

მთვარე ანათებდა სახეში და უჩა გარკვევით ხედავდა მის თვალებს, ასე ახლობელს, ასე ღიას, წმინდანს, არავის თვალებს რომ არა ჰგავდა.

— კი არ მეჩქარებოდა,—გაუსწორა უჩამ.—ახლაც ასე მეჩქარება.

— მართლა უჩა?—კიბის ზედა საფეხურიდან გადაიხარა და აკოცა.

უჩამ აღარ გაუშვა. ავიდა ზედა საფეხურზე, იქ, როგორც ზღვის არშიაზე, კვლავ მხრებზე მოხვია მკლავები. ციამ თვითონ შეაგება ბაგე.

დიდი ხნის შემდეგ, როცა ძლივს აართვეს ბაგე ბაგეს, ციამ შიშით თქვა:

— ეს რა ჰქენი, უჩა. ლონგინოზ ლომჯარია შეგვატყობს.

— შეგვატყობს,—თქვა უჩამაც.—თმა გაისწორე.

— ტუჩები, ტუჩებს რა ვუყო. გაწითლებული მაქვს?

— გაქვს.

— კინაღამ დამახრჩვე.

— არ გინდოდა?

— მინდოდა,—თმა შეისწორა.—ცოტა დავიცადოთ. სული მოვითქვათ. რამდენი ხანი მკოცნიდი.

— დიდი ხანი. კიდევ გაკოცებ.

— ახლა არა...

— აბა როდის?

— დედაარხის გათხრას რომ დაამთავრებ. იმ ექსკავატორით ხომ მეტს გათხრი, უჩა?

— დღეში ორ ნორმას გავთხრი.

— რა ექსკავატორია ასეთი?!—გაიკვირვა ციამ.—როგორ გათხრის ორ ნორმას?!

— ექსკავატორი კი არ გათხრის, მე გავთხრი. რომ...

— შენ რომ არ მითხრა, მე არ ვიცი, რატომ გათხრი ორ ნორმას! მეც ასე ვიმუშავებ, უჩა.

ლონგინოზ ლომჯარიას სამმართველოში ოთახები არ ეყო და მისი შტატის ნაწილი საცდელი სადგურის ბარაკის მეორე სართულზე იყო მოთავსებული. ჰქონდა ტელეფონი, კარგად მოწყობილი კაბინეტი. მოტოციკლეტი ყოველთვის ბარაკის წინ ეყენა და სამმართველოში რომ გამოუძახებდნენ, ან თვითონ თუ ჰქონდა იქ საქმე, ხუთ წუთში გაჩნდებოდა. აქ ყველაზე უფროსი თვითონ იყო და ამით ძალიან ამაყობდა.

ქალაქში რომ მიდიოდა, დაიბარებდა. მმართველი მიბარებსო ან თათბირზე მიწვევენო. ამას ისე იტყოდა, თითქოს სხვა ვერავინ გაუბედავდა დაბარებას. თვითონ ფიქრობდა ასე, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ წარამარა იბარებდნენ ისეთ საქმეებზეც კი, რაც მას ეხებოდა და არ ეხებოდა.

კიდევ სხვა უცნაურობაც სჭირდა ლონგინოზს. ტელეფონით ლაპარაკისას ხმას იბოხებდა, თუ ვინმე შევიდოდა მასთან ამ დროს, მოითმინეთ, მმართველს ველაპარაკებიო, ეტყოდა. ან მას თუ ურეკავდნენ—მთავრობის ტელეფონით მელაპარაკებიანო. მთავრობა მისთვის ქალაქკომის მდივნები, აღმასკომის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები იყვნენ. ბოხი ხმით იმიტომ ლაპარაკობდა. რომ ხმას მეტი რიხი და სერიოზულობა ჰქონოდა.

ეს იცოდნენ თანამშრომლებმა, მაგრამ ლონგინოზს, როგორც საქმეზე თავგამოდებულ კაცს, დიდ პატივს სცემდნენ, ამ უცნაურობებზე თვალს ხუჭავდნენ.

შინ მუდამ გვიან ბრუნდებოდა. საქმე რომ არა ჰქონოდა, მაინც იგვიანებდა. თუმცა, საქმეს რა გამოულევდა. ახ-

ლაც თავის კაბინეტში იჯდა, ცია და უჩა რომ შევიდნენ.

ლონგინოზმა თავით ფეხებამდე შეათვალიერა ცია და როგორც ყველა ლამაზ ქალთან მოსდიოდა, კინაღამ თვალი ჩაუკრა. ისე მოეწონა ცია, ოფლმა დაასხა და იმის შიშით. ვაჟმა არ შემამჩნიოსო, მკვახედ ჰკითხა:

— ამ შუაღამეზე რამ მოგიყვანათ? მუშაობა რახანია დამთავრდა.

— გაჭირვებამ მოგვიყვანა, ლონგინოზ.

ლომჯარიამ ახლაღა იცნო უჩა.

— ბიჭო, შენ უჩა შამუგია არ ხარ?!

— რავა, ვერ მიცანით?

— კი გიცანი, მარა, ასეთ დღეში... ბიჭო, თევზს ხომ არ იჭერდი? სად ამოიწუწე ასე?!

— თევზს არა, ლონგინოზ...

— აბა, აი ბაღანა დაიჭირე?

— ბაღანა კი არა, ჩემი საცოლეა.

— საცოლე?!—წამოდგა ლონგინოზი, ხელი ჩამოართვა ციას, სკამი გამოუჩოჩა მაგიდიდან. მის ფეხებს თვალს ვერ აშორებდა.

— ფეხშიშველი მომიყვანე, ბიჭო, საცოლე?!—ლონგინოზი ციას ფეხის სილამაზით იყო დატყვევებული.

— ფეხსაცმელები ზღვამ წაიღო, ბიძია ლონგინოზ,—უთხრა დარცხვენით ციამ და ფეხი რომ მოერიდებია მისი ხარბი თვალებისათვის, სკამზე ჩამოჯდა, ფეხები მაგიდის ქვეშ შემალა.

— რავა, ტანსაცმლით შეხვედით ზღვაში?!

— ხო, ტანსაცმლით.

— რატომ მერე?!

— არ ვიცი.

— არც შენ იცი?—ჰკითხა ლონგინოზმა ციას.

— არც მე ვიცი, — თავი ჩაღუნა ციამ.

— მიწაზე ვერ დაეტიეთ?

— ვერ დავეტიეთ, ბიძია ლონგინოზ,—უთხრა ციამ.

— ყოჩაღ თქვენ.

— მაგას რა სიყოჩაღე უნდა. ლონგინოზ,—გაიცინა უჩამ.

— სიყოჩაღე ყველაფერს უნდა, ბიჭო.

— მართალი ხარ, ლონგინოზ,—დაეთანხმა უჩა.

— მე ყოველთვის მართალი ვარ. ასე ფეხშიშველი უნდა ატარო, აი ანგელოზი გოგო?!

— აწი ქე დაწვება და დილით გამთენიისას მოვუტან ჩემს წუღებს, — უთხრა უჩამ.

— სად დაწვება?

— თქვენთან.

— ვისთან?!

უჩამ გვანჯი ბუკიას წერილი გაუწოდა.

— საცდელი სადგურის დირექტორმა გამოგიგზავნათ.

ლონგინოზმა სწრაფად წაიკითხა წერილი.

— ჩვენს ბარაკში იცხოვრებთ?

— თქვენს ბარაკში. ოღონდ ერთად არა. მარტო მე.

— შენ აქ, უჩა ყულევში. ეს რანაირი ცხოვრება იქნება?!

— ჯერჯერობით ასე გვაქვს გადაწყვეტილი, — უთხრა უჩამ.

— ასე არ ივარგებს. მე ერთი დღე ვერ ვიცხოვრებდი ცალ-ცალკე.

— აბა, რა ვქნათ?

— ერთი ოთახი თავისუფალი მაქვს. ადექით და ორივე შესახლდით.

— ასე არ გამოვა.

— რატომ არ გამოვა?!—დაინტერესდა ლონგინოზი.

— ვიდრე დედაარხს არ გავიყვანთ და ყორათის მასივს არ დავაშრობთ, ერთად ვერ ვიცხოვრებთ.

— ვერ გავიგე შენი ქართული,—უთხრა გაკვირვებულმა ლონგინოზმა.

— ვიდრე მიწაზე არ დავსახლდებით, ჯვარს ვერ დავიწერთ.

— რათო?!

— ასეთი პირობა გვაქვს დადებული,—უთხრა ციამ, აქამდე თავჩაღუნული რომ იჯდა და თვალს ვერ უსწორებდა ლონგინოზს.

— უიტ, რა ჩამორჩენილები ყოფილხართ. ადექით და შეცვალეთ პირობა.

თქვენი დადებული არ არის. სახლი გაქვთ და კარი გაქვთ, სამსახური გაქვთ და ხელფასი.

— ჩვენი დადებული რომაა, იმიტომ ვერ გავტეხთ პირობას.

— ვინ დაგიშლით, რომ გატეხოთ?!

— სინდისი დაგვიშლის. მე და ანტონ ბაჩილომ სიტყვა მივეცით ერთმანეთს დედაარხის გახსნის დღეს დავქორწინდეთ. ციას მშობლებმაც ასეთი პირობა მითხრეს—როცა ჭაობს დააშრობ. მაშინ გაგატანთ ქალსო.

— კარგი პირობაა, — მოუწონა ლონგინოზმა.—ჭკვიანი ხალხი ყოფილა ციას მშობლები. ბაჩილოს საცოლე, ციასავით ლამაზია?

— ჩემთვის ციასთანა ლამაზი მეორე არ დადის ქვეყანაზე.

— უჩა!—გაუწყრა ცია.

— ჩემთვის-მეთქი, ცია, ჩემთვის არ დადის მეორე ქვეყანაზე.

— მეც ასე მეგონა, ჩემი საცოლესთანა ლამაზი მეორე რომ არ დადიოდა ქვეყანაზე. მაგრამ ახლა ისე მეჩვენება, ჩემი ცოლისთანა ულამაზო მეორე არ დადის ქვეყანაზე.

— ასე არ უნდა თქვათ ცოლზე, ბატონო ლონგინოზ,—თავი ვერ შეიკავა და შეკადრა ციამ.

— რაო?!—უცებ შერცხვა ლონგინოზს.—მართალი ხარ, შვილო. ვიხუმრე, თორემ ჩემი ცოლი ჩემთვის ისევ ისეთი ლამაზია, პირველ დღეს რომ ვნახე,—წამოდგა:—წავიდეთ, ნამდვილი სადედოფლო ოთახი მაქვს შენთვის. ოღონდ ფეხშიშველი დედოფალი ჯერ არ მინახავს,—გაიცინა. ისევ გააპარა თვალი ციას ფეხებისაკენ.

ოთახი ბარაკის კვალობაზე ისეთი კარგი იყო, მართლა დაშვენდებოდა დედოფალს. ორი ფართო ფანჯარა ჰქონდა. ორი საწოლი იდგა. მაგიდა, სკამები და ტანსაცმლის კარადა. ფანჯრებზე ჭრელი ფარდა ეკიდა.

— ხომაა სადედოფლო ოთახი?—ციასა და უჩას სახეზე კმაყოფილება წაიკითხა.

— მართლაც სადედოფლო ოთახია,—თქვა ციამ.

— ის მეორე საწოლი შენი რომ იყოს, ბიჭო, ძალიან მოუხდებოდით ერთმანეთს—ნეფე-დედოფალი იქნებოდით.

— ეს დრო მალე დადგება, ბიძია ლონგინოზ. ჩემი ექსკავატორით ორ ნორმას გავთხრიო, მითხრა უჩამ.

— უყურე შენ, რავა ყოფილა დახარბებული ნეფობაზე,—მოუწონა უჩას ნათქვამი ლონგინოზმა.—მე რომ ქალი შევირთე, ცარიელ-ტარიელი ვიყავი.მაგრამ ისე გამოვიღე ხელი, ცხრა კაცის საქმეს ვაკეთებდი.

— შენ ახლაც ცხრა კაცის საქმეს აკეთებ მშენებლობაზე. ლონგინოზ,—უთხრა უჩამ.

— ახლა საქვეყნო საქმეს ვაკეთებ და მეტი მომეთხოვება.

— კიდევაც აკეთებ მეტს.

ლონგინოზს ეამა შექება.

— წამოდი ქალაქში. ჩემი ქალიშვილის ფეხსაცმელს გამოგატან, სწორედ ციას ფეხისაა,—ისევ გაექცა თვალი ციას ფეხისაკენ.—დილით შენი წუღებით ხომ არ დაენახვება ხალხს.

მშენებლობაზე „კომსომოლეცის“ მიღება ზეიმად გადაიქცა. ვინ არ ჩამოვიდა დედაარხის ახალ ტრასაზე: ცივი-ტეხურის, აბაშა-ტეხურის, ნოღელა-აბაშის, ნოღელა ცხენისწყლის და ქვალონის მასივების მშენებლობის უფროსები, სამუშაოთა მწარმოებლები, ათისთავები, მუშები, დრაგერები, ტექნიკოსები. ჩამოვიდნენ ახლომახლო სოფლების გლეხები — ქალები და კაცები.

ჩამოვიდნენ მთავარი ინჟინერი, პარტორგი, სეროვა, ვასო ბრეგვაძე და სამმართველოს თანამშრომლები.

არ იყო ტრიბუნა. ტრიბუნად ექსკავატორი გამოიყენეს. „კომსომოლეცი“ არხში იდგა. ხალხი დამბაზე.

ექსკავატორის გარშემო მშენებლობის ხელმძღვანელები და სტუმრები იდგნენ.

მიტინგი პარტორგმა კოჩა ყორშიამ

გახსნა. „კომსომოლეცის“ მუხლუხოზე იდგა. კირზის ჩექმები და ხალათი ეცვა, ქუდი ხელში ეჭირა. თმა კოხტად ჰქონდა გვერდზე გადავარცხნილი.

— ამხანაგებო, ალბათ, დამეთანხმებით, რომ დღეს მარტო ახალი ექსკავატორის მიღებას კი არ ვზეიმობთ, არამედ საბჭოთა სამამულო მარკის პირველი ექსკავატორის შექმნას ვდღესასწაულობთ,—დაიწყო ყორშიამ.—ჩვენ ყველა ვამაყობთ, რომ ჩვენმა ქარხნებმა დაამზადა იგი და დაიწყო სერიული გამოშვება. დღეიდან აღარ დაგვჭირდება უცხოეთიდან „პრისტმანების“, „მენიკების“, „კოპელების“ და „ლუბეკების“ შემოტანა. მათ დიდი სამსახური გაგვიწიეს და ახლაც გვიწევენ, მაგრამ მათი შესყიდვა მამასისხლად გვიჯდებოდა. ოქროს ვიხდიდით, ამხანაგებო! ახლა მალე დადგება ის დრო, რომ ინგლისელები და გერმანელები, ვისგანაც აქამდე ექსკავატორებს ვყიდულობდით, თვითონ იყიდიან ჩვენგან ექსკავატორებს. დიახ, დიახ, მე არ ვაჭარბებ.

იგრიალა ტაშმა.

ავარდა სასულე ორკესტრის ტუშის ხმა.

რამდენიმე კაცისა და ბავშვისაგან შემდგარი ორკესტრის წინ ლონგინოზ ლომჯარია იდგა ზურგშექცევით და ასე ლოტბარობდა. არაჩვეულებრივად გახარებული და გაამაყებული იყო. ლოტბარის ჯოხს ბრმად აყოლებდა ტუშს. ეს სიხარულისაგან მოსდიოდა. მან ჩამოიტანა „კომსომოლეცი“ რუსეთიდან და ეს უნდოდა ეჩვენებია ხალხისათვის. ამიტომ იდგა პირით ხალხისაკენ და ზურგით ორკესტრისაკენ—შემომხედეთ, მე ვარ ლონგინოზ ლომჯარია „კომსომოლეცის“ ჩამომტანიო. ოო, როგორ უნდოდა მიექციათ მისთვის ყურადღება, გაეგოთ, რომ ერთ-ერთმა პირველთაგანმა მან მიაღწია მის მიღებას, მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევდა. ასეთია მომმარაგებლის ხვედრი, ფიქრობდა ლომჯარია გულისტკივილით, სახე კი მაინც უღიმოდა.

— ამხანაგებო, ამიერიდან სამამულო მარკის ექსკავატორები და სხვა მანქანები იმუშავებს ჩვენს მშენებლობაზე. მალე დადგება ის დროც, ჩვენი ბულდოზერები, გრეიდერები, მიწის საწოვი რომ გვექნება და ერთიორად დაჩქარდება მშენებლობა,—განაგრძობდა კოჩა ყორშია.

კვლავ იგრიალა ტაშმა. უფრო ძლიერად. კვლავ ავარდა ლონგინოზ ლომჯარიას სასულე ორკესტრის ტუში. მომმარაგებელს თანდათან ემატებოდა სიმხნევე და სიამაყე. აღარ ფიქრობდა იმაზე, რომ ყურადღებას არ აქცევდნენ, ახლა იგი იმაზე ფიქრობდა, რომ იმ ბულდოზერებს, გრეიდერებსა და მიწის საწოვ მანქანებსაც ის ჩამოიტანდა პირველი.

ხალხში ყველაზე წინ ანტონ ბაჩილო იდგა. ერთ მხარეს ცისანა ედგა მხარში, მეორე მხარეს—ცია. სამივე საზეიმოდ გამოწყობილი.

— სამართველომ ჩვენს ბელორუს მეგობარს, მშენებლობის მოწინავე დრაგერს მიანდო გადაეწყვიტა ვისთვის მიგვეცა პირველი საბჭოთა ექსკავატორი. ბაჩილო არც კი დაფიქრებულა, ისე დაგვისახელა უჩა შამუგია, რომელიც დიდი ხანია ბებერ „პრისტმანზე“ მუშაობს.

— მაგას არც უნდოდა დაფიქრება,— დაიძახა ერთ-ერთმა დრაგერმა ხალხიდან.—ყოჩაღ ბაჩილო!

— ანტონი არ შეცდება, — ბანი მისცა სხვა დრაგერმა.

— სწორედ უჩა შამუგიასათვის უნდა მიეცათ „კომსომოლეცი“.

— უკეთესი დრაგერი არა ჰყავს მშენებლობას.

— კარგად გადაგიწყვეტიათ.

ერთად ალაპარაკდნენ დრაგერები, ტრაქტორისტები და შოფრები.

ციამ და ცისანამ ბაჩილოს შეხედეს.

ანტონი კმაყოფილებით იღიმებოდა. დღეს მისთვის გარდა იმისა, რომ უჩას მისცეს „კომსომოლსკი“, სხვა სასიხარულო დღეც იყო. უჩამ ცისანა ჩამოუყვანა ნატანებიდან.

— ამხანაგო ანტონ, გთხოვთ ექსკა-

ვატორი ჩააბაროთ უჩა შამუგიას!— დაუძახა პარტორგმა ბაჩილოს.—თვითონ შამუგია სადაა?!—ვერ დაინახა ხალხში პარტორგმა უჩა.

შამუგია ციას, ცისანასა და ანტონისაგან მოშორებით იდგა.

— აქა ვარ, — ასძახა პარტორგს.

— ჩაიბარე უჩა ექსკავატორი.

უჩა შამუგიამ და ანტონ ბაჩილომ ხალხი გაარღვიეს და ექსკავატორისაკენ გაემართნენ.

ახლა კი მიტრიალდა ლონგინოზ ლომჯარია სასულე ორკესტრისაკენ, ცქვიტად აიქნია ლოტბარის ჯოხი.

ჩამოხტა მუხლუხოდან პარტორგი.

ავიდნენ „კომსომოლეცზე“ შამუგია და ბაჩილო. კაბინის კარი ფართოდ გაალო ბელორუსმა, უჩას მაგრად ჩამოართვა ხელი.

— წარმატებას გისურვებ, მეგობარო.—უთხრა და მერე ის ხელი კაბინაში შესვლისას მხარზე დაჰკრა უჩას.

უჩამ კარი მიიხურა, ბერკეტებს მიუჯდა, ფეხი სატერფულებს დაადგა, დაუშვა ციცხვი, ამოსდო მიწას, მოთხარა, მერე ასწია და დამბაზე რომ აიტანა, პირი დაალებია, მიწა დაჰყარა. ეს სამჯერ ისეთი სისწრაფით გაიმეორა, ისე მარჯვედ, რომ ბაჩილოსაც კი გაუკვირდა.

— ვაშა!

— ურა!

— ყოჩაღ, უჩა!

— გაუმარჯოს „კომსომოლეცს“!

— იკურთხოს შენი გამკეთებლის მარჯვენა!

ხალხი ექსკავატორს მიესია. გადმოიყვანეს კაბინიდან უჩა და ბაჩილოსთან ერთად ხელში აიყვანეს, ჰაერში აისროლეს. ისმოდა შეძახილები. მხიარული ყიჟინი.

ქუხდა ტაში და ორკესტრი.

☐გაგრძელება იქნება☐

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ კუხიანიძე

# ტყისმჭრელთა სიმღერა

მოხარხარე ბირდაბირით
აყეფებულ დაჯახებით,
ხეებს ვმუსრავთ პირდაპირი
პირდაფერილ ნაჯახებით.

ტყე ქვითინებს,
ოხრავს,
ხვნეშის,
სად გაექცეს ურდულს მონის.
თითქოს დედათ მონასტერში
შეჭრილანო ურჯულონი.

ზოგს დავახევთ სამოს-კაბას,
ზოგს ალს მივცემთ, ხმელი თუა...
ზოგს ტრაქტორზე გამოვაბამთ,
როგორც კახპას ცხენის ძუას.

ხისგანა გვაქვს სარჩო ტკბილი,
ხით ვიგერებთ აშარ ქარებს...
ბოლოს ხისგან გაჩორკნილი
კუბო ციმციმ გაგვაქანებს.

ქარში მწარედ იჟრიალებს
ნაჯახი და ბირდაბირი,
ტყე კი ისევ იშრიალებს
ვით უკვდავი გმირთა გმირი.

გამოგზავნის ლამაზ ძეწნებს,
დაგვივიწყებს როცა ყველა,
ჩვენს უდაბურ საფლავებზე
ნაზი თმების გასაშლელად.

* *
*

არაფერი არ მახარებს
ქვეყნად ისე, — არაფერი,
როცა აღებს
ზეცის კარებს, —
ვინც ღირსია მაღლა ფრენის.

შენ თქვი,
სულის შექანება

სად გაგაფრენს მიწის თვისტომს;
მხრები ყველას ექავება, —
ფრთები ხომ არ ამომდისო.

ცა გეძახის საით გულო?
ცა — გულების მტაცებელი...
დედამიწის საიდუმლო
ცაში გახდა საძებნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ფერდობზე მიდის
გოგო და ბიჭი...

თუმც ვერ გახიდავს ბილიკს მონგოლი,
ტყიდან ვერც ლეკის მზერა იფეთქებს, —
ბიჭს გაუფრთხილდი, ჩემო გოგონი,
ჩემო ვაჟკაცო, გოგოს მიხედე.

ფერდობზე მიდის
გოგო და ბიჭი...

ფერდობზე თუნდაც შემოგაღამდეთ,
თვალებში სხივი ხტოდეს ციცრებად...
ფრთხილად იარეთ, —
დიდი აღმართი
სწორედ ამ ფერდობს შემდეგ იწყება.

## ამიხილეთ თვალები

უთენია დამანახეთ ბიბინა
ცის მდელოზე მობალახე ნუკრები;
მწიფე ასკილს მოწამეთის გზის პირას
როგორ უთრთით ანთებული გუგები.

სათაფლიის და ორბელის გორებზე
ნეკერჩხლების კოცონები ბრიალებს,
დამანახეთ უშბის შუბლი გოროზი,
ჩავეფინო ნაპრალების იარებს.

მაფრიალოს უშგულის და ჰადიშის
თეთრ კოშკებზე ქარმა ვით ყაბალახი...
ლამპრიანის სათიბებში გამიშვით
და ოთხყურა მაპოვნინეთ ბალახი.

დამანახვეთ ფხიზელი თუ მთვრალია
სიჭაბუკე ჩემი, ნისლში დანთქმული...
ხვითოს როგორ ათამაშებს მთვარიან
ღამით გველი, კუდზე წამომართული.

ამიხილეთ თვალები...

მდინარიდან რა ამოჰყავს მებადურს —
კალმახი თუ ვერცხლის მთვარე ნამგალა;
ალიონზევარსკვლავთ შუქი ქრება თუ
პოეტების გულში წვება ღაღანად;

ნანგრევებთან მწარედ ჩავიქვითინო,
დამელანდოს დღენი ცხარე ბრძოლადა
და ძარღვებში სისხლთან ერთად იდინოს
რუსთაველმა მობრიალე ფოლადმა.

ამიხილეთ თვალები...

შევამჩნიო
ცრემლი, ფეხით გათელილ
ბალახებში ატირებულ გვირილის;
დავინახო ცის შრეების კალთები,
მოჩითული გაგარინის ღიმილით.

თვალი მოვკრა ერქანს მზისკენ აშვებულს,
რომ შთაუნთქავს ცაში წლების მარულებს;
დავინახო ლანდი ჩემი ბავშვობის,
ცისარტყელის ხიდზე მოსიარულე.

ამიხილეთ თვალები...

იღბალივით
ათიანზე ტუზი რომ
დაგეცემა, ზოგჯერ ასეც მილხინდეს...
ქვეყნად მარტო ერთგულ თვალებს ვუმზირო
და ზურგს უკან მიწას არვინ მითხრიდეს.

აქ რომ დაჭკნენ —
ცაში აყვავებულან
მელნისფერი თრთოლვა იასამნების.
კმარა, მზერას ნისლის ფრთა რომ ებურა,
ამიხილეთ, ამიხილეთ თვალები.

თუ კი ცრემლის წვეთში ვეღარ დავლანდო
ჩაძირული ხომალდების ანძანი,
თუ ყვავილთა მტვრის და ფიფქის
სანაცვლოდ
ქარმა სტვენით შემაყაროს ნაცარი;

თუ მოვესწარ ორთოლვის გარდაცვალებას.
მზე რომ დამკრავს —
სისხლმა ვერ იჭიხვინოს,
მაშინ ისე დამიხუჭეთ თვალები —
ცის ნათელი ვერასოდეს ვიხილო.

ანგელოზთა ქარავნები იფრენენ,
აავსებენ ჩრდილით ზეცის მინარეთს,
და მოლურჯო ადიდდება სიბნელე,
როგორც მთიდან მოვარდნილი მდინარე.

## დადუმებული დოლაბები

დათუნია დოლაბერიძის მოსაგონარი

მეშახტეებმა
დონეცკიდან ჩამოასვენეს
ორდენოსანი
დათუნია დოლაბერიძე...
და შეემატა
ოღასკურის პირქუშ არსენალს
მისი ბეჭები,
დადუმებულ დოლაბებივით.

„სად მიხვალ შვილო, —
ცას კაწრავდა დედის კივილი, —
ბიჭო, მიწის ქვეშ
ოცი წელი იყავ ისედაც!..“
ჭადრის ფოთლები,
ქარვისფერი, წყნარი ლივლივით
ყრმობისდროინდელ
პეპლებივით კუბოს მისდევდა.

გრანიტის ქვებით
დატვირთული იარუსები
აბიბინებულ
სასაფლაოს ფერდობს ქარგავდა...

ლაშებდალებულ
სამარესთან იდგნენ რუსები
და ეს სამარე
მათ მშობლიურ შახტას არ ჰგავდა.

სასაფლაოზე
ხალხის ქუსლით უნდოდ მოთელილ
სქელ ბალახებში
ჩაასვენეს კუბო ნებივრად
და შემოდგომის
ოქროსფერი წყნარი ფოთლები
ეფინებოდნენ
დამცხრალ მკერდზე ორდენებივით.

მეშახტეებმა
ბოლოს ცრემლი ვეღარ დამალეს...
ბუდიდან ბინდი
გადმოფრინდა — შავი ფრთოსანი...
ქვითა და ღორღით
ამოავსეს მისი სამარე,
მკერდგამოფიტულ
გაუქმებულ მაღაროსავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენო კალანდია

## გაზაფხული მოსულა...

გაზაფხული მოსულა. წვიმაა და ტაროსი,
მკერდზე ჩამოვიკიდე მთვარე ავგაროზივით.

გაზაფხული მოსულა, — მატყუარა, ვერაგი,
ხიდისთავთან დამდგარა ნუში მოვის პერანგით.

გაზაფხული მოსულა, — შოშიებით, ჩიტებით,
ცრემლის მწვანე ბეჭდებით, ვერცხლით, მარგალიტებით.

გაზაფხული მოსულა, — ხეში წყალი ჩამდგარა,
ზეთისხილის ქვემორე გოგოს ვკოცნი პატარას.

ვაი, რა მემართება, ვაი, როგორ ავმჩატდი,
ცამეტი წლის ბიჭივით სიყვარულით გავთავდი.

ვაი, რა მემართება, ასე როგორ დავეშვი,
ცამეტი წლის ბიჭივით გოგოს ვეთამაშები.

გაზაფხული მოსულა, — სიყვარულის ამური,
ზეთისხილის ზემორე ცაა სიასამურის.

* * *

მინდორ-მინდორ, კორდებით, ბაღით, ყანით, ვენახით, —
ათი წელიწადია სიყვარულო გეძახი.

სიყვარულო გეძახი სალამურით, სიმღერით,
ცამეტი წლის ბიჭივით თვალები მაქვს ცისფერი.

მახსოვს შენი მიზეზით ვიღაცა მწვდა ქეჩოში,
ზურმუხტივით მისროლა სასახლიდან ქუჩაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვს შენი მიზეზით დიდხანს ვეგდე ბალახში,
მერე დონ-კიხოტივით ფეხი შევდგი ქალაქში.

მახსოვს ვარდით, გვირილით, ნაჩუქარი მეძებრით
ყოველ დილა-საღამოს ქუჩა-ქუჩა გეძებდი.

მინდორ-მინდორ, კორდებით, ბაღით, ყანით, ვენახით,—
ათი წელიწადია სიყვარულო გეძახი.

* * *

გალაკტიონის წიგნზე მინაწერი

აქ, ახლოს პოეტის სახლია,
წითელი კარატით ნაგები,
აქ, ახლოს პოეტის სახლია
ალუბლის მჭვირვალი ბაღებით.

აქ, ახლოს პოეტის სახლია
ჩუქურთმით, გაშლილი აივნით,
აქ, ახლოს პოეტის სახლია
ქართული სამოთხის ნაირი.

აქ, ახლოს პოეტის სახლია, —
პოეტის ცისფერი კორიდა,
აქ, ახლოს პოეტის სახლია,
აქ ვლიდა ვარდებით ორი და.

საღამო ხავერდით მოვიდა:
კორიდა!
კორიდა!
კორიდა!

* * *

მოსდებია ორღობეს ნუშის ფიფქი ჭირხლივით
და ჭალაში შვიდი დღის გაზაფხული ჭიხვინებს.

განი-განი,
გაზაფხულო,
გოგო მოდის ლამაზი,
მოდის...
ნელა მოგოგმანებს ჩემი ძუძუ-ალმასი.

ტანი—შინდი,
ყელი—ალვა,
თვალი—წყვილი კოცონი.
ვაი, როგორ დავავიწყდი,
გახსოვს როგორ მოვწონდი?

მოსდებია ორღობეს ნუშის ფიფქი ჭირხლივით
და ჭალაში შვიდი დღის გაზაფხული ჭიხვინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

წვიმაა...
თოვლი...
ცხენისწყალი დავტოვე უკან.

წვიმაა...
თოვლი...
ნინოშვილის გურიას ვეძებ,
მარჯვნივ —
სკოლაა

მარცხნივ —
სოფლის ორკესტრი უკრავს,
იქით —
მარანი,
აქეთ —
კიდევ წიწილა კეცზე.

წვიმაა...
თოვლი...
ნინოშვილის გურიას ვეძებ.

## სურამი

ჩუ! სალამურის სველი ყელიდან
მღერით ამოდის ოქროს ცისკარი.
ჩუ! მოგოგმანებს ქართლის მინდვრებზე
ქართლის ატამი წითელპერანგა.

ჩუ! ალისქარი კოცნის ალუბლებს
და ორღობეში გოგო ტკარცალებს.
ჩუ! ცისარტყელას ფერი ფერადით
ცა გადაღობეს საგაზაფხულო.

* * *

ცვივა და ცვივა ხეებს ფოთლები,
დგას შემოდგომა—ხარი ყევარი,
ტყიდან გამოდის შინდის შოლტებით
სალამო—ჩემი ლურჯი მხედარი.

ცა აბლაბუდას მოჰგავს ვერცხლისფერს,
მოქსოვილს მთვარის თეთრი ძაფებით
და ეზიდება მაღლა ცეცხლივით
გულს სალამური და მაჯამები.

* * *

მესხეთი, ქართლი, — ორი და ჩემი,
ბავშვობის ჩემის ყვავილი ორი,
ამოდის მზე და... ნათდება გრემი,
ჩადის და... ქალით შრიალებს წნორი.

მესხეთი, ქართლი, — ორი ძმა ჩემი,
ორი გამწევი უღელი ხარი,
ამოდის მზე და... ნათდება გრემი,
ჩადის და... სიზმრად იშლება მტკვარი.

* * *

მახსოვს აფხაზთა სოფელი,
მუხის ხე საჩრდილობელი
და მთვრალი ჭრიჭინობელი.

მახსოვს თვალმარღი ბინული
სხივით გულგადამინული.

მახსოვს ცა — ნუშის ფოთოლი,
მახსოვს ცისფერი კოდორი
და წყლისპირ გოგო ობოლი.

მახსოვს ვარდები მრავალი,
მახსოვს მზე — ოქროს მამალი,
ქარი მიმავალ-მავალი.

მახსოვს აფხაზთა სოფელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირონ სურგულაძე

# გ უ რ ი ა

## მოზაიკა

ცა ისეა მოწმენდილი,
ცა ისეა შეუმკრთალი,
რომ ანგელოზს დაინახავს
მოდარაჯე კაცის თვალი.
**გალაკტიონი**

ჰე, გურიის მწვანე მთებო,
თქვენი ნახვა რარიგ მსურდა!
დღეს მოვედი,
დაგინახეთ,
ნატვრა უკვე ამისრულდა.

რომ გიხილეთ მშობლიურნო,
გულისცემა გამიხშირდა,
ვამბობ:
ეს მთა,
ეს სერები,
მალაღებდა,
მგოსნად მზრდიდა;
ზღვა რომ აკვანს დამირწევდა —
ზედ პალმები ფოთლებს ხრიდა;
ჩიტუნები იავნანას
მიგალობდნენ მაღალ ხიდან;
ჩანჩქერები,
ღელეები,
მიმღეროდნენ ყოველ მხრიდან;
ვისაც ტოლად შევეზარდე,
ვინ შესძლებდა, ვინ გამყრიდა.
შენს უბეში გავიზარდე,

შენ მაწოვე ძუძუ ტკბილი,
შენი მუხის ერთი რტო ვარ,
შენი ნისლით შემოსილი;
მოველ, შემხვდი მშობელივით
ჩემსკენ მკლავებ გამოწვდილი,
შენთან ყოფნა მომენატრა,
შენს უბეში მინდა ძილი;
მომეხვიე,
მომეფერე,
მომაფინე შენი ჩრდილი.

როგორ ძალმიძს არ მიყვარდე,
შენთვის ქება ვით არ მეთქვა,
დედას უფრო კარგად ესმის
შვილის ენა, გულის ფეთქვა,
მშობლიური არის ჩემთვის,
ეს მდინარე, რიყის ეს ქვა.

შენ ჩემს ლექსებს მკერდში იკრავ —
ცისარტყელას ყდაში ჩასვი,
ლაჟვარდებში აიტაცე
უკვდავების წყარო ასვი,
ვიცი ზრუნვას არ მოაკლებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად იცი მისი ფასი.
მე ის როგორ დავივიწყო
ვინც მასწავლა დედა ენა,
ვინც შემასვა სიბრძნის წყარო,
გზა გაკაფა, გამითელა,
ვინც ჩემს სულში მზე აანთო,
ვინც ცისკარი გამითენა,
ჩემი გული გაბზარული
მომიშუშა, გამიმთელა,
ჩემი ეზოს კოინდარი,
ჩემი სოფლის ციცნათელა;
უთვალავი ყვავილები,
გაია და მატიტელა.

საქართველოს ერთი კუთხე,
მისი ტევრის მცირე რუკა.
ღობე,
ყორე,
თხრილი,
არხი,
გრძელი შარა, მოკლე შუკა,
ოქროსფერი თივის ზვინი
მოფარებით, სახლის უკან.

ვინც ჩემს ლექსებს ასაზრდოებს,
ავაჟკაცებს, აძლევს ძალას,
ცული,
ფოცხი,
თოხი,
ბარი,
ნამგალი და ხმელი ჩალა;
აჭისწყალი და ჩოლოქი,
ბჟუჟისა და სუფსის ჭალა,
ჩემი სოფლის წისქვილები,
ნიგვზის ხე და ზედ ყვანჩალა;
ჩხართვი,
შაშვი,
ბოლოშავი,
ბეღურა და ღობემძვრალა...

ჭა, ბოსტანი, ეზოს ვარდი,
კოპიტი და აკაცია;
ნარინჯები,
დაფნა,
ტუნგო,
ჩაის დიდი პლანტაცია,
მისი დიდი მოამაგე
ჩითის კაბა რომ აცვია,
ვხედავ ყელი მოიღერა,
რა კარგია, რა ნაზია...

დღე ნიადაგ შინ და გარეთ
ხალხი შრომით გართულები,
ჩემი კარგი მეზობლები
პურმარილით განთქმულები,
ყვავილოვან ბაღნარებში
დიდი ოდა — სართულები
და ღამეში ვარსკვლავებად
მოელვარე ნათურები.

საკალანდო ჩიჩილაკი,
ძველისძველი მაჭახელა,
ჩემი დიდი წინაპარი,
ბრძოლებში რომ ასახელა,
მუხის ხეზე მიშვებული
ჩხავერი და იზაბელა.

შენი ცა და ვარსკვლავები,
წვიმიანი წელიწადი;
საწნახელი და ორშიმო,
ცელი, ეჩო, ბასრი წალდი,
სიმინდი და ღომის ყანა,
თოხნა,
მარგვლა,
სოფლის ნადი;
ხვართქლი,
ანწლი,
გვიმრა,
სურო,
ეკალი და ღობის ბარდი.
ტანაყრილი სიმინდები,
კოლექტივის დიდი ყანა
ლიხაური,
მაკვანეთი,
შემოქმედი,
დვაბზუ,
ჭალა,
„ნადური"
და „დელი-დელა!"
„ხელხვავი"
და „ოთხი ნანა!"
კრიმანჭული,
ოხუნჯობა,
თავსამტვრევი ამოცანა
და ცეკვაში შეჯიბრება,
ხორუმი და „განდაგანა!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფლის შეშა
და ქვის კერა —
შუა ცეცხლის სასთუმალი,
— მასპინძელო!
— მასპინძელო!
დაძახება და სტუმარი;
ცეცხლის პირას ჩაცუცქული
კატის დახუჭული თვალი;
ალუბლები, მსხლის ხეები,
ბროწეული,
ვაშლი,
ბალი,
აბრეშუმის ჭია,
თუთა
და გურული გამრჯე ქალი,
პირველ თოვლში დარჩენილი
გაბედული ბავშვის კვალი,
გაზაფხული და ბაღჩაში
ატმის ხე ვით პატარძალი.
მოწმენდილი ღამეები,
ვარსკვლავები,
დილის ცვარი,
ნაცრიანი ცხელი კვერი
დედის ხელით გამომცხვარი...
შემოდგომა, კალო, გოგრა,
ფელამუში და მაჭარი;
დოქი ფუჩეჩდახურული,
ქათმებისთვის დიდი ძარი;
ასწლოვანი ბერი მუხა,
ბავშვობა და სკოლის ზარი;
ჩემი ხელით გამოთლილი
სანიმუშო მშვილდ-ისარი.
ძველი ვეფხისტყაოსანი
დედაჩემის ნამზითვარი,
ზამთრის ღამე, გრძელი ღამე,
ჩვენი ოდა და ბუხარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ვასაძე

## „ყვავილების ქვეყანა"
## ანუ

ძველი სიმღერების მოტივებზე

მას თქვენ უყვარდით თავდავიწყებით,
როგორც იტყვიან, უცნაურ ტრფობით,
მიხაკით, ვარდით თუ გვირილებით,
ჭადრების ჩრდილში განმარტოებით;

მტვრიან ქუჩებშიც გწირავდათ ხილვებს
და გულუბრყვილოდ მიიმღეროდა:
— ბაღში ყვავილი ერთხელ ვიხილე
და უნაზესი რხევა ღეროთა...

ასე ეგონა, სიყვარულს ჰკრეფდა
ძველის სიზმრებით ცხადში მავალი,
თქვენში უყვარდა ის ერთადერთი
თავაწყვეტილი სამოთხის ქალი;

თქვენ კი ცხოვრების გულგრილ კარნახით
ეუბნებოდით (სრულის უფლებით):
— ნაკლები გზნება და ლაპარაკი!
გული — ტყვილია,
ნაღდი — ფულები!.

მას კი რა ექნა, გაცვეთილ ჯინსებს
გამორღვეოდა ორთავე ჯიბე, —
მის ძველ სიმღერებს ვინღა მოისმენს,
ვინ გაახარებს ცხოვრების ჯიბრზე?!

ო, ყველა როგორ,
რა გამეტებით,
რა ჭკვიანურად შემოეცალეთ?!
და ის კი, მაინც, ძველ იმედებით
და იმავ სევდით უმღერის ქალებს:

— ყვავილების ქვეყანა,
ჩოქვით შემოვიარე,
რომ მითხარი, მოვალო,
სად ხარ,
სად ხარ, ჭირიმე,
რისთვის დაიგვიანე?!

## და ფეხშიშველი თაიგულებით

ის ისე დადის როგორც „მერე რა?!"
თითქოსდა ტკივილს იგდებს აბუჩად,
თითქოს თავის თავს გადაემტერა
და, უგზოუკვლოდ მიჰყვება ქუჩას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედს-უბედობას არვის აბრალებს, —
რაა სიცოცხლე? ერთი ბრმა კოცნა! —
და მის ლამაზ და მომთვრალო თვალებს.
რომც არ გინდოდეს, მაინც დალოცავ,

და უზოდიშოდ მოქნილ სხეულით,
თითქოს გალოპრილ ნაძვის სურნელი
მოაქვს ქუჩებში, ვით მტკივნეული
ვნება ჩაკლული და სასურველი,

და დღეებს ჰფანტავს უდარდელ ჟინით,
და რტოშიშველი თაიგულებით
მოდის და გაკრთობს მკვეთრი სიცილით
სასოწარკვეთილ მხიარულების...

და როცა ღამით, დაშრეტილ ქალაქს,
არყოფნის ხსოვნით და დაძალებით,
დაჰხედავს ზეცა, ვით თავისქალა,
ჩალურჯებული შავი თვალებით,

ის თითქოს ჯიბრზე გკოცნის და ცეკვავს,
და თუკი,
— როგორც გატეხა ფიცის, —
ჩაესმის ღრუბელთ ზარების რეკა
და უსასოო ჩურჩული სივრცის,

მაინც შეჰკივლებს ამ ცას
— მერე რა?!
და გარბის დაცლილ შუაქალაქში
გაოგნებული — როგორც სიმღერა
და, განწირული ბედთან თამაში.

• • •

საოცრად ლამაზ ქალებს,
უფრო საოცარი თვალებით,
ვვედრებ: — თქვენ შემიბრალეთ,
სანამ მე შემებრალებით?!

და როს ხვლიკივით მოქნილ,
ნდომით ახსლეტილ ტანებს,
გასაშტერებელ როკვით
ქუჩა მიმოაქანებს

და აღარ არის დაღლა
აბობოქრებულ მკერდთა, —
მე მივსცირნობ ახლა
ჩემს ოცნებებთან ერთად;

და რა უშფოთდეს მზერით
გავცქერო ულევ სამკალს?!
რა ვქნა, გული ვერ მღერის
თუ სიყვარული არ ჰკლავს,

ან იქნებ დავიღალე
უსიხარულო წლებით?
და მაინც, ვიცი, მალე
ყველასთან გავსწორდები...

და, ამიტომაც, ქალებს,
რა გასაოცარი თვალებით,
ვვედრებ: — თქვენ შემიბრალეთ.
სანამ მე შემებრალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისევ შორსაა შენი ცისფერი...

ეს ბოლო დროა რაც ვცხოვრობ ასე:
არ ვიმჩნევ დარდს და, ვეჩვევი ტკივილს, —
თურმე ყველაფერს ეცვლება ფასი,
ახალგაზრდობა როცა ჩაივლის.

და უკვე თითქმის აღარც მაბრაზებს
ეგ უდიერი შენი ანცობა, —
ყრმები როს შმაგად სდევენ ლამაზებს,
სიყვარულს უხმოდ იტანს კაცობა,

და მეც მოგელი, და ისიც ვიცი,
რა მინდა, ან თვით რად მეურჩები,
რად შემომაფრქვევ უაზრო სიცილს
ან რად გიტაცებს ჭრელი ქუჩები...

ო, ჯერ არ გესმის, რას ნიშნავს ბედი,
როცა არ გინდა, და მაინც ხდება, —
მე კი თანდათან ვსწავლობ წამგების
გულხელდაკრეფილ უკანდახევას,

მაგრამ მოგებას განა დავეძებ?
უიღბლო წლებსაც არ ვემდურები, —
მე ხომ შემოვრჩი აქ ალალბედზე,
ვით ქარიშხალში მებადურები.

და ახლა, როცა ვერვინ მიშველის,
და აღარც დროა უფალზე ლოცვის, —
ისევ შორსაა შენი ცისფერი
უნუგეშობის კეთილი კონცხი?

## ეს გაზაფხული ალბათ სულ შემშლის

ამ გაზაფხულის აღარა მესმის,
ამ გაზაფხულის აღარა მჯერა, —
ჩიტივით ვეღარ მოფრინავს ლექსი,
ვეღარც ოცნებას ეწევა მზერა;

ამ გაზაფხულის აღარა მესმის,
სევდა მარგუნა ხალისის ნაცვლად, —
ნუთუ დააზრო ზამთარმა ფესვი,
თუ ჯერ ადრეა ფოთოლის გაშლა?

ამ გაზაფხულის აღარა მესმის, —
გარშემო ყველა ირთვება მწვანით,
მე კი დამერღვა სიცოცხლის წესი:
შიშველი ვარ და მიჟრჟოლავს ტანი...

ეს გაზაფხული ალბათ სულ შემშლის
ან მისი ხიბლი ვით დავიჯერო, —
ვინ მომისაჯა სიკვდილი მზეში,
როცა სიყვარულს მოჰკივის წერო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ჭილაშვილი

# ფორიაქი

მოთხრობა

კაკანაანთ სახლიდან გვიანობამდე კიაფობდა შუქი, დიდ ფუსფუსში იყო ოჯახის რძალი: აქეთ ლობიოს ტომარას მოუკრა პირი, იქით — ჩირის ასხმულები გამოახვია. დაკოპილი გამოჰყურებდა დედამთილი, ეტყობოდა ბოღმისაგან აღარ იყო, მაგრამ ენას კბილს აჭერდა.

— შვილო, მაყვალა, მათიკოსთან გადაირბინე და ხახვის მაზანდა ჰკითხე, გუშინ ბლომად გაუყიდია. ქალაქ წასვლაა, ბარემ ცოტა ხახვიც გავიმძღვაროთ, ერთი-ორი გროში ავიღოთ.

— დედი, ორშაბათს ბოტანიკის მასწავლებელმა უნდა გამიძახოს, გაკვეთილს ვსწავლობ, —ისე გაეპასუხა, გოგოს წიგნიდან თავი არ აუღია.

— გაკვეთილსაც მოასწრებ, ფეხთ არ გაცვია, იქნებ შეგვხვდეს რამე... რა სხვასავით მამა თავზე გადგას, ჩემს შვილს არ გაუჭირვოო... — ნატოს გუნება შეეცვალა, თავბედის წყევლას მოჰყვა.

— დედი, წყაროზე ლაპარაკობდნენ, მამას თურმე მეურნეობის ვალი დასდებია! — სცადა გოგონამ მამას გამოსარჩლებოდა.

— მაშ, რა ეგონა, იმ შარახვეტიას რომ გადაეკიდა? ჯერ სად არის, იქნება პერანგიც გააყიდინოს... წადი, შვილო, დროზე, მერე ძაღლი არ აუშვან...

მაყვალამ წიგნი დახურა, შალში გამოეხვია და უჩუმრად გავიდა. ეს კი ვეღარ მოითმინა კაკანამ და რძალს საყვედური ჰკადრა:

— შენ თუ არ დაგიშლია, ამ გოგოს რაღას ერჩი. ბავშვს ბაზარში რა უნდა? ვერ გაიგე, მასწავლებელმა უნდა გამიძახოსო.

— დედამთილო, ჩემი საქმისა მე ვიცი... რა შენი შვილითა ვარ ნებიერი! ჩვენც გვინდა ცხოვრება, წავიყვან, ფეხთ ვუყიდი, ცოტას გავატარებ...

— სოფიოს მულიშვილი ჩამოსულა, ლობიოს ყიდვა ნდომებია, იქნება იმათ ჩაუტანო?

— რას ამბობ, ადამიანო, ის მუქთად მომინდომებს, სადა მაქვს გასაჩუქებელი ლობიო!

— ნახევარ ფასშიც რომ მისცე, არ გიღირს მთელი დღე ბაზარ ადგილას კავკავს?

— გაურჯელად არაფერი მოდის...

— შენზე ახალგაზრდა ვიყავი, რომ დავქვრივდი, მაგრამ ოთხი შვილი ისე გამოვზარდე, არავის არაფერი გაუგია.

ეს ერთი გოგო გაგვიჭირდა? ჩემი პენსია თქვენი სანაცვლო იყოს. კიდევ რასაც შევძლებ, სხვა ვისთვის მინდა?

— ნეტავი, მეც დავქვრივებულიყავი...

კაკანას ტყვიასავით მოხვდა რძლის ნათქვამი, ტახტზე ჩამოჯდა.

— წინდაუხედავი ლაპარაკი ნუ იცი! ისეთი დედა არა ვარ, რომ შვილს ცუდ საქმეში პირი მოვწმინდო, მაგრამ დედას შვილი არ უნდა დაუწყევლო... ქალი ხარ, მეტი სიდარბაისლე გმართებს. ი შენი ქმარი მოვა ჭკუაზე, სულ ხომ ასე არ იქნება? მაგისთანები იციან კაცებმა...

ისევ დედამთილმა გაშალა კოპები, ისევ კაკანამ გაათბო სიტყვა რძლის მოურიდებელი პასუხებით გულჩაკლულმა.

...ინათა თუ არა, ნატომ შვილი ლოგინიდან წამოაგდო და მძინარ-მღვიძარე თან გაიყოლა.

კაკანას გული დაეწვა გოგოს ზლუქუნზე, ლოგინი რომ არ ეთმობოდა. დედა-შვილი თავიანთი ბარგით გზაზე გამოვიდნენ. სუსხიანი დილა იყო, ნატომ მანქანის მოლოდინში ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ფეხებს ბაკა-ბუკი აუყენა, მაყვალამ კი დედის უბეში წაყო თავი და უგემური თვლემით იკლავდა დილის ძილს.

გულხელდაკრეფილი კაკანა გაქვავებული იდგა. მტერს, ის რომ დღეში იყო მათი შემყურე, მაგრამ რძლის სიჯიუტე ნაბიჯს უბორკავდა. ისევ თოხი აიღო და ბოსტნის ბილიკს ჩაჰყვა.

მანქანამ არ დააგვიანა, მის გამოჩენისთანავე ნატომ ხელების სავსავი დაიწყო — „გააჩერე, გააჩერეო". მანქანაც გაჩერდა. ეცა ქალი თავის ბარგს, ხან ტომარას დაეჭიდა, ხან კალათას, მაყვალას მუჯლუგუნიც მოასწრო — მარჯვედ გაისარჯეო, შოფერმაც წააშველა ხელი და, როგორც იყო, დაბინავდნენ. ავტობუსი ისე დაეზვეპათ კალათებით, ყუთებით და ტომრებით, რომ თავად მგზავრებს აქა-იქ პალოებივით ამოეყოთ თავი.

— ქა, ცოტა მისწი-მოსწი ეს ოხრად-დასარჩენი ყუთი! — დაუტატანა ნატომ ბარგში ჩაჭედილ, ზემოუბნელ ზაქარას.

— ქალო, რას იწყევლები ამ დილაადრიანად! — აიფოფრა ზაქარა.

ნატო მეზობლის კუშტმა სახემ იქვე ჩაანელა და ნაძალადევი ღიმილი მოჰგვარა.

— ისე ვთქვი, შე კაი კაცო, სიტყვის მასალათ, რა ცა გაგიწითლდა, ე ბალღი მინდა დავსვა, მე როგორმე ფეხზე დავდგები.

ზაქარამ ნატოს დაყვავებაზე შუბლი გაშალა და თავისი გრძელი ხელებით მაყვალა ციმციმ შემოსვა ყუთებზე.

— მაგრად დაჯექ, შვილო, ხელი ჩაჰკიდე რამეს, ჭანჭყარში თავი არაფერს მიჰკრა, — დაარიგა ნატომ შვილი და თვითონაც ცდილობდა ფეხი მაგრად მოეკიდებინა.

— წავედით? — დაიროხროხა შოფერმა.

— წადი, გარეკე... — მიაძახა ზაქარამ.

მანქანა დაიძრა თუ არა, ნატოც შექანდა და წინა სკამზე ბერიკაცის კალთაში ჩაეხეთქა.

— უი, აგრემც გავქრები, ბოდიში, სოლიკო პაპა; ეს ოხერი ნასვამია თუ უძინარი, რატო ესე მიაბორძიკებს.

ნატო რის ვაი-ვაგლახით გასწორდა წელში.

— მოდი, როგორმე ჩამოჯექ, — ბერიკაცმა გვერდიდან ხელჩანთა აიღო, ფეხებშუა ჩაიდგა და ფანჯარას მიეყუჟა, — თითისტარა ქალი ხარ, დაეტევი...

— დავეტევი, მა რა მიწა დამეყრება, პალტო აიკალთავა ქალმა და სკამის კიდეზე ჩამოჯდა. — შენ რაღაზე გარჯილხარ, სოლიკო პაპა, ამ სისხამზე, ისეთი რა გაგიჭირდათ?

პასუხის მოლოდინში ნატომ ცალი ხელით თავშალი გაისწორა.

— გაჭირვება მარტო კუჭისა კი არ არის, სხვანაირი გაჭირვებაც ყოფილა, იმან გამიყენა გზას. — როდის, როდის ამოიგმინა სოლიკომ.

— რა გაჭირვება, ადამიანო? — ლო-

უაზე ხელი იტკიცა ნატომ, — ხომ მშვიდობაა, ქა?

— მშვიდობას რას ეძახი, მაძღრობასა?

ქალმა სასოებით მოატარა თვალი აქაიქა ჩამძვრალ მეზობლებს — გამაგებინეთ ამ კაცის თავს რა ამბავიაო, მაგრამ მანქანის ჰანჭყარსა და გუგუნში ყველა თავის ფიქრის კალო' ლეწავდა. რაკი ბერიკაცმა პირში წყალი ჩაიგუბა, ისევ ნატომ შემოუარა შორიდან.

— ოროღბეში ქალები ლაპარაკობდნენ, გოგიას თავისი სამი ოთახის მოწყობილობა თქვენთვის გამოუგზავნია. ახალი შეიძინაო. შვილიც ვარამ და სოლიკომ დაიკვეხონო.

— ის აღარა თქვეს, მეორე დღესვე უკან რომ გავუგზავნე ჩემი ნათლულის მანქანით? — ბერიკაცმა აკანკალებული ხელი ნიკაპთან მიიტანა — აი, ბოღმა აქა მაქვს მომდგარი. ამ ხალხისაც გამკვირვებია, რა დასაკვეხი და შესანატრი დაგვაგულეს...

ნატომ ნიშნეულად ვერაფერზე მიიტანა გუმანი და ჩაჩუმდა, ბერიკაცს კი გულს მოდებული ცეცხლი გაუღვივდა.

„თვითონ ახალი შეიძინაო, ჰა?!" — ულვაშებში მწარედ ჩაიცინა — მერე, რა სახსრებითა? ავეჯი რას მიქვია, რომ კაცმა წარა-მარა იცვალოს, დედაჩემის პურის კიდობანი ისევ ისე გვიდგას. ისეთია, კრიალი გაიქვს, განა წყალში ვდგევართ, განა ვერ ვიყიდით მონდას, მაგრამ კაცი მიკვირია არ უნდა იყოს...

— რაკი უყიდიათ, მშვიდობაში მოიხმარონ...

— ეეე, დედაკაცო, ყურთ ხომ არ ვაკლია? რომელ სახსრებითა-მეთქი? ჩემი გოგიასთანა ინჟინერი სხვა აღარავინ არის? სამი შვილი ჰყავს შესანახი, სიდედრიც ცოლის მზითებში ერგო, ამოდენა ოჯახს ეხუმრები?

— ცოლიც ხომ მუშაობს?

— მუშაობს, თორემ... იმას თავისი კაბების მეტი არა ეკითხება — ეს გრძელიო, ეს მოკლეო, ჭრელიო, ჭრულიო... გული რაღაც ცუდად მიჩხაკუნებს, თუ ჩემი გოგია გაბრიყვდა და ჩალიჩობა დაიწყო, კაი ვაჟკაცია და თვალი გამისწოროს... ჯერ მამა ცოცხალი ჰყავს... ოჯახი პატიოსნებით უნდა იყოს მდიდარი, თუ არა და რა აკლიათ? არა შიათ, არა სწყურიათ, აცვიათ, ახურავთ, მეტი რა ჭრელტარიანი კოვზი უნდათ? მე და ჩემი დედაკაცი იმათთვინ არ ვირჯებით? შენ და შენი ქალობა, ჩემს ხელში ხარ გაზრდილი, გაგიგია, ჩემი ოჯახის აუგი?

— რასა ბრძანებთ, სოლიკო პაპა, ენა ვის მოუბრუნდება...

—ჰოდა, ასეც იქნება! სირცხვილის ჰაის მკვდარიც არ დაევხერეინება...

ნატომ აღარ იცოდა რა იმედიანი სიტყვებით ენუგეშებინა თვალცრემლიანი ბერიკაცი, მაგრამ მანქანის დამუხრუჭებამ და ბაზართან ატეხილმა ალიაქოთმა სოლიკო კი არა, თავიც დაავიწყა. როგორც იყო გადმობარგდა, უშა დაიქირავა, დახლთან ადგილი დაიმკვიდრა და მყიდველის მოლოდინში საუზმედ წამოღებული პური და ყველი გაკიკნეს დედა-შვილმა.

— რა ღირს ლობიო?

— მანეთნახევარი! — ტუჩები ნამცეცებისაგან მოისუფთავა ნატომ.

— ნახევარი რაღაა? მანეთი!

— როგორ გეკადრებათ, ისეთია ნაღებივით, ერთ წამოდუღებაზე იხარშება.

— დედი, მიეცი მანეთად! — სახელო ჩამოუწია უხუმრად მაყვალამ. ნატომ თვალები გადაუტრიალა შვილს.

ქალმა სამი კილოგრამი აწონინა და თუმნიანი გაუწოდა. ნატოს კარგად ენიშნა „სიფთაზე" მიწოდებული ტკიცინა ფული, მაგრამ ხურდა არ აღმოაჩნდა. მაშინვე აქეთ-იქით მეზობლებს მიუბრუნდა, ხომ არ დამიხურდავებთო, იმათ მხრები აიჩეჩეს, სად გვექნებაო, ჯერ არ გვივაჭრიაო.

— მაყვალ, გაიქეცი, ვინმეს დაახურდავებინე, — მიუბრუნდა შვილს ნატო. მაყვალა მიჰყვა, მიჰყვა დახლებს, სათითაოდ ეკითხებოდა — ამის ხურდა გექნებათო და თუმნიანს ანახვებდა, ბა-

ზრის ბოლოს შეღებილი თაბაშირის ყულაბებით მოვაჭრე კაცთან მივიდა. ამ კაცმა ჯერ ყური არ გაიბერტყა გოგონას მიმართვაზე, მაგრამ რაკი მეორედ გაუმეორა, თავი ოდნავ დაუქნია და ფული გამოართვა.

მაყვალა მოუთმენლად ადგილზე ტოკავდა.

— ჩქარა, ძია, ქალი გველოდება.

— ვაჰ, მანქანა ხომ არა მაქვს ხელებში, — კაცმა უბისკენ წაღებული ხელი ავად დაუშვა, — შენ ეს მითხარი ვინ მოგცა ეს ფული?

— როგორ თუ ვინ? — მიაშტერდა გაოცებული გოგო.

— ციც! — თითი დაუქნია, — გირჩევნია აქედან უჩუმრად გაიპარო, თორემ იცი სად წაგაცანცალებ? — კაცმა ბაზრის შემოსასვლელისაკენ გაიშვირა ხელი.

— დედი, დედი! — სასოებით დაიძახა მაყვალამ და სახეში შემოიკრა ხელები. გოგონას გარშემო უმალ ხალხი აჩოჩქოლდა: „რა მოხდა?“ „ვისია ბავშვი?“ ხან ერთმა გადაუსვა თავზე ხელი, ხან მეორემ, მაყვალა კი მდუღარებას აფრქვევდა.

— რას ერჩოდი ამ გოგონას?! — წინ წამოდგა ერთი ახმახი კაცი. „კერამიკოსი“ მუშტისოდენად მოიკუნტა. — რას უნდა ვერჩოდე, აჰა, მაგის თუმანი, ეგ თავისთვის, — მე ჩემთვის.

— შენ ვინ მოგცა მაგის თუმნიანი? — ჩაერია ახლა ერთი გაკაპასებული მანდილოსანი და კინაღამ იმ კაცს ფრჩხილებით თვალები ამოაცალა.

— ჯერ გაიგე, მერე ისე გაშალე შენი ბრჭყალები... — ყულაბა-მამალი უნდოდა, მაგის ხურდა არა მაქვს-მეთქი, როგორ თუ არა გაქო? ტირილი მორთო.

უცებ მილიციელის სასტვენის ხმა გაისმა, „ოსტატს“ ტანში გასცრა. არც მაყვალა ჩავარდა კარგ დღეში, გაოცებული თვალებით უმწეოდ შემოატარა ირგვლივ და სანთელივით ჩაილია. დამფრთხალი ქორვაჭარი დახლზე გადმოწვა და თუმნიანი ძალად მიაჩეჩა გოგოს ხელში...

ბაზარში ცოტა კმარა, ხმა დაირხა — ბავშვი დაიკარგაო. ნატოს ელდა ეცა, ისევე მიანება თავი ყველაფერს და ძუ ვეფხვივით ეკვეთა ხალხის ტალღას.

— გამიშვით ქა, ბავშვი დამანახვეთ... ჯიქურ მიიწევდა დედა. როგორც კი თავისი აცრემლებული გოგო და მილიციელი დაინახა, იქვე თვალთ დაუბნელდა და მუხლი მოეკვეთა.

— წყალი, წყალი...

— ჰაერი, ჩამოეცალეთ! — ერთმანეთს არ აცლიდნენ მანდილოსნები გაჭირვებული ქალის შემწეობას. მილიციელმა იგრძნო, გოგონას იმის დანახვაზე შეეშინდა, მიეალერსა, ხალხს სთხოვა დაიშალეთო.

— ვეხუმრე, ჩემი თავის მზემ, ვეხუმრე... — ფიცით იფხრიწებოდა ის კაცი. ეგრე მცოდნოდა, რა ენა მომვარდებოდა და სიტყვას ვეტყოდი, ყველა ყმაწვილი ხომ ერთნაირი არ არის...

მაყვალას გულჩაკლული მზერა კი სულ სხვას ეუბნებოდა მილიციის განყოფილების მუშაკებს, მაგრამ ისევ ბავშვის დასამშვიდებლად ვითომ დაუჯერეს ნათქვამი და მკაცრად გააფრთხილეს — ასეთი „ხუმრობა“ მეორედ აღარ გაბედოო. მერე ბოდიში მოახდევინეს პატარა მოქალაქესთან და დედა-შვილი კეთილად გამოისტუმრეს.

დედა-შვილს თავიანთი გასასყიდი ისევე დახვდათ, მეზობელ მოვაჭრეებს დაეჭირათ თვალი. ნატოს გაყიდვის გული აღარ ჰქონდა.

— აი, რაც არის სულ მანეთად წაიღე! — უთხრა ბოლო მუშტარს და აუწონავად ჩაუყარა ჩანთაში ტომარაში ჩარჩენილი კარგა ბლომა ლობიო...

— დიდ უნივერმაღში წავიდეთ... ტუფლები იყიდე, საკაბეც შენი გუნებით შეარჩიე, — ძალა მოიკრიბა ნატომ შვილის წასახალისებლად, მაგრამ მაყვალას ისეთი ფერი ედო, გული დაეწურა.

— დედა, შინ წავიდეთ, — შეევედრა შვილი.

კაკანა ჭიშკართან იდგა და გზას გამოჰყურებდა, ავად ჰქონდა დაცდილი მარჯვენა თვალის თამაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ კუპრავა

# სირიაჩქონის ტყის სიზმარი

რომანი ხუთ ნაწილად

საქართველო ჰგავდა ქარიშხლიან ზღვაში დარჩენილ ხომალდს.

მენშევიკები ევროპის იმპერიალისტებთან კავშირში ხედავდნენ ხსნას.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველო გამოაცხადა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, მმართველობის დემოკრატიული ფორმით. ხოლო ორი დღის შემდეგ, 28 მაისს, მენშევიკურმა მთავრობამ ფოთში ხელი მოაწერა გერმანიასთან მთელ რიგ ხელშეკრულებასა და შეთანხმებაზე.

აი, ამას შეარქვეს მენშევიკებმა დემოკრატია და დამოუკიდებლობა; გინდა, თუ არა, სწორიაო, იძახდნენ მრუდეზე.

საქართველოს სამხედრო, ფინანსთა და სასურსათო საქმეთა სამინისტროებში რბილი, ხავერდგადაკრული სავარძლები ეკავათ გერმანელ მრჩევლებს.

გერმანელებმა საქართველოში ჩამოაყალიბეს სააქციო საზოგადოება, თბილისში შეიქმნა გერმანია-კავკასიის ბანკი და გერმანიის სავაჭრო პალატა.

ამით დამთავრდა გერმანიისათვის საქართველოს პოლიტიკურად და ეკონომიურად დამორჩილება.

საქართველო ფაქტიურად უკვე გერმანიის კოლონია იყო.

საქართველოს მოსწვდა ლენინის ხმა: „თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ.“

ეს სიტყვები ხალხთან უნდა მიეტანათ ბოლშევიკებს.

მენშევიკებმა იგი ცალი ყურით მოისმინეს და იმ ცალი ყურიდან მეორე ყურში გაატარეს...

გერმანელებს ერთი სული ჰქონდათ, აღედგინათ საქართველოში მონარქიული წყობილება...

ვგრძნობთ, თოვლისა უგულოდ მისმენს.

— ეს ყველაფერი ვიცი, მამა, სკოლაში გვასწავლეს. ვერიკოს ამბავი მომიყევი, გეხვეწები!

— ნასწავლს განმეორება არასდროს ავნებს... თან: დოქს ჯერ ყელი თუ არ გამოუძერწე, ისე პირს როგორ გაუკეთებ? მოითმინე! მოთმინებაზე უკეთესი არაფერია ქვეყანაზე, — ვეუბნები ჩემს

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“, № 1.

მოუსვენარ გოგონას ცხონებულ ესტატე ბიძიასაგან შესისხლხორცებულ სიბრძნეს და საუბრის გაწყვეტილ ძაფს ერთმანეთზე ვნასკვავ.

ამ მონარქიული წყობილების აღსადგენად გერმანელებს სურდათ ტახტზე აეყვანათ:

ან საქართველოს მეფეთა, ბაგრატოვანთა, ერთ-ერთი მემკვიდრე...

ან— რომელიმე გერმანელი პრინცი... (სათქმელს ცოტათი წინ გავუსწროთ: ეს პროექტი არ განხორციელებულა. გერმანელებმა მხოლოდ ექვსი თვე იბატონეს საქართველოში. თუმცა ამ ექვს თვეშიც ბევრი სისხლის გამოწოვა მოასწრეს ქვეყნის მთავარი ძარღვიდან. გერმანელების წასვლის შემდეგ, 1919 წლის 14 იანვარს საქართველოში ჩამოვიდა სიპაელთა რაზმი — ბრიტანეთის კოლონიური ჯარი. ამაზეა ნათქვამი: რა მგელს შევუჭამივარ, რა — მგლისფერ ტურასაო).

ვაჭრობის საქმეს გერმანიასა და საქართველოს შორის თვითონ გერმანელები საათივით აწყობილად თვლიდნენ.

შემოჰქონდათ!

ფართლეულის ანგარიშით — ქიმიურად დამუშავებული ქაღალდი, რომელიც თვით გერმანიაში ქსოვილებს ცვლიდა,

და

ფოლადის სახით — ჯიბის დანა, ჩვენ რომ ჯაყვას ვეძახით.

ეს იყო და ეს მათი შემოტანილი საქონელი.

გაჰქონდათ: მარგანეცი, მატყლი, ბამბა, თამბაქო, ღვინო...

მენშევიკური მთავრობა ამით ფრიად კმაყოფილი იყო.

გერმანელები გრძნობდნენ, რომ თვით ქართველი ხალხი, მთავრობის გარდა, მათ მიმართ მეგობრულად არ იყო განწყობილი და აღშფოთებას გამოსთქვამდნენ. გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში — გენერალმა ფონ კრესმა განუცხადა კვლავაც მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას ამის შესახებ.

მენშევიკური მთავრობისაგან გათამამებულნი და უაღვიროდ მიშვებულნი, გერმანელები თავს არხეინად გრძნობდნენ მთელ საქართველოში.

გერმანიის მეათე მოიერიშე ბატალიონის ჯარისკაცები აბაშაშიც იყვნენ დაბანაკებულნი; მოსწონდათ აქაური ბუნება, ჰაერი, ქალიშვილები...

ვინ რა აზრისა იყო იმხანად საქართველოზე, საქართველოს დემოკრატიასა და დამოუკიდებლობაზე?

მენშევიკი წერეთელი ტრიბუნიდან ომახიანად გაიძახოდა:

— რუსეთის ხალხს ამ კრიზისულ მომენტში არაფრის გაკეთება არ შეუძლიაო!..

მენშევიკმა ჩხენკელმა ისიც კი განაცხადა:

— საქართველო არა თუ კულტურულად, არამედ გეოგრაფიულადაც უნდა დაუახლოვდეს ევროპასო!..

ნოე ჟორდანია — საქართველოს მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც წინათ ხმამაღლა ლაპარაკობდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ახლა თვითონვე აცხადებდა:

— საკუთარი ძალებით ამიერკავკასიას თავდაცვა არ შეუძლია. ამიტომ ჩვენ გამოვნახეთ მფარველი — ევროპის იმპერიალისტების სახით. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არისო...

ლენინმა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე შესაფერისად ახსნა და განმარტა საქართველოს ფიქტიური დამოუკიდებლობა და საქართველოს ცხოვრებაში გარეშე ძალის — ინტერვენტების როლი:

— ჩვენ უკვე ძალიან კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავს იმპერიალისტური ჯარების ასეთი მოწვევა რესპუბლიკის დასაცავად. ჩვენ ვიცით თუ როგორი იყო ეს მოწვევა ბურჟუაზიის, ესერების ნაწილისა და მენშევიკების მხრივ. ჩვენ ვიცით თუ როგორი იყო ეს მოწვევა მენშევიკთა ბელადების მიერ თბილისში, საქართველოში...

(ლენინის ეს მოხსენება რუსულ ენაზე გამოქვეყნდა წიგნში „სრულიად რუსეთის ცაკის მეხუთე მოწვევა. სტენოგრაფიული ანგარიში“. წიგნის ერთი ეგზემპლარი ბოლშევიკებმა სპარტაკელებს გადასცეს. აბაშის სპარტაკელებს მხოლოდ ორი დღით ჰქონდათ იგი და ამ ორ დღეში მოასწრეს მოხსენების მთლიანად გადმოწერა. რუსული ტექსტის ქართულად გადმოთარგმნაში ახალგაზრდებს დაეხმარა მასწავლებელი კორნელი გაბუნია).

ლენინი იცნობდა საქართველოში შექმნილ ვითარებას. საქართველოში მძვინვარებდა სპეკულაცია და მისი მოსპობა არ ძალუძდა მთავრობას. სპეკულაციის მოსპობა არსებულ ვითარებაში შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური კანონების დამყარებით, რისი წინააღმდეგიც იყვნენ მენშევიკები.

ამ დროს კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ლენინი წერდა: „ჩვენ ვიცით, რომ კავკასიაში ჩვენი ამხანაგი კომუნისტების მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელია, რადგან ირგვლივ მათ ღალატობენ მენშევიკები, რომლებიც პირდაპირ კავშირს ჰქრავენ გერმანელ იმპერიალისტებთან, რა თქმა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საბაბით“...

საქართველოს მოსახლეობა, ბოლშევიკების მეშვეობით, თანდათან ერკვეოდა, რომ მენშევიკური პოლიტიკა ანტიხალხური იყო; რომ თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის, წესრიგის მოპოვება კავკასიაში შეიძლება არა უცხოელ იმპერიალისტთა ხიშტებით, არამედ საკუთარი ხელებით, რომელსაც მაღლა უნდა აეწია სოციალისტური რევოლუციის დროშა...

...კრების დამთავრების შემდეგ, ფედიას სახლიდან ახალგამოჩეკილი სპარტაკელები და უფროსი ამხანაგები ისევე თითო-ოროლად გამოიკრიბნენ, როგორც მივიდნენ.

მარტო ფედია და ქუჩუჩია დარჩნენ შინ.

ანდრო კუციას და ვერიკოს ერთი გზა ჰქონდათ. ანდრო ეწერში სახლობდა და იქამდე ერთად ივლიდნენ, მერე ვერიკო ბორნით რიონზე გადავიდოდა და კოდორიც იქვე იყო.

ეს ის ანდროა, კრების მსვლელობის დროს, ერთი გზობა, ვერიკოს მზერა რომ მოხვდა და „ლამის დაიწვა“.

ანდრო და ვერიკო კარგა ხანია იცნობენ ერთმანეთს.

კოდორიდან აბაშისკენ მიმავალ ვერიკოს ადრეც ხშირად დამგზავრებია ანდრო, ხილიც გადმოუტანია გოგონასათვის თავის ეზოდან...

ანდრო ათი თუ თორმეტი წლით უფროსი იყო ვერიკოზე.

რკინიგზა ჩამოიტოვეს და საურმე გზას მიჰყვნენ.

მერე და მერე მხოლოდ ძიგირი და უმოსახლო, ტიალი მინდვრები გასდევდა გზას.

აქ ვერიკო, ზაფხულობით, ყოველთვის გაიძრობდა ხოლმე ფეხსაცმელებს და ბორნამდე ფეხშიშველი მიტატუნობდა გზის ნაპირ-ნაპირ, რბილ ბილიკზე, ფეხსაცმლებს უფრთხილდებოდა.

ახლა ციოდა და თან მამაკაციც ახლდა, ამიტომ რბილი ბილიკით წავიდა, რომ შუაგზაზე დაყრილ ხრეშსა და კაჰარს ფეხსაცმლის ლანჩები ზედმეტად არ გაეცვითა.

— ვერიკო, შენ გოგო ხარ, — ხმა ამოიღო ანდრომ, — გაგიჭირდება ჩვენთან მუშაობა...

— ასე რატომ გგონია, ანდრო!..

— არიან გოგოებიც რევოლუციონერები, მაგრამ რაღაცნაირად უფრო მამაკაცურნი, უხეშნი... მე ვიცნობ ერთს, ქუთაისელს, შუშანიკა კუპრაშვილს... შენ სინაზე გამკობს... ეგ თითები მარწყვის საკრეფადაა, იარაღს ვერ დაიჭერს...

— მე ჩემი ძმების გზას მივყვები, სხვა არაფერი ვიცი...

ეტლმა ჩაუარა ფეხით მიმავალთ და

გაუსწრო. შიგ ორნი ისხდნენ: ვიღაც კნეინა და ოფიცერი.

მეეტლე ეწერელი იყო. ანდროს და ვერიკოს ტუჩმოკუმულმა დაუკრა თავი, თითქოს მოიბოდიშა: რა ვქნა, დიდი ხალხი მიმყავს, გვერდით არ მოგისვამენ, თორემ უფულოდ წაგიყვანდითო...

ეტლში მსხდომთ ვითომ არც შეუნიშნავთ ვერიკო და ანდრო.

— ვინ არიან? — იკითხა ვერიკომ.

— ოფიცერი თბილისში ცხოვრობს. ისე აქაურია, ჩემსოფლელი, ვიცნობ. ქალი არ ვიცი ვინაა. ალბათ ცოლი შეირთო...

— თუ შენი თანასოფლელია, რატომ არ მოგესალმა? — ვერიკო ლაპარაკობდა მხოლოდ აუცილებლობისათვის (ხომ უნდა ელაპარაკნა რამე!), დუმილი ერჩია ათას წილად, რაში აინტერესებდა ვიღაც უცნობების ამბავი.

— ალბათ ვერ მიცნო... საერთოდ არ ესალმება გლეხებს, ყველას ბოლშევიკებს ეძახის და გასაწყვეტლებს... ქართული არც იცის ხეირიანად, საფრანგეთშია ნასწავლი...

სალაპარაკო შემოელიათ.

ვერიკომ მეტი შეკითხვა ვერ გამოსძებნა, უნებლიედ შესცურა თავის ფიქრებში, ფიქრობდა ძმებზე... შურისძიებაზე... მომავალ ბრძოლებზე და კიდევ — ლენინის სურათზე, რომელიც პალტოს გულის ჯიბეში ედო და ხვალ თუ ზეგ წითელ შილაზე უნდა გადაეტანა ნემსით და ძაფით.

ხვალ თუ ზეგ კი არა, დღესვე შეუდგება ვერიკო ამ საქმეს, გულსაც გადააყოლებს, თავის დარდსაც ჩააქსოვს ძაფთან ერთად...

რა უცნაური ყოფილა მაინც ეს წუთისოფელი!

ცოცხლობ, გაქვს შენი აზრი, შენი მიზანი, გინდა იარო შენი გზით და... ვიღაც გიკრძალავს ყოველივეს.

გიკრძალავს და გიბრძანებს:

— იარე არა ისე, როგორც შენ გსურს, იარე აი ისე, ამ გზით! არ ივლი და, მოგიგრეხ კისერს!..

მარტო შენ რომ გეხებოდეს, იქნებ გაუძლო, აიტანო. მაგრამ აქ წყდება ბედი შენი ქვეყნისა, შენი კერისა. ამ კერაში გეცილებიან! ახლა სურთ კიდევ ვიღაც გადამთიელი მოგისვან გვერდით.

მერე და მერე ის გადამთიელები გაიწ-გამოიწევიან ალბათ, შენ იქით გაგაჩოჩებენ მაგ შენ ჯორკოიანად და, ხელს კი არა, თვალსაც ვერ მიუახლოვებ შენი ცეცხლის სითბოს.

შენს ბუხართან შენთვის ადგილი არ დარჩება...

ადილარ გვაზავამ შეუკრა ხელები ვერიკოს ძმებს და წაიყვანა, მათრახიც გადაჰკრა ზურგზე ვაჟებს...

რა სწადია ადილარს?

საქართველოს თავისუფლება?..

ვერიკოს რად უნდა ეს ცა და მიწა, თუ მისი ძმები არ იქნებიან... თუ ქართველი ქართველობას დაჰკარგავს და სულს ეშმაკს მიჰყიდის!..

ადილარ გვაზავას გულის ნაცვლად ყინული უდევს მკერდში...

მაგრამ ეშინოდეს ადილარს!..

ვერიკო თუ ქალია, დააჩოქებს მას და ღორივით დააჭყვირებს, ბაზარში რომ ჭყიოდა დასაკლავი თუ ურემზე დასათოკი ღორი...

ცოტა დააცადონ ვერიკოს!

იცის ვერიკომ სამაგიეროს გადახდა!

ის ჯაბა კიზირიას შვილია! ლევანის და მოსეს დაა!..

ლუკაია მღვდლის გამწარება მონაგონი იქნება ამ შურისგებასთან...

ეწერში ისე შესულიყვნენ, ვერიკოს არც გაუგია.

ანდრო სულ ვერიკოს უყურებდა და მის ნაბიჯებს ითვლიდა, რაღაც დიდი „ბრძოლისათვის“ ემზადებოდა, საუკეთესო სიტყვებს არჩევდა ქართულ სიტყვათა მარგალიტებში...

— ვერიკო! — თითქოს საიდანღაც, ძალიან შორიდან მოესმა ვერიკოს.

ეს ანდროს ხმა იყო.

ვერიკო გამოერკვა და ახლაღა იგრძნო, მუშტები ისე მაგრად შეეკრა შურისძიებაზე ფიქრებში ჩაფლულს, რომ თითები სტკიოდა...

ვერიკომ ანდროსთან ერთად აბაშიდან ამ გზისკენ გადმოხვევისთანავე იგრძნო, რომელ წისქვილზედაც აპირებდა ანდრო წყლის მიშვებას.

იგრძნო, მაგრამ არ შეიმჩნია.

რა ენაღვლება, ელაპარაკნა კაცს, გული მოეფხანა. გზა ხომ უნდა გაელია, დრო ხომ უნდა მოეკლათ რამეთი!..

თუმცა, ვერიკო მარტო რომ წამოსულიყო, თავისივე დუმილითაც მშვენივრად გალევდა გზასაც და დროსაც მოკლავდა.

„ეჰ, მოგცლია, ჩემო ანდრო, და ეგაა! ვიცი, რაც უნდა მითხრა! რახან არ იშლი, მიდი, ილაპარაკე... არაკუნე ეგ შენი წისქვილის სარეკელა, მინდს არავინ გთხოვს“...

ანდრო მართლაც მიდიოდა და არაკუნებდა იმ თავისი წისქვილის სარეკელას:

— შენ უკვე თოთხმეტი წლისა ხარ, ვერიკო...

(ანდროს აშკარად უთრთოდა ხმა).

— მართალია, თოთხმეტისა ვარ, მაგრამ მე მეჩვენება თითქოს მეტისაც ვიყო...

—შენ ნაზი ხარ და ლამაზი. რევოლუციონერობა გაგიძნელდება...

„ეგ ხომ უკვე თქვი“...

— მე მარტო ვიბრძოლებ ჩვენ ორივეს მაგივრად, შენს მაგივრადაც... შენ შვილები უნდა აღზარდო...

„შენ შენს მაგივრად იბრძოლე, შე გლახაკო, თუ შეგიძლია რამე... ეჰ, რა კარგი კაცი იყავი, ანდრო, აქამდე, ასეთი სულელური ბეუტური რომ არ დაგეწყო!... რაო? ვერიკოს რევოლუციონერობა გაუძნელდებაო? შესაძლოა... მაგრამ მაინც ამ გზით ივლის ვერიკო... ე, მიდი ახლა, განაგრძე, რას დაგება ენა“...

— თოთხმეტი წლისანი უკვე თხოვდებიან, ვერიკო... დედაჩემი ხომ იცი? რა ახალგაზრდაა. თოთხმეტისა გათხოვილა სწორედ...

„ბებიაშენი რამდენისა გათხოვილა, იმის სულს გაფიცებ, არ დამიმალო...“

ეს ხომ გულში გაიფიქრა ვერიკომ, ხმამაღლა სულ სხვა თქვა:

— რა დროს გათხოვებაა — ახლა.., ალბათ ხუმრობ...

ცოტა არ იყოს, მწყრალად ნათქვამი გამოუვიდა; გაბრაზდა და თვითონვე გაიკვირვა: მეც ერთი, რაღა მაბრაზებს, რაც უნდა ისა სთქვასო...

ამის შემდეგ ვერიკოს ანდროსთვის პირდაპირ არც ერთხელ არ შეუხედავს.

ანდროს კი თვალი არ მოუცილებია მისთვის.

კარგა მანძილი გაიარეს უხმოდ.

„კიდევ რას იტყვი, ანდრო ბატონო, ბრძანე, თორემ დავილალე შენი ხმის ამოღების ლოდინში...“ — განაგრძობდა ფიქრს ვერიკო.

— სათქმელი ბევრი მაქვს შენთვის, ვერიჩკა...

„ჰოდა, თქვი ბარემ. გულში დამალული დარდი მოგკლავს, გაგათავებს, გაგახმობს...“.

— მოვკვდი, გავთავდი, გავხმი კაცი...

„გაგიხმა ენა...“

— ენა რომ გამიხმებოდეს, მირჩევნია... რამდენი ხანია, შორით გიცქერ... სათქმელს კი ვერ გეუბნები...

„გაბედე, ანდრო, ნუ გეშინია, მე აგერ არა ვარ! გისმენ“...

— დღეს კი მართლა უნდა გავბედო... ძნელი კია, მაგრამ უნდა გავბედო...

„არაა, ბიჭო, ძნელი. თქვა ..“

— კი... ნამდვილად ძნელი ყოფილა, ვერიკო...

ვერიკოს შეეზიზღა თუ შეებრალა ეს ამხელა აყლაყუდა.

აყლაყუდადაც ახლა მოეჩვენა. თორემ მანამდე რა უშავდა საცოდავს, ერთ ქუდს ისიც ატარებდა და ერთ კაცს ისიც შეაშინებდა ჩხუბში...

ეჰ, რა კარგი იქნებოდა, ახლა ძმები რომ არ ჰყოლოდა ვერიკოს დაჭერილი და ხუმრობის თავი ჰქონოდა! ყველა ამ გულში ნაფიქრალ სიტყვას ხმამაღლა და სიცილ-სიცილით ეტყოდა თანამოსაუბრეს; იცინებდა, ბევრს იცინებდა...

ძმები რომ არ ჰყავდეს დაჭერილი ვერიკოს, მაშინ ვერც გაუბედავდა ამდენს ანდრო ლაწირაკი...

„კარგი ახლა, შეკაცო, გაფიცებ ყველაფერს, ნუ მოგერიდება და თქვი რა სიტყვაა ის ერთი უსაშველო სიტყვა.. თორემ მე გეტყვი და ისეთ სილასაც გაგაწნავ, აგიწითლებ და აგიწივლებ მაგ სპილოს ყურებს“...

ყურებიც ახლა გამოება სპილოსი, თორემ ადრე, თუმცა არ დაკვირვებია, ალბათ ადამიანის ჩვეულებრივი ყურები ექნებოდა.

ეს ფიქრი რომ გაივლო გულში ვერიკომ, მარცხენა ხელის მტევანი უნებლიედ გაეშალა, თითქოს მართლაც სილის გაწვნას აპირებდა.

— მიყვარხარ! — ანდროს ეგონა, შაქარი ამოუვიდა პირიდან. ვერიკოს სმენას კი მისი ხმა შხამად და შხანკოლად ჩაეწვეთა...

და გაახსენდა თავისი თანასოფლელი, თმახუჭუჭა ბიჭი ავთანდილი, მართლაც „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილს რომ ჰგავს ვერიკოს წარმოდგენით, თავის დღეში რომ არ დასცდენია ეს სიტყვები ვერიკოსთან, მაგრამ ვერიკოს მის ყოველ მოძრაობაში, ყოველ გამოხედვაში ესმის მისგან ეს სიტყვა...

რა უტიფრად წარმოსთქვა გულში სალოლიავებელი სიტყვა ამ კაცმა!..

ავთანდილი და ვერიკო ერთად გაიზარდნენ, ერთი სოფლის წყლით და ჰაერით, ერთი ძირი სამოთხის ვაშლის ნაყოფით, ერთი ძირი თუთის მარცვალთა სიტკბოებით...

ავთანდილს არასოდეს არ უთქვამს ვერიკოსათვის ეს სიტყვა...

ანდროს ვერიკოს დუმილი კარგის მომასწავებლად მიაჩნდა და ისევ ლაპარაკობდა ხამუშ-ხამუშ, ხმადაბლა და ხმადატკბილვით. ეგონა, ვერიკო მას უსმენდა.

ვერიკო კი ავთანდილთან იყო...

გაახსენდა, როგორ გადმოაგდო ერთხელ ცხენმა ავთანდილი, ვერიკოსთვის თავის მოწონება რომ ეწადა...

„ეჰ, ავთანდილ!

მიზანში ვერ მოარტყი იმ დღეს ნასროლი.

გეხსომება:

რიონის ჭალაში მოიყარა ხალხმა თავი ნაშუადღევს.

გრილად შებინდდა.

სიმინდი უკვე ხაშარში იყო გამოსული და გათოხნა არ სჭირდებოდა, ამიტომ უსაქმოდ დარჩენილმა მეთოხურებმა ამ ჭალას მოაშურეს თვალთა დასარწყულებლად, სასეირნოდ...

ცხენოსნობასა და ყაბახში უნდა გაჯიბრებოდნენ ერთმანეთს ჭაბუკნი...

შენ მართლა ავთანდილს ჰგავდი, მხოლოდ:

მოსირმული, ქდალი ჩოხის ნაცვლად — ლურჯწერტილებიანი, დაკონკილი პერანგი გიფარავდა სხეულს;

გაპრიალებული, გასარკული უძიროების ნაცვლად — ქალამნები გეცვა:

მოსავადებული ქამარ-ხანჯლის მაგიერ — ხვანჯარი გერტყა...

თორემ, სხვაფრივ, შენი თეთრი ცხენითაც, ნამდვილი ავთანდილი იყავი, ავთანდილ!..

ყაბახი იმ დღეს რატომღაც უფრო მაღალი აირჩიეს და ორ ერთმანეთზე გადაბმულ ორთაყვირზე მოათავსეს.

ძალიან მაღლა იდო ვერცხლის თასი. სხვა დროს ერთ ორთაყვირზე მახსოვს.

გამარჯვებულს უფლება ეძლეოდა თასი ნებისმიერად რომელიმე ქალიშვილისათვის მიერთმია და ეკოცნა თანაც...

ვიცი, შენ რაც გეწადა, ავთანდილ...

გამჩნევდი როგორ მალულად, ქვეშქვეშიდან იყურებოდი ჩემსკენ...

მაგრამ ჩემსკენ სხვა მოყაბახე ჭაბუკებიც იცქირებოდნენ რატომღაც.

იმათ კი რა ჭია გაუჩნდათ ნეტავ?!

და დაიწყო თვალთა, მკლავთა, ცხენთა და შუბთა გამოცდა.

პირველი ცეცხლისფერცხენიანი წამოვიდა და აალდინა...

ვერც მეორემ მოარტყა მიზანში...

შენ მესამემ გამოაფრინე შენი ახალგახედნილი თეთრონი.

მარჯვედ ნასროლმა შუბმა თასს გაუსრიალა და გადმოაგდო.

ახლა ჰაერშივე უნდა დაგეჭირა ბზრიალით წამოსული ვერცხლი, ცხენს კისერი მოუგრიხე მოსაბრუნებლად, მაგრამ არ დაგყვა, ყალყზე შედგა, გაგიჟდა და... გადმოგაგდო...

სეირის მაყურებელმა ხალხმა ხარხარი დაგაყარა...

ვაიმე!...

თასის გადმოგდება გამარჯვებაში არ ჩაგეთვალა, რაკი ვერ დაიჭირე ჰაერშივე.

მერე ჯოტომ გადმოაგდო იგივე თასი, ჰაერში დაიჭირა კიდეც და ჩემსკენ დაათხა ცხენი...

ძალიანაც უნდოდა ეკოცნა ჩემთვის, მაგრამ მე ხალხში გავერიე და გავუჩინარდი...

შენც რომ მოგეგო, ავთანდილ, მაშინაც გავიპარებოდი...

რა კარგი იყო ის შარშანდელი დღე!

ახლა კი გართობისთვის სადა სცალია შენს ვერიკოს!

ლენინის სურათი და ხუთი ფურცელი პროკლამაცია მოაქვს უბით...

პირველ ფურცელს უდაოდ შენ გადმოგცემს, ავთანდილ...

იცის ვერიკომ: შენ ბორანგალმა, დამბასთან შეხვდები „შემთხვევით"...

...ანდრო თავის ჭიშკართან კარგა ხანს ეხვეწა და ემუდარა ვერიკოს, ცოტა ხნით შემოსულიყო, დაესვენა, დედამისი ენახა...

ამაზე რომ უარი მიიღო, ახლა ბორნამდე მაინც გაცილება მოინდომა გოგონასი.

ვერიკო არც ამაზე დაყაბულდა არაფრის დიდებით...

ანდრო მაინც დაიმედებული დარჩა, რადგანაც გამომშვიდობებისას ვერიკომ გაიღიმა.

ანდრომ ეს ღიმება თავისთვის სასიკეთოდ მიიჩნია, ის კი არ იცოდა, რომ ვერიკომ ეს ღიმილი უძღვნა სწორედ ამ ერთი წუთის წინანდელ ლამაზ მოგონებას და არა მას...

მებორნე, ცალფეხა პეპუ ბორნის მისადგომ ბოგაზე ჩამომჯდარიყო, ნამდვილი ფეხი ძირს ჩაეკიდა, ხისა კი, არ იდრიკებოდა და, წინ გაეწვდინა; ვერიკოს დაძახებაზე, ძლივსძლივობით წამოდგა.

პეპუს ძირში რეზინამიჭედებული ხის ფეხი თვითონვე გამოეჩორკნა. ჯანსაღ ფეხზე მარცხენა ფეხის ჩექმა ეცვა, რადგანაც იმ ჯანსაღმა ფეხმა თავისი კუთვნილი ცალი დიდი ხნის წინათ დაგლიჯა ძირიან-ყელიანად. რიონისთვის გასატანებლად მაინც ვერ გაიმეტა პეპუმ; მოიქნია და იქით, ეკალბარდებისკენ მიაგდო, — ტურებმა კბილები გაილესონო.

ახლა მარჯვენა ფეხზე მარცხენა ფეხის ცალი რომ ეცვა, ჩექმას ცხვირი განზე ჰქონდა გაშვერილი სასაცილოდ. მაგრამ ამაზე არასოდეს არავის გაუცინია და სირცხვილში არ ჩაუგდია მებორნე. ვითომ ვერც ამჩნევდნენ.

ბლის გრძელტარიანი თიხის ყალიონი სულ პირში ჰქონდა გაჩრილი და, ენთო თუ არ ენთო, მაინც აპლაკუნებდა. წალდით დაჭრილი თუთუნი გამოულევლად ედო ხვანჯარზე ჩამომარყუჟებულ ჭინჭის ქისაში.

წვერს არ იპარსავდა.

ტანზე ვიღაც სალდათის ნაქონი შინელი ემოსა ზამთარ-ზაფხულ, დამოკლების დროს ქვემოდან დანით უსწორმასწოროდ შემოჭრილი. უკან, წელთან, ორი ღილით მისამაგრებელი მტკაველა ქამარი, რუსულად „ხლიასტიკი" რომ ჰქვია, ცალ ღილზე უკონწიალებდა.

შინელს, რაკი თავიდანვე რიგითი ჯარისკაცისთვის ყოფილა განკუთვნილი, ზურგის ნაკეცი გაკერილი არ ჰქონდა. ამის გამო და ამიტომ ნაბადივით იყო გაშლილი და შეიძლებოდა ღამით მართლა ნაბდად მოჩვენებოდა ვინმეს.

პეპუს ჰყავდა შრომით ადრეულად მოტეხილი ცოლი და ორი ბავშვი, გოგო-ბიჭი.

გოგო ვერიკოს კბილა იყო.

ერთი მარჩენალი თხა ჰყავდა, ბორნიდან არ იცილებდა, რადგანაც ამ ადგილებში კარგი ბალახი იცოდა. ავდრობისას თავის ხუხულაში შეჰყავდა.

ცოლი თხის მოსაწველად შინიდან აქეთ მოდიოდა კათხით.

პეპუმ ქვეყნის ამბავი იცოდა, რადგანაც ეს ქვეყნის ამბავი სულ მის ბორანზე გადი-გამოდიოდა ხალხის პირით.

ეს იყო პეპუს მთელი ცხოვრება და საცხოვრებელი.

ერთიც: პატარა საყანე მიწა ბორანთან ჰქონდა და შინაც, თავისი წკნელის ფაცხის უკან.

ბარით და ცალი ფეხით ნაშრომი რა ჭირნახულს მისცემდა, მაგრამ ბორანზე გამსვლელებისგანაც შემოსდიოდა მცირე გამოსარჩენი და გაჰქონდა სული გაჯახირებით...

პეპუმ ვერიკო რომ ნახა, სხვა გამსვლელებს არ დალოდებია, მაშინვე გაიყვანა გაღმა „ჯაბა კიზირიას გოგო".

ვიდრე ნაპირს მიადგებოდნენ, ახალი ამბები გამოჰკითხა;

გაიხსენა ჯაბას ბიჭები — ლევანი და მოსე.

საწყალი ჯაბა და დედაშენი როგორ არიანო...

ამასობაში ბორანიც გავიდა გაღმა.

დამშვიდობებისას პეპუმ ვერიკოს საიდუმლოსავით გაანდო:

— წეღან გერმანელი ოფიცერი და თოფიანი ჯარისკაცები გავიყვანე გაღმა... დროგით იყვნენ... რა ესაქმებათ ნეტავ კოდორში?..

— ალბათ საჩუქრები მოიტანეს, პეპუ ბიძია, — უნიათოდ იხუმრა ვერიკომ და თვითონვე არ მოეწონა თავისი ხუმრობა.

ბორნიდან ნაპირზე გადახტა და დამბის ბილიკს აუყვა.

ფოთლებგაცვენილ ჭადრებში შორიდანვე მოჰკრა თვალი თავის თეთრ ცხენზე ამხედრებულ ავთანდილს.

არ გაჰკვირვებია, რადგანაც ბაზრიდან დაბრუნებულს, სხვა დროსაც ყოველთვის აქ ხვდებოდა ვითომ შემთხვევით.

ვინ იცის, გუშინაც რამდენი ელოდა ამაოდ!..

ავთანდილმა ვერიკო დაინახა და მოეჩვენა, რომ სივრცე უფრო განათდა, ცა ამაღლდა, ველი გაფართოვდა...

ცხენიდან გადმოხტა, გულის სათავედან გაუღიმა ვერიკოს.

იარეს, ისაუბრეს, ოღონდ არა სიყვარულზე.

ცხენი პატრონს მორჩილად მოჰყვებოდა კვალში.

ვერიკომ პროკლამაციის პირველი ფურცელი ავთანდილს გადასცა.

ავთანდილმა თავის გაქნევით ანიშნა: ეს რა არისო?

— წაიკითხე...

კითხვა უჭირდა და შიგადაშიგ ენა უბორძიკებდა.

რომ ჩაათავა და თვალი გამართა, შეამჩნია — ცოტათი ჩამორჩენილიყო. — რევოლუციონერობა დაგიწყია, — დააწია წინ მიმავალს.

ვერიკომ მოიჭედა:

— შენც მიგიღებენ!..

— მე სად მცალია, ვერიკო! მამაჩემი ავადაა, ჩემს კისერზეა ოჯახი...

— ოჯახის საქმეში ხელს ვინ შეგიშლის!..

— მე მაინც რა გამეგება ამ საქმისა! შენ ლევანისგან და მოსესგან იცი...

— ისწავლი!..

— მაინც რა არის გასაკეთებელი?

— აი, გამოგატანენ ამნაირ ფურცლებს და ჩუმჩუმად დაარიგებ ხალხში... მერე: გეტყვიან აქა და აქ თოფებია დამალული ან ტყვიები და ბომბები. დააწყვე ურემზე, ზედ ჩალა დააფარე და სხვაგან გადაიტანეო...

— კიდევ?

— კიდევ... ესა და ეს მენშევიკი ნამეტანს გვაწუხებს, მისი ოჯახი ამოსაბუგია. აძვერი ღამით მისი სახლის სახურავზე და ბუხარში ბომბი ჩაუგდეო...

ამას ლაპარაკობდა ვერიკო და ჩუმჩუმად იღიმებოდა, თან მეგობარს აკვირდებოდა: აბა რა დღეშიაო!..

ავთანდილს თვალები გაუფართოვდა:

— აპა-პა, ეს ჩემი საქმე არ ყოფილა!..

ვერიკომ ახლა ღიმილი მოიშორა პირიდან და სერიოზულად, სულ სხვა ხმით ალაპარაკდა:

— ყველგან იქმნება მებრძოლი ახალგაზრდების ორგანიზაცია... „სპარტაკი“ ჰქვია. აბაშა რატომ უნდა ჩამორჩეს?.. აჯანყება მზადდება, მენშევიკები უნდა დავამხოთ და რევოლუციური რუსეთის გზას დავადგეთ... ჩვენ გვევალება დავეხმაროთ კომუნისტებს. ბავშვები ვართ და იმდენ ყურადღებას არ მოგვაქცევენ მენშევიკების აგენტები. უფრო ადვილად გავძვრებით და გამოვძვრებით...

— არ მინდა ადილარ გვაზავას სადევნი გავხდე...

ვერიკო მისხალ-მისხალ მოუყვა აბაშაში „სპარტაკის“ უჯრედის ჩამოყალიბების ამბავს და ბოლოს მუდარით სავსე თვალები მიაპყრო:

— გთხოვ! დამიჯერო, შემოდი ჩვენს უჯრედში, არ ინანებ...

ავთანდილი მოაჯადოვა ვერიკოს გამოხედვამ, მისმა ვედრებამ.

ვერიკომ ორჭოფულ მდგომარეობაში რომ გამოიჭირა ვაჟი, თვითონვე თქვა გადაჭრით:

— ესე იგი, დღეიდან ათნი ვიქნებით! კარგია!

ტაში შემოჰკრა, მერე ხელები ზურგსუკან წაიღო, ცერებზე შედგა, ავთანდილისკენ გადაიხარა და ლოყაზე აკოცა...

ავთანდილს თვალებში ბურუსი ჩაუდგა, შებარბაცდა და კინაღამ არ ჩავარდა დამბიდან.

ერთგან ბილიკი შევიწროვდა და გვერდიგვერდ გავლისას ავთანდილს ვერიკოს ხელზე მოუხვდა ხელი. მუგუზალნაკრავივით გამოსწია თავისკენ.

რა მოხდა?!

სულ ახლახან არ იყო, რომ ეძიძგილავებოდნენ ერთმანეთს თამაშისას?! თითების თითებზე მეხება რაა! მკლავზე რამდენჯერ უკბენია ავთანდილს ვერიკოსთვის და უკივლებია... ხეზე გასასვლელად რომ მიძვრებოდა ვერიკო, დაბლიდან შედგომია და აუტატებია.

მაშინ ბავშვები იყვნენ.

ეს კი თითქოს გუშინ იყო თუ გუშინწინ...

ავთანდილმა ახლა განზრახ შეახო ხელი ვერიკოს ხელს და თითები გაუბედავად შემოაჭდო...

ვერიკოს არაფერი უთქვამს. იარეს ხელიხელჩაკიდებულებმა.

რამდენჯერ უვლიათ ასე ტყიდან ან საძოვრიდან მომავალთ, ვერიკოს შიშველ ფეხებს უჩხვლეტდა ნათიბზე ხმელი ბალახის ძირები, ან ეკალი შეესობოდა და უკანუკან მისდევდა ავთანდილს. ავთანდილი ექაჩებოდა მის მკლავს, როგორც ჯიუტი ბოჩოლას თოკს...

მაგრამ ეს იყო ადრე, გუშინ თუ გუშინწინ...

მიდიოდნენ ჩუმად, უსიტყვოდ...

დამბა გათავდა და შორს ვერიკოს სახლიც გამოჩნდა...

ნაღვლიანად დუმდა ოდესღაც მხიარული, თავისი დუხჭირი ცხოვრებითაც ბედნიერი კარმიდამო — ორი ვაჟკაცის დამკარგველი... არც კვამლი ადიოდა, არც ძაღლი ყეფდა. თითქოს ჩამკვდარიყო სიცოცხლე ერთბაშად...

ავთანდილისა და ვერიკოს გზა აქ იყრებოდა.

ცაცხვის ფოთლის უქაროდ შრიალზე უფრო მსუბუქი იყო ვერიკოს ხმა დამშვიდობებისას:

— ჩემი ძმები შორს არიან, ავთანდილ... მე შენი იმედი მაქვს...

ავთანდილმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა ამ იმედში ვერიკო... ძმობას თხოვდა?.. თუ...

უეცრად სოფლიდან შემზარავი კივილი მოისმა.

შეკრთნენ და გაიხედეს.

ერთ ეზოში შორიდანვე დაინახეს თოფიანი გერმანელი ჯარისკაცები...

— კიჭი ჩიქვანის ეზოა, — თქვა ავთანდილმა.

ჩაირბინეს და სულ მალე მიადგნენ ბარდიან ღობეს.

მართლა კიჭისას იყვნენ გერმანელები, აბაშის საზოგადოების კომისრის მოადგილისას.

მათი ფურგონი შიგ ეზოში იდგა...

კიჭი ჩიქვანს სამეზობლოდ კეთილი

საქმის მეტი არაფერი ჰქონდა დათესილი.

ლუკმა მოაკლდებოდა რომელიმე ოჯახს, სიმინდს ასესხებდა. წამლისთვის ფული დასჭირდებოდა ვინმეს, არ დაუჭერდა, ავადმყოფისათვის ჩაის და შაქარსაც გაატანდა. ზამთარში ფეხშიშველს თავის გამონაცვალ კალოშს ჩააცმევდა, სამოსდაძენძილს თბილ რამეს მოახურავდა...

ამიტომ ყველას უყვარდა.

ახლა თვითონ კიჟი არსად ჩანდა. მისი ცოლი მეგი იწეწდა თმებს და შველას ითხოვდა:

— მეზობლებო! მიშველეთ! მძარცვავენ!..

გერმანელი ოფიცერი უმწეო ქალს ცხვირწინ რევოლვერს უტრიალებდა და ხმამაღლა ელაპარაკებოდა გერმანულად. მის ნალაპარაკევს უფრო ხმამაღლა თარგმნიდა აბაშელი ბახუ ქვანია. ვერიკო შორიდან იცნობდა ამ წუწკ და ყოვლად გათახსირებულ მევახშეს, იცოდა, რა ფარშევანგიც იყო.

— ქალო, ხომ გესმის, ამ ხალხს სჭირდება ორმოცდაათი ფუთი სიმინდი და ათი ფუთი მუხუდო. მიეცი და მოგეშვებიან, — უხსნიდა ბუხუ ქვანია მეგის.

მეგი წინ ეღობებოდა ნალიისაკენ თვალგაქცეულ ჯარისკაცებს.

— კაცი შინ არაა, დაიცადონ და ის გასცემს პასუხს, — კიოდა დაბეჩავებული.

ოფიცერმა მკერდში მუშტი ჰკრა ქალს და ხეს შეანარცხა.

ვერიკო თვალის დახამხამებაში გაჩნდა გონწასულ ქალთან და სულის შებერვა დაუწყო...

ამ დროს გზაზე გამოჩნდა კიჟი. მოდიოდა კოჭლობით (ცალი ფეხი ყმაწვილობაში ჰქონდა გაფუჭებული ცხენიდან გადმოვარდნისას).

— იჩქარე კიჟი ბატონო, — თავის ეზოდან გული მისცა ერთმა მეზობელმა, ღობეზე გადმოხტა და ფეხდაფეხ გაჰყვა შეშფოთებულ კაცს.

— ახავაი! რაშია ვითომ საქმე! — ნაბიჯს მოუჩქარა კიჟიმ და კოჭლობა უფრო დაეტყო.

კიდევ რამდენიმე მეზობელი გამოჰყვა.

ჯარისკაცებს ნალიიდან უკვე გამოჰქონდათ ჭირნახული.

კიჟი გერმანელ ოფიცერთან მიიჭრა, დამტვრეული გერმანულით უთხრა:

— ეს რას ნიშნავს, ბატონო ოფიცერო?..

გერმანელმა ოფიცერმა იქვე დარჩენილ ორ ჯარისკაცს უბრძანა: ერთი ამასაც უთავაზეთო.

ჯარისკაცებმა კონდახები დაუშინეს მასპინძელს.

კიჟიმ გამსკდარი ტუჩიდან სისხლი სახელოთი მოიწმინდა, ნელა წამოდგა,

—გიჩივლებთ! ახლავე კომისარს მოვახსენებ! — წამოიძახა ყელზე გულმობჯენილმა და გზაზე გავიდა.

გერმანელმა ოფიცერმა ნაძალადევად გადაიხარხარა და იმავე ჯარისკაცებს გასძახა:

— თქვენ, როგორც მახსოვს, კარგი მსროლელები ხართ. ნუ დაგენანებათ ამ კოჭლისთვის ერთი ცალი ტყვია.

კიჟი დამბის ფერდობს მიჰყვებოდა და ახლა უკვე არ კოჭლობდა, რადგანაც დამოკლებულ ფეხს ფერდობის ზედა მხარეს ადგამდა.

ერთმა ჯარისკაცმა ესროლა...

კიჟი თავის გზას განაგრძობდა. ეტყობოდა, სროლის ხმაც არ გაუგონია.

— რას შვრებით! რას სჩადიხართ! — პირველად ქალებმა აღიმაღლეს ხმა გერმანელების წინაშე, მერე თავიანთ კაცებს შეუტიეს: — კაცებო, ქუდი სად დაჰკარგეთ!...

მეორეჯერაც მოისმა გასროლა, კიჟი ერთბაშად შედგა. ძნელი მისახვედრი იყო — ტყვია მოხვდა თუ სულის მოთქმას აპირებდა.

აქამდე უქმად მდგარმა მეორე ჯარისკაცმა პირველს გასროლა დაუწუნა და თვითონ ამოიღო მიზანში დამბის ფერდობზე ზეზეულად გარინდებული კაცი.

ავთანდილი გერმანელისაკენ გადახტა და თოფზე ხელი ჰკრა...

ორი გასროლა მოისმა კიდევ, ამის შემდეგ.

კიჟი ჯერ მტკივანი ფეხით ჩაიკეცა, მერე მეორეც მოედრიკა და ისე განერთხო მიწაზე, თითქოს გულში ჩაეკრა დიდი ხნის უნახავ მშობელს...

ახლა კი ქუდიანებმაც იხუვლეს...

მეგი ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის ირგვლივ, თვალში ბინდი ჩასდგომოდა საცოდავ ქალს...

იხუვლეს კოდორელებმა, მაგრამ ხელის აღმართვას პირველი ვერცერთი ვერ ბედავდა, — გერმანელისთვის თუნდაც მცირედი შეურაცხყოფის მიყენებისათვის მენშევიკური მთავრობის მკაცრი ბრძანებით დახვრეტა იყო გამოწერილი...

გერმანელებმა თავიანთი ფურგონი ნაძარცვი მარცვლეულით დატვირთეს და არხეინად გაუყვნენ გზას...

არავითარი შიში არავითარი სიბრალული... მხოლოდ ერთი ჯარისკაცი მიჰყვებოდა ფურგონს უკანუკან სვლით და თოფი ხალხისკენ ჰქონდა გამოშვერილი.

კიჟის ცხედარი ნაბადში გახვიეს გლეხებმა, წამოიღეს და შინ ტახტზე დაასვენეს...

სამი ტყვია ჰქონდა მორტყმული: ერთი კეფაში, ორი ბეჭებზე...

კომისარი ცხენხეთქით მოვარდა აბაშიდან, მალე გაეგო კოდორში მომხდარი უბედურება, იტირა, თავში ხელები ირტყა.

მეორე დღეს თბილისს უპატაკა ყოველივე. მაგრამ პასუხისათვის იქიდან თავი არავის შეუწუხებია.

ასე ულვთოდ დაიღუპა მართალი კაცი...

• • •

ვერიკომ ავთანდილის უმცროსი და მოიშველია და სპარტაკელთა შეკრებისათვის დათქმულ პარასკევამდე — კერავდა და ჰქარგავდა საბრძოლო დროშას.

დროშისთვის დედამ ჩამოუჭრა სუჯუნელ ებრაელისაგან კვერცხით და ბუნდლით შენაძენი შილა.

ძაფები იშოვეს სამი ფერისა: ყვითელი, თეთრი და შავი.

ლენინის სახის ქარგულობით თვითონ ვერიკო გულსავსედ კმაყოფილი არ დარჩა, ავთანდილი და მისი და — უქებდნენ.

ყვითელი ძაფით შუბლი და საჰე ჰქონდა განათებული ლენინის სურათს, თეთრი და შავი ნახევარჩრდილად ჩასდევდა ცალ მხარეს. ქუდი მთლიანად შავი ძაფისა იყო, ნაოჭებად ძლივს შესამჩნევად ერია თეთრი ძაფი.

ხან გაზეთიდან ამოჭრილ სურათს დასცქეროდნენ სამივენი, ხან — ვერიკოს ნაქარგს...

ბოლოს ერთხმად დაასკვნეს: კარგია, უკეთესი არ შეიძლებოდა...

დროშაზე — სატარეს ზემო მხარის, კუთხეში ყვითელი ძაფით გამოყვანილი იყო პატარა ნამგალი და ურო. ეს ფედიამ დაუხატა ვერიკოს ქაღალდზე აბაშაში. მის გასწვრივ ეწერა ფედიასგანვე მოსმენილი სტრიქონები: „მეგობრებო, წინ, წინ გასწით, ნუ შედრკება თქვენი გული!..“

სურათის ქვემოთ, ოდნავ მარჯვნივ, სადაც, ორ ბწკარად გასდევდა კიდევ წარწერა: „ლენინური რევოლუციის ახალგაზრდობის ორგანიზაცია „სპარტაკის“ აბაშის უჯრედი“.

ნაქარგი — დროშის მეორე, უკუღმა მხრიდან ჩანდა მხოლოდ ყვითელ, შავ და თეთრ წინწკლებად, მაგრამ მთავარ, წითელ ფერს არ ასუსტებდა, — ზედ თითქოს სხივთა ნამტვრევები ეყარა.

გულში ჩასაკრავი და დასაკოცნი დროშა გამოუვიდათ.

ეს დროშა მენშევიკების დამარცხების შემდეგ გამოფენილი იყო კომკავშირის სენაკის სამაზრო კომიტეტის აბაშის ორგანიზაციის მდივნის ბიქტორ კაჭარავას კაბინეტში, აბაშაში. ეს კაბინეტი ძალზე ვიწრო იყო, ერთი მაგიდა და ორი სკამილა ეტეოდა.

მერე უკეთესი ბინა მიიღეს აბაშის კომკავშირლებმა და დროშაც იქ გადაიტანეს.

ამოქარგული ნამგლის ტარსქვემოთ

ამომწვარ წერტილად აჩნდა ერთი ნატყვიარი. ეს ადილარ გვაზავას ნასროლი ტყვიისა იყო. ის უმიზნებდა ლენინის სურათს, მაგრამ დააცილა...

1921 წლის დეკემბერში ბიქტორი წითელ არმიაში გაიწვიეს.

1922 წელს დუშეთის მაზრაში, ორწყალზე ქაქუცა ჩოლოყაშვილის კონტრრევოლუციურ ბანდასთან შეტაკებისას მძიმედ დაიჭრა ბიქტორი და ცალი ფეხი დაჰკარგა. მკურნალობამ დიდ ხანს გასტანა თბილისში. განკურნებული რევოლუციონერი თბილისშივე დარჩა სამუშაოდ.

ბიქტორ ყარამანის ძე კაჭარავა დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

აქეთ და აქეთ, სხვადასხვა დროს სხვანი და სხვანი ხელმძღვანელობდნენ აბაშის კომკავშირულ ორგანიზაციას.

ვერიკოს ნახელავი დროშა ოცდათექვსმეტ წლამდე ახსოვთ აბაშელებს.

მერე არავინ იცის სად და როგორ დაიკარგა ეს სამუზეუმო დროშა. უკვალოდ გაქრა, აორთქლდა...

ახლა, ამ წუთას, იმ დროშის გახსენებისას, რევოლუციის ვეტერანი ბიქტორ კაჭარავა ჩვენთანაა და დედ-მამის წმინდა სულს იფიცებს: მე რომ მაშინ აბაშიდან არ წავსულიყავი, დროშა არ დაიკარგებოდაო...

ნანობს, გული შესტკივა, თვალებში ცრემლის კურცხალი უკამკამებს აბაშის სპარტაკელთა უკანასკნელ მოჰიკანს...

* * *

ახალგაზრდები პარასკევს კვლავ რომ შეიკრიბნენ, მათი რიცხვი უკვე ცამეტამდე გაზრდილიყო — ოთხი ყმაწვილი შემომატებოდათ.

დავითს და ღუღუნის ქუთაისში ორივეს ერთნაირი ქუდი ეყიდათ და თავს იწონებდნენ, ხმაშეცვლით ლაპარაკობდნენ, ვითომ ქალაქურად უქცევდნენ ბიჭებს.

აბაშის უჯრედს უკვე ჰქონდა:
თავისი ბეჭედი,
წევრობის ბილეთები,
წესდება, რომელიც ქუთაისში წარგზავნილებს ხელით გადმოეწერათ,
და —
საკუთარი დროშა!

შეიკრიბნენ რკინიგზის უპატრონოდ მიტოვებულ, კარ-ფანჯრებგაქურდულ, თეთრი ქვით ნაგებ სახლში.

აქ წვიმიან ამინდში თუ შეაფარებდა ვინმე მგზავრი თავს, ან ძროხები თუ შევიდოდნენ საცოხნელად...

მიწაზე დაგებული იატაკი ალაგ-ალაგ ჩატეხილი, ჩამპალი და ჩაბინძურებული იყო, როგორც, საერთოდ, ყველა უცეცხლო სახლში.

უპატრონო სახლის კვალობაზე, მხოლოდ კედლებს არაუშავდა.

სახლის კიბის წინ ბალახი იყო ამოსული, მის ლავგარდანზე მერცხალი ბუდეს არ იკეთებდა...

აქეთკენ მომავალმა ფედიამ კოდორის გზის შემოსასვლელთან განზრახ აითრია ფეხი: ეგება ვერიკო გამოჩნდესო!..

ბოლშევიკთაგან დღეს მხოლოდ ფედია დაესწრებოდა და უხელმძღვანელებდა სპარტაკელთა შეკრებას.

კოდორის გზიდან მართლა გამოჩნდა ვერიკო.

ფედიამ გვერდულად გაიხედა იქითკენ: ვიღაც უცნობი ჭაბუკი მოჰყვებოდა ვერიკოს. ეს რატომღაც თვალში არ მოუვიდა...

ეშმაკმა უწყის, რა ხდება ადამიანთა სულში!..

სულ მეორეჯერ თუ მესამეჯერ ხედავდა ვერიკოს.

სიყვარულს ცხრაჯერ ნახვა არ უნდაო, — უთქვამს ბრძენ ხალხს...

— გამარჯობა, ვერიკო, — ხელი ჩამოართვა გოგონას, მარცხენა მკლავი კი სულ ერთი წამით შეახო მხარზე და უმალვე მოაშორა...

ვერიკო შეკრთა, არ მოელოდა ფედიასთან აქ შეხვედრას; პატარა თითები ნელა გამოაცურა ფედიას თითებიდან...

— გაიცანი, ფედია, — სახელით პირველად მიმართა ფედიას და ძალზე

ტკბილად წარმოთქმული გამოუვიდა, იგრძნო, რომ გაწითლდა, ლოყები აეწვა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, — ჩემი მეზობელია, ავთანდილი. ჩვენთან უნდა მუშაობა, — დაამთავრა სათქმელი ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

ფედიამ ავთანდილს მაგრად ჩამოართვა ხელი და გადაწყვეტილება მოუწონა.

მიდიოდნენ ტალანშემხმარ საურმე გზაზე.

ფედია ვერიკოზე ოდნავ მაღალი ჩანდა.

— წუხელ ჩვენთან წვიმდა... აქ, ეტყობა არ უწვიმია, — სალაპარაკოდ გამოიწვია ვერიკომ ფედია.

— აქ არ უწვიმია, — ვერიკოსავე ბოლო სიტყვები გაიმეორა ფედიამ; ხელები ზურგსუკან დაიწყო და საქმიანად დასძინა: — ის თოფები საერთო საწყობშია გადმოსატანი... ამაზედაც უნდა ვილაპარაკოთ დღეს...

ვერიკო მიხვდა, თავისი ძმების მიერ მათსავე ეზოში დამარხულ თოფებს რომ გულისხმობდა ფედია.

— მამა ამბობს, გაზეთილ ბრეზენტშია გახვეული, ათი წელიც რომ მიწაში იყოს, არაფერი მოუვაო...

— ათ წელს ვერ დავაცლით მენშევიკებს. თოფები ხელთან ახლოს უნდა გვქონდეს. აი, შენ და ავთანდილი გამოიტანთ... რას იტყვი, ვაჟკაცო? — ავთანდილს შეხედა ფედიამ.

ამ მიმართვაში — ვაჟკაცოო — რაღაც დაცინვისნაირი იგრძნო ავთანდილმა და გული შეეკუმშა; ახლა თვალნათლივ ნახა და გამოიცნო ამ, მასზე უფრო განსწავლულ კაცში თავისი მეტოქე ვერიკოსთან.

—მე თოფებისა რა ვიცი.. .აბა!.. — წარმოსთქვა დაბნეულად.

ფედიას გაეღიმა ასეთ გულუბრყვილო პასუხზე; არა უშავს, შეეჩვევი, ისწავლიო, დაამშვიდა ჭაბუკი და ვერიკოს შეხედა...

შეკრებისათვის დათქმული სახლი მაშინღა გამოჩნდა, როცა დაუბილიკებელ ძეძვნარს გასცდნენ და ჩიტის ჟასფრენად სამყოფ ჭანჭრობიან ტაფობზე გავიდნენ.

უკვე ყველანი აქ იყვნენ: ცხრა სპარტაკელი და ოთხიც ახალმისაღები... ცამეტნი.

ცამეტი თარსი რიცხვიაო და...

მართლაც თარსად დაუტრიალდათ იმ დღეს ჩარხი.

„გუბე" წვეთწვეთობით დამდგარა ისე, რომ არცერთ მათგანს არ შეუტყვია.

საქმე შემდეგში იყო:

უჯრედის ერთ-ერთ წევრს, ბართლომე ტყებუჩავას სამი დღის წინ ერთ თანაჯგუფელთან დაუტრაბახნია სკოლაში: ჩვენ რევოლუციური ჯგუფი ჩამოვაყალიბეთ და სპარტაკელები დავირქვითო... პარასკევს უნდა შევიკრიბოთო... ლენინის სურათიც გვაქვსო...

იმ ბიჭს, თავისი მხრივ, სხვისთვის უთქვამს, იმ სხვას კიდევ მესამისთვის...

გზადაგზა თანდათან სახე უცვლია ნათქვამს, მთავარი სული მაინც შერჩენია, — ახალგაზრდებს რომ ლენინის სურათი ჰქონიათ, — და ბოლოს მილიციის უფროსის — ადილარ გვაზავას შვილის ყურამდეც მიუღწევია.

ადილარის შვილსაც ადილარი ერქვა. ადილარს ვაჟი რომ შეეძინა, უფიქრია: მე ვერ მოვერიე ამ ცხოვრებას და იქნებ ჩემი შვილი მოერიოს ჩემი სახელითო!

შვილი — ადილარი შესახედავად პატარა მამამისი იყო, ოღონდ უწვერულვაშო.

მან იცოდა ლენინის სურათის ამბავი და ახალგაზრდების შეკრების დღეც.

ცეცხლი და ნავთი უკვე ერთ ჭერქვეშ იყო და ერთმანეთის ძებნა არ დასჭირებიათ...

მენშევიკური მთავრობის მილიციის უფროსს ახალი სადავიდარაბო საქმე გაუჩინა შვილის ნათქვამმა საიდუმლომ. ჯერ მარტო კომუნისტებისაგან ჰქონდა სული გამწარებული, ახლა მათ კომკავშირლებიც შეჰმატებოდნენ!..

ადილარი ყველაზე მეტად ჩააფიქრა და თან, ასე ვთქვათ, შეაგულიანა,

ბრძოლის ჟინით უფრო აღავსო იმ ამბავმა, რომ ახალგაზრდებს ლენინის სურათიც ჰქონიათ...

თუ ადილარი ლენინის სურათს და მის მფლობელს ხელთ იგდებდა, უფროსთა თვალში ერთბაშად ამაღლდებოდა. იქნებ დაეწინაურებინათ კიდეც და სენაკში გადაეყვანათ, აქ კი, აბაშაში, თავისი თანამდებობით უკვე ჭერზე ჰქონდა თავი მიბჯენილი.

სენაკი ერჩია, რადგანაც მისი მამაპაპეული ფუძე იქ იყო.

აბაშაში მაშინ დასახლდა, როცა სამუშაოდ გამოგზავნეს და მილიციის უფროსად დანიშნეს.

რა უნდოდა აბაშაში უნათესაოდ, უმოყვროდ!..

...კიდევ კარგი, სპარტაკელ ბართლომეს იმ თავის ამხანაგთან სხვა სპარტაკელთა გვარი არ გაუმხელია და არც შეკრების ადგილი!

ადილარამდე ამ საიდუმლოების პირველმთქმელის, ესე იგი, თვითონ ბართლომეს ვინაობასაც არ მოუღწევია.

ეს იყო წინდაუხედავი შეცდომა სპარტაკელისა. თექვსმეტი წლის ყმაწვილს ეს არ ეპატიებოდა.

ბართლომეს უნებლიე დანაშაული იმითაც მწვავდებოდა, რომ მან ამხანაგებს არაფერი უთხრა ამის შესახებ: ჩვენი უჯრედის დაარსების ამბავი ერთთან ვთქვი, მას სხვებისათვისაც უთქვამს და რაიმე ხიფათს არ გადავეყაროთო...

თუმცა ბართლომემ ის კი არ იცოდა, მილიციის უფროსის ყურამდე რომ მიაღწია მისმა ნათქვამმა...

კრება დაიწყო.

თავდაპირველად ნახეს ვერიკოს შეკერილი დროშა.

დროშა უტარო იყო და ვერიკომ და ავთანდილმა დაიჭირეს აქეთ-იქიდან ყველასათვის თვალმისაწვდენად.

ფედიამ მიულოცა სპარტაკელებს საკუთარი საბრძოლო დროშა.

მერე ხელიდან ხელში გადავიდა მოქარგული წითელი შილა, ყველა შეეხო, ყველამ მიუალერსა...

და ითქვა ფიცი, რომ ამიერიდან ამ დროშით იბრძოლებდნენ რევოლუციის გამარჯვებისათვის.

მაშინ ამ დროშას არც ნატყვიარი აჩნდა და არც წვიმის წვეთის დანაცემი...

სპარტაკელებთან ახალმოსული ყმაწვილების ვინაობა და სადაურობა გამოიკითხა ფედიამ. მოეწონა, რომ ოთხივე სოფლიდან იყო წამოსული.

მათაც და სხვებსაც დაევალათ შესაძლებლობისდაგვარად ესაუბრათ მეზობელ გლეხებთან, გაეგებინებინათ მათთვის, თუ რას უპირებდნენ საქართველოს მენშევიკები, როგორ მიჰყავდათ იგი დაღუპვის გზაზე.

მაშინდელი ჩამორჩენილი და გაუნათლებელი გლეხობა ვერ გარკვეულიყო, თუ რა იყო მისი დუხჭირი ცხოვრების მიზეზი. ადამიანური ცხოვრებისკენ მიმავალ გზად ბევრი მათგანი მიიჩნევდა მენშევიკთა დათაფლულ დაპირებებს. ზოგნი არც მენშევიკებს უყურებდნენ კეთილი თვალით და არც — ბოლშევიკებს, თვითონვე ვერ გარკვეულიყვნენ რა უნდოდათ, რა ჯადოქრობა. აუვსებდა ჯამს მათ მშიერ-მწყურვალ ბავშვებს, რა აახმიანებდა მათ ფაცხაში ხელშეუხებლად დაკიდებულ, მამა-პაპურ ჩონგურს...

არ იცოდნენ და ამიტომ იყო საჭირო ახალგაზრდების გარჯა, მისვლა ხალხთან, მათ გულთან...

ამ საკითხს ბევრი დრო დასჭირდა და ახლა მთავარი იყო იარაღის გადმოტანის თადარიგი.

ფედიამ საჭიროდ არ მიიჩნია მთელი კრებისათვის გადაეშალა ეს საიდუმლო: ახლებიც გვირევია, ვინ იცის, სადმე რამე წამოსცდეთო...

არჩია მხოლოდ მათთან ელაპარაკა, ვისაც უშუალოდ ეხებოდა იარაღის გადმოტანა, ამიტომ კრებას განუცხადა:

— ამხანაგებო, ამით დავამთავროთ დღევანდელი შეკრება. ჯგუფად სიარულს ერიდეთ. ბაზარში დღეს ქვეყნის

ხალხია და ეჭვით არავინ შეგხედავთ, — ფედიამ „სპარტაკში“ ახალმიღებულ ერთ ყმაწვილს მხარზე ხელი შეახო, — დედაშენი მაინც აქ ყოფილა, ბაზარში. მიეშველე... მაშ ასე. დარჩებიან დავითი, ვერიკო და ავთანდილი...

დანარჩენები წასასვლელად რომ შეემზადნენ, ცოტა არ იყოს, გული დაწყდათ: რაღაცას ჩვენ არ გვენდობიან და გვიმალავენო...

• • •

ადილარ გვაზავამ ერთი მილიციელი იახლა იმ დღეს და დილიდანვე შეუდგა ახალგაზრდების შეკრების ადგილის ძებნას. დღეს სხვა არავითარი საქმე არ არსებობდა მისთვის, გარდა ლენინის სურათისა და მისი მფლობელის ხელში ჩაგდებისა.

„ლენინი“.

და

„ლენინი“ — იმდენი იძახა ხან გულში, ხან ხმამაღლა, რომ ბოლოს თვითონვე შეეშინდა: კაცოო!.. ამ სახელს იმდენს ვახსენებ, ვინმემ არ გამიგოს და არ დამიჭირონო...

ბოლშევიკობაში ყველა ეჭვმიტანილის ოჯახს ჩამოუარა, საკრებო ხალხმრავლობა არსად შეინიშნებოდა.

მეტი დრო ფედია ფრანგიშვილის შუკასთან ავლა-ჩამოვლას მოანდომა, იქით ჩავლისას მარცხნივ ჰქონდათ თვალები დაქაჩული ადილარს და მის მილიციელს, აქეთობისას — მარჯვნივ.

საფეთქლები ასტკივდათ.

ადილარს ფედია ფრანგიშვილი მიაჩნდა აბაშის ახალგაზრდობის სისხლის მომწამვლელად.

ერთხელ ისე ვერ დააპატიმრა, რომ რამე ხელის ჩასაჭიდი გასამტყუნებელი საბუთიც გაეყოლებინა სენაკის სატუსაღოში ან ქუთაისის ციხეში.

ადილარი დაიჭერდა — სასამართლო გამოუშვებდა;

დაიჭერდა — გამოუშვებდნენ...

ერთხელ ვერ გააგორა კამათელი ისე, რომ შაშზე დამჯდარიყო.

მაგრამ ადილარ გვაზავას იმედი აქვს, — ერთხელაც იქნება, თავისით თუ არ დაჯდა მისი კამათელი შაშზე, დასვამს და მოიცილებს თავიდან ჭირს...

ბოლო ჩავლისას შუკაში შეუხვიეს.

მილიციის უფროსმა ეზოშივე დაინახა ფედიას მამა და აგდებულად გასძახა:

— იროდიონა, სადაა შენი ბიჭი? — ეს შეკითხვას კი არა, უფრო განკარგულებას ჰგავდა.

იროდიონი მეზობლის საზიარო ღობეს ასწორებდა; საქმეს მოეშვა და, ახალუხის კალთაზე ხელების წმენდით, წამოვიდა.

— მობრძანდით, ბატონო! შინ შემობრძანდით!..

ადილარმა კარგად გაიგო ამ „ტკბილი“ მიპატიჟების მიღმა რა წყევლაკრულვაც იმალებოდა მის მიმართ; ცხენს მათრახი აუქნია მარჯვენა თვალთან...

ადილარის თანმხლებ მილიციელს, კვამლის ჩასუნთქვისას, თუთუნი ჩაჰყვა ყელში და ხველა აუტყდა...

— სადაა! — გაუმეორა ადილარმა იროდიონს.

— სენაკშია, ჩემო ბატონო, პურზე...

— მარტო პურს არ ჩამოიტანს ალბათ...

— ეგება მარილიც ვიშოვოო, — განგებ თავი მოისაწყლა იროდიონმა, მერე კი, ადილარმა აღარაფრის თქმა რომ არ ინება და ცხენი ისევ გზისაკენ გააბრუნა, ცივად გადააფურთხა მისკენ...

ცხენებიც და მხედრებიც დაიქანცნენ.

ადილარს უკვე გადაუწყდა იმედი.

ცუდლარისკენ გაუხვიეს.

ის იყო, უნდა გადაეტოპათ ეს პატარა წყალი და შინ დაბრუნებულიყვნენ, რომ ადილარის თანმხლებმა მილიციელმა ცხენი შეაჩერა და თავისი უფროსი რკინიგზის უპატრონო სახლისკენ გაახედა:

—მგონი ვიღაც გამოვიდა იქიდან...

სახლი კარგა შორს იყო, ადილარმ

გაუჭირდა იქამდე თვალის გაწვდენა. წინა ფეხებით უკვე წყალში მდგარი ცხენიდან გადაიხარა, ცხვირსახოცი კარგად დაასველა, ცხვირპირზე აიფარა და რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა მასში გავლილი ნოტიო ჰაერი.

ამით მზერა სწრაფად დაეძაბა და მილიციელის ნათქვამის სისწორეში თვითონაც დარწმუნდა.

მიტოვებულ სახლიდან ერთს მეორე გამოჰყვა, მერე — მესამე; აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედეს და სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ.

ადილარმა და მილიციელმა რკინიგზის მიწაყრილი იფარეს და იქითკენ დაათოხეს ცხენები. უნაგირიდან გადმოხტნენ, ცხენები ნებაზე მიუშვეს და ხოხვა-ხოხვით წავიდნენ სახლისკენ. ბუჩქებში საიმედოდ ჩასაფრდნენ და თვალთვალი დაუწყეს.

— ისინი არიან, — სიხარულით ქუდზე ცერი აიკრა ადილარმა.

კიდევ რამდენიმე ბიჭმა დასტოვა თვალში ამოღებული სახლი, მაგრამ მათში ფედია არ ერია.

„ალბათ ყველაზე ადრე ის წავიდა!“ — დაასკვნა ადილარმა.

ფიქრმა ეკალივით გაუარა გულში. ისეთი გრძნობა დაეუფლა, როგორც დიდხანს საფარში გატრუნულ მონადირეს ეუფლება ხოლმე, ნადირს რომ შენიშნავს. მერე რა, რომ ტახი არ გამოჩნდა, მგლის ნუკრი ხომ არის!..

ახლა უკვე დამალვა არ იყო საჭირო, წამოდგა, მომყევიო, — შეუძახა მილიციელს და ბიჭებისკენ გაიქცა.

უკვე მეოთხეც გამოვიდა იმ გაპარტახებულ სახლიდან.

ადილარი და მილიციელი აჩქარდნენ.

ორივეს ერთდროულად წაუვიდა ხელი რევოლვერისკენ, მაგრამ ორივემ უკანვე წამოიღო: ამ ცხვირმოუხოცელ ბავშვებთან იარაღის ხმარება სირცხვილიც იყო...

სახლში ოთხნი იყვნენ დარჩენილნი. მათ მალე შენიშნეს მილიციელები.

ფედიამ ელვის უმალ გაიაზრა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, და ახალგაზრდები დააშოშმინა:

— ვიდრე მე არ გეტყვით, ადგილიდან არ გაინძრეთ... ისინი არ გესვრიან... თუ რომელიმე დააპატიმრეს, იტყვით, რომ აქ სათამაშოდ შეიყარენით... სხვა არაფერი...

მეტის თქმის დრო არ დარჩა.

ვერიკომ დროშა უბეში ჩაიმალა და პალტოს ღილები შეიკრა...

ადილარმა და მისმა მილიციელმა ალბათ იფიქრეს, — სახლიდან უკვე ყველა გამოვიდაო, და ერთად მიმავალ სამ ახალგაზრდას დაედევნენ.

მათაც შენიშნეს მდევრები და სამივენი სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ: ერთი ღობეს გადაევლო, ფერდობზე დაგორდა და ყველაზე ადრე უშველა თავს, მეორე ვიღაცის ეზოში გადახტა, მესამემ რკინიგზის გასწვრივ მოკურცხლა.

ამ მესამეს მიჰყვნენ მდევრები, მაგრამ ვერ წამოეწიენ. ახლა ეზოში გაქცეულს მიეძალნენ ორივენი, რადგანაც ნახეს, მას ეზოდან გასასვლელი ვერ ეპოვნა და ზევით-ქვევით აწყდებოდა.

ეს იყო დუტუ ქორქია, ტანმორჩილი და ჩასკვნილი ბიჭი.

ცამეტი წლისაა და ბევრად უფროსებსაც სჯაბნის, დიდი კვარჩხი და უკუღმართია.

ვინმეს რომ ეჩიდება, გულში მუდამ თვითონ მღერის „საჭიდაოს“:

ტანი-ტუნი,
ტანინა...
ჭიდაობას რა უნდა...

წამოკიდება უნდაო, რომ გაივლებს, მაშინ კი წასულია მოქიშპის საქმე...

ლელოში ბურთს ისე გამოუძვრენს ჯგუფად დახორავებულ ათ-თხუთმეტ კაცს, რომ აზრზე ვერავინ მოვა...

პატარაა დუტუ და პატარ-პატარა სათავგადასავლო შემთხვევებიც აქვს უკვე.

ღვარძლიანიცაა და კეთილიც.

ერთხელ ბლის ქურდობაზე დაიჭირა შორებელმა მეზობელმა თომამ. დუტუმ

თანმხლები ბიჭი გააქცია და, მას რომ შველოდა, თვითონ ჩავარდა.

ღარიბი გლეხკაცია თომა. მისმა თეთრმა ბალმა იმ წელს ბევრი ნაყოფიც აჩვენა და ადრეც დამწიფდა.

მეორე დღეს სწორედ ბაზრობა იყო.

თომა წინასწარ კერავდა ქისას: ბალს დილით ადრე დავკრეფ, ბაზარში წავიღებ, ეგება ორიოდე ქილა სიმინდის ფული გამოვწუროო და ბავშვები დავაძღოო...

თომას ეს ჩანაფიქრი დუტუმაც იცოდა თავისი გუმანით, მაგრამ მისი რა ბრალი იყო — თვითონ მწიფე ნაყოფმა მოუხმო გამომწვევად, დაუძახა, ხელი დაუქნია ბაღიდან...

დუტუ კი დაიჭირა თომამ, მაგრამ მეორე ქურდი გაექცა, დუტუსთან ერთად ტოტზე ჩამოსკუპებული, კურკიანად რომ ყლაპავდა ბალს.

შეწუხდა: ამ ერთის ოჯახი, ვიცი თვითონაც მშიერია და რას აჩინაზღაურებსო. მოდი, გავიგებ ის მეორე ვისი იყოო...

იმ ბლის წკნელით დაუბეჟა დუტუს ზურგი, მაგრად სცემა: სთქვი ვინ გახლდაო...

დანარტყამი ძლიერ სტკიოდა დუტუს, მაგრამ არც სიტყვა დასცდენია და არც კვნესა.

რას იზამდა თომა, გაუშვა გალახული ბიჭი. დარჩენილ ბალს დილით მაინც წავიღებ და ცოტას ვიხეირებო...

დუტუმ გალახვა ვერ აიტანა; იმ ღამეს ხმელი ფიჩხი შემოუწყო ბლის ხეს ძირში და ცეცხლი წაუკიდა...

დილით, შავად გარუჯული და შეტრუსული დახვდა თომას თავისი თეთრი ბალი.

ლამის ატირდა კაცი.

არ იცოდა, საით გადაედგა ფეხი. ბლის ჩასაკრეფად გამოტანილი კალაჩნა უაზროდ მოისროლა და, თვალი რომ გააყოლა, მზერა რაღაც ტომრისმაგვარზე წაუფორხილდა. თავმოკრულ ტომარაში ერთ ბათმანამდე სიმინდი ეყარა. ვიღაცას მოეტანა და იოლად დასანახად დაედო სამზადის აივნის სოხანეზე...

დუტუს მოეტანა თავისი სახლიდან...

...ერთხელაც მეჯოგის აფთარივით ძაღლი წამოვიდა დუტუს დასაგლეჯად. ბიჭი უცებ განზე გაუხტა, მერე ჩაცუცქდა, თვითონაც ოთხზე დადგა და ღრენა დაუწყო გაავებულ ძაღლს.

საოცარი სანახაობა იყო როგორ უღრენდნენ ერთმანეთს ძაღლი და ბავშვი. სულ ცხვირი ცხვირთან მიუტანეს ერთმანეთს კბილთა ღრჭიალით.

დუტუს გულისცემა კი აუჩქარდა, ოღონდ არ დამფრთხალა, არ შეშინებია. შიში არ უნდა შეგატყოს ძაღლმა, თორემ უცებ გეძგერება.

არავინ იცოდა, რა მოხდებოდა.

და მოხდა მოულოდნელი: ძაღლმა დაიხია უკან, გაბრუნდა და კუდამოკეცილმა ნახირს მიაშურა...

სწორედ ეს დუტუ ჰყავდათ მომწყვდეული ახლა ეზოს კუთხეში მილიციის უფროსს და მილიციელს. შეთქმულთა ბუდე — ის უპატრონო სახლი — სულ გადაავიწყდათ.

—სულელები არიან, — ჩაილაპარაკა ფედიამ.

შენობაში სამნიღა იყვნენ: ვერიკო, ავთანდილი და ფედია. დავითი თვალდახელშუა გაუქრათ სადღაც...

—ჯერ შენ წადი. — ფანჯრისკენ მიაბრუნა ვერიკომ ავთანდილი.

ვერიკო ფედიასთან რჩებოდა და არაფრისა ეშინოდა. თუნდაც მთელი მილიცია და ჯარი დასხმოდათ თავს, მაინც არ შეეშინდებოდა, რადგანაც ფედია იყო მასთან.

ავთანდილს გულის მთავარი ძარღვი ჩასწყდა, ასე გამეტებით რომ იცილებდა ვერიკო...

გოგონას არ დაუჯერეს, თვითონ პირველი გადასვეს ფანჯრიდან...

...ეზოში მომწყვდეული დუტუ ხეს აეფარა. ორნი რომ მიუახლოვდნენ — ადილარი და მილიციელი — გვერდზე ისკუპა და ტრიალზე დარჩა, ბუჩქიც არ იყო ახლოს.

ადილარი და მილიციელი წელში მოხრილნი, მუხლებში ჩახრილნი, გაწვდილი ხელებით მიიწევდნენ დუტუსკენ.

დუტუც ასეთსავე მდგომარეობაში იდგა და წარბებს ქვემოდან აბრიალებდა წერტილისხელა თვალებს.

ასე იჭერენ ქათამს.

ერთი გაშორდეს ამ ეზოს დუტუ და მერე სდიონ...

საიდანღაც ფინია გამოტყვრა ყეფით.

დუტუს მდევრებისათვის თვალი არ მოუცილებია, ისე გაიწვდინა ცალი ხელი ძაღლისკენ, ცერი და შუათითი რამდენჯერმე დაუტკაცუნა...

ძაღლი თითქოს მიხვდა ბავშვის გასაჭირს, გვერდით ამოუდგა და მილიციელებს შეუტია. ერთ ნახტომს წინ რომ გააკეთებდა, ორი ნახტომით უკან იხევდა. დუტუ კი ერთდროულად ორივე ფეხით აქეთ-იქით ხტუნაობდა ისევე, როგორც ჭიდაობის დროს იცოდა ხოლმე, და გულში თავისთვის უკრავდა: „ტანი, ტუნი, ტანუნა... ტანი, ტუნი, ტანუნა..."

ეზოში ქალი გამოჩნდა: რაშია საქმე, რა ამბავიაო...

მისთვის არავის შეუხედავს.

დუტუ უკვე ზურგით ღობეს შეეხო.

— ახლა ხომ ჩაგიგდე, შე ძაღლის ლეკვო, — დაიღრიალა ადილარმა და მისკენ გადახტა.

დუტუ ერთბაშად ძირს დაიხარა, ადილარს ფეხებში გაუძვრა, მისკენ გადმომხტარი მილიციელიც მიწაზე გაშხლართული დასტოვა და გაფრინდა ქარი მინდორში...

ადილარი ცხვირპირით შეასკდა ეკლიან ღობეს, ქუდი გადაუვარდა, მუხლები გაუტალახიანდა...

— ჰაიტ, დიდაშმავილარ!.. — იყვირა და ახლა კი გაიკრა იარაღზე ხელი, თუმცა ამოღებით არც ახლა ამოუღია, რადგანაც ოჯახის პატრონი ქალის შეკივლება მოესმა და გონს მოეგო.

ბავშვების მდევრებმა ძლივს მოჰკრეს თვალი მინდორ-მინდორ გაფრენილ ბიჭს.

ვერც იცნო ადილარმა, ვისი იყო-ეს თავზეხელაღებული.

ამჯერად, რკინიგზის გასწვრივ წელან გაქცეულისაკენ გაიხედა, იქ არავინ ჩანდა, არც მესამე ილანდებოდა მესამე მხრიდან.

ხელცარიელნი რჩებოდნენ.

როგორ შეიქცია ამ ბაღლმა ორი კაცი!..

ეს ახელებდა მილიციის გამოცდილ მუშაკს.

თავზეხელაღებული ბანდიტები და კაცისმკვლელები შეუპყრია რამდენჯერ ადილარს. ამ ლაწირაკებმა როგორ გამაცურესო...

ახლა მიტოვებული სახლისკენ გაიხედა და ცოტა იმედი მიეცა: იქნებ მანდ კიდევ ვინმე იმალებაო. თანმხლებ მილიციელს ანიშნა, ფანჯარასთან მისულიყო გარედან, თვითონ კი ფეხაკრეფით წავიდა უკარო შესასვლელისკენ.

სახლში მარტო ფედია და ავთანდილი იყვნენ დარჩენილი. შიგნითა, მეორე ოთახის კედლებს კართან აეკრნენ, აქეთ-იქიდან. არც ერთმა არ იცოდა, რომელი რას ილონებდა, რას მოიაზრებდა.

ფანჯარა ავთანდილთანაც ახლოს იყო და ფედიას მხარესაც.

ავთანდილმა იგრძნო: მეთაურის დაჭერა მათთვის ცუდი იქნებოდა, და გადაწყვიტა, თვითონ ჩავარდნოდა მდევრებს ხელთ. მაგრამ როგორ მოეხერხებინა ეს?..

ადილარი სრულიად უხმოდ მოაბიჯებდა.

ხელებგაშლილი და მოხრილი შემოვიდა, ავთანდილი სულ ახლოს იყო მასთან, მისი სუნთქვა თუ ქშენა ესმოდა უკვე.

მათ ერთმანეთისგან ფარავდა აღრინდელი, ჩამტვრეული კარისგან დარჩენილი რაღაც ორიოდე ფიცარი.

ადილარმა კიდევ გადადგა ერთი ნაბიჯი და, უცებ, ავთანდილმა კბილებში მომწყვდეული ქვედა ტუჩი მძლავრად დასხლიტა და „ფშუტო!" ისეთი ხმა გამოსცა, რომ ადილარს ლამის გული გაუსკდა; „ვაიო", — აღმოხდა უნებლიედ,

ორივე ხელი მაღლა ასწია და უკან-უკან წასული მიაშტერდა სამალავიდან უკვე გამოსულ და უგემურად გაღიმებულ ყმაწვილს.

ავთანდილს არ დაუყოვნებია დიდხანს, ფანჯარაში გადახტა, რომ ადილარიც გადაეტყუებინა. მართლაც აზრმიუცემლად მიჰყვა ადილარი გაქცეულს...

ჯერ კარგად ვერც გარკვეულიყო რა მოხდა მის თავს, რამ შეაშინა ეგზომ?!

გარეთ, ფანჯრის ქვეშ დადარაჯებულმა მილიციელმა ავთანდილი თითქმის ჰაერშივე დაიჭირა.

შენობაში მარტო ფედია დარჩა.

მილიციის უფროსს იქ უკვე არავინ ეგულებოდა და შებრუნებაც არ უფიქრია.

რა იცოდა, ყველაზე დიდი ორაგული სწორედ ბადის ახლოს რომ იყო...

ბუჩქებს იქით დამალული ვერიკო ჩუმად უთვალთვალებდა შეპყრობილ ავთანდილს. აქედანვე მიეცა საგონებელს: რა უნდა ეთქვა სოფელში ავთანდილის ავადმყოფი მამისათვის, დისათვის?!

(ავთანდილს დედა აღარა ჰყავდა).

• • •

აბაშის მილიციას საკუთარი შენობა არ გააჩნდა, დაქირავებული ჰქონდა თერძისა და მევახშის, ვინმე ქვილითაიას ორსართულიანი სახლის ნახევარი თავის სარდაფიანად.

სარდაფს პატრონი ადრე პროდუქტების შესანახად იყენებდა, რადგანაც შიგ, მკათათვეში სიგრილე მეფობდა, ხოლო ზამთარში წყალიც იყინებოდა.

ის ვრცელი სარდაფი აგურის კედლებით დატიხრეს და ოთხი, ადილარის თქმით, მშვენიერი საკანი გამოუვიდათ.

საკნებს სასულედ სათითაოდ დატანებული ჰქონდა რკინის ჯვრით გამაგრებული, ხელისგულის სიფართე სარკმელი.

თითო საკანში ოთხი-ხუთი ტუსაღი ეტეოდა.

და თუ მათი რიცხვი დასატევს გადასცდებოდა, ადილარი „ზედმეტებს" სენაკის, ან ქუთაისის ციხეში ჰგზავნიდა.

იქ კი ტუსაღებისთვის ადგილი თავზესაყრელად იყო.

მილიციის უფროსს არ უნდოდა ახალი პატიმარი — ავთანდილი სხვებში გაერია. ის „სხვები" კი ბევრნი აღმოჩნდნენ. ამიტომ ადილარმა ერთი ქათმის ქურდი გაუშვა და მის მაგიერ ავთანდილს ცალკე საკანი მიუჩინა.

მანამდე ჯერ თვითონვე გაჩხრიკა საგულდაგულოდ, ქალამნებიც გაახდევინა. მაგრამ, რაც მას ეწადა, ის ვერ უპოვა.

ავთანდილი ნათქვამზე იდგა და ფეხს არ ინაცვლებდა: ლენინის სურათი არც მინახავს და არც მაინტერესებსო... არც ვიცი, ვინაა ლენინიო... იმ მიტოვებულ სახლში ვთამაშობდით, შენ ჩემს დასაჭერად მოსული „მგელი" მეგონე და იმიტომ შეგიძახეო...

სხვები? სხვები აქაურები იყვნენ, ისე ვიცნობ, თორემ გვარი და სახელი არცერთისა არ ვიციო... მე სადაური ვარ, ჩემო ბატონო ,და... სეფიეთელიო...

ავთანდილს ახსოვდა კრებაზე ვერიკოს ნათქვამი: მილიციელმა ფეხსაცმელის ზომა რომ გკითხოს, სწორად ისიც არ უნდა უთხრაო.

თვითონ ვერიკომ ეს ძმებისგან იცოდა.

მთელი დღე ხეტიალით და ახალგაზრდების დევნით დაღლილ-მოშივებულ ადილარს ახლა კაი ღვინო თუ ჩაუდგამდა სულს; ტუსაღი საიმედოდ ჩაკეტილი დატოვა და წავიდა იმ იმედით, რომ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც გამოტეხდა, შუაღამით ამოაყვანინებდა კაბინეტში და სულ ვაი დედას აძახებინებდა...

საკნებს მუდამ ორ-ორი მილიციელი გუშაგობდა: ერთი კართან, მეორე — ეზოდან, სარკმლების მხარეს.

ავთანდილი ჯერ ვერ მიმხვდარიყო, თუ რა დოლაბი ტრიალებდა მის თავს; პირველსავე წუთს სარკმელთან მივიდა და გაიხედა. სწორედ მაშინ გამოჩნდა

სარკმელთან გუშაგი მილიციელის ჩექმებიანი ფეხები.

სარკმლის ძირიდან იწყებოდა მიწა და იქიდან დანახული კორიდორი ჰგავდა ტყეს.

გაახსენდა: ნიახური ჭიანჭველასთვის ტყეაო.

ჭიანჭველად წარმოუდგა თავისი თავი.

იქით და იქით: ღობის სარები, ისლიანი სახურავები და ჩალის ზვინების კუშტურებილა მოჩანდა. სულდგმულთაგან მხოლოდ მილიციელის ფეხები ჩაივლიდა დროდადრო აქეთ-იქით, ზანტად, დაღლილი მოძრაობით...

„ესეც შენი კომკავშირი!“ — ფიქრობდა გამწარებული ყმაწვილი და, უკვე ბედსდამორჩილებულივით, საკნის კუთხესთან მიმჯდარი, აქამდე ილლიაში ამოჩრილ ქალამნებს ფეხზე ირგებდა.

ყინულის ნატეხზე უფრო ცივი იყო საკნის იატაკიც, კედელიც...

გვერდითა კედლიდან კაკუნი შემოესმა; ალბათ თაგვიაო, დაასკვნა და ყური არ ათხოვა...

* * *

ქუჩუ ფრანგიშვილი თავის ეზოში რომ შევიდა, მამას უკვე შეეკეთებინა ღობე და შუაცეცხლს უჯდა; რაღაცას ბუზღუნებდა, ქშინავდა, ძლიერ გაბრაზებული ჩანდა...

დედამ ქუჩუ შენიშნა და ქმარს შეევედრა:

— ახლა ნურაფერს ეტყვი, თოლიგე. ფედია მოვიდეს და მერე უთხარი...

ქუჩუ უკვე მამის ახლოს იდგა.

იროდიონს, ცეცხლის სიმხურვალისგან თუ გაბრაზებისგან, სახეზე ალმური მოსდებოდა.

— მოდი აქ, — შვილისთვის უცნობი ხმა ამოუშვა ყელიდან, მკლავზე ძალუმად ჩამოქაჩა ბიჭს და ზედ სოხანეზე დასვა, — შენც დამიწყე რევოლუციონერობა?.. ამისთვის ვიმტვრევ თავს და ვიხდი შენი სწავლის ფულს? შენი ძმა და... და რომ გაველურდნენ, ის არ მეყოფა?.. შენ მაინც მოგვრჩენოდი!.. შენ მაინც მოგვრევი! — თანდათან უწია ხმას.

— დედა, ნანა... რა ვქნა ახლა... ჩუმად, თოლიგე, ქვეყანა გაიგონებს! — აწრიალდა ქუჩუს დედა. მკერდში მუშტებს იცემდა: რამ მათქმევინა მე ენაგასახმობსო, ჩემი გიჟი კაცის ამბავი არ ვიცოდიო? თითს იკვნეტდა გამწარებული ქალი.

— ღორივით დაგამწყვდევ! — მთავარ ძელს ზანზარი დააწყებინა მამამ. — მომეცი შენი მოწმობა...

რევოლუციონერობის გზაზე დამდგარს რამე მოწმობა რომ ექნებოდა, ეს კარგად იცოდა იროდიონმა თავისი უფროსი ქალ-ვაჟის წყალობით. იგი, საერთოდ, ბოლშევიკების წინააღმდეგი როდი იყო, მენშევიკების ავკაცობა ძვალივით ჰქონდა ყელში გაჩხერილი და მათი სინსილის გაწყვეტას ნატრობდა დღენიადაგ, მაგრამ ახლა ამ ნაბოლარამაც რომ გამოჰყო ცხვირი, ეს ახელებდა: ერთი შვილი მაინც გამეზარდოს ისე, რომ ციხე არ ნახოს და წიგნი ისწავლოსო...

ქუჩუმ იგრძნო, ამ წუთას გაჯიუტებას შეიძლებოდა მეტი უბედურება მოეტანა, და ახალმიღებული კომკავშირული ბილეთი ხელის კანკალით გაუწოდა მამას.

იროდიონმა ნაკუწებად აქცია იგი და ცეცხლში შეუძახა.

— ახლა აქეთ წამობრძანდი და... ხმა არ გავიგონო შენი!..

ხმა არ გავიგონოო, იმიტომ დასძინა, რომ ქუჩუმ სწორედ ამ დროს დააღო პირი, თუმცა რაიმეს თქმას კი არ აპირებდა, ჰაერი ჩაისუნთქა მხოლოდ ღრმად.

კაკლის ფიცრების ბეღელი ედგა იროდიონს ეზოში, ოდასახლზე უფრო მაგარი და მკვრივი. იქ ინახებოდა ფქვილი, ნიგოზი, ხილი, ჩირი... ორი თუ სამი თავის ხაფანგიც იდგა კუთხეებთან. ჰაერის სამოძრაოდ, კედლის ფიცრებს შორის დანისპირის გასატევი არეები იყო დატოვებული. კარს ოთხ-

კუთხედად ამოჭრილი რვეულისოდენა უმინო სარკმელი ჰქონდა.

ეს ბელელი მილიციის საკნებზე არანაკლებ მაგარი იყო.

— ციხე გინდა და, ა, შეეჩვიე აქედანვე, — თითქოს მოლბაო, ისე წარმოსთქვა იროდიონმა. მაგრამ ეს არ იყო დამშვიდება. ეს იყო ტკივილით გაბრუება.

შვილი დაამწყვდია და, კარს უზარმაზარი ბოქლომიც რომ დაადო, ფეხების ბორძიკით გამობრუნდა.

— თქვენი აშენებული ქვეყანა კი იქნება კარგი!.. წვინტლიანებო!.. წვინტლიანებში იქნებ თავის უფროს ქალვაჟსაც გულისხმობდა?!. სამზადში შემოიხედა და ზეზეულად გამშრალ-გაციებულ მეუღლეს სიტყვა მიუგდო:

— იქ მიუტანე მჭადი და წყალი...

ბელლის გასაღები ქამარზე მარყუჟით შეიბა და აზრმიუცემლად გაიარა ეზოში. ფედიას ამდენს ვერ გაუბედავდა. ცხენს ვერ მოერია და უნაგირი დაამტვრია. დედასაც სწორედ ფედიას იმედი ჰქონდა: იქნებ ის გახდეს რამეს მამამისთანო. ქუჩუას მარტოდმარტო თავის ბილეთის დაკარგვა ადარდებდა...

მას ავთანდილის დაჭერა არც გაუგია, — რკინიგზის სახლიდან წასვლის ნება რომ დართეს, მაშინვე შინისკენ გამოიქცა, რადგანაც შიოდა. მილიციელები მერე გამოჩნდნენ და ავთანდილიც მერე დაიჭირეს...

ფედია შელამებულზე დაბრუნდა შინ.

მშვენიერ გუნებაზე იყო, ღიღინით გადმოვიდა ჭიშკრის ალაგეზე.

შინ ძმა დამწყვდეული რომ დახვდა, ამაზე გემრიელად გაეცინა;

ბელელში კარზე ამოჭრილ სარკმლიდან ჭრაქი შეანათა და შეიხედა.

ქუჩუს ცარიელი ტომრები წამოეხურა და გულიანად ეძინა.

ფედიას ხმა რომ გაიგონა, წამოჯდა თვალების ფშვნეტით.

— რამე ხომ არ გინდა, ქუჩუჩია? მოგიტან, — შეეჩურჩულა უფროსი ძმა უმცროსს.

— ბილეთი დამიწვა მამამ, — დაიჩივლა ქუჩუმ.

— დაწექი... მოისვენე...

კარგ გუნებაზე იდგა ფედია, რადგანაც მათი დღევანდელი თარსად წასული საქმე ბოლოს წაღმა დატრიალებულიყო ვერიკოს წყალობით.

ცოტათი უკან გავიხედოთ:

ავთანდილი რომ მილიციის გზას გაუყენეს, ვერიკომ საფარი დასტოვა და ფედიასთან მივიდა. ფედიას ვერიკოს გამოჩენა არ გაკვირვებია.

ასედაც იცოდა: ვერიკო, აბა რა შვილი, მოსცილდებოდა განსაცდელში მყოფთ.

დამალვა უკვე არ სჭირდებოდათ.

გზაზე გავიდნენ.

— ვიღაც ენაჭარტალა გვირევია, — თქვა ვერიკომ, — ან, იქნებ, მოღალატეც. აბა მილიციას ხომ არ დაესიზმრებოდა...

— ასე გამოდის... ახლა ის შენი თანასოფლელი თუ გამოტეხეს, ავშენდებით, — წარმოსთქვა ფედიამ.

— არა მგონია!.. აკი შენ უთხარი, როგორც უნდა ილაპარაკოს!... ავთანდილს ცხრაჯერ თქმა არ სჭირდება...

ფედიამ უცებ სხვაგან გადაიტანა საუბარი:

— სროლა თუ იცი?

ვერიკომ გაკვირვებით შეხედა: ნეტა რა დროს ეგააო!..

პასუხი მაინც თქვა:

—ლევანს ვაჯობე ერთხელ. მაღლა აგდებულ ქვას ვესროდით...

ფედიამ იცოდა, რა კარგი მემიზნეც იყო ვერიკოს უფროსი ძმა ლევანი. თვით ფედიასაც სჯობნიდა ზოგჯერ.

ესიამოვნა ვერიკოს პასუხი; მეტი არაფერი უკითხავს; ჯიბიდან პატარა რევოლვერი ამოიღო, გერმანული სისტემისა. ხელის გულში დაიმალებოდა.

— შენთვის მიჩუქნია... ახლა სპარტაკელთა დროშაც შენ გაბარია და ბეჭედიც... დაგჭირდება.. ოღონდ ადამიანს მაინც ნუ მოკლავ, ვერიკო...

ვერიკომ შუქიანი თვალები მიაპყრო

ფედიას; რევოლვერი პალტოს შიგნითი ჯულისჯიბეში ჩაიცურა; მუჰით მოწოდებული პატარ-პატარა ვაზნები ხელში აჩხრიალა ცოტა ხანს კენჭებივით...

— ჩემი ძმების გამცემი რომ შემხვდეს, იმას კი მოვკლავ...

მიდიოდნენ.

მათი ფიქრი და გონება ავთანდილის ირგვლივ დატრიალდა. ახლა თითქოს სხვა რამე არც საფიქრალი ჰქონდათ და არც საზრუნავი. თოფების გადმოტანა რომ საშური საქმე იყო, ესეც გადაავიწყდათ. მათი აჯანყებაც და რევოლუციაც ამ წუთას იყო — როგორმე ავთანდილის გამოხსნა.

ბევრი იმტვრიეს თავი, მაგრამ მაინც ვერ დაადგინეს, ვის უნდა გაეცა ღლევანდელი შეკრება.

(ბართლომე ტყებუჩავას ენის ჭარტალის ამბავი მერე გაიგეს სპარტაკელებმა. მისი უჯრედიდან გარიცხვა უნდოდათ, მაგრამ ფედიამ შეაჩერა ისინი: ჯერ ისედაც ცოტანი ხართ. ბართლომე მოუფიქრებლობით შეცდა და ეს შეცდომა გაკვეთილად დაიხსომეთო).

დიდხანს ჩუმად იარეს ფედიამ და ვერიკომ.

გულში ორივე ისევ ავთანდილის განთავისუფლების გზებს ეძებდა...

— მე მოვახერხებ რამეს, ფედია. ოღონდ შენ არაფერი გაიკვირვო, — დუმილი დაარღვია ვერიკომ და გაიღიმა...

ორი გზის შესაყართან მოულოდნელად წააწყდნენ მილიციიდან ფეხით წამოსულ ადილარ გვაზავას.

მამაკაცები ერთმანეთს მიესალმნენ და ერთად განაგრძეს სვლა სამთავემ.

საუბრის წამომწყები ადილარი იყო:

— რა ჰქენი, მეზობელო. იშოვე სენაკში პური და მაკარონი?

ფედია ვერ მიხვდა, რა პურზე და მაკარონზე ეკითხებოდა მილიციის უფროსი. პასუხი მაინც ისეთი დაუბრუნა, ყველა მხრიდან მიედგომებოდა, წაღმაპირი და უკუღმაპირი — ორივე ერთნაირი ჰქონდა:

— პური და მაკარონი, იცოცხლე, კარგი იყოს, მაგრამ სადაა...

— რას ჩამოჰყევი ახლა მაინც? ფოსტას ჯერ არ ჩამოუვლია.

ადილარი დარწმუნებული იყო, რომ ფედია დღეს სენაკში სრულებითაც არ ყოფილა. სენაკში იყო კი არა, იმ რკინიგზელის სახლში კრებას მეთაურობდა... იქნებ გამოვტეხო, რამეში გამოვიჭიროო...

კარგი ჩიტი ჩანდა ადილარ გვაზავა, მაგრამ არც ფედია იყო ნაკლები:

— ღმერთს ფეხები მისთვის მოუცია, რომ იარო...

— ენა?..

— სიმართლის სალაპარაკოდ...

— მეტი შენ რა გითხარი, სიმართლეს ლაპარაკობდე... ეს გოგო ვინაა? — ახლა ვერიკოს ვინაობით დაინტერესდა ადილარი.

„მილიციელმა ფეხსაცმლის ზომა რომ გკითხოს, სწორად ისიც არ უნდა უთხრაო!..“

— დეიდაშვილია ჩემი... სტუმრადაა ჩამოსული...

ვერიკომ თავი გვერდზე გადასწია და ადილარს ისე ახედა, ქათამი რომ ახედავს შესაჯდომ ტოტს.

ახედა და გაუღიმა, მაგრამ როგორც კი მოარიდა ადილარმა თვალი, ვერიკოს ღიმილი უმალ გაუქრა, თითქოს ღრუბლის ჩრდილმა გადაუარა სახეზე.

სახელგანთქმული ექიმბაში თოფურია შემოხვდათ, ტანახოვანი, თვალშესაღლელი კაცი იყო. ბოხოხი დაეკეცა და ხელში ეჭირა.

მამაკაცთა სალამ-ქალამს ვერიკო არ დაელოდებია. მეზობნიას დუქანი იქვე იყო და იცოდა, გვერდს არ აუვლიდნენ. ფედიას ფრთხილად შეახო ხელი: მე სახლში წავალ, შენ დარჩი. ასე აჯობებსო.

ამ ორი ბოლო სიტყვის დედა-აზრი თვალითაც ანიშნა, ადილარს ისევ გაუღიმა და წავიდა.

ფედიამ ვერიკოს მოქმედება ასე ახსნა: მილიციის უფროსი მე აქ უნდა

შევიქციო და დავაყოვნო, თვითონ კი ავთანდილის განთავისუფლებაზე იზრუნებსო...

ადილარმა ექიმბაში დუქნისაკენ გაიწვია და რაკი ახლა ფედიას ჩამოშორება უხერხული იქნებოდა, ისიც შეიპატიჟა თითო ჭიქა ღვინოზე.

შეკამათდნენ: ფედიამ — წამოვალ, ოღონდ ფულს მე გადავიხდიო... ადილარმა — სიტყვა ჩემი იყო, ხარჯიც ჩემიაო... თოფურიას გაეღიმა და გულში ესა სთქვა: რისი გადამხდელები ხართ, მანეთი აქლემის ფასი გგონიათო...

ზედ დუქნის კართან შემოუერთდათ წუღებზის ვაჭარი ესტატე — აბაშის „პატარა მილიონერი", როგორც ეძახდნენ მეგობრები.

ადილარს, თოფურიას და ესტატეს ძველი მეგობრობა უდუღდათ; იშვიათად თუ გაუშვებდნენ დღეს ისე, რომ მებონიას დუქანში ორიოდ კვანჩხა ღვინო მაინც არ შეესვათ.

(კვანჩხა!.. სადღაა ახლა ეს ხეში გამოძერწილი სასმური! კვანჩხის ღვინოს სულ სხვა გემო ჰქონდა, სხვა ეშხი და ჭრა!...).

ვერიკომ ერთხელაც მოხედა სარდაფში ჩამავალთ და თავის აზრს მიჰყვა.

რას მოიფიქრებდა ვერიკო ავთანდილის გასანთავისუფლებლად, ეს თვითონ უფალმა ღმერთმაც არ იცოდა წინასწარ და, შესაძლოა, არც თვითონ ვერიკომ იცოდა....

მაინც დარწმუნებული იყო, რომ სასურველს მიაღწევდა.

სპარტაკის აბაშის უჯრედის პირველი მეთაურის — დავით კაჭარავას მოგონებაში აი რა წერია ვერა კიზირიას შესახებ:

„საოცრად მოხერხებული, ჭკვიანი და გაბედული იყო ეს სუსტი გოგონა. ვერიკო წარმოუდგენლად სწრაფად გამონახავდა ხოლმე გამოსავალს ყოველგვარი გასაჭირიდან... და მე არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, შემცდარიყოს..."

• • •

თერძ ქვილითაიას სახლი, რომლის ნახევარიც მილიციას ეკავა, ბაზრის ახლოს იდგა და პარასკეობით სოფლელების ჩოჩქოლით ჰქონდა ყურები გამოჭედილი.

დღეს გლეხებს ბაზრობა უკვე დაემთავრებინათ, გასაყიდი გაეყიდათ, საყიდლები ეყიდათ და ახლა ცარიელი გოდრებისა და კალათების გორები დაეყენებინათ გზისპირას, რომ რომელიმე ეტლს ან ურემს დამგზავრებოდნენ და თავიანთ კერას დაბრუნებოდნენ.

მილიციელები, ესაო და, ნახეთ რა ფხიზლები ვართო, ხან ვინმეს შეუძახებდნენ და აქედან გადაიკარგეო, ურჩევდნენ, ვინემ მათრახი არ მოხვედროდათ და ცხვირიც თავის ადგილზე ებათ.

ვერიკომ რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა ბაზრის ხალხს. ეტყობოდა, ვიღაცას ეძებდა. მალე მამია თოდუას მოჰკრა თვალი, ნაცნობ ბიჭს, სპარტაკში ახალმიღებულს. იქაურობას გაამორა და ბაღის მიყრუებულ კუთხეში განმარტოვდნენ.

კარგახანს ელაპარაკებოდა ვერიკო მეგობარს, რაღაცას არიგებდა, ასწავლიდა, მერე ამეორებინებდა, თითქოს სცენაზე გასასვლელად ამზადებდა.

მერე ბაზართან დატოვა ბიჭი, თვითონ კი ელვის უმალ სადღაც გაქრა...

შინ დაბრუნებას დაშურებულ სოფლელთა რიცხვი თანდათან კლებულობდა. ზოგ-ზოგი, ლოდინით თავგაბეზრებული, ვისაც ნაკლები ბარგი ჰქონდა, ფეხით ადგებოდა გზას, რადგანაც უკვე ბინდდებოდა, ერთდებოდა დღე და ღამე.

ვერიკოს დარიგებული ბიჭი მინოშნულ მესერთან იდგა და თვალს აქეთიქით აპარებდა.

ვერიკოს გაუჩინარებიდან დიდი დრო არ გასულა, რომ ანაზდად ხალხს გამოეყო წელში მოხრილი დედაკაცი და ვიშვიშით გაემართა მილიციისაკენ. გრძელი, შავი კაბით მიწას მოხვეტავდა, დაფოჩვილი შალი, ცალ მხარზე გად-

მოფენილი, წელზე შემოეხვია, შუბლი ჯერ თეთრი ნაჭრით ჰქონდა წაკრული, მერე, ზემოდან — შავით. თეთრი ნაჭერი წარბებს უფარავდა. ნიკაპთან განასკვული ფართო გაროზი მხრებსა და ზურგზე დაფენოდა. დიდი ხნის ხმარებით გამუქებულ თავფარჩხა ხელჯოხს ეყრდნობოდა ცალი ხელით. სახე ალაგ-ალაგ დანაოჭებოდა, ჩალურჯებულ ტუჩებიდან მოუჩანდა ორად-ორი ჩაყვითლებული კბილი.

ხალხში მისნაირი ბევრი სხვა ქალიც ერია, მაგრამ მათ ეს ერთი გამოეყო.

მამია თოდუამ მოჰკრა თუ არა თვალი მილიციელთან მისულ შაოსანს, მაშინვე მოსწყდა ადგილს და გეზი მებონიას დუქნისაკენ აიღო.

მილიციის გუშაგთან უკვე მიახლოებული შაოსანი ქალი სახეს იხოკდა და შესაბრალისად ჩიფჩიფებდა:

– დედა, დედაია, ჩემი სიკვდილი!... აქ რა უნდა ჩემს ბავშვს, ვინ მოიყვანა მილიციაში!.. უუურე, უუურე!..

მილიციელისაგან ცოტა მოშორებით შედგა და ჯოხიანი ხელი მაღლა ასწია:

— სადაა, მიჩვენე მაგ მამაძაღლი! რა დააშავა მაგ მიწაში ჩასაშვენმა... ამ ჯოხით გავუტეხავ თავს...

— ვინ ბიჭზე მელაპარაკები, ქალო! ახლოს არ მოხვიდე, - გაიჭიმა ხმლიანი მილიციელი.

ქალი უფრო მოიხარა, ქვევიდან ამოხედა და თითქოს გაუღიმა:

— იმა... შენ შემოგევლე!.. შენ ელპიტეს შვილი არ ხარ, ნანა?..

გუშაგი მილიციელი მართლა ელპიტეს შვილი იყო, მაგრამ ამ კაპარჩხი ქალის ვინაობას ვერ მიმხვდარიყო...

...მებონიას დუქანში თამბაქოს ბოლი, სამზარეულოს კვამლი და ბუღი ერთმანეთში იღლვიბებოდა.

წელან აქ ჩასულთა სუფრას თოფურია თამადობდა. საერთოდ, არც ერთხელ არ ყოფილა შემთხვევა, მისი თანდასწრებით სუფრაზე სხვას ეთამადოს.

იყო ბევრი ლაპარაკი: არეულ დროებაზე, ქვეყნის სიღარიბესა და სიდუხჭირეზე.

ფედია ფრანგიშვილს თავისი ბლუზის ერთი ღილკილო თითებში მოეგდო და აწვალებდა...

დარბაზის იქითა მხარეს ოთხი თუ ხუთი კაცი და ერთი ქალი უჯდა სუფრას. ხამუშ-ხამუშ სვამდნენ ოფჩურს, თან ტკბილად აკვნესებდნენ გიტარას და შიგ ტკბილადვე ადნობდნენ დამწვრის სიმღერას:

— ახ, მთვარევ, მთვარევ,
დამწვართ იმედო,
მსურს ჩემი ტანჯვა
შენ გაგიბედო...

ქალის „პირველი“ ნაზად ექსოვებოდა მამაკაცთა „მეორეს“ და „მესამეს“.

კაცები, განსაკუთრებით ბანები, ბეჰემოთებივით აბჩენდნენ პირს:

მთვარევ ხომ გახსოვს
ის ბნელი ღამე.
მხოლოდ შენ [illegible]
ჩვენი მოწამე...

ამას მოჰყვა:

— ჭლექიანი დღე იყო, ბრწყინვალე დღე სტიროდა, მთვარეს ჩადრი მოესხა, ისიც იცრემლებოდა... — და უცებ აზლუქუნდა ერთი „ბეჰემოთი“...

სხვა სუფრასთან კიდევ სხვანი აზრჩობდნენ ღვინოში თავთავიანთ გულის ვარამს.

ყველას თავისი სალხინო თუ საწუხარი შესჩენოდა...

(ასეთი იყო მაშინ შენი აბაშა, ჩემო თოვლისა)!

მედუქნე ლადი მებონია დახლზე ხახვს ოსტატურად ჰრიდა და, ცხვირი რომ ეწვოდა, გვერდულად მაღლა აეშვირა, ამასთანავე პირიც მოეღრიცა და გაწკვერტილი ულვაშები ალთასა და ბალთას წასვლოდა.

სად იყო ფიროსმანი!..

დუქანში მამია თოდუა ჩამოვიდა — ვერიკოს დარიგებული ბიჭი.

შეწუხებული, შესაბრალისი შესახედაობა ჰქონდა ბიჭს.

კიბე ჩამოათავა და შედგა.

ფედიამ იცნო იგი და გულმა რაღაც უაზრა, ხმა კი არ დაუძრავს.

ადილარმა თავისი შვილის თანატოლი ბავშვი მათხოვარივით მოჩერებული რომ ნახა, ამ ღვინოგადაკრულზე, შეეცოდა;

— რა გინდა, ბიძია, გშია?..

ბიჭს მილიციის უფროსის ნათქვამი ვითომ არც გაუგონია, თამადასთან მივიდა დამორცხვებული და ცრემლნარევი ხმით ალუღლუღდა:

— ბიძია, მიშველე, ჩემი ბიძია თუ ხარ. ჩემი ძმა დაიჭირა მილიციონერმა ახლა, ამ წუთში და არ უშვებს... იქ დაამწყვდია...

—ვისი ხარ, ბიძია, შენ? — გადმოიხარა თოფურია მისკენ.

— ქუჯი თოფურიასი... მომკლავს მამა, მარტო რომ მივიდე სახლში...

ქუჯი თოფურია თამადის მოგვარეცაა და ცოტა მონათესაოც. ძველ აბაშაში, სათოფურიოში შეძლებული, ღონიერი ოჯახი აქვს ქუჯის. ბევრჯერ სწვევია თოფურია და კარგი პურიც უჭამიათ, მაგრამ აბა რას დაამახსოვრდებოდა მისი ექვსი შვილი სათითაოდ!..

ბავშვი ღელავდა, ვერ ისვენებდა, გულზე მიდებულ თითებს ნერვულად ათამაშებდა. ახლა ისე შესტოპა, თითქოს მართლა დაჭერილი ჰყოლოდა ძმა და შველას მხოლოდ ამათგან ელოდა...

— მარტო რომ მივიდე, მომკლავს მამა... არადა, ღამდება, ბიძია...

ყველას მოეჩვენა, რომ იგი ტიროდა.

— რა დააშავა შენმა ძმამ, ბიძიკო? — ახლა ესტატე დაეკითხა ბავშვს.

— რაგატკა ესროლა ჩიტს, ბატონო, და დააცილა...

ადილარს გულიანად გაეცინა.

ფედია უკვე ხვდებოდა, რაშიც იყო საქმე და, ვერიკოს ასეთი მოხერხებულობით გაოცებული, კმაყოფილებით იღიმებოდა.

— მერე ამიტომაა დაჭერილი? — თავზე ხელი გადაუსვა ესტატემ ბიჭს.

— ის ქვა, ბატონო, მილიციის ფანჯარას მოხვდა და ჩაამტვრია... პატარა შუშაა რაღაცა. მამას ვეტყვი და ახალს იყიდის...

იქითა სუფრა მხიარულებას განაგრძობდა. მათ წამწამებაპრეხილი ანგელოსი ჰყავდათ გამოთვალული და აქეთ მოსახედად არც ეცალათ...

გიტარის სიმებზე ხელუკუღმა რომ გადაატარებენ თითებს, ისე გადაატარა თამადამ მზერა თავის ამფსონებზე და მედუქნეს გასძახა:

— მებონია, ერთი მილიციელი მომგვარე!..

ლადიმ ულვაში გამართა, გამოიქცა, სარდაფის კიბიდან თავი ამოჰყო და მისი ქვასავით ნასროლი სიტყვა მაშინვე მილიციელს მოხვდა.

მილიციელი ალბათ შეჩვეული იყო და ეგონა, არაფზე მეპატიჟებაო; სწრაფად ჩამოირბინა და თავის უფროსს რომ წააწყდა, უგემურად გაიჭიმა. რისი არაყი, რა არაყი!..

ადილარ გვაზავამ დაუყვირა:

— წაიყვანე ეს ბავშვი და ახლავე გამოუშვით მისი ძმა... ჰაიტ!!.

მილიციელმა აქამდე ყურთან აფარებული პეშვი გამართა და თითები ოდნავ ზევით, საფეთქლამდე ასწია. ესე იგი: მესმის, ბატონოო!..

ბიჭი უკანმოუხედავად მიჰყვა კიბეზე ულაზათოდ აბობღებულ მილიციელს.

ადილარმა თამადას შეხედა და ყელის გაშრობა შესჩივლა.

ფედია თავისი ბლუზის ღილკილოს შეეშვა, სავსე ბოთლი აიტაცა და ადილარის სასმურში თავით ჩააყუდა...

შენც დაისხი, მეც დამისხი,
შენი ჭირიმეო...

...შაოსანი ქალი მილიციასთან ისევ ემუდარებოდა ელპიტეს შვილს, — ოღონდ გამოეშვა მისი ონავარი ბავშვი და თვითონვე გაუსწორდებოდა მას...

მებონიას დუქნიდან მილიციელთან ერთად წამოსული მამია ყველაზე ადრე მან შენიშნა და წყევლა შეაგება: ამდენი ხანი სადა ხარ, შე მიწადასაყრელო,

სად ხკურმუხეთში გადავარდი და დაიკარგეო...

მილიციელმა, რომელსაც უფროსის სიტყვიერი ბრძანება მოჰქონდა, მამიას ბრაზიანად ჰკითხა: რომელია, ბიჭო, შენი ძმაო და, პასუხის მოლოდინში, ცალ ყურზე ისევე აიფარა პეშვი, როგორც წელან დუქანში.

ალბათ სმენა აკლდა და, შესაძლოა, ცოტა ჭკუაც.

— მანახე, ბიძია, და ამოვარჩევ, — დაუფიქრებლად უპასუხა მამიამ.

...კარგა ხნის შემდეგ, შეღამებულზე, ვერიკო და ავთანდილი უკვე კოდორის გზას მიჰყვებოდნენ.

ვერიკოს ბიცოლამისთან ღედაკაცის ტანსაცმელი გამოეცვალა და ახლა ისევ ნამდვილი ვერიკო იყო.

ავთანდილს თავიანთ სოფლის „სცენაზეც“ უნახავს ვერიკო დედაბრულად გამოწყობილი, მაგრამ ასე საქვეყნოდაც თუ იმსახიობებდა იგი, ეს კი არ ეგონა.

ხმას არ იღებდა ავთანდილი, თითქოს გაბუტული იყო ვერიკოზე. იქნებ იმიტომ, ამ სახათაბალო საქმეში რომ გარია!.. ან: ფედია ფრანგიშვილს მეტი სიყვარულით რომ შეჰყურებდა დღეს დილით და ხელის ჩამორთმევისას რომ გაწითლდა!..

მესამე თუ მეოთხე დღეს ფედიას სასწრაფოდ ქუთაისში გამგზავრება მოუხდა და ავთანდილმა ერთი გზობა ისიც კი გაიფიქრა: ნეტავ სულაც არ დაბრუნდესო...

* * *

მოწყენილი ამინდი დადგა.

ვერიკოს შინ გული არ დაუდგა და დილის გრილსულზე წამოვიდა კოდორიდან.

არც დედას უთქვამს რამე საწინააღმდეგო, არც მამას...

სპარტაკელთა ერთი ნაწილი სხვადასხვა სოფლებშია დაგზავნილი სააგიტაციოდ, ახალგაზრდობის შემოსაკრებად:

დავითი — სამიქაოშია, ბიქტორი — სუჯუნაში, — ღუღუნი — ბანძაში, ეფრემი — გეზათში, ავთანდილი — სირიაჩქონში...

ყველას ერთი სოფელი აქვს მიჩნეული, სადაც მასპინძელი ეგულება — ან ნათესავი, ან მოყვარე, ღამისგასათევი რომ ჰქონდეთ.

ვერიკო დღეს მათ ვერ ნახავს აბაშაში, მაგრამ სხვა ვინმე შეხვდება ნაცნობი, ისაუბრებს, გულს გადააყოლებს, გაზეთს წაიკითხავს, ბიცოლასას შეივლის...

სადგურზეც გავა, იცის, რა დროს მოდის მატარებელი.

რატომღაც ასეთი გუმანი აქვს: ქუთაისში წასული ფედია დღეს ჩამოვა...

ფედია ვერიკოს ძმების ამბავს უფრო დაწვრილებით გაიგებდა ქუთაისში. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამ იციან: ლევანისათვის დახვრეტა მიუსჯიათ, მოსე ციხიდან გაქცეულა...

ვერიკოს სულაც რომ არ დაებარებინა ფედიასათვის — ჩემი ძმების ამბავი გაიკითხეო, ის მაინც გაიკითხავდა და გაიგებდა თავისი მეგობრების ამბავს...

აბაშა დედინაცვალივით შემოხვდა ვერიკოს: შუბლშეკრული, ცივი, მოღრუბლული...

შემოხვდა და ჭადარზე გაკრული აფიშა შემოაგება.

აფიშის ტექსტი ფაქტიურად ბოლოდან იწყებოდა, ალბათ ხალხის მიზიდვის მიზნით.

კლუბში შესვლა უფასოაო — თავდაპირველად ამას იუწყებოდა ქარისაგან ნაწვალები და წვიმისაგან საღებავჩამორეცხილი ქაღალდი.

ამ სიტყვების ქვევით ეწერა:

„ლომინ გუგუშვილის მომღერალთა გუნდის კონცერტი.

კონცერტამდე — ბატონ მ. ი. ჯაიანის ლექცია-საუბარი ჩვენს სადღეისოდ საჭირბოროტო საკითხებზე.“

მატარებლის შემოსვლის დროიდან

ზედმეტმა საათნახევარმა გაიარა, მატარებელი კი მაინც არ ჩანდა.

აბაშის რკინიგზის ვაგზალი ისეთივე თეთრი ქვითაა ნაგები, როგორითაც ის მიტოვებული სახლი, ამასწინათ კრება რომ ჩამწარდათ სპარტაკელებს. ერთი ოთახი სამორიგეოა. მის კართან თითბრის ზარია დაკიდებული. მატარებლის მოსვლას და გასვლას ამ ზარით ამცნობს ხალხს სადგურის მორიგე. სამორიგეოს გვერდითა ოთახი რკინიგზის მილიციისაა. რკინიგზის მილიციელები და დაბის მილიციელები ერთმანეთისგან ფორმითაც განსხვავდებიან და სამოქმედო ასპარეზითაც. შენობის შუა, ვრცელ დარბაზს მოსაცდელი ჰქვია. იქ ბალლინჯოებითა და რწყილით დაძემგილი გრძელი, ზურგიანი მერხებია გამწკრივებული.

ღამით ამ მერხებზე სძინავთ უჭეროდ დარჩენილებს: დაგვიანებულ მგზავრებს, მთვრალებს, მათხოვრებს, მაწანწალებს...

დარბაზის ერთი კუთხე სუჯუნელ მეწვრილმანეს აქვს შემოდახლული და ვაჭრობს: ღილებით, ძაფით, ჯოხზე წამოცმული ყიყლიყო კანფეტებით, ფუნთუშით, ტარანით და, რაც მთავარია, არაყით. მეწვრილმანე ღამითაც აქვე იძინებს. როდის ხედავს ცოლშვილს, გაუგებარია.

მოპირდაპირე მხარეს, კედელში გამოჭრილია სარკმელი, რომელსაც მატარებლის ჩამოდგომამდე ათიოდ წუთით ადრე გამოაღებს მოლარე ქსენია ქებურია, ტურასავით გამოაჭყეტს თვალებს და ჰყიდის მატარებლის ბილეთებს...:

ქსენია თითქოს კედელშია დატანებული და ეს პატარა სარკმელიღა აქვს გამოჭრილი საჰაეროდ და გარეთ გამოსახედად. მთელი აბაშის რაიონმა იცის მისი სახელი და, ბილეთების გაყიდვა რომ დაიწყება, ჭერს და კედლებს აზანზარებს ხალხის წივილ-კივილი: ქსენია!.. ქსენია!.. ქსენია!..

ბაქანის სახურავს რკინის რვა ბოძი აქვს შეყენებული, ზევით-ქვევით რკინისავე რგოლებით და რკინისავე ყურძნის მეტვნებითა და ფოთლებით დამშვენებული. ყველა ბოძზე ნავთის ფარანია და ყველასვე ანთებენ მხოლოდ ვინმე საპატიო სტუმრის ჩამოსვლისას, ისე კი მარტო ერთსღა აუხელენ თვალს საღამოობით, ნაყარ-ნუყარი ხალხისათვის.

მკვრივად ნაგები და ლამაზი შენობაა.

(თოვლისას აბაშის ეს სადგური უნახავს მხოლოდ ერთ ძველისძველ მუნჯ კინოსურათში: ერემია წარბა და მისი ამხანაგები ნაბადმოხურულნი, ყაბალახით პირახვეულნი გამოდიან შენობის შუა კარიდან, ბაქანს გაირბენენ და თვალის დახამხამებაში გაქრებიან...)

ვერიკო დაიღალა მატარებლის ლოდინით.

სხვანიც ბევრნი იყვნენ ბაქანზე.

ყველა ჩამოსაჯდომ ადგილს ეძებდა...

მუშტრის მომლოდინე მეეტლეებსაც ქანცი გაუწყდათ.

ცხენებს სრულებითაც არ სწყინდათ, მატარებელი რომ იგვიანებდა; თავდაკიდებულნი, გაძვალტყავებულნი, ხიხვირჩამოგდებულნი იდგნენ ჭაპანში და თავიანთს პირუტყვულ საფიქრალს მისცემოდნენ.

გიმნაზიელის ფორმაში გამოწყობილი ვიღაც უცნობი მომაბეზრებლად აეკიდა და აეკვიატა ვერიკოს.

საითაც ვერიკო წავიდა, ისიც იქით მიჰყვა.

აქაურს არ ჰგავდა.

ვერიკოს სული ყელში მოებჯინა, სადგურის გვერდით მიფარებულ, ყოველთვის მიწასველ ბუჩქნარისკენ წავიდა განზრახ: აბა აქეთაც თუ გამომდევსო...

ვაჟი მართლა მიჰყვა და სიტყვაც დააწია:

— თქვენ ვერიკო გქვიათ!..

ვერიკომ თავისი სახელის გაგონებაზე, უცნობისათვის გასარტყმელად მომზადებული ხელი მოადუნა და ბრაზი სიტყვაში გადაიტანა:

— ვინა ხარ!..

უცნობი მიხვდა, რა კლდესაც მიენარცხა შუბლით.

— ჯერ უნდა გავიგო, რომ ვერა კიზირია სწორედ თქვენ ბრძანდებით...

ვერიკომ ლაპარაკის კილოზე შეატყო, — ეს ჭაბუკი ქალაქელი უნდა ყოფილიყო. და, თუ, ვთქვათ, ქუთაისიდან იქნებოდა ჩამოსული, მაშინ რაიმე ამბავსაც ჩამოიტანდა — ან კარგს, ან შემზარავს... ამიტომ ბევრი ჩიჩინი დროის დაკარგვად მიიჩნია და პირდაპირ მოჭრა:

— მე ვარ ვერა კიზირია!..

ვერიკოს გუმანი უცნობის ნათქვამმა დაადასტურა:

— ქანაბარებითა ვარ ქუთაისიდან... გიმნაზიელი არ გეგონოთ, ასე გამომაწყვეს, — ქურთუკზე ჩამოისვა ხელი.

უფრო მყუდრო ადგილს მიაშურეს.

ვაჟმა გაიღიმა და ვერიკოს მეტი დაჟინებით შემოხედა გვერდიდან:

— მართალი უთქვამს... ყველაზე ლამაზი გოგო რომ შემოგხვდეს, ის იქნებაო...

— ვინ თქვა?..

მატარებელმა მოაკივლა საჭილაოს მხრიდან.

ბაქანზე ხალხი შეჩოჩქოლდა, აქეთიქეთ მიყუჟულნი უცებ გამოზიმზიმდნენ...

ვერიკომ იმავე ტონით, იმავე გამომეტყველებით გაიმეორა შეკითხვა: ვინ თქვაო?..

— ფედია ფრანგიშვილმა დამარიგა დაპატიმრებამდე... გუშინ დააპატიმრეს, დილით... თითქოს წინასწარ უგრძნობდა გული, ეშმაკს ცხრა ანკესი მუდამ დაგებული აქვსო, მითხრა, ვინიცობაა დამაკავონ, აბაშაში შენ წახვალო...

„ფედია დაუპატიმრებიათ!..“

მატარებელი ქშენით ჩამოდგა ბაქანთან.

ვერიკო უკვე არავის არ ელოდებოდა...

მზიან კედელთან მიმჯდარმა მეეტლეებმა წელი წამოითრიეს, გასასვლელთან ჩვეულებისამებრ ჩამწკრივდნენ და ჩამოსულ მგზავრებს გაბმული მიპატიჟებით ყურები გამოუჭედეს.

ქუთაისელი ჭაბუკი და ვერიკო იქაურობას გაშორდნენ.

სტუმარი საუბარს შეუყვა:

— დღეს თქვენთან თბილისელმა ლექტორმა ლექცია უნდა ჩაატაროს. ჩვენთან გუშინ იყო, ქვეყნის ხალხი ესწრებოდა, მაგრამ ლექცია ჩვენ ჩავუშალეთ... ლაპარაკი ვიციო, იმან დაიტრაბახოს. მაინც ჩავაჩუმეთ... პროკლამაციები მე ჩამოგიტანეთ ფედიას მაგიერ...

— ეს კარგია!.. დანარჩენი ჩვენ ვიცით... — ვერიკოს ხმაში ნერვულობა იგრძნობოდა.

„პროკლამაციები კი ჩამოგიტანია ფედიას მაგიერ, ჩემო იმანო, მაგრამ ფედიას მაინც ვერ შეცვლი მაგ დაყვლეპილი თვალებით და ნაღრძობი ტვინით...“

რა შუაში იყო ნეტავ ეს ადამიანი, გუნებაში მიწასთან რომ გაასწორა ახლა ვერიკომ?!

ისევ ფედიას ამბისკენ შეაბრუნა სტუმარი.

მანაც აუხსნა: სადგურიდან შრიფტი გადმოჰქონდათ ფედიას და შუშანიკა კუპრაშვილს, ვითომ ცოლ-ქმარი იყვნენო...

— შუშანიკა კუპრაშვილი ვინღაა? არ გამიგია, — გაბრაზებით იკითხა ვერიკომ.

სტუმარი, ცოტა არ იყოს, გაოცდა: ამ გოგოს, აბა, რა აბრაზებსო!.. და მშვიდად მიუგო:

— კომკავშირელია, შენსავით...

მიდიოდნენ ნაწვიმარ გზაზე.

ვაჟმა გვერდიდან დიდხანს უჭვრიტა ვერიკოს, მერე რაღაც სხვანაირად დაიღმიჭა, მკლავში ხელი ფრთხილად, შეპარვით გამოსდო და თვალმინაბულმა ხმა აანარნარა:

— მართლა ლამაზი ყოფილხარ, ვერიკო...

ვერიკოს მკლავი არ გამოუგლეჯია მოსაუბრის ხელიდან, როგორც ასეთ დროს სჩვევიათ ხოლმე გაბუტულ გო-

გონებს; მხოლოდ თავი მიაბრუნა ვაჟისკენ და კარგ სილასავით გააწნა:

— საქმეზე ილაპარაკე, ამხანაგო!..

ეს სიტყვები ისე იყო ნათქვამი, რომ ვაჟს მოეჩვენა, თითქოს ქალის ხმა კი არა, ვერცხლის წყალი ჩაუგორდა ყურში; თვითონვე მოაცილა ის „სხვანაირად“ ჩაკიდებული ხელიც და „სხვანაირი“ გაღიმებაც...

დუმილი დაემგზავრათ.

ვერიკო თავის ფიქრებს დაუბრუნდა: „...როგორ უთქვამს ფედიას? ყველაზე ლამაზი რომ შეგხვდეს, ვერიკო ის იქნებაო!.. შუშანიკა ვინ ოხერია!.. ვითომ ცოლ-ქმარი იყვნენო!.. ჰმ...“

მატარებელს ჩამოყოლილი ხალხი თანდათან გაიფანტა...

ქუჩაში მარტო მილიციელები და გვარდიელები თუ გამოჩნდებოდნენ კანტი-კუნტად. ესენი დღეს საგანგებოდ იყვნენ გაფრთხილებულნი: ჯელგად თავმოყრილ ხალხს თუ წააწყდებოდნენ სადმე, უნდა გაეფანტათ, თორემ ისინი კარგს არაფერს იტყოდნენ ამ არეულ დროში.

მენშევიკ ჯაიანის ლექციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა აბაშის რაიონის ხელისუფლება.

ქუთაისელ ამხანაგს ვერიკოსათვის პროკლამაციები უნდა გადაეცა.

ვერიკომ მებონიას დუქნისკენ გაიწვია იგი.

უკანა ფეხზე შემდგარ, აღრიალებულ დათვს წააწყდნენ.

ვერიკო ამას შეჩვეული იყო, სტუმარი კი შეცბა, გადახტომისას მიწაზე ფეხი ვერ მოიკიდა და დავარდა.

დათვის სათვალთვალოდ თავმოყრილმა გოგო-ბიჭებმა სიცილი დააყარეს.

ვერიკოს ბაგე ოდნავ გაეპო მხოლოდ, ვაჟს წამოდგომაში მიეშველა და დააშოშმინა: შინაურია, ადამიანს არ ერჩისო...

შეშინებულს შელოცვასავით მოუხდა ვერიკოს სიტყვები და ენაც ამოადგმევინა:

— ესაა მებონიას დუქანი?.. აქ უნდა მოვსულიყავი, თქვენ რომ არ მენახეთ (ისევ „თქვენობაზე“ გადავიდა).

ვერიკოს მიახლოებით უკვე დაჭერილი ჰქონდა დღევანდელი ლექციის ჩაშლის თადარიგი. ამას არც ფედიას შემოთვლა სჭირდებოდა და არც ამ ბიჭისგან ჭკუის სწავლება. მთავარი პროკლამაციები იყო და ეს პროკლამაციებიც უკვე აგერ ჰქონდათ...

სტუმარს ტანსაცმლის შესწორება ადროვა ვერიკომ და დაარიგა, — დუქანში ჩასულიყო წასახემსებლად, პროკლამაციები ლადისთვის დაეტოვებინა. მერე კლუბში ნახავდნენ ერთმანეთს...

ვერიკოს ყოველ სიტყვასა თუ გამოხედვაში დამმორჩილებელ ძალას აწყდებოდა ვაჟი. რაც არ უნდა ებრძანებინა ახლა მისთვის ამ პატარა გოგოს, უყოყმანოდ შეასრულებდა. იცეკვეო, იცეკვებდა, წყალში ჩადექიო, ჩადგებოდა...

მარტო დარჩენილმა ვერიკომ უფრო მწვავედ იგრძნო ფედიას მდგომარეობა.

ეშმაკს იმ ცხრა ანკესში ერთი გამოდგომია...

თითქოს, ფედიას გარდა, სხვა არავინ არსებობდა დედამიწის ზურგზე ვერიკოს მფარველი და გზის მასწავლებელი...

ბიჭები სოფლებში იყვნენ დაგზავნილნი. ქუჩუ ფრანგიშვილი — ფედიას ძმა — აქ იყო, მაგრამ ანგარიშში არ ჩაითვლებოდა, — მამამისი შინიდან ფეხს არ ადგმევინებდა ქუჩუს, სასწავლებელშიც არ უშვებდა, გალიაში ჰყავდა გამომწყვდეული ფრენას შეჩვეული ჩიტი...

მასთან ვერც ცოლის მუდარამ გასჭრა, ვერც თვითონ ქუჩუს დაპირებამ: ოღონდ გამიშვი და იმ ხალხს (ესე იგი სპარტაკელებს) გამარჯობასაც არ ვეტყვიო.

იროდიონს გამოცდილი ჰქონდა: ასეთი დაპირებით იცის შემოხედვა და

თავის შეცოდება მახეში გაბმულმა ყველა ფრინველმა.

შეგეცოდება, გაუშვებ და მშვიდობით...

მამას ახლა მისი უფროსი ვაჟის, ფედიას დაპატიმრების ამბავიც რომ გაეგო, ალბათ სულ ქვების სროლას დაიწყებდა...

კოდორშივე რომ სცოდნოდა ვერიკოს, დღეს მენშევიკებს ლექცია რომ ჰქონდათ, იქიდანვე წამოიყვანდა კარგ დამსტვენელ და წყალში თავით მხტომელ ოთხ-ხუთ ბიჭს... ლენასაც წამოიყვანდა (ეს კულაკის ქალიშვილი ვერიკომ გადმოიბირა თავიანთკენ და უჯრედშიც შემოიყვანა. ასეთი, ცოტა შეძლებულად მცხოვრები ოჯახის შვილები ჰაერივით სჭირდებოდათ სპარტაკელებს, რადგანაც იმათ, მდიდრების შვილებს, რევოლუციური საქმეებისათვის განკუთვნილ ყულაბაში მეტი ფულის ჩაგდება შეეძლოთ).

პარტიულ, უფროს ამხანაგთან — მამანტი ხაბეიშვილთან მისვლა აუცილებლად მიიჩნია ვერიკომ და მივიდა კიდეც; დღევანდელი ლექციის ჩაშლის განზრახვა აცნობა, ნებართვა და დარიგება მიიღო მისგან.

თვითონ პარტიულები სიტყვებით უნდა შეტაკებოდნენ ჯაიანს, თუმცა აშკარად გამოსვლა უკვე სახიფათო გახდა.

რა უნდოდა ლექციის ჩაშლას??

რამდენიმე ისეთი ახალგაზრდა, რომლებიც, თუ ჩავარდებოდნენ, სხვას არ გასცემდნენ...

ვერიკოს კოწია დალაქი გაახსენდა.

კოწია არც ერთ პარტიას არ ემხრობოდა, მისთვის სულ ერთი იყო ბოლშევიკი და მენშევიკი, ოღონდ ბევრი ჰყოლოდა მუშტარი.

ვერიკო სადალაქოში შევიდა, კოწიამ სარკეში დაინახა და სკამიანად შემობრუნდა.

— გამარჯობა, კოწია ბიძია!..

— გაგიმარჯოს, გუშა... ნუ მეძახი ბიძიას. მე შენ გეუბნები, — ხმას აუწია დალაქმა, და პირჯვრის დასაწერად გამზადებული სამი თითის მაღლა აშვერით, უმალვე შეარბილა, — გოგოებთან მაინც ნუ დამიძახებ, გუშა!..

— აბა რა დაგიძახო?..

— გოგო, შვიდი თუ რვა წლით ვარ შენზე დიდი, მეტით კი არა...

— დოლა თხამ თავისი თავი წყალში დაინახა და, თავზე რქები რომ არ ჰქონდა, ჯერ ციკანი ვარო... — იღიმის ვერიკო მთელი სახით, თვალებით...

— ვოი, ნანა! ეს რა ეზრდება ჯაბა კიზირიას, — გულზე ხელები დაიკრიფა დალაქმა, თანდათან დატკბა, — დაჯექი... დაბრძანდი, გუშა... რაზე შეწუხებულხარ?..

— ლექციაზე ხომ იქნები დღეს?

— რა ლექცია, რისი ლექცია? — გაიკვირვა კოწიამ.

— აფიშა აგერ გაქვს და მე მეკითხები?

კოწიას ერთი აფიშა თავის სადალაქოში გაეკრა, მაგრამ ეტყობოდა წაკითხული არ ჰქონდა. შეხედა და ხელი ჩაიქნია (აქვე ჰქონდა გაკრული თავისივე ხელით ქაღალდზე დაწერილი საკუთარი, დალაქური სიბრძნე: „რასაც მომისვამ ხელზე, იმას მოგისვამ წვერზე“):

— ჭუჭრუტანებზე მივაწებე, გუშა... რა მელექციება, ცხონებულ სიდუს ორმოცია დღეს. ჭირისუფლები უნდა გავპარსო. ორმოცი დღის გაუპარსავები. ბევრნი კი არიან, მამა ვაცხონე მაგათი... მაშ! — ამაყად წარმოსთქვა დალაქმა, — კიდევ ერთი მკვდარი მყავს გასაპარსი, საწყალი პახვალა...

— მკვდრების იმედზე დარჩენილხარ...

— მკვდრების პარსვა უფრო სარფიანია, მეტი რა ვიცი!.. აბა სახლი არ გადაგიხურო ან ჭა არ ამოგიჭრა ერთბაშად...

— ყვირილი და სტვენა თუ გეხერხება, კოწია ბიძია? — ისევ გემრიელად იღიმებოდა ვერიკო.

— ნუ მამასხრებ, გუშა, მე შენ გეუბნები, — ისევ სარკიდან გამოხედა კო-

წიამ სტუმარს და სამართებელი ქასურზე აუსვ-დაუსვა.

ვერიკომ სკამი გამოსწია და ჩამოჯდა, თუმცა დიდხანს აქ დასარჩენად არ ეცალა.

სადალაქოდან რომ გამოვიდა, მისი კმაყოფილი გამომეტყველება ადასტურებდა, — საქმე გაჩარხული ჰქონდა.

„მსტვენელად" დაიყოლია გოგონამ დალაქი.

ამრიგად, დღევანდელი ლექციის ჩაშლის საქმეში პირველი დალაქი გადიოდა.

* * *

თითო გიჟი და სულელი ყველა სოფელს ჰყავს და ამ მხრივ არც აბაშა იყო გამორჩენილი.

მასაც ჰყავდა საკუთარი გიჟი — კირილე.

კირილეს, თავისი ჭკუით, მაჭუჭი უყვარდა, გათხოვების ასაკს ცოტათი გადაცილებული, შახიანი და ხუმრობის მოყვარული ქალი.

კირილეს ყველაფერზე მეტად წითელი იზიდავდა. წითელს თუ იპოვნიდა რამეს, შუშის ნატეხიც ყოფილიყო, მიურბენინებდა მაჭუჭის და საწყალობლად დაეღრიჯებოდა:

— მაჭუჭია, ა, მოგიტანე სანიშნოპო და როდის გამომყვები ცოლად?..

თუ ვინმე ეტყოდა: მაჭუჭი გათხოვდაო, ან მაჭუჭი მოიტაცესო, ისეთ ყვირილს და ქვების სროლას მორთავდა, კაციშვილი ვერ გაეკარებოდა ახლოს; რაც ეცვა, ყველაფერს ზედ შემოიგლეჯდა...

კირილეს ვერიკოსთვის სადღეისოდ გამოსადეგი ერთი თვისებაც ჰქონდა: აბაშის კლუბში გამართულ წარმოდგენას ან კონცერტს იშვიათად თუ გამოტოვებდა. თუ არ გააბრაზებდნენ, იჯდა თავისთვის იატაკზე და, სცენას მიჩერებული, კრინტს არ სძრავდა.

კირილეს კარგი გაბრაზება ქუჩუმ იცოდა, ხოლო ქუჩუ, როგორც უკვე ითქვა, მამის თვალთახედვაში იყო მომწყვდეული. მაგრამ ეს ვერ შეუშლიდა ხელს ვერიკოს განზრახვას, — ესარგებლა კირილეს უჭკუობით. ქუჩუ თუ არ იქნებოდა, მის გამბრაზებელს სხვას მონახავდა...

ლექციის ჩამშლელად კირილეც დააგულა ვერიკომ და გზა განაგრძო.

ნათლია აბაშელი ჰყავდა ვერიკოს, ორიოდე ვერსზე სახლობდა დაბიდან, მაცხოვრისკარში.

დედა ყოველთვის ეუბნებოდა, ერთხელ მაინც მოეცალა და ენახა „მორდია". მაგრამ ვერ მოიცალა ვერიკომ საამისოდ.

ნათლიას შვილი — რაჟდენი — თეთრ გვარდიაში მსახურობდა და ფაქტიურად ისა და ვერიკო ერთმანეთის იდეური მოწინააღმდეგენი იყვნენ, თუმცა პოლიტიკური რწმენა ნათელ-მირონს ხელს ვერ შეუშლიდა.

რაჟდენი აქ, აბაშაში, გვარდიელებთან კი ნახა ერთხელ, მაგრამ მხოლოდ შორიდან მიესალმნენ და ღიმილით მოესიყვარულნენ ერთმანეთს, სასაუბროდ არ შეყრილან.

ვერიკომ ნათლიას სახლისკენ გასწია. იცოდა, იქ ნახავდა რაჟდენს...

* * *

ჯაიანის ლექციის დაწყების დრო ახლოვდებოდა.

ლომინ გუგუშვილის მომღერლებმა „მგზავრულის" სიმღერით შემოაჭირითეს ცხენები ეწერიდან აბაშაში და ხალხის ყურადღება უმალ მიიპყრეს.

მოჯირითობდნენ, ქარში აფრენილ ნაბდებიდან ჩოხის მასრებს და მოსავადებულ ქამარ-ხანჯლებს მოაბრჭყვიალებდნენ.

კალისტრატე ყურუა სწორედ წისქვილში აპირებდა წასვლას, ცხენოსნებს რომ თვალი ჰკიდა, ჭიშკრიდან არ გაუმოსულა, უკანვე, სამზადში შებრუნდა, საფქვავიანი ტომარა მხრიდან ჩამოიღო და ცოლს შეევედრა: ამათ კონცერტს ნუ გამომაკლებ, თოლივე, დღეისთვის საკმარი დაფქული კი გვაქვს და წისქვილში ხვალ წავალო...

ნათლიას სახლიდან მობრუნებულმა ვერიკომ განათებული მზერა გაადევნა ცხენოსნებს: „ეჰ, რა იქნებოდა ეს ოც-

დაათამდე მხედარი, ხმალამოწვდილი ბრძოლის ველზე! დღეს არ მოგიწევთ კლუბში სიმღერა, ძმებო, რადგანაც თქვენი კონცერტი ბოლოსაა და ბოლომდე ვერ გასტანს ლექცია!.. გული არ დაგწყდეთ... სიმღერით ომში შესვლაა ლამაზი, თორემ აქ კალისტრატე ყურუას რომ უმღერო, რა ამირანობაა!.. სიმღერით მტრის აბჯარ-ბექთარზე ხმლის დაკვესებას და გაცვეთასა აქვს მადლი და ლაზათი..“

ვაჭრებმა დარაბები ადრე დაკეტეს: ვიჩქაროთ, თორემ კლუბში ადგილი არ დარჩებაო...

ლადი მებონიამაც დაკეტა თავისი დუქანი; დათვს შაქრის ნატეხი პირში ჩაუდო.

სიმღერის მოსასმენად კა არ მიდის ლადი.

მას სულ სხვა „ცეცხლი“ უდევს ჯიბეში: ერთი პატარა დასტა თვითონაც დაიტოვა იმ ქუთაისელის ჩამოტანილი ქაღალდებიდან.

რა დიდი საქმეა კლუბში მათი გაფანტვა!..

ვერიკომ თვალი შეასწრო კლუბისკენ მიმავალ რამდენიმე ბოლშევიკს. ძალა და იმედი მოემატა თითქოს, მაგრამ ფედია რომ არ ერია მათში, ეს უფრო მწვავედ იგრძნო ახლა...

„ნუთუ ფედიაზე არაფერს ფიქრობენ მეგობრები?!.“

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო კეცხოველი

# კიდევაც დაიზრდებიან...

## ნაოხარზე დარჩენილი ხელნაწერი

> მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
> ვლეწე ტაძრები კლეპტრიანი.
>
> გიორგი ლეონიძე

ერთ პატარა ხევის თავზე, რომელშიც ნაკადული მიჩხრიალებდა, მალე აიმართა ორი მწვანე კარავი.

— კარავი რად გვინდა! — ბუზღუნებდა ვახტანგი, — კარგი ამინდი ჩანს...

— აგერ, აი იმ მთას გიჟი-მთა ტყუილად კი არ ჰქვიან. უცბათ იცის ღრუბლების შეკრება და წვიმად ჩამოღვრა, — უთხრა შალვამ, — პირველი დუხობორები რომ დასახლდნენ ტამბოვკასა და გორელოვკაში, ამ ქედს „სველი მთები“ უწოდეს. აქ ხშირად იცის ნისლიცა და წვიმაც...

— კარგით, კარგით, თქვენ იმდენს მეტყვით, რომ მესამე კარავსაც დამადგმევინებთ! — და მოიხსნა შალვამ თავისი ზურგჩანთა.

გივიმ კაჟაჟი მოაგროვა. შალვამ რომ დახედა, დინჯად თქვა:

— ამითი წყალს ვერ ავადუღებთ, ხმელი ნაკელიც მიუმატეთ, აგერ, გაღმა რომ კაჟაჟია, ისიც! მე და ერეკლე კი მიდამოს მოვათვალიერებთ, — დააგდო სიტყვა და ვულკანურ ქვაყრილებს მიეფარა.

ვახტანგმა და გივიმ ხმელი შამბ-კაჟაჟისა და გამხმარი ნაკელის მთელი ხროვა დააყენეს.

საღამოხანს გიჟი-მთის წვერი ნისლით დაიფარა. ის იყო, მოათავეს საუზმე, რომ მსხვილმა წვიმამ წამოუშინა.

კარავი სწორედ მისწრება იყო!

შალვამ მესამე კარავიც ამოიღო და კაჟაჟსა და გამხმარ ნაკელს გადააფარა, დილით წყლის ასადუღებლად დაგვჭირდებაო.

კარვებიდან გასცქეროდნენ წვიმის სვეტებს, ქვევით, ხრამჯესის წყალსაცავის თავზე რომ იყო ჩამოშვებული.

წვიმამ მალე გადიღო. ცამ მოიკრიალა და სულ მალე ვარსკვლავებიც აციმციმდა.

ღამე აცივდა, მაგრამ მგზავრები არ შეუწუხებია.

დილით მიწა თითქმის მშრალი იყო. მზის ამოსვლის შემდეგ ალაგ-ალაგ ორთქლი ახდიოდა.

დილით მზეს აასწრეს, აადუღეს წყალი, ისაუზმეს და შეუდგნენ საქმეს. შალვა და ირაკლი ფერდობს აჰყვნენ.

ეს უკვე ბაღვაშების სამფლობელო იყო.

ბაღვაშები არგვეთის მფლობელები იყვნენ. მეცხრე საუკუნის 70-იან წლებში ლიპარიტ I ბაღვაში დავით კურაპალატს ეყმო, მისგან თრიალეთის მიწა-წყალი მიიღო და კლდე-კარის ძლიერი საერისთაო შექმნა. მეათე საუკუნეში ბაღვაშები უკვე ერისთავთ-ერისთავებად იწოდებოდნენ, მოძლიერდნენ და მთელი თრიალეთის დამკვიდრებას ცდილობდნენ. ამ საგვარეულოს მთელი ისტორია შფოთიანი და მოუსვენარია, სამეფოს სულ ოპოზიციაში ედგნენ და ცდილობდნენ მისი მორჩილებიდან გამოსვლას. ბოლოს დავით აღმაშენებელმა მოტეხა მათი თავგასულობა და უკანასკნელი

---

• გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 1.

ბალვაშის — რატის გარდაცვალების შემდეგ კლდეკარის საერისთაო გააუქმა.

არც ბალვაშების მეორე შტო — რაჭის ბალვაშები, კახაბერისძენი იყვნენ უკეთესნი. ამ გვარის უკანასკნელი ერისთავი კახაბერ კახაბერის ძე მონღოლებთან მოღალატური კავშირის გამო დასაჯა დავით მეექვსემ.

როგორც ჩანს, თრიალეთში ბალვაშებს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ჰქონდათ, უპირველესად კი — ლიპარიტის უბანი, ახლანდელი კაკლიანი, სოფელ გომარეთსა და მდინარე ქციას შორის. ეტყობა სასახლეები უნდა ჰქონოდათ გომარეთში — ამ მხარეში გომარეთი საცხოვრებლად ყველაზე უკეთესი უნდა ყოფილიყო სახნავ-სათესით, სათიბით, საძოვრით, ქციის ჭალების სიახლოვით. აქ, მეტი თუ არა, სამი ტაძარი, მათი აგებულია. ამას ისიც მოწმობს, რომ დიდი ტაძრის კედელზე ამოკვეთილია: „ქრისტე ადიდე ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი და შვილნი მისნი“.

ექვთიმე თაყაიშვილის თქმით, აქაური სახარებანი წმინდა ნივთად ითვლებოდა მთელ თრიალეთში. ღვთისმოსავნი ძღვნებით მოდიოდნენ და ავედრებდნენ ამ სახარებას თავის მახლობელთ. ერთ-ერთ მინაწერში თამარ მეფე, დავით სოსლანი, ბექა ოპიზარი და სხვა ისტორიული პირნი იხსენიებიან; სწორედ ამიტომ არის, რომ ექვთიმე თაყაიშვილი ფიქრობს ერთ-ერთი სახარება მეთორმეტე საუკუნის დასასრულისა და მეცამეტის დასაწყისისაა (1193-1208).

მეორე უფრო ახალია, 1534 წელს კალმახის ციხეშია გადაწერილი, არქიმანდრიტ რომანოზ ხაჩიძეს გადაუწერია.

ცოტა ხანი ქვაზე ისხდნენ. მოიგონეს, რომ ამ სამოცდათხუთმეტი წლის წინათ ზოგ საყდარში კიდევ იყო პერგამენტზე ნაწერი სახარება, ლოცვანი და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა წიგნი!

— ეს იმას ნიშნავს, რომ, როცა ამ მხარეს მტერი შემოესია, ხალხი აიყარა და თავისი წმინდა რელიქვიების წაღებაც ვერ მოასწრო, ობრად დატოვა ტაძრებში. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ უცხო ხალხი რომ მოვიდა, მათ ამ მიტოვებულ ტაძრებში დახვდათ მთელი რიტუალის შესასრულებელი ნივთები, ჭურჭელი და წიგნები, — თქვა ერთმა მათგანმა.

ცოტა ხანს გაჩუმებულნი იყვნენ. ბოლოს ვახტანგი წამოდგა და გივის უთხრა:

— წავიდეთ. დავიღალე ამდენი ანაოხრების გახსენებითა და ნახვით... — მართალი ხარ, მაგრამ ნეტავ სად არის ეს ხელნაწერები?

— ექვთიმე ისეთი კაცი არ იყო, რომ დაეტოვებინა. უეჭველად წაიღებდა აქედან. თბილისში შევამოწმოთ, ხელნაწერთა ინსტიტუტში.

და გამოსწიეს დათქმული ბინისაკენ.

ვახტანგმა არც კი ისაუზმა, შეძვრა კარავში და ფიქრს მისცა თავი: „რამდენი ასეთი წიგნია ჯერ საპოვნელი, — ამოიოხრა და დახუჭა თვალები. — რამდენია დაკარგული, გადახიზნული, მცველი მომკვდარა, ან მოუკლავთ და საიდუმლოც სამარეში ჩაუტანია, თუკი ღირსებია სამარე“.

### დაკარგული განძი

უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა,
მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს,
სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს
და ვარსკვლავი ზღვაზე როგორ მოგზაურობს.

ლადო ასათიანი

ვახტანგს ეჭირა ხელში სახარება და ფიქრობდა: „რასაკვირველია, ეს ანატოლიიდან არ არის მოტანილი. ალბათ ამ ოჯახის წინაპარმა აქაურ საყდარში იპოვნა. საყდარში კი მაშინ დარჩებოდა, როდესაც ამ სოფელს ოსმალთა მარბიელი ჯარი დაეცა და ხალხი გაიხიზნა. ვის ეცალა ეკლესიისათვის, წიგნებისათვის. რამდენი რამ დაიკარგა, გაიფანტა, გაიტაცეს, გაყიდეს... არა, შეიძლება არც გაყიდეს, დალპა და დაიმარხა. ამ მდინარეთა ხრამები ხომ მდიდარია სამალავებით, გამოქვაბულებით. ნუთუ არავინ შეინახავდა? არა, შეუძლებელია, რომ ძველი წიგნების საცავები არ იყოს სადმე შემონახული. რა გასაკვირია, რომ თვით შოთას ნაწერი „ვეფხისტყაოსანიც“ იყოს სადმე ამ გამოქვაბულებში!

ვახტანგმა ქარაფიდან ღრმა ხრამში გადაიხედა. სადღაც, ძირს, აბრეშუმის ძაფივით ჩანდა მდინარე, ქცია იყო თუ შავი წყარო?, ქცია უნდა ყოფილიყო. კიდევ დააკვირდა ხრამის კედლებს. აგერ, გაღმა ქარაფი ტყით არის დაფარული: ჯაგრცხილა, გინდა რცხილა, მუხა, ცაცხვი თუ იფანი... თუმცა ყველაზე მეტი ჯაგრცხილა და მუხა უნდა იყოს. აი ის კედელი ნაკლებ მდიდარი არ უნდა იყოს გამოქვაბულებით, მაგრამ გამოქვაბულები არა ჩანს, ხეებით არის დაფარული. ხალხი კი განძეულს ჯერ იქ ეძებს, სადაც ხედავს. რატომ იქ არ ვეძებთ, სადაც არ უძებნიათ?

ვახტანგმა მიიხედ-მოიხედა. ახლო-მახლო არავინ ჩანდა, წერაყინი ასწია, ტარი გაუსინჯა და ფეხი ქარაფზე ჩადგა. უცბათ ქვა ფეხიდან გამოეცალა, გრიალით ქვევით ჩაქანდა. კიდევ კარგი, წერაყინით იყო დაყრდნობილი და მეორე ფეხიც მიწისთვის ჯერ არ აეცილებინა. გადაქანდა, მაგრამ თავი ძლივს შეიკავა. „ეს როგორ მომივიდა?! ჯერ უნდა მომესინჯა, კარგად შემერყია“ — ფიქრობდა იგი. ქვა კი მიგორავდა, კლდეებს ეხეთქებოდა, ამ უძირო ხრამში ისეთი ჭექა-ქუხილი ატყდა, გეგონებოდათ წარღვნას აპირებსო. ქარაფს

მომწყდარი ეს ლოდი, ხრამის კედელზე მდებარე მეორე ლოდს რომ ეჯახებოდა, მასაც მოსწყვეტდა და სანამდე ძირს, ფსკერზე, ქალაში დაეცემოდა, ოც ლოდზე მეტს ჩაიტანდა თან. ვახტანგი სულგანაბული ჩასცქეროდა ხრამს და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად, როდესაც უკანასკნელი ლოდი დგაფანით ჩავარდა მდინარის მორევში.

თითქოს მიწყნარდა ქექა-ქუხილი და ვახტანგმაც ფრთხილად ჩადგა ნაბიჯი. დააკვირდა და ლოდებს შორის ცხვრის ნავალიც ნახა. ბილიკი არ იყო, ცხვარსა თუ თხას გაევლო წვრილი ძაფივით ჭირკვალი. თვითონაც ამ ჭირკვალს მიჰყვა, მაგრამ სიფრთხილეს არ ჰკარგავდა, რამდენიმე ობსიდიანის დანა და ისრის წვერიც ნახა. ჯერ არ აილო, მაგის მეტი რა გვაქვსო, მაგრამ მერე გადაწყვიტა, ეს ახალი ადგილია, ვინ იცის მეორე როდის გამოჩნდება აქ და შეაგროვებსო. ერთი ხუთი დანა და ათი ისრის წვერი ჩადო ზურგჩანთაში. ძირს ჩადიოდა, მაგრამ ცოტა ჯაფა არ ადგა. მუხლი ზოგჯერ უკანკალებდა კიდეც და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. „ყველა ყველაა, მაგრამ ცხვარს აქ რა უნდა? საძოვარი ზევით არის, აქ კი ნეკერის მეტი არაფერია, მაგრამ ვინ რას გაიგებს ცხვრის ამბავს! თუმცა, შეიძლება შვლის გზა იყოს", — ფიქრობდა. უფრო იმიტომ ფიქრობდა, რომ არ უნდოდა მარტო არ ყოფილიყო. ფიქრი ხომ მეორე თანამგზავრივით გვერდით ედგა და ესაუბრებოდა.

„ეს მაინც რა უცნაური ხეობაა, ჩქამი არ ისმის, არსაიდან არავინ ჩანს, — განაგრძობდა ფიქრს, — თუმცა აგერ ფასკუნჯი წრეს უვლის ცაში. რა დროს ფასკუნჯია და ცაში ყურება! კინაღამ ფეხი ამცდა და წაველი თავდაყირა. — ალექსისა არ იყოს, მშვიდობით, საყვარელო დედ-მამავ". და გაეცინა, „დედაენის" მოთხრობა რომ მოიგონა.

ჩადგა ერთი ნაბიჯი კიდევ და რუკრუკით აფრინდა ორი კაკაბი. დაუშვეს წითელი ფეხები და პირდაპირ ხრამის გაღმა, კედლისკენ აიღეს გეზი.

„რა კარგი იქნება, რომ მეცა მქონდეს ფრთები! ერთი-ორ დღეში მოვივლიდი ქვის გამოქვაბულებს, ჰო, რად მოვივლიდი? როგორ თუ რად? აქ უეჭველად უნდა იყოს შემონახული ბიბლიოთეკა, წიგნთსაცავი. ვინ იცის თამარ დედოფლისაც კი, ან რუსთაველისა! მონღოლების დროს გამოხიზნავდნენ, შეინახავდნენ. რომ ვნახავ, რა ამბავი ატყდება.. შეიძვრება ქვეყანა. და განა მარტო ჩვენში? მთელ მსოფლიოში! პერგამენტზე ნაწერი ათასი წიგნი ერთად რომ ნახო, ხუმრობაა?!"

და ამ დროს ჩახტა კანიონის კედლის უკანასკნელი ქვიდან. მის წინ ანკარა ქვიის ტალღები ცეკვავდა და წყნარი, უშფოთველი ჩქერა მოისმოდა. დაიხარა, წყალი მუჭაში დააგროვა, დახედა. წმინდა და ანკარა იყო.

ჩამოჯდა ნაპირზე, გაიხადა თავის ნალებით დაჭედილი ფეხსაცმელი, ყაითნით გადააბა და კისერზე ჩამოიკიდა. შარვალი ჯერ მუხლებამდე აიწია. „არა, სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო", თქვა და გაიხადა. ისიც კისერზე ჩამოიკიდა და შეტოპა. წყალი მუხლზევით მოადგა. საკმაოდ ცივი იყო.

„კი მაგრამ, ჯერ გაღმა რად გავდივართ? იქნებ სჯობდა ხრამის მარცხენა კედელი მომეჩხრიკა? მაგრამ რაც არის, არის, ეგეც ჩემი გასაკეთებელია".

ჩამოიწურა ხელებით წყალი, ჩაიცვა ტანისამოსი და ახედა ტყით შემოსილ ხრამის კედელს. არაფერი ჩანდა, მწვანე ფოთლების გარდა.

„მეტი ჯანი არ არის, ავალ და ჩამოვალ რამდენჯერმე, სიგრძივ დავსერავ" — გაიფიქრა და გადაიარა ვიწრო ჭალა. პირველად არც ისე ძნელი ეჩვენა, ხან ჯაგრცხილის ტოტებს სწვდებოდა, ხან მუხისა და რცხილისას და ამის დახმარებით ნელნელა მიიწევდა მაღლა. ხეების უმრავლესობა თითქოს მოგრეხილი იყო, ძირთან მარხილის ყელივით მოხრილი. როგორც ჩანს, მზისკენ მოიწევდნენ და, მერე რომ შეიმართნენ, ქვედა ნაწილი მოხრილი დარჩა.

„რა სამარხილე ხეებია!" — გაიფიქრა, მაგრამ თვითონვე გაეცინა: ეხლა მარხილებსვიღა აკეთებს ჩვენშიო. ერთი მუხიდან ღუღუნის ხმა ჩამოდიოდა. აიხედა და ფოთლებში ორი ქედანი შეამჩნია. ისხდნენ გვერდითგვერდ და ნისკარტებით ერთმანეთს ეალერსებოდნენ. ვახტანგმა მუხის ტოტი მოიწია და რამდენჯერმე შეანძრია, ქედნებმა ერთი კი ჩამოიხედეს ძირს, ეს რა უცხო ვინმე მოსულაო და აფრინდნენ. „რას ვერჩოდი, შემშურდა თუ რაა? მეც მომინდა ვინმე ყოფილიყო ჩემს გვერდით" მოჰხვია მუხას ხელი და აფოფხდა ზევით. აიწია და პირი დაალო: მის წინ გამოქვაბული ჩანდა. „ბიჭოს, იქნებ ეს არის, რასაც ვეძებ". ადვილად შევიდა, არ გასჭირვებია. ამოიღო ნათურა და გაანათა. ბაზალტის შავი სველი კედლები მოჩანდა, ჭერიდანაც წვეთავდა, სრულიად არაფერი ჩანდა, მაინც გულდასმით მიათვალ-მოათვალიერა, რომელიმე მხარეს ხვრელი ხომ არ არისო, მაგრამ ვერა ნახა რა და ისევ ჩამოფოფხდა.

„გამოქვაბულები ხშირად ერთ ხაზზეა, გავყვები გარდი-გარდმო, იქნებ სხვაც იყოს"...

და ხან მუხის, ხან იფნისა და რცხილის დახმარებით ნელ-ნელა მიიწევდა წინ. „სწორედ ჩემთვის ყოფილა ეს ხეები. მათ შიგნით მოვექცევი, ისე ვივლი და ფეხი აღარ ამიცდება". ზევიდან ფრთხიალი შემოესმა. ცა

გახსნილიყო, ხუთი-ექვსი მეტრის სიმაღლეზე გამოქვაბულის პირი ჩანდა, მაგრამ პირდაპირ არ აისვლებოდა. კედელი გადმოხრილი იყო. ერთი ცაცხვი კლეპტარივით წასულიყო ცისკენ. „მის წვერზე რომ ავიდე და გადვიხედო გამოქვაბულისაკენ? აგერ ბაქანიც ჩანს. იმ ბაქნიდან შევაღწევ“, — თქვა და მოემზადა. ზურგჩანთა ხეზე დაჰკიდა. თოკი ამოიღო („კიდევ კარგი, ეს პატარა საბელი მაინც წამოვიღეო“), გადიგდო მხარმარცხნივ, სანთელი და ნათურა ჯიბეში ჩაიწყო და აფოფხდა ხეზე. გაუსწორდა გამოქვაბულს და გაჰედა. სიბნელე იყო. წვერზე ასვლა ვერას უშველიდა. აიწია ზევით და ერთ ტოტზე დადგა. მაგარი ჩანდა. „თუ მიშველის, ეს მიშველისო“ — ფიქრობდა. ჩააბა თოკი ხეს, მეორე წვერი თვითონ წელზე შემოიკრა და ფრთხილად გაჰყვა გამოქვაბულისაკენ გაშვერილ ტოტს. ზევითა ტოტი მოიწოდა და მარცხენა ხელი ჩასჭიდა, მარჯვენით კი წონასწორობას ათანაბრებდა.

ნახევრამდე რომ მიაღწია, ტოტი დაიზნიქა. უკვე საშიში იყო წინ წასვლა. არც აცია, არც აცხელა, ასწია ფეხი და ისკუპა. კიდევ კარგი, ბაქანზე უცვეთელას ბუჩქი იყო, ჩასჭიდა ხელები და ფეხი მოიმაგრა. მძიმედ სუნთქავდა. მოითქვა სული, მოიხსნა თოკი და გამოაბა უცვეთელას. ფრთხილად წავიდა გამოქვაბულისკენ და მალე შიგ შეაღწია. ისე გაუხარდა, რომ ორი-სამი წუთი გაღიმებული იდგა. გამოქვაბულში ოთხი-ხუთი მეტრის შემდეგ უკუნეთი იყო. მოიმარჯვა ნათურა და წავიდა. გამოქვაბული დიდი ჩანდა. ეს უბრალო თავშესაფარი არ იყო, შეიძლებოდა ოდესღაც ბუნებრივი გამოქვაბული ხელოვნურად გაეფართოებინათ. კედელს წერაქვის, ან რაიმე მისი მაგვარის ნაკვალევი ეტყობოდა. ამან მთლად გაახალისა: „აქ დიდხანს უცხოვრიათ, თორემ სახელდახელო ცხოვრებისათვის კედლებს არავინ ჩამოასუფთავებდაო“. აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ კლდე მერხივით იყო გამოთლილი. „ბიჭოს! ეს მძიმე კლდე თუ თალეს, ხუმრობა არ არის, ალბათ დიდი ხნით დაბანაკებულა აქ ვიღაც“. გამოქვაბულის კართან, კედელთან ქვების ხროვა იდგა. თითო ისეთი იყო, ადამიანი მოერეოდა და ქვევით ჩააგდებდა. ქვების ზროვასთან ობსიდიანის ისრის წვერები ეყარა. რამდენიმე ათეული იქნებოდა. ისრებიც ელაგა. უნდოდა ერთი ისარი აეღო, მაგრამ მოჰკიდა თუ არა ხელი, ისარი მტვრად იქცა. შეკრთა და ნაბიჯი უკან გადმოდგა. იქვე, კედელთან რამდენიმე მშვილდი იდო. ვეღარ გაბედა ხელის ხლება, ვაი თუ ესენიც დაიფერფლოსო. ნაცარი და ნახშირი მოწმობდა, რომ შუა დარბაზში კერა უნდა ყოფილიყო, კერიის ირგვლივ რამდენიმე ვულკანური ყუმბარა იდო. „ეს რაღაა, — ვულკანური ყუმბარა? ჰო, უფრო მსუბუქია, ადვილია გადატან-გადმოტანა სალცარია. თითქოს გუშინ წასულანო, ისე მეჩვენება, მაგრამ ალბათ რამდენიმე საუკუნე იქნება გასული. იმდროს ჯერ კიდევ მშვილდ-ისარი იხმარებოდა. დაფუტუროებულა, მტვრად ქცეულა“, — ბუტბუტებდა, ნელი და ფრთხილი ნაბიჯით დადიოდა, თითქოს ეშინია არ შეაშფოთოს, ვინც აქ ცხოვრობდაო. დადიოდა და სინჯავდა კედლებს, მათს ძირსა და კუთხეებს.

ვახტანგი დარწმუნებული იყო, აი ახლა გაიღება კარი და მასპინძელი შემომეგებებაო. ფეხი წამოჰკრა რაღაცას, ამ უცნაურ სიჩუმეში ულრიალის ხმა მოესმა. შეკრთა, უკან დაიხია. ნათურა მიანათა — ხმალსა ჰგავდა. დაიხარა, აიღო ხელში, მოიქნია, თითქოს მტერს შეეფეთაო. გაიცინა და მერხზე დადო.

გამოქვაბულის სიღრმეში კედელი ხელუხლებელი იყო. ლოდები ისე ჩახერგილიყო, როგორც გარეთ, ქარაფზე. ერთ ლოდს ხელი დაადო ,იგრძნო თითქოს შეინძრაო. უცბად აუშვა ხელი. ცოტა ხნის შემდეგ უფრო გაბედულად დაადო ხელი და შეარხია. სიხარულით გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. მთელი ძალით დააწვა და, ჰოი საკვირველებავ! ლოდი უკან გადავარდა და სადღაც, იქვე, ლოდებს უკან ბრაგვანი გაადინა.

უკუნი სიბნელე იდგა. ფრთხილად მიუახლოვდა. ნათურა შეანათა. დარბაზი მოჩანდა. იდგა გაშეშებული და წინ ვერ მიდიოდა. ბოლოს გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და გადაყო თავი, აამუშავა ნათურა და კინაღამ გული წაუვიდა. გაახილა თვალი და ხედავს, რომ ერთი კედლის ქვის თახჩები წიგნებით არის სავსე!

ჭირის ოფლმა დაასხა. „ნუთუ ჩემი ოცნება ასრულდა?“ იქვე, სარკმელთან ჩამოჯდა და თავის გულის ბაგა-ბუგს მიუგდო ყური. ცოტა რომ დამშვიდდა, ფრთხილად გადავიდა ამ დარბაზში და თახჩებს მიადგა. ნათურა ხრიალებდა და ვახტანგი წიგნებს ითვლიდა.

„ოცი... ორმოცი... ასი... ღმერთო ჩემო, რამდენია“! ამოიღო ჯიბიდან სანთლები და აანთო — „ეს რამდენი ოქროსყდიანი წიგნია? ნუთუ ბეშქენისაა? უეჭველად მისი ნაჭედია. აი რა ლამაზი და ნაზი ხვეულია! აგერ მეორე, მესამე... აქამდე ხომ მხოლოდ ერთი ჭედური გვქონდა მისი ნაკეთები, აი ახლა უკვე მეთერთმეტეს ვითვლი... შენი გულისა!“. შესძახა და დატრიალდა. ცეკვავდა. არა, არ ცეკვავდა, როკავდა, როგორც ქვის ხანის მონადირე, რომელმაც უზარმაზარ ნადირსა სძლია... მისი ჩრდილი დევკაცების ჩრდილივით ელავდა ოდნავ განათებულ დარბაზში. ამ ტრიალის დროს შეამჩნია, რომ მეორე კედელზე თახჩები ოქრო-ვერცხლის ჭურჭლით იყო გამოტენილი. ჭურჭელს ძვირფასი თვლები ამშვენებდა. დაწყნარდა, მივიდა, მივიდა და რა ნახა!

— სურები, სალვინეები, სასმისები, აზარფეშები, ბადიები, ხონჯები, ტაბაკები...

ფრთხილად გადაშალა რამდენიმე ფურცელი. პერგამენტმა თავისთავად გაიტკაცუნა, ჩააკვირდა, პირველი ასოები ჩათვლით დაიწყო. მერე კი გაუადვილდა, ალბათ თვალი შეაჩვია მკრთალ სინათლეს.

„და ვითარცა იხილა იესო ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი მუნ, და მოუხდეს მოწაფენი მისნი.

„და აღიღო პირი თვისი, ასწავებდა მათ და ეტყოდა:

„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არსს სასუფეველი ცათა.

„ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქნენ“.

„ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამე თუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“..

— ეს ხომ „წმინდა ოთხთავია“, სახარება მათესი, — გაიფიქრა.

„ეჰ, ჩემო მათე, შენი ნეტარება ეხლა არას გვარგებს... — და ფრთხილად დადო თავის ალაგას, — მაგრამ ხომ გამოგვადგება ენის სიმდიდრისათვის, კიდევ...

ამ დროს აიღო მეორე და, — საგალობლები იყო. აიღო კიდევ ერთი და კვლავ გაოცდა...

ამას კი უდა ბექა ოპიზარის ნახელავი მქონდა. ასომთავრული იყო.

„ამ ასოცი წლის წინათ ჯალამ დაწერა ცხოვრება ფარნაოზისა“...

„თვით წიგნი რა დროინდელია?“ — ჩაათვალიერა ანდერძი, იანგარიშა ქორონიკონი და დაწერის დრო 435 წელი იყო.

„ჩვენ კი ყველაზე უძველესი „შუშანიკის წამება“ გვაქვს. რასაკვირველია, შუშანიკის ცხოვრება იმას შეეძლო დაეწერა, ვისაც წინაპარი ჰყავდა. ალბათ აქ ჯალას წიგნსაც ვნახავ, რომელიც როგორც ვარაუდობენ, თითქოს მარტო თარგმნიდა“.

თვალებანთებული ჩაჰყვა პირველ თაროს, ოქროსყდიანი წიგნი გადმოიღო. სქელი იყო, გადაშალა და თვალები გაუბრწყინდა — „დილარგეთიანი“ აღმოჩნდა.

„ამირან დარეჯანისძე
მოსეს უქია ხონელსა.
აბდულ-მესია შავთელსა,
ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ სარგის თმოგველსა,
მას ენა დაუშრომელსა.
ტარიელ მისსა რუსთველსა,
მისთვის ცრემლ შეუშრობელსა.

„დაკარგულიაო, პეტრე ლარაძემ ხელასლად დაწერაო! აი, სადა ყოფილა თავშესარებული!“ — ფრთხილად გადაუსვა ხელი და დადო თავის ადგილას.

„ეს რაღა უნდა იყოს? ვერცხლის კოლოფია“, — აიღო, გახსნა, შიგ პაწაწინა წიგნი იდო, ხელის გულზე დაეტია. ნუსხა-ხუცურით იყო ნაწერი. ბევრი ეცადა, მაგრამ ვერ წაიკითხა, დღის სინათლე იყო საჭირო.

და აი, ვიდრე თაროს ჩაათავებდა, ნათლაც მიაგნო წიგნს, რომელიც ანდერძში ჯალის წიგნად იხსენიება. ჯალი და ჯალა ბ-ნ კორნელის ხომ ერთი ჰგონია. „ვეფხისტყაოსნის“ სამი თუ ოთხი წიგნი ნახა. ერთის ფურცლები ვარაყით იყო მორთული, ცალ გვერდზე ტექსტი ეწერა, მეორე მთლიანად მოხატული და მორთული იყო. „უეჭველად საკუთარი ხელნაწერიც იქნება. როგორ ჩავიტანოთ თბილისში? მინდიაც, გიორგიც, ლევანიც აქ უნდა ამოვიყვანო და თბილისის მუზეუმში ჩავზიდოთ! პირველი გზობას შემდეგ, ამ დარგის ყველა ჩვენი მეცნიერი აქეთ გამოეშურება. გარეთ რომ გავალ, კარგად უნდა მოვინიშნო, რომ ადგილი საძებარი არ გამიხდეს. ოჰ, რა უთავბოლო ვარ, რად დავტოვე ჩანთა! აბლა ერთი-ორი წიგნი მაინც არ წავიღო?“ გაიხადა სვიტრი, მოუკრა თავი და სამი წიგნი ჩადო: ერთი „ვეფხისტყაოსანი“, ვერცხლის კოლოფი და სახარება.

ეძნელებოდა წამოსვლა, მაგრამ აქ როდემდის უნდა ყოფილიყო?

ფრთხილად გადმოვიდა პირველ დარბაზში, სარკმელი იქვე მიყრილი მოგრძო ლოდებით, ამოაშენა და ბაქანზე გამოვიდა, უცვეთელას თოკი ახსნა, შეიბა წელზე და ისკუპა იმ ტოტისაკენ, რომლითაც აქ გადმოვიდა. ისკუპა და ქვას წამოედო. ტოტზე ფეხი აუცდა, ორივე ხელით უნდოდა წასჭიდებოდა ცაცხვის ტოტს, მაგრამ წიგნებით სავსე სვიტრი გაუვარდა. გაუვარდა და თვითონაც უფსკრულისკენ ჩაქანდა. მიფრინავდა და ფრენას ბოლო არ უჩანდა... ბოლოს ერთი ხის ტოტს გამოედო და დაინახა, რომ წიგნები მდინარის ტალღებში შთანთქმულიყო.

— ვაიმე, წიგნები!.. — იღრიალა.

— რა წიგნები, ვახტანგ, რა იყო? რა დაგემართა?

— ჰა, არაფერი... — და გაახილა თვალი.

და როდის-როდის უამბო, რაც თავს გადახდა.

— ასეთი წიგნსაცავი მაინც მწამს რო იქნება... და ვიპოვნით.

— რაღა შენ ხედავ მაგეთ სიზმრებს?

და ოთხივემ გულიანად გაიცინა.

### ძველი თრიალეთის დარაჯი

მუხავ, მიყვარხარ ტიალო,
განმარტოებით მდგომარევ
ბაჩანა

დილაადრიანად აშალეს კარვები, აიკიდეს გუდანაბადი, დაადგნენ შარას და შვიდ საყ-

დარში ჩამოვიდნენ. აქ მართლა ყოფილა შვიდი საყდარი, მაგრამ ძველი წარწერა მარტო ერთმა შემოინახა. დღევანდელ თრიალეთის 50 სოფელში და მრავალ ნასოფლარში არის საყდარი, თუ საყდრის ნანგრევები და თითქმის ყველგან ნახავთ წარწერას. და დღეს, როდესაც ძეგლთა დაცვა სახელმწიფო საქმედ გადაიქცა, ამათი სათანადო მოვლისათვის ჯერჯერობით თავი ვერ მოგვიბამს.

— მინდიავ ბატონო, ყველას მაინც ვახტანგმა გვაჯობა, — გიორგიმ ყურადღებით შეხედა ერეკლეს.

— როგორ გვაჯობა? — იკითხა მინდიამ.

— ქციის ხრამის გამოქვაბულში თამარ მეფის ბიბლიოთეკა იპოვნა.

— ?!

— დიახ, ბიბლიოთეკა, უფრო სწორედ, საცავი, — ვახტანგმა არად ჩააგდო ძმის კილო, მაგრამ ხარმა კი გამოჰკრა და კინაღამ ამოაყირავა.

— სიზმარში, არა? — დაასწრო ლელამ ყველას.

ვახტანგმა თავი დაუქნია.

— ეგ სახუმარო არ არის, შეიძლება ეგ სიზმარი როდისმე ახდეს.

დაბა წალკაში ზეთის სახდელი დოლაბი ნახეს. ვახტანგს მოაგონდა, რომ ასეთი ქვები სხვა სოფლებშიც შეხვდათ. იფიქრა, ალბათ ესეც კიანეთიდან არის ამოტანილიო.

თრიალეთში სელი დიდი რაოდენობით ითესებოდა, მეოცე საუკუნის დასაწყისშიც ყოველ ოჯახს ეთესა. სელი ხომ სამარხოვო ცხიმს იძლეოდა. მარხვაში აქ დიდ პატივში იყო ასლები: ასლი (ცალმარცვალა, ორმარცვალა, თეთრი, ორმარცვალა წითელი) მინდვრის ერთ-ერთი ძირითადი მცენარე იყო. გარდა ასლისა, მინდორში ძირითადი იყო ოთხრიგიანი ქერი, ჭვავი, დოლის პური და დიკა; ბევრი ითესებოდა კარტოფილი, მცირედად თესავდნენ ბოსტნეულს. სოფლის მეურნეობის დარგებიდან ძირითადი მაინც მესაქონლეობა იყო. ჰყავდათ ჩვენებური მთის ძროხა, ცოტაოდენი ცხვარი. ძველად წალკა ერთ-ერთი ღარიბი და ჩამორჩენილი მხარე იყო. დღეს ყოველ სოფელში ნახავთ სკოლას, რაიონში კი რამდენიმე საავადმყოფოა. სხვებთან ერთად წალკაც ეზიარა საბჭოურ კულტურას.

ქვათავას ჩაუარეს, წალკის ახალქალაქის ნანგრევებს. აქ, ამ ქალაქში, იყო რეზიდენცია სამხრეთ საქართველოს მმართველებისა. აქ დიდხანს მუშაობდა და მოღვაწეობდა ვახუშტი ბატონიშვილი. ამ ძველი ქალაქიდან ერთი პატარა, კოპწია, ბოლნისური ქვით ნაგები, გუმბათჩამონგრეული ტაძარიღა დარჩენილა.

წარწერა მრავალია. დიდ ქვაზე ლამაზი ასომთავრულით სწერია:

„მადლითა ღმრთისაითა ქრისტე ადიდე რატი ერისთავთ-ერისთავი“.

ალბათ ესეც ერთ-ერთი ბაღუაშთაგანია, რომელიმე ლიპარიტისძეა...

— ყური მიგდეთ, ბიჭებო!

„თითქმის ხრამის პირიდანვე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გაწოლილია პატარა გრძელი მთა, რომლის მდინარისაკენ მოქცეული ფერდო და მწვერვალი ვულკანურ ქვების ლოდებით არის დაფარული. ალბათ სოფელსაც, რომელიც ამ მთის ძირშია ნასოფლარზე გაშენებული, ტაშბაში (ქვის თავი) ამიტომ უწოდეს, თორემ ეს ხომ ნაქალაქარია. თრიალეთის ახალქალაქი ხომ აქ იყო. მთის წვერზე ლოდებში ერთად-ერთი მუხა დგას, ნაშთი ძველი დიდებისა“.

გაშლილ ველზე, სადაც გაზაფხულობით მრავალნაირი ჭიოტა ყვავილი ბიბინებს, სადაც ზაფხულში დედამიწას ალმური ასდის, გადახრუკულა ბალახი და ქარის წამობერვაზე, იმის მაგივრად, რომ ველს მზე კაბანმა გადაურბინოს, ნტვრის კორიანტელი დგება, იშვიათად, მაგრამ მაინც შეგხვდებათ ეულად მდგარი, ტოტებგაშლილი ხე, მუხა ან თელა, ან თუნდაც ბერყენი.

ბევრი ასეთი ეულად მდგარი მუხა მინახავს, ბევრის ჩრდილში დამისვენია დაღლილს და თითქმის ყველგან ერთიდაიგივე ჩურჩული მესმოდა. მაგრამ ყველა მუხათა შორის მაინც თრიალეთის მუხა მიდგას თვალწინ. იქნებ იმიტომ, რომ მის ახლო-მახლო, მთელი დღის სავალზე სხვას ვერას ხედავს თვალი. ის მართლაც ეულად დგას. აქედან თრიალეთის უზარმაზარ ზეგანს რომ გახედავთ, ხეს ვერსად დაინახავთ, აქ კი უზარმაზარი, მრავალ ასეულ წელთა მომსწრე, 400-500 წლის მუხა ეულად და ობლად, მაგრამ ამაყად დგას და გასცქერის ძველი ახალქალაქის, ეძანის სოფლის ნანგრევსა და ნაოხარს, მას ახსოვს ის დრო, როცა ამ ნაქალაქარსა და ნასოფლარებში სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა, შენდებოდა ახალი სოფლები, ტაძრები, იწერებოდა წიგნები, ითესებოდა მინდვრები, შენდებოდა ბაღები, ხალხი მომავალს შეჰხაროდა. ხალხმრავალი იყო მაშინდელი თრიალეთის ეს ნაწილი და არც მუხა იყო მარტო, მის ირგვლივ ტყე იყო აქოჩრილი.

ერთ შემოდგომის ცრიატ დღეს ამ მუხის ძირში მოვხვდი. ანაზდეულად დაუბერა სუსხიანმა ჩრდილოეთის ქარმა. ახმაურდა მუხა, ტოტი ტოტს დაეჯახა, დაიჭახუნა, დაიკვნესა და რაღაც საომარი სიმღერა წამოიწყო. მის ძირში მინაბულს, ქარს მორიდებულს, ნაბადწამოსხმულს მესმოდა მისი სიმღერა:

„მრავალი საუკუნე მიცხოვრია, ბევრი ჭირი და ვარამი გადამხდენია, ბევრი თანამგზავრი გამომცლია მხრიდან, ქარსა და ქარიშხალს, გრიგალსა და ქარაშოტს ბევრჯერ გადაუვლია ჩემს თავზე, იქნებ ტოტიც შეუტეხავს, მაგრამ ფესვი

 

კი ვერ შეურყევია. ვდგავარ ფესვმაგარი, ტოტებღონიერი; ომში შესულ კაი ყმასავით, უკან არ ვიხევ: ვდგავარ და ასე ვიდგები. აი, მოვესწარი იმ დროსაც, როდესაც ნატყევარ მთებსა და გორაკებს ახალი სიცოცხლის მახარობლები, წითელყელსახვევიანი ბავშვები შეესივნენ და რგავენ ხეებს,, ბუჩქებს. აშრიალდება კვლავ ტყის ტევრი... ამ ყურადღებამ მეც მიშველა და ამ ლოდებს შორის აღმოცენდა ჩემი ნაშიერი. ისიც მალე გაიზრდება, მხარში ამომიდგება. იგრიალე, დაუბერე ქარიშხალო"... ისმის ტოტების ქახაჭუხი, გრგვინვა და მუხა ყვება თავის თავგადასავალს. ასეთია ეს მუხა.

სამხრეთ საქართველოს ზეგნებსა ვტოვებთ და ერთხელ კიდევ მოვიგონეთ მისი ბუნებრივი პირობები, წარსული,

ამ უტყეო მხარეთა წარსულში ტყიანობის ბევრი საბუთი არსებობს, ეს თრიალეთის მუხაც ხომ თავის სიმღერაში, ქარიშხალს რომ შეაგება, ამას გვიამბობდა.

ყოველივე ამის ცოდნას შეუძლია თუ არა რაიმე სარგებლობის მოტანა? რასაკვირველია, შეუძლია. რაკი ვიცით, სად რანაირი მცენარე ხარობდა, რანაირი ტყე იყო, ამჟამადაც შეგვიძლია შევუდგეთ ამ მხარის გატყიანებას, სადაც ეს საჭირო, სასარგებლო და აუცილებელია. მაგრამ სად არ არის იგი საჭირო? ტყე ხომ ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ყოველ მხარეში ტყე იმ რაოდენობით უნდა შევინარჩუნოთ, რამდენადაც საჭიროა ბუნების ჰარმონიულობის დასაცავად.

ბევრჯერ ამივლია თრიალეთ-ჯავახეთის გზაზე და შორიდან დამინახავს წერტილივით მთის წვერზე რაღაც ხე, მაგრამ საქმე ისე წავიდა, რომ იმ ხესთან ახლო მისი პირველი დანახვიდან მხოლოდ მეოცე წელს მივედი. მივედი და გული სინანულითაც აივსო და სიხარულითაც. ძველი, დიდი ხნის უნახავი მეგობარივით დავუკარი თავი, ქუდი მოვუხადე და გამარჯვება ვუსურვე. დიდი გზა აქვს გამოვლილი და დღეს ისევ ცოცხალია.

უწყალო ხელით დაინთქა ამ მუხის ირგვლივ მოშრიალე ტყე. წარსულში მტერთა ხშირი შემოსევა ცოტა ზიანს როდი აყენებდა ამ ტყეებსაც.

ზაფხულში დამპყრობთა ურდოები ჯავახეთ-თრიალეთის გზით მოდიოდნენ (რემათა და ხვასტაგთა საკვები, საძოვარი აქ უხვად იყო). გზადაგზა მტერი ანადგურებდა ყოველივეს, რაც სამშობლოს დამცველთ თავშესაფრად გამოადგებოდათ. ერთხელ ხომ არ წამოსულა საქართველოზე მტერი და „გასტეხს ქვასაცა მაგარსა, წყალი წვეთ-წვეთად მდინარი!" — გატყდა ტყეც, მით უმეტეს, ბუნების პირობების ცვალებადობაც, სინესტის შემცირებაც ამას ხელს უწყობდა: ხალხიც, ხშირად ომებით წელში გაწყვეტილი, სათანადოდ ვერ უვლიდა, უთავბოლოდ ჩეხდა, აახოებდა, საქონელს აძოვებდა... და ტყე ველმა შეცვალა.

დღეს ჩვენს თრიალეთის მუხას უხარია, რომ ახალგაზრდობა მთა-ბარს შეესია და ხეებს რგავს: მუხასა და წიფელს, ფიჭვს და ნაძვს, აკაკის და საკმლის ხეებს, თელასა და ნეკერჩხალს და მრავალს სხვას. სწორედ წარსულის ამ იშვიათი მოწმეების წაქეზებითაც არის, რომ ირგვება ხეები, შენდება ტყეები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ იმ ტემპით არა, როგორც გვჭირდება.

ქარი ჩამდგარა, მუხა ოდნავღა შრიალებს. ქარტეხილმა ვერც ახლა დააკლო რა და, დროა მეც გავუდგე ჩემს გზას.

და როდესაც გავუდგებოდი გზას, თან თრიალეთის მუხის უტეხი გული მომყვებოდა. ოთხასი წელი ხომ არის, რაც ის გასცქერის თრიალეთს. იცის მისი დალხინებაც და ავბედობაც. ალბათ მოესწრება, უთუოდ მოესწრება ახალ დალხინებასაც.

— რატომ არ მოესწრება, ჩვენ ხომ იმიტომ ვმუშაობთ, რომ ეს დალხინება რაც შეიძლება მოვიახლოვოთ.

— „ელირსებათ ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა" — თქვა გივიმ და გადახედა ამხანაგებს.

— ეს მუხა აღმოსავლური მუხაა, მთის მუხა. ზღვის დონიდან აქ 1750 მეტრია, ე. ი. სწორედ აქ არის ამ მუხის ადგილ-სამყოფელი. და სხვა ნიშნების მიხედვითაც ჩანს, რომ როგორც ზურტაკეტში და ჯავახეთში, აქაც მთის ტყე ყოფილა, მაგრამ ჟამთა სიავეს მოუსპია. და ტაშბაშის მუხა თუ შემორჩენილა, ესეც იმიტომ, რომ აქაურების მიერ იგი წმინდა ხედ არის აღიარებული და მის ძირში დღესაც ხატი ასვენია, — მოათავა გიორგიმ.

— აქ ერთადერთი ტბაა და მის უნახავად ხომ არ წავალთ, — გამოაცხადა ვახტანგმა და ხელი მარცხნივ გაიშვირა. მთავარ გზას რომ დაადგნენ, მანქანამაც მარცხნივ გადაუხვია.

მალე მათ თვალწინ მომცრო ტბა და მის დასავლეთ ნაპირზე გაშენებული სოფელი გამოჩნდა, რომელსაც მისი ახლანდელი მცხოვრები — ბერძნები ბაშკევის ან ბაშქოის ტბას უწოდებდნენ და რუკებზეც ასეა აღნიშნული. ტბაც ბაშკევის ტბად იწოდება ,მისი ნამდვილი სახელი კი ბარეთის ტბაა.

ბარეთის ტბა ზღვის დონიდან 1600 მეტრს სიმაღლეზეა. ტბა პატარაა, ფართობი ერთნახევარი კვადრატული კილომეტრი იქნება, ე. ი. 150 ჰექტარი. თოვლისა და წვიმის წყლით იკვებება. მდინარე არ ერთვის. სიღრმე საშუალოდ ერთი-ერთნახევარი მეტრი იქნება.

ტბა საინტერესოა მცენარეულობით. განსა-

კუთრებით დასავლეთი მხარე, რომელიც სოფელს აკრავს, ტორფიანი ჭაობია, აქაურ ბერძნებსაც ეს კარგად აქვთ გამოყენებული: სპრიან ბელტებს და ეზოს ღობე-ყორეზე ერთმანეთზე ალაგებენ, ისე როგორც სხვა სოფლებში წივას, გამოსაშრობად. ძირითადად საწვავადაც ამას იყენებენ. ეს არის ბარეთის ტბის დიდი სიკეთე აქაურებისათვის.

ნაპირის მცენარეულობაში ბევრია ლაქაში, ლისი, ჭილი, წყალში ჩაყურყუმელავებული რქაფოთოლა, წყლის ბაია, წყლის მატიტელა, წყლის ზედაპირზე კი ამოტივტივებულია დუმფარას ფოთლები და დიდი, ლამაზი თეთრი ყვავილები.

შორეული ჩრდილოეთის მცენარეც ცოტა არ არის აქ; კერძოდ, ხშირად შეგხვდებათ მწერიჭამია, წყლისსანთელა, აგრეთვე წყლის სამყურა და სხვები.

შალვა ისლას ყოველი კორდის წინ ჩაცუცქდებოდა და სათითაოდ არჩევდა: „ამ კორდებში ბევრი საინტერესო მცენარე იცისო“.

ერეკლემ გაიხადა პერანგი და ფრთხილი ნაბიჯით გასწია დუმფარების ჯგუფისაკენ. ის-ის იყო მიუახლოვდა, რომ ელდანაცემივით გამობრუნდა და ნაპირისაკენ მოცოცხა.

— რა იყო. ბიჭო, რა მოგივიდა? — მივარდა ვახტანგი.

— გველი მოიკლაკნებოდა ჩემსკენ!

— მერე და, წყლის გველი ხომ შხამიანი არ არის — ჩაერია მინდია.

— გველი არაფერი, მაგრამ ეს წურბლები რისთვის აგიკრეფია? — დაიხარა გიორგი და ბარძაყიდან ორი წურბელა ააგლიჯა.

— როდისღა მოასწრეს? — გაიკვირვა ვახტანგმა და მანქანიდან სპირტი და იოდი მოარბენინა. ერეკლეს სპირტიანი ბამბით ჩამოჰბანეს ბარძაყები და ნაწურბლევზე იოდიც წაუსვეს.

— ბატი და იხვი მაინც მოამრავლონ. ისინი გაწმენდენ ტბას.

სოფელში სამი ძველი ტაძარია. ერთი ბარეთელებს გადაუკეთებიათ, ორისა კი ნანგრევებიღაა. ერთი საყდრის პერანგი დატაცებულია. მხოლოდ ერთი დიდი ლოდი დარჩენილა, რომელზეც ექვთიმე თაყაიშვილმა ამოიკითხა:

„ხსენებითა ღმერთისათა მე ანტონი მანგლელმა აღვაშენე ეკლესია ესე“.

„ეს ის ანტონი უნდა იყოს, რომელიც დიმიტრი თავდადებულის დროს ცხოვრობდა და დიმიტრის თან გაჰყვა ურდოშიო“ — დაასკვნის მეცნიერი.

ტაძრები, როგორც ვთქვით, ყველა თლილი ქვით არის ნაგები. უმრავლესობა დიდი ქვებია, სიმაღლე-განი ბევრჯერ ერთ მეტრზე მეტია. სწორედ დიდი ფოთლებით შენება თრიალეთისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ამის სათავეებზე შემდგომ ვისაუბროთ.

ჩრდილოეთისაკენ სოფ. არჯევან-სარვანია. აქც სამი ტაძარია, დღეს თათრები ცხოვრობენ და მის ზევით სოფელი „გედა ქლარია“.

— გედა ქლარი! აბა აქ რომელი ქართული სიტყვების გადაკეთებაა, გივი? — ჰკითხა ერეკლემ. თვითონ იცოდნენ, ჯერ ხომ ბავშობის დროსვე იყვნენ აქ და მაშინ გიორგიმ ყველაფერი აუხსნათ.

კარგა ხანი რომ ატრიალა გივიმ ეს სიტყვები, ისევ თვითონ მიეშველნენ: „კლდეკარი“.

მართლაც, ცოტა მოშორებით, თეძამის და ალგეთის სათავეებში,არის კლდე და ნანგრევები. აქ მართლაც ტინ კლდეშია კარი გაჭრილი.

სწორედ ეს კარი კეტავდა შიდა ქართლის გზას (კლდეკარი-რკონი-ხოვლე-კასპი).

სოფ. არჯევანი ერთ-ერთი საზაფხულო რეზიდენცია უნდა ყოფილიყო ბაღუაშებისა.

გზაზე რომ გადმოვიდნენ, ვახტანგმა მანქანა დააყენებინა, გადმოვიდა და თრიალეთის ზეგანისაკენ გაიხედა. ხელი დაუქნია.

— რა იყო, ვახტანგ?

— თრიალეთის მუხას სიტყვა დავუგდე.

— რა სიტყვა?!

—კარგად იყოს, ვაჟკაცურად: როგორც თამარ ერისთავი იტყოდა:

ჯერ მზე არ ჩასულა,
დღე კიდევ დიდია,
თეთრი გვირილები
მზისაკენ მიდიან.

## უკვდავი სული

თუში კიოდა მთაზედა,
ბახტრიონ გალავანზედა,
მოეკლა ორასი თურქი,
ზედ დაეწერა ფარზედა.
ხალხური

მანგლისში ჯერ არ იყვნენ ჩამოსულნი, მზემ რომ ამოუსწროთ და ბრწყინვალე სხივებით გული გაუხალისათ. მხარ-მარცხნივ, ტაძრის ნანგრევებთან შეაჩერებინა გიორგიმ მანქანა და, როცა ყველა გადმოვიდა, მინდიას უთხრა:

—შენ და თემური ალგეთის მდინარეს ჩაჰყევით და იქ მოგვიცადეთ, სადაც ბზის წყალი ალგეთს უერთდება, ჩვენც ჩამოვალთ. მზე რომ გადაიხრება, სადილის თადარიგს მაშინ შეუდგებით. შეიძლება მანგლისშიც მოასწროთ ახვლა და სამწვადეებიც იშოვოთ!

ამის შემდეგ მიუბრუნდა დანარჩენებს, რომელნიც ეკლესიას ათვალიერებდნენ. თუმცა რაღა ეკლესიას, კედლებიღა იდგა, თაღებჩამონგრეული იყო. თლილი ქვით ყოფილა მოპირკეთებული. ორი ფილაღაა დარჩენილი — კარებთან და დასავლეთის კედელში. დანარჩე-

ნი ჩამოუხსნიათ და მანგლისში გაუზიდავთ ჯერ კიდევ მეცხარემეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში, პოლკის ტაძრის ასაშენებლად. ამ ნატაძრალის სიგრძე 8 მეტრი და 60 სანტიმეტრია, სიგანე — 6 მეტრი და 50 სანტიმეტრი.

სამხრეთ კედელში კარის თავზე უზარმაზარი ქვა-ლოდია ჩატანებული, რომლის სიგრძე მეტრნახევარია, სისქე — 70 სანტიმეტრი, სიმაღლე — მეტრზე მეტი. ცხადია, ის თავისი სიდიდისა და სიმძიმის გამო გადარჩენილა. მისი წონა ხომ თითქმის ორი ტონაა. ქვაზე ასომთავრულით ამოჭრილია თექვსმეტსტრიქონიანი წარწერა.

წარწერიდან, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში წაიკითხა ექვთიმე თაყაიშვილმა, ირკვევა, რომ ტაძარი ერისთავთ-ერისთავის ლიპარიტ მესამისა და მის შვილთა, რატი მესამისა და იოანე მესამის დროს აუგიათ მაშინ, როდესაც ბაგრატ მეოთხე (1027-1072) და გიორგი II (1072-1089) მეფობდნენ. ამ უკანასკნელის დროს დაუმთავრებიათ. თუ ექვთიმეს აქ ყოფნის დროს (1895 წ.) წარწერა კიდევ იკითხებოდა, დღეს საგრძნობლად დაზიანებულია, წარწერის შუაწელი ძნელად გასარჩევია.

ტაძრის ირგვლივ სასაფლაოა. საფლავის ქვებზე კორდსა და ბალახს გადაუვლია, მაგრამ ზოგზე მაინც ჩანს გუთანი და შვილდისარი, მწყემსის ჯოხი და ბარი, ცხენის ქანდაკებაც გდია ბუჩქებში; როდესაც გიორგი და ერეკლე წარწერის ნაშთების ამოკითხვასა და სურათის გადაღებას ლამობდნენ, ვახტანგი ტყის პირისაკენ ჩარბოდა. ცოტა ხნის შემდეგ მისი შეძახილი მოესმათ.

— ჩამოდით, ჩამოდით, რასაც ვეძებდი, ვნახე.

— აი, ესეც თქვენი ციკლოპური ნაგებობა, ლეონ მელიქსეთბეგმა რომ აღწერა.

უკიროდ დიდი ლოდებით ნაშენს, ციკლოპურ ნაგებობებს მეგალითურსაც უწოდებენ და ციკლოპურსაც.

— რა, შენ გინდა გვიამბო რამე?

— ეს ხომ მინდიამ თბილისში დამავალა. აი ბ-ნ ლეონის წიგნებიც წამოვიღე. ზოგი აქ, ზოგი სხვა წიგნებში ამოვიკითხე. ეს ხომ აქა ვნახეთ და მინდა ვალი მოვიხადო, თორემ ჩავალთ ალგეთზე და პირველად ამას მკითხავს, მოიხადე ვალი თუ არაო.

ეხლაღა იაზრეს, რომ ვახტანგს ორი ჩანთა ჰქონდა. ერთი მანქანის კუთხეში იდო. დროდადრო სანიადაგო ჩანთიდან ამოიღებდა ერთორ წიგნს, და ჩადებდა „უძრავ“ ჩანთაში. მერე იქიდან ახლებს ამოიღებდა. აქამდე კი ვახტანგის ზურგჩანთა „უძირო“ ეგონათ.

— საერთოდ, ირკვევა, რომ მეგალითურიციკლოპური ნაგებობები საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში ბევრია, განსაკუთრებით კი, ქვემო ქართლის მთიანეთში.

— ეს არც გასაკვირველია, — ჩაერია გიორგი, — ქვემო ქართლი, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, ვულკანური ქანებით არის დაფარული. როდესაც ლავა გაცივდა, ბევრგან დასკდა, დანაწილდა ლოდებად, დაიმსხვრა. ამ მხარეში ბევრი ასეთი ტოპონიმია: „ლოდნარი“, „ლოდიანი“, „ლოდოვანი“, „ლოდნარა“, თუნდაც „გოხნარი“. აი ამ ლოდნარებში შენდებოდა ეს ციკლოპური შენობები. ქვას ქვაზე შეაგორებდნენ და პირველად ამით კმაყოფილდებოდნენ, შემდეგ კედლებიც ამოჰყავდათ, შემდეგ ციხეც შენდებოდა. ჩვენი ჩამქრალი ვულკანების ფერდო ხომ ნახეთ? მისი გვერდის ძირი უზარმაზარი ლოდებით არის მოფენილი. ესენი ანდეზიტებია, ბაზალტებია, ზოგჯერ ვულკანის ყუმბარებია და სხვა ქანები. ზოგი ლოდი ათ ტონაზე მეტი გამოვა.

— დიახ, ეგენი ხომ ჯავახეთშიც ვნახეთ, შამბიანის გვერდის ძირზეც. ალგეთისა და ქციის წყალგამყოფ ქედს ვახუშტი ლაკვის ქედს უწოდებს, აქაურები საკრიხის ქედს ეძახიან. მთიულები კი მას საკრივისის სახელითაც იხსენიებენ. არსებობს გადმოცემა, რომ „საკრივისი“ ის ადგილია, სადაც ამირანსა და დევს ბრძოლა ანუ კრივი ჰქონდათ:

ამირან-დევი შეიბნენ,
მიწას გაჰქონდა გრიალი
ამირანმა დევი დასცა,
მხარი მოსტეხა ფრთიანი.

გახსოვთ? რაკი ბრძოლა, თუ კრივი აქ მომხდარა, საკრივისი დავარქვითო, ამბობენ აქაურები.

საერთოდ ქვემო ქართლში და კერძოდ ალგეთის ხეობაში ხშირად გვხვდება „ამირანი“ და „დევი“:

რას მიცინი დევის ქალო,
რას მიჩვენებ თეთრსა კბილსა,
სომეხი ვარ, ტანტრე მქვიან,
დავკარგე და ვეძებ ვირსა.
დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვი,
ჩვენი ბედი ასე სჭრისა.

ამირანიანის ეპოსის ბევრი ტოპონიმი აქეთ ტრიალებს. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ, როდესაც ამირანი და მისი ძმები სანადიროდ წამოვიდოდნენ, მათ ისეთი ციხე დახვდებოდათ, რომელსაც კარი ვერ უპოვეს.

სანადიროდ წამოვიდნენ
ამირან და ძმანი მისნი,
ათი მთა გადაიარეს,
მეთერთმეტე ალგეთისი,
მეთორმეტეს კოშვი დახვდათ,
ანაგები სალის კლდისი,
ცხრა დღე და ღამე უარეს,
ვერა ნახეს კარი მისი,
ამირანმა ფეხი წაჰკრა,
იქ გაიღო კარი მისი.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ციკლოპურ ციხე-ქალაქად ითვლება გოხნარის ნაგებობა. იგი საკრისის მთის ძირში მდებარეობს, პატარა ბორცვზე. კვადრატული კილომეტრის მეოთხედი უჭირავს. შუაში სვეტისებური მონოლითია ამართული. კედელი ორი-სამი მეტრის სისქე მაინც იქნება. ამ მხარეში ასეთი ნაგებობები ბედენზე (ლოდოვანი), ჩხიკვთაში, სამშვილდეში, თრიალეთის ახალქალაქში, ნარდევანში, ბეშთაშენში და სხვაგანაც არის აღწერილი.

ჯავახეთში, განსაკუთრებით აბულ-სამსარზე ლეგენდებიც არსებობს, რომ შაორის ციხის პატრონს — ციკლობს, რომელსაც ჩვენში თურქული „ქოროღლი“ შერჩა სახელად, რაში ჰყოლია. როდესაც ზედ შეჯდებოდა, რაში იმ წუთს აბულის მიდამოებში ჩააფრენდა ხოლმე.

ხშირად, ბუნებაში ეს ლოდები მიწისძვრისაგან თუ ზვავებისაგან ისე მილაგდებიან ხოლმე, რომ ზოგიერთს ხელოვნურად ნაგები კედელი ჰგონია.

ასეთ ნაგებობას ქართველობამ მრავალნაირი სახელი შეარქვა: „დევის ციხე“, „გმირთნაკვეთი“, „ქაჯის ციხე“, „დევის ნამუხლი“ და სხვა.

— ესეც ასეე! — დაამთავრა ვახტანგმა.

— ძირითადს ცოტა კი ააცურე! — შენიშნეს მეგობრებმა.

— თვალით ნანახს რა სჯობს. აი, ნახე, დანარჩენი წაიკითხე. ბევრს ბევრი დრო უნდა, ჩვენ კი დღეს დიდი გზა გვაქვს.

— მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვთქვათ. ბევრი მკვლევარი გმირთა ნაკვეთს და საერთოდ „გმირს“ დიდ ყურადღებას აქცევს. აკადემიკოსი ნიკო მარი ფიქრობს, რომ ქართული — „გმირი“ და ოსური „გუმირ“ ტოტემური სახელწოდებებია. მარი ამბობს, გადმოცემების მიხედვით, ოსეთში ნართებზე ადრე, უაიგითა და გუმირითა ცხოვრობდნენო. სავარაუდოა, რომ ამ უკანასკნელ სახელწოდებაში ძველი ხალხის, კიმერიელთა სახელწოდება იმალება. ამ დებულებას მელიქსეთბეგი უკრიტიკოდ იღებს, — თქვა გიორგიმ და განაგრძო:

— ამ ბოლო დროს გამოჩნდა წერილები, რომლებშიც აღნიშნულია სად უნდა ყოფილიყვნენ გმირები. ძველი წელთაღრიცხვით მერვე საუკუნის ოციან წლებში გიმირებისა და ურარტუელების ბრძოლა გურიანიას მიწა-წყალზე მომხდარა. ეს ადგილი კი ურარტუსა და გიმირთა ქვეყანას შორის მდებარეობდა. ურარტული წყაროების ანალიზის შედეგად კი გიმირთა ქვეყანა ვანის ტბის ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო (ვანის ტბის ირგვლივ ხომ ურარტუელები მოსახლეობდნენ). აიგივებენ რა გიმირებს და კიმერებს, ფიქრობენ, რომ მათ თანამედროვე ჯავახეთსა, მესხეთსა და ქართლის ნაწილში (ტაშისკარის დასავლეთით) უნდა ეცხოვრათ. ამ აზრს იმით განამტკიცებენ, რომ ტაშისკარის დასავლეთით მტკვარს ქიმერეთის ხევი უერთდება (კიმერი — ხშირად გამოითქმის როგორც ქიმერი). ავტორი აგრეთვე ამ მხარეში მცხოვრებ ქიმერიძეებსაც იხსენებს.

გარდა ამისა, თორის ხეობაში, ცხრაწყაროს დასავლეთით არის „იმერეთის“ ქედი, რომელიც „ქიმერეთის“ ქედი უნდა იყოს.

ამგვარად, გმირთა ნაკვეთს უშუალო კავშირი ჰქონია გიმირთან, გმირი კი იგივე გიმირია ანუ კიმერი-ქიმერი.

— ძალიან რთულია! — თქვა ვახტანგმა.

— მართალია, რთულია. სიტყვის არქეოლოგიური ძიება ჯერ ახალი მეცნიერებაა, თუმცა ამ მხარეს ძველადაც აქცევდნენ ყურადღებას. მეცნიერების ეს დარგი ბევრს, ძალიან ბევრს მოგვცემს ხალხთა გადაჯგუფების გზებზე, ისტორიაზე. ჩვენში, საქართველოში, ამ მხრივ დაუშრეტელი წყარო გვაქვს. გურია-იმერეთი სავსეა ზანური სახელწოდებებით, აფხაზეთ-სამეგრელო — სვანურით, სვანური და ზანური სახელწოდებები ქართლშიაც ხშირია.

— ციკლოპურით, ვამბობთ და თითქმის წინა ისტორიულ პერიოდს ვგულისხმობთ, თრიალეთში, გახსოვთ, ეკლესიათა უმრავლესობა უზარმაზარი თლილი ლოდებით არის ნაგები. ეს არჯევანშიც აღვნიშნეთ. საერთოდ, საქართველოში ეკლესიის ქვა ზომიერია, ნახევარი ან მეოთხედი კვადრატული მეტრია. თრიალეთში კი ზოგი ქვა მეტრნახევრიანია, ზოგიც მეტი. სავალდებულოდ არ თვლიან ყველა ქვა ერთნაირი იყოს.

— შეიძლება ეს ძველი ტრადიციის ბრალიც იყოს.

— მას შემდეგ, როდესაც ეს ციკლოპური ციხე-ქალაქები აიგო, ბევრი რამ შეიცვალა. ერთნი წავიდნენ, მეორენი მოვიდნენ. მეცხრამეტე საუკუნეშიც კი, ეს ლამაზი ხეობა, — ბზის წყლის ხეობა, უკაცრიელი იყო. დაახლოებით ასი წლის წინათ, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, აქ მოვიდნენ ჩვენი მთიელები: ქსნელები, მთიულები, გუდამაყრელები, არაგველები, დასახლდნენ ძველ ნასოფლარზე, ააგეს სახლები და კერა გააცოცხლეს. აი, ხედავთ? სახლებიდან ბოლი ამოდის, ცეცხლი ანთია! — ამბობდა გიორგი და ბაგეზე სიამოვნების ღიმი დასთამაშებდა.

— ერთი კიდევ გაგვხედეთ, რაკი აქ ვართ,

აგერ, ხედავთ? საკრისის ქედზე, ქციისა და ალგეთის წყალგამყოფი რომ არის, თრიალეთის ზეგნისაკენ, თითო-ოროლა ხელა დგას, ისინი ქვათავას მუხის თანამოძმეებია. რცხილაც გამოერევა. გაღმა ქედის, ჩრდილოეთის ნაწილი ორი ათეული წლის წინათ ტყით იყო დაფარული, დღეს კი ზეგანისაკენ შეთხელებულია, მათ შორის მდელოა. სულ გაქრება, თუ არაფერი ვიღონეთ. ამ ნატყევარზე ტყე თუ არ გავაშენეთ, მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი!

— ხშირი ხომ არ არის თითზე კბენანი? — ვერ მოითმინა ენაკვიმატმა ვახტანგმა.

სახელდახელოდ წაისაუზმეს, გამართეს ჩანთები და ჩამყვნენ ხეობას.

**დასასრული იქნება**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# ევროპაში და ევროპის გარშემო

9

ეს დღეც მიიწურა. ფეხით ხეტიალი პარიზის ცენტრში. სალამოს გამოსათხოვარი ვახშამი სახსტუმრო „ანგლო-ამერიკენის“ რესტორანში, შემდეგ გრძელი გზა უკან — პარიზიდან ჰავრისაკენ, სადაც სახლი — თბომავალი „ესტონია“ გველოდება. გარეთ უკუნი სიბნელე იყო. მხოლოდ დროდადრო გვანათებდნენ გზად შემხვედრი სოფლები და პატარ-პატარა ქალაქები. დილაადრიან ისევ რადიომ გამოგვაღვიძა ჩვენჩვენს კაიუტაში. უნებლიეთ ფანჯარაში გავიხედე და განცვიფრების წამოძახილი აღმომხდა. „ესტონიას“ უკან, ნავმისადგომთან, ვეება ხომალდი-სახელმწიფო, სუპერ-თბომავალი „ფრანსე“ — „საფრანგეთი“ იდგა. როდის მოვიდა? რატომ წუხელ ვერ შევნიშნეთ? გემბანზე გავედი. თანამგზავრთაგან ყველა იქ დამხვდა. შუაში კაპიტნის თანაშემწე ჩაეყენებინათ და რაღაცას აყოლებდნენ. მან თქვა, რომ მსოფლიოს უდიდესი სამგზავრო გემი „ფრანსე“ ეს არის მოვიდა ნიუ-იორკიდან და აქ, ჰავრში მთელ კვირას დარჩება. როგორია გემის მონაცემები? სიგრძე — 316, სიგანე — 48, წყალქვეშა ნაწილის სიმაღლე — 30 მეტრი, წყალწყვა — 360 ათასი ტონა, ზუსტად ექვსჯერ მეტი, ვიდრე ჩვენი ტანმორჩილი და კურდღელივით ცქვიტი „ესტონიაა“. აქვე საგულისხმებელია ისიც, რომ წყლის სიღრმე ჰავრის ნავმისადგომთან 31 მეტრი ყოფილა. როდესაც აქ „ფრანსე“ დგება, მისი ფსკერიდან მისადგომის ფსკერამდე 80 სანტიმეტრი რჩება ხოლმე. ღმერთმა ნუ ქნას, ვინმეს გაანგარიშებაში შეცდომა მოუვიდეს ან ავტომატებმა იცუღლუტონ!

ჰავრი, სადაც ამჟამად ვიდექით და ატლანტის ოკეანესთან შესაჰიდებლად ვემზადებოდით, მეზღვაურთა და მტვირთავთა ქალაქია. იგი 1517 წელს დაუარსებია საფრანგეთის მეფე ფრანცისკ პირველს ლა-მანშის ნაპირას, მდინარე სენას შესართავში. თავისი შორეული საოკეანო და საზღვაო გზებით ჰავრი საფრანგეთს ამერიკასთან და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებთან აკავშირებს.

ჰავრის უბეს ხმელეთიდან მაღალი გადმოსახედი აქვს. თვით ჰავრი ორსართულიანი ქალაქია. ქვედა და ზედა სართულს ერთმანეთთან აერთებს ორმოცდაათიან წლებში აშენებული გვირაბი. გვირაბის მშენებლობა დაწყებული იყო, როდესაც ქალაქი და ნავმისადგომი სადაც საფრანგეთისა და ამერიკის გემები იდგნენ, გერმანელებმა პირველად დაბომბეს. თავის გადასარჩენად მოსახლეობამ დაუმთავრებელ გვირაბს მიაშურა, მაგრამ მოხდა უბედურება: დიდი საჰაერო თავდასხმის დროს გვირაბის ბჭეები ჩამოიქცა და მრავალი ათასი ადამიანი, მათ შორის ბავშვები და მოხუცები, ცოცხლივ დამარხა.

ზედა ქალაქს, საიდანაც ჰავრის ქვედა ნაწილი და ოკეანის უნაპირო სივრცე თითქოსდა ხელისგულზე მოჩანს, სამი მხრიდან ომის შემდეგ გაშენებული და უკვე გაზრდილი მშვენიერი ტყე-პარკი აკრავს. იგი 280 ჰექტარ ფართობზე ყოფილა გადაჭიმული. ზედა ქალაქის ბორცვებზე, სადაც ახლა ასობით მშვენიერი კერძო სახლი ჩამწკრივებულა, ჯერ კიდევ დარჩენილია გერმანელთა რკინა-ბეტონის სიმაგრეების ნანგრევები. ეს სიმაგრეები ჩრდილოეთის ზღვის თითქმის მთელ სანაპიროს

* დასასრული. იხ. „მნათობი“, № 1.

გასდევდნენ და ნაპირის ხელყოფას მოკავშირეების მხრიდან თითქმის შეუძლებელს ხდიდნენ. როდესაც ამ სიმაგრეებს შორის დადგები ან ამბრაზურებში გაიხედავ, თანაც გერმანელების სრულყოფილ შეიარაღებას წარმოიდგენ, თვალნათლივი გახდება ჯოჯოხეთური სიძნელე და მსხვერპლი, რაც მოკავშირეების მიერ მეორე ფრონტის გახსნასთან იყო დაკავშირებული. რკინითა და ბეტონით შეჯავშნული, კბილებამდე შეიარაღებული, მაძღარი და შეზარხოშებული გერმანელი აქ იჯდა, ზღვას ზემოდან დაჰყურებდა, შენ კი ერთი ფოთოლიც არ გიცავდა მტრის ტყვიისაგან. მიუხედავად ამ სიძნელისა და მსხვერპლისა, აქ და ნორმანდიის მთელ სანაპიროზე მოკავშირეთა არმიები მაინც გადმოსხდნენ და, მართალია, მტერს გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს, თვითონაც მნიშვნელოვნად დაზარალდნენ. საზღვაო დესანტის გადმოსხმაში მონაწილეობდა სხვადასხვა წყალწყვის ათასობით გემი, კატერი, ბუქსირი, კარჯაპი. ჰაერში იყო ბრიტანეთის კუნძულებზე საგანგებოდ თავმოყრილი ავიაციის რამდენიმე არმია. მათ წინასწარ დაამუშავეს ნორმანდიის სანაპიროები. ასიათასობით ტონა ბომბი ჩამოყარეს. ქვა ქვაზე აღარ დარჩა. მხოლოდ ამის შემდეგ ამოქმედდა საზღვაო არტილერია. სადესანტო გემებმა ღუზა აუშვეს და დესანტის გადმოსხმაც დაიწყო...

ჰავრში მხოლოდ რამდენიმე შენობა გადაურჩა მეორეთმოსვლას, ქალაქი ნანგრევებით იყო დაფარული და ომის შემდეგ ხელახლა აშენდა, აშენდა ეკლესიებიც. ერთი ამათგანია სენ-ჟოზეფის მოდერნული ტაძარი, რომლის სიმაღლე მიწის პირიდან 107 მეტრია და მთლიანად რკინა-ბეტონისაგან არის ჩამოსხმული.

სწორედ დაუვიწყარი იყო გასეირნება ნორმანდიის ველებსა და სოფლებში. ღმერთო, როგორ ჰგავს აქაურობა ჩვენს მადლიან ქვეყანას! ტყე, საძოვრები, სათიბები, აჩალული ყანები, წითელ-წითელი კრამიტით დახურული ციხე-სიმაგრისკედლებიანი მკვიდრი სახლები. საგანგებოდ დატიხრულ საძოვრებზე უზარმაზარი შავი, წითელი და ჭრელი ძროხები ბალახობდნენ. შემდეგ გამოირკვა: თითოეული მათგანი ათას ორას კილოგრამს და კიდევ მეტს იწონის. ვიდრე დადგენილ წონას არ მიაღწევს, სახორცე პირუტყვი ხელშეუხებელია. ასე რომ არ მოიქცნენ, ზარალს ვინ აუთავდება! მოასფალტებული ვიწრო გზა ხან მაღლობზე გადმომდგარ ძველ ციხე-დარბაზს აუვლის გვერდს, ხანაც ტყის მოსახვევში მოჩუხჩუხე არტეზიულ ჭას, რითაც აქაურობა ირწყვის და მიწაც და ჰაერიც მუდმივ ტენიანობას ინარჩუნებს, ხანაც სოფლის სასაფლაოს, რომელიც აქ ისევეა მოვლილი, როგორც პერ-ლაშეზის სასაფლაო პარიზში. სასაფლაოთ ამ ქვეყნიდან წასულთა ქალაქია და აღგილმდებარეობის თანამედროვე ნახაზში იხატება, როგორც მთელის განუყრელი ნაწილი და ამავე დროს დამოუკიდებელი არქიტექტურული ერთეული.

ფერმერის კარმიდამოს მივადექით. ფერმერი ერთი გამხდარი, კაფანდარა კაცი იყო, ასე ორმოცი-ორმოცდაორი წლისა. ხელები ნამდვილი გლეხკაცისა ჰქონდა. დაბებრებული, კორძიანი. ცოლი ახალგაზრდა, ტანთხელი და ღიმილიანი ჰყავდა. ფერმერმა თქვა, რომ ფერმა მისი არ არის, იჯარითა აქვს აღებული. სახლი და ყველა სამეურნეო ნაგებობა აქ ფერმის პატრონს ეკუთვნის, რომელიც სხვაგან ცხოვრობს და საერთო შემოსავლიდან ყოველ წელს კუთვნილ პროცენტს იღებს. პროცენტი დიდი არ არისო, გვარწმუნებდა ფერმერი, გადახდა შეიძლებაო. ამას იმით ხსნიდა, რომ მისი და ფერმის პატრონის ოჯახი ძველი მეგობრები იყვნენ, ადრე აქ მისი მამა მუშაობდა და სხვ.

რამდენია მიწა? 60 ჰექტარი საძოვარი და სათიბი სახორცე და რძის მომცემი პირუტყვის მოსაშენებლად და ამდენივე სახნავ-სათესი მიწა, რომელზედაც მოწეული ქერნახული ისევ მეცხოველეობას ხმარდება. მიწას მანქანა-იარაღებით ამუშავებენ. ამ კაცს შეეძლო იგი მეზობლებისაგან ექირავებინა, ადრე ასეც იქცეოდა, მაგრამ ამჟამად ყველა სასოფლო-სამეურნეო მანქანა თავისი საკუთარი აქვს. მათ შორისაა ერთი მსუბუქი და რამდენიმე სატვირთო მანქანაც. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან მოყავს შაქრის ჭარხალიც. იგი შაქრის გადამამუშავებელ ქარხნებს მიაქვთ. აგრეთვე ვაშლი, რომლისგანაც მზადდება ვაშლის ბურახი ანუ სიდრი და სახელმოხვეჭილი ვაშლის არაყი — კალვადოსი.

გლეხმა საერთო წლიური შემოსავლის დასახელებისაგან თავი შეიკავა, მაგრამ თქვა, რომ იმედი აქვს საჭირო თანხა მოაგროვოს, რამდენიმე წლის შემდეგ ფერმა მისი პატრონისაგან შეისყიდოს და წარმოება კიდევ უფრო გააფართოვოს.

საგულისხმოა, რომ მიწის ამოდენა მასივს — 120 ჰექტარს! — ოთხი მამაკაცი და, ალბათ, ამდენივე ქალი, ამათი ცოლები, ამუშავებს. თვალწარმტაც კოპწია ეზოში სქელი და წმინდა ბალახი ბიბინებდა. ღობის გაღმა მობალახე სპილოსმაგვარ ფურებს ეუცხოვებოდათ ამდენი ხალხის დანახვა. თვალს მალიმალ ანებებდნენ ჭამას და დაფეთებული იყურებოდნენ ფოტოობიექტივებში.

## 10.

ნავსადგურში რომ მოვბრუნდით და ავტობუსი ბაქანზე გამოვიდა, სახტად დავრჩით: ჩვენი „ესტონია“, რომელიც აქედან გამგზავრებისას

ბაქანის ზემოთ იყო აღმართული, ძლივსღა ვიცანით. ახლა მისი მხოლოდ ანძები და წითელზოლშემოვლებული საკვამლე მილი მოჩანდა. ხანამ ჩვენ ნორმანდიის მინდორ-ველებსა და ხოფლებში თვალს წყალს ვალევინებდით, მიქცევა დაწყებულიყო და ამ ადგილას ოკეანის დონეს ხუთი მეტრით დაბლა დაეწია. ტრაპით, დილას რომ ზევით იყო მიდგმული, ძირს ჩასვლა დაგვჭირდა. ნავსადგურის ბაქანი ზემოთ დარჩა. ადვილი მისახვედრია, რა დღეში ჩავარდებოდა ჩვენი მეზობელი „ფრანსე“. ის თავისი ბრტყელი ძროთი წყლის ფსკერზე იდგა და ფერდებგაშიშვლებული თვალშეუწვდენელ შავ კლდეს დამსგავსებოდა.

გათვალისწინებულზე ერთი საათით ადრე „ესტონიამ“ ღუზა აუშვა და მოტრიალება დაიწყო. დიდი და პატარა გემბანზე გამოვეფინეთ. ჩანდა ოკეანის შავი წყალი, რომელსაც ხომალდის ხრახნი აქაფებდა, ლურჯი სიბნელე და ელნათურების პუნქტირით შემოვლებული უბე, რომელიც ცას ერწყმოდა და თვალდათვალ უსასრულობაში გადადიოდა.

გემზე ხმა დაყარეს, კაპიტანმა რაღაც საიდუმლო რადიოგრამა მიიღო, რომელშიაც ბისკაის ყურეა ნახსენებიო. კაპიტნის თანაშემწეს დეპეშა დაეკეცა და ველარ მოესწროთ წაკითხვა, რასთან დაკავშირებით იხსენიებდნენ ბისკაის ყურეს.

რა დასამალია, მეტ-ნაკლები შიში გულში ყველას გვქონდა და დღისით თუ ღამით ბისკაის ყურე გვახსოვდა, როგორც ჩვენი გზის ყველაზე დიდი და ძნელად გადასალახავი სიძნელე. იქ ზამთარ-ზაფხულ და ყოველგვარ ამინდში ოკეანე ღელავს, ბორგავს, ამიტომაც შეარქვეს გემების სასაფლაო. თვით გამოცდილ მეზღვაურებსა და ცურვაში გამობრძმედილ ზღვის მგლებსაც კი არ სიამოვნებთ ყიამყრალი ბისკაის გახსენება.

ბისკაის ყურე საფრანგეთსა და პირინეის ნახევარკუნძულს შორის ღრმად იჭრება კონტინენტში, მისი სიგრძე 850 საზღვაო მილს უდრის. გავლას, თუ წყნარი დარი დაესწრო, ერთი დღე-ღამე მაინც უნდა. ბისკაიში ჩვენ შევალთ ხვალ, დღის პირველ საათზე და თუ ზეგ ამ დრომდე მშვიდობით გავიარეთ, სწორედ კარგ ვაჟკაცობად ჩაგვეთვლება.

პირველმა ღამემ წყნარად განვლო. ოკეანე დინჯად ღელავდა, ბანზე საშინლად უბერავდა ქარი, მაგრამ ღელვა სამ ბალს არ აღემატებოდა და ამდენად არც რაიმე უსიამოვნების აღმძვრელი იყო. იმ დიდი გრიგალის შემდეგ, ჩრდილოეთის ზღვაში რომ დაგვედარა, ქარის განუწყვეტელი ზუზუნი ყურში დედის ნანინასავით ჩაგვესმოდა და გემიც ნება-ნება, სწორედ აკვანივით ირწეოდა.

გათენდა მზიანი დილა. ცა მოკრიალებული იყო. ერთ ფთილა ღრუბელსაც ვერსად დაინახავდი. ქარმაც იკლო, თუმცა მალე ისევ იმატა. ასე შევედით ბისკაის ყურეში. გემბანზე ვისხედით და ცას თვალს არ ვაშორებდით. ირგვლივ მხოლოდ აქოჩრილი წყალი იყო, რომელსაც ალაგ-ალაგ ფირუზის ფერი დაჰკრავდა. ორჯერ თუ სამჯერ შორს, კონტინენტის საწინააღმდეგო მხარეს, ღია ოკეანეს რომ ეძახიან, განმარტოებული გემები დავინახეთ. იდგნენ თუ ჩვენებრ სადღაც მიდიოდნენ? იქნებ თევზს იჭერდნენ აქ? შორიდან ძნელი გასარჩევი იყო. დაღამდა. ვერც კი ვბედავდით, ხმამაღლა გაგვემჟღავნებინა ჩვენი სიხარული. თითქოს ვისმე გამოსაჯავრებლად, ბისკაის ყოველ წუთს შეეძლო კუდი მოექნია და სიამოვნება, რაც აქამდე მოგვანიჭა, მწუხარებით შეეცვალა. ღამით ერთი დაპირება კი დააპირა წყალმა აღელვება, მაგრამ თითქოს დადებული აღთქმა გაახსენდა და მალევე დაცხრა.

ჰავრიდან გამოსვლის მესამე დღეს გემს თოლიების გუნდი აედევნა. ჩანდა, ოკეანის სივრცეებს ვტოვებდით და ხმელეთს ვუახლოვდებოდით. ნაშუადღევს დავინახეთ დელფინების ჯოგი. რა სანახაობა იყო! პატარა ტანის დელფინები ორი-სამი მეტრის სიმაღლეზე ხტებოდნენ ჰაერში და შემდეგ გემს გვერდიგვერდ მოსდევდნენ. დელფინებმა, ეტყობა, შორიდანვე შეგვნიშნეს და გახარებულებმა მოგვაშურეს. გადავუყარეთ, ვისაც რა აღმოგვაჩნდა. ისინი გაწუწკებული ძაღლებივით დასდევდნენ ზღვაზე მოტივტივე სასუსნავს და, თითქოს უნდოდათ ადამიანებისათვის ესიამოვნებინათ, მოჩვენებითი სიხარბით ნთქავდნენ.

მზემ თანდათან დააცხუნა, თუმცა ნელი ქარი ისევ უბერავდა და აზვირთებული ოკეანე გემს არწევდა. იმ მხარეს, სადაც პირინეის ნახევარკუნძულის დასავლეთი კუთხის, ბასკონიის, ნაპირი გვეგულებოდა, ხმელეთის ვიწრო ზოლი გამოიკვეთა. იგი თეთრი იყო და თვალისმომჭრელად ბრწყინავდა მზეზე. ვილაცას საზღვაო ჭოგრიტი აღმოაჩნდა. ჭოგრიტში გავარჩიეთ მაღალი თეთრი სახლები, რომელთა უწყვეტი ხაზი სადღაც ჩრდილოეთში იწყებოდა და სანაპიროს შორს, სამხრეთისაკენ გასდევდა. ორმა საათმა მაინც გაიარა, ვიდრე ამ სახლებს ზარბაზნის გასროლის მანძილზე მივუახლოვდებოდით. გემი ისევ ნაპირის გასწვრივ მიცურავდა. კიდევ ერთი თუ საათნახევრის შემდეგ ოკეანეში, ჩვენს გზაზე შევნიშნეთ გემების ანძები და ხმელეთის ახალი ზოლი. მარცხნივ ვტოვებდით შავად შეღებილ დიდ ტანკერს, რომლის გროტანძაზეც დანიის სახელმწიფო ალამი ფრიალებდა. გვერდით ჩაგვიარა რამდენიმე სხვა გემმაც და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბლავილით მოგვესალმა. საპასუხოდ

„ესტონიამაც" თავაზიანად დაიგუგუნა. სვლა შენელდა და მალე რეიდზე შევჩერდით.

ეს ესპანეთის ნავსადგურის, კადისის კარიბჭე იყო. კარგა ხნის ლოდინი დაგვჭირდა, ვიდრე ანძების ტყეს მოძრავი შავი წერტილი — ლოცმანის კატერი გამოეყოფოდა და ღია ოკეანეში გულდაგულ ჩვენკენ წამოვიდოდა. გემის მარჯვენა ბორტიდან კარგად მოჩანდა ზღვიდან ამოზრდილი ვერტიკალური კედელი და მავრიტანული სტილით აშენებული ქალაქი-ნავსადგურის ძველი ნაწილი. ეს კედელი ინგლისის მეფე ელისაბედისა და თვით ღმერთისაგან ძლეულ ფილიპე მეორეს აუშენებია მეთექვსმეტე საუკუნის შუა წლებში ინგლისელთა საპასუხო იერიშებისაგან თავის დასაცავად. საომრად შეწკიპული უძლეველი არმადა ქარიშხალმა იმსხვერპლა, ევროპის სატრაპი ფილიპე ინგლისთან გადამწყვეტი ომის ჟამს უფლოტოდ დარჩა და ელისაბედს უკვე ხელს აღარაფერი უშლიდა თვით ესპანეთის ნაპირებზე დესანტი გადმოესხა და ევროპის ხალხების საპყრობილე, სადისტ ფილიპე მეორის საძულველი იმპერია დაემხო.

კადისი ესპანეთის ძველისძველი ნავსადგურია, დიდი, ტევადი, მოხერხებული. იგი ისეთივე ჭიშკარია ესპანეთისა, როგორიც ჰავრი საფრანგეთისა. ესპანეთი კადისის საშუალებით უკავშირდება ახლო და შორეულ კონტინენტებს — აფრიკას და ამერიკას, აქედანვე შედის ის ხმელთაშუა ზღვის აუზში. ადამიანის ცხოვრების კვალი, მატერიალური კულტურის ძეგლების მოწმობით, არქეოლოგებს აქ ქრისტეს დაბადებამდე მესამე ათასწლეულის იქით ეგულებათ. თვით ქალაქი არსებობის სამი ათას წელს ითვლის. პირველ საუკუნეში კადისი რომის პროვინცია ყოფილა. რომაელებს აქ თავიანთი ნავსადგური და გემმისადგომი აუშენებიათ, რაც დღემდე ხელუხლებლად არის შემონახული. საფრანგეთთან ომში, როდესაც ესპანეთი ნაპოლეონ ბონაპარტეს არმიამ დაიპყრო, კადისი ფრანგებისათვის მიუდგომელ ციხესიმაგრედ იქცა. იგი ვერა და ვერ აიღო ნაპოლეონმა, მიუხედავად იმისა, რომ არც ზღვიდან დააკლო ცდა და არც ხმელეთიდან. მტერს წინ აღუდგა ჯერ კიდევ ფილიპე მეფის დროს აშენებული კედელიც, რომელიც ქალაქს ოკეანის მხრიდან იფარავდა, და კადისელთა თავისუფლებისმოყვარეობაც. ოკუპაციის შავბნელ წლებში მეომარი კადისი მთელი ესპანეთის დედაქალაქად ითვლებოდა. აქ იყო ესპანეთის მეფეც და მთელი სამეფო ადმინისტრაციაც.

ახლანდელი ესპანეთი 48 პროვინციისაგან შედგება. ერთერთი ამ პროვინციათაგანია კადისიც, რომლის ნაპირზეც ეს იყო გადავედით და ქვის დიდრონ-დიდრონი ფილებით მოგებულ შუასაუკუნეობრივ ვიწრო ქუჩებს ხარბად შევერიეთ. გემზე ესპანეთის ადმინისტრაციის წარმომადგენლები არ ამოსულან პასპორტების სარეგისტრაციოდ და შიგ რაღაც ფურცლების ჩასაკერებლად, როგორც ინგლისსა და საფარნგეთში მოხდა, არც საბაჟოს ფორმალობანი გაგვივლია. საბჭოთა კავშირის გემები აქ, კადისში, არცთუ ისე ხშირად შემოდიან. ეტყობა, ასე ლმობიერი მოპყრობა დიდი საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებისადმი იმ ადამიანთა კეთილი განწყობილებით აიხსნება, ვისაც ესპანეთის ხელისუფალთა მხრივ ჩვენი შემოწმება ევალებოდა.

ერთიმეორეში გამავალ ძალზე ვიწრო ქუჩებში, რომელთა მაგვარი ჩვენ მხოლოდ კინოში გვინახავს, უამრავი ხალხი ირევა, უპირატესად ახალგაზრდობა. დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს შარვალი აცვია. დადიან წყვილწყვილად, ხელიხელგადახვეულნი, ოღონდ არა ისე გამომწვევად და ურცხვად, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში შეიძლება ნახო. კადისი სრული ანტიპოდი გამოდგა ჩრდილოეთის ქალაქებისა, სადაც საღამოობით ქუჩაში კაცს-სულიერს ვერ დაინახავ.

მოვინახულეთ ქალაქის არქეოლოგიური მუზეუმი, სადაც მიწის წიაღში ნაპოვნ სხვადასხვა დანიშნულების იარაღებს შორის მურილოს რამდენიმე ქმნილება ჰკიდია და ნახევრადბნელი, სარდაფიანი ტაძარი, სადაც აგრეთვე გვაჩვენეს მურილო. აქვეა ესპანელი კომპოზიტორის, წარმოშობით კადისელ მანუელ დე ფალას საფლავი. ფალა ფრედერიკო გარსია ლორკას განუყრელი მეგობარი და თანამოაზრე, ფრანკოს რეჟიმის დაუძინებელი მტერი იყო. როგორც კი მეხი დასცემიათ და აქ ფალანგისტებს გაუმარჯვიათ, რაკი შინ აღარ დაედგომებოდა, კომპოზიტორი ემიგრაციაში წასულა და თავი არგენტინისათვის შეუფარებია. ამ ბოლო დროს პრესაში გამოქვეყნებულმა მასალებმა ცხადყვეს, რომ, თუ შინ დარჩებოდა, ფალას მტრის ტყვიით განგმირული საყვარელი მეგობრის, გარსია ლორკას ბედი ელოდა. ფაშისტები დიდხანს უარყოფდნენ პოეტის მკვლელობაში რაიმე მონაწილეობას და ავრცელებდნენ ვერსიებს, თითქოს ის, გარსია ლორკა, ბრმა შემთხვევის მსხვერპლი გამხდარიყოს. ფაქტიურად სულ სხვა რამ დამტკიცდა, შუბი ხალთაში არ დაიმალა და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ საუკუნის ამ ერთ-ერთი სამარცხვინო მკვლელობის ყველა წვრილმანს ფარდა აეხადა: გარსია ლორკა ესპანელმა ფაშისტებმა მოჰკლეს და მისი სახით უაღრესად საშიში მტერი მოიშორეს.

1956 წელს კომპოზიტორი უცხოობაში გარდაიცვალა. კადისელები ფეხზე დადგნენ და ესპანელი ხალხის დიდი შვილის სამშობლოში გადმოსვენება მოითხოვეს. მადრიდი მეტად შე-

აშფოთა კადისელთა მოთხოვნამ, რომელიც კადისის კვალდაკვალ ქვეყნის სხვა დიდმა და მცირე ქალაქებმაც გაიმეორეს. დიქტატორი ფრანკო იძულებული გახდა ძველი წყენა გულში ჩაეხვია და კომპოზიტორის ესპანეთში ჩამოსვენებაზე თანხმობა განეცხადებინა. და აი, ფალას წმინდა ნეშტი სათანადო პატივით დაუკრძალავთ კადისის ყველაზე დიდი ტაძრის სარდაფის სართულში, სადაც ის დღესაც განისვენებს.

შუადამემდე დავეხეტებოდით ამ უძველესი ქალაქის ვიწრო ქუჩებში. მოედანზე, სადაც უამრავი მტრედი დაფრინავდა, პატარა გოგობიჭები მოგვიახლოვდნენ, გვიტრიალეს, მიხვდნენ, რომ უცხოელები ვიყავით და გახარებულებმა ის შემოგვთავაზეს, რაც ჰქონდათ: მოხალული მზესუმზირა და საწუწნი კამფეტები, თან რაღაცას გვეჭიკჭიკებოდნენ თავიანთ ულამაზეს ესპანურ ენაზე. ბიჭი იყავი და ნუ გამოართმევდი. ჩვენც მოვიჩხრიკეთ ჯიბეები. გაიხარეს, გემის ტრაპამდე მიგვაცილეს და ჟივილხივილით გაბრუნდნენ უკან.

11.

კადისიდან რომ სევილიაში მოხვდე, კადისის უბეში გადებული ხუთკილომეტრიანი ხიდი უნდა გადაიარო და შემდეგ ე. წ. ნაციონალური ავტოსტრადით გავლო 150 კილომეტრი ქვეყნის სიღრმეში. გზა სულ ვაკეა, ერთ ბორცვსაც ვერსად დაინახავ. მიწა მწირი ჩანს. ეტყობა, ოკეანის მარილი ღრმად გასჯდომია და დაუწვავს. ხიდის იქითა ყურში, სადაც საგანგებოდ მოწყობილ სალექ არხებში უბიდან წყალს უშვებენ ზღვის მარილის მოსაპოვებლად, გავეშებული შავი ხარის ფიგურა აღუმართავთ. ამან გამახსენა: კადისის ძველ ნაწილში გვაჩვენეს ასევე ძველი, თავლია ცირკი, სადაც ფიესტის დღეებში დღესაც კორიდა იმართება ხოლმე.

ღმერთმა შეაჩვენოს ის ფიესტაცა და კორიდაც! არაფერი, ალბათ, ისე არ ეწინააღმდეგება ქართველი კაცის ბუნებას, როგორც ეს უგუნური გლადიატორობა, აბუჩად აგდება, ხოლო შემდეგ სასიკვდილოდ გამომეტება რქადალოცვილი მარჩენალი ხარისა. ეს ხომ სადიზმია, ალტკინებული ბრბოს დანაშაულებრივი სიხარული, რომელსაც ადამიანის მიერ ძლეული, გაბიაბრუებული, ქედში მახვილგაყრილი საბრალო ცხოველის სასოწარკვეთა იწვევს. ეს მართლაც გადმონაშთი უნდა იყოს მხეცური ინსტინქტებისა, რაზედაც უარის თქმა და რისი დავიწყება ყოველ ღირსეულ, ნამდვილად კაცთმოყვარე ხალხს დაამშვენებდა.

გიდმა საძოვარზე გაშვებული შავი ხარების ჯოგი დაგვანახა. ხარებს აქ საგანგებოდ ზრდიან, ასუქებენ და კორიდის წინ ბნელაში ამწყვდევენ, რათა სინათლის წინაშე შიში გამოუმუშაონ და თავგზააბნეული ცირკის ასპარეზზე მახვილმოღერებული ტორეროს წინააღმდეგ გამოუშვან.

საძოვრებს ბამბის პლანტაციები მოჰყვა. ვერც ბამბას უვარგია, მიწას ძლივს აჰჩნევია.

რაც უფრო შორდები ოკეანის ნაპირს და მატერიკის სიღრმეში იჭრები, მცენარეულობა, ბაღ-ბოსტნები და ვენახი მით უფრო ხშირად გხვდება, გზაშივე დაიწყო ზეთისხილისა და ფორთოხლის ბაღები. ფორთოხალი ჯერ შემოუსვლელია, მაგრამ ტანით პატარა, ჯუჯა ხეებს მოსხმით კი ძალიან ბევრი ასხია.

ესეც სევილია, ესპანეთის ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ქალაქი. აქ იდგა ანდალუზიის მეფეთა ტახტი. დღეს ის პროვინციის ცენტრად ითვლება და ანდალუზიის სატახტოს მოსახლეობა 600 ათას კაცს აღემატება.

ცნობილია, რომ მეშვიდე საუკუნიდან მოკიდებული მეთხუთმეტე საუკუნის ბოლომდე პირინეის ნახევარკუნძულზე არაბები, იგივე მავრები ბატონობდნენ. არაბებმა იმხანად დასავლეთ ევროპის ბევრი ხალხი დაიმონეს და მსოფლიო სახელმწიფო შეჰქმნეს. აქ, ესპანეთში, იყო მათი ხალიფატი. მავრები თავს აქაურობის სამუდამო ბატონ-პატრონად თვლიდნენ და აღმშენებლობას ეწეოდნენ. ესპანეთში და დასავლეთ ევროპაში სწორედ მათ დაამკვიდრეს ხუროთმოძღვრების მავრიტანული სტილი, რომელიც ესპანურ მგზნებარე გოტიკასთან ერთად, რითაც უპირატესად ეკლესიებია აგებული, გაბატონებულია პირინეის ნახევარკუნძულზე.

თავიანთი აქ ყოფნის კვალი არაბებმა ხალხის ცხოვრების ბევრ სფეროში, თვით ყოფაშიაც კი დასტოვეს. კეთილხმოვან სოლო სიმღერებს, რომლებსაც გზადაგზა ვისმენდით, აშკარად ემჩნეოდა აღმოსავლური გავლენა. წამისწამ გვეჩვენებოდა, რომ კახელი გლეხი ფანდურზე უკრავდა და ზედ რაღაც გულის დამწველ სიმღერას დაჰმღეროდა. ეჭვი არ უნდა, აქაც და ჩვენშიაც არაბული ჰანგების შორეული გამოძახილი გაისმის, რომელიც ამდენი საუკუნის გასვლის შემდეგ ფოლკლორს ასე ცოცხლად შემორჩენია.

დედამიწის ზურგზე, ალბათ, იშვიათია უფრო მწვანე ქალაქი. მის მთავარ პროსპექტს, რომელზედაც კადისიდან შემოსვლისთანავე აღმოვჩნდით, პალმების ხეივანი ქვია. ქუჩას ორივე მხარეზე გასდევს მშვენივრად ნავარგები უზარმაზარი პალმები და მათ უკან სახლები არც კი ჩანს. თავი სადღაც ავსტრალიაში ან რომელიმე სხვა ტროპიკულ ქვეყანაში გგონია. პალმასა და პალმას შორის ასევე ლაღად გახარებული ფორთოხლის ხეები ღაღანებენ. ფორთოხლებს აქაც, სევილიის ქუ-

ჩაში, ტყემალივით ბევრი ასხია. ის ჯერ არ დამწიფებულა, მაგრამ დანახვა თვალს მაინც ახარებს და აქაურობას ეგზოტიკურ იერს აძლევს.

ამ ქალაქს სევილია უწოდეს მავრებმა, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლას, ვიდრე აქედან განდევნიდნენ და დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ, თითქმის შვიდი საუკუნე დასჭირდა. რომაელები მას რომულა ავგუსტას უწოდებდნენ, ხოლო უფრო ადრე ისპალი ერქვა. ქალაქი რომ დაიპყრო, იულიუს კეისარმა გალავანი გადააკეთებინა, თითქმის ხელახლა ააშენა. ამ გალავნის ნაშთი კარგა დიდ სიგრძეზე დღესაც შემონახულია.

ცნობილია, რომ მეთექვსმეტე საუკუნეში აქ, ანდალუზიის სატახტო ქალაქ სევილიაში, შედგა საზღვაო ექსპედიცია, რომელსაც სათავეში განთქმული მოგზაური ქრისტეფორე კოლუმბი ჩაუდგა და რომელმაც შემდეგ ამერიკა აღმოაჩინა. დედამიწის ახალი მატერიკის აღმოჩენის აღსანიშნავად სევილიის ერთ-ერთი მთავარი და უმშვენიერესი მოედნისათვის, რომლის შუაგულში პარკია გაშენებული, ირგვლივ კი მავრიტანული სტილით აგებული თვალწარმტაცი სასახლეები არტყია, იმთავითვე ამერიკის მოედანი უწოდებიათ. ქრისტეფორე კოლუმბის საფლავს გაჩვენებენ საკათედრო ტაძრის ერთ-ერთ კაპელაში. კოლუმბი ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში გარდაიცვალა 1506 წ. და შესაფერისი პატივით სევილიის საკათედრო ტაძარში დაუმარხავთ. საფლავს ბრინჯაოს უზარმაზარი, მეტად ზვიადი ძეგლი ადგას: ვეება კუბოს ფრთებდაკეცილი ანგელოზები მოასვენებენ...

თვით ტაძარი ძალიან დიდია. შიგ რომ იმყოფები, ასე გეჩვენება, რომ არც თავი აქვს, არც ბოლო. ერთიმეორეში გადამავალი რამდენიმე ტაძრისაგან შესდგება. კედლების მხარეს, გოტიკური სვეტების საპირისპიროდ, ინტერიერს ჩასდევს ბრინჯაოს მაღალი მესრით გადატიხრული კაპელები. კაპელები, რომლებიც თალების სიმაღლითა და ფართობით კარგა მოზრდილ საყდრებს აღემატებიან, აქ ისეთსავე დანიშნულებას ასრულებენ, როგორც ნიშები რუანისა და მარია მაგდალინელის სახელობის ტაძრებში.

კაპელას წმინდანის სახელი ჰქვია. ზოგ მათგანში კედლებზე ჰკიდია ფერწერის მსოფლიო მნიშვნელობის შედევრები. აქ ნახავთ ფრანსისკო ერერას, ფრანსისკო პაჩეკოს, ველასკესისა და გოიას ქმნილებებს. ველასკესი წარმოშობით პორტუგალიელი იყო, მაგრამ დედა ესპანელი, სევილიის მკვიდრი ჰყავდა და თავს ესპანელად თვლიდა, გვარი ველასკესიც დედისაგან აიღო. ტაძარი ძველი არ არის, იგი მავრების აქედან განდევნის და ესპანური აბსოლუტიზმის დამყარების კარგა ხნის შემდეგ, მეთვრამეტე საუკუნეშია აგებული და ოფიციალურად მეტროპოლიტენ-კათედრალი ეწოდება.

სამაგიეროდ, მეორე და, ალბათ, უფრო ღირსშესანიშნავი ძეგლი სევილიისა — პედრო მრისხანის ციხედარბაზი სწორედ მავრების ბატონობის ეპოქაში, მეთერთმეტე საუკუნეშია აშენებული. გარედან ის ძალზე მაღალი სქელკედლებიანი საომარი გოდოლებით შემოღობილი ციხესიმაგრეა. შიგა ეზოდან სასახლის ერთიმეორეში შემავალ პალატებში ხვდები. ერთში რომ მოხვდე, მეორე აუცილებლად უნდა გაიარო და ა. შ. სასახლე კუბის მოყვანილობისაა. შიგნით საუცხოოდ მოვლილი, ნამდვილად სამოთხის ბაღი აქვს დატანებული. ამ წალკოტს ოთხივე კუთხივ გადმოჰყურებენ სასახლის შიგა ფასადის ფანჯრები.

პედრო მრისხანის სასახლის პალატები, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათეულია, ზღაპრული ფერებით მოუქარგავთ არაბ ხუროთმოძღვრებს და მხატვრებს. მარტო ერთი, ყველაზე მაღალი და მხატვრულად ყველაზე უფრო ნატიფი დარბაზი გაუფორმებიათ აქ საგანგებოდ მოწვეულ სწორუპოვარ სპარსელ ოსტატებს. გალერეის მაღალი კედლები გობელენებს უჭირავთ. გობელენებზე საზღვაო ბრძოლებია გამოხატული. ამბობენ, ეს გობელენები ასლებიაო. დედნები ესპანეთის ყოფილ პროვინციაში, შორეულ ბელგიაში ყოფილა დაცული.

ქალაქის გამოსასვლელში, რომელსაც ჩვენდა სამწუხაროდ ასე მალე ვემშვიდობებოდით, გზის მაჩვენებელი წარწერები გაჩნდა: „მადრიდი“, „გრენადა“, „ტოლედო“, ხოლო შემდეგ ერთადერთი წარწერა „კადისი“, საითკენაც უზარმაზარი თეთრი ავტობუსი მიგვაქანებდა.

ხეირიანად დაღამებული არც იყო, „ესტონია“ რომ ნავმისადგომის კედელს მოსცილდა, ცხვირით წინ შემოტრიალდა და კვლავ ოკეანეში გავიდა. ოკეანე ღელავდა. ისევ ჩავიკეტეთ კაიუტებში. ღამის თორმეტზე გემმა აღმოსავლეთისაკენ შემოუხვია და ღელვამაც, თითქოს სადღაც გიგანტური ძრავი გამორთესო, ერთბაშად იკლო. ეს გიბრალტარის სრუტე იყო. მარცხნივ ვიწრო შვერილზე მოჩანდა გიბრალტარის ნავსადგური, სადაც ინგლისის სამხედრო ბაზა დგას, მარჯვნივ კი ნათურების პუნქტირით განათებული ჩრდილოეთ აფრიკის სანაპირო.

## 12.

უკვე ორი დღე და ორი ღამეა, რაც ხმელთაშუა ზღვაში მივცურავთ. ზღვა წყნარია, მზე თვალისმომჭრელად ანათებს. გემბანი სითბოსა და მზეს დახარბებული ხალხით არის

სავსე აუზში ზღვის წყალი შემოუშვეს. მოხალისეები ადრიანი დილიდან გვიან ღამემდე ბანაობენ.

წუხელ აზერბაიჯანელების თვითმოქმედი კონცერტი იყო. მონაწილეობდნენ სხვადასხვა დარგის დოქტორები, თითქმის ყველა, ვინც ჩვენთან ერთად გემზე იმყოფება. დღეს საღამოს საქართველოს დღეა. რამდენიმე მოხალისე ავირჩიეთ, ვინც ყველას მაგიერ ილაპარაკებს საქართველოზე და შემდეგ, თუ მოხერხდება, ცეკვასა და სიმღერასაც შეეცდება. ნება დაგვრთეს, ეკიპაჟის ყველა წევრისა და სტუმრების გასამასპინძლებლად ქართული კერძებიც დაგვემზადებინა.

გემის რადიოკვანძმა გადმოსცა: 12 საათზე გავიარეთ ბალეარის არქიპელაგის პირველ კუნძულებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერჯერობით, ისევ ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში ვიმყოფებით და ესპანეთის უკანასკნელ მერიდიანს ჯერ კიდევ არ გავცილებივართ, ბალეარის კუნძულები ესპანეთის ტერიტორიაა. ესპანეთს აქ სამხედრო ბაზები აქვს. ბალეარის კუნძულებიდან უმოკლესი საზღვაო გზაა ბარსელონისაკენ, უფრო სამხრეთით ჩვენთან უფრო ახლოა ვალენსია. ბალეარის სულ ბოლო კუნძულის გავლის შემდეგ საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროს, კერძოდ, ლიონის ყურეს გავუსწორდებით. ამაღამ კუნძულების — კორსიკასა და სარდინიას შორის უნდა გავიაროთ და დილაადრიან შევიდეთ ჩივიტავეკიაში.

დღის მეორე ნახევარში კინოფილმ „გიორგი სააკაძეს“ უჩვენებდნენ. ყველას ცრემლი გვადგა თვალზე. ფილმში ხომ ბევრი ყალბი, მოჩვენებითად პათეტიკური ადგილია, ხომ ბევრია სწორხაზოვნება და დეტალის ბოლომდე გაუაზრებლობა, მაგრამ იგი მაინც მოქმედებს მაყურებელზე, მაინც აღწევს იმ მიზანს, რომელიც ავტორებმა და შემსრულებლებმა დაისახეს. ყოველივე ამის ნახვა განსაკუთრებით გულის ამათრთოლებელი იყო სამშობლოსაგან შორს, უცხო ნაპირებთან.

საღამოს ვახშამი გავმართეთ. დარბაზში რაღაც ქართული სუფრისმაგვარი გაიშალა. დამსწრეთ გავაცანით საქართველოს ისტორია, ცალკეული დიდმნიშვნელოვანი მომენტები მისი წარსულისა და აწმყოსი. ვიქტორინაც გავმართეთ ქართულ თემებზე, რამაც სუფრა საგრძნობლად გაახალისა, ვითომც კიდევაც ვიმღერეთ და სხვებიც ვამღერეთ. ჩვენი ენამზე რეზო თაბუკაშვილი თამადობდა. სხვებმა, ვისაც რა შეგვეძლო, მონაწილეობა მივიღეთ ტოლუმბაშის წინასწარ მომზადებაში. მას აუცილებლად საჭირო ცნობები მივაწოდეთ. საღამო გვიან დამთავრდა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გემი სწორედ ამ დროს გადიოდა ვიწრო სრუტეში ნაპოლეონ ბონაპარტეს მშობელ კორსიკასა და სარდინიას შუა. ღამის თორმეტზე ზემოთ, ბაქანზე ავზვავდით. შორს, დასავლეთით, შუქურები და სანაპირო ქალაქის ნათურები ნაბავდნენ თვალებს. ორივე კუნძული უკან რჩებოდა და ჩვენ ისევ ღია ზღვაში გავდიოდით.

1 ნოემბერს გემის კიჩოდან ვუყურეთ, როგორ ამოვიდა მზე იტალიის მხრიდან. მიწა ჯერ არ ჩანდა, მაგრამ ეს-ესაა უნდა ამოწვერილიყო. აი, იტალიაც! ლურჯი მთების და თეთრი ნაპირის ზოლი ერთბაშად ამოიზიდა ზღვიდან. ახალამოსულ მზესა და ჩვენს შორის მოქცეული ნაპირი თითქოსდა მოვარაყებული იყო. გროტანძაზე დამატებითი ლურჯზოლებიანი ყვითელი ალამი ასწიეს. „ესტონია“ ლოცმანს ითხოვდა. გემს თოლიების გუნდი ეხვეოდა. თითქოსდა ლიუკებში აპირებდნენ შემოფრენას. ძრავამ გუგუნს უკლო. შუაგულ ზღვაში გავჩერდით. სრულ რვაზე კატერი მოგვადგა და გემის ბორტზე ჩივიტავეკიელი ლოცმანი გადმოვიდა. ანძაზე უმალ დაუშვეს ყვითელი ალამი. იმ ადგილას, სადაც იტალიის ალამი ფრიალებდა, ახალი ალამი ასწიეს: „ლოცმანი გემზეა!“ და „ესტონიაც“ კვლავ ნელა დაიძრა ნავსადგურში შესასვლელად.

ჩივიტავეკია იტალიის ერთი პაწაწინა საპორტო ქალაქია. ნავსადგურიც პატარა და მყუდრო აქვს. შიგ რამდენიმე ტანკერი, სატვირთო და სამგზავრო გემი ძლივს ეტევა.

საპასპორტო და საბაჟო ფორმალობათა შესრულებისაგან აქაც ღმერთმა დაგვიცვა. ისე ჩამოვიარეთ ტრაპი და ჩავსხედით ავტობუსებში რომს გასამგზავრებლად, იტალიელი მოხელე ან პოლიციელი არც კი დაგვინახავს.

გზა რომისაკენ ზღვის პირს მიჰყვება. გვხვდება ფორთოხლის ხეები, ვაზის ხეივნები, ანდა ჭიგოთი მოსარული ვენახები და ბოსტნები. ერთიმეორეს წაება პატარ-პატარა საკურორტო ქალაქები: სანტა-მარინელა, სან-გიორგი... გაჩნდა პირველი წარწერა „რომა“. მოასფალტებულ ვიწრო გზატკეცილს, რომელზედაც ყოველგვარი ავტომანქანების გაცხოველებული მიმოსვლაა, გამოეყო ნეაპოლის გზა და დაბლა, ზღვის პირისაკენ დაეშვა. უაღრესად ახლობელი და ნაცნობი ადგილებია. თავი სადღაც მახინჯაურში ან ჩაქვში გგონია.

მოულოდნელად, როცა გეგონა, წინ კიდევ დიდი გზა გვიდევსო, შევედით რომში, უფრო მის დასავლეთ გარეუბანში, რომელიც იმ პატარა საკურორტო ქალაქებისაგან არაფრით გამოირჩევა, და გავჩერდით.

ოტელი „ვილა რადიოზე“, სადაც ბინა მოგვიჩინეს, ახალი აშენებულია და სასტუმროების მშენებლობის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის გამართული. სასტუმრო რამდენიმე მოზრდილი მრავალსართულიანი კორ-

პუსისაგან შესდგება. კომფორტულად მოწყობილ ნომრებში ჰაერი კონდიცირებულია, ხოლო რაც შეეხება ტემპერატურას, იგი შენ თვითონ შეგიძლია სურვილის მიხედვით დააყენო.

დაბინავების წინ სასტუმროს ადმინისტრაციამ ბოდიში მოიხადა: წყალი მხოლოდ დილის რვაზე და საღამოს შვიდზე მოდის ნახევარ-ნახევარი საათით, რომში წყალსადენის მუშები გაიფიცნენ და სანამ მათი საქმე არ გამოირკვევა, წყალზე ნაკლებობა გვექნებათ.

მრავალი ასეული სტუმრის მოსათავსებელი ვრცელი სასადილო დარბაზი სარდაფის სართულზეა. სასადილოს თავზე მშვენიერი სკვერია გაშენებული და ვერც კი წარმოიდგენ თუ ამ მწვანე გაზონების ქვეშ ამოდენა დარბაზის მოსაწყობი ვეება ორმოა ამოთხრილი.

გულმა აღარ მოგვითმინა, ტანთ ჰაიჰარად გამოვიცვალეთ, რადგან რომში საკმაოდ გრილოდა და ისევ ავტობუსში შევგროვდით.

ქალაქის ცენტრს შორიდან, ახალი რაიონის — ეურას მხრიდან მოვუარეთ, სადაც მრავალი სასტუმრო, სტილიზებული პალაცოები და სპორტის სასახლეა განლაგებული. 1960 წელს აქ რომის ოლიმპიური თამაშობები გაიმართა. ჯერ არა არის რა გასაკვირი და უცხო. ყველა დიდი ქალაქისათვის დამახასიათებელი რეკლამა თვალს გიჭრელებს. აღარ იცი, ყურადღება რომელ ერთს მიაქციო და რომელი ერთი დაიმახსოვრო. რეკლამისათვის ყველაფერია გამოყენებული: სახლების სახურავები, კედლები, ელექტროგაყვანილობის ბოძები, ჯიხურები, აფიშების გასაკრავად საგანგებოდ დადგმული დაფები, მოძრავი ტრანსპორტი, ასფალტი და თვით ფილაქანიც კი. საით, რომელ სანახაობაზე ან სპორტულ შეჯიბრებაზე არ გიწვევენ. სად არ გეპატიჟებიან, რას არ გპირდებიან...

ყველაზე ხშირად თითქოსდა ერთი ოსტატის ხელიდან გამოსული მხატვრული პლაკატი მეორდება. ძუძუებგაბზეკილი ძუ-მგელი ორ მშიერ ბიჭუნას ძუძუს აწოვებს. ეს ორი ყმაწვილი რემი და რომულია, რომის მითიური დამაარსებელნი. ისინი იწყებენ საუკუნეების სიღრმეში მინავლულ რომის ისტორიას...

ირგვლივ უამრავი სიმწვანეა. ოცდაათიანორმოციან წლებში აშენებული ქალაქის მთელი ეს უბანი, რომელსაც ერთი მხრივ წყნარი ოკეანის ქუჩა უვლის ნახევარრკალად, მეორე მხრიდან კი ატლანტის ოკეანის ქუჩა, მწვანეში ზის და, როგორც საზოგადოდ რომი — შვიდ გორაკზე განლაგებული ქალაქი — ბორცვებს შეჰფენია. ეურში შეხვდები ლევ ტოლსტოის, ჩარლზ დარვინის, ისააკ ნიუტონის და მსოფლიოს ბევრი სხვა ცნობილი ადამიანის სახელობის ქუჩებს, მათ შორის ქრისტეფორე კოლუმბის დიდ პროსპექტს, რომელსაც რომის დედა-მდინარის — ტიბროსის გადავლით ქალაქის შუაგულისაკენ მიყავხარ.

ჯან-ნიკოლოს ბორცვი, ერთ-ერთი იმ შვიდ ბორცვთაგან, საიდანაც მნახველის თვალს რომის დიდებული და განუმეორებელი პანორამა ეშლება. ბორცვის შუა ადგილას დგას ჯუზეპე გარიბალდის უზარმაზარი ბრინჯაოს ქანდაკება. იტალიის მხსნელი დიდი ჯუზეპე, შორეულ საქართველოშიაც რომ უამრავი თანამგრძნობი და თაყვანისმცემელი გაიჩინა, საომარ ცხენზე ამხედრებულა და თავისი სამშობლოს სათაყვანო დედაქალაქს არწივის აფრენის სიმაღლიდან გადასცქერის. ძეგლის პიედესტალზე, გვირგვინებითა და ცოცხალი ყვავილების თაიგულებით რომ დაუფარავთ, ამოტვიფრულია სიტყვები: „ჯუზეპე გარიბალდის მადლიერი იტალიისაგან“.

აქედან, ჯან-ნიკოლოს ბორცვიდან, ძველი ტრადიციული სახელი თვით ჯუზეპე გარიბალდის ღვაწლის უკვდავსაყოფადაც რომ არ გადაარქვეს, ქალაქის მარცხენა სექტორში მოჩანს წმინდა პეტრეს ტაძრის მრგვალი გუმბათი, მოჩანს მართლმსაჯულების ოთხკუთხა სასახლე, კლასიკური სტილით აგებული, მოჩანს პანთეონის გუმბათი და მრავალი სხვა დიდი და მცირე გუმბათი, რომელთა რიცხვი ამ თეთრი ქვის სამყაროში — რომში, მირიადია.

ზემოდან ქალაქი გაქვავებულს ჰგავს. კლასიკური მკაცრი ფორმები მხოლოდ დიდი ხნის წინათ გარდასულ დიდებულ წარსულზე მეტყველებენ და ამ გაქვავებულ ქალაქში კაცი-სულიერი აღარ ცხოვრობს. მაგრამ, რასაკვირველია, ეს მხოლოდ წარმოდგენაა, ფანტაზიასთან შეზავებული. დავეშვით თუ არა ბორცვიდან, უმალვე ხალხმრავალ ქუჩებს შევერიეთ.

## 18

რომმა, წარმართული სარწმუნოების ამ ციტადელმა, როგორც ცნობილია, ქრისტიანობა 318 წელს მიიღო და მეორე უკიდურესობაში გადავარდა — მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ცენტრად იქცა. აქ ბევრი ისტორიული ადგილია დაკავშირებული პირველი ქრისტიანე იმპერატორის, კონსტანტინეს, სახელთან, ვინც თორმეტის წლის შემდეგ, 325 წელს, ნიკეის საეკლესიო კრება მოიწვია და ქრისტიანობა იმპერიის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადა.

კონსტანტინეს დროს აშენდა და მის სახელს ატარებს ტრიუმფალური თაღი, უშუალოდ რომ ესაზღვრება ანტიკური რომის მშვენებას — კოლიზეუმს. უთუოდ აქედან გადაიღო ნაპოლეონმა თავისი ტრიუმფალური თაღი ელისეის მინდვრების ბოლოში დასადგმელად, მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში გაბნეული პომპე-

ზური თალები სწორედ აქედან გავრცელდა. მაგრამ წინამორბედი ხომ რომსაც ჰყავდა. ძველი აღმოსავლეთი — ბაბილონი, სპარსეთი, მესოპოტამია... იშთარის თალი, რომელიც ბერლინის პერგამონ-მუზეუმშია დაცული, მთელი ათასწლეულებით უსწრებს წინ კონსტანტინე დიდის თალს...

დამახასიათებელია, რომ რომს არა აქვს გამორჩეული მთავარი ქუჩა, როგორიცაა, მაგალითად, ნევის პროსპექტი ლენინგრადში, პიკადილი ლონდონში, ელისეის მინდვრები პარიზში. აქ არის მთავარი მოედანი ვენეციისა, რომელსაც მაღალი ბორცვიდან გადმოჰყურებს ვიქტორ-ემანუილის, გაერთიანებული იტალიის პირველი მეფის, სამახსოვრო მემორიალი. ამ მემორიალს, ერთი შეხედვით საბეჭდ მანქანას რომ მიაგავს, სხვანაირად სამშობლოს საკურთხეველიც ეწოდება.

შუაში, მაღალ პოსტამენტზე დგას მეფემხედარი. უკან, ზემოთ, ნახევარრკლად მოზღუდული თეთრი კოლონადაა, რომლისკენაც ქუჩის პირზე დაწყებულ კიბის საფეხურებს აჰყავხარ. კოლონადის თავზე ალეგორიული ფიგურებია, მხედრის ფერხთით კი, სხვადასხვა სიმაღლის პოსტამენტებზე აგრეთვე ალეგორიული ფიგურები გამწკრივებულან, რომლებიც დიდებულებას ჰმატებენ ამ მშვენიერ ანსამბლს და გაერთიანებული სამშობლოს ძალასა და ძლევამოსილებაზე მეტყველებენ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მემორიალში დაკრძალეს უცნობი ჯარისკაცის ნეშტი და მისი მეორე, ახალი სახელიც — „სამშობლოს საკურთხეველი" სწორედ აქედან წარმოსდგა.

თუ პირით ვიქტორ- ემანუილისაკენ დგახარ, მემორიალის მარჯვნივ დაინახავ ბორცვზე ამავალ ციცაბო კიბეს. ეს კიბე, რომელსაც კაპიტოლიუმში, წარმართული რომის ტაძრებთან, აჰყავხარ, მიქელანჯელოს დაუპროექტებია, შემდეგ კი იგი მის მოწაფეებს აუგიათ. ბორცვზე დღესაც ხელუხლებლივ დგას იუპიტერისა და იუნონას ტაძრები. კიბისთავში აღმართული ქანდაკებები — შიშველი ათლეტები ცხენებითურთ, გადმოცემით თვით მიქელანჯელოს უნდა ეკუთვნოდეს.

კაპიტოლიუმის ბორცვზე ახლა სამი სასახლე დგას: ორი ერთიმეორის პარალელურად, ერთი კი მათ შორის და ცოტა უკან. სასახლეებს შორის ფილაქნით მოგებული ოთხკუთხა მოედანია. მოედნის ცენტრში ბრინჯაოს ცხენზე ზის ბრინჯაოსავე მარკუს ავრელიუსი. რომის წარმართ იმპერატორთაგან ეს არის ერთადერთი, რომელიც ქრისტიანულ წარღვნას — წარმართული ძეგლების ნგრევას და მთელი ქრისტესწინარე კულტურის იავარქმნას გადაურჩა. გამარჯვებულმა ქრისტიანებმა ზომიერების გრძნობა დაჰკარგეს და წარმართობას იგივე შავი დღე დააყენეს, რაც მათგან ახსოვდათ. მარკუს აგრელიუსის ეს ძეგლი დიდხანს პირველი ქრისტიანე იმპერატორი კონსტანტინე ეგონათ, მაგრამ როდესაც სინამდვილე შეიტყეს, შურისძიების ალტკინება უკვე დამცხრალი იყო და ძეგლიც გადარჩა.

მარცხენა სასახლე კონსერვატორიაა (სიტყვიდან „კონსული") = კაპიტოლიუმის მუზეუმი. მსოფლიოში სახელგანთქმულ სხვა ქმნილებათა შორის აქ ინახება კაპიტოლიუმის ვენერა. მარჯვენა სასახლეში მუზეუმის მეორე ნაწილი მოუთავსებიათ. აქ შეიძლება კაცმა ნახო რომის ემბლემად ქცეული ექვსფეხა ძუ მგლის ოქროს გამოსახულება, აი,ის, ქალაქის ლეგენდარული დამაარსებლები — რომული და რემი რომ გამოკვება.

მესამე სასახლე, რომელიც მარკ ავრელიუსის ქანდაკების უკანაა და რომლის წინამოზეც მსოფლიოს ორი წყალუხვი მდინარის — დუნაისა და ნილოსის ალეგორიული ფიგურები დაუდგამთ მხართეძოზე წამოწოლილი ორი გოლიათი ათლეტის სახით, სენატის სასახლე ყოფილა. აქ იმართებოდა რომის სენატის სხდომები. ამჟამად სენატის სასახლე რომის ისტორიულ ბიბლიოთეკას უჭირავს. აქ ინახება ტაბულები, რომლებზედაც რომის სამართალი და სხვა დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ამბებია ალბეჭდილი.

თუ მემორიალისაკენ მიმავალი კაცი ქუჩას მარცხენა მხარეზე გაჰყვები, ძველი რომის ცენტრში ამოჰყოფ თავს.ქუჩის ბოლოში, რომელიც ოთხას-ხუთას მეტრზე გრძელი არც კი იქნება, მთელი თავისი სიდიადით მოჩანს ახლომახლო ნანგრევებში სფინქსივით აღმართული კოლიზეუმი.

კოლიზეუმი, სადაც ბრბოს გულის გადასაყოლებლად და საზოგადოებრივი აზრის მოსადუნებლად რომის იმპერატორები სისხლიან სანახაობებს — გლადიატორების სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებებს აწყობდნენ, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ააშენეს. მის აშენებას რვა წელიწადი დასჭირდა, მშენებლობაში კი მონაწილეობა მიიღო 115 ათასმა მონამ.

კოლიზეუმი, როგორც მრავალი დიდი სტადიონი, თავღიაა, მაგრამ თუ ამინდი შეიცვლებოდა, სპეციალური მოწყობილობის საშუალებით ამ უზარმაზარ მრგვალ შენობას მისი შესაფერი ქსოვილის ქოლგა გადაეფარებოდა ხოლმე. წრიული ასპარეზის ირგვლივ წრიულადვე განლაგებული და ზევით და ზევით მიმავალი ტრიბუნები 50 ათას მაყურებელს იტევდნენ. ლოჟეებში ადგილებს იკავებდნენ იმპერატორი და რომის წარჩინებულნი — პატრიციები, ტრიბუნები კი მოქალაქეებით ივსებოდა. სანახაობა, რომელსაც კოლიზეუმში მართავდნენ, გარეგნულად ყველა სხვა ასპარეზობაზე დე-

მოკრატიული იყო, რადგან გარდა მოქალაქეთა ყველა ფენისა, მას მონებიც კი ესწრებოდნენ.

კოლიზეუმს ორი წრიული კედელი ჰქონდა: შიგნითა და გარეთა, რომელთა შორის მოთავსებული იყო კიბეები, ტრიბუნიდან ტრიბუნაზე გასასვლელები და სხვა დამხმარე ნაგებობები. გარე კედლის სამ სართულს გარს უვლიდა თაღიანი ფანჯრების სამი წყება, ხოლო მეოთხე, ყველაზე მაღალ სართულს მხოლოდ რამდენიმე ათეული შედარებით ვიწრო სარკმელი ჰქონდა.

კოლიზეუმი, როგორც შიგნით ისე გარეთ, თეთრი და ფერადი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული, რომის დაცემის წლებში მთელი ეს ძვირფასი მარმარილო შემოსეულ ბარბაროსთა ურდოებმა მოხსნეს და დაიტაცეს. კოლიზეუმის შემდგომი ნგრევაც სწორედ ამ დროიდან იწყება. მტაცებელ რომს ბედმა თითქოს მწარე სამაგიერო გადაუხადა: იმავე მახვილით განგმირული დაეცა, რომლითაც ძველი მსოფლიოს მრავალი ხალხი დაიმონა და თავის ფერხთა მტვრად აქცია.

მაგრამ ვიდრე ვენეციის მოედნიდან აქეთ წამოსული კაცი კოლიზეუმს მიაღწევდე, ანტიკური რომის ნანგრევების მთელი მკვდარი პროსპექტი უნდა გამოიარო. წარმართული რომის ყველა სასახლე დაქცეულა, მაგრამ ქალაქის ამ ისტორიულ ადგილს ძველებური ზვიადი სიდიადე მაინც არ დაუკარგავს. ფეხზე დგას გარდასული დიდებით მოსილი პალატების ცალკეული ნაწილები: კოლონადები, კოშკები, სანახევროდ ჩამონგრეული თაღები და კამარები, ობლად შთენილი, კლასიკური სტილით ნაკვეთი სვეტები, ღრმა მიწისქვეშეთში ამოშენებული სარდაფები, დროთა სიმუხთლით შელეწილი გალავნები.

აი, რომის ფორუმი, ეს კი იმპერატორ ავგუსტის ფორუმია, ეს კიდევ იულიუს კეისრისა! ყოველივე დაქცეულა და იავარქმნილა. უყურებ აქაურობას, აკვირდები და ყველგან თან გდევს აკვიატებული აზრი, რომ დრონი მეფობენ და არა მეფენი.

აი, იმპერატორ ტრაიანეს ფორუმის დიდებული ნაშთი. იგი რაღაცით კოლიზეუმის შენობას გაგონებს თავისი წრიული ფორმითა და კამაროვანი კარ-ფანჯრების წყებით.

ნანგრევებს ზემოდან, ტიბროსისგაღმა ბორცვიდან გადმოჰყურებს წმინდა ანგელოზის კოშკი, რომელიც ხელუხლებლივ შემონახულა და ერთის მხრივ ძველი რომის ნანგრევებს გასცქერის, ხოლო მეორეს მხრივ მრავალი სკულპტურული ფიგურით მოკაზმულ ვიქტორ-ემანუილის ხიდს, ვენეციის მოედნიდან წმ. პეტრეს ტაძრისაკენ ან ვატიკანისაკენ მიმავალმა კაცმა რომ უნდა გაიარო.

რად უწოდეს რომის მთავარ მოედანს ვენეციის სახელი? უბრალო მიზეზის გამო: მოედნის ერთი, მარჯვენა მხარე, თუ სამშობლოს საკურთხეველთან პირით დადგები, მთლიანად უჭირავს პალაცო ვენეციას. ამ პალაცოში ცხოვრობდა ვენეციის ელჩი ჯერ ვენეციის რესპუბლიკისა და შემდეგ სამეფოს დროს.

ქვემოთ, ვიწრო ქუჩის კუთხეში, ნავონის მოედანზე რომ გაგიყვანს, მოედანს ქვემოდან უყურებს ყვითლად შეღებილი ხის აივანი. ეს აივანი იმ სახლს ეკუთვნის, რომელშიაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ნაპოლეონ ბონაპარტეს დედა ცხოვრობდა.

ნავონის მოედანი რომის მონმარტრია. აქ წლის ყოველ დროს და ყოველგვარ ამინდში დაინახავ წვერმოშვებულ ახალგაზრდა, სახელოვან თუ ჯერ კიდევ სახელმოუხვეჭელ მხატვრებს, თავიანთ ნამუშევრებს რომ ყიდიან და მუშტრის მომლოდინენი აქვე მუშაობენ. მოედანი გრძელია და სწორი ოთხკუთხედის მოყვანილობისა. მის შუაგულში ჩქეფს დიდი იტალიელი მოქანდაკის, ბერნინის მიერ გამოქანდაკებული მარმარილოს შადრევანი. მოკლედ მას ბერნინის შადრევანს ეძახიან.

რაკი სიტყვა შადრევანს შეეხო, აქვე მსურს ვახსენო ხელოვნების საკვირველი ქმნილება — ტრევის შადრევანი, მაგრამ ჯერ მაინც ბერნინის შადრევანზე შევჩერდეთ. წითელი გრანიტის ნაქანდაკევ აუზში, რომელიც პირამდე წყლითაა სავსე, მითოლოგიური შინაარსის ათი თუ თორმეტი შიშველი ფიგურა დგას, ყველა ფიგურა, რომელთაგან თითოეული ადამიანის სხეულის სილამაზისა და გრაციის გამომხატველია, როგორც ბაროკოს სტილს შეჰფერის, გარკვეულ მოქმედებაშია. ესენია პირიდან წყლის მფრქვეველი ფანტასტიკური ცხოველები და ნახევრადადამიანები. წყლის ჭავლების ტყორცნა ლოგიკურად დაკავშირებულია იმ მოქმედებასთან, რომელსაც ფიგურები ასრულებენ, ოღონდ წყლის მოძრაობა ისეა მოწყობილი, რომ გარეგნული ანარქია რაღაც შინაგან წესრიგს, თითქოს მუსიკალურ ჰარმონიას ემორჩილება.

ბერნინის შადრევნის სკულპტურული ანსამბლი მსოფლიო ხელოვნების ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია.

რაც შეეხება ტრევის შადრევანს, მისი მასშტაბები და ამ მასშტაბებით გამოწვეული შთაბეჭდილება კიდევ უფრო გრანდიოზულია.

ტრევის შადრევნის სკულპტურული ანსამბლი სამსართულიანი სახლის სიმაღლისაა. მას მოედნის მთელი ერთი მხარე უჭირავს. ანსამბლის შემადგენელი ნაწილები: კლდეები, ქარაფები, ტიტანები, რომლებიც გაგიჟებულ ცხენებს იურვებენ, ფანტასტიკური ფრინველები განლაგებულია ქვემოდან ზემოთ და ყველაფერი ეს იხატება ბაროკოს სტილით აგებული სვეტებიანი სასახლის ფონზე. ბროლო-

ვით გამჭვირვალე წყლის ნაკადები ათას ადგილას ჩქეფს და დეკორატიულ სადინარებში მდინარეებად მოედინება. მოჩუხჩუხე წყლის ხმაური ყველა სხვა ხმაურს ახშობს. შადრევანს მუდამ უამრავი ხალხი ესევა დ თავის აღფრთოვანებას ყვირილით გამოხატავს.

14.

რა არის კიდევ ვენეციის მოედნის ახლომახლო? სან პედრო დი ვინკოლი — წმ. პეტრე ჯაჭვებში და პანთეონი.

სიძველის მიხედვით, თავისი არქიტექტურული ფორმებით და აგების ტექნიკის სირთულით, აგრეთვე იმ მნიშვნელობით, რომელიც მან რომის ისტორიაში შეასრულა, პანთეონი ერთ-ერთი უპირველესია. იგი ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს ააშენეს, მეორე საუკუნეში. პანთეონის აშენების იდეა და ინიციატივა იმპერატორ ადრიანეს ეკუთვნოდა. მანვე მოიწვია ხუროთმოძღვრები, მორეკა ათი ათასობით მონა და თავისი განაზრახი აღასრულა.

თავდაპირველად პანთეონი იმპერატორთა ძვალშესალაგად იყო განკუთვნილი. მეშვიდე საუკუნეში, ქრისტიანობამ რომ ფეხი საბოლოოდ მოიკიდა, იგი ტაძრად გადააკეთეს. პანთეონი დღესაც ტაძარია წმ. მარიამის სახელობისა და ეწოდება სანტა-მარია დეი მარტირი.

პანთეონის შენობა, რომელიც ცნობილია მსოფლიოში ყველაზე დიდი გუმბათით, მარტოოდენ კედლებს რომ ეყრდნობა, მრგვალია და კლასიკური სტილით აგებული. წინიდან ფასადს ტრაპეციის ფორმა აქვს. დგას ეგვიპტიდან ჩამოტანილი 18 მონოლითი, მრგვალი სვეტი გრანიტისა, რომელთაგან თითოეული, ალბათ, რამდენიმე ათეულ ტონას იწონის. ამ სვეტებს ეყრდნობა სამკუთხაშუბლიანი ბაზალტის სახურავი. შიგნით პანთეონი ბევრად უფრო თვალისმომჭრელია, ვიდრე გარედან. იატაკი სხვადასხვა ფერის მარმარილოსაგან გამოკვეთილი გეომეტრიული ფიგურებითაა მოგებული. კედლებს კლასიკური სტილით დამუშავებული მრგვალი სვეტები, კამარები და ბუხრისმაგვარი ნიშები გასდევს. აღსანიშნავია, რომ თაღის შუაგულში, რომელიც უზარმაზარ სივრცეს მოიცავს, ზუსტად ცენტრში, დატანებულია კარგა მოზრდილი მრგვალი ხვრელი, საიდანაც ცა მოჩანს და დღისით მზის ბუნებრივი სინათლე ჩამოდის. თუ გაწვიმდა, ხვრელიდან ღვართქაფად მოთქრიალებს წყალი და მარმარილოს ძვირფას იატაკზე იღვრება. იატაკი თავის ცენტრალურ ნაწილში რამდენიმე ადგილას გახვრეტილია. გუმბათიდან ჩამოღვრილი წყალი საგანგებო მილებში ხვდება და აქედან ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მოწყობილ ქალაქის კანალიზაციას უერთდება.

პანთეონში რომის რამდენიმე იმპერატორი და იტალიის მეფეა დაკრძალული. აქვე მოუჩენიათ სამუდამო განსასვენებელი აღორძინების დროის უდიდესი მხატვრის — რაფაელისათვის საფლავის ქვას აწერია: „რაფაელი. ვიდრე ცოცხალი იყო, დედა-ბუნებას ეშინოდა მისი, ხოლო როცა მოკვდა, დედა-ბუნებას მოეჩვენა, რომ მოკვდა მასთან ერთად“.

ალბათ, შეუძლებელია უფრო ზვიადად და უფრო ყოვლისმომცველად, უფრო პათეტიკურად და უფრო ინტიმურად თქმა სათქმელისა. აქ ხომ სიტყვა თვით ღვთაებრივ რაფაელს შეეხება, ამ ბუხრისმაგვარ ნიშში რომ განისვენებს, პანთეონის კედლის ძირას.

ვენეციის მოედნიდან ვიქტორ-ემანუილის ხიდს გადაივლი და ტიბროსის ერთ-ერთი ტოტის გაღმა ნაპირზე, მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეების დიდებული სახლებით ჩარიგებული ქუჩებისა და სამი თუ ოთხი მისახვევ-მოსახვევის გავლის შემდეგ, ვატიკანის, ქუჩაზე აღმოჩნდები. ვატიკანის ქუჩაც საკმაოდ ვიწროა. ამ სივიწროვის შთაბეჭდილებას უთუოდ ვატიკანის თვალშეუდგამი გლუვი კედელი ქმნის, რომელიც ქუჩას ცალ მხარეზე გასდევს, სახლები მხოლოდ მის მოპირდაპირე მხარეზეა.

ვატიკანს — ქალაქს ქალაქში, უფრო სწორად, სახელმწიფოს სახელმწიფოში, კათოლიკური სამყაროს ცენტრს, რომის პაპების მუდმივ რეზიდენციას, თავსა და ბოლოს, 44 ჰექტარი ფართობი უჭირავს. ვატიკანის სასულიერო და საერო აპარატში დასაქმებულია ორი ათასზე მეტი კაცი. აქედან ათასი თვით ვატიკანში ცხოვრობს და ვატიკანის მოქალაქედ ითვლება, დანარჩენი ათასი ვატიკანის მოქალაქე კი რომის მკვიდრია და სამსახურშიაც ყოველდღე აქედან დაიარება.

ვატიკანის უმთავრესი მატერიალური ღირსშესანიშნაობა მისი სახელგანთქმული მუზეუმია, რომელიც ადრევე, შუა საუკუნეებში აშენდა, მაგრამ პაპების საკუთრება იყო და მოსახლეობის ფართო ფენებს, მით უმეტეს უცხოელებს, მის სანახავად ხელი არ მიუწვდებოდათ. 1861 წლის შემდეგ, როდესაც გაერთიანებული იტალიის მეფე იმდენად გაძლიერდა, რომ თავის გავლენის სფეროში თვით პაპიც კი მოიქცია, კათოლიკური ეკლესიის მამა იძულებული გახდა მეფის სურვილისათვის ანგარიში გაეწია და ვატიკანის პალატების კარი ხალხისათვის დაუზარებლად გაეღო.

და აი, თქვენ ვატიკანში ხართ, მის სახელგანთქმულ მუზეუმში, რომელშიაც ვატიკანის ქუჩიდან შემოხვედით. სპირალურად განლაგებული განიერი კიბის სექციები ისეა წარმართული, რომ, როგორც ქვემოდან ისე ზემოდან, ამსვლელ-ჩამომსვლელთა ცალმხრივი მოძრაობაა, საწინააღმდეგო მხარეს მიმავალნი ერთმანეთს არსად ხვდებიან და უნებლიეთ

გზას არ ულობავენ. მუზეუმში შესვლის ფასი საკმაოდ მაღალია. ამ საქმეში რაიმე შეღავათი, რასაკვირველია, არავისა აქვს. მუზეუმს ვატიკანის პოლიცია იცავს. პოლიციელები ყოველ მომსვლელს საკმაოდ დელიკატურად უთვალთვალებენ.

ვატიკანის პოლიცია პაპის პირადი დაცვის ქვეგანაყოფებში არ უნდა ავრიოთ. ძველთაგანვე დამკვიდრებული ჩვეულების თანახმად, რასაც თავის დროზე, ალბათ, თავისებური გამართლება ჰქონდა, პაპის დაცვაში მხოლოდ შვეიცარიელებს იღებდნენ. სხვათაშორის, ასევე იქცეოდნენ ინგლისის, დანიის და სკანდინავიის ქვეყნების მეფეებიც. ეს ჩვეულება ინგლისშიაც და ვატიკანშიაც დღემდე ხელშეუხებელია. ასე იქცა „შვეიცარი“ მეკარის, ბატონის კარის მცველის სინონიმად. პაპის მცველ შვეიცარიელებს ტრადიციული ფორმა აცვიათ. ახურავთ ლურჯი ბერეტი, იცვამენ ყვითელზოლებიან კაფტანს და მაღალ ყელ გეტრებში ჩატანიებულ ასეთივე ფერის შარვალს. ფეხზე მაღალქუსლიან შავ წაღებს ატარებენ. შეიარაღებული არიან შუბებით, რაც იმას მოასწავებს, რომ საგუშაგოზე მათი დგომა სუფთა სიმბოლური ხასიათისაა და ისინი, ეს მცველები, ტრადიციული რეკვიზიტის განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ.

ვატიკანის მუზეუმის უპირველესი შედევრია მიქელანჯელოს ყალმით მოხატული სიქსტეს კაპელას ჭერი და წინა კედელი, რაფაელის მიერ მოხატული სამი ოთახი და ბერნინის რამდენიმე ქანდაკება.

მუზეუმი უზარმაზარ გალერეებად არის დაყოფილი და თითოეული გალერეა თითქმის თავიდან ბოლომდე ამოწურავს დროის ამათუიმ მონაკვეთის, თუ ამათუ იმ სკოლის ხელოვნების მთავარ ტენდენციებს.

პირველი გალერეები ელინური ხანის ქანდაკებას ეძღვნება. ეს ქანდაკებები სხვადასხვა დროს გამოიტანეს საბერძნეთიდან წარჩინებულმა რომაელებმა და მით თავიანთი პალაცოები, ფორუმები და აბანოები შეამკეს, ბოლოს, როდესაც ისტორიის ჩარხი გადაბრუნდა და კლასიკური რომიც დაეცა, ელინური ხელოვნების ეს შედევრები მომდევნო თაობებმა ნანგრევებსა და ფერფლში იპოვნეს და აქ გამოფინეს, რათა ადრე თუ გვიან კაცობრიობის საკუთრება გამხდარიყო.

ბევრ ამ ქმნილებას მეცენატობა და მფარველობა თვით მიქელანჯელომაც გაუწია. მნახველის ყურადღებას იპყრობს თვალსაჩინო ადგილას დადგმული ათლეტის მძლავრი ტორსი, ე. წ. ბელვედერის ტორსი, რომელსაც ამ ხანძრებსა და ნგრევაში, მონათმფლობელურ რომს თავს რომ დაატყდა, არც ხელ-ფეხი შერჩენია და არც თავ-კისერი. მიუხედავად ამისა, ის მაინც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ტორსი მიქელანჯელომ იპოვნა და ეს საპატიო ადგილიც მან მოუნახა. დიდი ფერმწერისა და მოქანდაკის აღფრთოვანება ამ შთამაგონებელი ქმნილებით იმდენად დიდი იყო, რომ ოდნავი სახეცვლილებით იგი სიქსტეს კაპელას პლაფონის მოხატულობის ერთ-ერთ ცენტრალურ პერსონაჟად აქცია.

მუზეუმის პირველსავე დარბაზში დგას ბრინჯაოს ჰერკულესი და ორი ბრწყინვალე სარკოფაგი. ერთ მათგანში რომის პირველი ქრისტიანე იმპერატორის კონსტანტინე დიდის დედა განისვენებს, ხოლო მეორეში იმპერატორის მცირეწლოვანი ასული წმ.კონსტანცა...

ქანდაკებათა გალერეაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ცნობილ ელინურ ქმნილებას „ლაოკოონს“. თეთრ მარმარილოში ნაკვეთი ეს ხელთუქმნელი ნაწარმოები ზომით დიდი არ არის, მისი პერსონაჟები ნატურალურ ზომისა არიან. ცნობილია მითი, რომელიც საფუძვლად დაედო სკულპტურულ ანსამბლ „ლაოკოონს“. ლაოკოონმა და მისმა შვილებმა ღმერთების სათაყვანო ტროის დანგრევა და პირისაგან მიწისა აღგვა იწინასწარმეტყველეს. ამის სამაგიეროდ ღმერთებმა ისინი შერისხეს და წამებით სიკვდილი მიუსაჯეს. ლაოკოონსა და მის შვილებს შემოხვევია საშინელი ძალის მქონე პითონი და ყველას ერთად ახრჩობს. გველის მარწუხებში მოქცეული ლაოკოონი იბრძვის ადამიანური ძალის უკანასკნელი დაძაბვით. მის ბრძოლას შვილების გადარჩენისათვის თავის გამოდება აკეთილშობილებს და შარავანდედით მოსავს.

ლაოკოონი ვინ არ იცის, ვის არ უნახავს, მაგრამ როდესაც მის დედანს უყურებ, ასე გგონია, თვით ესწრები ღმერთებისა და ადამიანების ტიტანურ ორთაბრძოლას, რომელმაც შემდეგ ქანდაკების დიდოსტატს ეს მარად უკვდავი ქმნილება შთააგონა.

ლაოკოონი, როცა ის ფერფლსა და ნანგრევებში იპოვნეს 1516 წელს, საგრძნობლად დაზიანებული იყო. თვით ლაოკოონს, მამას, მოტეხილი ჰქონდა ზემოთ აწეული მარჯვენა ხელი. ქმნილება, ვიდრე მას ვატიკანში დადგამდნენ, მიქელანჯელომ აღადგინა, მანვე დაასრულა მოტეხილი ხელიც. ხანგრძლივი დროის გავლის შემდეგ არქეოლოგები ნანგრევებში წააწყდნენ ლაოკოონის დაკარგულ ხელს. იგი უმალვე მიაზომეს ადგილს, რისი ნაწილიც უნდა ყოფილიყო და ნატვრაც ახდა: „ლაოკოონი“ სავსებით დასრულებული სახით წარსდგა მნახველთა წინაშე. მიქელანჯელოსეული ხელი იმავე დარბაზში ცალკე ინახება. ამ ორი ხელის მდგომარეობა სივრცეში ერთმანეთს არ ემთხვევა და ერთხელ კიდევ ამტკიცებს ძველისძველ ჭეშმარიტებას, რომ ზეგარდმო ნიჭიერებით მომადლებულ ყოველ ხელოვანს თავისი

საკუთარი სამყარო აქვს და მის შიგნით ყველაფერს მხოლოდ ამ სამყაროს დამახასიათებელი შინაგანი კანონზომიერებანი განაგებენ.

ანტიკური ხანის ქანდაკებათა გალერეაშია ე. წ. ბელვედერის აპოლონი, უფრო სწორად, რომაული ასლი ელინური დედნისა. ესაა მამაკაცის სხეულის სილამაზის ზეიმი. ქანდაკება არ გამოხატავს რაიმე მოქმედებას, არც სახეს ადევს რაიმე კონკრეტული გამომეტყველება. სკულპტურის ავტორია აპოქსიონომესი, ხოლო ვინ შეასრულა ასლი, ცნობილი არ არის,რადგან ასლებს, როგორც წესი, მონები აკეთებდნენ, მათ კი ქმნილებაზე თავიანთი ვინაობის მიწერის უფლება არ ჰქონდათ. გარდა ამისა, აქ ხშირად გაიგონებ გიდების შენიშვნას:ეს რომაული ასლია პირველი საუკუნისა, შეჩერებად არა ღირს. მოდი და გული ნუ გაგისკდება. ფუფუნებაც ამასა ჰქვია!

მეორე დიდ დარბაზს თუ ტალანს შანდლების გალერეა ეწოდება. აქ გამოფენილია სხვადასხვაგვარი ვარიაცია შანდლებისა, რომლებსაც დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობაც აქვთ და ოდესღაც თავის პირდაპირ დანიშნულებასაც ასრულებდნენ. ეს შანდლები ამშვენებდნენ რომის პარკებს, კიბისთავებს პალაცოებში, კოლიზეუმის ფოიეებს, იმპერატორთა სადარბაზო პალატებს და ბევრ სხვა რამეს მეორე-პირველ საუკუნეებში ჩვენს ერამდე.

შანდლების გალერეას გობელენების გალერეა მოსდევს. გობელენების უმრავლესობა ბელგიურ მანუფაქტურებშია მოქსოვილი. ნამდვილი მეტყველებაა ფერებისა. მნახველს ატყვევებს შესრულების სიფაქიზე და გრანდიოზული მასშტაბები. გობელენებს შორის რამდენიმეს რაფაელის სწორუპოვარ ყალამს აკუთვნებენ. ერთ-ერთი მათგანია „ყრმათა ჟლეტა“. იროდეს გამხეცებული ასისთავები უდანაშაულო დედებს ღასევიან და მეძუძურ ბავშვებს ყელებს ჭრიან... ძნელია, სადმე ამაზე უფრო შემზარავი და დამაჯერებელი სურათი ნახო!

რუკების გალერეა მთლიანად იტალიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის გეოგრაფიულ რუკებს უჭირავს. აქ, რასაკვირველია, დედნებია, დიდი გეოგრაფისა და მხაზველის ჯადოსნური ხელით შესრულებული. ყველა რუკა, რომლებიც განცვიფრებენ მიხვედრილობითა და გამოსახვის სიზუსტით, იტალიელ გეოგრაფებსა და კარტოგრაფებს აღორძინების ხანაში, მეთექვსმეტე საუკუნეში შეუქმნიათ.

მე არ შევეცდები იმ სამი ოთახის აღწერას, რომელთა ჭერი და კედლები რაფაელის ხელით არის მოხატული. არ შევეცდები იმიტომ, რომ ბიბლიური სიუჟეტები, რომლებიც საფუძვლად უდევს უზარმაზარ ფრესკებს, არც თუ ადვილი მისაწვდომია იმისათვის, ვისაც აღთქმა, ძველი თუ ახალი, აგრეთვე პაპების ისტორია, ძვალსა და რბილში არა აქვს გამჯდარი. ქმნილებები ძალზე რთულია, ხალხმრავალი, ილუსტრაციული და ერთი ან ორი ნახვით მათი აღქმა და შეთვისება თითქმის შეუძლებელია. ყველა სურათს ბინდი გადაჰკრავს. გეჩვენება, რომ საღებავი ქიმიურ ცვალებადობას განიცდის. აზრის თავმოყრა აქ იმითაც ძნელდება, რომ ადგილზე ფეხის მონაცვლების საშუალება არ არის. დარბაზები გაჭედილია დედამიწის ხუთივე კონტინენტიდან მოსული ადამიანებით, რომლებიც ყოველ სურათს ხარბად, დაფეთებული უყურებენ, თითქოს არ ეთმობათ მისი აქ დატოვება.

ვინ იყო სიქსტე, რომლის სახელი სამარადისოდ უკვდავჰყო დიდმა მიქელანჯელომ? სიქსტე, კერძოდ, სიქსტე მეოთხე, რომის პაპი იყო. მისი დაკვეთით 1475 წელს აშენდა ვატიკანის დიდი დარბაზი, სხვანაირად კაპელასაც რომ ეძახიან. დარბაზს დამკვეთის — სიქსტეს სახელი ეწოდა. აშენების დღიდან მოკიდებული სიქსტეს კაპელაში იმართება ვატიკანის ყველა დიდმნიშვნელოვანი თავყრილობა, უპირველეს ყოვლისა კი კვინკლოსი — რომის პაპის არჩევნები.

რომის პაპს, როგორც ცნობილია, კარდინალები ირჩევენ. ვინაიდან პაპის ღირსება სამუდამოა და პაპის გადაყენება კანონით შეუძლებელია, როგორი საჭიროც არ უნდა გახდეს ეს, კათოლიკური ეკლესიის უზენაეს მღვდელმთავრად ირჩევენ უპირატესად ხანშიშესულ, ცხოვრების მეორე ნახევარში გადამდგარ კარდინალს, რათა ბუნებამ თავისი ჰქნას და თუ არჩევანი არასახარბიელო გამოდგა, თავისი უძლები შვილი თვითვე მიიღოს.

კაპელა რომ გაასრულეს, პაპმა იულიუს II ბრძანა, მისი პლაფონისა და კედლების მოსახატავად თვით სწორუპოვარი მიქელანჯელო მოეწვიათ. 1508 წელს მიქელანჯელო აქ მოვიდა და თავისი წინასწარი ესკიზების მიხედვით პლაფონის მოხატვა დაიწყო. მან დახატა უზარმაზარი ციკლი, რომელშიაც სამყაროს შექმნის ბიბლიური ლეგენდა მოგვითხრო. ადამი და ევა. შეცდენა. ცოდვილთა განდევნა სამოთხის წალკოტიდან. განკითხვის დღე. ჯოჯოხეთი. სალხინებელი. ცენტრში — ფიზიკური და სულიერი ძალით სავსე ახალგაზრდა ღმერთი. ღვთისმშობელი მარიამი. წმ. ბართლომე ბელვედერის ტორსით და სხ. და სხ.

კაპელას წინა კედელი მიქელანჯელოს რამდენიმე წლის მოგვიანებით მოუხატავს. ჭერსაც და წინა კედელსაც კაცი ადვილად შენიშნავს, რომ იგი მოქანდაკის მოხატულია: საგნებს სამი განზომილება აქვთ და სურათის სივრციდან თითქოს გარეთ გამოდიან.

სიქსტეს კაპელას სიმაღლე, სულ ცოტა,

ათი მეტრი მაინც იქნება. მარჯვენა მხარეს, იმ კედელში, რომელიც ქალაქს გაჰყურებს, რამდენიმე ფანჯარაა დატანებული. კვინკლოსის დროს, როცა აქ კარდინალებს შორის დიდი წინასწარი დებატები და აზრთა შეხლა-შემოხლა იმართება, საქმე საკმაოდ ჭიანურდება ხოლმე. დადგენილი წესის თანახმად აქედან გასვლის უფლება არავისა აქვს, ვიდრე კენჭს არ უყრიან და ტახტზე არ ავა რომის ახალი პაპი. როდესაც ურნას გახსნიან და არჩევნების შედეგს გამოაცხადებენ, ვატიკანის ირგვლივ შემოკრებილი მრავალათასიანი ბრბო, რომელმაც კარგად იცის, რაც შიგნით ხდება, დაინახავს კაპელის ერთ-ერთი ფანჯრიდან გამომავალ კვამლს, რაც იმის მომასწავებელია, რომ აზრთა შეხლა-შემოხლას ბოლო მოეღო და რომის ახალი პაპი უკვე არჩეულია. გიხაროდეს, საქრისტიანოვ!

## 15.

ვატიკანს, რომს და ალბათ, მთელ იტალიურ კულტურას აგვირგვინებს ხუროთმოძღვრული აზრის სასწაული — სან-პედრო, წმინდა პეტრეს ტაძარი, რომის პაპთა კათედრალი. წმ. პეტრე რომის პირველი პაპი იყო. წარმართული რომი, იმპერატორთა ძლევამოსილი საბრძანებელი, ამ დროს ცეცხლითა და მახვილით სდევნიდა ლატაკთა და უპოვართა რელიგიას — ქრისტიანობას. ქრისტიანობა ფარულად ვრცელდებოდა და ფეხს იკიდებდა მოსახლეობის უფრო და უფრო ფართო ფენებში. გაჩნდნენ მქადაგებლები, რომლებიც ახალი სარწმუნოების არსსა და მიმართულებას ხალხს უხსნიდნენ და თავიანთი პირადი ცხოვრების მაგალითით ქრისტეს მიმდევრობის ცხოველმყოფელობას ამტკიცებდნენ. ერთ-ერთი ამათგანი იყო წმინდა პეტრეც. იგი შეიპყრეს იმპერატორ ნერონის ცენტურიონებმა და ნერონს ყოველივე წვრილად აცნობეს. რომის ეკლესიის მიერ შემდეგ წმინდანად შერაცხული პეტრეს სიკვდილით დასჯა შესდგა იმ მოედანზე, სადაც ამჟამად წმ. პეტრეს კათედრალის სწორუპოვარი არქიტექტურული ანსამბლი აღმართულა. წინათ აქ ნერონის ტაძარი იდგა. პეტრე ჯვარს აცვეს, მაგრამ არა ისე, როგორც ქრისტე, არამედ თავით ძირს, მანამდე კი ბორკილებშეყრილი ჯურღმულში ყავდათ ჩაგდებული. ეს მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. 313 წელს გამოვიდა მილანის ედიქტი ქრისტიანობის შეწყნარების შესახებ, რომმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად სცნო და მისი პირველი რომაელი მოციქული პეტრე პირველ წმინდანად და პაპად აღიარა. იმპერატორმა კონსტანტინემ ნერონის ტაძარი დააქცევინა და აქ, ეკლის გვირგვინით შუბლშემკობილი პეტრეს საფლავზე, პეტრესავე სახელობის საყდარი ააგო. მეექვსე საუკუნეში ეს საყდარი შეაკეთეს და განაახლეს, ხოლო ათი საუკუნის შემდეგ რომაელებისათვის ამ წმინდა ადგილზე ახალი, მსოფლიოში უდიდესი ტაძრის აგება დაიწყო. მთავარი პროექტი დაამზადა ხუროთმოძღვარმა ბრამანტემ. ჰორიზონტალური ჭრილით ტაძრის სქემა ჯვრის მოყვანილობისა იყო. მიქელანჯელოს ეკუთვნის მთავარი გუმბათის თაღი, რომლის სიმაღლე ტაძრის იატაკიდან 153 მეტრია. ხუროთმოძღვარმა მადერნომ დააპროექტა ტაძრის დამატებითი ნაგებობები. ბაზილიკის სიგრძე 205 მეტრია, მისი თაღის სიმაღლე კი 82 მეტრს აღწევს. მარმარილოს იატაკში ჩასმულია ნიშანი, თუ სადამდე მოაღწევდა ვესტმინსტერის სააბატო, ვინმეს რომ აქ მოეტანა და ჩაედგა. მეორე ნიშანი მილანის მსოფლიოში უდიდესი ტაძრის ზომაზე მიუთითებს. თითოეულ ამ ტაძარზე წმ. პეტრეს კათედრალი თითქმის ორჯერ დიდი და ტევადია. მის შემდეგ მეორე ადგილზე გამოსვლას მისივე ალიკვალი ლონდონის წმ. პავლეს ტაძარი ბედავს. კათერალის გრანდიოზულობის წარმოსადგენად ამის გახსენებაც კმარა, რომ აქ დიდი საეკლესიო ცერემონიების დროს, რომელსაც პირადად პაპი ატარებს, 60 ათასი მლოცველი ეტევა. ამ დროს ტაძრისწინა მოედანი სავსეა ხალხით, ვინც შიგნით შემოსვლა ვერ მოახერხა, მაგრამ იმითაც კმაყოფილია, რომ მოედანს მოაღწია. ამ ბედნიერთა რიცხვი 250 ათას კაცს აჭარბებს.

ტაძრის პირველსავე მარჯვენა კაპელაში პოსტამენტზე დგას მიქელანჯელოს მიერ ახალგაზრდობაში შესრულებული „პიეტა". მთლად ახალგაზრდა, თითქმის ნორჩ მარიამს მუხლებზე ჯვრიდან ჩამოხსნილი მკვდარი შვილი უსვენია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქრისტეს ტანის მდგომარეობაში მისი სხეულის თითოეული ნაკვთის წონაც კი იგრძნობა.

სან-პედროში არ არის ფრესკები და ხატები. აქ ერთთა ადგილი ჩვეულებრივი მოკვდავის გონებისათვის სავსებით და უიმედოდ მიუწვდომელ მოზაიკებს, ჩვენებურად სოფიის კენჭს უკავია, ხოლო მეორესი სკულპტურულ ჯგუფებს. სკულპტურული ჯგუფების მოსათავსებლად და საამკაროზე გამოსატანად თავიდანვე გათვალისწინებული ყოფილა თვალსაჩინო ადგილები.

კათედრალი 120 წლის განმავლობაში შენდებოდა და მას მხატვართა და ხუროთმოძღვართა, მოქანდაკეთა და უბრალო ქვისმთლელთა, ხუროთა და სხვა ხელობის მფლობელთა რამდენიმე თაობა აშენებდა. ტაძრის ნიშებში ჩადგმული სკულპტურები და გორელიეფები წმინდა მოციქულთა და კონკრეტულ ისტორიულ პირთა — რომის პაპთა ცხოვრების ცალკეულ მონაკვეთებს გამოხატავენ. რამდენიმე

ქმნილება აღორძინების ხანის დიდ მოქანდაკეს, ბერნინის ეკუთვნის, სწორედ იმ ბერნინის, ვინც ნავონის მოედანზე ზღაპრული შადრევანი ააშენა და რომლის სახელსაც კიდევ გავიხსენებთ, როდესაც სიტყვა ვილა ბორგეზეს და რომის სხვა ღირსშესანიშნაობებზე ჩამოვარდება.

ზუსტად მიქელანჯელოსეული გუმბათის თაღის ქვეშ, საიდანაც ტაძრის ინტერიერს დღის ბუნებრივი სინათლე ანათებს, წმ. პეტრეს საფლავზე, ბრინჯაოს ოთხ გრეხილ სვეტზე დგას ბერნინის სასწაულმოქმედი ხელით გამოკვეთილი ბალდახინი-საკურთხეველი, რომელზედაც მღვდელმსახურება იმართება, ჯვრის მარჯვენა და მარცხენა ფრთებში ჩამაგრებულია ორი ორღანო, განუყრელი შემადგენელი ნაწილი კათოლიკური ეკლესიის ინტერიერისა.

საგანგებოდ უნდა შეჩერდე ბიბლიურ სიუჟეტებზე, რომლებიც კედლებზე ყოვლად განმაცვიფრებელი მოზაიკით შეუსრულებიათ. საჭიროა მაგიური წერტილის მონახვა, საიდანაც შეიძლება ადამიანის შეუიარაღებელმა თვალმა შეამჩნიოს, რომ თქვენს წინაშე მართლა მოზაიკაა და არა ღვთაებრივი ნიჭით გახსივოსნებული ფერწერა.

მაგრამ წმ. პეტრეს ტაძარი მარტო ბაზილიკა ხომ არ არის, რის გარეშემო ზემოთ ვლაპარაკობდით, იგი მთელი არქიტექტურული ანსამბლია. ტაძრის განუყრელ დეტალს წარმოადგენს ყოველის მხრიდან ამაღლებული გრანიტის კიბეები, რომლებიც მთავარ შენობას პოსტამენტს უქმნიან, და კოლონების ორი კონცენტრირებული წყება. ნახევარრკალის მოყვანილობისა, რომლებიც სათავეს ტაძრის ფასადის გაგრძელებაზე იღებენ და შემდეგ ორი მხრიდან უვლიან გარს, თითქოს გულში იხუტებენ სან-პედროს უზარმაზარ მოედანს. მოედნის ცენტრში, ტრადიციულად, ეგვიპტური ობელისკი დგას. ის ამ ორი ათასი წლის წინათ ჩამოუტანიათ ეგვიპტიდან და რაღაც მანქანებით აქ დაუდგამთ.

ის იყო ტაძრიდან გამოვედით, მისი მრავალსაფეხურიანი კიბეები და მთელი სან-პედროს მოედანი ხალხით გაჭედილი დაგვიხვდა.

რა ხდებოდა?

ტაძრის მარჯვენა მხარეს, კოლონადის პოსტამენტთან, რომლის ძირში ვატიკანის სადარბაზო შესასვლელია და აქეთ და იქით შუბებით შეიარაღებული პაპის მცველები, შვეიცარიელები დგანან, საპარადოდ გამოწყობილი მოტოციკლისტი პოლიციელები ჩამწკრივებულიყვნენ და ხალხთან ერთად რაღაცას ელოდნენ. ბუნებრივია, ცნობისმოყვარეობამ წაგვძლია და სტუმრებიც ხალხს შევერიეთ. ყველა უკეთესი ადგილის შერჩევას ცდილობდა ვატიკანის კარიბჭის საცქერლად და სიხარულით აღსავსე მოუთმენლობას ვერ მალავდა.

კარიბჭესთან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი შუახნის მამაკაცები იდგნენ, ალბათ, ვატიკანის მოხელეები და გუშაგებს რაღაც მითითებებს აძლევდნენ. მითითებებს აძლევდნენ, თან შიგნით, ვატიკანის გალავნისაკენ იყურებოდნენ და წამდაუწუმ საათს დასცქეროდნენ. ჩემდა უნებლიეთ საათს მეც დავხედე. სწორედ ამ დროს მოისმა დიდი საათის დინჯი რეკვა კარიბჭის კოშკზე. სამი შესრულებულიყო. ასობით ფოტო და კინოობიექტივი დადარაჯებული უყურებდა ვატიკანის კარიბჭეს. ეჭვი არ იყო, რაღაც ღირსშესანიშნავ შემთხვევას ვესწრებოდით, რომელიც ქალაქს წინასწარ მოლებოდა და მთელს რომს აქეთ ექნა პირი. ელოდნენ პაპის — პავლე მეექვსის გამობრძანებას, რაც ასე საჯაროდ აქ ძალზე იშვიათად ხდება და მხოლოდ შემთხვევის წყალობით შეიძლება დაესწრო.

კოლონადის ქვეშ, გვერდითი კარიდან შვიდი შუბოსნისაგან შემდგარი შვეიცარელთა რაზმი გამოვიდა. რაზმმა მწყობრი ნაბიჯით გამოიარა რამდენიმე მეტრი და კარის მარჯვნივ გამწკრივდა. ღია კარიბჭიდან დროდადრო გამოდიოდნენ ხოლმე მსუბუქი ავტომანქანები და დიდი სიჩქარით ქალაქისაკენ იღებდნენ გეზს. ზოგ მათგანში შავებით შემოსილი შავშლაპიანი მაღალი წოდების სასულიერო პირები ისხდნენ. ლოდინში ერთმა საათმა ისე გაიარა, ვერც კი შევნიშნეთ. პაპის ხილვის აკვიატებულ სურვილს რომის ნახვის ძვირფასი წუთები ეწირებოდა. ბოლოს რაღაც ფიცხელი ცნობა მიიღეს მოტოციკლეტებზე დამაგრებულმა მაღალანტენიანმა რაციებმა. ყველა მოტოციკლი ერთბაშად აჭახჭახდა. პაპის საპატიო ესკორტმა თავ-თავისი ადგილი დაიკავა. შუბოსანმა შვეიცარელებმა შუბები უცებ წინ გადაჰხარეს და ელვისებური მოძრაობით ცალ მუხლზე დაიჩოქეს დაიჩოქა ხალხის წინა რიგებმაც. ყველა პირჯვარს იწერდა. სწორედ ამ დროს პაპის ამალის პირველი ლიმუზინი კარიბჭეს გამოსცდა და დაწინაურებულ მოტოციკლისტთა კვალში ჩადგა. პაპი პავლე მეექვსე მეორე მანქანაში იჯდა. თავზე ოქრომკედით შემკობილი ბროწეულისყვავილისფერი ჩაჩი ეხურა და სუსტ მხრებზე ასეთივე ფერის თვალისმომჭრელი მანტია ჰქონდა წამოსხმული. გამოიჭრა თუ არა მანქანა ვატიკანიდან, პაპმა წირვა-ლოცვაში გაწაფული მარჯვენა ხელი ზეაღმართა. დახურულ შავ ლიმუზინს, თითქოს მართლა სასწაული მოხდაო, თავი უმალ გადაეხადა. სუფთად წვერგაპარსული ტანმორჩილი ბერიკაცი, რომის პაპი, მკვირცხლად წამოდგა და ზღვა ხალხს ჯვარი გადასახა. მანქანები სწრაფად მიჰქროდნენ წინ, პაპი კვლავ ფეხზე იდგა და აქეთ და იქით ლოცვა-კურთხევას არიგებდა. თვალი გავადევნე. შორს, სადამდეც

კი მზერა სწვდებოდა, ქალაქის ცენტრის მიმართულებით, ქუჩები და მოედნები ხალხით იყო გაჭედილი. სად მიდიოდა დღეს მსოფლიო კათოლიკური ეკლესიის მამამთავარი? 1 ნოემბერი იყო, მიცვალებულთა მოხსენიების დღე. პაპს რომის მახლობელ რომელიღაც დიდ ტაძარში ელოდნენ, სადაც წირვა უნდა გადაეხადა.

## 16.

რომის ძველი კედელი, 17 კილომეტრი სიგრძისა კიდევ რომ შემორჩენილა, უკან რჩება. აქ კიდევ ერთი ტრიუმფალური თაღია. ყოველი კონსული თუ იმპერატორი, რომში რომ ტრიუმფით შემოვიდოდა. ამ დღის აღსანიშნავად თავისი სახელობის თაღს აგებინებდა. ლუკულუსი, პომპეუსი, ანტონიუსი, კეისარი... უფრო ადრე განვვლეთ სახალხო მოედანი, რომლის მაღალ მხარეზე ასავალი კიბით კაცი თავს ნაპოლეონ ბონაპარტეს მოედანზე ამოჰყოფ.

კარდინალმა ბორგეზემ, რომლის ძმას ცოლად ჰყავდა ნაპოლეონ ბონაპარტეს ღვიძლი და პაოლინა, ეს თავისი დიდებული ვილა ქალაქგარეთა აგარაკზე ააშენა და იგი, როგორც კი მშენებლობა მთლიანად დამთავრდა, ხელოვნების, კერძოდ, ქანდაკებისა და ფერწერის შედევრებით აავსო.

ერთ-ერთ პირველ დარბაზში ცენტრალური ადგილი უჭირავს ბორგეზეს კარის მოქანდაკის მიერ შესრულებულ „პაოლინა ბონაპარტეს“. ამ სახლის მშვენიერი დიასახლისი, კარდინალის რძალი, მოქანდაკეს თითქმის მთლიანად დედიშობილა გამოუსახავს რძის ქაფივით მოქათქათე მარმარილოში. თეძოებს ზემოთ მთლად შიშველი ამაყი რომაელი ქალი, რომელიც მშვენიერი ნიდაყვის ქვეშ ამოდებულ ბალიშს დაჰყრდნობია და რბილ ლეიბზე თითქმის წამომჯდარა, თავის მარადიულ ფიქრში წასული წინ იყურება და ირგვლივ ქალურ კდემამოსილებას, გრაციას, მანერების დახვეწილობას და სხეულის სინატიფეს ასხივებს. ქვედაწელსა და მუხლებზე პაოლინას გამჭვირვალე მარმაში აქვს გადაფარებული, რომლის ნაკეცებშიაც მისი ქალური მიმზიდველობა გამოკრთის, რასაც ერთიორად აძლიერებს წინ გამოწვდილი მარჯვენა და ზედ მსუბუქად შემოდებული ოდნავ მოხრილი მარცხენა ფეხი. გიპყრობს არამცთუ მთელი ფიგურა ამ ღვთაებრივი მდედრისა, თვით ლეიბისა და ერთიმეორეში ჩაჭმუჭნული ორი ბალიშის ყოველი ნაკეციც კი განცვიფრებს შესრულების ვირტუოზულობით და მაღალ პოეტურ გზნებასთან შერწყმული მკაცრი ლოგიკური აზროვნებით.

ბორგეზეს ვილაში ყველაზე უხვად არის წარმოდგენილი თავისი ზეგარდმო ნიჭითა და უდიდესი შრომისმოყვარეობით ლეგენდად ქცეული ლორენცო ბერნინი. შეიძლება გადაუჭარბებლივ ითქვას, რომ ბერნინის გარეშე რომი წარმოუდგენელია. იგი ბატონობს რომში, ყველგან, შინ და გარეთ. შესრულების ტექნიკითა და შთაგონების სიღრმით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ბერნინის სამი ქმნილება, რომლებიც ბორგეზეს ვილაშია გამოფენილი. ერთი მათგანია „ენეა“. ახალგაზრდა ვაჟს ხელში აყვანილი მიჰყავს მოხუცებულობისა და ადამიანთა ძალმომრეობისაგან დაუძლურებული მშობელი მამა. შვილი მამის უკანასკნელი იმედი და დასაყრდენია. ამბობენ, რომ შვილის სახის შექმნისას ბერნინიმ თავისი ავტოპორტრეტი იგულისხმა. ვინ იცის, რა იმალება აქ, რა ცხოვრება განვლო დიდმა ხელოვანმა, ვიდრე საყოველთაო აღიარებას მიიღებდა.

საოცრად ექსპრესიული და დრამატიზმით აღსავსეა „მეტამორფოზა“ ანუ „აპოლონი და დაფნა“. სიყვარულისაგან გაშმაგებული აპოლონი ქურციკივით დამფრთხალ დაფნას დასწევია, გულში ჩაუკრავს და ორი სხეულის ერთად ქცევა უკვე გარდაუვალია. დაფნამ წინააღმდეგობის უნარი დაჰკარგა. არამცთუ აპოლონისა, მას თავისი თავისაც კი ეშინია. ამ წუთს ქალს ღვთისადმი ვედრება აღმოხდა დაფნად მაქციეო. და მოხდა სასწაულებრივი მეტამორფოზა: ვნებით ანთებული ქალი დაფნად გადაიქცა.

არანაკლებ წარმტაცია იგივე ბერნინის „პროზერპინას მოტაცება“. ნეპტუნის კუნთების ძალა იგრძნობა მის თითებში, რომლებიც ღრმად ჩასჭიდობიან მხარზე შესმული შიშველი ქალის დამაბრმავებლად თეთრ, მკვრივ სხეულს.

ბერნინის მეოთხე ქმნილება „დავითი“ ადრე გამოქანდაკებულ ყველა სხვა დავითისაგან იმითაც განსხვავდება, რომ ბაროკოს სტილის მიმდევარმა ხელოვანმა ქანდაკებაში ზურგი შეაქცია კლასიკურ სტატიურობას და პერსონაჟის მოქმედებაში წარმოსახვა დაამკვიდრა.

შორს წაგვიყვანდა ყველა ქმნილების ჩამოთვლა და აღწერა, რომელთა ნახვა კარდინალ ბორგეზეს ვილაში შეიძლება. ამბობენ, რომ გასული საუკუნის სამოციან წლებში ბორგეზეს შთამომავლებმა ვილა შედევრებითა და პარკითურთ იტალიის მეფეს მიჰყიდეს, მეფემ კი, თავის მხრივ, იგი მუზეუმად გამოაცხადა და უსასყიდლოდ რომის მუნიციპალიტეტს უბოძა.

იმავე დღეს გვხვდა წილად ბედნიერება და პატარა ბორცვზე, ვიქტორ-ემანუილის მემორიალისა და კაპიტოლიუმის უკან, კოლიზეუმის გასწვრივ, მეექვსე საუკუნის ქვის ტაძარში, რომლის სახელია სან-პედრო ინ ვინ-

კოლი — წმიდა პეტრე ჯაჭვებში, ვნახეთ ის ჯაჭვებიც, იმპერატორ ნერონის საპყრობილეში მყოფ პეტრეს ხელ-ფეხზე რომ ედო ჯვარზე გაკვრის წინ, და მსოფლიო ქანდაკების უპირველესი სასწაული მიქელანჯელოს „მოსეც". „მოსე" სასწაულია, ადამიანმა, ბუნების შვილმა და მისი არსის გამომხატველმა, შესძლო თავისი ხელით და განგების საიდუმლოებაში ჯადოსნური წვდომით თავისი მსგავსი ადამიანი შეექმნა. მას ისღა დარჩა, რომ ქმნილებისათვის თავისი ღვთაებრივი სული შთაებერა. დიახ, მიქელანჯელოს ესღა დარჩა. მაგრამ ის მაინც კაცი იყო და ღმერთის მაგივრობას ვერ იქმოდა. მოსეს მარჯვენა მუხლს ნაჭდევი ეტყობა, თითქოს რაღაც მაგარი და ბრტყელპირიანი მოხვედროდეს. გადმოცემა გვეუბნება, რომ ექსტაზში შესულმა მიქელანჯელომ, როდესაც „მოსე" დაამთავრა, ქანდაკებას მბრძანებლურად მიმართა, ხმა გამეციო და როცა პასუხი ვერ მიიღო, გამწარებულმა ჩაქუჩი მოუქნია.

თუ ამ ლეგენდას სარწმუნოდ მივიჩნევთ, საფუძველი კი არ გაგვაჩნია მას არ ვერწმუნოთ, ნაჭდევი მიქელანჯელოს მიერ მოქნეული ჩაქუჩის კვალი უნდა იყოს.

„მოსე" რომის ერთ-ერთი პაპის საფლავზე დგას სან-პედრო ინ ვინკოლის კედელთან. თვალის ჩინივით უვლიან. თვით ელექტროგანათების რეჟიმიც კი საკუთარი აქვს. სინათლეს აქ დროგამოშვებით ანთებენ. უთუოდ ქმნილებას ვნებს ზედმეტი და მუდმივი განათება. საგულისხმოა, რომ მომავალი სკულპტურის შესაფერი მარმარილოს მონოლითის მოსაპოვებლად მიქელანჯელო თვით წავიდა ქვის სამტეხლოში და თავისი ჩანაფიქრისათვის გამოსადეგ ქვას დიდხანს ეძებდა. თუ მოსეს ხელებს, მის დაბერილ ვენებს დაუკვირდები, იგრძნობ, როგორ მოჩუხჩუხებს სისხლი ძარღვებში, როგორ მოსდებია იგი კაპილარებს და როგორ გამოსცემს შიგნიდან სიცოცხლის მაუწყებელ რაღაც მოვარდისფრო შუქს...

„მოსეს", ანტიკური რომის ძველი ცენტრის, კოლიზეუმის, ვენეციის მოედანზე აღმართული უკვე ნაცნობი პალაცოების, რესპუბლიკის მოედანზე ფახადით გამოსული დიოკლეტიანეს გრანდიოზული აბანოების, სადაც თავის დროზე დიდი სახელმწიფო საქმეები წყდებოდა, ესპანეთის მოედნის, ვატიკანის კედლის, ეზოს, წმ. პეტრეს ტაძრის გარეშემო კიდევ ერთი შემოვლის შემდეგ რომში ჩვენი სტუმრობა დამთავრდა. გვიან ღამით თავდაღმა, ზღვისპირისაკენ დავეშვით და ათ საათზე უკვე ჩივიტავეკიაში ვიყავით. ლოყებპუნტულა, მთლად ახალგაზრდა მაკაგონი, გემის კაპიტანი, ბაქანზე, ტრაპთან დაგვხვდა და დიდი ხნის მონატრებული კეთილი ნათესავივით მოგვეგება.

ერთი საათის შემდეგ თოკები ახსნეს კნეხტებს, „ესტონიამ" ფრთხილად აუარა გვერდი იმ საღამოს ნეაპოლიდან მოსულ უზარმაზარ სამგზავრო-სატვირთო თბომავალ „ბოკაჩოს" და კვლავ ღია ზღვაში გავიდა. გული აქ დარჩა. სწორედ არ გვეთმობოდა საკაცობრიო კულტურის ამოულეველი კიდობანი იტალია, რომელსაც ასე ცოტა ხნით ვესტუმრეთ და რომელშიაც ასე ცოტა რამ და ისიც ასე ნაჩქარევად ვნახეთ.

ტირენის ზღვა, აპენინის ჩექმისებურ ნახევარკუნძულს დასავლეთიდან რომ ესაღზვრება, კვლავ წყნარი იყო. მშვიდობიანად მოგზაურობას ხელს არაფერი უშლიდა.

ჩივიტავეკიადან გასვლის მეორე დღეს საღამოს, გემის მარჯვნივ, ცისკიდურზე რაღაც შავი ძაბრი გამოიკვეთა. ვუახლოვდებოდით ერთ პატარა კუნძულს, რომლის წოწოლა ცენტრსაც დღემდე მოქმედი ვულკანი წარმოადგენს. კუნძული დასახლებულია. მოსახლეობა უპირატესად ზღვისპირებს ეტანება, რათა ცეცხლისმფრქვეველ ვულკანისაგან რაც შეიძლება თავი შორს დაიჭიროს, მაგრამ ყოველი ამოფრქვევის დროს საქმე მაინც მსხვერპლითა და დიდი ზარალით მთავრდება. მოსახლეობას აზრად არ მოსდის აქედან სამუდამოდ აყრა და სადმე სხვაგან გადასახლება. კუნძული, არა დედა, არამედ დედინაცვალი, ავია თუ კარგი, მათი სამშობლოა და სხვაგან და სხვაგვარი ცხოვრება, სადაც ვულკანისა და წარღვნის შიში არ იქნება, ვერც წარმოუდგენიათ!

უკვე გვარიანად დაღამებული იყო, როცა გემის რადიოკვანძში გამოაცხადეს. მარჯვენა ბორტიდან რომ ხმელეთი გამოჩნდება, კუნძული სიცილია არისო, რამდენიმე საათის შემდეგ ტირენის ზღვას დავტოვებთ, მესინის სრუტეს გავივლით და იონიის ზღვაში გავალთო. ამინდი კვლავ მშვენიერი იყო, სამხრეთის მაღალი ცა მოწმენდილი და ვარსკვლავებით მოჭედილი. გემბანი ხალხით აივსო. სიცილიის ნაპირი ჯერ ბუნდოვნად გამოიკვეთა, მერე წინ გემის გზის მაჩვენებელი შუქურებისა და რომელიღაც სანაპირო ქალაქის ნათურების პუნქტირი გაიბა. ეს ყოველივე ზღვაში ჩანდა და ზღვაშივე ირეკლებოდა. ზუსტად ამავე დროს გემის მარცხენა მხარესაც ამოვიდნენ ზღვიდან ვარსკვლავებიანი ღამის ბინდბუნდში გახვეული ლურჯი მთები და ელექტრონის შუქით გაკაშკაშებული სანაპირო ზოლი.

გემი სრული სიჩქარით განაგრძობდა სვლას და ორივე ნაპირს, მარცხნივ იტალიის ჩექმის წვერს, მარჯვნივ კი კუნძულ სიცილიის წინ წამოწვდილ კონცხს ერთად უახლოვდებოდა. მარჯვნივ ნათურების პუნქტირი დიდი ქალაქის რეკლამად იქცა და სულ ახლოს მოვიდა. ეს გახლდათ ნავსადგური მესინა, სიცილიის სა-

ზღვაო ჭიშკარი, საიდანაც გემები იტალიის კონტინენტურ ნავსადგურებს უკავშირდებიან. ერთ ადგილას მესინის სრუტე ისე ვიწროა, გგონია, დაიძახებ და, ვისაც გინდა, ორივე ნაპირზე გააგონებ. იტალიის ნაპირის გასწვრივ ფანჯრებგაჩახჩახებული მატარებელი მიჰქროდა, ქალაქი თუ დაბა გაიარა, ღრმა ხევზე გადებული თეთრი ხიდიც გადასჭრა და მარჯვნივ, ფრიალო კლდეებს შუა, ულრან ტყეში შეუხვია.

**1943** წლის 3 სექტემბერს სწორედ აქ, მესინის სრუტეში, განხორციელდა გენერალ მონტგომერის არმიის გადასხმა კუნძულ სიცილიიდან იტალიის ჩექმის წვერზე — კალაბრიაში. მაგრამ სანამ ეს ოპერაცია დაიწყებოდა, კუნძულის ჩრდილოეთ სანაპიროზე თავი მოუყარეს დიდძალ არტილერიას, რომელიც წინასწარ შეუდგა მტრის ციხე-სიმაგრეთა დამუშავებას სრუტის გაღმა ნაპირის გასწვრივ. საარტილერიო მომზადებაში მონაწილეობას იღებდნენ ნავსადგურ მესინას რეიდზე მდგომი სამხედრო გემებიც. ამ დროს იტალიის დროებით დიქტატორს ბადოლიოს ხელი უკვე მოწერილი ჰქონდა საიდუმლო აქტზე კაპიტულაციის შესახებ და, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა ჯერ არაფერი იცოდნენ, იტალიაში უკვე მოუთმენლად მოელოდნენ მოკავშირეების გამოჩენას. არტილერიამ, საჰაერო დაბომბვის შემდეგ, მთელი სანაპირო გადათხარა. ქვა ქვაზე აღარ დაუტოვებიათ. მხოლოდ მოგვიანებით შეიტყვეს, რომ იქ, სადაც მოკავშირეთა ავიაბომბები და საარტილერიო ჭურვები ეცემოდა, ადამიანის, მით უფრო ჯარისკაცის ხსენება არ იყო. გერმანელთა ორად ორი ბატალიონი ნაპირიდან 10 მილის მოშორებით იდგა და ქვეყნის შუაგულისაკენ მიმავალ გზას დარაჯობდა. ინგლისელი სამხედრო ისტორიკოსი ლიდელ ჰარტი სარკასტულად შენიშნავს, რომ იმდენი დენთი და ლითონი, კალაბრიის კლდე-ღრეებში აფეთქებული ჭურვებისა და ბომბების დამზადებას რომ დასჭირდა, სულ ტყუილად დაიხარჯა. ოპერაციის პირველ დღეს მოკავშირეთა დივიზიებს ტყვედ ჩაუვარდა სამი დეზერტირი გერმანელი ჯარისკაცი და სამი ათასი იტალიელი. ამ ამბავმა რომ ბერლინს მიაღწია, უკვე გვიანი იყო: კანადისა და ინგლისის მოტო-მექანიზებული ნაწილები ერთი მხრივ ნეაპოლის კედლებს, ხოლო მეორე მხრივ ღია ქალაქად გამოცხადებულ რომს უახლოვდებოდნენ...

ნაშუაღამევს, სანაპიროს სინათლეები და სრუტე უკან დარჩა და გემი ხელახლა გავიდა ღია ზღვაში. ეს უკვე იონიის ზღვა იყო. ამინდი გაფუჭდა. რაც უფრო ღრმად შევდიოდით ზღვაში, ღელვა თანდათან მატულობდა და მალე ექვს-შვიდ ბალსაც მიაღწია. ისევ შეთხელდა ხალხი გემბანზე, თუმცა ბევრი ზღვის ღელვას უკვე შეეჩვია და აქ სხვებთან ერთად სხვადასხვა გასართობ თამაშობაში იღებდა მონაწილეობას.

### 17.

მეორე დღეს ცა ისევ ჩამოქუფრული იყო. დალამებისას ადგილობრივმა რადიოკვანძმა ცნობები მოგვაწოდა საბერძნეთის და, კერძოდ, პელოპონესის შესახებ. რომელსაც უკვე ვუახლოვდებოდით. ბავშობაში ნანახი სიზმარივით ამოვიდა მეხსიერების წიაღიდან სპარტა, პელოპონესის ომი, ქსერქსეს სპარსეთის, ოსმალ-სელჩუკთა შემოსევა. ვინ არ მოვიდა აქ, ვინ არ სცადა ამ საკვირველ ქვეყანას დაუფლებოდა, ვინ არ გაძარცვა, ვინ არ მიითვისა და გაზიდა მისი საკაცობრიო სიმდიდრენი, მაგრამ დიდი საბერძნეთი მაინც საბერძნეთად დარჩა, მან მაინც დაიცვა თავისი ალალი შრომითა და მაღალი ნიჭიერებით მოპოვებული ადგილი კაცობრიობის ავანგარდში.

დილით, როგორც იქნა, ღელვამ იკლო და გემზე ნორმალური ცხოვრება აღდგა. სრუტეში შევდიოდით. ეს იყო დარდანელი, რომლის დასაუფლებლად ათას წელზე მეტ ხანს იბრძოლეს აღმოსავლეთის დიდმა მონარქებმა, რათა შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში, ხოლო აქედან კი მსოფლიო ოკეანეში თავისუფალი გასასვლელი ჰქონოდათ.

დარდანელი ძალიან ვიწროა. არის ადგილები, სადაც სრუტის სიგანე კილომეტრსაც არ აღემატება და მზიან ამინდში ორივე ნაპირი ისე ცხადად მოჩანს, თითქოს ზედ მიაბიჯებდე. სწორედ ნანატრი ამინდი იდგა, მზიანი, თბილი და უქარო. უკეთეს დროს ვერც კი ინატრებდი აქაურობის თვალის შესავლებად.

ყველაფერზე ადრე გამოჩნდა მწვანე კონცხი, რომელიც ზღვაში ღრმად იჭრებოდა და ზედ ნაპირზევე აღმართული სამი მაღალი კოშკით იქცევდა თქვენს ყურადღებას. ეგეოსის ზღვაში შემოჭრილი ეს კონცხი გემის მსვლელობის მარცხენა მხარეს იყო და თურქეთის ევროპულ ნაწილს ეკუთვნოდა. სულ მალე მოახლოვდა დარდანელის მოპირდაპირე — მცირე აზიის ნაპირიც, მწვანე, მთაგორიანი და მეჩხერად დასახლებული.

აი, დარდანელის ყელიც! მცირე აზიის ნაპირზე თვალს გადაეშალა უდაბური ველი, რომელიც არქეოლოგიის ფანატიკოსმა შლიმანმა გათხარა და აქამდე ლეგენდარული ტროა იპოვნა. მაგრამ იპოვნა მიწის მრავალი ფენის ქვეშ, საუკუნეების მტვერითა და ღორღით დაფარული. აი, აქ, ამ ვიწრო სრუტეში შემოაცურეს თავიანთი გალერები შეურაცხყოფილმა ბერძნებმა, რათა თავიანთ შემარცხვენელ ტროელებისათვის შური მიეგოთ.

ისტორიის მამა ჰეროდოტე ბერძნებს ამტყუნებს იმ დიდსა და სისხლისმღვრელ ომში. ხუ-

მრობს კიდევაც: ყველაზე ჭკვიანები ქვეყნად სპარსელები არიან, რომლებიც ქალის მოტაცებას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, ვინაიდან კარგად ესმით ძველი სიბრძნე — ქალებს ვერავინ მოიტაცებს, თუ თვით მათ ეს არა სწადიათო.

სამი ათას სამასი წლის წინათ მომხდარმა ამბავმა, პარისის მიერ მშვენიერი ელენეს მოტაცებამ, კაცობრიობის მთელი ისტორია შესძრა და მომდევნო თაობებს ტიტანების ლეგენდარულ შეხლად წარმოგვიდგა. აქ, ამ სრუტეში და მიწის ამ პატარა ნაჭერზე, დღეს დაბალ ბუჩქნარს და გვალვაში გარუჯულ ბალახს რომ დაუფარავს, დატრიალდა ის უდიდესი ომი, საფუძვლად რომ დაედო ჰომეროსის ილიადასა და ოდისეას!

მარცხენა ნაპირის იმ სამი კოშკიდან ერთი შუქურა აღმოჩნდა, მეორე — მინარეთი, მესამე კი პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ თურქ მეომართა უკვდავყოფისათვის აღმართული ობელისკი. მსოფლიო ომის დაწყების მესამე, 1916 წელს, აქ, დარდანელის სრუტეში, დიდი საზღვაო და სახმელეთო ბრძოლა გაიმართა. ანტანტის, კერძოდ, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ფლოტი, რომელიც რამდენიმე ათეული ხომალდისაგან შედგებოდა, ეგეოსის ზღვაში შემოვიდა და დარდანელის ვიწრო და ძნელად გასავლელი გზით, რომლის ყოველი მეტრი თურქებს გამაგრებული ჰქონდათ, ისტამბულად ქცეულ კონსტანტინოპოლისაკენ გაემართა. თურქები სანაპირო ბატარეიების და მტრის შესახვედრად სრუტეში გამოყვანილი თავისი ფლოტის გრიგალისებური ცეცხლით შეხვდნენ მოკავშირეებს და არამცთუ სანუკვარი კონსტანტინოპოლისაკენ არ გაუშვეს, დარდანელის სრუტე მათი ხომალდების სასაფლაოდ აქციეს. სრუტის ორივე ნაპირზე კაცი დღესაც დაინახავ მაშინდელ ფორტებს, სადაც თურქებს ინგლისელთა და ფრანგთა გამანადგურებელი ზარბაზნები ეყენათ. აქვე დგას პატარ-პატარა ობელისკები, იმ გაუგონარი ხოცვა-ჟლეტის ამბებს რომ მოგვითხრობენ და იმასაც მიგვანიშნებენ, სად რომელი ხომალდი ჩაიძირა. სრუტეში გიჩვენებენ ადგილს, სადაც აზიის ლაშქრობაში მიმავალმა ალექსანდრე მაკედონელმა თავისი ფრეგატები ერთმანეთის გვერდით დააყენა, რაღაც ხიდისმაგვარი შექმნა და თავისი ძლევამოსილი მხედრობა ევროპის ნაპირიდან მცირე აზიის ნაპირზე გადაიყვანა.

ვიდრე „ესტონია“ ბოსფორის ორივე ნაპირზე გაშლილ, მთაგორებზე შეფენილ, მრგვალმრგვალი დიდრონი გუმბათებით და მიწაზე კუდით დარჭობილი ისრებივით ტანწერწეტა მინარეთებით ცამდე ამაღლებულ სტამბულს მიაღწევდა, უკან დარჩა დარდანელის აქეთა და იქითა ნაპირზე რიგესავით განრთხმული პირველი თურქული ციხე-ქალაქები, დღესაც რომ იცავენ ქვეყნის საზღვაო ჭიშკარს ყოველგვარი შემთხვევითობისაგან, უკან დარჩა აგრეთვე მარმარილოს ზღვა და დილაადრიან ჰორიზონტზე ძველი ბიზანტიის ოსტატთა ხელით აგებული დიდებული გუმბათებიც გამოჩნდა.

კონსტანტინოპოლის, აღმოსავლეთ რომის იმპერიის ყოფილი დედაქალაქის და ოდესღაც მართლმადიდებლური ეკლესიის ბურჯის, ახლა კი თურქული ნახევარმთვარის მადიდებელი სტამბულის, იმათებურად ისტამბულის, ცნობა ძნელი არ იყო. საქართველოსათვის ყველა ქალაქთა შორის ყველაზე უფრო მტრულ ქალაქს, რა უცნაურობადაც არ უნდა მოეჩვენოს კაცს ამის განცხადება, რაღაც ახლობლური, თითქმის მშობლიური იერი დაჰკრავდა. რამდენი ცრემლი დაგვიღვრია აქ, რამდენი სამარე ამოგვივსია ჩვენი სხეულით!

გემბანზე ვიდექი და ვცდილობდი, აია-სოფიას ნაცნობი კონტურები გამომეცნო, აია-სოფიასი, რომლის ხატი უთუოდ თვალწინ უნდა სდგომოდა რომის წმიდა პეტრეს ტაძრის ხუროთმოძღვრებს, როდესაც თავიანთი პირველი პაპის საფლავზე მსოფლიოს უდიდესი ტაძრის აშენება განიზრახეს.

და აი, დავინახე კიდეც! აია-სოფია მწვანე სერზე იდგა, ნემსივით წვრილი და წაწვეტებული თავით ღრუბლებში ატყორცნილი ექვსი მინარეთითურთ. კინოაპარატი მოვიმარჯვე და ხარბად გადავიღე, კიდევ და კიდევ გადავიღე. ამ მოქმედებაში თითქოს იყო რაღაც ისეთი, როთაც მტრისაგან შეგინებული და უსინდისოდ მისაკუთრებული მაღალი ხელოვნების ქმნილება კვლავ თავისი პატრონის საკუთრება ხდებოდა. მაგრამ სადღაა „მისი ძველი პატრონი“! ის ხომ ამ ექვსიოდე საუკუნის წინათ ჩაინთქა ისტორიის უფსკრულში, სადაც ჩავარდნილი ბევრი გვინახავს, ზემოთ ამოსული და მკვრდეთით აღმდგარი კი აღარავინ.

მალე იმავე სერზე, ერთიმეორეზე გადაბმულ წითელ, ყვითელ და ნაცრისფერ სახურავებს შორის, ზუსტად ისეთივე ტაძარი თუ მეჩეთი გამოჩნდა. ეს მეორე ტაძარი თუ მეჩეთი სიდიდით პირველს არ ჩამოუვარდებოდა, ოღონდ ექვსის მაგიერ ამას ოთხი მინარეთი ამოსდგომოდა მცველად, თუ პირსისხლიან დარაჯად, ღმერთი არ გაუწყრეს, აქედან ფეხის მოცვლა არ გაბედოსო.

რომელი იყო ამათ შორის აია-სოფია და რომელი კიდევ ცისფერი მეჩეთი, რომელიც აია-სოფიის წაბაძვით ბიზანტიის დაცემის შემდეგ თვით თურქებმა ააშენეს და თავიანთი ღვთისმსახურებაც ამიერიდან იქ გადაიტანეს?

სულ მალე გამოირკვა, რომ არც სახელგანთქმული აია-სოფია და არც ამაზე არანაკლებ სახელგანთქმული ცისფერი მეჩეთი, რომელიც გარეგნული მონახაზებით პირველის ასლია და

ათასი წლით უმცროსიც თავის წინამორბედზე, არც ერთი ამათგანი არ იყო. აია-სოფიას პროფილი, როგორც საქმეში ჩახედულმა პირებმა გვაცნობეს, თურქებს თავიანთი საკულტო ნაგებობების უნივერსალურ შაბლონად მიუღიათ და ყველა დიდი და მცირე მეჩეთი მის მიხედვით უშენებიათ. აია-სოფიაც და ცისფერი მეჩეთიც მოგვიანებით ვნახეთ, როცა სტამბულის ახალი საცხოვრებელი რაიონების და ბოსფორის სრუტეზე გადებული უზარმაზარი რკინა-ბეტონის დაკიდებული ხიდის დათვალიერების შემდეგ ოქროს რქის ყურეში ალმართს შევუდექით და ქალაქის ძველ, ტრადიციულ ნაწილში შევედით. მანამდე აქ ბევრი რამ დაგვხვდა სანახავი. ფართო ნავსადგურში უამრავი დიდი და მცირე გემი დგას. გემმისადგომი და ქალაქი უცხოელი ტურისტებით არის სავსე. სრუტეში, მის მთელ სიგრძეზე, სადამდეც კი თვალი სწვდება, გემები, იახტები, სეინერები, ბუქსირები და საზღვაო ავტობუსები ზიმზიმებენ. ზოგი სიგანეზე ჰკვეთს წყალს, ზოგი ესაა შემოდის ნაპირთან მოსადგომად, ზოგს კი ლუზა აუშვია და სიჩქარეს იკრებს თავის შორეულ გზაზე გასასვლელად. ყოველივე ამას ზემოდან დაჰყურებს რკინა-ბეტონისაგან აგებული საკვირველება, რომელიც სრუტეს თავზე გადაუვლის და სტამბულის ორივე, ევროპულ და აზიურ, ნაწილს, ერთმანეთთან აერთებს.

ამბობენ, სტამბულის საკონტინენტთაშორისო ხიდის აგებისას სან-ფრანცისკოს ცნობილი ხიდის სქემით ისარგებლესო. ასეა თუ ისე, ბოსფორის ხიდი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში და, ალბათ, თანამედროვე ცივილიზაციის საოცრებას წარმოადგენს.

ხიდი ინგლისელ, ფრანგ და დასავლეთგერმანელ სპეციალისტებს აუშენებიათ. ცემენტი და არმატურა გერმანული ყოფილა, ელექტროსამუშაოები ფრანგებს შეუსრულებიათ. მშენებლობაში დიდი კაპიტალი დაუბანდებიათ ინგლისის, საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის ბანკებს. ახლა ხიდზე მოძრაობა, რასაკვირველია, ფასიანია და ზედ ტრანსპორტით გადასვლა გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე იმავე ტრანსპორტის ბორნით ან ბუქსირით გადაყვანა. მოძრაობა ამა წლის 1 ნოემბერს გაიხსნა. ისე რომ, ბოსფორის ხიდი სულ ახალთახალია, ჩვენი დღეების პირმშოა. მისი სიმაღლე წყლის ზედაპირიდან 70 მეტრს აღემატება. სრუტეში, ხიდის ქვეშ, დაუბრკოლებლივ შეუძლია გავლა ყველა სიმაღლისა და მოცულობის საოკეანო გემს, მალებს ვერც ერთი ანძა ვერ ასწვდება. ხიდის ყველაზე გრძელი, ექვსასმეტრიანი მონაკვეთი ფოლადის მსხვილზე უმსხვილეს ბაგირებზე ჰკიდია. მას სიმაღლეს უქმნის ორი ბრტყელი და განიერი ბურჯი, რომელთაგან ერთი ევროპულ ნაწილზე, რუმელიაში დგას, მეორე კი აზიურ ნაპირზე, ანატოლიაში. შემდეგ, ხმელეთზე, ბურჯი ბურჯს მისდევს და ხიდის უზარმაზარი ფილა, როგორც ერთი მორისაგან ჩამოხერხილი სქელი ფიცარი, ყველას ერთნაირად ეყრდნობა და დაწოლის სიმძიმეს აწონასწორებს.

როდის დაარსდა და ვინ დააარსა კონსტანტინოპოლი? იგი დაარსეს მცირეაზიელმა ბერძნებმა მეშვიდე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, 660 წელს. შემორჩენილია ლეგენდა, რომლის თანახმადაც მიწა, რომელზედაც შემდგომ დიდი საზღვაო ქალაქის მშენებლობა გაჩაღდა, ბრმებს ეკუთვნოდათ. ეს ბრმები, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, ვერ ხედავდნენ შემოგარენის სიმშვენიერეს, ბერძნებმა კი იგი დაინახეს და ამიტომაც აირჩიეს თავიანთი ქალაქის ასაშენებლად. უნდა ითქვას, რომ არც ამჯერად შემცდარან, თავისი მდებარეობით, კონტინენტში ღრმად შეჭრილი ყურეებით, დიდი და მცირე კლდოვანი გორაკებით, ტრიალი მინდვრებით და ტყიანი მასივებით შემკული კონსტანტინოპოლი მართლაც რომ მშვენიერი სანახავია. ყველა ამ ბუნებრივ სიკეთეს ზედ ემატება საზღვაო გზაზე დგომა, სტრატეგიული მიუდგომლობა და ეკზოტიკური გავრცელება წყალუხვი სრუტით შუა გახლეჩილ ორ მატერიკზე.

ქალაქის საფუძვლის ჩამყრელად, უძველესი გადმოცემების მიხედვით, ბერძენთა მეფე პიზოსი ითვლება. პიზოსის დროს აქ თავდებოდა ბერძენთა საბრძანებელი და ბრმების სამფლობელოები იწყებოდა.

დღიდან დაარსებისა, კონსტანტინოპოლმა ბევრი შემოსევა და მეკობრული დარბევა გადაიტანა. კონსტანტინოპოლის დარბევისა და შინ ნაძარცვით დაბრუნებისაგან თავი თვით ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად აღმოსავლეთში მოსულმა ჯვაროსნებმაც ვერ შეიკავეს. მართალია, ისინი მხარში ედგნენ ბიზანტიას, როგორც მისი ერთგული მოკავშირეები საღვთო ომში, მაგრამ იოლი გამდიდრების წყეული ცთუნება უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ჯვაროსანმა რაინდებმაც შუბლის ძარღვი გაიწყვიტეს — ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო და მშვიდობიან კონსტანტინოპოლს, თავმინდობილს შეფიცული მეგობრის მკერდზე, მშიერი მგლებივით შეესივნენ. უფრო ადრე მას რომაელები დაეპატრონნენ, ხოლო მაშინ, როცა რომის იმპერია ორ ნაწილად, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად, გაიყო, კონსტანტინოპოლი, ამ დროისათვის უკვე დაწინაურებული, ხალხმრავალი, მსოფლიო სავაჭრო გზებზე მდგომი თვალმშვენიერი ქალაქი, აღმოსავლეთ რომის იმპერიის სატახტო ქალაქი გახდა. იმ დღეებიდან იწყება კონსტანტინოპოლის შემდგომი გაფურჩქვნა და გაბრწყინება, ვიდრე სამხრეთის

ამწვარი ტრიალი მინდვრებიდან ოსმანები არ მოვიდნენ და 1453 წელს, ჩვენდა, აღმოსავლეთ ქრისტიანეთა — ქართველთა და სომეხთა სავალალოდ და სათავცემოდ, არ დაამხეს.

თურქთა მომთაბარე ტომებს, რომელთაც ხელში ჩაუვარდათ აშენებული ქვეყანა თავისი დედაქალაქითურთ, წინ მოუძღოდა ციხქვეშეთში დიდი მაჰმადის მოადგილე, სისხლისმსმელი სულთანი მეჰმედ ფათიჰი, დამპყრობელი. ფრანგმა მოგზაურმა ტავერნიემ, რომელმაც ორასიოდე წლის შემდეგ სპარსეთსა და თურქეთში იმოგზაურა და, სხვათაშორის, ქართველებსაც შეხვდა, საგანგებოდ გაიხსენა ანდერძი, სულთანმა მეჰმედ ფათიჰმა თავის შთამომავლებს რომ დაუგდო. ამ ანდერძის თანახმად, ანდერძისა. რომელიც შემდეგ საუკუნეებში განუხრელად სრულდებოდა, სულთნის ტახტზე ასულ ბატონიშვილს დაუყოვნებლივ უნდა შეეპყრო თავისი ძმები და ყველასათვის ყელი გამოეჭრა. ეს იქნებოდა ერთადერთი გარანტია ტახტის სიმტკიცისა და მშვიდობიანობისა ქვეყნის შიგნით...

სულთან მეჰმედ ფათიჰს მოსვენებას არ აძლევდა ბიზანტიის იმპერატორთა პალატებისა და ტაძრების ბრწყინვალება, ბიზანტიელ ნეგოციანტთა სიმდიდრე და ფლოტის ძლევამოსილება. ასე იყო თუ ისე, ბიზანტია დაემხო და მეჰმედ დამპყრობელმა, რომლის სახელსაც ბევრი დღევანდელი თურქი, ნახევარი მსოფლიო რომ ჯერ ისევ თავისი ჰგონია, სასოებით იხსენიებს და მის მიერ ჩადენილ საქმეებსაც სამართლიანად მიიჩნევს, ეინი აისრულა.

სულთანი მეჰმედ ფათიჰი, ვიდრე ქალაქის ძველ უბანში, სადაც ბიზანტიის იმპერატორთა სასახლეებია, თავის სასახლეს — თოფკაპას აშენებდა, მის შედარებით ახალ ნაწილში, ოქროს რქის გამოღმა ცხოვრობდა.

თოფკაპა — თურქეთის სულთნების ყველაზე უფრო დიდებული სასახლე, სასახლეთა მთელი კომპლექსი, მაღლობზეა გაშენებული და ერთი მხრივ სტამბულის ულამაზეს ნაწილს — ოქროს რქას გადაჰყურებს, ხოლო მეორე მხრივ გემებით ავსილ ბოსფორის სრუტეს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთელ ამ ანსამბლში თვალში საცემი და განსაცვიფრებელი, ღმერთო ჩემო, ეს რა დავინახეო, ხასხებით არაფერია. უბრალო ფილაქნით მოკირწყლული ბილიკებით დატიხრულ ბაღნარს, რომელიც მთლიანად ჰექტარი ან ჰექტარნახევარი თუ იქნება, ოთხკუთხედად ერტყმის გარს სულთნის ერთსართულიანი სასახლეები. სასახლეთა დარბაზები, სადაც ამჟამად სულთნების საჭურჭლე — ოქრო-ვერცხლის ნივთები, იარაღი, გვირგვინები და კვერთხები, ჭურჭელი და თვალმარგალიტი გამოუფენიათ, ერთმანეთში არ გადიან. ყველა მათგანს თითო კარი აქვს წინიდან, კედლები ყრუა, უფანჯრო, საერთოა მხოლოდ დერეფანი, რომელიც ყველა სახლის თუ სასახლის შიგა წინამოს კუთხიდან კუთხემდე გასდევს. დარბაზები და დერეფნები საკმაოდ უგერგილოდ დამუშავებული თეთრი ქვის ფილებით არის მოგებული. ქვის წყობის მოხდენილობით ვერც კედლებს გამოარჩევ ჩვეულებრივი იმერული ყორისაგან. თუ არქიტექტურულ ფორმათაგან აქ რაიმეა ღირებული და ყურადღებამისაქცევი, ეკლექტიკური წარმოშობისაა და, თუ არ ვცდები, ამ ნარევში სპარსულ-არაბული ნაკადი სჭარბობს. ასეთებია, მაგალითად, თაღები და კამარები, რითაც კარის თავებს ამკობენ.

გამოფენილი სიმდიდრე უფრო ფასეულია, ვიდრე ძვირფასი, როგორც მარადიული ხელოვნების ნიმუში. კოლექციაში ინახება ბაჯაღლო ოქროს აკვანი. ამ აკვანში ერთ-ერთი სულთანი გაზრდილა. აქვეა საქვეყნოდ ცნობილი კვერცხისოდენა მარგალიტი, დაუფასებელი ნომინალური ღირებულებისა. ამგვარი მსხვილი მარგალიტი მსოფლიოში მხოლოდ ორი ყოფილა. ერთი ესაა, ოდესღაც თურქეთის სულთანთა საკუთრება, ერთიც ტაუერის განძთსაცავში დევს და ინგლისის მეფეებს ეკუთვნის.

არსებობს მოსაზრება, რომ თურქეთის ღია და დახურულ სეიფებში მსოფლიოს სიმდიდრის ყველაზე მეტი ნაწილი ინახება. შესაძლოა, ეს მართლაც ასეა, მაგრამ თუ მხოლოდ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც თოფკაპას ბოსლისებურ დარბაზშია გამოფენილი, თურქეთის ეს მუზეუმი ტაუერს, თვით ვინძორსაც, რომ აღარაფერი ვთქვათ მოსკოვის კრემლის საჭურჭლეთა პალატაზე, დიდად ჩამოუვარდება.

საგულისხმოა, რომ თოფკაპაში არ არის არც ერთი ფერწერული ტილო, არც ერთი ქანდაკება, არც ერთი კალიგრაფის მიერ შესრულებული წიგნი. ეტყობა, სულთნებისა და მათი მემკვიდრეების სულიერი მოთხოვნილება ოქრო-ვერცხლსა და ბრჭყვიალა თვლებს არ სცილდებოდა.

სასახლის იმ ნაწილში, რომელიც ოქროს რქას გადაჰყურებს, ცხოვრობდნენ თვით სულთნები, რომელთაგან თითოეულს საშუალოდ 650 ცოლი ჰყავდა. სასახლეში სულთანი იყო ერთადერთი მამაკაცი, ვისაც ქალთან საქმის დაჭერა და შთამომავლობის გაგრძელება შეეძლო, სხვა ყველა საჭურისი იყო. სასახლის საქალებო ნაწილს, ჰარამხანებს, ყველაზე უფრო მძვინვარე და დაუნდობელი მცველები — შავი საჭურისები დარაჯობდნენ. გარდა თვით სულთნისა, ცოცხალი თავით იქ ვერავინ შეაღწევდა. აი, მარმარილოს ოთხკუთხა აუზი, რომელშიაც სულთნის უბედური ცოლები ბანაობდნენ, აი მათი საერთო საცხოვრებლებიც. თითო ოთახში თუ საკანში ორი ან სამი სა-

წოლი დგას. ესეც ფანჩატური აუზის პირას, სადაც მუთაქებსა და ბალიშებში ჩაფლული სულთანი იჯდა და უბედურ ქალებს უთვალთვალებდა. ღიმილით აცხადებენ, ქალების — სულთნების ცოლების უმრავლესობა გურჯი ხათუნები იყვნენ, ისე რომ ფანატიკოსი სულთნების ძარღვებში ქართული სისხლი ქარბად ჩქეფდაო...

თოფკაპას ორმაგი გალავანი უვლის გარს. შიგნითა გალავნის კარიბჭეში შეხვალ თუ არა, შენს პირდაპირ სამლოცველოსმაგვარი მომცრო სასახლე აღიმართება. მის პირველსავე ჭერმაღალ დარბაზში, რომელიც საკმაოდ მწენაკლული და ბნელია, დგას ხალიჩით დაფარული და ოქროთი მოვარაყებული გამწვდომი ტახტი. აქ იღებდა სულთანი უცხო ხელმწიფეთა ელჩებს და პირადად მის ქვეშევრდომობაში მყოფ უცხო ტომის მეფეებსა და ბეგლარბეგებს. მიღების დროს, ეტყობა, სულთანი წამოწოლილი ბრძანდებოდა, ოქრომკედით მოქარგულ მუთაქებსა და ბალიშებში ძლივს ჩანდა და იატაკზე პირქვე დამხობილ უძლურ მავედრებელთ იქედნური ღიმილით დაჰყურებდა. მას ამის უფლებას აძლევდა ოქროს ტახტი, ოქროს აკვანთან ერთად რომ ვნახეთ თოფკაპას მუზეუმში, ფანატიკურად აღგზნებული მხედრობა და... თავხედობა, ნამდვილი აზიური თავმომწონეობა.

სასახლეთა ანსამბლს, ევროპის მეფეთა რეზიდენციებს — ვერსალს, ესკორიალს, ლუვრს, ვინძორს თუ ცარსკოე სელოს შორის რომ ჩამორჩენია, კვლავ მაღალი გალავანი აქვს შემორტყმული და კარიბჭესთან დღესაც, როგორც მრავალი ასეული წლის წინათ, კბილებამდე შეიარაღებული იანიჩრები დგანან.

თოფკაპა ამჟამად მუზეუმია. მეთვრამეტე საუკუნის სულთანთა მთელ თაობებს დოლმაბაღჩესარაიე აუშენებიათ და თავიანთი მუდმივი რეზიდენციაც იქ გადაუტანიათ. მუდმივი! რა ირონიულად ჟღერს ეს სიტყვა. თურმე მუდმივი არც ოსმალეთის სულთანთა ძლევამოსილი ტახტი ყოფილა. ულმობელმა დრომ, ისტორიამ წყალი მასაც შეუყენა და პირქვე დაამხო.

18.

ყველაზე დიდებული და შთამაგონებელი რამ, რის ნახვაც კი სტამბულში, თურქეთის ამ სამმილიონიან ქალაქში შეიძლება, მაინც აია-სოფიას ტაძარია. ირგვლივ მას ოთხი ნემსივით წვრილი და წვეტით ცაში ატყორცნილი მინარეთი დარაჯობს. ესაა ერთადერთი ატრიბუტი, რომელიც ოსმალებმა აია-სოფიას გარედან დაუმატეს და ვითომდაც ამით პროფილი შეუცვალეს.

ტაძრის შესასვლელში გულმოდგინედ სინჯავენ ბილეთებს. კონტროლიორმა, წითელფესკიანმა, წვერგაუპარსავმა შავგვრემანმა კაცმა, ცალკე კუთხეში გაგვიყვანა და თითო-თითოდ გადაგვთვალა.

სადღაა აია-სოფიას ძველი ბრწყინვალება! მის ბჭეებს ჯერ კიდევ ემჩნევა ცეცხლის ნაკვალევი, აქ ცხენდაცხენ შემოჭირითებულმა მეჰმედ ფათიჰის ბაშიბუზუკებმა რომ დაანთეს. მარმარილოს იატაკი, რომელიც, ალბათ, ისევე გტაცებდა თვალს, როგორც სან-პედროს იატაკი დღეს, დაჭედილი ცხენის ფლოქვებით ლუკმა-ლუკმა დაუბზარავთ და დაუჩეჩნხიათ, დაუმხიათ საკურთხეველი, თეთრი ხაღებავით შეულებავთ ფრესკები, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ეს შეუძლებელი გამხდარა, მრგვალი დაფები მიუჭედებიათ და ზედ არაბულად ჩაუჰიკჰიკებიათ ყურანიდან ამოწერილი ჭკუის დამრიგებელი სიტყვები.

აია-სოფია შიგნიდან გრანდიოზულია. მსგავსად რომის პანთეონისა, მას არავითარი საყრდენი სვეტები არა აქვს და ვეება გუმბათი მხოლოდ კედლებზეა დანდობილი. გამოუცდელი თვალიც კი შეამჩნევს, რა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აია-სოფიამ ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაზე. მთლად ორიგინალური ამ მხრივ არც თვით აია-სოფია ყოფილა. იგი მეექვსე საუკუნეში აუგიათ და ყველაფერი უღონიათ იმისათვის, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქთა საკათედრო ტაძარი იერუსალიმის სოლომონის ტაძარს დამსგავსებოდა. სოლომონის ტაძარს, თავის მხრივ, წინამორბედი, ვინ იცის, ძველ აღმოსავლეთში ჰყავდა და ასე დაუსრულებლივ. უთუოდ მართალი იყო რომენ როლანი, ჟან ქრისტოფის მოხეტიალე ბიძას რომ ათქმევინა: ყველა სიმღერა ძველია, ოდესღაც უკვე დაწერილი და ნამღერიო.

აია- სოფია თურქებმა მეჩეთად გადააკეთეს. შემორჩენილია ერთი საგულისხმო ცნობა: იმპერატორმა იუსტინიანემ, ვინც ორჯერ დაქცეული ტაძარი იმავე მეექვსე საუკუნეში ხელახლა ააშენა, მშენებლობას ათი ათასი ქვითხურო და ხელისმუშა დაასია. მშენებლობის ხელმძღვანელობასა და თვით შენობის დაპროექტებაში მონაწილეობა მიუღია ათას ხუროთმოძღვარს. ამ ციფრებიდან ნათლად გამოსჭვივის ტაძრის ზომა და მასშტაბები. წმიდა პეტრეს ტაძარი, რომელიც თავის აღმოსავლელ თანამოძმეზე ათასი წლით გვიან აშენდა, აია-სოფიაზე უსაშველოდ მეტი როდია.

აია-სოფია, ოდესღაც სულთნების უპირველესი სალოცავი, დღეს აღარ იხსენიება მოქმედ მეჩეთთა შორის. ეს პატივი მას უფრო ადრე ჩამოერთვა, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რომელშიაც თურქეთმა თითქმის ყველა კოლონია დაკარგა, თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ქემალ ათათურქი მას ქვეყნის ერთ-ერთ ღირსშესანი-

შნაობად და ეროვნულ მუზეუმად გამოაცხადებდა. ტაძრიდან გამოიტანეს მოქმედი მეჩეთისათვის აუცილებელი ყველა ნივთი, მაგრამ მისი პირვანდელი სახე არ აღუდგენიათ, ისევე დასტოვეს, როგორიც აკლებისა და მეჩეთად გადაკეთების შემდეგ იყო.

უპირველესი მეჩეთის ღირსება ებოძა ე. წ. ცისფერ მეჩეთს, რომელიც იმავე ძველ ქალაქშია და თანამედროვე მაჰმადიანურ-სუნიტური ფანატიზმის ბუდედ ითვლება. ცისფერ მეჩეთს მაღალი გალავანი აქვს შემოვლებული. გარეგნული ფორმებით აია-სოფიასაგან თითქმის არ განსხვავდება, თუმცა სპეციალისტებს აია-სოფიაზე უფრო რთულ და სრულყოფილ ქმნილებად მიაჩნიათ. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს: ცისფერი მეჩეთი ხომ მეჩვიდმეტე საუკუნეში აშენდა! მეჩეთის ამშენებლად და მუსულმანური კათედრის აია-სოფიიდან აქ გადმომტანად სულთანი ახმედ მესამე ითვლება.

გალავნის შიგნით, მეჩეთის შესავალი კარის წინ, ქვის პატარა სამლოცველოა. აქ სულთანი ფეხს იბანდა და სალოცავად მეჩეთში ფეხშიშველი შედიოდა. ეს ადათი დღემდე მკაცრად შენარჩუნებულია და იგი ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, ვინც აქ მოდის.

მოვინახულეთ სტამბულის კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა — აღმოსავლური ბაზარი, რომლის უფორმო, მაგრამ უზარმაზარი შენობა მეთხუთმეტე საუკუნეშია აგებული. თუ ვინდა ნახო აღმოსავლეთი თავისი თავბრუდამხვევი სიმდიდრით, სტამბულის ეს ვეება ბაზარი უნდა შემოიარო, მის ყველა მოსახვევსა და ჩიხში უნდა შეუხვიო, ყველა ქულბაქში შეაბედო. აქ ნახავ და თუნდაც ერთი საათის განმავლობაში შეიძენ ყველაფერს, რაც კი ადამიანს დაბადებიდან სიკვდილამდე სჭირდება. სავაჭროები კერძოა, ფასებს ბაზრის კანონები [illegible]. ოსმალო გიდმა წინდახედულად გაგვაფრთხილა, თუ ვინმეს რამეს ყიდვა გინდათ, იცოდეთ, გამოცხადებული ფასი კანონი არ არის, შევაჭრება და ლაზღანი სასირცხვო როდია, იგი თურქებს კიდევაც სიამოვნებთო.

გვიან საღამოს „ესტონიამ" ღუზა აუშვა და გზა განაგრძო. კარგა ხანს სტამბულის გასწვრივ მივარღვევდით სრუტეს, გავიარეთ ახალი ხიდის ქვეშ, მარცხნივ დავტოვეთ ქალაქის ძველი ნაწილი თავისი ოქროს რქითურთ და სულ მალე ღია ზღვას შევერიეთ. გემბანზე ვიღაც ქალმა შეწუხებული ხმით იკითხა, ხომ მართლა შავი ზღვა არისო? პასუხი რომ მიიღო, შვებით ამოიკვნესა და თითქოს თავისთვის წაიჩურჩულა:

— თბილია, ამჩნევთ?

ზღვაზე ქვენა ქარი ჰქროდა და დიდრონ ტალღებს მოაგორებდა. გემი გულდაგულ მიიწევდა წინ. მიწა მხოლოდ დილით გამოჩნდა. ის გემის მარცხნივ დავინახეთ და, ალბათ, რუმინეთის ნაპირი იყო. კონცხი მალე ხმელეთად იქცა. ზღვამ ღელვას უკლო. ნაშუადღევს ნაპირი მარჯვნივაც გამოჩნდა. შორს რეიდზე მდგარ გემებს მოვკარი თვალი, როგორც იქ, ატლანტის ოკეანეში, ბისკაის ყურესთან. რას უცდიდნენ აქ? თევზაობდნენ თუ რაიმეს დარაჯობდნენ? მალე გზა სხვა გემებმა გადაგვიღობეს. მაგრამ ეს გემები ნაპირზე იდგნენ, ბეტონის კედელთან ერთადერთი თბომავლის მისადგომი ადგილი დაეტოვებინათ. ყურეს გადმოჰყურებდა სტამბულივით სერებზე შეფენილი მწვანე ოდესა, აი ის ოდესა, რომელზედაც ნაღვლიანად ღიღინებდნენ ომის დროს:

**Я не скажу про всю Одессу**
**Вся Одесса очень велика...**

კიდევ ერთი გაბრძოლებაც და — გამარჯობა, მშობლიურო ნაპირო, მყარო და ცოცხალო მიწავ!

1973 წ.

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზიის დიადი შუადღე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ სცემს მიხეილ კ ვ ე ს ე ლ ა ვ ა ს ახალ წიგნს „პოეტური ინტეგრალები“. წიგნის ქვესათაურია: „გალაკტიონ ტაბიძე და თანამედროვე პოეზია“. ამასთან დაკავშირებით ჩვენი რედაქციის თანამშრომელმა, მწერალმა ნოდარ რ უ ხ ა ძ ე მ რამდენიმე კითხვით მიმართა ავტორს.

**კითხვა:** ამ ათიოდე წლის წინ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თქვენი ორი საჯარო ლექცია მოვისმინე გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე. ახლა შევიტყვე, რომ ცალკე წიგნად გამოდის თქვენი ნაშრომი გალაკტიონის პოეზიის შესახებ. თქვენ საზღვარგარეთული ლიტერატურის აღიარებული სპეციალისტი ბრძანდებით, არაფერია გასაკვირი ქართულით, მითუმეტეს, გალაკტიონით დაინტერესება, მაგრამ მაინც დაბეჯითებით მინდა გკითხოთ, რამ გამოიწვია, როგორც იტყვიან, ასე ფართო პლანით თქვენი ქართულ ლიტერატურაში „გადმოსახლება“?

**პასუხი:** თითქმის ოთხი ათეული წელია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზღვარგარეთის უახლესი ლიტერატურის კურსს ვკითხულობ. ამ ხნის განმავლობაში დიდძალი მასალა დამიგროვდა ევროპული მწერლობის, კერძოდ პოეზიის შესახებ. ამ მასალების ნაწილი ჩემს წინა წიგნებში არ გამომიყენებია. მინდოდა ამის მიხედვით თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარების ტენდენციებზე დამეწერა რამე, მაგრამ მუშაობის პროცესში დავრწმუნდი, რომ ასეთ ფართო მასშტაბებს ვერ გავწვდებოდი და გადავწყვიტე ერთი რომელიმე პოეტის შემოქმედება შემესწავლა. არჩევანი, რა თქმა უნდა, ადვილი იყო: გალაკტიონ ტაბიძე. ადვილი-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ სწორედ გალაკტიონია ის პოეტი, რომელმაც, ტიციან ტაბიძის თქმისა არ იყოს, ჩვენი საუკუნის ათიან წლებიდან ქართული პოეზია „მსოფლიო რადიუსში გამართა“.

დღეს ეს საერთოდ აღიარებული ფაქტია, ყველანი იმის მოწმენი ვართ, ჩვენს თვალწინ როგორ აღიმართა გალაკტიონის უზარმაზარი ფიგურა, რომლის პროექცია დროს დინებასთან ერთად თანდათან ფართოვდება და, მართლაც ისეთ გლობალურ მასშტაბებს აღწევს, რომ უკვე მათი განზომილებების დადგენაც ძნელდება, ცდას კი, რა თქმა უნდა, არ აკლებენ.

კ. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა წერს:

— მე ასე თუ ისე ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და. უნდა მოგახსენოთ: გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება...

ასევე ი. ა ბ ა შ ი ძ ე:

— მეოცე საუკუნის ჩვენი პლანეტის სულ ათიოდე ელვარე პოეტურ სახეთა შორის, რომელთაც აამაღლეს და დაამშვენეს ჩვენი დრო, ერთი სახელი ქართულია — გალაკტიონ ტაბიძე...

**ნ. დ უ მ ბ ა ძ ე ს უ წ ე რ ი ა:**

— მე თუ მკითხავენ, ვიტყვი, რომ გალაკტიონის დაბადების დღიდან დედამიწის ზურგზე მისი სიმაღლის პოეტს არ გაუვლია..

მეც ამ ასპექტში მინდოდა გალაკტიონის შემოქმედება განმეხილა, მაგრამ ესეც ძნელი საქმე გამოდგა, იმდენად ძნელი, რომ ამას, ალბათ, არა ერთი და ორი მკვლევარის ხანგრძლივი მუშაობა დასჭირდება, იქნებ, თაობებისაც. მართალია, ახლაც ბევრნი ვეჭიდებით ამ საქმეს, მაგრამ გუთნის გატანამდე ჯერ კიდევ შორსაა. საჭიროა დრო, მასალების შეგროვება, განსხვავებულ თვალსაზრისთა შეჯერება, ახალი რაკურსების მოძებნა და სხვა. ხალხში ამბობენ, ჯერ ფონს მოხინჯავენ და მერე შეტოპავენო. ჰოდა, ვიდრე საქმე „შეტოპვაზე" მიდგებოდეს, ეს „ფონი" უნდა მოვსინჯოთ და ისე გამოვთქვათ ჩვენი თვალსაზრისი გალაკტიონის შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე. თანაც უმჯობესია, ჯერჯერობით მაინც მოვერიდოთ მწვავე პოლემიკურ ტონს, მეტი ყურადღებითა და მოთმინებით მოვეპყრათ ერთმანეთის შეხედულებებს, რათა ერთიანი ძალებით მივაღწიოთ სასურველ შედეგს. მით უმეტეს, რომ გალაკტიონის შემოქმედების გაგებაში ერთ პირზე დადგომა ძნელია. არც ბრმა დაჟინებისა და კატეგორიული იმპერატივებით მსჯელობის უფლება გვაქვს მოპოვებული. ისედაც ვიცით, რომ დევი ყურით არავის დაუჭერია და არც უცილობელ ჭეშმარიტებათათვის მიუკვლევია ვინმეს. გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სრულყოფილი მონოგრაფიის შედგენამდე ჯერ კიდევ შორსაა. ანატოლ ფრანსს უთქვამს, გი დე მოპასანზე წიგნი ისე უნდა დაიწეროს, როგორც ლომი დაწერდა სიმამაცეზე, ასეთი რამ შესაძლებელი რომ იყოსო. ჰოდა, ვიდრე ასეთი „ლომები" გამოჩნდებოდნენ, ჩვენ ჯერ მოსამზადებელი სამუშაოები უნდა შევასრულოთ, ოღონდ ისე, რომ უკუვაგდოთ ყოველგვარი სქოლური რიტორიკა და შეძლებისამებრ ახლო მივიდეთ გალაკტიონის სულიერ სამყაროსთან.

**კითხვა:** კითხვა პირობითია, მაგრამ მაინც გვსურს მოკლედ მოგვითხროთ, რა მთავარი საკითხებია თქვენს წიგნში განხილული?

**პასუხი:** მ თ ა ვ ა რ ი ის არის, თუ რა სიახლე შეიტანა გალაკტიონმა ქართულ (და არა მარტო ქართულ) პოეზიაში. რაკი ვამბობთ, რომ იგი ახალი ეპოქის შემქმნელია, ამას სათანადო დასაბუთებაც უნდა, მოგეხსენებათ, ყოველ ახალ ეპოქას საგნებისა და მოვლენების ახლებური გაგება მოაქვს, რაც თავის მხრივ მხატვრული გამოსახვის ფორმების განახლებას მოითხოვს. ასეა ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა დარგში და, რა თქმა უნდა, პოეზიაშიც. ყოველი ახალი ეპოქის ჭეშმარიტი პოეტი შინაგანად ანახლებს თავისი ერის ლიტერატურულ ტრადიციებს. იგი ერთის მხრივ ამდიდრებს უკვე არსებულ გამოცდილებას, ხოლო მეორეს მხრივ ახალ საფეხურს ქმნის ლიტერატურის განვითარებაში („სიახლე ძველიო" — ამბობს გალაკტიონი).

ეს საერთო კანონია და არც ქართული პოეზია შეიძლება წარმოადგენდეს გამონაკლისს. საქმე ის არის მხოლოდ, გავერკვეთ თუ რა ფორმებში ვლინდება ეს სიახლე. მოგეხსენებათ, გალაკტიონი, წინაპრებისა და თავისი სახელით, ასე მიმართავდა ახალ თაობას:

ახალი, ახალი! მოგვეცით ახალი!..

ამას იგი მოითხოვდა არა მარტო პოეზიის, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფისაგან. „ყოველი დღე უნდა იყოს სიახლე" — წერდა გალაკტიონი. იგი ყველგან და ყველაფერში ახლის ტრფიალი იყო; ამბობდა კიდეც: „დაუქკნობ და წმიდა ძეგლად დარჩება" მხოლოდ „ჰანგი ახლის ძიებისო". სხვაგვარად ვერც წარმოედგინა, რადგან ნამდვილი პოეზია, მისი აზრით, უნდა იყოს „რაღაც ახალით და ძვირფასით მომჯადოები..."

დალოცვილო! „რაღაც ახალითო" რომ წერს, სწორედ ამის გარკვევაა ძნელი. ხომ უნდა გავიგოთ, რა არის ეს „რაღაც ახალი" და რითია იგი „მომჯადოები".

რამდენადაც ვიცი, პირველად აკაკი წერეთელს უთქვამს გალაკტიონის შესახებ, იგი ბევრ სიახლეს შემოიტანს ჩვენს მწერლობაშიო. აბა, ამას ახლა რა დასტურის მიცემა უნდა. ვისაც ოროოდე სიტყვა უთქვამს ან დაუწერია, გალაკტიონის შესახებ, აღუნიშნავს კიდეც, რომ იგი ქართული ლექსის უდიდესი ნოვატორია; მიუთითებია მისი ლექსების „განუმეორებელ არტისტიზმზე", ახალ ინტონაციებსა და ფერებზე, რითაც მან გაამდიდრა ქართული პოეზია, ჩვენი ეპოქის შესაფერისი ენით აამეტყველა თანამედროვე ადამიანის სული და სხვა და სხვა. ეს მართლაც ასეა, მაგრამ განა მარტო ამის განცხადება კმარა. ათასჯერაც რომ გავიმეოროთ ეს საანბანო ჭეშმარიტება, ამით საქმე წინ ვერ წაიწევს, თუ ვინმე არ დაჯდა და დალაგებით არ მოგვახსენა, რაში მდგომარეობს ეს „ნოვატორობა", „განუმეორებელი არტისტიზმი", თუ „ეპოქის შესაფერისი პოეტური ენა". ამისთვის კი, როგორც ჩანს, ჯერ არავინ მოიცალა. ისე კი ამდენი ლაპარაკი გალაკტიონის ლექსების ნოვატორობის შესახებ, ილიას თქმისა არ იყოს, „ცარიელი სიტყვების მეტს არაფერს გვანიშნებს".

არ იფიქროთ, თითქოს ამას მე ვამბობდე. არა! განა არ ვიცი, ჩემის მხრივ ამის თქმა რომ კადნიერება იქნება, მაგრამ რა გაეწყობა, როცა თვითონ გალაკტიონი გამოთქვამს ამგვარ საყვედურს. მის დღიურებში ვკითხულობთ:

— ამდენი ლაპარაკია ჩემი ნოვატორობის

შესახებ, მაგრამ ერთი ხეირიანი წერილიც არ ჩანს, სადაც გარკვეული იქნება:

1. რა არის საზოგადოდ ნოვატორობა?

2. რაში გამოიხატება მისი დადებითი მხარე?

3. ნოვატორობა ფორმის;

4. ნოვატორობა შინაარსის;

5. ეპოქის მნიშვნელობა;

6. პარალელები წარსულ მწერლობასთან;

7. ნოვატორი დამწყებია, ახლის შემომტანი. რანაირად აგრძელებენ მას სხვები, არა ნოვატორები, მაგრამ ნიჭიერი ხალხი?

ასეთია თვითონ გალაკტიონის მიერ შემოთავაზებული შ ვ ი დ ი  თ ე ზ ი ს ი, რომლის მიხედვით უნდა ხდებოდეს მისი შემოქმედების ნოვატორული ხასიათის შესწავლა.

მართალია, 1949 წლის შემდეგ, როცა გალაკტიონმა ეს განაცხადა, კარგა ხანი გავიდა. ამასობაში ბევრი საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა, სადაც გალაკტიონის შემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხებია განხილული, მაგრამ კონკრეტულად რა ფორმებში ვლინდება მისი პოეზიის ნოვატორობა, ამისთვის ჯეროვანი ყურადღება მაინც არავის მიგვიქცევია. ამიტომ არის, რომ გალაკტიონის შემოქმედების ეს ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანი ჯერაც ვერ გასცდა „ცარიელი სიტყვების“ ფარგლებს, რის გამოც თვითონ პოეტის მიერ ჩამოთვლილი შ ვ ი დ ი  კ ი თ ხ ვ ა  დღესაც მოითხოვს სათანადოდ დასაბუთებულ განხილვას. წიგნში „პოეტური ინტეგრალები“ მე ვცდილობ, რამდენადაც შემიძლია პასუხი გავცე ამ კითხვებს. ამისთვის გალაკტიონის მთელ პოეტურ მემკვიდრეობას სამ სახეობად ვყოფ:

1. ტ რ ა დ ი ც ი უ ლ ი  ანუ ლოგიკურ-სემანტიკური ლექსები, სადაც პოეტური მეტყველების კლასიკური წესებია დაცული.

2. ა ს ო ც ი ა ც ი უ რ ი  ლ ე ქ ს ე ბ ი, სადაც პოეტური ფრაზის ლოგიკურ-სემანტიკური წყობა შესუსტებულია.

3. ი ნ ტ ე გ რ ა ლ უ რ ი  ლ ე ქ ს ე ბ ი, სადაც პოეტური სემანტიკა ან მეტაფორებისა და სახეების ჩვეულებრივი სტრუქტურა თითქმის მთლიანად დარღვეულია.

ცხადია, მე სულაც არ მაქვს განზრახული ეს სამი სახეობა ერთმანეთს დავუპირისპირო ან ერთი რომელიმე სახეობის დანარჩენებთან უპირატესობაზე ვილაპარაკო. არა. განა არ ვიცი, რომ ასეთი რამ იმ ნეტარხსენებულ ლუარსაბის დავას დაემსგავსება კნეინა დარეჯანთან — რა სჯობია ჩიხირთმა თუ ბოზბაში?

ან საერთოდ რა საჭიროა ეს, როცა გალაკტიონის ს ი დ ი ა დ ე  ს ა მ ი ვ ე  ს ა ხ ე ო ბ ა შ ი  ჩ ნ დ ე ბ ა  დ ა  ა რ ა  რ ო მ ე ლ ი მ ე  მ ა თ გ ა ნ შ ი. თანაც მისი ლექსების სამსახეობა საფეხურეობრივად კი არ მოჰყვება ერთმანეთს, არამედ ერთდროულად ვითარდება. შეიძლება ზოგჯერ ერთი სახეობა სჭარბობდეს მეორეს, მაგრამ, მოგეხსენებათ, პოეზიაში ამგვარი არითმეტიკა საყურადღებოს არაფერს გვაუწყებს. მათი ერთობლივობა კი პოეტური ენის მრავალფეროვნებასა და სირთულეზე მიგვითითებს. გ. ასათიანი სწორად შენიშნავს:

— გალაკტიონ ტაბიძემ ქართულ ლირიკაში პოეტური წარმოსახვის ასე თუ ისე სწორხაზოვანი ხერხები შეცვალა, უფრო დახვეწილი საშუალებებით — ნიუანსებისა და მინიშნებების რთული ენით...

მე მინდა ამ წიგნში მთავარი ყურადღება სწორედ გალაკტიონის პოეზიის „რთულ ენას“ მივაქციო, რაც ყველაზე თვალსაჩინოდ მესამე სახეობის ინტეგრალურ ლექსებში ჩანს. ვიმეორებ: არა იმიტომ, რომ იგი უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია, არამედ ნაკლებადაა შესწავლილი. გარდა ამისა, წიგნის სათაური: „პოეტური ინტეგრალები“ და საუბრის ძირითადი თემაც: „გალაკტიონ ტაბიძე და თანამედროვე პოეზია“ მიკარნახებს ამას. შემიძლია ისიც ვთქვა, რომ ეს საკითხი პრინციპული მნიშვნელობისაცაა. აქ უნდა გამოჩნდეს, რა ადგილი უჭირავს ამ „პოეტურ ინტეგრალებს“ ჯერ თვითონ გალაკტიონის შემოქმედებაში, ხოლო შემდეგ თანამედროვე პოეზიაში. აქედანვე ვიცი, რომ ეს ბევრ წინააღმდეგობას გამოიწვევს, ამიტომ მოსალოდნელ ირონიულ კითხვას, „ეს არის გალაკტიონი?!“ წინასწარვე ვუპასუხებ:

არა, რა თქმა უნდა, ეს არ არის, მაგრამ — ესეცაა!..

კითხვა: ჯერ ერთი, რას გულისხმობთ „პოეტურ ინტეგრალებში“ და მეორეც როგორ მოარგეთ ეს ტერმინი გალაკტიონის პოეზიას?

პასუხი: მეც, რამდენად შემიძლია, ვცდილობ „ინტეგრალურად“ ვწერო. როგორ? ისე, ცალკეული მოზაიკური ფრაგმენტების სახით: თითქოსდა ერთმანეთთან დაუკავშირებელი ამბების სწორ ან ირიბ ხაზებზე განლაგებით, რაც თხრობის არა გარეგნულ კავშირს, არამედ შინაგან სტრუქტურულ მთლიანობას გულისხმობს. ეს მთლიანობა კი მკითხველმა თვითონ უნდა აღმოაჩინოს და ზოგადი დასკვნების გამოტანაც თავის თავზე აიღოს. სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია გალაკტიონის უაღრესად რთული პოეტური ინტეგრალების შესახებ მსჯელობა, რადგან ეს გულისხმობს, უსასრულოდ დიდისა და მისი უმცირესი ელემენტების კონსტრუქციულ მთლიანობას, მთელი ექსისტენციის წარმოსახვით კომპლექსში აღქმას, „შემეცნებას წარმოდგენაში“ (გალაკტიონის გამოთქმაა), ასოციაციათა თავისუფალ თამაშს, ჩვეულებრივი ფაქტის მრავალნაირ მნიშვნელობას, პოეტური სინტაქსის ამოუწურაობას, სიმბოლური პლანების აზრობრივ გაერთიანებას, ფიქრისა და წარმოსახვის რეალობის განცდას, აზრობრივისა და ემოციური მედიუმების დადგენას, ნამდვილისა და წარმოსახულის სუბლი-

მირებას „მესამე ერთში“, ან „ანტინომიურ ცნებათა გაერთიანებას „განუსაზღვრელ მესამის კონგლომერატში“, პოეტური და მუსიკალური პარტიტურის ერთგვარობას, შეუცნობის ფსიქიკური სფეროს გრძნობითი აღქმის შესაძლებლობას, ყოფიერების ტოტალურ ხედვას და ვინ იცის კიდევ რას!..

მე მგონია, მხოლოდ ახეთივე პლანში წარმოიდგინება „პოეტური ინტეგრალები“, როგორც ა. ბლოკის (...где дышет интеграл), ისე გალაკტიონის („ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალები“) შემოქმედებაში.

ეს „პოეტური ინტეგრალები“ რომ შემთხვევითი გამოთქმა არ არის, ჩანს ამავე სახელწოდების ლექსიდან, სადაც ნათქვამია:

როცა უბრალო სიდიდეთა
  რჩება რკალები,
უმაღლესი გზა წინ მეშლება:
  ინტეგრალები.
რთულ ინტეგრალებს მე ვადარებ
  ეხლა მეორეს,
მსგავსებას მათსა და პოეტის
  ცხოვრებას შორის;
მას ხომ ჯერ ისევ ბავშვობის დროს,
  დიდი ხნის წინათ,
  სიტყვებთან ბრძოლა და დაძლევა
  ჰქონია ქინად,
ეხლა კი მის წინ გაიშლება
  ფერნაალები —
უმაღლესი გზა პოეზიის
  ინტეგრალები!

ვფიქრობ, სრულიად აშკარაა, რომ გალაკტიონს ინტეგრალები პოეზიის უმაღლეს გზად მიაჩნია. სხვა რომ არა იყოს რა, ამას ხომ თვითონ ამბობს და არა სხვა ვინმე, რომ ეს საკითხი სადაოდ ვაქციოთ. აბა, რას შეიძლება ნიშნავდეს „უმაღლესი გზა პოეზიის — ინტეგრალებით“, ან „ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალებით — რომ ამბობს! ხომ ცხადია, რომ ამგვარ ინტეგრალურ ლექსებს მიიჩნევდა იგი „ჩვენი ქვეყნისა და ეპოქის შესაფერის ფორმად“. თვითონ გალაკტიონი ამბობს, მასში „ხამშობლოს ჩემის ხმაურობის ხავსე ცხოვრება ისმისო“ და ისევ იმ ინტეგრალებსა და „პოეტის ცხოვრებას“ შორის მსგავსებაზე მიუთითებს. განა ყოველივე ეს არ გვაფიქრებინებს, რომ ახეთ პლანში გაგებული „პოეტური ინტეგრალების“ საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს? არავის ეგონოს, თითქოს ეს „ინტეგრალები“ თანამედროვე პოეზიის „მოდერნისტული ხერხები“ იყოს. არა. ადრეც იყო ამ ცნების — ლიტერატურასა და ხელოვნებაში გამოყენების შემთხვევები. მაშინაც მშვენიერების ცნებაში ხამ უმთავრეს ასპექტს გულისხმობდნენ: 1. Integritas — ერთიანობას; 2. Consonantia შეხმატკბილებას და 3. Charitas — არსის შინაგან გამონათებას. იგი ეყრდნობოდა მოულოდნელ ასოციაციათა კავშირებს, აქაურისა და შორეულის (გალაკტიონი: „სიახლოვის შენის სიშორე“) გადაჯვარედინებას, დღევანდელისა და ოდინდელის შერწყმას და ყველაფრის სიმულტანურ ერთში მოქცევას. რაც შეეხება ამ ცნების საკუთრივ მათემატიკურ გაგებას, „ინტეგრალი“ (ლათ. integer — მთლიანი), მოგეხსენებათ ნიშნავს „მთელ სიდიდეს, რასაც განიხილავენ, როგორც თავის უსასრულოდ მცირე ნაწილების ჯამს“. ფიზიკოსების ენით რომ ვთქვათ, ეს არის უსაზღვროდ დიდისა და უსაზღვროდ მცირის კვანტური განზომილება თუ აბსტრაქტულის შეჯვარება კონკრეტულთან, რაც „პოეზიის დედაძარღვს წარმოადგენს“.

ასეა ფიზიკასა და მათემატიკაში, პოეზიაში კი ეს ცნება მხოლოდ ასოციაციური ანალოგიის ან ალეგორიის ფარგლებში შეიძლება იქნეს წარმოდგენილი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამ „პოეტურ ინტეგრალებში“ რამე განსაკუთრებულ მათემატიკურ მოდუსებზე ლაპარაკი ზედმეტია. თავის დროზე ა. აინშტაინიც წერდა, „დოსტოევსკისაგან მე უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე გაუსისაგანო“, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს თითქოს დოსტოევსკის რამე განსაკუთრებული მიღწევები ჰქონდა ფიზიკაში, რაც შემდეგ აინშტაინმა გამოიყენა. რა თქმა უნდა, არა. ყოველივე ეს ინტელექტუალურ-ემოციურ სფეროებშია საგულისხმო და არა მეცნიერებისა თუ ხელოვნების ამა თუ იმ დარგის სპეციფიკაში. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გალაკტიონთან იხმარება არა „ინტეგრალები“, არამედ „პოეზიის ინტეგრალები“, რაც ამ ცნების ლიტერატურულ ასპექტზე მიუთითებს. ეს მით უმეტეს საგულისხმოა, რომ პოეტური ინტეგრალი, მათემატიკურისაგან განსხვავებით მთლიანი სიდიდის უსასრულოდ მცირე ნაწილების (ნიშნების) მექანიკურ ჯამს კი არ წარმოადგენს, არამედ მეტია რაღაცით, რაც მხოლოდ პოეზიის სპეციფიკას წარმოადგენს. ამიტომაც მიმაჩნია ზედმეტად პოეზიის „მათემატიკური ანალიზი“ და მთლიანად ვეთანხმები პროფ. ა. გაწერელიას აზრს:

— ვერსიფიკაცია თვითონაა პოეზიის მათემატიკა და იგი ჰიპერმათემატიზაციას სულაც არ საჭიროებს.

კითხვა: ბევრჯერ მსურდა საუბარში ჩაგრეთოდით, მაგრამ პასუხი იმდენად საინტერესო იყო და გულმოდგინედაც გიგდებდით ყურს, რომ ვერ გავბედე თქვენთვის რეპლიკა მომეცა, ამიტომ ჩემი კითხვა წინა კითხვის გაგრძელება იქნება. უფრო კონკრეტულად ხომ არ გვეტყოდით, რა მიგაჩნიათ „ინტეგრალური პოეზიის“ თავისებურებად?

პასუხი: ამ კითხვაზე მოკლე პასუხი ძნელია. ეს მთელი წიგნის თემაა, რაც შეეხება ზოგიერთ ნიშანს, მოგახსენებთ: უწინარეს ყოვლისა ლექსის სიმულტანური აღქმის აუცილებლობა, რაც განპირობებულია თვით ინტეგრალური პოეზიის ბუნებით. ჩვენ ვხედავთ პოეტურ ტექსტს, ვკითხულობთ ან ვუსმენთ, ხოლო ის, რაც ამ ტექსტშია „ჩასაიდუმლოებული", მჟღავნდება ქვეცნობიერად და ისიც არა გონების, არამედ „ჩვენივე სულის თვალთა წინაშე". თ. ელიოტმა ამას უწოდა „აღქმა გრძნობებისა და გონების მიღმა", სადაც სიტყვა მარცხდება („უსიტყვო სიტყვები") და რჩება მხოლოდ მნიშვნელობა. ის, რაც აღიბეჭდება ჩვენი „ცნობიერების მაფიქსირებელ ველსა" თუ „სულის რუკაზე" და ქვეცნობიერად იწვევს განწყობილებას, ან ესთეტიკურ ემოციას, რაც პოეზიის მიზანს შეადგენს, ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ ცნობიერ ფორმას ვერ ვაძლევთ ყველაფერს და, ცხადია, ვერც ცნებებში გამოვხატავთ. თვითონ შემოქმედი ამას უშუალოდ განიცდის, ჩვენ კი, მკითხველებმა, წარმოსახვისა თუ ასოციაციების საშუალებით ინტუიტიურად უნდა ვიგრძნოთ ეს და შესაძლებელ ფორმებში გამოვხატოთ, რაც ძნელია, ძალიან ძნელი, რადგან ამას, ალბათ, განსაკუთრებული უნარი უნდა..

ა. აინშტაინის მიხედვით, „ეს არის უნარი ისეთი რამის აღქმისა, რაც გონებისათვის მიუწვდომელია, და ჩვეულებრივი განცდებისათვის დაფარული, რისი მშვენება და სრულყოფაც ჩვენამდე აღწევს მკრთალი ანარეკლის სახით...

თუმცა აინშტაინი კი არა, ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი წერდა, რომ ამისთვის საჭიროა, „თვალნი ზე ზეცისა და ქვე ქვეყნისა საიდუმლოთა მხილველად, ყურნი ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურთა ხმათა მსმენელად, ხელნი — ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემტყობად და ენა ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად..."

ამ სიძნელეს კიდევ უფრო აძლიერებს მხატვრული ასახვის თავისებურება. სინამდვილე აქ ჯერ ცნობიერებაში აღიბეჭდება, შემდეგ კი მხატვრულ ნაწარმოებში გამოისახება. ამასობაში „სინამდვილე" გზადაგზა კარგავს რაღაც ნიშნებს და იძენს ახალს. ეს რთული შემოქმედებითი პროცესია და ამიტომ არც შეიძლება მოდელი უდრიდეს ანაბეჭდს, ხოლო ანაბეჭდი მის მხატვრულ „გამოსახებას" (შეგახსენებთ, რომ ეს გალაკტიონის ტერმინია). მოდელის რეპროდუქცია და მისი სუბლიმური პროექცია სხვადასხვაა, მათ შორის დიდი მანძილია. ეს განსაკუთრებით პოეტურ ინტეგრალებს ეხება, სადაც სხვაობა იმდენად რადიკალურია, რომ მოდელი უშუალოდ არ იგრძნობა შედეგში. მხატვრული რეალიზაციის პროცესში იგი თანდათან ბუნდოვანდება და ბოლოს სულაც გარდაისახება ახალ, ფაქტიურად სულ სხვა ფორმაში. მხატვრობაში პიკასო ასე გამოხატავს ამ გარდასახვის პროცესს:

— თქვენ გგონიათ, — წერს იგი, ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ჩემს სურათზე ორი კონკრეტული ადამიანია გამოხატული? (ინტეგრალურ პოეზიაში: ორი ანტინომიური სიტყვა. მ. კ.). ოდესღაც ორივენი არსებობდნენ ჩემთვის, ახლა — აღარ არსებობენ. „ხილვამ", მათი დანახვისას რომ აღმეძრა, თავდაპირველად ჩემში რაღაც გრძნობა გააღვიძა, მერე და მერე მათი რეალური არსებობის შეგრძნობა გაბუნდოვანდა, ადამიანები ფიქციად იქცნენ, საბოლოოდ სრულიად გაქრნენ, ან უკეთ, სხვადასხვა პრობლემებად გარდაისახნენ (პოეზიაში: განუსაზღვრელი მესამის კონგლომერატი, მ. კ.). ეს არის უკვე არა ორი ადამიანი, არამედ ფორმები და ფერებია (პოეზიაში: ანტინომიურ სიტყვათა კორელატიური დაწყვილება. მ. კ.), ფორმები და ფერები, თანდათანობით რომ მიიღეს ამ ორი ადამიანის (ორი ცნების. მ. კ.) იდეა და თავისთავში (მესამის კონგლომერატში — მ. კ.) ინახავენ მათი ცხოვრების თრთოლვას...

სწორედ ეს შენახვა უზრუნველყოფს მოდელისა და შედეგის ურთიერთკავშირს. ამ კავშირის გარეშე კი ნამდვილი ხელოვნება არ არსებობს და, რა თქმა უნდა, არც მაღალმხატვრული ინტეგრალური პოეზია. სადაც ეს კავშირი მთლიანად გაწყვეტილია, იწყება აბსტრაქციონიზმი, რაც პიკასოს საერთოდ არ მიაჩნია ხელოვნებად, რადგან იქ მხოლოდ „ფერადი ლაქების (ფორმალისტურ პოეზიაში: უაზრო სიტყვების, მუსიკაში: ატონალური ბგერების, მ. კ.) ისეთ შერწყმასთან გვაქვს საქმე, რაშიც „ცხოვრების არავითარი დრამატიზმი არ იგრძნობა". ამიტომაც წერს:

— აბსტრაქტული ხელოვნება საერთოდ არ არსებობს. ყოველთვის საჭიროა რაიმე ახლის დაწყება. მოგვიანებით შეიძლება განდევნო რეალურის ყველა კვალი. თავზარდამცემი აქ არაფერია. გამოსახატავი საგნის იდეა უკვე ტოვებს წარუშლელ კვალს სურათზე. საგნის იდეა, — აი, რა აძლევს პირველ ბიძგს მხატვარს, აი, რა აღაგზნებს მის გრძნობებს და აიძულებს თქვენს გონებას — იმუშაოს. იდეები და გრძნობები კი სურათზე გარდაისახებიან, მაგრამ არ ქრებიან...

თუ აქ „საგნების" ნაცვლად ვიხმართ „სიტყვებს" ან „ფერებს", მივიღებთ ინტეგრალური პოეზიის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს. თვითონ გალაკტიონი წერს, რაღაც „ატომის ფერების" შესახებ, რომელნიც „სპობენ სხეულებს და ბადებენ შთაბეჭდილებებს". მე მგონი ეს თანამედროვე (და არა მოდერნისტული) ხელოვნებისა და ინტეგრალური პოეზიის ზუსტი ფორმულაა, რაც პოეზიაში სულაც არ უპირისპირდება ობიექტური სამყაროს ასახვის რეალისტურ მეთოდს.

**კითხვა:** ამ კითხვით კი უფრო შემოისაზღვრება, ლოკალური გახდება საქმის არსი. გალაკტიონის, სახელდობრ რომელი ლექსები მიგაჩნიათ „ინტეგრალური პოეზიის" ნიმუშად? ან არადა, განა გალაკტიონთან ცალკეა „ჩვეულებრივი" პოეზია და ცალკე „ინტეგრალური პოეზიის" ნიმუშები?

**პასუხი** **წიგნში ამის უამრავი მაგალითია მოტანილი. აქ კი მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ:**

ჰგავს შემოხაზულ ვაზას შებინდებული
ჰერი,
სად მცენარეებს ხაზავს სწორ ირისების
ფერი.

სულ ადვილია რწმენა და დაჯერება იმის:
არის ვარდების ფენა, ფენა მთვარეულ
წვიმის:

მოვა ახალი სმენა აქარიშხლების
მძაფრის,
სულ ადვილია რწმენა აუხდენელი
ზღაპრის.

**ან თუნდაც ეს:**

ვენერა სარკესთან ეგონა ფრაგონარს
პალაცო პიტი და პერუჯი ვენეტა.
ფერები მიენდო მშვენიერ საგანარს,
რომელსაც იძლევა ხმები მასენეთა.

გათავდა, განელდა, გაჩუმდა ზღაპარი!
ოცნებავ! შენ წარსულს ვედრებით
შესძახებ,
რომ ისევ აინთოს უცნობი ლამპარი
ვუალის, ვიოლეს და სხვების შესახებ.

**შეიძლება ცალკეული პოეტური ფრაზებიც ავიღოთ:**

1. ის მიდის, თითქოს სიცივეს ვარცხნის
ბოროტი ღიმით.
2. ღამე, მარტოობის მტევნით დახურული...
3. ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი...
4. და გადიღვრება სივრცეებში ყვავილთა
შორის
ნელი ქანება სხვა დინანებით.
5. ამ გაოცებას, მარად ანათებს ძელი,
ისევ დაიდებს რაზას შემოღამების ცელი.
6. მარმარილოდან უდროო დროს აფრენილ
ქორის
ზეცად ავარდნილ შადრევანებით.
7. ოჰ, როგორ გაფითრდა ციურთა
თანადი —
ოცნება, ნახაზი საგანთა უარით.
8. ამაო შიშით შეიშლება გვიანი სული...

**და მრავალი, მრავალი სხვა.**

**არ მინდა იფიქროთ, რომ აქ თითო-ოროლა შემთხვევითი მაგალითია ამოკრეფილი გალაკტიონის პოეზიიდან. არა, სულ ასეა, თავიდან ბოლომდე, როგორც ლექსის მთლიან სტრუქტურაში, ისე ცალკეულ ტაეპებსა და სტროფებში. ვინც ამ თვალსაზრისით გადაიკითხავს გალაკტიონის ლექსებს, ამაში ადვილად დარწმუნდება. იმასაც დაადასტურებს, რომ გალაკტიონამდე ასეთი ლექსები შეუძლებელი იყო:**

უკანასკნელი საზღვარი
აი, რა ტანჯავს ჩემს სულს,
ოდეს ცას ლვარი
მოეფინება, როგორც ხანჯალს,
უშორეს მზეთა.
და ცისარტყელათ,
მისტიურ სპექტრის
გაზომვა სივრცეთა,
უფსკრულების
უგონო ორგია,
გამოგონებისა
ცხოვრება,
შფოთიანი
ორგია.
მომაკვდავი ადამიანის
ტვინში
ორგია.
იკავებს ქვითინს
პლანეტათა შეჯახება.

**ვილაცამ (მგონი, ინგლისელმა მწერალმა პოპმა) იხუმრა: „პოეზია გაგიჟებული პროზაა". ჩვენს შორის დარჩეს და, გალაკტიონის ეს და ბევრი სხვა ინტეგრალური ლექსი მართლაც ჰგავს „გაგიჟებულ პროზას". მერედა, გაგიგონიათ საქართველოში გალაკტიონის მოსვლამდე ამგვარი ლექსი?! არა, რა თქმა უნდა, არა, რადგან ესეც სწორედ ის სიახლეა, რაც გალაკტიონმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში. ან თუნდაც ასეთი პოეტური თქმები თუ შეხვედრია ვინმეს გალაქტიონამდე: ■**

...აყეფდებიან მთვარის ტყუპები;
...უცებ მოჰყვება ჰარხალი ხარხარს;
...მთვარეში შავი შრიალებს ჩალა;
...ივლისისფერი ყინვის თასები...
...გადაუგდე ნიავს ყელი...
**და სხვა... და სხვა...**

**ქართულ პოეზიაში პირველად მხოლოდ გალაკტიონთან ვხვდებით სიტყვათა ამგვარ ანტინომიურ შეკავშირებას: ფერადი ქარები, მარტოობის მტევანი, სულის კვამლი, ქარის სიმძიმე, შავი გუგუნი, მზიური ღამე და ა. შ. მას შეუძლია თქვას: უხილავი სიჩუმე, ღამის სიცილი, შუადღის გულმოდგინება, სნეული**

ფერები, შავი თოვლი, ყინვის სითბო, ყინულთ ჟრიამული, მზის სათავე, მზის სიზმარი და ათასი სხვა. ზოგჯერ ისეთ ლაღ პოეტურ სახეებს შექმნის, ლოგიკის ვერავითარ არტახებში ვერ მოამწყვდევ; იტყვის: რითმებივით ჩამოქნილი თითები, შენი შეშლილი ფერი თუ შიშის ჩრდილით აკანკალდები...

ამგვარ თქმებს ქართულ პოეზიაში გალაკტიონამდე მართლაც ვერ შეხვდებით, თორემ დასავლეთ ევროპაში რამდენიც გნებავთ. ბოდლერიდან დაწყებული დღემდე გაისმის:

ვერლენი: ყრუ ტალღა, ყრუ ნაპირი, ყრუ სიშორე, ყრუ მუხა, ბრმა ზაფხული...

რემბო: მთვარის ღმუილი, ყვავილების ღიღინი, ცეცხლის ზარები, დანაშაულის სილამაზე, ალისფერი სურნელება, მელოდიური გაწითლება, ლურჯი სეტყვა, მწვანე ბაგეები. ვერცხლის თვალები...

ლაფორგი: შავი სიჩუმე, მოლაყბე ქარი, ქაოსის ხველება, მთვარის დენდიზმი, მთვარის სიცრუე, მთვარის ნერწყვები, მელანქოლიის რქები.

რილკე: ქვის დუმილი, მარტოხელა ღამე, ხმამაღალი სიცარიელე, ჩემი ორივე, ღმერთების ჩრდილი, მომღერალი ღმერთი, ცარიელი სიშორე...

ტრაკლი: ბნელი ხმოვანება, შავი ყინვა, მწარე თოვლი, მწვანე სიბნელე, სინათლის ფლეიტა, მუნჯი კივილი, ლურჯი ცახცახი, წითელი ჩრდილი, შავი წვიმა, დაუბადებელი შვილიშვილები...

ელიოტი: მთების ხტუნვა, მე-ს კბილი, წყლის ცეცხლით გამხნევება, ეკალი კოცნაში, ქვის არაფერი, ცხედრის კვირტები, ვირთხების ხეივანი, ბგერის ჩრდილი... ცნებათა ამგვარ შეკავშირებას (სულხან-საბა ორბელიანი წერს „შეგუამებასო“) უფრო ადრინდელ მწერლობაშიც ვხვდებით. იგივე სულხან-საბა ამას კენტავრის ან საბასებურად იპპოკენტავროსის (ცხენ-კაცის) მაგალითზე განმარტავს:

— არათუ ზედ შეგუამებულ არიან, არამედ ზედ მოგონებით შეგუამდებიან; არათუ ზედ მოგონებით გუამობენ, არამედ რა დასცხრეს ზედ მოგონება, იგინიცა თანა დასცხრებიან, რამეთუ არა არს იპოკენტავროსი გუამისა შორის. მხილველთა ცხენ-კაცისათა ესრეთ აღწმასნეს...

ალბათ, სიტყვათა ამგვარი ანტინომიური „შეგუამებით“ იქმნება სახეობრივი მეტყველების ზერეალური (მოგონილი) შესაძლებლობანი პოეზიის ინტეგრალებში. ეს კი იგივეა, რაც, ისევ ის „ორი სიტყვის შეერთება განუსაზღვრელ მესამის კონგლომერატში“. თვით ეს „კონგლომერატიცა“ და ალწბა-ათქლეფაც — სინონიმური ცნებებია. ისინი „მოგონებით გუამობენ“, ამიტომ „ძნელ საცნაურ“ არიან. საბას აქვს ასეთი გამოთქმაც: „მარაგით ზრახუა“. სიტყვა „მარაგს“ იგი ასე განმარტავს: „ცაჲ რა თხელითა ღრუბლითა შემოსილ იყოს“. „მარაგით ზრახუა“ კი „არს სიტყუა ესრე გვარად სთქვა ადვილ საცნაურ არ იყოს, არამედ ვითარცა ღრუბელი რამ ემოსოს ანუ ორ სამ რიგად, გაისინჯოს“. პოეტურ ინტეგრალებში სიტყვები, ცნებები ისე ბუნდოვანია, „ვითარცა ღრუბელი ემოსოს“, თანაც მრავალმნიშვნელოვანი („ორ სამ რიგად, გაისინჯოს“) ე. ი. კაციც არის, ცხენიც და „მოგონილი“ იპპოკენტავროსიც, როგორც მათი „შეგუამება“...

მოგეხსენებათ, ასე იპპოკენტავროსისებურად „შეგუამებული“ სიტყვებია გალაკტიონთან: ელამი მზე, შიშველი შუქი, ბებერი ქარი, შემოღამების ცელი, დემონის წარბები, ჭარხლის ხარხარი და სხვა.

ანტინომიურ სიტყვათა ამგვარი მოგონილი „შეგუამება“ ანუ „სიტყვათა შეკავშირება ნულოვანი მნიშვნელობით“ ლოგიკურის თვალსაზრისით იგივეა, რაც კვადრატული ფესვი ნულიდან და, როგორც წესი, არც გაგების პრინციპს ემორჩილება და არც გონების კონტროლს, რადგან ეს არც „აზროვნების დასკვნის განხორციელებაა“, არც „გაშლილი ლოგიკური რეფლექსია“. ამას არც არაფერი სამეცნიერო ტერმინოლოგია უდგება და არც რამე სხვა გასაღები აქვს მორგებული... გარდა პოეტური ინტეგრალებისა. ამიტომ პოეტიკამ, როგორც მეცნიერებამ, ფორმისა და მნიშვნელობის ეს დიალექტიკა ორგვარი ასპექტით, ორგვარი მოდუსით — სიმბოლურისა და ლოგიკურის გადაჯვარედინებით უნდა განიხილოს. სხვანაირად ამ ორგვარობას ასეც გამოხატავენ: კვანტური აზრშედგენილობა (**квантовое смыслообразование**) და მექანიკური ლოგიკა ერთიანობაში უნდა იქნეს გაშუქებული, რადგან სწორედ ამ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო გაგების ურთიერთობა ქმნის ჭეშმარიტ პოეზიას. ამას მოსდევს კატეგორიული თეზა: პოეტური სიტყვის უკან დგას არა მარტო აზრი, არამედ ლოგარითმების ცხრილიც. ეს იმიტომ, რომ სიტყვის ორი ასპექტიდან — ლოგიკური და პოეტური — ერთი მონოფუნქციურია, ხოლო მეორე — პოლიფუნქციური პოეტური ნაწარმოები მთლიანობაცაა, განუყოფლობაც და ცალკეული მოზაიკური ნაწილების ერთობლიობაც. ეს ელემენტები ზოგან ორგანულად ერწყმიან, ზოგან კი გაურბიან ერთმანეთს: „ელამი მზე“, „ბებერი ქარი“, „შენ, მზიურო ღამის ქარო“ ან ასეთი თქმები:

...დამტვრეული სიფერადის
სულით შემოთეთრება.
და სხვა..

მართალია, სიტყვები აქაც პოეტურ სტრუქტურაში არიან მოქცეულნი, მაგრამ ერთმანეთთან აუცილებელი ლოგიკური კავშირი არა აქვთ. გოეთეს ფაუსტი ამას „სიტყვებს შორის

უთანხმოებას“ უწოდებს. როცა ორი სიტყვა ყოველგვარი ლოგიკური (თუ სემანტიკური-სინტაქსური) კავშირის გარეშე მოთავსებულია ერთმანეთის გვერდით, ერთიც და მეორეც ჰკარგავენ თავიანთ პირდაპირ შინაარსს („პოეზიაში ერთი სიტყვა ნთქავს მეორესო“ — წერს გოეთე) და „განუსაზღვრელი მესამის კონგლომერატში“ იძენენ ახალ მნიშვნელობას (უმთავრესად პირობითს). იმ ორიდან მესამეში გადასასვლელი სუბლიმური ნახტომიც მკითხველის ასოციაციებსა და წარმოსახვაზეა მინდობილი. ეს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ართულებს პოეტური ინტეგრალების აღქმას, რადგან მათში ძნელია ესთეტიკურ და სემანტიკურ ფენომენებს შორის კავშირის დადგენა. არც პოეზიის ემოციური და ტექნიკური რეალობა ემთხვევა ერთმანეთს.

ამგვარ მოვლენებს ჯერ კიდევ 20-იან წლებში „სემანტიკურ ასონანსებს“ უწოდებდნენ. გალაკტიონიც წერს, „ასონანსია სათაყვანო ჩემი სიმდიდრეო“. ამგვარ ასონანსებში სემანტიკურიც იგულისხმება. ეს მით უფრო თვალსაჩინოა, როცა თითქმის მთლიანადაა დარღვეული ლოგიკურ-სინტაქსური და სემანტიკური კანონზომიერებანი:

> ...აყეფდებიან მთვარის ტყუპები.
> ...სურნელი ნაზი, თვალგაპობილი.

ილიას თქმისა არ იყოს, „ციდან ჩამოსულიც რომ იყო, მაინც ვერ მიხვდება“ ვინ არიან ეს „მთვარის ტყუპები“ ან როგორ აყეფდებიან ისინი; როგორ წარმოვიდგინოთ თვალგაპობილი სურნელი და სხვა. ამას, მე მგონი ვერც პირდაპირი და ვერც ირიბი ასოციაციებით მივწვდებით თუმცა, ვინ იცის, იქნებ ვინმემ ამ „თვალგაპობილი სურნელის“ წარმოსახვაში შემეცნ[ე]ბაც სცადოს, ისიც გაიგოს(?) სურნელი როგორ იწვევს ტკივილს, ან „ახალი ხმა“ როგორ ილვრება სურნელებად; მართლაც ძნელია ამგვარი ასოციაციების თუნდაც „წარმოსახვაში შემეცნება“, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ამ ლექსებში მაინც შენარჩუნებულია „გამოსახების“ მაღალი პოეტური დონე, სადაც კონტექსტი, სტრუქტურა, მოზაიკა თუ ლოგიკური კვანტი შეფარვით მოქმედებენ ან, სხვისი სიტყვებით რომ ვთქვა, „პოეზიის ბრძოლა აზრთან დაფარულია უცხო თვალისაგან“.

ამაში არის სიმართლის ნაწილიც, მაგრამ ზოგად კანონად მაინც არ გამოდგება, რადგან ეს უფრო პოეტური ინტეგრალებისათვისაა დამახასიათებელი, ვიდრე საერთოდ თანამედროვე პოეზიისათვის. ეს კი უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რადგან თანამედროვე პოეზიის ცნებების შინაარსი, როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ ინტეგრალური ლექსებით როდი ამოიწურება. პოლიფუნქციურ სემანტიკურ ასონანსებთან ერთად არსებობს ე. წ. „სემანტიკური კონსონანსებიც“, სადაც სიტყვა ერთმნიშვნელოვანი ანუ მონოფუნქციურია, ხოლო სემანტიკა — ლოგიკური. პირველ შემთხვევაში პოეტური მეტყველება გაურბის ლოგიკურ კავშირს, მეორეში კი მიილტვის მისკენ. ამიტომაა, რომ პოეტური ინტეგრალების აღქმა შესაძლებელია მხოლოდ მის სტრუქტურულ ანუ სიმულტანურ მთლიანობაში და არა სუკცესიური რიგით (მიყოლებით), რადგან ამ რიგებს, მწკრივებს, სტრიქონებსა და სტროფებში ლოგიკური კავშირი შენელებულია ან სულაც უარყოფილი.

გალაკტიონის პოეზია ამის უამრავ ნიმუშს შეიცავს. აქ ყველას, რა თქმა უნდა, ვერ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ სამ მათგანს:

1. როცა ლექსში ცალკეულ სტრიქონებსა და სტროფებს შორის შენელებულია ლოგიკური კავშირი;

2. როცა თვით სტრიქონებში, პოეტურ წინადადებებში (წერტილიდან წერტილამდე) დარღვეულია ლოგიკური კავშირი, ანუ „აფეთქებულია ლექსის სემანტიკური აპარატი“.

3. როცა პოეტური ნაწარმოები მთლიანად აღწევს თავს ლოგიკურ კავშირს და ასოციაციური იმპულსებით მოითხოვს „შემეცნებას წარმოსახვაში“...

ასეთ შემთხვევებში კი ლექსის ერთი კომპონენტი გამოყენებულია იმისათვის, რათა წარმოადგინოს მეორე. ლიტერატურათმცოდნენი ამგვარ მაგალითებს ეძებენ ჰაინეს, პუშკინის ნაწარმოებებში, თანამედროვე ფსიქოლოგები უფრო ბლოკსა და ბალმონტს იხსენიებენ, აგრეთვე ახმატოვას, მანდელშტამს, აქა-იქ პასტერნაკსაც. საერთოდ კი, თანამედროვე ევროპულ პოეზიაში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ორიოდე მაგალითი:

ჟან კოკტო:

> ...ღამეს სძინავს სახლში.

სენ ჟონ პერსი:

> ...ზღვა ფეხშიშველი
> შორდება ნაპირს.

ლოგიკის თვალსაზრისით, ცხადია, ღამეს სახლში არ ძინავს და არც ფეხშიშველი ზღვა უნახავს ვინმეს, მაგრამ რაკი ამგვარ მაგალითებზე მიდგა საქმე, თქვენ გალაკტიონთან უნდა ნახოთ! აქ უფრო მეტსა და „უცნაურს“ შეხვდებით.

იგი წერს:

> ფანტასტიკური პალმა
> სდგას შემკობილი ცხედრით.

სწორედ ამას ეწოდება „შენაცვლება“: ცხედარს „ამკობენ“ პალმით და არა პალმას ცხედრით:

ან ასე:

დადგა *თეთრი ქარები*,
დაითოვლა მთა-ბარი

„თეთრი" ლოგიკურად თოვლს ეხება, ქარებს — არა, მაგრამ მაინც წერია „თეთრი ქარები".

გალაკტიონის საყვარელი ლექსი „მე და ღამე" ასე იწყება:

...ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ,
*შუაღამე იწვის, დნება*...

ან:

...სანთელო, გარხევს ღამის ფიქრები.

არა, შუაღამე არც იწვის და არც დნება. ეს შეიძლება სანთელზე ითქვას. არც ფიქრები არხევენ სანთელს. აქაც მხოლოდ მნიშვნელობათა იმ შენაცვლებაზეა ლაპარაკი, ჩვენ კი როცა ასეთ ლექსებს ვკითხულობთ, ამაზე არც ვფიქრობთ. ასოციაციას თავისთავად მოაქვს სანთლის წვა და დნობა, თუმცა ეს სიტყვა „სანთელი" სულაც არ არის ნახსენები. პოლ ვალერი ამას უწოდებს აზრს, სახეს, ემოციას, რაც წარმოქმნილია „*არარსებული საგნებით*". ისინი გვაიძულებენ დავიჯეროთ იმის რეალობა, რაც არ არის (სხვაგვარად: „არარსებული არსებობა"). ასეა ამ შემთხვევაშიც. გალაკტიონის ლექსში, სანთელი ნახსენები არ არის, მაგრამ ჩვენს ცნობიერებაში მაინც ცოცხლდება სურათი თუ როგორ ზის პოეტი შუაღამით საწერ მაგიდასთან, როგორ იწვის და დნება მის წინ სანთელი, როგორც წარმავლობისა და თვითმსხვერპლშეწირვის სიმბოლო:

სანთელი ხომ თვითონ იწვის, რომ სხვას გზა გაუნათოს!

მერედა ეს „ალოგიკურობა" უშლის ხელს ლექსის ემოციურ აღქმას, თუ პირიქით? საქმე ის არის მხოლოდ, რომ ეს უცნაურად გვეჩვენება, რადგან არ ეთანხმება ტრადიციულ გაგებას. იქ, სადაც ძველად პოეტური თქმა პირდაპირ ასოციაციებს ეყრდნობოდა (ვთქვა: „ყელგადაგდებული ყვავილები"), აქ, ე. წ. „ირიბი ასოციაციებია" საჭირო (გალაკტიონი: „გადაუგდე ნიავს ყელი"). ან თუ უწინ ევროპის რუკას დახედავდნენ, იტალიას ჩექმას ადარებდნენ, მართლაც ჰგავს და იმიტომ, ახლა გალაკტიონი ამბობს:

ლურჯო მონტევიდეო,
ვიწრო ხელთათმანებით.

თუმცა მონტევიდეო სულაც არ ჰგავს ხელთათმანებს.

რატომ? ამასაც შეგვიძლია მისივე ლექსებით ვუპასუხოთ:

...გაჩნდნენ ორხიდეები —
*ყოვლად უმიზეზონი*...

**კითხვა:** როგორ მიგაჩნიათ, შესაძლებელია თუ არა ამგვარი ინტეგრალური პოეზიის რაციონალური აღქმა? და ერთიც, გალაკტიონის „ინტეგრალური პოეზიის ნიმუშები", რომელთა ნათელი ილუსტრაცია ეს-ესაა მოვისმინეთ, ხომ არ არის ის ნიმუშები, მკითხველთა ერთი ნაწილი ბუნდოვანსა და გაუგებარს რომ უწოდებს, ხოლო კრიტიკა ამის თაობაზე თავაზიანად დუმს?

**პასუხი:** თქვენი კითხვა მიკარნახებს ინტეგრალური ლექსის, როგორც „ესთეტიკური ფენომენის", აღქმის სპეციფიკურ საკითხებს შევეხოთ, რადგან სწორედ აქ არის ჩვენი საუბრების ბევრი საკვანძო საკითხი თავმოყრილი. ამ საკითხებს, ახლა, მოგეხსენებათ, მეცნიერების ახალი დარგი — „*ინფორმაციის ესთეტიკა*" სწავლობს, კიბერნეტიკაც, რამდენადაც მასაც საქმე აქვს კომუნიკაციასთან, როგორც ადამიანური მოქმედების ფუძისეულ სიტუაციასთან. ჰაიზენბერგის შემდეგ ეს სრულიად თვალსაჩინო გახდა ესთეტიკური ინფორმაციის ბუნების შესწავლის საქმეშიც. აქედანვე დაიწყო ფიზიკაში, თერმოდინამიკასა და სტატიკურ მექანიკაში ხმარებული ცნების „ენტროპიის" როგორც ინფორმაციის ფუძისეული ცნების (Kernbegriff) გამოყენება ესთეტიკაში. ნორბერტვინერის აზრით. ეს „*ენტროპია*" *არც ძალაა, არც მატერია, და არც წმიდა სულიერი აქტივობა, არამედ ყველა მათგანის სინთეზი, ე. ი. ინტეგრალური ცნება, რაც კომპლექსურად გამოხატავს კომუნკაციის სპეციფიკურ სახეობებს.*

თუ გავითვალისწინებთ, რომ ინფორმაციის ესთეტიკის ძირითადი დებულებაც ის არის, რომ „ხელოვნება კომუნიკაციაა", ცხადი ხდება, თუ რა როლი ენიჭება ესთეტიკურ „ენტროპიას" ამ ასპექტში, რადგან არავითარი კომუნკაცია არ წარმოიდგინება ინფორმაციის გარეშე, ეს ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა დარგს ეხება, მაშასადამე, პოეზიასაც. კომუნკაცია აქაც ორი ფენომენის „გადამცემისა" და „მიმღების" ურთიერთობას გულისხმობს ეს ურთიერთობა კი ინფორმაციის საშუალებით ხორციელდება: პოეტი გვაწვდის ინფორმაციას („გადამცემი"), მკითხველი („მიმღები") იღებს ანუ აღიქვამს მას. კომუნიკაციაც ეს არის და ლექსიც მხოლოდ ამ გზით იქცევა ესთეტიკურ ფაქტად. აბა, ისე ლექსი რა არის! ქაღალდზე ჩამწკრივებული ტიპოგრაფიული ნიშნები, რაც მკითხველის ცნობიერებაში ცოცხლდება ისე როგორც სანოტო ნიშნები საშემსრულებლო ხელოვნებაში. ასეა. ესთეტიკური ფენომენი მხოლოდ მაშინ ცნაურდება, როცა მხატვრული ნაწარმოების *შემქმნელი* და მისი *აღმქმ-*

ელი ხვდებიან ერთმანეთს. მათ შორის კი გატოლების ნიშანი არასოდეს არ დაისმება, რადგან ხელოვნების ფაქტის იმდენი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი, რამდენიც მკითხველი, მსმენელი ან მაყურებელია. ის „ფაქტი" კი თითოეული მათგანის აღქმაში (გაგებაში) თავისებურ სახეს იღებს. ო. მანდელშტამმა ამას **„исполняющее понимание"** უწოდა და დაუმატა, რომ პოეზიაში მხოლოდ ესაა მნიშვნელოვანიო. უნდა ითქვას, რომ ეს გარემოება ართულებს კიდეც კომუნიკაციის ზოგადი კანონების დადგენას, მით უმეტეს, რომ მხატვრული ნაწარმოების გაგება და აღქმა ყოველთვის ინდივიდუალურია. ის კი არა, ბ. კროჩეს რამდენიმე გადაჭარბებული აზრით, პოეტური ნაწარმოები აღქმის ყოველი აქტის დროს, ხელახლა იქმნება, რაც ნაწარმოების ცვლილებას კი არ ნიშნავს, არამედ მისი აღქმის ამოუწურავ შესაძლებლობებზე მიუთითებს. ამ შემთხვევაში კროჩე იმდენ გულმოდგინებას იჩენს ,რომ წერს:

— როცა მე ვწვდები დანტეს რომელიმე სიმღერის შინაგან მნიშვნელობას, მაშინ მე ვარ დანტე...

რაღაც ამის მსგავსს თავის დროზე მონტენიც ამბობდა:

— ვინაიდან პლატონი და მე ამაზე ერთნაირად ვფიქრობთ, ეს აზრი უკვე მე მეკუთვნის და არა პლატონს...

პასკალმა ეს უფრო ნათლად გამოხატა:

— მონტენში კი არა, ჩემსავე თავში ვპოულობ ყოველივე იმას, რასაც მის ნაწერებში ვკითხულობ...

რაც არ უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია: გარკვეული აზრის მიხედვით, მხატვრული ნაწარმოების აღმქმელი, ასე თუ ისე, თანაშემოქმედიცაა. ცხადია, ზოგჯერ უფრო მეტად, ზოგჯერ — ნაკლებად, მაგრამ მაინც. გალაკტიონის პოეზიის ზემოხსენებულ სამ სახეობას თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ, ეს პირველ სახეობაში უფრო ნაკლებ იგრძნობა, მეორეში — უფრო მეტად, ხოლო მესამეში — განსაკუთრებით, ე. ი. მკითხველის თანამონაწილეობა ყველაზე თვალსაჩინო ხდება პოეტური ინტეგრალების აღქმის დროს, სადაც მთავარი პრინციპი აზრის პირდაპირი გამოხახვა კი არ არის, არამედ მისი გამოწვევა. ის, რასაც აქ აზრს ვუწოდებთ, მკითხველის ცნობიერებაში სახიერდება. ეს კი შემოქმედებითი პროცესია, რაც ორ მხარეს გულისხმობს: პოეტი (შემქმნელი) და მკითხველი (აღმქმელი). ინფორმაციის ესთეტიკის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ პლატონიდან და არისტოტელედან მოყოლებული, ესთეტიკას მხოლოდ ხელოვანთან, შემოქმედთან ან მხატვრულ ნაწარმოებთან ჰქონდა საქმე, ხოლო „მეორე მხარე" — მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი, ერთი სიტყვით, აღმქმელი, უყურადღებოდ იყო მიტოვებული. რატომ? თუკი ხელოვნება კომუნიკაციაა, იგი ორივე მხარის ურთიერთობათა კანონზომიერების დადგენას მოითხოვს. გოეთე რომ ამბობდა, „ხედვა ფორმის მიცემააო", არც ესაა ცალმხრივი პროცესი. ხელოვანი რომ ხედავს და ფორმას აძლევს მიღებულ შთაბეჭდილებას, ეს ერთი საქმეა, ხოლო აღმქმელი რომ ხელოვნების ნაწარმოებს ხედავს, კითხულობს, ან ისმენს, ისიც თავისებურ ფორმას აძლევს მიღებულ შთაბეჭდილებას. ეს მაშინაა უფრო თვალსაჩინო, როცა ხელოვანის მიერ შექმნილი ნაწარმოები „ნეგატივივითაა" და მისი სრული გამჟღავნება, როგორც მოგახსენეთ, აღმქმელის ცნობიერებაში ხდება. ალბათ ეს ჰქონდა მხედველობაში ვალერის როცა წერდა, მხატვარმა ის კი არ უნდა ხატოს, რასაც ხედავს, არამედ როგორც დაინახავენო".

ასეთი ნაწარმოები კი ზოგჯერ ესპანელი კონკვისტადორების მოგზაურობას ჰგავს მათ მიერ წარმოსახულ ქალაქ ელდორადოში, ან კი დევ ლაპუტების ქვეყანაში მიმავალ გულივერის თავგადასავალს, გზად რომ მოხუცები შემოხვდნენ და ძლივს გაუგეს ერთმანეთს, რადგან სიტყვებით კი არა, საგნებით ლაპარაკობდნენ. რაღაც ამის მსგავსი ხდება, როცა პოეტურ ინტეგრალებთან გვაქვს საქმე. აქ „იდუმალ აზრს" უნდა მივაგნოთ, მივხვდეთ, წარმოვიდგინოთ ან საკუთარი ასოციაციების მიხედვით თვითონ შევქმნათ სახეთა ფორმები, რაც ემოციურ შთაბეჭდილებებს იწვევს.

ვთქვათ ასე:

სულ სხვაა მძლავრი გუგუნი ზარის
და მზის სხივებზე დამჭკნარი ია,
დემონი ეჭვით სავსე მხატვრის
და სეგანტინის „Ave Maria".

მიუხედავად იმისა, რომ ეს ლექსი მეორე სახეობას (ასოციაციურს) უფრო მიეკუთვნება, ვიდრე მესამეს (ინტეგრალურს), მაინც ადვილი როდია ზარის გუგუნის, მზის სხივებზე დამჭკნარი იის, ეჭვით სავსე მხატვრის, დემონისა და სეგანტინის „ავე მარიას" ერთმანეთთან დაკავშირება და ამ კავშირის „შემეცნება წარმოსახვაში?" სხვაგვარად კი შეუძლებელია გავერკვეთ ამგვარ ინტეგრალურ ლექსებში:

თითქო მოინგრა ზეცა,
    სისხლი, სიცილი ლოთის,
თითქო მალული მხეცი
    უფსკრულებიდან მოდის.
მოდის ბურანი ხანთა,
  მას ბატონობა ანდენ,
სად ყვავილები სჩანდა
  და დემონებიც სჩანდენ.
ვით დამსხვრეული ჭიქა,

გატყდა ღიმილი ტუჩის,
სად დასასრული იყო
ვიწრო, უცნობი ქუჩის.

ამგვარ ლექსებს, უმთავრესად, მოზაიკური ფორმა აქვს: სიტყვები ისეა განლაგებული სტრიქონებსა და სტროფებში, რომ მთავარია არა მათი *ლოგიკური*, არამედ *შესაძლებელი* მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში სიტყვათა სემანტიკური თანმიმდევრობა არცაა დაცული. ამიტომ ცალკე აღებული, გაუგებარია რას უნდა ნიშნავდეს, ვთქვათ, „მზის ლეროზე ხაზებად გაშლილი ეროსი“. ეს სიტყვები რაღაც ბუნდოვან სახეს ჰქმნიან, რასაც თავისთავადი მნიშვნელობა (აზრი, ლოგიკა) არა აქვს, როგორც მოზაიკის დეტალს ან ალგებრული ფორმულების ცალკე ნიშნებს. ამგვარ მნიშვნელობას ისინი შეიძლება იძენდნენ (და ისიც არა ყოველთვის) მოზაიკურ მთლიანობაში, ალგებრულ ფორმულაში ან ლექსის ერთიან სტრუქტურაში. მთლიანობა აქ, უმთავრესად, ირიბ ასოციაციებზეა დაყრდნობილი; ამიტომ ვის შეუძლია თქვას, რამდენად შეესაბამება ჩვენს მიერ წარმოსახული იმას, რაც ინფორმაციის პირველწყაროდან მომდინარეობს, მით უმეტეს, როცა ამგვარი „კვანტური ხილვები“ სიზმრების ახსნას უფრო ჰგავს, ვიდრე იმას, რაც ცხადად გვაქვს ნანახი. მათი შესაბამისობა ზოგჯერ ისე ეფემერულია რომ „შეუიარაღებელი თვალით“ არც აღიქმება, გალაკტიონის თქმით, ეს „*უმაღლესი იდუმალების გაცხადებაა!*“ ისეთ სფეროებში (მესამე სინამდვილეში) შეღწევა, სადაც ყველაფერს: საგნებს, მოვლენებს, განცდებს, შთაბეჭდილებებს თავისებური, პოეტური არსებობა აქვთ, იქ, იმ სამყაროში, პოეტს მკითხველი მხოლოდ წარმოსახვით თუ მიჰყვება „თუ“-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ საეჭვოა, რა გამოვა ამისგან. თუ გნებავთ, ვცადოთ:

საყვარელ ხელებს შეშლივით დავეწაფები,
ბროლის თითები, მზისგან სავსე
ალისფერ ღვინით,
მე დამათრობენ:
გავეგები,
გავენაბები!
პოემას უვრცესს
დაერქმევა
ალვა და სურო.
იქ შორეული მხარეები
უნდა გამეფდეს!
ოჰ!
ეს იქნება ალტაცება ჩემი ნამდვილი,
რომელიც დათვლის შენს თითებზე
დამსხვრეულ ბეჭდებს.

წარმოდგენის მოზაიკური მთლიანობა აქ მხოლოდ ასოციაციათა თავისუფალი თამაშით თუ მიიღწევა, რადგან სიტყვის ერთმნიშვნელოვანი გაგებით იგი პირდაპირ არაფერს გვეუბნება და გვაიძულებს ბევრ რამეს მივხვდეთ ან, როგორც გვინდა, ისე წარმოვიდგინოთ, რისთვისაც ისევ „ირიბი ასოციაციებია“ საჭირო. ჩვენ უნდა მივყვეთ ამ ასოციაციებს და თვითონ შევქმნათ პოეტური ნაწარმოების *საკუთარი ანუ აბსოლუტური რეალობა*, რაც უაღრესად ინდივიდუალური ხასიათისაა, რადგან ყველას საკუთარი ხედვა გვაქვს. ანდაზადაც ითქმის, როგორც შეხედავ, ისე დაინახავო. ეს „შეხედვაც“ ძნელი საქმეა, რადგან საბას განმარტებით, „*ხედვა* არს თვალის ჩენა, გინა საქმე საცნაური, გინა მეცნიერება“; გოეთეს მიხედვით კი „ხედვა — ფორმის მიცემაა“. ჩვენ კი ერთი და იგივე საგანი თუ მოვლენა სულ სხვადასხვაგვარი ფორმით შეიძლება წარმოგვიდგეს, ისე, როგორც ბიბლიურ თქმულებებშია ნათქვამი:

— მოსემ იხილა მარიამი სინას მთაზე, ვითარცა ანთებული კოცონი; აარონმა იგი იხილა, ვითარცა გაფურჩქნული ხე, ნაყოფით დამძიმებული; იაკობმა იგი იხილა; ვითარცა კიბე, მიწაზე დამაგრებული და ცისკენ აღმავალი; იეზეკიელმა იგი იხილა, ვითარცა ჩაკეტილი კარი, რომელშიც არავინ შესულა; გედეონმა იგი იხილა, ვითარცა მატყლი; აბაკუმმა — ვითარცა ჩრდილოვანი მდელო; დანიელმა — ვითარცა მთა და სოლომონმა — ვითარცა სარეცელი...

აბა, ახლა მოდით და გაიგეთ, როგორი უნდა ყოფილიყო სინამდვილეში ის მარიამი! ალბათ, ვინც როგორ შეხედა და იხილა, — ისეთი, სხვა რა შეიძლება აქ ითქვას. ეს ხომ თავისუფალი *წარმოსახვისა* და ე. წ. ირიბი ასოციაციების სფეროა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე ფსიქოლოგები ამ მხრივ ასოციაციათა სამ ძირითად სახეობას არჩევენ: 1. *მოსაზღვრეობითს*, 2. *მსგავსებითს* და 3. *კონტრასტულს*. ჩვენ უმთავრესად კონტრასტული გვაინტერესებს, რადგან სწორედ ეს ეფარდება თანამედროვე პოეტურ ინტეგრალებს. იგი იმდენად მოულოდნელია და უცნაური, რომ მართლაც ინდივიდუალური აღქმის წყარო თუ შეიძლება იყოს. ესეც, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ შესაძლებელი. იტყვის რომელიმე სენ ჟონ პერსი: „ზღვა ფეხშიშველი შორდება ნაპირსო“ და ჩვენ საგონებელში ვვარდებით. ზოგი იტყვის, ფეხშიშველი ზღვა ვის გაუგონიაო. მაგრამ ეს ბრწყინვალე პოეტური მეტაფორა ისეთ გარკვეულ ასოციაციებს იწვევს, რომ თუ ამის აღქმა არ შეგვიძლია. ეს უკვე ჩვენი ბრალია და არა პოეტისა.

იგივე შეიძლება ითქვას გალაკტიონის პოეტურ სტრიქონებზე:

...ღამე დაჭრილი ფრთებივით დაქანდა.
...დემონისას ჰგავს წარბებს, მძლავრი
ნიაღვრის ფრთები.

...ღამის სიცილი დასცურავს ველად (ან:
მიბნედილი ღამის სიცილი).
...მესმის ამ გამძაფრების წამწამების
კანკალი.
...ნაძვებს სუნი ედება, როგორც ნაზი
ტკივილი.
...ქვეყნად კვლავ მოდის დაფარულთა
ფერთა ხსენება.
...ოცნება, როგორც გაფრენილი არწივის
ფრთები...
და სხვა.

სამაგიეროდ ასეთი „სუბიექტური“ ასოციაციებით საყოველთაოსკენ გზის გაკაფვა უფრო ძნელია. იგი უნებლიედ ჩნდება, როგორც მუსიკალური მოტივი. მუსიკა ხომ მხოლოდ სმენითი კატეგორია არ არის. იგი სულის მოძრაობის აკუსტიკაცაა და წარმოსახვის ფორმაც, რაც მუსიკალური მოძრაობისა და კომპოზიციის ერთიანობას გულისხმობს. ეს კი, ჯოისის არ იყოს, მიმინოს გაფრენას ჰგავს სიცარიელეში, ხოლო გალაკტიონისა „უცხო სიმსუბუქეში“ შესვლას...

ჩვენ ამაში გარკვევა გვიჭირს, რადგან ეს არ არის პოეტური კომუნიკაციისა და კონტაქტის ჩვეულებრივი საშუალება... ხოლო რაც უჩვეულოა, ძნელად აღსაქმელიცაა...

კითხვა: ხომ არ იგრძნობა აქ თანამედროვე მოდერნისტული, თუ სულაც აბსტრაქტული პოეზიის გამოვლენა?

*პასუხი*: არავითარ შემთხვევაში! ეს ძველთა-ძველი ამბავია და მეტაფორის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს. „ისტორიულ-ლინგვისტური ანალიზი გვიჩვენებს, — წერს გ. კლაუსი წიგნში „სიტყვის ძალა“, — რომ ყოველგვარ აზრობრივ პროცესში, რომელსაც მივყავართ უცნობიდან ნაცნობისაკენ, — შემეცნების საწყისებთან იდგა მეტაფორა“. იგი იმ თავიდან ამ თავამდე ყოველთვის ახასიათებდა პოეზიას, შეიძლება არა ისე გამძაფრებულად, როგორც თანამედროვეს, მაგრამ მაინც. აბა, დააკვირდით ქართულ ხალხურ ხატოვან თქმებს, განა იქაც ისეთ მოვლენებთან არა გვაქვს საქმე, როცა *სიტყვათა პირდაპირი ლოგიკური მნიშვნელობა უარყოფილია*, *ხოლო კონტექსტში ახალ შინაარსს ქმნის* ისევე, როგორც თანამედროვე პოეზიის ინტეგრალურ მეტაფორებში? იტყვიან: სიტყვას ბანზე ნუ მიგდებო, კამეჩის რქაში ხომ არ ზიხარო და ათასი სხვა... ან, თუ გნებავთ, დააკვირდით აქ ხაზგასმულ სიტყვებს, თუ მათი ადგილი წინადადებაში ლოგიკურია: მზის *გულზე* მიჯდომა, პირზე *ხავსის* მოკიდება, პირში *ჩალა* გამოივლო, პირის *ქარად* არ ეყოფა, თვალში *ნაცრის* შეყრა, იმედებს *კბილი* მოეჭრა, მზემ *ყური* ამოჰყო და ა.შ.

ახლა, სიტყვათა ასეთი შეხამება აიღეთ, ხა-*დაც ცნებათა შინარსიდან გამომდინარე პირდაპირი აზრი უარყოფილია* და სულ სხვა, *მესამე* პროექციაშია წარმოდგენილი, რომ იტყვიან, „ლოჟინზე ნაკურთხიო“ — რას მიხვდება კაცი, რომ ეს „უვიცს“ ნიშნავს; „წიწიბურას აშლა“ — საქმის გაფუჭებას; „კოზის პირა“ — ძალიან გამხდარს, „მზის გაუმაძღარი“ — უდროოდ მკვდარს; „საყელოში აწევა“ — გათამამებას, „შაშვის ცრემლი“ — საბრალოს, „ტყემალზე მჯდომი“ — უცოდინარს, „კბილებქვეშ მოტანება“ — დაცინვას და სხვ.

ვინც პირველად გაიგონა ასეთი თქმები: კბილებქვეშ თქმა, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა, მზის მონათალი, ცას ენით დაეკიდება, ეშმაკზე შვიდი დღით ადრე დაბადებული, ძვალგატეხილი წყალი (ეს გამოთქმა გალაკტიონს ჩაუწერია უბის წიგნაკში), ეშმაკის ცხენზე შემჯდარი, ალვირის წახსნა, ფხის გამოჩენა — არ გაუკვირდებოდა, ეს კაცი ნეტავი რას ბოდავს, ხომ არ გაგიჟდაო. ასეა ახლაც, როცა თანამედროვე პოეზიაში ინტეგრალური მეტაფორები და ხატოვანი თქმები გვესმის, რაღაც ქვეყნის დაქცევა გვგონია და თუ რომელიმე ქართველი პოეტის შემოქმედებაში (ვთქვათ გალაკტიონის) სახის ბუნდოვანებაზე, ალოგიზმზე ან სულაც გაუგებარ ფრაზებზე მიუთითებს ვინმე, შეურაცხყოფად მიაჩნიათ, ვითომ ფორმალიზმს აბრალებენო. იმას კი არ უწევენ ანგარიშს, რომ თითქოს ყოველი ხალხური ხატოვანი გამოთქმა ან მეტაფორა, როგორც წესი, *ალოგიკურია* (ვ. ი. *ლენინი* რომ **„АПОГИЗМ ОБЫЧНОГО“**-ს უწოდებს) და ამის გამო ბუნდოვანიც, ვიდრე მის „მეორე აზრს“ არ დავაკანონებთ ან მხოლოდ ემოციურად არ აღვიქვამთ. პოეტურ სიტყვას ხომ ლოგიკური შინაარსიცა აქვს და ემოციურიც. აქ ხან ერთია ფოკუსში მოქცეული, ხან მეორე. ჩვენ ეს უნდა გავარჩიოთ, თორემ ხატოვან თუ მეტაფორულ თქმებში ვერ გავერკვევით, განსაკუთრებით კი მეტაფორულში, რადგან მათ შორის განსხვავებას, თუ გნებავთ, ისიც ქმნის, რომ ხალხური ხატოვანი (თუ მეტაფორული) თქმების გადატანითი მნიშვნელობა, მისი შინაარსი, გახსნილია, შეთვისებული, დამკვიდრებული და ამიტომ გასაგები ყველასთვის, ვინც მისი მნიშვნელობა იცის, ხოლო ვინც არ იცის, იმისთვის ისევე გაუგებარია, გონებით მიუწვდომი, როგორც ინტეგრალური თქმები. უბრალოდ რომ იტყვიან, ის ჩემი მარჯვენა ხელიაო, ყველამ ვიცით, რომ აქ ვიღაც ადამიანზეა ლაპარაკი და არა მართლაც ხელზე — მარჯვენაზე თუ მარცხენაზე. რომ არ ვიცოდეთ, მაშინ ისევე გავიკვირვებდით, როგორც ინტეგრალური პოეზიის ზემოხსენებულ შემთხვევებში.

ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ძველი ხალხური ხატოვანი მეტყველება და თანამედროვე ინტეგრალური მეტაფორები ერთი და იგივეა, არა. მე ვიცი, რომ სპეციალისტები ანსხვავებენ

ერთმანეთისაგან მეტაფორას, ხატოვან თქმას, სიმბოლოს, შედარებას და ა. შ. არ ვდაობ. ალბათ ასეა სწორი, მაგრამ მე მაინც მირჩევნია „ინტეგრალური თქმები“ ან „ინტეგრალური მეტყველება“ ვიხმარო, რადგან ამით ყველა მათგანი ერთიანდება. რა თქმა უნდა, მათ შორის სხვაობაცაა, მაგრამ არა პრინციპული. აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ სიტყვა ორივე შემთხვევაში არა თავისი პირდაპირი, ლოგიკური, არამედ სულ სხვა, გადატანითი მნიშვნელობისაა. ამბობენ კიდეც, პოეტური მეტაფორა ენობრივი მეტაფორის გააქტიურებაა, ინტეგრალურ პოეზიაში კი, სადაც გამოსახვის სახეობრივი სტრუქტურა ადგილს უთმობს სიტყვის ხელოვნებას. ცნებათა ლოგიკური მნიშვნელობიდან მეტაფორულ აზროვნებაზე გადასვლა ანუ „სუბლიმური ნახტომი“ უფრო „აკრობატულია“, მოულოდნელი, უცნაური, საგანგებოდ კონტრასტული, ალოგიკური, ზოგჯერ კი აბსოლუტურად წარმოუდგენელი და, მაშასადამე, გაუგებარიც, ვიდრე მეტაფორული მეტყველების ფარგლებში რჩება. შემდეგ კი, როცა ამ თვისებებს კარგავს, მოძველდება და ყველასათვის გასაგები ხდება, არც იწოდება მეტაფორად. ახლა რომ ერთი ეტყვის მეორეს, „ქურში ხომ არ ზიხარო“, ამის მეტაფორულობაზე არც ფიქრობს, რადგან მეტაფორა თუ შედარების მხატვრულობა მანამ ცოცხლობს, ვიდრე ის ახალია და მოულოდნელი. ჰ. ჰაინე წერს, ვინც პირველად ქალი ვარდს შეადარა, გენიოსი იყო, ვინც მეორედ — ბრიყვიო. ფლობერი თავისთვის „გაცვეთილი მეტაფორების“ ლექსიკონს ადგენდა — არსად გამებაროსო.

ასეთი რამ გალაკტიონს, მართლაც, არ „გაეპარებოდა“ — იგი ახალი, ელვარე, ინტეგრალური მეტაფორების შეუდარებელი ოსტატია თანამედროვე ევროპულ ლიტერატურაში. მაშინაც კი, როცა იგი ძველთაძველ მეტაფორას ხმარობს, სიტყვის რალაც, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ჯადოთი (თვითონ რომ ამბობს, „საიდუმლო წვეთებითო“), „აახალგაზრდავებს“ მას, ან სულაც ახალ სახეს აძლევს. აბა, რუსთაველის ქვეყანაში მზის მეტაფორით ვის გააკვირვებ, მაგრამ როცა გალაკტიონი ამბობს,

ედარები მ ზ ე ს ნ ა მ ა ი ს ა რ ს
მაღალ ლოჟიდან შენ, ბეატრიჩე!..

ეს „ნამაისარი“ იმ ძველ მეტაფორას (ქალი — მზე) ახალ ელვარებას ანიჭებს...

კითხვა: კიდევ ერთხელ, ამ რთულ საკითხებთან დაკავშირებით თითქმის წინა კითხვების განმეორება — შესაძლებელია თუ არა „ინტეგრალური პოეზიის“ „ამგვარ მეტაფორულ საოცრებათა“ რაციონალური აღქმა?

პ ა ს უ ხ ი: რა ვიცი, ალბათ შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში ასეც ამბობენ: რაკი ყველაფერი არსებული სამყაროული ყოვლადობის (Welt all) ნაწილია, საგნებსა და მოვლენებს შორის ყოველთვის შეიძლება რამე კავშირის მოძებნა: კომპოზიციურის, ემოციურის თუ ასოციაციურის, სულერთია, ბოლოს ყველაფერს — უდიდესსაც და უმცირესსაც „უნივერსალური სულიერი სივრცე“ აერთიანებს და ისიც არა მხოლოდ ერთსა და მის მეორეს, თუნდაც მესამეს, იმ ორს შორის რომ ჩნდება, არამედ მრავალ, თითქოსდა ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელ საგნებს, მოვლენებსა თუ ცნებებს. აპოლინერი წერს:

— ქალის კაბის კალთას რომ ხელს შევახებ, ზუსტად შემიძლია ვთქვა, მისი საყვარელი ადვილად იტანს სიცივეს თუ არა...

მაიაკოვსკიც ამბობს:

— ვინც ლოყაწითელ ვაშლში არ დაინახავს კალიშში ჩამოხრჩობილთა გვამებს, იმას პოეზიასთან საქმე არა აქვს...

ამგვარი თავისუფალი ასოციაციები კი ახალ პოეტურ სინამდვილეს ქმნის, რაც უშუალოდ კი არ გამომდინარეობს იმისგან, რაც ითქვა, არამედ ისევ იმ „მესამის განუსაზღვრელ კონგლომერატში“ ისახება და „თქმულში გამოუთქმელის გამოსახვას“ გულისხმობს. მსგავს შემთხვევაში კი სიტყვისა და მისი შინაარსის მოცულობა ანუ საგანსა და ნიშნებს შორის არსებული კავშირი ფორმალური ლოგიკის საშუალებით ვერ აიხსნება. აქ ჯერ ადგილი აქვს ერთგვარ წყვეტილ განვითარებას („კვანტურ ბიძგებს“), შემდეგ კი რალაც ნახტომს (ახლა ამბობენ, „სუბლიმურ ნახტომსო“), რასაც ლიტერატურათმცოდნეებმა, ჯერ კიდევ 20-იან წლებში „ლოგიკური კვანტი“ უწოდეს. ჯერ კიდევ მაშინ წერდა კ. ზელინსკი:

— აი, სწორედ ეს აფეთქება, ლოგიკური ბირთვის დარღვევა, ახალ, განუსაზღვრელ მნიშვნელობათა და აზრთა გახსნასთან ერთად იწოდება სიტყვიერ კვანტად...

და შემდეგ:

— პოეზიაში ყოველი სიტყვა გულისხმობს ამგვარ აფეთქებას, კვანტურ ბიძგებს...

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი, სიმბოლისტური პოეზიისაგან განსხვავებით, აქ ერთი აზრის საშუალებით სხვა რამ აზრზე მინიშნება კი არ არის, არამედ აზრის რღვევა (смыслоразрешение) კვლავწარმოება смыслообразование) — და ახალი აზრის გამოხატვა (смыслоустройство). კ. ზელინსკის შეხედულებით, ასეთია სიტყვის შინაგანი და ორმხრივი წინააღმდეგობის დიალექტიკა, რასაც ისევ „სიტყვათა კვანტურ ბუნებას“ უწოდებს და პოეზიის არსებით ნიშნად მიიჩნევს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, „მით უმეტეს ინტეგრალური პოეზიისა“, სადაც სემანტიკა, სინტაქსი კი არ აღწევს მიზანს, არამედ მათი „ქიმიური დაშლა“, წარმოსახვაში გაქ-

რობა, გაარაფრება. იმიტომ კი არა, რომ ის სიტყვიერი ფორმა უმნიშვნელოა, არა, პირიქით: მხოლოდ ის არის პირველადი აზრობრივი იმპულსების თუ სიგნალების მომცემი, რისგანაც იწყება ესთეტიკურ-ემოციური აღქმა. სამაგიეროდ, როცა ისინი თავიანთ ფუნქციას ასრულებენ, ქრებიან, არაფერდებიან და გზას უთმობენ „პოეზიის უმაღლეს გზას — ინტეგრალებს“.

ო. მანდელშტამი წერს:

**— Смысловые волны-сигналы исчезают исполнив свою работу: чем они сильнее, тем уступчивее, тем менее склонны задерживаться...**

რაც შეეხება „სუბლიმურ ნახტომს“, ეს თავისებური აფეთქებაა (ახლა ამბობენ, „სემანტიკური აპარატის აფეთქებაო“) რაც სრულიად ახალ ხარისხს ქმნის.

გალაკტიონის ინტეგრალურ პოეზიაში ამის უამრავი მაგალითია. იგი სიტყვათა თავისებური გადაადგილებით თუ ანტინომიურ ცნებათა *მოულოდნელი შეკავშირებით* არღვევს სინტაქსურ ლოგიკის კანონებს და ისეთ „*მოქმედების არეს*“ (ფიზიკოსები ამბობენ ასე) ქმნის, რაც ისევ და ისევ მკითხველის წარმოსახვისა და ასოციაციების სრულ თავისუფლებას მოითხოვს. ასე იქმნება *ლექსის შინაგანი სახე*, რაც პოეტური ტექსტის პარტიტურაშია „ჩასაიდუმლოებული“, მაგრამ არა დასრულებული ფორმით. იგი ასეთ ფორმას მხოლოდ ტექსტისა და მკითხველის წარმოსახვის თუ ასოციაციების გადაჯვარედინებით თუ მათი სრული სინქრონულობით იღებს და ამის შემდეგ იქცევა ემოციურ *ინფორმაციად*, რაც ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს. ფიქრობენ, რომ ყოველივე ამის „მათემატიკურად წარმოდგენა“ შეიძლება (ფიზიკოსები ამბობენ, „კვანტური ლოგიკით“) თვითონ პოეტებს ურჩევნიათ თქვან, „მუსიკის საშუალებითო“. ეს უფრო სწორია, რადგან ინტეგრალური პოეზია, როგორც წესი მუსიკის კონსტრუქტიულ საფუძველზეა აგებული.

*კითხვა*: ალბათ ამითაა გამოწვეული გალაკტიონის გაძლიერებული ინტერესი მუსიკისადმი არა?

*პასუხი*: დიახ, როგორც მოგახსენეთ, მუსიკა ინტეგრალური პოეზიის კონსტრუქციული საფუძველია. თვითონ გალაკტიონის სიტყვებია:

მსურდა ყოველში და ყველაფერში
მუსიკა, გრძნობა და სილამაზე.

აქ ისიც საყურადღებოა, რომ გალაკტიონი მუსიკას ყოველთვის პირველად ახსენებს. თვითონ ამბობს „*ლექსს ჯერ თავში მუსიკალურად გავმართავ და მერე ვწერო*“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც მისი პოეტური ხედვის მაგნიტურ ველზე ხვდება — სიტყვის მუსიკად იქცევა. სხვაგვარად ამას ეწოდება „სიტყვის მუსიკალური მუტაცია“. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, ამბობენ, კიდეც: მუსიკა ყველა ხელოვნების საფუძველიაო. ნიცშეს მიხედვით ტრაგედიაც მუსიკის სულისგან იბადება, ვაგნერს გალობა მეტყველების უმაღლეს ვნებად Lcidenschait) მიაჩნია. პოეტები „ქალის ლამაზი სხეულის მუსიკალურ არქიტექტურაზეც“ წერენ. ა. ბელისათვის მუსიკა „ხელოვნებათა სულია“ ან კიდევ: „მუსიკა პოეზიის ჩონჩხია“. მისი აზრით პოეზია ხილულობას (პლასტიკურ სიცხადეს) მუსიკალურად ითვისებს, როგორც სულის გამოუთქმელი იდუმალების საბურველს. თ. მანი გამოთქმაც: „მუსიკა სმენისთვის არის განკუთვნილი“ პირობითად მიიჩნევს. მისი აზრით, უფრო სწორია, თუ ვიტყვით, რომ „იგი ცვლის სულიერი აღქმის არარსებულ ორგანოს“ (სხვები ამას „მეექვსე გრძნობას“ უწოდებენ). ჰ. ბერლიოზი წერდა, რომ „მუსიკას შეუძლია ისეთი შეგრძნებების გამოწვევა, რაც რეალურ სინამდვილეში ჩნდება მხოლოდ შეგრძნების სხვა ორგანოების მეშვეობით...

თ. მანის ვენდელ კრეჩმარი კი ასე მსჯელობს:
— მუსიკის იდუმალი სურვილია არა მოსმენა, არა ხედვა, არა გრძნობა, არამედ, ამის წარმოდგენა რომ შეიძლებოდეს — აღქმა გრძნობისა და გონების მიღმა, წმიდა სულიერ სფეროში...

„რომ შეიძლებოდეს“, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს შეუძლებელია. ისევე შეუძლებელი, როგორც „წმინდა პოეზია“, რის შესახებაც ვალერი ოცნებობს:

— ეჰ, შესაძლებელი რომ იყოს პოეზია მთლიანად გათავისუფლდეს მასალისაგან (სიტყვებისაგან, მ. კ.), აზრობრივი კავშირები გაერთიანდეს ჰარმონიულ ურთიერთობასთან, თემა კი სრულიად ჩადნეს ფორმებში, ფიგურებში — ეს იქნებოდა წმინდა პოეზია, როგორც რეალობა...

„იქნებოდაო“ — ამბობს, და იქვე უმატებს: „მაგრამ ეს მიუწვდომელია“. მართლაც! უსიტყვო პოეზია არ არსებობს, არც — „უსიტყვო რითმები“. ვერლენის ერთ-ერთ კრებულს „უსიტყვო რომანსები“ კი ეწოდება, მაგრამ, ცხადია, მასში მოთავსებული ლექსები, არც „უსიტყვოა“ და არც „რომანსები“. იქ ჩვეულებრივი პოეტური სიტყვებია და მათი საკმაოდ ტრადიციული სინტაქსური წყობა. მე მგონი, გასაგებია, მუსიკოსები (ისიც არა ყველა) რატომ არიან ამხედრებულნი „სიტყვის ტირანიის“ წინააღმდეგ. ი. სტრავინსკი ამბობდა, რომ შემეძლოს, ყველა სიტყვას ამოვფხვრიდი ჩემს მეხსიერებიდანო, მაგრამ დებიუსი სულ საწინააღმდეგოს ამტკიცებდა:

— ყოველგვარი მუსიკალური განვითარება, რაც არ გამომდინარეობს სიტყვიდან, არის შეცდომა...

მიუხედავად ასე მკვეთრად დაპირისპირებული თვალსაზრისისა, მე მაინც მესმის სტრავინსკის აზრი. იმასაც ვხვდები, თუ რატომ დააწერინა

მან თავისი ერთ-ერთი ოპერის ლიბრეტო ისეთ ენაზე, რომელზეც უკვე არავინ ლაპარაკობს, ვებერნმა რატომ მოიგონა ხელოვნური „ენა“ თავის ოპერისათვის ან, რაღა მუსიკოსები, ფეტი რატომ ნატრობს:

**О, еслиб без слов**
**сказаться душой можно было.**

**О, если б**“, მაგრამ პოეზიაში ეს არ გამოვა. არც სიტყვების მუსიკაში სრული „ჩადნობის“ ანუ აბსორბირების მიღწევა შეიძლება. მართალია, თომას მანი წერს „პოლიფონური საგნობრივობის“ სუბლიმირებაზე „მუსიკის ზემატერიულობაში“, მაგრამ ამგვარი მიდრეკილება აქვს მხოლოდ მუსიკას, რადგან მისი მასალა წმინდა ბგერებია. კომპოზიტორი ამ ელემენტებისაგან ქმნის სტრუქტურას. ვალერიმ იცის, რომ პოეტს ეს არ შეუძლია, მას არა აქვს წმინდა ბგერები. მისი ინსტრუმენტებია სიტყვარი და გრამატიკა. ბგერა და აზრი აქ იშვიათად ხვდება ერთმანეთს, ამიტომ ვერ შექმნის ისეთ ნაწარმოებს, რაზედაც ბახი წერს:

— ეს ნაწარმოები არ გულისხმობს არც ადამიანის ხმას და არც რომელიმე ინსტრუმენტის ბგერებს, არამედ მუსიკას მის წმიდა აბსტრაქციაში.

ეს პოეზიაში კი არა, მუსიკაშიც შეუძლებელია, რადგან შედეგი ისევე ვერ მოსწყდება მიზეზს, როგორც სახურავი — საძირკველს, თუმცა ამაზე მეოცნებე პოეტებიც არიან. მალარმე წერს:

— ვიღაც მოხეტიალე მუსიკოსი უკრავს ქუჩაში. ფანჯარას არ ვაღებ, ხელს არ ვყოფ, ფულს არ ვაგდებ. მეშინია არ გავიგო, რომ ინსტრუმენტი თავისით არ მღერის...

ვალერის მარტოობა „უსიტყვო სიტყვებით“ ქადაგებდა „უაზრო აზრებს“, მაგრამ რაც არ უნდა იოცნებონ ამაზე პოეტებმა (ფეტი: **О, еслиб**) (გალაკტიონი: „არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა“) სულერთია, სიტყვები თუ არ იქნა, ვერც პოეტური სახეები გაჩნდება და ვერც დანტე შექმნის „მსოფლიო პოეზიის ორკესტრის პოლიფონურ ჟღერადობას“. რაც შეეხება „უსიტყვო სიტყვებისა“ და „უხმო ხმაურის“ „წმიდა აბსტრაქციებს“, მე მგონი, ეს ის საშუალება არ არის, რომ იმ „ბეწვის ხიდზე“ გაგვატაროს. ამას ხჯობია, აქაც ძველი კლასიკური სენტენცია გავიხსენოთ, რის შესახებაც ილია წერდა:

— მთელს ქვეყანაში სახელგანთქმულმა გერმანელმა ლესინგმა ერთს თავის სახელოვანს თხზულებაში, რომელსაც „ლაოკოონი“ ჰქვიან, თქვა: „მუსიკა არის უტყვი პოეზია და პოეზია — მეტყველი მუსიკა“...

ამ სენტენციის აზრს გადასინჯვა არ სჭირდება, არც პოეტის მუშაობა დაიყვანება დირიჟორის ხელის მოძრაობამდე. ისე კი ჩვენც შეგვიძლია დავუჯეროთ მანდელშტამს და ვთქვათ, რომ დანტე „ევროპული ხელოვნების უდიდესი დირიჟორია, რომელმაც მრავალი საუკუნით განსაზღვრა ორკესტრის ფორმირება“, მაგრამ თქმა იმისი, თითქოს მისი პოლიფონიური სახე „ადეკვატურია დირიჟორის ჯოხის ინტეგრალთან“, — მეტისმეტია და გალაკტიონის პოეტური ინტეგრალების საზომად არ გამოდგება.

გალაკტიონი ისეთი პოეტია, რომლის შეგრძნების ყველა ორგანო სმენით შთაბეჭდილებებს იღებს. იგი სულ მთლად სმენადაა გადაქცეული. ბგერა მისთვის ფერიც არის, სურნელებაც. მთელი სამყარო ერთი უზარმაზარი სიმფონიაა, რომელსაც განუწყვეტლივ ასრულებს მზის ორკესტრი. ბუნებაში ყველაფერი მუსიკაა, ყველაფერი მღერის. ბუნების სიმფონია მზით იწერება. იგი ქმნის ჯადოსნურ ფერებისა და სურნელების მუსიკას. ამიტომაა რომ ბგერები სურნელებად იფრქვევა მის ლექსებში („ახალი ხმა შემოიჭრა, ვით სურნელი...“) სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგან მზის ორკესტრი ერთი წუთითაც თუ შეჩერდა, ბუნება დადუმდება, მთები სიმღერას შეწყვეტენ, ჭიუხები შუბლს შეიკრავენ და საიდანაც ის მთის არკანი — ვაჟა დაიბუბუნებს, რატომ არ მღერით, მთებო...

გალაკტიონი კი სულ გაგიჟდება, დინამიტების აფეთქებას მოინდომებს, იქნებ ცეცხლიც წაუკიდოს მთელ ქვეყანას, ოღონდ ეს აუტანელი დუმილი არ იყოს, ან „დუმილის ხმაურს“ მაინც მოჰკრას ყური. იგი უსმენს რაღაც იდუმალსა და უხილავს, უსმენს მთელი არსებით, გრძნობით, ყურებით, თითებით, თვალებით, დიახ, თვალებით, ნუ გაგიკვირდებათ, ცნობილი ამბავია: თვალებით სმენა შექსპირს „უდიდეს ნიჭად“ მიაჩნდა.

— თქვენ მე თვალებით მისმენთ, აი, რატომ გიყვებით ამ ამბავს, — ეუბნება ო. უაილდი ნაცნობს.

ვისაც ეს არ შეუძლია ნიცშე ემუქრება:

— ყურები უნდა დააგლიჯო იმათ, რათა ისწავლონ თვალებით სმენა...

— **Пожалуйста, громче смотрите** — მოითხოვდა ვ. კამენსკი. თ. მანთან ასეთ რამეებსაც წაიკითხავთ: „თვალებით ყნოსვა“, „ყურებით დანახვა“ და სხვა... ალბათ იმიტომ, რომ „არსებობა ეძებს გრძნობების თვალებით და უსმენს სულის ყურებით“ (ნიცშე). თუმცა რაღა ასე შორს მივდივართ, ჩვენშიც ხომ ამბობენ, გულისყურით. გალაკტიონის „გულისყურიც“ ყოველთვის ბუნების მუსიკისადმია მიპყრობილი. იგი წერს, „ყველა საგანს თავისი მუსიკა აქვსო“. მისთვის მუსიკა და აზრი სინქრონული ცნებებია. სხვაგვარად: აზრი სიტყვის აჩრდილია, სიტყვა კი თავის ეკვივალენტს მუსიკაში ეძებს. ამიტომაც უთქვამთ, „საშველი არ იქნება, ვიდრე გონება არ იპოვის თავის მუსიკასო“. გალაკტიონმა იმთავითვე „იპოვნა“ თავისი „გონების მუსიკა“. ასე შეიკრა სიტყვის, აზრ-

ის, გრძნობისა და მუსიკის მაგიური კვადრატი. ელიოტიც აზრისა და გრძნობის ურთიერთობაზე წერს. მისი შეხედულებით, პოეზიაში გრძნობა იქცევა აზრად, ხოლო აზრი — გრძნობად. ასევე გადადის ერთმანეთში აზრი და მუსიკა.

ამით ის მინდა ვთქვა, რომ გალაკტიონის, ისევე, როგორც ელიოტის ინტეგრალურ პოეზიაშიც სამივე ეს კომპონენტი — აზრი, გრძნობა, მუსიკა განუყოფელია, ან, თუ გნებავთ, ერთი და იგივეა. ჰო, დიახ, ერთი და იგივე.

ერთხელ თურმე ია ეკალაძეს უთქვამს გალაკტიონისთვის:

— შენი ლექსები არ იმღერება. შენს ლექსებში წინა პლანზეა აზრი. აზრი სრესს მუსიკას და უკანა პლანზე აგდებს.

გალაკტიონმა გაიღიმა თურმე თავისებურად და შემპარავი ხმით მიუგო:

— განა აზრი მუსიკა არ არის?"

დიდებულადაა ნათქვამი და... ვინ იცის, იქნებ სწორედ ესეც იყოს გალაკტიონის პოეტური ინტეგრალების „ელვარე გასაღები", რითაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სამყაროს ალქმა იქცევა მუსიკად"... ამიტომაა, რომ გალაკტიონის ინტეგრალურ ლექსებს ხშირად „გაგების" პრინციპი ისევე არ უდგება, როგორც მუსიკას. მართალია, ამას ბევრი უარყოფს, როგორ თუ მუსიკის გაგება არ შეიძლებაო, ზოგი მუსიკოსი თუ მუსიკათმცოდნე ამას შეურაცხყოფადაც მიიღებს და შემოგიტევს, ეს თქვენ არ შეგიძლიათ მუსიკის გაგება, თორემ ჩვენო... და ა. შ.

ამგვარ შემოტევას ადვილად ვუპასუხებ: მე დიდად პატივს ვცემ თქვენს უნარსა და შესაძლებლობებს, მაგრამ მირჩევნია ამ საკითხში ი. სტრავინსკის დავუჯერო, რომელიც ამბობს:

— **Музыку надо не понимать, а воспринимать...**

ანატოლ ფრანსიც წერს რთული პოეტური ნაწარმოებების შესახებ:

— სჯობს ვიგრძნოთ, ვიდრე გავიგოთ...

ხედავთ! აი, სწორედ აქ ხდება პოეზიასა და მუსიკას შორის „ჭიქების მიჭახუნება". გალაკტიონიც ალაგერდს გადადის მუსიკასთან. მან იცის, რომ პოეზია მუსიკასთან ერთად იბადება, რადგან მუსიკაა ლექსის კონსტრუქციული საფუძველი.

ო. რა საინტერესოდ გამოთქვამს იგი ამ აზრს

ერთ-ერთ სუფრული საუბრის დროს მისთვის უგრძნობინებიათ, ცუდად მღერითო. გალაკტიონი არც ისე ცუდად მღეროდა და ეს სწყენია:

— ილიაც არ მღეროდა, მაგრამ სუფრის პირველი თამადა იყო, — უთქვამს მას. ის აბეზარი კი მაინც არ მოეშვა თურმე:

— ილია როცა თამადად იდგა, წინამძღვარიშვილის ჭინკა მოწაფეები ავსებდნენ სიმღერებით ილიას ნაკლს...

აქ კი გალაკტიონს მართლაც გასაოცარი რამ უთქვამს:

— აბა, ერთი ილიას გულში ჩაგეხედათ მაშინ, რა სიმფონიები გუგუნებდა! ილიას არ უმღერია ილიობაზე, მაგრამ „განდეგილზე" კი ფიქრობდა...

ასეა. გალაკტიონისათვის „განდეგილზე" ფიქრი და გულში „სიმფონიის გუგუნი" ერთი და იგივეა, რადგან იმ სიმფონიიდან ისევე იბადება გენიალური პოემა, როგორც ზღვის ტალღებისგან — მშვენიერი აფროდიტე...

მართალია, ზოგს თვით „ზღვის ქაფი" (მუსიკა) უფრო ეხალისება, ვიდრე მისგან დაბადებული აფროდიტე (სიტყვები) და ო. მანდელშტამივით იხვეწება:

**Останься пеной Афродита**
**И слово в музыку вернись...**

მაგრამ გალაკტიონის სიტყვა და მუსიკა ისეა ერთმანეთთან შერწყმული, რომ ამის აუცილებლობას სულაც არ გრძნობს. მისთვის პოეზია და მუსიკა ისედაც სინონიმური ცნებებია, ამიტომაც შეეძლო პ. ვერლენის ცნობილი ფრაზა „მუსიკა უპირველეს ყოვლისა", შეეცვალა უფრო ზოგადი მნიშვნელობის ფრაზით:

„პოეზია უპირველეს ყოვლისა"

სხვაც ბევრი საკითხია წიგნში განხილული, მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ მოვყვებით. ამიტომ სჯობს ეს საუბარი დავამთავროთ. ვისაც სურვილი ექნება, დანარჩენს წიგნში წაიკითხავს.

კითხვა: მიუხედავად ამისა, მე მაქვს კიდევ ერთი კითხვა: გალაკტიონის მიერ დასმულ შვიდ საკითხთაგან, რომელი იყო თქვენთვის ყველაზე ძნელი.

პასუხი: უკანასკნელი, მეშვიდე. აქ უნდა მეჩვენებინა თუ როგორ ვითარდება ქართული პოეზია გალაკტიონის შემდეგ, ე. ი. რა ახალი გზები ისახება გალაკტიონი მერმინდელი ქართული პოეზიის განვითარებაში. საით მიდიან ეს გზები, ისევ ალმართ-ალმართ ახალ მწვერვალებისაკენ, თუ... ღმერთმა ნუ ქნას და... დაბლა, თუნდაც დროებით, მაგრამ მაინც დაბლა, სადაც, ა. ბლოკის თქმით, პოეტურ ბაზრობაზე გამოაქვთ სხვების მიერ მოჭრილი მონეტები და წვრილ ფულზე ახურდავებენ...

თუმცა, ეს რა სათქმელია! ქართულ პოეზიას ახალ-ახალ მწვერვალებისაკენ სწრაფვა არასოდეს შეუწყვეტია და არც ახლა იგრძნობა ამის საშიშროება. ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინც ჩვენი პოეზიის დღევანდელ დონეს გაეცნობა. ალბათ, ესეც გალაკტიონის დამსახურებაა, მისი ჯადოსნური პოეზიის მადლი. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა რასაც დღეს ყველა გრძნობს. გრ. აბაშიძე წერს:

— ახალი ქართული პოეზიის უმთავრეს ნაკა-

დებს გ. ტაბიძის შემოქმედებაში აქვს სათავე და მეოცე საუკუნის ვერც ერთი ქართველი პოეტი ვერ დამალავს გალაკტიონის იმ პირდაპირსა თუ არაპირდაპირ გავლენას, რაც თავისი შემოქმედების რომელიმე საფეხურზე უთუოდ განუცდია...

ასე ამბობს ირ. აბაშიძეც:

— ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ვერც ერთი ქართველი პოეტი, არამცთუ გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ, არამედ მისი თანამედროვენიც კი ვერ გაექცნენ ამ დიდი მბრძანებლის პოეტურ გავლენას...

კაცმა რომ თქვას, გალაკტიონის მეშვიდე კითხვის პასუხიც ეს არის, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივი. გალაკტიონი ამის აღიარებას კი არ გულისხმობს, არამედ გვეკითხება, „როგორ ვითარდებაო"... ეს კი მთელი თანამედროვე პოეზიის ღრმა ანალიზს მოითხოვს, რაც ხელის ერთი მოსმით არ გაკეთდება. წინასწარ აქაც დიდი მოსამზადებელი სამუშაოებია საჭირო. მართალია, ამ ბოლო ხანს რამდენიმე საინტერესო სტატია გამოქვეყნდა, სადაც გალაკტიონის შემდეგი პერიოდის ქართული პოეზიის მთავარ მიმართულებათა გაანალიზების ცდებია მოცემული, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, საჭიროა მონოგრაფიული ხასიათის შრომები თანამედროვე პოეტებზე. გალკატიონის მიერ დასმულ მეშვიდე კითხვასაც უფრო ფართო მასშტაბით უნდა გამოკვლევა. მარტო მე ამის გაკეთება არ შემეძლო. ამიტომ სხვათაგან ვითხოვე დახმარება, პირველ რიგში კი იმათგან, ვისაც დღეს ამ „განვითარების პასუხისმგებლობა აკისრია. მე მოკრძალებით ვთხოვე რამდენიმე მათგანს თუნდაც ძალიან მოკლედ გაეცათ პასუხი იმ კითხვაზე, რადგან გალაკტიონი თუ ახალგაზრდებს მოუწოდებდა „ახალი, ახალი! მოგვეცით ახალიო", ეს ხომ უწინარეს ყოვლისა, იმათ ეხება, ვინც ახალ გზებს კაფავს ქართულ პოეზიაში. ამას რომ ვამბობ, ასე მგონია, ისევ გალაკტიონი დგას ტრიბუნაზე და ზარატუსტრას სიტყვებით მიმართავს ახალგაზრდებს:

— თქვენი გზით წადით! ვინც სულ მოწაფედ რჩება, ცუდ სამსახურს უწევს მასწავლებელს. დამკარგეთ მე და ჰპოვეთ თქვენი თავი. ყველანი რომ ზურგს შემაქცევთ, მე მაშინ მოვალ, სხვაგვარად შეგხედავთ და სხვაგვარად შეგიყვარებთ, თქვენც ისევ ჩემი მეგობრები გახდებით, მხოლოდ სხვა სიყვარულით... და როცა მე მესამედ მოვალ, მაშინ ვიდღესასწაულებთ დიად შუადღეს...

ახლა ვინ იტყვის, „დიადი შუადღის" ის დღესასწაული როდის დადგება. მანამ კი ის უნდა ვთქვათ, რაც შეგვიძლია. სხვათა დახმარებაც ამიტომ ვითხოვე. ზოგი გამოეხმაურა კიდეც ჩემს თხოვნას, ზოგმაც, ალბათ მათთვის გასაგები მიზეზების გამო, თავი აარიდა ამას. „მრგვალი მაგიდა" კი მაინც შედგა და სასურველ დონეზეც ამით წახალისებულმა ვიხუმრე, „მო დავსხდეთ" მეთქი და ყველანი შემოვეწყვეთ მაგიდას. მართალია, მე მეხუთე (თუ მეშვიდე!) ბორბალივით ვტრიალებდი მათ შორის, რადგან, სათქმელი რაც მქონდა, უკვე ვთქვი, ახლა კი მოუთმენლად ველოდი მათი პასუხები როგორ მიესადაგებოდა ჩემს მიერ გამოთქმულ აზრებს: დაადასტურებდა თუ დაუპირისპირდებოდა. როგორაცაა ეს სინამდვილეში, ამასაც თვითონ დაინახავთ, როცა წიგნს წაიკითხავთ. ერთი რამ კი ახლაც ცხადია: რაც დრო გავა, გალაკტიონის სახელი უფრო გაღიდდება. ქართველი პოეტები და მთლად საქართველო ყოველთვის მოწიწებით შეხვდებიან მის მობრძანებას პოეზიის „დიად შუადღეზე". თან იმას იტყვიან, რაც უკვე თქვა პოეტმა არჩილ სულაკაურმა:

მტკვარი,
არაგვი,
ალაზანი,
ბზიფი,
რიონი...
გზა, მეგობრებო!
მობრძანდება გალაკტიონი!
მთრთოლვარე აზრი,
გადაწნული სიმწრით თითები.
სიტყვა — ხავერდზე გაბნეული
მარგალიტები.
გრემი,
გელათი,
ნიკორწმინდა,
ჯვარი,
სიონი,
გზა, მეგობრებო
მობრძანდება გალაკტიონი!
ნათელი სული,
იისფერი ზეცის თავანი.
მამულის გრძნობა —
ის ყველაზე უფრო მთავარი!
უშბა,
თეთნულდი,
შხარა —
ლურჯი კავკასიონი...
გზა, მეგობრებო!
მობრძანდება გალაკტიონი!

და თუ მაშინაც გაიხსენა ვინმემ აქ დასმული მეშვიდე კითხვა, რა იქნება გალაკტიონის შემდეგო, ის „ბავშვივით გულუბრყვილო გენიოსი" გრძელი, ლამაზი თითებით აკაკისეულ წვერ-ულვაშებს ჩამოივარცხნის, ეშმაკურად ჩაიცინებს და, ვინ იცის, იქნებ ტერენციუსის მიერ ოდესღაც ნათქვამი სიტყვებიც გაიმეოროს:

მე თვითონ ვარ ჩემი შემდეგი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მერკვილაძე

# ისევ „ახალ ჰორიზონტზე“

ლადო ავალიანის ათასგვერდიან რომან „ახალ ჰორიზონტზე“ ჩვენს ლიტერატურულ პრესაში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა, მაგრამ მისი ყოველმხრივი განხილვა-შეფასება დღემდე ჯეროვნად ვერ მოხერხდა. ამ მოვალეობას არც ჩემი წერილი კისრულობს; მხოლოდ რამდენიმე მომენტს მინდა შევეხო, ისიც გაკვრით. მართალია, ჩემი შენიშვნები ერთგვარად დაგვიანებულია კიდეც, მაგრამ, ვფიქრობ, ყოველ ასეთ დაგვიანებულ გამოხმაურებასაც ექნება რაღაც მნიშვნელობა იმ საერთო კრიტიკული შეფასებისათვის, ამ რომანმა რომ უნდა მიიღოს, როგორც ლიტერატურულმა ფაქტმა.

„ახალი ჰორიზონტი“ იმ ნაწარმოებთა რიგშია, რომელთაც გარკვეული აზრი ეძლევათ ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში დამკვიდრებულ ვითარებასთან დაკავშირებით. ეს ვითარება მასების აქტივიზაციის ახალი აღმავლობით, ჩვენი ნათელი მიზნებისათვის თავდადებულ და პატიოსან ადამიანთა წინა პლანზე გამოსვლის პათოსით, მანკიერებათა მხილებისა და დაგმობა-აღკვეთის მკვეთრი ტენდენციით არის აღბეჭდილი.

ეს არის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრებისა და ამ კრიტერიუმით უნდა ავწონოთ თუ გავზომოთ „ახალი ჰორიზონტიც“.

არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ მუშათა კლასის თემა ტრადიციულად მეორე პლანზე დგას ჩვენს ლიტერატურაში. ამაზე საკმაოდ თქმულა.

ლადო ავალიანი ის მხატვარია, ვინც, ძირითადად, წარმატებით სცადა საქართველოს მუშათა კლასის ცხოვრების, თანამედროვე ადამიანის სულიერი ფორმირების პროცესის, სოციალური თუ პოლიტიკური გარდაქმნების, ახალი ფსიქოლოგიური მომართულობის ადამიანის ჩამოყალიბების განხატოვნება. მან შექმნა ფართო ეპიკური ტილო ქართველ მუშაზე, მის რთულ ხასიათზე, მის ინტერესებზე, მის გარემოცვასა და პერსპექტივაზე. და ეს რომანი ამ თვალსაზრისით ღარიბი ჩვენი პროზის ფონზე თვალსაჩინო მოვლენად იქცა. შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთი პლანის რომანი ქართველ მუშათა კლასზე, არა მარტო მისი მოცულობის, არამედ პრობლემური მრავალფეროვნებისა და ასპექტური ხილვის თვალსაზრისით, ჩვენ აქამდე არა გვქონია.

„ახალი ჰორიზონტის“ შეფასებისას ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. ერთმანეთს დაპირისპირებული მოსაზრებანიც გამოითქვა. ეს ფაქტი უპირველესად იმას მეტყველებს, რომ რომანმა გარკვეული ინტერესი აღძრა.

ლ. ავალიანის რომანში მეტად საინტერესოდ გამოჩნდა თანამედროვე ადამიანის, ახალი ეპოქის მთავარი გმირის სახე. იგი წარმოსდგა თავისი დიდი საზოგადოებრივი შეგნებითა და ურყევი, თუ გნებავთ, ფანატიკური რწმენით ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლიანობისადმი. ამ შეგნებასა და რწმენას ემყარება მისი მორალი, მისი სულიერი სისპეტაკე. აღნიშნული წმინდა მორალი აქ წარმოსახულია არა როგორც ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფიერების თავისთავადი ნორმა, არამედ როგორც მორალური პასუხისმგებლობა ადამიანისა საზოგადოების წინაშე.

ასეთი მორალით არიან განმსჭვალულნი რომანის გმირები: ნიკო არაბიძე, შატბია, თამარელა თუ სხვები, რომელთა საზრუნავი ყვე-

ლას საზრუნავია, რომელთა იდეალი საყოველთაო იდეალია, რომელთა მთელი ცხოვრებისეული პრაქტიკა პროგრესულ აუცილებლობას დაქვემდებარებული მოუღლელი პრინციპული ბრძოლაა. ამ ბრძოლის პათოსი მომართავს თვითეული მათგანის ფსიქიკას არა როგორც გარედან მიღებული იმპულსი, არამედ როგორც შინაგანი ორგანული მთლიანობა სულისა.

ხასიათის ამგვარ მთლიან პოზიტიურ ხილვას ჩვენს ლიტერატურაში ხშირად მარცხი მოჰყოლია, რადგან იგი საშიშია როგორც ხასიათის წინააღმდეგობრივი ბუნების უგულებელყოფის ტენდენცია. ეს საშიშროება იდგა ლ. ავალიანის წინაშეც. მაგრამ მან გაუძლო გამოცდას, რადგანაც არ გაჰყოლია ეგრეთ წოდებული „იდეალური“ გმირის წარმოსახვის მაცთუნებელ ტენდენციას. ჩემი აზრით, ეს მან იმით შესძლო, რომ თავისი გმირები მოაქცია რთულსა და წინააღმდეგობრივს ვითარებაში და ამგვარი ვითარებანი აქცია მათი ხასიათის წრთობა-გამოცდის საშუალებად. გავიხსენოთ ნიკოს, თამარელას, შატბიას მძიმე ხვედრი ამ ცხოვრებაში; ის სისასტიკე, რითაც ცხოვრება უპასუხებს თვითეულის დაჟინებულ პოზიტიურ მისწრაფებებსა და პირდაპირ თავგანწირვას. და მაინც, ეს ადამიანები არასოდეს იოტის ოდენადაც არ ღალატობენ საკუთარ რწმენასა და მოვალეობას.

რა არის ეს, ადამიანის ტრაგედია? არა. ამ ტრაგიკულ სიტუაციაში კიდევ უფრო მკაფიოდ იხატება ადამიანთა სულის სიდიადე, საერთოდ, ადამიანური ოპტიმიზმის მაღალი ჰუმანური დანიშნულება და ზეიმი. დაე სასტიკი იყოს ცხოვრება ნიკოს მიმართ; დაე, ტრაგიკულად დაიმსხვრეს თამარელას მიერ წლების მანძილზე გულით ნატარები სისპეტაკე სიყვარულისა: დაე, არაადამიანური ტანჯვა გადაიტანოს შატბიამ თუ ასმათმა... ისინი მაინც ბედნიერი ადამიანებია, რადგან შეუბღალველია მათი მორალი, პატიოსნად არის დახარჯული სიცოცხლის ყოველი წუთი. აქ უნდა ვეძიოთ ამ გმირთა ბედნიერებაც და მათი ძნელი ცხოვრების სიდიადეც.

ეს განსაკუთრებით იმიტომაც მინდა აღვნიშნო, რომ რომანის პირველ ტომთან არ შეიძლება ზოგიერთი პრეტენზია არა გვქონდეს. აქ არის, ცოტა არ იყოს, „მოტკბო“ ადგილებიც, ალაგ-ალაგ საგაზეთო პათეტიკაც, აქა-იქ მორცხვად, მაგრამ მაინც გამოკრთება ხოლმე ომისშემდგომი პროზისათვის დამახასიათებელი შელამაზების ტენდენციაც. მაგრამ რომანის შემდგომს ტომებში თანდათან, ისე როგორც ეს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა, მხატვრული ქსოვილი მნიშვნელოვნად თავისუფლდება ამ დანაშრევებისაგან. და ჩვენ მოწმენი ვართ, თუ როგორ თანდათან ეუფლება და იმორჩილებს მონუმენტური ტილოს სირთულეებს რომანისტი. ხოლო დამორჩილების ამ მწერლური ძალის ქვეშ, უპირველესად, მოქცეულია სწორედ ნიკოს, თამარელას თუ შატბიას ხასიათთა განვითარება.

კიდევ რით იქცევს ყურადღებას „ახალი ჰორიზონტი“?

პირველი. ეს არის თაობათა ესტაფეტის პრობლემის მართებული გადაწყვეტა. ეს არის საკითხი იმისა თუ რა უნდა მიიღონ შვილებმა მამებისაგან და როგორ მიიღონ იგი; როგორ წარმართონ ძიება საკუთარი ადგილისა ცხოვრებაში. იხურება რომანის უკანასკნელი გვერდი და ჩვენ თუმცა ვეღარ ვხედავთ, როგორ გააგრძელებს მამის საქმეს შატბია, მაგრამ გვწამს, რომ იგი იქნება ახალი ნიკო არაბიძე ახალ ვითარებაში, ნიკო არაბიძეც და შატბია არაბიძეც ერთად!

მეორე. „ახალი ჰორიზონტი“, მნიშვნელოვანწილად კონტრასტების რომანიც არის. მასში არის დროის კონტრასტიც(ძველი და ახალი ყოფა მეშახტეებისა), ხასიათთა კონტრასტიც (ვთქვათ, ნიკო არაბიძე და ლეონტი ბუზალაძე), ფსიქოლოგიური კონტრასტიც (ერთი მხრივ, ასმათი და, მეორე მხრივ, ვთქვათ, პლანეტა), საზოგადოებრივ-ყოფითი კონტრასტიც (სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი) და კიდევ სხვა პლანის ამგვარი შეპირისპირებანი. რასაკვირველია, კონტრასტი, თავისთავად, არაფერს ნიშნავს, მაგრამ ლ. ავალიანის რომანში იგი ოსტატურად არის გააზრებული და გამოყენებული, როგორც მკვეთრი ფონი მთავარი სათქმელისა.

მესამე. რომანის პრობლემური პათოსი. აქ ბევრი პრობლემაა წამოჭრილი (პარტიული ხელმძღვანელის პრობლემა, კარიერიზმის პრობლემა, ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთობის პრობლემა და კიდევ ბევრი სხვაც). ისინი თავის გადაწყვეტას პოულობენ ზოგიც უშუალოდ და ზოგიც ობიექტურად, ჩვენს შემეცნებაში მიღებული დასკვნების სახით.

მეოთხე. არის რომანში პირდაპირ მაღალი ოსტატობით შესრულებული მთელი რიგი პასაჟებისა, რომელნიც არ შეიძლება დიდხანს არ ჩაგრჩეთ მეხსიერებაში. ასეთად მივიჩნევდი, მაგალითად, რომანის იმ ერთერთ ბოლო თავს, რომელიც ეძღვნება ომიდან დაბრუნებული შატბიას შეხვედრას მამასთან ან პირველი ტომის ფინალს, სადაც გორაკზე შემდგარი თამარელა, სხვათა თვალს მოფარებული, ომში აცილებს შატბიას...

დაბოლოს, ხასიათთა მრავალფეროვნება, მრავალპლანიანობა. გავიხსენოთ კიდევ ისეთი ხასიათები, როგორნიც არიან სულიკო ან ხიდაშელი, ბარდღა-ბიძინა ან კაკო ზიბზიბაძე, მაია

ან ბეგლარი, გონტა ან ქარქაშაძე... რაოდენ მრავალი ფერი ან ასპექტი შეაქვთ მათ რომანის საერთო ქსოვილში! ყოველი ასეთი სახის მიღმა იხედება გარკვეული სოციალური თუ ფსიქოლოგიური სამყარო თავისი წინააღმდეგობებითა თუ სირთულეებით.

ყოველივე ეს აძლევს ზემოქმედების გარკვეულ ძალას ლ. ავალიანის რომანს როგორც ქართველ მეშახტეთა თანამედროვე ეპოპეას.

მეტად ნიშნეული და საყურადღებო ისიც გახლავთ, რომ რომანისტმა შეძლო თავისი ნაწარმოების თემა ძირითადად გაეშალა ზნეობრივ-მორალური კონფლიქტის პლანში, ნაცვლად ძველი ტრადიციული საწარმოო კონფლიქტისა. ეს სიახლე დამახასიათებელია თანამედროვე „საწარმოო“ რომანისათვის და სასიამოვნოა, რომ მისი ერთერთი პიონერი ჩვენს რომანისტიკაში ლ. ავალიანიც არის.

მაგრამ „ახალი ჰორიზონტის“ ავტორს, ჩემი აზრით, აქვს თავისი შეცოდებანიც სინამდვილისა და მხატვრულობის წინაშე. ისინი ერთგვარი აჩქარებით ან უშუალო მასალის შედარებით ნაკლები ცოდნით უნდა ავხსნათ.

დავიწყოთ რომანის სიტუაციებისა და ცალკეული პასაჟების თუ დეტალების შესატყვისობით ემპირიულ სინამდვილესთან ანუ მხატვრის დამოკიდებულებით ცხოვრების მთელ კომპლექსთან, საიდანაც იგი მასალას „იღებს“. აქ ზოგ შემთხვევაში ვერ ხერხდება უშუალო ცხოვრებისეული ფაქტის მხატვრული განზოგადება. ზოგიერთი სირთულე ხელოვნურად მოხსნილია, ხოლო ზოგიერთი სიტუაცია — ასევე ხელოვნურად დამძიმებული; ზოგი რამ ფსიქოლოგიურად სათანადოდ არ არის მოტივირებული და ზოგიერთი რამეც ლოგიკურად არაბუნებრივია ამა თუ იმ ხატოვანი სახისათვის.

ასეთ დეტალებად თუ პასაჟებად უნდა მივიჩნიოთ, ვთქვათ, მტრის პარაშუტისტის დაჭერა რაფიელ ვარდოსანიძისა და მისი შვილიშვილის მიერ; ნაძალადევია, დაუჯერებელია ეს ამბავი. შეიარაღებულ მტერს ასე ადვილად ვერ ჩამოათრევ ხიდან, როგორც ამას გამოუცდელი ბიჭი სჩადის. ან გავიხსენოთ ადიდებული მდინარის მიერ გატაცებული ხამაგრი მასალის ადვილად გამოტანა წყლიდან თუ წალეკილი ხიდის სწრაფად აღდგენა. ასე ადვილი როდია ცხოვრება; იგი უფრო რთულია და ხშირად ისიც კი, რაც შეიძლება ერთი შეხედვით ადვილად ჩანდეს, საოცარი ძალის შინაგან სირთულეს შეიცავს.

მაგრამ სიტუაციის არც ნაძალადევი გართულებაა საჭირო. მაგალითად, როცა ნიკო არაბიძე საკუთარ ეზოში სათუთად მოვლილ ხეებს ჭრის ან მეშახტეები თონესავით გავარვარებულ სანგრევში შედიან, ეს უკვე განგებ შექმნილი სირთულეებია, ასევე დაუჯერებელი დეტალებია. მე ვლაპარაკობ მიგნებული დეტალის თუ წარმოსახული სიტუაციის მხატვრულ ტიპიურ ბუნებრიობაზე. ამ საზომით კი ყოველი მხატვრული ფაქტი უდიდესი სიზუსტით უნდა იყოს აწონილი, თორემ იგი მკითხველის შემეცნებაში სწრაფ უკურეაქციას იწვევს. მაგალითად, როდესაც ავტორი შექსპირის თავისეულ შეფასებას თავს ახვევს რომანის გმირებს, რომლებიც მომზადებულნი არ არიან ისეთი შინაგანი, სულიერი მდგომარეობისათვის, მკითხველს ეძალება გარკვეული უნდობლობისა და ეჭვის გრძნობა. მხედველობაში მაქვს მხატვრული დამაჯერებლობის ძალა, რომელიც მუდამ უნდა ეყრდნობოდეს შინაგანი მოტივირების სიძლიერეს. სადაც არ არის ასეთი მოტივირება, იქ დარღვეულია ბუნებრიობა. ვფიქრობ, მკითხველი ვერ დაიჯერებს იმ სიტუაციის „სიმართლეს“, როდესაც ფრთხილი და მაღალი ზნეობის თამარელა ღამით ბინაში შეჰყვება მისთვის უკვე კარგად ცნობილ გაიძვერა, ბოროტ, კარიერისტ ბუზალაძეს. ბუზალაძის დასჯის მწერლისეულ სუბიექტურ სურვილს ამ სიტუაციაში ვეღარ უტოლდება მხატვრული რეალისტური მოტივირების ძალა. საერთოდ, მთელი ეს პასაჟი ძალიან დამძიმებულია დეტექტივის ჟანრული ხვლებით და ბუნებრივად ვერ „ზის“ მთელ რეალისტურ გარემოცვაში.

ჩემთვის არც ის არის მაინცა და მაინც ნათლად გარკვეული, თუ რატომ ურთავს რომანს მისი ავტორი ინგლისურ დიალოგებს. ხომ არ არის ეს მანერულობა? თუ „ომისა და მშვიდობის“ ავტორი ასეთ ხერხებს იყენებდა გარკვეული მოსაზრებით, რომ უკეთ გაეხსნა რუსული არისტოკრატიის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ხალხის ენისაგან განდგომის ტენდენცია, „ახალ ჰორიზონტში“ ამ ნაცნობი მანერის გამოყენებას არავითარი გამართლება არა აქვს.

რომანის ზოგიერთი ადგილი აღბეჭდილია თხრობის მშრალი, ხშირად პლაკატური მანერით; რომანისტს ალაგ-ალაგ ეძალება ნარკვევის სტილური ელემენტი და, რაც უფრო დასანანია, იგი ვლინდება საწარმოო პროცესების ამსახველ ეპიზოდებში, ხოლო ეს ანელებს ხასიათთა დინამიკურ განვითარებას, მაღალი განზოგადების „ხარისხში“ მათს აყვანას.

და კიდევ ერთი საკითხის გამო. ზემოთ შევეხე რომანის პრობლემურ ხასიათს. ვთქვი, ეს პრობლემური რომანია-მეთქი. მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ძლიერი გატაცება მრავალპრობლემურობით შეიძლება საზიანოც აღმოჩნდეს. მრავალი სხვადასხვა პრობლემის დასმა ხშირად ანელებს ხოლმე ნაწარმოების მთლიან რიტმს, ფანტავს ყურად-

ღებას; არღვევს მხატვრული შემეცნების პროცესში აუცილებელი კონცენტრაციის პრინციპს. თავისი რომანის ბოლო ნაწილში ლ. ავალიანმა ბევრი ასეთი პრობლემა დასვა (ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის, ჭეშმარიტი და საქმოსნური ხელოვნების, თეატრის, მოსახლეობით თბილისის გადატვირთვის და სხვა ამგვარი პრობლემები). ვფიქრობ, ასეთი დატვირთვა რომანის ფინალისა არც საჭირო იყო და არც „მომგებიანი“.

მაგრამ, რას იზამ. „ახალი ჰორიზონტი“ ჩვენი ცხოვრების ამსახველი მეტად ფართო ტილოა და, როგორც წესი, ასეთ ტილოზე ყველა დეტალი თანაბარი ძალით ვერ მოიხატება!

მაინც, მთავარი ის არის, რაც ლ. ავალიანის რომანის შინაგანი მუხტია. ესაა მაღალი ზნეობის, ახალი კომუნისტური მორალის დამკვიდრების პათოსი; ეს არის ბოლო წლებში გაურცელებული ჩვენი ცხოვრების მავნე მხარეთა, სიმახინჯეთა პრინციპული მხილება-დაგმობის პათოსი.

როცა რომანისტი აშიშვლებს კარიერისტ ბუზალაძის მთელ შინაგან ბუნებას, მის მახინჯსა და ბოროტ სულს, ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ბნელი ადამიანები ჩვენს ცხოვრებაში მართლაც იყვნენ და არიან, რომ მათგან უნდა დავიცვათ ჩვენი მორალი და ჩვენი საბოლოო მიზანი.

როცა რომანისტი აშიშვლებს პარტიული ხელმძღვანელის — ბეგლარის პოლიტიკური გაკოტრების პროცესს, ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ხელმძღვანელები სულ მცირე ხნის წინათ იყვნენ ჩვენს შორის და რომ საჭიროა მათი შეცოდებების არა მარტო პრინციპული კრიტიკა, არამედ მთელი მათი ნეგატიური პრაქტიკის აღკვეთა.

როდესაც რომანისტი ნიკო არაბიძის, შატბიას, თამარელას და სხვათა მაგალითით გვიჩვენებს მასების აქტივობის, მათი თავდადების პათოსს, ჩვენ ვიცით, რომ ეს პათოსი ახლა სულ უფრო და უფრო ფართოდ ედება და იპყრობს ჩვენს საზოგადოებას, მთელ ჩვენს ცხოვრებას.

ეს არის მთავარი და დასაფასებელი ლ. ავალიანის რომანში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუტი

# მწერალი და დრო

ერთი დიდი მწერლის დახასიათებისას კონსტანტინე გამსახურდიამ განაცხადა: „გვაოცებს მისი მხატვრული ენერგია, გამოთქმის ძალა და განსწავლულობა. მისი შემოქმედება ზღვასავით ვრცელი და ღრმაა; მან არ იცოდა რა იყო დასვენება, სიჭაბუკიდან სიბერემდე მიჰყვებოდა დაოსტატების მძიმე გზას, რომელიც დიდი შრომის გაუწევლად არც გენიოსებს გაადვილებიათ ოდესმე“.

ეს სიტყვები მართებულია თვით კ .გამსახურდიას მიმართაც. იგი ნამდვილად აღჭურვილი იყო უნივერსალური ცოდნით, გამოირჩეოდა კოლოსალური მხატვრული პოტენციით. კ. გამსახურდია მეცხრამეტე საუკუნის მწერლების დარად ერთი ჟანრით არ იფარგლება. ის ერთდაიმავე დროს პოეტიც არის, დიდი მასშტაბის რომანისტიც, ნოველისტიც, კრიტიკოსიც, ისტორიკოსი და ფილოსოფოსიც, დაუღალავი საზოგადო მოღვაწეც. მას არ სწამდა ხელოვნება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ფანტაზიის ნაყოფია. იგი წერდა: ჩემი შემოქმედების წყარო მუდამ სინამდვილე იყო, არცერთი ლანდშაფტი, ტიპი, სახე მხოლოდ ფანტაზიით არ მომიგონიაო, პოეტური გამოგონება ყოველთვის უსისხლო და უსხეულო გამოვა, თუ მას მიწიერების სურნელება არ გადაჰკრავსო. მისი ტიპები იმდენად მკვეთრად არიან გამოკვეთილნი, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე უწერიათ. ადამიანის ხასიათის ჩაწვდომისა და გადმოცემის უბადლო ოსტატმა აურაცხელი გმირი დახატა. ყველა მათგანს თავისი საკუთარი თვისება და ლექსიკა აქვს. ისინი არაფრით არ ჰგვანან ერთმანეთს. საერთოდ, მწერალი დიდ შრომას ეწეოდა, რათა სახე, ტიპი ყოველმხრივ სრულყოფილი ყოფილიყო.

კ. გამსახურდიას ყველა წიგნი საუკეთესო საზრდოა აზროვნებისათვის. მწერლის მრწამსით, ემოციურობა პირველადი ფაქტორი როდია ხელოვნებაში; მთავარი იდეაა, კლასობრივი პოზიციაა, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ხელოვნება ადამიანის რთული სულიერი ცხოვრებისა და დიდი აზრების ერთობლივი ასახვაა. ახლის გრძნობა, ტაქტი, ზომიერება და თემატიკური მრავალმხრივობა კ. გამსახურდიას მწერლის დიდ ღირსებად მიაჩნდა, მისი აზრით, „კულტურა სულისა არის ვნებათა დაოკება“. სწორედ ეს კულტურა აკლდა თარაშ ემხვარს („მთვარის მოტაცება“), ამიტომაც დაიღუპა იგი.

რაკი სიტყვა „მთვარის მოტაცებაზე“ ჩამოვარდა, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ სანამ ამ ფართო პლანის ნაწარმოებს შექმნიდა, მწერალი ხშირად მოგზაურობდა ქარხნების, კოლმეურნეობების დასათვალიერებლად, ზოგი გეოგრაფიული პუნქტის თავისებურებათა შესასწავლად. ეს მოგზაურობა არსებითად ცხოვრების გაცნობა იყო, ხალხთან, მის მომავალ გმირებთან შეხვედრა გახლდათ. იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს „მთვარის მოტაცებას“, განსაზღვრული და ძლიერია. მაგრამ მისი ტენდენცია წინასწარ დათქმული როდი იყო, პირიქით, თავისთავად გამომდინარეობს ნაწარმოების შინაარსიდან. მწერლის ღრმა რწმენით, აპოლიტიკური და უტენდენციო მწერლობა არ არსებობს. ამას იგი აღნიშნავს „უწყინარ შენიშვნებში“.

კ. გამსახურდიამ თანამედროვე რომანის პრობლემებს რამდენიმე წერილი უძღვნა. მან საკუთარი გამოცდილება განაზოგადა და განზოგადებულ დებულებათა ერთობლიობით ზუსტი წარმოდგენა შექმნა რომანის ჟანრზე. აქ მხოლოდ ერთ მომენტს აღვნიშნავთ: კ. გამსახურდიას უსაყვედურებდნენ — ეროტიულ გრძნობის გადაჭარბებულ ყურადღებას აქცევსო. ჩემი აზრით, ეს საყვედური მთლად სამართლიანი არ არის. მაგრამ უმჯობესია თვით კ. გამსახურდიას მოვუსმინოთ: „ეროტიული ხასიათი თან ახლავს სერვანტესის დონ-კიხოტს. იგი გროტესკული მანე-

რით არის დაწერილი, მაგრამ მაინც დონ-კიხოტისა და დულცინეას რომანი წამყვანი მომენტია ამ ნაწარმოებში. ეროტიული აქცენტი ახლავს ფრანგული რომანის დიდოსტატს ონორე დე ბალზაკს, ფლობერს, გონკურებს და საკმაოდ მოჭარბებულად — გი დე მოპასანს, ახალ დროში — ანატოლ ფრანსს და კიდევ მრავალ დიდ მწერალს. ერთი სიტყვით, ნამდვილი მწერლობა არასდროს ყოფილა „კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის“ მოწაფეთათვის დაწერილი ქრესტომათია. ამოიღეთ ჰომეროსის და საფოს პოეზიის შედევრებიდან ეროტიული ადგილები და ხელში შეგრჩებათ მშრალი რიტორიზმი“.

ეს სრული ჭეშმარიტებაა, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ სტრიქონების ავტორს.

მართალია, „მთვარის მოტაცების“ პირველ გამოცემაში ალაგ-ალაგ გვხვდება „უტილიზებული ბიოლოგიზმი“, მაგრამ შემდეგ მწერალმა გაითვალისწინა კრიტიკის შენიშვნები და რომანი გაწმინდა ასეთი ადგილებისაგან.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რომანის წარმოშობის დღიდან მისი განვითარების ყველა ეტაპზე ამ ჟანრს (ამას ხაზგასმით აღნიშნავს კ. გამსახურდია) ერთი უცვლელი ატრიბუტი ყოველთვის თან სდევს. ეს უცვლელი ატრიბუტი რომანულობა გახლავთ, სასიყვარულო ინტრიგები, სიყვარულის ტანჯვა-წამება, გულმოდგინე და შმაგი სიყვარული გახლავთ, და ყოველივე ეს კ. გამსახურდიას რომანებსაც ახასიათებს.

კ. გამსახურდიას აზრით, კონფლიქტის საფუძვლები ექსპოზიციაშივე უნდა იყოს მოცემული, ამით ჩასჭიდებ მკითხველს ხელს, შემდეგ იგი აუცილებლად გაჰყვება ამბის მსვლელობას, დაინტერესდება გმირის გართულებული ცხოვრების დასასრულით. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა კ. გამსახურდია თავის შემოქმედებაში.

მწერალი ვერ ურიგდებოდა ტრაფარეტულობას როგორც აზროვნებაში, ისე გამოსახვაში. მისი აზრით, ტალანტის აუცილებელი კომპონენტი სიღრმეა, ზერელობა სქემატიზმისა და ერთფეროვნების წყაროა, ტრივიალობა — უბადრუკობის სათავე.

კ. გამსახურდიას მთავარი თვისება ახლისაკენ მუდმივი სწრაფვა იყო. ამდენად, გასაგებია მისი ნაყოფიერება და ნაირნაირი განწყობილების მქონე პერსონაჟების სიცოცხლისუნარიანობა.

ხელოვნების და ლიტერატურის ერთადერთი წყარო რეალური სინამდვილეა, ყველა დიდი მწერალი მუდამ თავისი დროის მოწინავე იდეების მქადაგებელი იყო. და თვით კ. გამსახურდიაც ხომ ჩვენი ეპოქის მგზნებარე ტრიბუნი გახლდათ. იგი ამბობდა, მთავარია თანამედროვეობა, თანამედროვეობის სიყვარული კი თანამედროვე ადამიანისადმი ყურადღებით უნდა გამოიხატოსო. თანამედროვე ადამიანის შეცნობა და მისი ცხოვრების ასახვა — აი მწერლის უპირველესი ამოცანა“ — წერდა კ. გამსახურდია და მხოლოდ ისეთი მწერლობა სწამდა, რომელიც ადამიანის სიყვარულსა და ნდობას აღგვიძრავს, წარმოშობს სურვილს მიბაძო სულით უდრეკებს, ზნეობით სპეტაკებს. ერთ-ერთი ასეთი მწერალთაგანი, — წერდა იგი, — გახლავთ რუსული პროზის ტიტანი ლევ ტოლსტოი, რომელიც „მწერლობას განიცდიდა არა როგორც სახელისა და ფულის მოსახვეჭ პროფესიას, არამედ როგორც კეთილშობილებისა და ინტელექტუალური რაინდობის ემანეციას“.

საგულისხმოა კ. გამსახურდიას შემდეგი განცხადებაც: „გენიოსი იმითაც განსხვავდება ჩვეულებრივი მწერლისაგან, რომ იგი ისე ღრმად სწვდება ყოველი ერის, ყოველი ხალხის სულსა და ფსიქოლოგიას, თითქოს იმავე წრიდან იყოს გამოსული, რომლის ყოფას ან ბუნებას თემად გაიხდის“. აქ იგულისხმება დიდი ჰუმანისტისა და დემოკრატის ლევ ტოლსტოის „კავკასიური მოთხრობები“ — კავკასიის ბუნებისა და მკვიდრთა ხასიათების ჩაწვდომის უბადლო ნიმუში. „კავკასიის ტყვე“ ნამდვილი მარგალიტია მსოფლიო ნოველისტიკაში — წერდა კ. გამსახურდია. ნოველა მას ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე ძნელ ფორმად მიაჩნდა. მასში ხასიათიც უნდა იყოს, ამბავიც, უაღრესად ლაკონიურად გამოთქმული შინაარსიც, ეს კი არც ისე იოლი საქმეაო, — აღნიშნავდა იგი:

ფრიად საყურადღებოა კ. გამსახურდიას აზრები ისტორიული რომანის თაობაზეც. რა თქმა უნდა, რომანისტი მეისტორიე არ არის, „მაგრამ ისტორიულ მასალაზე მომუშავე მწერალს, ისტორიულ მოვლენათა ასახვისას, ევალება მისი ნაშრომი არ ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულ ფაქტოლოგიას, რათა თვით უაღრესად განსწავლულ მკითხველს — ისტორიკოსს ღიმილი არ მოჰგვაროს ამ ნაშრომმა“.

როდესაც კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანებს ვკითხულობთ, ღრმად ვრწმუნდებით, რომ ავტორი მტკიცედ იცავს პრინციპს: „ისტორიულ მასალაზე მომუშავე რომანისტმა აუცილებლად უნდა გაუსწოროს თვალი ამა თუ იმ ეპოქის გარშემო არსებულ ისტორიული კვლევის უკანასკნელ მიღწევებს“.

კიდევ ერთი: „ისტორიულ მასალის პოეტიზირებას მხოლოდ მაშინ აქვს თანამედროვეობისათვის რეზონანსი, როცა თვით აღებული ეპოქა, ან მისი გმირები და მათი ხასიათი ეხმიანება თანადროულობის იდეებს“, — წერდა კ. გამსახურდია; და რამდენად ეხმაურება მისი ისტორიული რომანები თანამედროვეობას, ეს კარგად ჩანს მისსავე წერილებში — „ავტორისეული რეპლიკები“, „თანამედროვე რომანისათვის“. ჩვენ კი აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მწერლისათვის უცხო იყო ისტორიის შელამაზება, წარსულის იდეალიზირება; „დიდოსტატის მარჯვენაში“ მკვეთრად არის მხილებული ფეოდალური პარტიკულარიზმის ავბედითობა.

აღსანიშნავია, რომ კ. გამსახურდია ლიტერა-

ტურის არცერთ დარგს არ ანიჭებდა უპირატესობას. ყველა ჟანრი საჭირო და სასარგებლოაო, ამბობდა. მაგრამ, მისივე თქმით, ერთი კი უდავოა: საუკუნე, რომელმაც უდიდესი დირიჟაბლები აუშვა ცაში, ვერ დაკმაყოფილდება მარტო ლირიკული ლექსით. გრანდიოზული გარდაქმნების ეპოქა მონუმენტურ ეპოსს მოითხოვს. ყველა კულტურულ ერს დიდი ეპოსი მოეპოვება. მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურა ეპოქალურია თავისი დიდი ეპოსით (პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი...) ,რა თქმა უნდა, სწორია ის აზრი, რომ ეროვნული მწერლობა მხოლოდ მაშინ იქცევა დიდ ლიტერატურად, როცა ეპოსის თავკიდურებს დაემყარება. თავისთავად კი ლიტერატურა ეპოსით იწყება. მარტო ბერძნული კი არა, ქართული ლიტერატურაც ეპოსიდან იღებს საწყისს.

დიდ ეპიკურ ქმნილებებში, როგორც კ. გამსახურდია აღნიშნავს, მარტო ერთი რომელიმე ერის ცხოვრების ამბები როდია აღწერილი. კ. გამსახურდიას ყოვლად მცდარად მიაჩნია ის აზრი, თითქოს, თუნდაც შუა საუკუნეებში, ერთა შორის ჩინური კედლები ყოფილიყოს გავლებული. ერთი ერის კულტურა მეორისაზე მუდამ ახდენდა გავლენას.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული ლიტერატურა საგრძნობლად იხრება ეპოსის ჟანრისაკენ. შეიქმნა თემატიკით, შინაარსით და იდეალებით სრულიად ახალი დიდი პროზა, რომლისთვისაც ესოდენ ნიშანდობლივია ცხოვრების მართალი და მაღალხარისხოვანი ასახვა. პარტიულობა და ხალხურობა — აი თანამედროვე ქართული პროზის ძირითადი ტენდენცია.

სიჭაბუკეში კ. გამსახურდიას( ამას იგი თვითონვე აღნიშნავს), მრავალგზის განუცდია სხვადასხვა თეორიისა და ფორმალისტური იდეების გავლენა, მაგრამ შემდეგ მან სავსებით დასძლია ჭაბუკური ცთუნება და ჩვენი ეპოქის მიერ ლიტერატურის წინაშე დასახული ურთულესი ამოცანების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

კ. გამსახურდიას სავსებით სწორი პოზიცია უჭირავს როგორც კლასიკოსებთან დამოკიდებულებაში, ისე ენის საკითხში; იგი წერს: „ჩვენგან მოითხოვა ცხოვრებამ ავსახოთ პროფესორის, აგრონომის, ინჟინრის, მფრინავის, ტრაქტორისტის ცხოვრება, ქალაქური ყოფა და ინდუსტრიული ინვენტარი.., კლასიკოსების გმირებთან შედარებით თანამედროვე რომანის გმირი უფრო რთულია თავისი ემოციების., განცდების მიხედვით, გასული საუკუნის მწერლები არსებითად მთელი საქართველოს ყოფას როდი ხატავენ, არამედ უპირატესად თავიანთი მშობლიური კუთხის ადამიანებს და ლანდშაფტებს; თანამედროვე ოსტატებმა კი თავისი გმირები, ქვეყნის ოთხივე კიდეს უნდა ატარონ, იგი უნდა იცნობდეს არა მარტო ქართველი კაცის ყოფას და ფსიქოლოგიას, არამედ მთელი თანადროული მსოფლიოს ადამიანთა სულისკვეთებას უნდა ჩასწვდეს, რადგან დღეს ყოველი ხელოვნება, რომელიც საკუთარი სამშობლოს საზღვრებს გადაღმა არ გადასწვდება, პროვინციულობისა და შეზღუდულობის ნირს შეინარჩუნებს უთუოდ".

კ. გამსახურდიას აზრით, ინტერნაციონალური ყოფის ნაციონალური ტემპერამენტის პრიზმაში გატარება თანამედროვე მწერლის პირდაპირი მიზანია. რა თქმა უნდა, ასეთი რთული ამოცანების შესრულებისას, ცხადია, მწერალს არ ეყოფა ის სიტყვიერი მარაგი, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნის მწერლები ხმარობდნენ.

ახალ იდეებს მუდამ ახალ სიტყვათა მარაგი მოსდევს, ანუ, როგორც კ. გამსახურდია ამბობს, ახალ კულტურას ახალი სიტყვების მაყრები მოუძღვიან წინ.

კ. გამსახურდიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული ენის ლექსიკური ფონდი, ძველი ქართული ენის საგანძურში დაცული ბევრი სიტყვა გააცოცხლა.

კ. გამსახურდია ხელოვნების მთავარ საკითხებსაც შეეხო. რა თქმა უნდა, სწორია ის აზრი, რომ ყოველი დიდი ქმნილება მრავალგვარი განმარტების საბაბს იძლევა. მაგალითად, ჯოკონდას ღიმილი ყველას თავისებურად ესმის. კ. გამსახურდიასაც თავისი აზრი აქვს ამ სურათზე: „მე პირადად მგონია: ეკლესიისა და არისტოკრატიის მიერ დადგენილი ეტიკეტებით ნებას არ აძლევდნენ წარჩინებულ კაცის" ცოლს ფრივოლური განწყობა გამოემჟღავნებინა. მაგრამ რენესანსის ჟამინდელი მხატვარი შეუჩნდა მას და მოჰგვარა ისეთი ღიმილი, რომლითაც დასცინის იგი როგორც გამომშრალ ეკლესიურ დოგმებს, ისე აზნაურულ ეტიკეტებს".

ადრეც არსებობდა თუ არა ასეთი აზრი ჯოკონდაზე, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს; აქ მთავარი ის არის, რომ კ. გამსახურდია ყველგან და ყველაფერში პრიორიტეტს იდეას ანიჭებს. იგი წერს: „თუ მწერალი არ იწვის რაიმე დიდი კეთილშობილი იდეის სახმილით, შესაძლოა მისმა მწერლობამ თანამედროვენი დროებით გაართოს კიდევაც, მაგრამ მისი შემოქმედება არ დარჩება მომავლის სანიშნოდ და მარადისობის უჭკნობ ძეგლად".

კ. გამსახურდია მთელი თავისი არსებით თანამედროვე ადამიანი იყო. როგორც თვითონ ამბობდა, უკუმზერობა მაინცდამაინც სანაქებო საქმედ არ მიაჩნდა. „მიქელანჯელო და რაფაელი რომ დიდი მხატვრები იყვნენ, ამის „დამტკიცება" არაა ძნელი, შენი თანამედროვე ადამიანის შეცნობა და მისთვის მხარის დაჭერაა საშური" — ვკითხულობთ ლადო გუდიაშვილისადმი მიძღვნილ მის წერილში. კ. გამსახურდიას

აზრით, ლ. გუდიაშვილი ხასიათების გაშიფვრისა და გამოძერწვის უბადლო ოსტატია; „სერაფიტას გასეირნება“, „თამარი“ „ვაჟა-ფშაველა ჩონგურით ხელში“, „ბექა და ბეშქენი“, „კონცერტი“, „ვნება“, „სამაია“ თანამედროვე მსოფლიო მხატვრობის შედევრებია. ლ. გუდიაშვილის ფუნჯი და ფანქარი მრავალკიდოვან მოვლენათა ამსახველია, ამიტომაც რთულია მისი შემოქმედების ლაბირინთი... მხატვარს, გარდა ოსტატობისა, დიდი მოქალაქეობა და მორალური სიწმინდე, უმწიკვლო ბიოგრაფია ამშვენებს. კ. გამსახურდიას წერილები „ივ. ჯავახიშვილი“, „ავეტიქ ისააკიანი“, „ალექსანდრე აბაშელი“, „დავით კაკაბაძე“, „შალვა დადიანი“, „კორნელი კეკელიძე“, „გალაკტიონ ტაბიძე“, „სიმონ ჩიქოვანის პოეზია“, „გიორგი ნატროშვილის მოთხრობები“, „დენიროკ დემირჩიანი“, „სიმონ ჯანაშია“ იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ დიდად აფასებდა მწერალი თავისი დროის ადამიანებს, მწერლობასა და მწერლებს.

კ. გამსახურდიას აზრით, ვერცერთი ეროვნული მწერლობა თანადროული გაგებით ვერ ჩაითვლება ნამდვილ ლიტერატურად, თუ კრიტიკა არ გააჩნია. მწერალი აქვე დასძენს: „ქართული კრიტიკის სათავეები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში პოულობს საწყისს. რა თქმა უნდა, კრიტიკოსს, გარდა დიდი განათლებისა და გემოვნებისა, ესაჭიროება დიდსულოვანი კაიკაცობა და ადამიანებისადმი სიყვარული. სწორედ ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე, მზრუნველი მამა ახალი თაობისა, თავის თანამედროვეთა მიმართ ობიექტური. ილიამ შეიცნო პირველმა ნ. ბარათაშვილის ტალანტი, ვაჟა-ფშაველას გენია და ალექსანდრე ყაზბეგის ნიჭი“.

კ. გამსახურდია არც თანამედროვე კრიტიკით იყო უკმაყოფილო: „კრიტიკის დიდი და სასარგებლო მნიშვნელობის ჯეროვნად არდაფასება, — წერდა იგი, — ჩემი აზრით, უაზრობაა... მე პირადად უნდა განვაცხადო: ზოგიერთმა ჩვენმა კრიტიკოსმა საგრძნობი როლი შეასრულა ჩემი შემოქმედების შეფასებაში. როცა მწერალი წინასწარ გადაწყვეტს, მე ჩემი დიდების აპოგეას მივაღწიე და კრიტიკის კორექტივი არ მესაჭიროებაო, ამით უთუოდ საბაბს იძლევა დავასკვნათ, რომ მისი ლიტერატურული კარიერა დასრულებულია და მას სათქმელი არაფერი დარჩენია“.

კ. გამსახურდიას მტკიცებით, კრიტიკის როლი ახალი ადამიანის აღზრდაში ისევე დიდია, როგორც ლიტერატურის სხვა ჟანრებისა.

მწერალს კარგად ესმოდა, რომ ახალი ეპოქის ასახვა ახალ მხატვრულ მეთოდს, მოვლენებისადმი ახლებურ მიდგომას მოითხოვს, რომ კრიტიკას აქ დიდი დახმარება შეუძლია გაუწიოს მწერალს.

მეტად საგულისხმოა კ. გამსახურდიას მონოგრაფიული ნარკვევები დანტეზე, გოეთეზე, ლეონარდო და-ვინჩიზე, ბაირონზე, ლ. ტოლსტოიზე, ბალზაკზე, ანატოლ ფრანსზე... ამ ნარკვევებიდანაც ჩანს, რომ მწერალი დიდად აფასებდა იმ შემოქმედთ, ვინც ეროვნული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით ცხოვრობდა და თავის ნაწარმოებებში კეთილის ბოროტზე, ნათელი ფერების ჩრდილებზე გამარჯვება გვიჩვენა.

კ. გამსახურდიას მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა სჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ბაქრაძე

# საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობის შესახებ

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ქართველმა ხალხმა შექმნა თავისი დიდი მატერიალური და სულიერი კულტურა. საქართველომ თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში განვლო სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია; ცალკეულ ისტორიულ ეპოქებში, კერძოდ, XII საუკუნეში საქართველო ერთიანსა და მძლავრ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომლის საერთაშორისო ავტორიტეტი ფრიად მაღალი იყო. მისი გავლენა საკმაოდ შორს სწვდებოდა. ასევე ითქმის უფრო ადრინდელ ეპოქებზეც, როცა პოლიტიკური აღმავლობის შესაბამისად დიდად განვითარებული იყო მატერიალური დოვლათის წარმოების გარკვეული ფორმები. ქართველ ტომთა ძველ ხელოსნურ წარმოების ნაკეთობებს დიდი მოწონება და ფართო გასაღებაც ჰქონდა. თრიალეთში, არმაზში, სამთავროში, ურბნისში და აგრეთვე საქართველოს სხვა მხარეებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები ნათელ წარმოდგენას აძლევიან უძველეს ქართულ ხელოსნობის მაღალი დონისა და ხელოსანთა არაჩვეულებრივი ოსტატობის შესახებ. ხელოსნური პროდუქცია საზღვარგარეთის ქვეყნებშიც გადიოდა. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკად. ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს": „ქართველ ტომებს მარტო თავიანთვის კი არ უკეთებიათ მადნეული, ჭურჭელი და იარაღი, არამედ ისეთ შორეულ ქვეყნებშიაც კი მიჰქონდათ ხოლმე გასაყიდად, როგორიც იყო ტვიროსი".[1]

ადრეული შუა საუკუნეების ცნობილი უცხოელი მოგზაური მარკო პოლო საქართველოსა და ქართველი ხალხის ზოგიერთ საქმიანობის შესახებ წერდა: „ქალაქები... აქ საკმაოდ ბევრია; ბევრია აბრეშუმი. აქ აბრეშუმის ქსოვილებსა და ოქროს ქსოვილებს ამზადებენ. ასეთ ლამაზ ქსოვილებს ვერსად ვერ ნახავთ... ხალხი ვაჭრობას და ხელოსნობას მისდევს".[2]

მარკო პოლოს ცნობების მიხედვით, საქართველოში ჯერ კიდევ იმ ხანად ფართოდ ყოფილა განვითარებული აბრეშუმის წარმოება. როგორც ეს მოგზაური აღნიშნავს, აბრეშუმი ჩვენი ქვეყნიდან გაჰქონდათ გენუელებს.

არქეოლოგიურ გათხრების მონაპოვართა გარდა, ჩვენს არქივებსა და განძსაცავებში ინახება მრავალი დოკუმენტი და ძვირფასი მასალა, რომლებიც შუქს ჰფენენ ქართველი ერის პოლიტიკურ ასპარეზზე, სამეურნეო საქმიანობასა, კულტურის სფეროში და აგრეთვე სხვა დარგებშიც მოპოვებულ წარმატებებს.

როგორც ცნობილია, საქართველო მრავალჯერ ნანგრევებიდან და ფერფლიდან ზეაღმართულა. ქართველ ხალხს თავისი ნიჭითა და შემოქმედებითი ენერგიით, დაუღალავი შრომითა და შეუდრეკელი ბრძოლით, როგორც პოლიტიკურ სფეროში, ისე ეკონომიკაში, მეცნიერების, ლიტერატურისა და კულტურის დარგში ბრწყინვალე წარმატებები მოუპოვებია და თავისი მნიშვნელოვანი წვლილიც შეუტანია მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში. საქართველოს მატერიალურმა და სულიერმა კულტურამ საუკუნეების საშინელ ქარტეხილებს გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია.

XII საუკუნის შემდგომ პერიოდებში გარეშე მტერთა ურდოების ხშირი თავდასხმებისა და ქართველი ფეოდალების ურთიერთშორის ბრძოლის შედეგად, საქართველოს სახელმწიფო დაუძლურდა. მართალია, საუკუნეთა მანძილზე იყო პერიოდები, როცა ჩვენი ქვეყანა კვლავ მტკიცედ დადგებოდა ხოლმე ფეხზე, გაძლიერდებოდა, განდევნიდა შემოსეულ მტერს;

მაგრამ გაივლიდა დრო და კვლავ შემოიჭრებოდა მტრის ურდო. მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველო იყო ბრძოლის ველი, მძიმე ომების კერა, რომლებმაც მსხვერპლად შეიწირეს მილიონობით ადამიანის სიცოცხლე, დაანგრიეს ქალაქები და სოფლები.

ჟამთა ბედშავობის შედეგად საქართველოს მშრომელი ხალხი ჩავარდა მეტად მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. ამასთან ერთად იგი განიცდიდა მწვავე კლასობრივ და სოციალურ ჩაგვრას. ქართველ კაცს არ ჰქონდა საშუალება დამშვიდებული შრომისა და ცხოვრებისათვის.

საქართველოს ისტორიის მსვლელობა აღსავსეა შინაგანი თუ გარეგანი წინააღმდეგობებითა და ბრძოლებით. წარსულში განსაკუთრებით რთული იყო საგარეო ვითარება. იმ დროს ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ და ეკონომიურ წინააღმდეგობათა მკვეთრ გამწვავებას, რაც მეტად მძიმეს ხდიდა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას. ყოველივე ამან გამოიწვია საქართველოს რუსეთთან შეერთება, რასაც უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

მოწინავე ქართველ მოღვაწეთა წინაშე საკითხი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, თვით ისტორიული განვითარების მსვლელობამ დააყენა. უკვე თავიდანვე განჭვრიტა გამოჩენილმა ქართველმა სახელმწიფო მოღვაწემ — მეფე ერეკლე მეორემ, ხოლო შემდეგ მისმა შვილმა გიორგიმ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთთან საქართველოს დაახლოებას და მასთან ახლო კავშირის დამყარებას.

მაშინდელ ისტორიული პირობების შესაბამისად საქართველოს რუსეთთან შეერთება დიდ პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა, როგორც პროფ. ნ. ბერძენიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს — „შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი ახლა ეს იყო“.[3]

საქართველოს მეფის ერეკლე II სიკვდილის შემდეგ პოლიტიკური ვითარება საქართველოში კიდევ უფრო დაძაბული გახდა. სპარსელებმა და თურქებმა, ისარგებლეს რა ერეკლე II სიკვდილით, დაიწყეს საქართველოს წინააღმდეგ ახალი ომის მომზადება, მეორე მხრით, შინაგანი განხეთქილებაც მნიშვნელოვნად გაძლიერდა. თურქეთსა და სპარსეთის მხრივ საქართველოზე თავდასხმის საფრთხე სულ უფრო იზრდებოდა. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გარდა, უარესდებოდა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობაც. მოსახლეობა ძლიერ შემცირდა. თუ, მაგალითად, მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში XII საუკუნეში აღწევდა 7-8 მილიონს, XIX საუკუნის დასაწყისისათვის კი ის ნახევარ მილიონზე ნაკლებს შეადგენდა.[4] ოცდახუთი წლის (1770-1795 წლების) განმავლობაში კომლთა რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში შემცირდა თითქმის ორჯერ.

ამავე დროს, გიორგი XII საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რუსეთის სახელმწიფოს დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო ქვეყანაში მტკიცე მშვიდობის დამყარება. ამიტომ მან მიმართა რუსეთს დახმარებისათვის და საჭიროა ითქვას, რომ გიორგი XII, მსგავსად თავისი მამისა, არ შემცდარა არჩევანში.

ჯერ კიდევ 1899 წელს უდიდესი ქართველი მწერალი და პროგრესული საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე სტატიაში „ასი წლის წინათ“, — წერდა: „სხვა გზა არ იყო, მეფე გიორგის ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეულ უბედურებისაგან. ამ საქმეს აჩქარება უნდოდა. ღვთის-მოსავმა და ღვთის-მოყვარე მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი ირჩია. ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიცა, რადგანაც, მისდა მეფობის წინათაც, ჯერ კიდევ 1576 წლითგან, საქართველოს მეფენი ბევრჯერ გამოჰლაპარაკებიან რუსეთს და მისგან ხელშეწყობას და ხელის გამართვას მოჰლოდებიან. ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ ერის მეფემ ქრისტეს ჯვარისვე მოსავი ერი მოიწვია საშველად და მფარველად“.[5]

პოლიტიკური დეცენტრალიზაციისა და ეკონომიური დაქუცმაცებულობის მოსპობის, ქვეყნის გაერთიანებისა და განმტკიცებისათვის ქართული საზოგადოების პროგრესულ ნაწილს საქართველოს რუსეთთან შეერთება აუცილებლობად მიაჩნდა. ქართველი ხალხი ღრმად იყო დარწმუნებული რუსი ხალხისა და მისი სახელმწიფოს უდიდეს ძალასა და სიძლავრეში. საქართველოს მოწინავე ადამიანები ყოველთვის ხედავდნენ რუსეთის სახით საიმედო მოკავშირესა და ღირსეულ მფარველს.[6]

გიორგი XII-ს სურდა, რათა საქართველოს რუსეთთან შეერთება რაც შეიძლება ჩქარა მომხდარიყო. მეორე მხრივ, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრით და მისი სტრატეგიული ადგილმდებარეობით დაინტერესებული იყო აგრეთვე თვით რუსეთიც, ჯერ კიდევ 1800 წლის დეკემბერში რუსი მეცნიერი მინერალოგი, ბერგ-კოლეგიის წევრი ა. ა. მუსინ-პუშკინი აცნობებდა იმპერატორს იმ სარგებლობათა შესახებ, რაც შეეძლო მიეღო რუსეთს საქართველოდან მისი შეერთების შედეგად. ამ საკითხის შესახებ კონკრეტული ცნობა შემონახულია ლენინგრადის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივის დოკუმენტებში.[7]

უწინარეს ყოვლისა, მუსინ-პუშკინს მხედველობაში ჰქონდა შემოსავლები, რომლებსაც

მიიღებდა რუსეთი საქართველოს მდიდარ მადნების შეძენითა და დამუშავებით. სტრატეგიული მხრითაც საქართველოს ჰქონდა აგრეთვე რუსეთისათვის სერიოზული მნიშვნელობა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად ქართველი ხალხის ცხოვრებაში მოხდა დიდი ცვლილებანი. უპირველეს ყოვლისა, მკვეთრად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ვითარება საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველო განთავისუფლდა მტრულ სახელმწიფოთა თავდასხმის მუდმივ საშიშროებისაგან, რის შედეგადაც მოიხსნა უშუალო საფრთხე ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურებისა.

რუსეთის ძლიერ სახელმწიფოსთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთება და მასთან მეგობრულ ურთიერთობის დამყარება იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რუსეთმა, როგორც ცნობილია „ჩვენს ქვეყანას მისცა პოლიტიკური მშვიდობა და უშიშროება".[8]

წავიდნენ ის დრონი, როცა ქართველი გლეხი მუშაობდა ყანაში თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, როდესაც ის ყოველთვის განიცდიდა შიშს მტრულ თავდასხმებისა და აოხრებებისაგან. ამ ვითარების გამო ადამიანი იძულებული იყო ეწარმოებია მხოლოდ ისეთი რაოდენობა პროდუქტებისა, რომლებიც ძლივსღა ყოფნიდა მხოლოდ თვით მარტო მას. არ არსებობდა თვით სტიმული ზედმეტ პროდუქტის შექმნისა. ადამიანები არ იყვნენ დარწმუნებულნი თავისი საკუთრების შენარჩუნებასა და დაცვაში. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში საქონლური მეურნეობა საქართველოში ვითარდებოდა ძლიერ სუსტად.

ქვეყნის არამყარი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, კაპიტალის მფლობელები თავიანთ ფულად საშუალებებს არ აბანდებდნენ სამრეწველო საწარმოებში, ამჯობინებდნენ მოექციათ ისინი ვაჭრობის სფეროში. ასე იქცეოდნენ ისინი იმიტომ, რომ კაპიტალის ბრუნვა მრეწველობაში ხდებოდა გაცილებით ნელა, ვიდრე ვაჭრობაში.

რუსეთთან შეერთების შემდეგ შეიქმნა სრულიად სხვა პირობები საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისა. თანდათან იხსნება გზა სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ზრდისა და ნატურალური მეურნეობის რღვევისათვის. XIX საუკუნის პირველ ნახევარში თანდათან იზრდება მოსახლეობა ქ. თბილისში და აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებშიც. ეს იწვევდა სხვადასხვა საქონელზე მოთხოვნილების გადიდებას. ქვეყნის საერთო სამრეწველო ჩამორჩენილობის პირობებში აუცილებელ საქონელზე გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფა შეუძლებელი იყო. საქონელი, რომელსაც აწვდიდა ქართველი გლეხი და ხელოსანი ბაზარს — არ იყო საკმარისი მომხმარებლის დასაკმაყოფილებლად. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ XIX საუკუნის 20-იან წლებში კაპიტალიზმი რუსეთში იმყოფებოდა თავისი განვითარების ისეთ დონეზე, რომ იგი ძირითადად დასაქმებული იყო თვით ცენტრალური რუსეთის ბაზრის საჭიროებით. ამიტომ მეფის მთავრობა იძულებული იყო წაექეზებია საქართველოში სხვა ქვეყნებიდან საქონლის შემოტანა. ამ მიზნით 1821 წლის 8 ოქტომბრიდან დაშვებული იქნა შეღავათიანი (5 პროცენტი გამოცხადებული ფასიდან) ტარიფის მოქმედება.[9]

შეღავათიანი ტარიფის შემოღების შემდეგ თბილისელი ვაჭრები ხშირად მადიოდნენ ლეიპციგის, ტრიესტის, მარსელისა და სხვა ქალაქების ბაზრებზე და მოჰქონდათ იქიდან დიდი რაოდენობით ევროპული საქონელი. შეღავათიანი ტარიფის შემოღების შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება უცხოეთის საქონლის შემოტანა და ძლიერდება სავაჭრო ბრუნვა საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ზემოთმოტანილი ფაქტი მნიშვნელოვანია იმით, რომ შეღავათიანი ვაჭრობის შედეგად თბლისის ვაჭრებმა უცხოეთის საქონლის მაღალ ფასებში გაყიდვის გზით, აგრეთვე საზღვარგარეთის ბაზრებზე ადგილობრივ ნაწარმის დიდ ფასებში რეალიზაციის შედეგად მიაღწიეს მნიშვნელოვან ფულადი კაპიტალის დაგროვებას.

1821 წლის შეღავათიანმა ტარიფმა თავისუფლება მისცა საზღვარგარეთის ვაჭრობას, მიიზიდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში უცხოელი, განსაკუთრებით ფრანგი ვაჭრები და მეწარმენი. მეფის მთავრობა ეხმარებოდა მათ სავაჭრო და სამეურნეო საქმიანობაში. ამ დახმარების შედეგად ფრანგმა ვაჭარმა კასტელამ თბილისში მოაწყო აბრეშუმსახვევი საწარმო. ტრიბოლიენმ გახსნა „მეაბრეშუმეობის გავრცელების საზოგადოება", საფრანგეთის კონსულმა თბილისში — გამბამ, რომლის ინიციატივითაც შემოღებული იქნა შეღავათიანი ტარიფი, ჩამოაყალიბა ტყის სახერხი საწარმო.

საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარებამ რუსეთში და რუსულ სავაჭრო კაპიტალის შემოჭრამ საქართველოში შეავიწროვა ადგილობრივი კაპიტალი ვაჭრობის სფეროში და მიმართა იგი მრეწველობისაკენ. ამ გზით აღმოცენდა 50-იან წლებში ზოგიერთი სამრეწველო საწარმო თბილისში. შემდგომში ე. ი. რეფორმის შემდგომ პერიოდში ეს პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება.

წვრილი მწარმოებლები ე. ი. გლეხები და ხელოსნები თავიანთ საქონლის რეალიზაციის შედეგად ღებულობდნენ გარკვეულ რაოდენობის ფულად სახსრებს, რაც თავის მხრივ ამზადებდა პირობებს ნატურალური გადა-

სახადის შეცვლისათვის ფულადი გადასახადით.

, ნატურალური გადასახადიდან გადასვლამ ფულადზე ხელი შეუწყო სასაქონლო-ფულად ურთიერთობის განვითარებას. ამ მიმართულებით მოქმედებდა ბაზრობების შემოღებაც. პირველი ბაზრობა გახსნილ იქნა თბილისში XIX საუკუნის 20-იან წლებში. მან ითამაშა მნიშვნელოვანი როლი საქართველოს საშინაო ვაჭრობაში. ბაზრობა მოეწყო აგრეთვე ქუთაისის გუბერნიაში (ხონში) და სხვა ადგილებშიც.

„საქართველო-იმერეთის გუბერნიაში“ 1845 წელს სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის საქონლური ნაწილი, რომელიც იყიდებოდა უშუალოდ ფულზე, შეადგენდა 2.489.492 მანეთს. აღებულ მოსავლის დიდი ნაწილი ხმარდებოდა საკუთარ მოთხოვნილებების უშუალო დაკმაყოფილებას. ამიტომ საქონლის წარმოება ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ნიშანს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ზოგიერთ გლეხს უკვე ჰქონდა ნამეტი პროდუქცია თავის განკარგულებაში, რომელიც გაჰქონდა ბაზარზე გასაყიდად. მაგალითად, კახეთში აღნიშნულ წლებში გვხვდება ისეთი გლეხიც, რომელიც „მემამულეს უხდის თავისი ღვინის მეათედ ნაწილს, მოსავლის ნახევარს ხმარობს თვითონ და ახმარს მეზობლებსა და ბალში მასთან ერთად მომუშავეებს, და მიუხედავად ამისა, კიდევ რჩება მას იმდენი ღვინო, რომ გაყიდოს და საკმაო მნიშვნელოვანი თანხა შეიძინოს“.10

ყოველივე ამან, თავის მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, ხელი შეუწყო სასაქონლო-ფულად ურთიერთობის განვითარებას და ჯერ წვრილი მწარმოებლის გადაქცევას მარტივ საქონელმწარმოებლად, ხოლო შემდეგ კაპიტალისტურ საქონელწარმოების თანდათან აღმოცენებას

XIX საუკუნის პირველ ნახევარში და მის შემდეგაც მნიშვნელოვანად იზრდება აბრეშუმის გატანა საზღვარგარეთ. მაგალითად, თუ 1826-1830 წლებში ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ გატანილი იყო 594 ფუთი აბრეშუმი, 1846-1850 წლებში მისმა გატანამ მიაღწია 3887 ფუთამდე, ხოლო 1857 წელს — 11554 ფუთამდე, ამრიგად, 31 წლის (1826-1857 წ. წ.) განმავლობაში აბრეშუმის გატანა გაიზარდა თითქმის 20-ჯერ. თბილისის გუბერნიაში მთლიანი სავაჭრო ბრუნვა 1851 წელს დაახლოებით შეადგენდა 6 მილიონ მანეთს.

საქართველოში რეფორმის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით რკინიგზების გაყვანის შემდეგ ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში თანდათან იჭრებოდა და ვრცელდებოდა ფაბრიკული საქონლის მოხმარება; თავისი ხიაფითა და ხარისხით რუსეთიდან შემოტანილი საქონელი ავიწროვებდა და აძევებდა მოხმარებიდან ზოგიერთ პროდუქტს, რომელიც წინათ იწარმოებდა საოჯახო მრეწველობაში. საქართველოს ბევრ რაიონში საოჯახო წარმოება კარგავდა თავის წინანდელ მნიშვნელობას და ადგილს უთმობდა ჯერ ხელოსნურს, ხოლო შემდგომში მანუფაქტურულ და ფაბრიკულ წარმოებას. მაგრამ ის არ ნიშნავს, იმას რომ საოჯახო მრეწველობა თითქმის მთლიანად ისპობოდა. ის განაგრძობს თავის არსებობას (არა წინანდელი მასშტაბით) რეფორმის შემდგომ პერიოდშიც მთიან და დ[illegible]რებულ კუთხეებში.

საოჯახო მრეწველობის სახით, ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს „მრეწველობა როგორც პროფესია“,11 მაგრამ შემდგომში მისგან გამოიყოფა ნედლეულის დამუშავების გარკვეული სახეობანი და აღმოცენდება ხელოსნური წარმოება. ხელოსნობა, კი, როგორც წერს ლენინი, —უკვე წარმოადგენს „მრეწველობის პირველ ფორმას“.12 ხელოსანმა, კარგად იცის თავისი განსაზღვრული პროფესია და იგი სულ უფრო სპეციალდება მხოლოდ ერთ რომელიმე ხელოსნური საქმიანობის მიხედვით.

კავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცება მეფის ხელისუფლებას განსაკუთრებით სჭირდებოდა შავ და კასპიის ზღვებისაკენ გამოსასვლელად და მთიელ ხალხების თავის გავლენის სფეროში მოსაქცევად. კავკასიის დამორჩილებით რუსეთი აძლიერებდა თავის პოზიციებს ინგლისისა და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მტაცებლური ჩანაფიქრთა განხორციელების წინააღმდეგ. თავისი ამოცანების განსახორციელებად რუსეთმა ჯერ კიდევ 1803 წელს გაიყვანა საქართველოს სამხედრო გზა და შემოიყვანა ამიერკავკასიაში თავისი ჯარი. ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ ვ. ი. ლენინი წერს კავკასიის შესახებ: „რუსეთის მიერ მისი ეკონომიური „დაპყრობა“ გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა, ხოლო ეს ეკონომიური დაპყრობა სავსებით აქამდეც არ დასრულებულა“13 (ლენინის ეს ნაშრომი დაწერილია 1896-1899 წლებში).

რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ. განსაკუთრებით ირანზე (1828 წ.) და თურქეთზე (1829 წ.) გამარჯვების შემდეგ, თანდათან იწევს პირველ ადგილზე საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისება. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 1832 წელს აღნიშნულ მხარეში, სწარმოებს რუსული წონისა და ზომის სისტემის შემოღება. 1835 წელს ქ. თბილისში გაიხსნა სინჯარის პალატა, რომელმაც დაიწყო მიმოქცევაში რუსული მონეტების გამოშვება.

რუსეთთან შერთების შემდეგ საქართველოში ისპობა შინაგანი ფეოდალური ბაჟები, აგრეთვე ზოგიერთი სხვა შეზღუდვებიც.

რუსული ფულის ხმარებაზე გადასვლამ, ზომა-წონის ახალი სისტემის შემოღებამ, საქართველოში რუსული საქონლის შემოჭრამ და სხვა ღონისძიებების გატარებამ შექმნეს ზოგიერთი პირობა სასაქონლო-ფულად ურთიერთობის განვითარებისათვის. ახალმა ფულადმა სისტემამ გააადვილა და გააფართოვა სავაჭრო-ეკონომიური კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის.

მხარის ეკონომიური ათვისებისა და კოლონიური ექსპლუატაციის მიზნით, მაშინდელი ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩატარდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სტატისტიკური, ფინანსური და აგრეთვე სხვა მხარეების შესწავლა. ფინანსთა მინისტრი კანკრინი მოითხოვდა, რათა ყურადღება მიქცეული ყოფილიყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის არა ყველა დარგისადმი, არამედ ისეთებზე, რომლებსაც შეეძლოთ მაქსიმალური სარგებლობა მოეტანათ სახელმწიფოსათვის.

რუსეთის მრეწველობა დაინტერესებული იყო არა მხოლოდ ამიერკავკასიის ნედლეულის წყაროების ექსპლოატაციით, არამედ ამასთან ერთად, მის ამოცანას წარმოადგენდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში გასაღების ბაზრების შექმნა თავიანთი ფაბრიკების პროდუქციისათვის. მეფის ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა მიმართული იყო იქეთკენ, რათა მის კოლონიებში არ წარმოშობილიყო განსაკუთრებით საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის წამყვანი დარგები და არ ჩამოყალიბებულიყო საზოგადოების რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი.

რუსეთის ბურჟუაზია საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიურ ათვისების საქმეში ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მიიჩნევს კომერციულ გზას. ამის შემდეგ იგი აძლიერებს ღონისძიებებს, მიმართულს ვაჭრობის გაფართოებისა და განვითარებისაკენ საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ასე, მაგალითად, 40-იან წლების მეორე ნახევარში მოსკოვის ფაბრიკანტები და ვაჭრები — ბარანოვი, ძმები გუჩკოვები, როგოჟინი, მალცევი, გოლერინი, ჩეტვერიკოვი, ლეპეშკინი და სხვები გარკვეულ დაინტერესებასა და ინიციატივას იჩენენ ამიერკავკასიის ბაზრის ათვისებასა და გამოყენებაში. ისინი მოითხოვენ ამ მხარეში, კერძოდ თბილისში, რუსულ მანუფაქტურული ნაწარმის დეპოს დაარსებას. ამ საქმეში მათ ყოველმხრივ მხარს უჭერდა ფინანსთა მინისტრი გრაფი ფ. ვრონჩენკო, რომელიც წერდა: „ჩავაგონოთ ფაბრიკანტებს, რომლებიც ამ წამოწყებაში მონაწილეობენ, რომ მათ საზოგადოებრივი სარგებლობის გულისთვის კავკასიაში გაგზავნონ კარგი ხარისხის და ამ მხარის მოთხოვნილების შესაფერი საქონელი, და დაადონ მას ზომიერი ფასები".

მოსკოველ კაპიტალისტების მთავარ მიზანს წარმოადგენდა კოლონიიდან რაც შეიძლება მაღალი მოგების მიღება. ამასთან, ჩვენს მიერ მოტანილ დოკუმენტში აღნიშნული ზომები აუცილებელი იყო იმისათვის; რათა რუსეთის საქონელს კოლონიურ ბაზარზე გაემარჯვა უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე, აგრეთვე ადგილობრივ ვაჭრებზე საკონკურენტო ბრძოლაში და წარმატება მოეპოვებია კავკასიის ბაზრის დაუფლების საქმეში.

1847 წელს რუსმა ფაბრიკანტებმა და ვაჭრებმა თბილისში ჩამოაყალიბეს — „ამიერკავკასიის პირველდაწყებითი სავაჭრო დეპო",[14] რომელშიც მუდმივ მონაწილეობას იღებდა 30-ზე მეტი რუსი მსხვილი ფაბრიკანტი და ვაჭარი. იმავე წლის ბოლოს გაიხსნა აგრეთვე „ბითუმად ვაჭრობის ამიერკავკასიის საზოგადოება". საქონელი მოჰქონდათ რუსეთიდან საქართველოს სამხედრო გზით. 1845 წელს მარტო თბილისში სავაჭრო კაპიტალის ოდენობა, რომელიც ბრუნვაში იყო, უდრიდა 5 მლნ. მანეთს.

XIX საუკუნის 40-იან წლების მეორე ნახევრიდან რუსეთის კაპიტალისტები შედარებით უფრო გაბედულად გამოდიან და იწყებენ აქტიურ მოქმედებას საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიურ ათვისების საქმეში. მათ გადაწყვიტეს თავიანთი კაპიტალები დაებანდებინათ მათთვის საჭირო მეურნეობის დარგებში. ასე, მაგალითად, მოსკოველმა კაპიტალისტებმა — მალიუტინმა, ლეპეშკინმა და სხვებმა ამიერკავკასიაში ინდიგოს მოსაპოვებლად 1850 წელს დააბანდეს 10,000 მანეთამდე ხოლო რუსმა მსხვილმა ფაბრიკანტმა ბარანოვმა 50-იან წლებში ენდროს მოპოვებამ აიყვანა 140 ათასს ფუთამდე ე. ი. ღირებულებით გამოხატულებით 1 მლნ. მანეთამდე.

1850 წელს გაიხსნა სოფლის მეურნეობის საზოგადოება, ხოლო 1852 წელს სასოფლო-სამეურნეო იარაღების დასამზადებლად დაარსებულ იქნა მექანიკური საწარმო. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან მდინარე რიონზე გაიხსნა ნაოსნობა, რამაც დიდი გავლენა იქონია სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებაზე და ხელი შეუწყო სასაქონლო-ფულად ურთიერთობის გაფართოებას. ასე, მაგალითად, სიმინდი და ზოგიერთი სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი მოიხმარებოდა როგორც თვით საქართველოს შიგნით, ისე გაჰქონდათ 50-იან წლებში მნიშვნელოვანი რაოდენობით საზღვარგარეთ გასაყიდად. მეაბრეშუმეობის გაუმჯობესების მიზნით 1836 წელს ეწყობა „მეაბრეშუმეობის გავრცელების საზოგადოება".

1857 წელს ყალიბდება განსაკუთრებული კომპანია, სახელწოდებით „ამიერკავკასიის სავაჭრო ამხანაგობა". კავკასიასთან მტკიცე სავაჭრო კავშირის დამყარებისათვის და მიმოსვ-

ლის გაუმჯობესებისათვის 50-იანი წლების მეორე ნახევარში არსდება ნაოსნობის საზოგადოება: შემდგომში, განსაკუთრებით ამიერკავკასიის რკინიგზების გაყვანის შემდეგ რუსული საქონლის შემოტანა საქართველოსა და ამიერსავკასიაში მკვეთრად იზრდება.

საქართველოში რუსულ ფაბრიკულ საქონლის შემოჭრამ გამოიწვია ძველი პრიმიტიული ხარეწების დაცემა საქართველოში. როგორც ლენინი აღნიშნავს, — „..თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი „შინამრეწველური" ხარეწავები, რომლებიც ეცემოდა მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო".[15]

რუსეთის კაპიტალიზმმა ამიერკავკასიის ბაზრის დაუფლების საქმეში გარკვეულ შედეგებს მიაღწია XIX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში და 50-იან წლებში, მაგრამ გადამწყვეტი წარმატებები ამ სფეროში მოპოვებულ იქნა მხოლოდ რეფორმის შემდგომ პერიოდში. გლეხთა რეფორმამ, რომელიც ჩატარდა რუსეთში 1861 წელს, მნიშვნელოვნად დააჩქარა საქართველოში ბატონყმობის გაუქმება, რის შედეგადაც სამუშაო ძალა მასობრივი მასშტაბით საქონლად იქცევა. ამან ითამაშა ერთ-ერთი მთავარი როლი ქვეყნის შიგნით კაპიტალიზმის აღმოცენების პროცესში.

რეფორმის შემდგომ პერიოდში რუსეთის კაპიტალიზმმა საქართველოს ეკონომიკა არა მხოლოდ ჩართო საერთო რუსეთის ბაზარში, არამედ ჩაითრია ის „მსოფლიო საქონელ მიმოქცევაში".[16] როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიაში „ქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის".[17]

ერთიანმა სრულიად რუსეთის ბაზარმა სულ უფრო მზარდი მასშტაბით წაუყენა თავისი მოთხოვნილებანი საქართველოს მეურნეობას. ამან ხელი შეუწყო შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ზრდას და საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებას. რუსეთის ბაზრის მოთხოვნილებათა და საერთოდ რუსეთის ეკონომიკის საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ მისწრაფება წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რამაც გამოიწვია საქართველოში და ამიერკავკასიაში რკინიგზების გაყვანა.

თავის მხრივ ბატონყმობის გაუქმებისა და რკინიგზების გაყვანის შედეგად საქართველოში გაჩნდა კაპიტალისტური ფაბრიკული მრეწველობა და განსაკუთრებით 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო მისი სწრაფი განვითარება. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა ეროვნული ბურჟუაზია და ჩამოყალიბდა ყველაზე რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი, რომელიც 90-იანი წლების ბოლოდან გახდა წამყვან ძალად თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთის კაპიტალიზმის უშუალო ზემოქმედებით, უცხოეთის კაპიტალის ზეგავლენით და ამასთან ერთად თვით ქვეყნის შიგნით არსებული ფაქტორებით საქართველოში დაიწყო ფეოდალიზმის რღვევა და კაპიტალისტური წარმოების განვითარება როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაშიც.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ დააჩქარა საქართველოს სამეურნეო და ეროვნული კონსოლიდაცია. ის წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფაქტორს მოსახლეობის რაოდენობის გადიდებისათვის, საქალაქო ცხოვრების განვითარებისა და სხვ.

რეფორმის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით რკინიგზების გაყვანის შემდეგ, ბურჟუაზიული კავშირ-ურთიერთობანი რუსეთსა და საქართველოს შორის სწრაფად იზრდება. სულ უფრო ვითარდება სავაჭრო მიწათმოქმედება, დიდდება საქონელბრუნვა რუსეთთან, აღმოცენდება წარმოების ახალი დარგები, ფართოვდებიან ძველი სამრეწველო საწარმონი და სხვ.

ამასთან ერთად, პრიმიტიული მრეწველობის გვერდით, ჩნდება ზოგიერთი ისეთი საწარმოც, რომელიც ემყარებოდა არა მხოლოდ კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციას, არამედ ჰქონდა აგრეთვე მანუფაქტურის ფორმაც. რეფორმის შემდგომ პერიოდში კი საქართველოში იქმნება კაპიტალისტური საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა და ყალიბდება ახალი კლასი — სამრეწველო პროლეტარიატი, რომელმაც რუსეთის სახელოვან მუშათა კლასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბურჟუაზიისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეფის ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, რეფორმის შემდგომი საქართველოს მრეწველობაში და აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში წარმოიქმნა პირველი მსხვილი კაპიტალისტური ფაბრიკები და ქარხნები, რომელთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა. თბილისში არსებულ მსხვილ საწარმოებს შორის, მუშათა რიცხვის მიხედვით, ყველაზე დიდი იყო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, სადაც მუშაობდა 4 ათასამდე მუშა. სწორედ ამ საწარმოში შეიქმნა პირველი მარქსისტული წრე.

ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება და თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა თუმცაღა აბრკოლებდა ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბოლოო ანგარიშში მას არ შეეძლო მთლიანად შეეჩერებინა საქართველოს ეკონომიკის განვითარება კაპიტალიზმის გზით.

ადგილობრივ, რუსეთისა და უცხოეთის კა-

პიტალების შექრა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მომგებიან დარგებში, თავის მხრივ, იმავე დროს, შეიცავდა თავისში საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებასაც. კაპიტალისტური წარმოება საქართველოში წარმოიქმნა და განვითარდა აგრეთვე სხვა გზითაც.

წინა საზოგადოებრივ ფორმაციებთან შედარებით ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება წარმოადგენდა გარკვეულ პროგრესს, მაგრამ, მან მაინც ვერ შეძლო საქართველოს სამრეწველო ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ეკონომიკის სოციალისტური სისტემის შექმნისა და განვითარების შედეგად.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ ი. ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს შემდეგი სიტყვებით დაახასიათა რუსული კულტურის, მეცნიერებისა და ლიტერატურის გავლენა და მნიშვნელობა ქართული კულტურის განვითარებისათვის:

„თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულ ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“.[18]

საქართველოს რუსეთთან შეერთების მომენტიდანვე მოწინავე რუსული მეცნიერების და კულტურის გავლენა ქართულ მეცნიერებასა და კულტურაზე მუდმივ იზრდებოდა.

თავის მხრივ ქართველი მეცნიერები, რომლებიც აღზრდილნი იყვნენ ევროპისა და რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, რუს მეცნიერებთან მჭიდრო თანამეგობრობაში წყვეტდნენ მთელ რიგ ახალ პრობლემებს ტექნიკის, ქიმიის, ფიზიოლოგიის, ფილოსოფიის, ისტორიის, ქართველოლოგის, პედაგოგიკისა და აგრეთვე ცოდნის სხვა დარგებში. მათ თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში.

რუსეთ-საქართველოს შორის სულ უფრო ფართოვდებოდა მეცნიერულ-კულტურული და იდეურ-პოლიტიკური კონტაქტები. როგორც ცნობილია, აკადემიკოს მარი ბროსესა და თეიმურაზ ბაგრატიონის შორის არსებობდა მჭიდრო მეცნიერული ურთიერთთანამშრომლობა. ისინი ერთად დიდ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან ახალი ეპოქა იწყება ქართველი ხალხის ისტორიაში. ამიერიდან ბოლო მოეღო როგორც ეროვნულ, ისე სოციალურ ჩაგვრას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მასთან ერთად რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ და სხვა სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფართოდ გაშალეს მრავალმხრივი მეცნიერული და სასწავლო საქმიანობა. საბჭოთა წყობილების დროს ქართველ მეცნიერთა წარმატებები და მათი საერთაშორისო აღიარება ნათლად მოწმობს ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელ ძალის შესახებ ჩვენს რესპუბლიკაში.

როგორც ცნობილია, თვითეულ ერს, დიდია ის თუ პატარა, შეაქვს თავისი წვლილი მსოფლიო კულტურის განვითარებაში.

რუსმა ხალხმა მსოფლიო მუშათა მოძრაობასა და მთელ პროგრესულ კაცობრიობას მისცა პროლეტარიატის გენიალური ბელადი ვ. ი. ლენინი. რუსეთი გახდა ლენინიზმის სამშობლოდ. ქვეყნის შინაგანი და საგარეო მდგომარეობის ღრმა და ყოველმხრივი ანალიზის შედეგად ვ. ი. ლენინმა დაამუშავა მეცნიერულად დასაბუთებული რევოლუციური პროგრამა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის დამხობისა; მან გაუკვალა ხალხებს სოციალიზმისა და კომუნიზმის სწორი გზა. ვ. ი. ლენინმა შექმნა ახალი ტიპის პარტია — ბოლშევიკების პარტია, რომელმაც ჩვენი ხალხი მოიყვანა მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებამდე. დიდი ლენინის მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში, რომელიც იწყება 80-იანი წლების ბოლოდან, ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა მუშათა კლასის ბრძოლის სწორად წარმართვისათვის ექსპლოატატორული წყობილების წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინმა ახალ ისტორიულ პირობებში, იმპერიალიზმის ეპოქაში, აღმოაჩინა კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონი, რის საფუძველზეც დაასაბუთა

ერთ ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა. მან შექმნა სოციალისტური რევოლუციის ახალი, ღრმა მეცნიერული თეორია, რომლის სისწორე სავსებით დაადასტურა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ.

საერთო მტრის — თვითმპყრობელობის, მემამულეების, კაპიტალისტებისა და გარეშე მტაცებლების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლის პროცესში სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა მეგობრული კავშირი საქართველოს მშრომელებსა, რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებს შორის. ეს ბრძოლა მუდამ აახლოვებდა რუსეთისა და საქართველოს რევოლუციონერებს. მიუხედავად მეფის თვითმპყრობელობის მხრივ დიდ დაბრკოლებებისა, მაინც რუსეთიდან საქართველოში განუწყვეტლივ შემოდიოდა რევოლუციური და პროგრესული იდეები და იქმნებოდა წინაპირობები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის დასამხობად. რუსეთის რევოლუციურ და მუშათა მოძრაობის უშუალო გავლენით საქართველოში მუშათა მოძრაობა სულ უფრო იზრდებოდა.

რუსეთის გმირულ მუშათა კლასის დახმარების შედეგად, ლენინის მიერ შექმნილ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველო განთავისუფლდა ყოველგვარი ჩაგვრისაგან და როგორც თანასწორი თანასწორთა შორის შევიდა საბჭოთა კავშირის ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში. მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს თავისი ნამდვილი თავისუფლება. დამთავრდა საუკუნებრივი ტანჯვა და უბედურება და დაიწყო მშვიდობიანი მშენებლობის, სახალხო მეურნეობისა და მშრომელთა მასების კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის ეპოქა. საბჭოთა კავშირის ხალხთა ეკონომიური თანამშრომლობა და ლენინური თანამეგობრობა ურღვევი სრულიად მტკიცე და ურღვევია. დიდმა რუსმა ხალხმა, საბჭოთა კავშირის ძმურ ხალხებთან ერთად ააშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება და გაბედულად და ძლევამოსილად მიდის წინ კომუნიზმისაკენ.

ამრიგად ,საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ქართველი ხალხის ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა და უდიდესი გავლენა მოახდინა მის შემდგომ ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე. ისტორიული განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით საქართველოსათვის ეს წარმოადგენდა მეტად მნიშვნელოვან პროგრესულ მოვლენას.

ასრულდა მეცნიერული წინასწარხედვა ფ. ენგელსისა: „რუსეთი ნამდვილად ასრულებს პროგრესულ როლს აღმოსავლეთის მიმართ“.19

ქართველმა ხალხმა თავისი ბედი საბოლოოდ და განუხრელად დააკავშირა დიდ რუს ხალხთან.

ძლიერ ცენტრალიზებულ რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს შესვლით ინგლისის, თურქეთის, სპარსეთის და სხვა მტაცებელ სახელმწიფოთა დაპყრობითი გეგმები ჩაიშალა.

„პრაქტიკულად და ფაქტიურად, როცა თავისი ხალხის ბედს რუსეთს ანდობდნენ, ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებს მხედველობაში ჰქონდათ არა მარტო და არა იმდენად ერთმორწმუნეობის ფაქტორი. ისტორიამ არა ერთი მაგალითი იცის, როცა ძლიერი სახელმწიფოები ნთქავდნენ, სპობდნენ სუსტებს, იმის მიუხედავად, რომ მათ საერთო სარწმუნოება ჰქონდათ.

მთავარი და განმსაზღვრელი ფაქტორი, რითაც ქართველებს, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხს, რომლებიც ცნობილი ალტერნატივის წინაშე დადგნენ, რუსი ხალხი იზიდავდა, უნდა ვეძებოთ მის ბუნებასა და ხასიათში, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა.

რუსი ხალხისათვის, მისი სულიერი არსისათვის დამახასიათებელია სოციალური სამართლიანობის გამახვილებული გრძნობა. სამართლიანობის ეს გრძნობა რუსმა ხალხმა დიდი მსხვერპლისა და სისხლის ფასად შეიძინა ცარიზმის წინააღმდეგ ისტორიულ ბრძოლებში, ფეოდალებთან, მემამულეებთან და ბურჟუაზიასთან კლასობრივ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში“.20

როგორც ზემოთ არის ჩვენს მიერ თქმული, მიუხედავად ცარიზმის რეაქციული და მძარცველური პოლიტიკისა, საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში შეიტანა მეტად ბევრი რამ ახალი და მნიშვნელოვანი.

ეს ახალი კარგად შენიშნა მგზნებარე რევოლუციონერმა-ლენინელმა ლადო კეცხოველმა, რომელიც ჯერ კიდევ 1901 წელს გაზეთ „ბრძოლაში“ წერდა: “ასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც რუსეთის ფრთებს ქვეშ შეაფარა თავი დაღლილმა დაქანცულმა საქართველომ... ამ დროიდან საქართველოს ცხოვრება ახალ კალაპოტში ჩადგა. გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფილი, იგი შინაური ცხოვრების გარემოებას ჩაუფიქრდა და რუსეთის ცხოვრებით გამოფხიზლებული მოქალაქეობრივი ძალ-ღონის მოკრებას შეუდგა. საქართველო ამ დღიდან დამოკიდებული გახდა ეკონომიურად და კიდევ უფრო პოლიტიკურად რუსეთისაგან და უკანასკნელის კანონი, ზნე-ჩვეულება, ენა, ვაჭრობა-მრეწველობა ნებით თუ უნებლიეთ ფეხს იკიდებდა ახლად შეერთებულ ქვეყანაში. რუსეთში კი ამ დროს ვაჭრობა-მრეწველობა წამოჩიტებული იყო და ევროპის გავ-

ლენით და შინაური ცხოვრების საჭიროებით საოცარის სისწრაფით იზრდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ისტორია ამ ზრდის და ვითარების ისტორიაა. რკინიგზებმა, ფოსტა-ტელეგრაფებმა დახერხეს და შეაერთეს ვეებერთელა სახელმწიფოს დაშორებული ადგილები ერთმანეთსა და მასთან ერთად ჩვენი საქართველოც. გემებმა შავი და კასპიის ზღვები გააპეს და ორ ზღვათა შუა ხმელეთის მიუვალი მთები, სადაც მეფეები და მთავრები ომიანობის დროს მტრებისაგან თავს იფარავდნენ, რკინის გზებმა გახვრიტეს და ახალმა „ვეშაპმა“ მიაკივლა მიყრუებულ მიდამოებს. ბუნება და ადამიანები შეკრთნენ, გამოიღვიძეს და თვალების ფშვრეტით ქართველი ჯერ შორიდან მიაჩერდა ამ ცხოველს და ნერე თვითვე შეაჯდა და გაჰყვა. მისვლა-მოსვლის გაადვილებამ რუსეთში საქონლის წარმოებაც გაადვილა, გაადიდა და შინაური „ბაზრის მყიდველიც“ იზრდებოდა და ყლაპავდა აუარებელ საქონელს“.[21]

ჩვენ ყოველმხრივ უნდა ვუჩვენოთ უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა საქართველოს რუსეთთან შეერთებისა ქართველი ხალხის ბედისათვის, მისი შემდგომი ისტორიული განვითარებისათვის. ამ მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია შევაგროვოთ ყველა ის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტური მასალა, რომლებიც ეხება ამ დიდ ისტორიულ აქტს, და გამოვცეთ ისინი ცალკეულ კრებულების სახით. ასეთი კრებულები, რომლებშიც დოკუმენტურად იქნება ასახული ქართველ და რუს ხალხებს შორის ისტორიული კავშირები და მეგობრობა, ხელს შეუწყობს მათ შორის ურღვევი კავშირის კიდევ უფრო შემდგომ განმტკიცებასა და გაღრმავებას.

## მითითებული წყაროები:


1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960 წ. 24.

2 Книга Марко Поло, 1956, стр. 58.

3. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, (იხ. ჟურნალ „მნათობი“, № 6, 1954, გვ. 139.)

4 ЦГИАЛ, ф. 561, оп. I, д. № 206, 1840, л. 30.

5 ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ,ტ. V, 1927, გვ. 226-227.

6 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, (იხ. ჟურნალ „მნათობი“, № 6, 1954.).

7 ЦГИАЛ, ф. 1147, оп. I, д. № 266, «О присоединении Грузии к России» № 12398. л. I.

8 ფ. გ. საქართველოს ეკონომიური განვითარება მე-XIX საუკუნეში.

იხ. „კვალი“ № 50, 8 დეკემბერი, 1902 წ. გვ. 802. ფ. გ-ს ინიციალებით წერდა ცნობილი ეკონომისტი ფილიპე გოგიჩაიშვილი).

9 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. I, д. № 134, ч. IV, 1845 г. л. 407 об.

10 АСКАК, т. X, 1885 г. стр. 879.

11 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 383.

12 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 383.

13 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 703.

14 Кавказский календарь, Тифлис, 1848 г., стр. 69.

15 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 703.

16 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 704.

17 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

18. ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებული, ტ. VIII, 1928 წ. გვ. 285.

19 К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. XXI, 1929, ст. 211.

20. ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე 1976 წლის 20 ოქტომბერს, ქ. თბილისში. (გაზ. „კომუნისტი“ 1976 წ. 4 დეკემბერი).

21. გაზ. „ბრძოლა“, 1901 წ. № 1 გვ. 9-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ფირალიშვილი

# ნიკო ფიროსმანის მხატვრობის ძირეულ ნიშან-თვისებათა შესახებ

ნიკო ფიროსმანაშვილის (1862-1918 წ.წ.) მოღვაწეობის პერიოდში ქართულ პროფესიულ მხატვრობას XVIII-XIX ს. ეროვნული რეალისტური პორტრეტის თავისებური და განუმეორებელი ტრადიციები თითქმის მივიწყებული ჰქონდა და რუსეთისა და დასავლეთ ევრობის სამხატვრო აკადემიების აკადემისტურ ხელოვნებას ეფუძნებოდა. რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივი პროცესი იყო: ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცება, ახალი სოციალური ვითარება ახალ ჟანრებსა და გამომხატველობის ხერხებს საჭიროებდა. მათი დაუფლება კი შესაძლებელი იყო სამხატვრო აკადემიებში. აკადემიის დაფინანსება და მასზე უშუალო მეთვალყურეობა კი ტრადიციულად ევალებოდა მეფის კანცელარიას, რომელიც სდევნიდა ყოველგვარ პროგრესულისა და ნაციონალურის გამოვლინებას.

ამის გამო ქართული მხატვრული კულტურის გარდაქმნის ამ ისტორიულ პროცესს ჩრდილოვანი მხარეებიც ჰქონდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის სამხატვრო აკადემიებს უკვე დაძლეული ჰქონდათ ანტიკური ნორმების დოგმატიკა, მაგრამ არა დოგმატიკა საერთოდ. საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმა ძვრებმა ისინი აიძულა, რომ მითოლოგიის ნაცვლად ასპარეზი სინამდვილის ასახვისათვის დაეთმოთ. მაგრამ აკადემიზმი საგნებისა და მოვლენების გარეგანი ფორმის ასახვას არ გასცდენია და არსში წვდომა არ უცდია. ხოლო ზედაპირის ასახვისათვის თუ საგანთა უბრალოდ მიბაძვაც საკმარისი იყო, მოვლენათა არსი საგნების მხოლოდ გადასხვაფერებით შეიძლება გამოხატულიყო (მხატვრული ტრანსფორმაცია). აკადემიზმმა მიბაძვის თვალისმომჭრელ ტექნიკას მიაღწია და საქმეში ჩაუხედავი საზოგადოება ადვილად დაარწმუნა, ვითომც ხელოვნების უმთავრესი ღირსება ცხოვრების ზედაპირის ვირტუოზული ასახვა ყოფილიყოს.

ცხადია, ხელოვნების ფუნქცია მოვლენათა მხოლოდ „გარე ქერქისადმი“ ყურადღება არ არის, თუნდაც იგი უდიდესი ოსტატობით ხორციელდებოდეს. მისი ფუნქცია მოვლენათა არსში მხატვრული წვდომაცაა.

როგორც ცნობილია, აკადემიზმის წინააღმდეგ, შიგნით და გარეთ, სერიოზული ოპოზიცია არსებობდა. იგი, გამოვლიდნა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში კარავაჯიზმის, XIX ს. პირველ ნახევარში — რომანტიზმის, XIX ს. ბოლო მესამედში კი — იმპრესიონიზმის სახით; ხოლო „პერედვიჟნიკებისა“ და განსაკუთრებით „მირ ისკუსტვას“ პროგრესული ნაწილის საქმიანობაში თავი საკმაოდ იჩინა მთელი სისრულით. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თვით ისეთი შედარებით ადრეული ფაქტი — პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის 13 მოსწავლის შეთქმულება 1863 წელს — მხოლოდ თემის თავისუფლებას ეძღვნებოდა და არა რუტინის წინააღმდეგ ბრძოლას საერთოდ.

საქართველოდან რუსეთსა და უცხოეთში კანტი-კუნტად ჩასული ახალგაზრდობა, რომელსაც სამშობლოს მხატვრული კულტურის განახლების მისია ეკისრებოდა, ამ რთულ პროცესში სრულიად რომ ვერ გარკვეულიყო და აკადემიზმი უკრიტიკოდ აეთვისებინა, საკვირველი სულაც არ არის. ამ მხრივ მათდამი საყვედური გულუბრყვილობა იქნებოდა. საკვირველი ისაა, რომ ყოველივე ამაში, ზოგჯერ, დღესაც ვერ ვერკვევით.

სხვადასხვა ქვეყნის აკადემიებში აღზრდაც ქართველ მხატვართა თაობისათვის, რომელსაც ერთხელვე ათვისებული აკადემისტური ხერხები და ფორმები უნდა გაექართულებინა, ეროვნულ ემბაზში გაეტარებინა იმ დროს, როცა მამაპაპისეული ტრადიციები მივიწყებას ეძლეოდა, საკმაოდ ძნელი იყო. მით უფრო, რომ ხელოვნების „მომხმარებელი" მეშჩანის გემოვნება, ეროვნული სტილის ნაწარმოებთან შედარებით, ყოველგვარ შაბლონურს აძლევდა უპირატესობას, ოღონდ კი უცხოურს ჰგვანებოდა. ყოველივე ეს კი ცხადია, ტრადიციის პროგრესულ ფესვებზე სიახლის დამყნობას აბრკოლებდა.

ამ დროს ჩვენში ხალხური ხელოვნების დიდი მადანი არსებობდა. მხედველობაში მყავს არა ის მხატვრები, რომელთა თვითშესწავლის საგანს აკადემისტური ხელოვნება წარმოადგენდა (გიგო ზაზიაშვილი, ივანე ვეფხვაძე და სხვა), არამედ ისინი, რომელთა გონებისა და გრძნობის თვალს მზამზარეული უცხოური ნორმები, აკადემიზმი და ცივილიზაციის მოზღვავებული ინფორმაცია არ გადაღობვია; ესენი ეროვნული ხელოვნების საფუძველზე დაყრდნობით, ბავშვური უშუალობითა და პირდაპირობით გამოთქვამდნენ იმას, რასაც სხვები „მხატვრული განათლებულობის" პრეტენზიით აბუნდოვანებდნენ.

ფიროსმანაშვილის ნახატთა გარეგნულ სიმარტივეში ჭეშმარიტი მშვენიერების სიდიადე იმალებოდა, რომლის გაგებაც გარეგნული ყალბი გალამაზებულობის მოყვარულ მეშჩანურ გემოვნებას არ ძალუძდა. ამიტომ იგი მას არც დაეწაფებოდა და არც ხელს შეუწყობდა, თუმცა კი ქართულ ხალხურ ნაკადს თვით აკადემისტურ შეზღუდულობაშიც ჭეშმარიტი მხატვრული სიცოცხლის შეტანა შეეძლო.

ხალხური ხელოვნების ღირსეული დაფასება კიდევ უფრო გააძნელა ბურჟუაზიულ ხელოვნებაში მომხდარმა გარდატეხამ — მოდერნიზმის სახით ათასგვარი მიმართულების აღმოცენებამ. ასეთ რთულ ისტორიულ ვითარებაში მოხდა ქართველი ხალხის წიაღიდან სრულიად ალალი და ყოველგვარ ნეგატიურ „იზმს" დაშორებული საოცარი ტალანტის ნიკო ფიროსმანაშვილის გამოვლინება, რამაც გაართულა ქართულ კულტურაში მისი ადგილის მართებული ლოკალიზებაც. ნიკო ფიროსმანაშვილის ღირსებათა აღიარება ბევრმა გაიგო, როგორც პრიმიტივიზმის მხარდაჭერა. ამ მხრივ თავს განსაკუთრებით იჩენდნენ აკადემისტური პოზიციის მხატვრები.

მას შემდეგ კი, რაც ფიროსმანაშვილის პერსონალური გამოფენები საქართველოს ფარგლებს გასცდა, მან რუსეთისა და დასავლეთ ევროპის საგამოფენო დარბაზებში დიდი აღიარება ჰპოვა; მის დამფასებელთა შორის ისინიც კი აღმოჩნდნენ, რომლებიც მას ადრე ალმაცერად უყურებდნენ. მაგრამ მხატვრისადმი აღძრული არაჩვეულებრივი ინტერესი ხელოვნებათმცოდნეობაში, ძირითადად, ბიოგრაფიის კვლევით იფარგლებოდა, სადაც ნაწარმოებებს, არსებითად, მხატვრის ცხოვრებისადმი დამატების ან გარემოს ილუსტრირების მნიშვნელობა ენიჭება.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი ხელოვანი ესთეტიკური აზროვნების სადღეისო დონეზე არ არის შესწავლილი. ეს გარემოება ჩვენი ხელოვნებათმცოდნეობის შეზღუდული თეორიული დონის შედეგია. საკმარისია ითქვას, რომ დღემდე არა გვაქვს განსაზღვრული ისეთი ურთიერთსაპირისპირო ცნებებიც კი, როგორიცაა პრიმიტიულობა და გენიალურობა. ნიკო ფიროსმანიშვილს ზოგჯერ გენიალურ პრიმიტივადაც კი ვიხსენიებთ,

თითქოს ეს ორი ცნება ერთი მეორეს პრინციპშივე არ გამორიცხავდეს და ერთსა და იმავე მხატვარში პრიმიტიულობისა და გენიალურობის შეთავსებულობა შესაძლებლად მიგვაჩნდეს.

ამ ულოგიკობას ორი ურთიერთ საპირისპირო თვალსაზრისის გულუბრყვილო მორიგების სურვილი უდევს საფუძვლად. აკადემიური განათლების თვალსაზრისით ფიროსმანაშვილი პრიმიტივია, რადგან მას ანატომია, პერსპექტივის კანონები და რეფლექსების სისტემა არ შეუსწავლია. მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით კი ფიროსმანაშვილი გენიოსია, რადგან გამორჩეული, მარადიული ღირებულებები აქვს შექმნილი. ამ ორი თვალსაზრისის „მომრიგებლებს", როგორც ჩანს, ავიწყდებათ, რომ სამხატვრო აკადემიები და ის პროგრამები, რომელთა მიხედვითაც ფიროსმანაშვილის მემკვიდრეობის შეფასებას ლამობენ, იტალიაში XVI საუკუნეში, ხოლო სხვა ქვეყნებში მის მომდევნო საუკუნეებში ჩამოყალიბდა და შემუშავდა. მარადიული მხატვრული ღირებულებანი კი ჯერ კიდევ ზედა პალეოლითისა და ბრინჯაოს ხანებშიც იქმნებოდა, ანუ, მაშინ, როდესაც აკადემიური პროგრამების შესახებ იდეა ფიქრადაც არავის მოუვიდოდა. აქედან ნათელია, რომ ასეთი პროგრამები და ნორმები მშვენიერების უნივერსალურ კრიტერიუმებად არ გამოდგება.

ხელოვნებაში ჭეშმარიტი აკადემიურობა (და არა აკადემისტურობა) სწორედ ის არის, რაც ითვალისწინებს არა მარტო იმ კონკრეტულ კანონზომიერებებს, რომლებიც სამხატვრო აკადემიების დაარსების შემდეგ შემუშავებულა, არამედ იმასაც, რაც კაცობრიობას მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე მოუპოვებია.

ფიროსმანაშვილის მემკვიდრეობის შემსწავლელთა უმეტესობის შეცდომა სწორედ ისაა, რომ მხატვარს მშვენიერების ზოგადი კანონ-

ზომიერებების თვალსაზრისით კი არ უდგებიან, არამედ აკადემიების პროგრამებს უფარდებენ.

„ფიროსმანაშვილის მემკვიდრეობის მართებული შეფასებისათვის, ვფიქრობთ, პირველ ყოვლისა, თვით შეფასების კრიტერიუმთა დაზუსტებაა საჭირო. სხვა ხელოვნების ზოგად კანონზომიერებებშია საძიებელი და არა ერთი რომელიმე ეპოქის, მიმდინარეობის, სტილისა, თუ, მითუმეტეს, სასწავლო პროგრამების ფარგლებში.

რა თქმა უნდა, შეფასების კრიტერიუმებისა და ამისათვის საჭირო ცნებების განსაზღვრა სახვითი ხელოვნების „კერძო" თეორიის საგანია. ამის გარეშე ხელოვნების ისტორია ფიროსმანის მსგავსი რთული მოვლენების გაშუქებაში შორს ვერ წავა. აქამდე არსებულ თვალსაზრისთა ცალმხრივობა კი ყურადღების ორი მიმართულებით გამახვილებას მოითხოვს: ერთი მხრივ უნდა განისაზღვროს ფიროსმანაშვილის მემკვიდრეობის მხატვრული ღირებულება, მეორე მხრივ კი გაირკვეს იგი მართლა ცასა და დედამიწას შორისაა გამოკიდებული, თუ აღმოცენებულია უშუალოდ ქართული ხელოვნების ფესვებზე და მშვენიერების ზოგად კანონზომიერებებთანაა დაკავშირებული.

წინამდებარე ნარკვევს, რა თქმა უნდა, ასეთი სერიოზული პრობლემის გაშუქების პრეტენზია არა აქვს. მისი მიზანია ზოგიერთი საკითხის მხოლოდ დაყენება. შესაძლოა, ამან, ხელი შეუწყოს ესოდენ მნიშვნელოვანი და ძნელად ამოსახსნელი მხატვრის შემოქმედების მართებულად გაშუქებას.

პირველ ყოვლისა, შევეხოთ ფიროსმანაშვილისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშანთვისებებს, შემდეგ კი, შეძლებისდაგვარად, ვეცადოთ გავარკვიოთ თუ რა მიმართებაშია ისინი ქართულ მხატვრულ აზროვნებასთან.

ნიკო ფიროსმანაშვილის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო ნიშნად, რომლითაც მისი მემკვიდრეობა მსოფლიო ხელოვნების ორბიტაზე გადის, გრძნობის არა მარტო უშუალობა, არამედ მისი საოცრად ლაკონიურ ფორმებში განსახიერებაცაა.

აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ფიროსმანაშვილის შემოქმედების ლაკონიზმის თვალსაზრისით გააზრება სრულებითაც არ მოუთითებს იმაზე, რომ მხატვარს ეს ცნება გაცნობიერებული ჰქონდა. ეს სრულიად გამორიცხული იყო თუნდაც იმის გამო, რომ ლაკონიზმი სახვით ხელოვნებაში დღესაც კი ჯეროვნად გაანალიზებული არ არის. მხატვრები, ჩვეულებრივ, ლაკონიზმს გუმანით აღწევენ. ასე რომ ნაწარმოების ლაკონიურობაში უფრო ინტუიციის ნაყოფი იგულისხმება, ვიდრე გასიგნება სავსებით გაცნობიერებული კანონზომიერებისა.

ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით სახვით ხელოვნებაში ლაკონიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რაც მისი „საგნობრივი" ბუნებითაა გამოწვეული. მასში ეპოქის ესთეტიკური ინტერესები სიტყვებით ან მუსიკალური ბგერებით კი არ გადმოიცემა, არამედ საგანთა ფორმებითა და ფერებით. მაშინ როდესაც სიტყვის საშუალებით ყოველგვარი ზოგადი იდეის გამოთქმა შეიძლება, ე. ი. სიტყვიერ ფორმაში იდეის ადეკვატის მოძებნა ხერხდება, ხელოვანისაგან დამოუკიდებლად არსებული საგნები თავისთავად იდეებს არ შეიცავენ. მხატვარმა მათში უნდა გამონახოს გარკვეული იდეის მატარებელი ისეთი ნიშანი, და მასზე ყურადღება უნდა გაამახვილოს არარსობრივის გამორიცხვის ხარჯზე, ან მხატვრული ტრანსფორმაციის პრინციპით იგი საერთოდ ისე გადააკეთოს, რომ თვითონ რაც აწუხებს, სახეშეცვლით წარმოსახულ საგანს გამოათქმევინოს.

ასეთ ძიებაში მხატვარს, ცხადია, ყოველი საგანი ერთნაირად არ გამოადგება. თვინიერების იდეას მგელსა და აფთარს ვერ დაუკავშირებს, რადგან ისინი მაყურებელში სრულიად საწინააღმდეგო ასოციაციებს გამოიწვევენ. ცხადია იგი უფრო შესაფერის არსებებს მოძებნის. მაგრამ ის იდეები, რაც ხელოვანს აღელვებს, მზამზარეულად არცერთ არსებაში არ იქნება გამოკვეთილი. მაგალითად, ბატკნის თვინიერებაზე არავის ეჭვი არ ეპარება, მაგრამ საკმარისია მხატვარმა მისი ყოველი არსობრივი თუ არაარსობრივი ნიშანი ერთნაირი განურჩევლობით აღწეროს, რომ იდეა გამოუთქმელი დარჩეს.

საგანთა და მოვლენათა ზედაპირის გულმოდგინე აღწერის უნარი, რაც ზოგიერთ ჩვენგანს ჯერაც მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ ძირეულ ღირსებად მიაჩნია, სინამდვილეში პრიმიტიულობის უპირველესი ნიშანია. აქედან ჩანს, რომ მხატვარი საგანში მხატვრულად არსობრივს ვერ წვდება. მისი წვდომა ჭეშმარიტი ნიჭის უძირითადესი თვისებაა, მაგრამ მისი სრულყოფილი გასაგნება ურთულესი შემოქმედებითი ამოცანაა, რომლის გადაჭრას მხოლოდ რჩეულნი ახერხებენ.

მხატვრულად არსობრივის წვდომა ყოველთვის ერთნაირ სირთულეს არ წარმოადგენდა. შუასაუკუნეობრივ სქოლასტიკურ ხელოვნებას, რომელიც ირეალურს წარმოსახავდა, ობიექტად რეალური საგნები არ ჰქონდა და ამიტომ არსობრივს რეალობაში არ ეძიებდა. რენესანსულ კონცეფციაში ამქვეყნიური მშვენიერების იდეამ ასახვის ობიექტად რეალური საგნები და მოვლენები აქცია. ამქვეყნიური საგნებისადმი ესთეტიკურმა მიმართებამ ხელოვნება სრულიად ახლებურ ძიებათა წინაშე

დააყენა. მხატვრულად არსობრივის ამ ურთულესმა ამოცანამ, ლეონარდო და ვინჩიდან დაწყებული მატისამდე, განვითარების სულ სხვადასხვა საფეხური გაიარა. როგორც სავსებით გაცნობიერებული პრობლემა რუსულ ხელოვნებაში, იგი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა იმ მხატვრულ წრეში, რომელსაც ვ. სეროვის შემოქმედებითი ფიგურა ამშვენებდა.

ქართულ ხელოვნებაში მხატვრულად არსობრივის წვდომის საოცარ გამოვლინებას წარმოადგენს ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება. რა თქმა უნდა, ნიკოს სურათებში ეს არ იყო მიზანდასახული და გაცნობიერებული მოქმედება; აქ იგი წმინდა ინტუიციის ნაყოფად გვესახება.

ლაკონიზმი, როგორც შემოქმედებითი მხატვრული სიცხადისა და რეალობაში არსობრივის წვდომის უტყუარი ნიშანი, ყველაზე უკეთ ავლენს ფიროსმანაშვილის უპირველეს ღირსებას — თანამედროვე თვითნასწავლ თუ განსწავლული ხელოვნებისაგან მის ძირეულ განსხვავებას და უპირატესობას. იგი განზე იდგა მოვლენათა ყოველგვარი ზედაპირული აღწერისაგან და მათ ოლიმპიური სიმაღლიდან აზოგადებდა.

მას ყოველ თავის კომპოზიციაში თითქოს უნდა რომ სთქვას: „ფართოდ გაუსწორეთ თვალი ქვეყანას და ერთდროულად დიდძალი სხვადასხვა მოვლენის მოწმენი გახდებითო“. მისი „საეკლესიო დღესასწაული ბოლნისში“ და „კახეთის ეპოსი, ანუ ალაზნის ველი“ ქვეყნიერების ფართოდ ხილვის ნათელი მაგალითებია, სადაც მხატვარი კომპოზიციის სხვადასხვა ნაწილში წარმოგვიდგენთ კონტრასტული მოვლენების ერთდროულობას: ერთი მხრივ არხეინად მოქეიფეებს, მეორე მხრივ კი მძარცველებსა და გაძარცულებს, იქვე ხატობასა და მისგან ტაატით მიმავალ ჩარდახიან ურმებს, ცოტა მოშორებით კი ქალაქისა და სოფლის ხედებს. ასეთია ნიკოს თვალსაზრისი ამა სოფლის ჭირისა და ლხინის ერთდროულობაზე და მხატვრის ფუნქციაზე, რომ ყოველივე შორი დისტანციიდან განჭვრიტოს. მაგრამ ეს მისი შემოქმედების მაინც სიუჟეტური მხარეა, რომელსაც ამა სოფლის სიჭრელის თაობაზე ხალხური სიბრძნე უდევს საფუძვლად. ლაკონიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ფიროსმანაშვილის ის ნაწარმოებები, რომლებიც ერთ რომელიმე ადამიანს ან მცირერიცხოვან ჯგუფს გამოხატავს. მათში ნათლად ჩანს ფიროსმანაშვილის „ხედვის“ საოცარი ქმედითობა, აკადემიზმის მიერ დანერგილ „ხედვასთან“ შედარებით.

როგორც ცნობილია, ვ. სეროვს კრილოვის იგავ-არაკების ილუსტრირება სთხოვეს. მან დიდი შრომა შეალია ცხოველთა გარეგნობაში ხასიათების გამოვლენას. ამის შედეგად შთამომავლობას ბრწყინვალე ნაწარმოები დაუტოვა. მაგრამ დამახასიათებელი ისაა, — რომ მხატვარმა ამას 15 წელი მოანდომა. რას უკეთებდა იგი ილუსტრაციებს ამ ხნის განმავლობაში? ილუსტრაციას, რომელიც შესრულებულად შეიძლება მიჩნეულიყო, სეროვი რამდენიმე ხნით შეინახავდა, რომ დავიწყებოდა. ხოლო კარგა ხნის შემდეგ, როდესაც დარწმუნდებოდა, რომ მას იგი, როგორც მხატვრული სახე, აღარ ახსოვდა, სალი თვალით დააკვირდებოდა; აღმოაჩენდა ზედმეტ დეტალებს, დედანზე გამჭვირვალე ფრანგული ქაღალდის დადებით ამოხატავდა მხოლოდ იმას, რასაც მეტისმეტად აუცილებელ ნაწილად, ანუ ნაწარმოების კარკასად მიიჩნევდა. ასე ხვეწდა იგი მრავალი წლის მანძილზე ერთსა და იმავე ნაწარმოებს, იმისათვის, რომ იგი გაეთავისუფლებინა ნაკლებად აუცილებელი დეტალებისაგან და მასზე დაეტოვებინა მხოლოდ მეტისმეტად საჭირო მონახაზი, რომელსაც უკიდურესი ლაკონიურობის გამო მკვეთრი შთამბეჭდაობის ძალა მიეცემოდა.

აი რამდენი შრომა სჭირდებოდა რეპინის უნიჭიერეს მოწაფეს, პროფესიული და დიდი სამხატვრო განათლების მქონესა და რევოლუციამდელი მსოფლიოს ერთ-ერთ ფრიად თვალსაჩინო მხატვარს, იმისათვის, რომ ნაწარმოების ზემოქმედების ძალა აემაღლებინა. ცხადია, ეს ამოცანა კიდევ უფრო რთულია, როდესაც ნაწარმოების გმირი უშუალოდ ადამიანია.

რატომ ხატავდა სეროვი თავიდანვე ისეთ დეტალებს, რომელთა წაშლაც შემდეგ ამდენ დროსართმევდა? მის დროსაც კი, როდესაც მოძველებული აკადემისტური მეთოდებისა და პრინციპების წინააღმდეგ პროგრესულ რუსულ ხელოვნებას ესოდენ დიდი ბრძოლა ჰქონდა ჩატარებული, მათგან სრული გათავისუფლების პროცესი ჯერ ისევ გრძელდებოდა. აკადემიზმის გადმონაშთები მხატვრულად არსობრივის წვდომაში ჭეშმარიტად ნიჭიერ მხატვრებს სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიდა.

სეროვისათვის ლაკონიზმი იდეის სხარტად გამოთქმის სერიოზული საშუალება იყო, ფიროსმანაშვილისათვის კი — თანდაყოლილი თვისება. მაშინ, როდესაც სეროვი ლაკონიზმის მეშვეობით სურათს რეალურად არსებული, მაგრამ მხატვრული „ლოგიკის“ თვალსაზრისით ზედმეტი დეტალებისაგან ათავისუფლებდა, ფიროსმანაშვილისათვის ასეთი დეტალები თითქოს საერთოდ არც არსებობდა. იგი მათ თავიდანვე არ ხატავდა.

გავიხსენოთ მისი რომელიმე კომპოზიცია მაგალითად, „უშვილო მილიონერი და შვილებიანი ღატაკი“. მხატვარი სურათის აღმქმელი ყურადღებას მილიონერი ცოლ-ქმარის ძვირფას სამკაულებზე აჩერებს, როგორც სიმდიდრეზე მისანიშნებელ უაღრესად საჭირო ატრიბუტებზე და მათ შედარებით გულდასმით აღ-

წერს, ბუნების მიერ ყველასათვის ერთნაირად ნაბოძებს კი, როგორიცაა თმები, პირსახე და ხელები, ყოველგვარი ზედაპირული აღწერის გარეშე წარმოგვიდგენს და მხოლოდ გამომეტყველების მინიშნებით იფარგლება. მდიდარი ცოლ-ქმრის მშვიდ, მაგრამ ბედით მაინც უკმაყოფილო გამომეტყველებას სილატაკით გაოგნებული დედის სასოწარკვეთილ სახეს უპირისპირებს. რაც შეეხება ყოველი მათგანის ტანისამოსს, აქაც მხატვარი უკიდურეს ლაკონიზმს სჯერდება: სილუეტურად მიანიშნებს მდიდარსა და ღარიბის ტანისამოსს შორის განსხვავებას, არსად სამოსის ნაოჭთა შესახებ არ გელაპარაკებათ, თითქოს მათ სრულიად შეგნებულად უგულვებელყოფდეს, როგორც მხატვრული „ლოგიკის“ თვალსაზრისით გამოუსადეგარს, და ამდენად, გამოსატოვებელ ატრიბუტებს.

დავაკვირდეთ კომპოზიციებს — „მუშა ტიკით“, „მუშა კასრით“. აქაც უზოგადესი ხატოვანებაა. ტანისამოსის ნაოჭები, ღილები და სხვა მსგავსი ატრიბუტები გამორიცხულია. რა თქმა უნდა, მხატვარი ასეთნაირადვე აგებს ნატურმორტებსაც. მას სრულიად ზედმეტად მიაჩნია გაჭრილი საზამთროს კურკების, ყანწის ოლრო-ჩოლრო ზედაპირის, ტიკის ზედაპირის ბოჭკოებისა და სხვა ამდაგვარი დეტალების უმიზნო, სკრუპულოზური აღწერა. იგი მათ შორის ფაქტურულ განსხვავებას ფუნჯის სათანადო მონასმით ანსახიერებს. იგი თითოეული საგნის „ხასიათისა“ და ფაქტურის თავისებურებას გადმოსცემს: ტიკს უხატავს არა ზედაპირის ბოჭკოებს, არამედ ბოჭკოვანობას; ყანწს — არა გარდიგარდმო ზოლებს, არამედ ზოლიანობას. ამიტომაა, რომ ფიროსმანაშვილის ნატურმორტების ყოველი კომპონენტი რკინის ბურთულასავით მთლიანი, განუყოფელი და მატერიალურია და მთელი სიმკაცრით ემორჩილება სურათის მხატვრულ იდეას. ყოველი მათგანი მხოლოდ სუბორდინებული ნაწილია არაჩვეულებრივად დარბაისლური მონოლითური მელოდიისა.

ღატაკი და თვითნასწავლი მხატვარი, რომლის შემკვეთნი და დამფასებლებიც თბილისის მიკიტნები და ხელოსნები იყვნენ, ჩვეულებრივ, ხატავდა მდარე ფუნჯებით და ხშირად სულ უბრალო საღებავებითაც. იგი მეტწილად სურათს ქმნიდა ერთი სადილისათვის; მისთვის არავის უცნობებია მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პრობლემებისა და, მათ შორის, ლაკონიზმის შესახებ, მას აზრადაც არ მოუვიდოდა ფრანგული გამჭვირვალე ქაღალდის გამოყენება. ამის შესახებ რაიმე რომ სმენოდა კიდეც, მაინც ვერ გამოიყენებდა, რადგან მისთვის ზედაპირული დეტალები არ არსებობდა. იგი თავის გმირებს ნატურიდან არ ხატავდა და წარმოსახვის დროს არაარსებით დეტალებს თითქოს პრინციპულად გამორიცხავდა. ამიტომ შეეძლო მას სრულყოფილი ნაწარმოები შეექმნა ერთ სეანსში, იქვე სამიკიტნოსა თუ სახელოსნოს კულისებში.

ნატურაზე მიჯაჭვული აკადემისტური მეთოდისათვის ასეთი თავისუფლება უცხო იყო. მართალია, ეს ობიექტისადმი ნატურალისტური მონობა არ იყო, მაგრამ მასზე კატეგორიულ უარსაც არ ნიშნავდა. ამას, ცხადია, ხელს უწყობდა თეორიულ აზროვნებაში არისტოტელეს „მიმეზისის“ მცდარი, ტრადიციული თარგმანიც, რომლის მიხედვითაც იგი „მიბაძვად“ იყო მიჩნეული და არა წარმოსახვად. შემოქმედების საფუძვლად „მიბაძვის“ აჩემება კი ხელოვნებას წარმოსახვის განმაზოგადებელ ძალას უსუსტებდა.

ლაკონიურმა აზროვნებამ ფიროსმანაშვილს გამოამუშავებინა ორიგინალური ტექნიკაც — მთლიანად შავად შეღებილ ფონზე საგანთა ამოზნექილი ნაწილების ნათელი ფერებით გამოყოფა. ე. კუზნეცოვი ფიქრობს, ვითომც ამ ტექნიკასთან მხატვარი შავი მუშამბის „ღირსებათა“ მიგნებას მიეყვანოს. ეს თვალსაზრისი ორმხრივაა მცდარი: ზედაპირის სიპრიალის გამო მუშამბაზე ზეთის ფერებით ხატვა, ისიც ესოდენ პასტოზური მონასმებით, როგორსაც ფიროსმანაშვილი მიმართავდა, საერთოდ შეუძლებელია. ხოლო ის, რაც სამიკიტნოებთან მხატვრის დამოკიდებულების გამო მუშამბადაა მიჩნეული, სინამდვილეში დერმატინია. ამავე დროს იგი სრულიად სხვადასხვა ხარისხისაა. მეორე მხრივ, განურჩევლად იმისა, ფიროსმანაშვილი ხატავდა თუნუქსა თუ მუყაოზე, ტილოსა თუ დერმატინზე, ამ მასალათა ზედაპირს იგი წინასწარ ჯერ შავი საღებავით ფარავდა. დამახასიათებელი ნაწარმოებებია, მაგალითად, „მუშა ტიკით“, „მუშა კასრით“, და „მზარეული“, რომლებზეც წინასწარ წასმული შავი საღებავის ქვეშიდან მოყავისფრო დერმატინის ბოჭკოვანი ზედაპირი გამოსჭვივის. რა თქმა უნდა, დერმატინის შავად შეღებვას, თვით შავი დერმატინის შოვნა სჯობდა, რამდენადაც ეს შესრულების პროცესს საგრძნობლად შეამსუბუქებდა.

ამრიგად, ფიროსმანაშვილის ორიგინალური ტექნიკა განპირობებული იყო ლაპიდალური აზროვნებით, და არა დერმატინის თავისთავადი ღირსებებით. შავი დერმატინი მხატვარს მისი აზროვნების თავისებურებამ გამოაყენებინა.

ნათელი ფერის მონასმების შავ ფონთან კონტრასტული დაპირისპირება ცხადია რეალისტურ აზროვნებასთან და დაზგური მხატვრობის ამოცანებთანაა დაკავშირებული, დაუნაწევრებელი სიბრტყეებისა და ფორმების სათავე კი კედლის მხატვრობაში, ანუ ქართულ ფრესკებშია საძიებელი, რაც ფიროსმანაშვილამდე ქარ-

თულ პორტრეტულ ხელოვნებასაც ჰქონდა შემორჩენილი.

საერთოდ კი ქართული კედლის მხატვრობის ტრადიცია ამ მხატვრის შემოქმედებაში უფრო ძლიერ ფიგურათა სტატიკურობაში აირეკლა.

ცნობილია, რომ სტატიკურობას საეკლესიო ხელოვნებაში ის გამართლება ჰქონდა, რომ ახატვის საგანს არა მიწიერი წარმავლობა, არამედ იმქვეყნიური მუდმივობის ურყეობა წარმოადგენდა.

მიწიერი მშვენიერების იდეა დასავლეთ ევროპის ხელოვნებაში დაუბრკოლებლად იკვლევდა გზას განსაკუთრებით მე-15 საუკუნიდან. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე კი რეალისტურ ხელოვნებას იმპრესიონისტული ასპექტიც შეერწყა. ამ დროს ხომ ადამიანის ფიგურის სინთეზური მოძრაობის გარეშე წარმოსახვა წარმოუდგენელი იყო. ფიროსმანაშვილი კი საგნებს სინთეზურ მოძრაობაში არ იაზრებს და შუასაუკუნეობრივი მხატვრობის მიერ დანერგილ სტატიკურობას იხსენებს.

ფიგურების ფრონტალური დაყენება და სტატიკურობა, როგორც ქართული კედლის მხატვრობის ტრადიცია, XIX საუკუნის მხატვრობის თვით იმ ნაკადშიც კი იყო შემორჩენილი, რომელიც „გაევროპულების“ ცდუნებას არ გაურბოდა. საკმარისია გავიხსენოთ მრავალფიგურიანი „პორტრეტი“, რომელიც წარმოგვიდგენს „ნიკოლოზ ედიშერის ძე მუხრანბატონს ოჯახითურთ“.

ხალხიდან გამოსული ტალანტების შემოქმედებაში კომპოზიციის ფრონტალურობა, ლოკალური ფერწერისადმი ერთგულება და სტატიკურობა გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. მათ კლასიკური განათლებისა და ევროპული მხატვრული კულტურისადმი ხელი არ მიუწვდებოდათ, მაგრამ ესთეტიკური ემოციების დიდი წყარო მუდამ ჰქონდათ და მათი ყოველი თაობა მცხეთის ჯვრისა თუ გელათის, ალავერდისა თუ კუმურდოს, ბეთანიისა თუ ყინწვისის, ნიკორწმინდისა თუ სვეტიცხოვლის სილამაზის ატმოსფეროში იზრდებოდა. ამ ერთადერთი, მაგრამ დიდი კლასიკური მემკვიდრეობიდან ისინი მეტად მნიშვნელოვან ესთეტიკურ საზრდოს ღებულობდნენ.

მაგრამ ფრესკული ხელოვნებიდან მომდინარე ტრადიციიდან ფიროსმანაშვილის ლოკალურ მხატვრობას შენარჩუნებული აქვს არა მომწიფებული შუასაუკუნეების ფერთა „ღვთაებრივი სიმსუბუქე“, არამედ „საგრძნობრივი სიმუქე“ გვიანფეოდალური ქართული ფრესკისა, რომელიც ცრიატა ფერების სქოლასტიკური ფუნქციის მივიწყებაში, დაზგური მხატვრობის, კერძოდ, ზეთის ფერწერის გავლენას განიცდიდა. ახალი ევროპული დაზგური ხელოვნებით დაინტერესება კი საქართველოში განსაკუთრებით შაჰაბასის ეპოპეის შემდეგ (17 ს. პირველი მესამედი) ძლიერდება, როდესაც ქვეყანამ საერთო აღორძინება დაიწყო. ეს ჩანს არა მარტო იქიდან, რომ ჩვენი მეფენი და წარჩინებულნი (თეიმურაზ 1, ლევან II დადიანი და სხვა) სარგებლობდნენ, კასტელის მაგვარი ხელოვანის გამოჩენით და თავიანთ პორტრეტებს ახატვინებდნენ, არამედ იქიდანაც, რომ ევროპული ხასიათის ხატვის დასანერგავად მათ ახალგაზრდებს აწვრთნევინებდნენ. იტალიელი მხატვრების „უაღრესად ნიჭიერი“ ნამოწაფარი ხელოვანი ქალი, როდია მიქელაძე, ამისი ნათელი მაგალითია. გარდა ამისა, დაზგური და ზეთის ფერწერის ტექნიკისადმი ინტერესი ათონის ქართულ მონასტერთან ტრადიციული ურთიერთობითაც ღვივდებოდა. ათონის ქართული მონასტრის მხატვრები დასავლური ზეთის ფერწერის გამოვნებას საქართველოში კრეტას ხატწერასთან კავშირითაც ნერგავდნენ.[1]

მე-17-18 საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის გახსენება, რა თქმა უნდა, არ არის ერთადერთი მხატვრის ფიროსმანაშვილისთვის დამახასიათებელი ნიშანი. ეს ქართველი ხალხის, განსაკუთრებით დემოკრატიულ ფენებში, შემორჩენილი ჩვევაა. მისი წიაღიდან გამოსული ტალანტი, რომელიც ბედმა თუ უბედობამ აბსოლუტურად ააცდინა აკადემისტური ხელოვნების გავლენას, სხვა თვითნასწავლ ხელოვნებთან ერთად. ხალხში შემორჩენილ ახლო წარსულის მხატვრულ ტრადიციას მისდევდა. ხოლო, რამდენადაც ფრესკული ხელოვნების სახით, ქართული კლასიკა, ისტორიულად აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების ხელოვნების მოწინავე რიგში იდგა, ამდენად, ფიროსმანაშვილის ხელოვნება შუასაუკუნეობრივი მსოფლიო კლასიკის სათავეებსაც უკავშირდება.

ქართულმა კედლის მხატვრობამ მე-18 საუკუნიდან შეწყვიტა განვითარება. მისი და მინიატურის ტრადიციები კი ქართულ საერო პორტრეტში აირეკლა, რომელიც თავისი მოწოდებით რეალისტური იყო, მაგრამ ტრადიციის სურნელებაც არ გაჰქრობოდა. ამიტომაა, რომ მე-18 საუკუნისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საერო პორტრეტი სავსებით ორიგინალური ეროვნული სტილით ხასიათდება. ევროპული რეალისტური პორტრეტისაგან იგი ლაკონიურობითა და დეკორატიული სტილიზებულობით გამოირჩევა. სწორედ ამ თავისებურებებით იგი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა.

ფიროსმანაშვილის კავშირი ქართულ კედ-

1 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ო. ფირალიშვილი, ბობნევის მოხატულობა და რეალისტური ტენდენციის შესახებ მე-17 საუკუნის ქართულ მხატვრობაში, გამომც. „ხელოვნება“, თბილისი, 1952, გვ. 55-76.

ლის მხატვრობასთან დღევანდელი გაგებით არ უნდა გვესმოდეს (თითქოს მხატვარი, ტრადიციის ათვისების მიზნით, საგანგებო მივლინებით მიემგზავრებოდა ძეგლებიდან ასლების გადასაღებად). მაგრამ ქართულ საეკლესიო მხატვრობასთან ფიროსმანის დამოკიდებულების საკითხით თუ დავინტერესდებით, მისი მისტიკური გამოვლინებებიც უნდა გავითვალისწინოთ. საკმარისია, მაგალითად, გავიხსენოთ, თუ რა უხერხული სიტუაცია შექმნა ნიკალამ სასაფლაოზე იმ მომენტში, როდესაც წლისთავზე თავდავიწყებით დაიტირა თავისი ნათლული, რომელიც თვით მშობლებსაც კი გამოტირებული ჰყავდათ; ნიკოს დამშვიდებას არაფერი ეშველა, სულ თავისი „ანგელოზი ნათლულის გაფრენას“ მოსთქვამდა. ანდა გავიხსენოთ როგორ აფექტში ვარდებოდა ხოლმე იგი და ყვიროდა: „მიშველეთ! მიშველეთ! ჩემი წმინდა გიორგი, ჩემი მფარველი თავს დამდგომია მათრახით და მიყვირის: „ნუ გეშინია!“, ანდა როცა ამცნობდა ახლობლებს, თუ როგორ „გამოეცხადა მას მთავარანგელოზი“. აგრეთვე მისი მონათხრობა, რომ იგი დასთან ერთად სოფელში წავიდა, რათა „თავისი წმ. გიორგის წინაშე ელოცა“ და ამითი უდიდესი მოვალეობა მოეხადა.

გულწრფელი მორწმუნე ნიკო ფიროსმანაშვილს რკინიგზაში მუშაობამ ქიზიყიდან დაწყებული ფოთამდე საქართველოს უმეტესი ნაწილი გააცნო. გორსა და ზესტაფონში, ქუთაისსა თუ სხვა ქალაქებში იგი არაერთხელ დარჩენილა თავის შემკვეთებთან კარგა ხნის განმავლობაში. გავიხსენოთ გოლა ჰიჰინაძის ცნობა გორთან ნიკოს კავშირის, ხოლო მწერალ სერგო კლდიაშვილისა — ზესტაფონში მედუქნე გოცაძესთან სახატავად დიდხანს დარჩენის შესახებ. მხატვარი თავის წრის ადამიანებთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხატობის ერთგული დამსწრე იყო. მისი მდიდარი სულისათვის კი მცირე შთაბეჭდილებაც საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ შემოქმედებაზე ღრმა კვალი დაეტოვებინა.

მაშინ, როდესაც თავადაზნაურული, ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული წრეებიდან გამოსული ქართველი ახალგაზრდობა ევროპულ ხელოვნებასთან აკადემიზმით მაინც იყო დაკავშირებული, უბრალო ხალხს იმის მეტი არაფერი დარჩენოდა, რომ გულმოდგინედ შემოენახა მამაპაპისეული ტრადიციები და ახალი სოციალ-ესთეტიკური იდეები ამ კონსერვატიული, მაგრამ საუკუნეების მანძილზე დახვეწილი სხარტი საშუალებებით გამოეხატა.

ფიროსმანაშვილის მემკვიდრეობის ანალიზიდან ირკვევა, რომ შუასაუკუნეობრივი კლასიკიდან ნაანდერძევი ფორმები ჭეშმარიტი ტალანტის ხელში თვით რეალურ მოვლენათა განზოგადებასაც კი დიდებულად შეიძლება მორგებოდა.

მაგრამ ამ მხატვრის შემოქმედებითი თავისებურება უფრო ისაა, რომ მასში ორგანულადაა შერწყმული ძველი და ახალი მხატვრული ხერხები და ესთეტიკური ინტერესები. მის ტრადიციულ ლოკალურ ფერწერასთან, რომლის უშუალო ფესვებიც ფრესკებიდან და გ. მაისურაძემდელი ბრწყინვალე პორტრეტიდან მომდინარეობს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დაზგური ფერწერაც შერწყმულია თავისი მრავალრეგისტროვანი ტონალობით. ამ მხრივ საკმარისია დავაკვირდეთ მის პეიზაჟებს, სადაც აშკარად მოჩანს ტონალური ნიუანსების „მოდური“ ძიებაც. ეს კარგად შეინიშნება კომპოზიციებში: „დათვი მთვარიან ღამეს“, „ჟირაფი“, „ვირის ხიდი“ და სხვა.

ტრადიციასთან მჭიდრო კავშირს ფიროსმანაშვილისთვის ხელი არ შეუშლია იმ რთული ამოცანების გადაწყვეტაში, რაც ეპოქის ესთეტიკური იდეალების მიერ დაზგურ ფერწერაში იყო დაყენებული, რაც მაგალითად კონტრასტული ტონების დაპირისპირებათა ჰარმონიაში მდგომარეობს.

როგორც ცნობილია, უკანასკნელი საუკუნეების მსოფლიო ფერწერაში იგი ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ და ძნელად მისაღწევ პრობლემად ითვლებოდა. ფიროსმანაშვილი საოცარ ჰარმონიას აღწევს „მკვრივი“ წითლისა და შავი ფერების კონტრასტში, რისი პარალელის დასახელებაც ხელოვნების ისტორიაში მაინცდამაინც ადვილი არ არის. ამ თვალსაზრისით საკმარისია გავიხსენოთ შავ სამოსში გამოწყობილი „ხუთი მოქეიფე თავადი“, რომლებსაც „მკვრივი“ წითელი ფერის გულისპირი მოუჩანთ, „ქართველი ქალი დაირით“, „ქალი ლუდის ჭიქით ხელში“, რომელთა გვერდითაც არაერთი სახელოვანი ნაწარმოები უფერული გამოჩნდებოდა.

კონტრასტული ტონების ჰარმონიის სახით ფიროსმანაშვილის მემკვიდრეობაში ისეთ მოულოდნელ მიღწევას ვაწყდებით, რომელსაც მდაბიო და სრულიად უპრეტენზიო წრიდან გამოსული ტალანტი, ნებით თუ უნებლიეთ, კულტურის საკაცობრიო მიღწევათა დონეზე აჰყავს. თვითონ ნიკო აბა როგორ წარმოიდგენდა, რომ ასეთი მიღწევა მსოფლიოს ბევრ დიდად სახელმოხვეჭილ ოსტატს შეიძლება შეშურებოდა.

მაგრამ ფიროსმანაშვილის ეს მიღწევა საერთოდ ლაპიდარობამდე ლაკონიურ მეტყველებასთან ერთად განსაკუთრებულ ღირებულებად წარმოგვიდგება რეალობის განსაცვიფრებელ მხატვრულ ტრანსფორმაციასთან ერთიანობაში.

ამ მხატვრის მემკვიდრეობა, კატეგორიუ-

ლად რომ უპირისპირდება ნინამდვილის „გარეჭერქის“ „მიბაძვის“ პასიურ მეთოდს, ჯერ კიდევ სრულად არ გამოხატავს მისი შემოქმედების არსებით თავისებურებასა და ღირსებას. მის შემოქმედებაში უფრო მნიშვნელოვანი ტიპიურ მოვლენათა მასშტაბური გარდასახვაა, რის შედეგადაც ზოგიერთი სახე, მხატვრული „გადაჭარბების“ თვალსაზრისით კარიკატურის საზღვრამდეც კი აღწევს. მე-19 საუკუნის დიდი ფრანგი მხატვარი, ჰონორე, დომიე, ნამდვილ კარიკატურაშიც კი ზედაპირის აღწერისაგან თავს მთლიანად ვერ ითავისუფლებდა. ფიროსმანი თვით პორტრეტის ჟანრშიც კი მთლიანად თავისუფალი იყო ზედაპირის აღწერის უმცირესი ცდუნებისაგანაც კი, მისთვის მთავარი იყო არა ასასახავი პიროვნების სახის „აღწერა“, არამედ საკუთარი აზრი იმ პიროვნების შესახებ. მაგრამ ამას ისეთი ძალოვანი ტრანსფორმაციის უნარით აღწევს, რაც ხელოვნების ისტორიის მრავალსაუკუნოვან მანძილზე მხოლოდ გიგანტებთან თუ შეგვხვდება. ამ თვალსაზრისით საკმარისია გავიხსენოთ „მეეზოვე“, „მდიდარი კინტოს შვილი“, „გოგონა საფრენი ბუშტით“, „მუშა კასრით“, „მუშა ტიკით“, „ორთაჭალელი ქალი“, „მუშა სოსო“ და სხვა.

ფიროსმანაშვილის „მეეზოვე“ კომიკურდრამატიული კაცუნაა, რომელიც, თვითონ გასაცოდავებული, სხვათა დასაფრთხობად განუწესებიათ სახელმწიფოს ინტერესების დამცველთა იერარქიაში: ორიოდე სხარტი მონასმით გამოხატულია ცოცხივით გაჩეჩილი, გაფშეკილი წვერულვაში, მუდამ დაუბანელობის გამო დაუმორჩილებელი თმის ბეწვები და ცხოვრებისაგან დამფრთხალი, მკერდში ჩამძვრალი თავი დაჩანჩურებული მოხუცისადმი გულწრფელ თანაგრძნობას გამოხატავენ. მაგრამ სახელმწიფოებრივ ატრიბუტებთან დაკავშირებით მხატვარი ამ არსებას ირონიასაც არ აკლებს: სასოებითა და ფრთხილად დახურული, საგანგებო წარწერით აღჭურვილი, მკაცრად გეომეტრიული ფორმის ქუდი წარწერით — „Дворник“ გამცნობთ, რომ თქვენ წინაშე სახელმწიფო მოხელეა, რომელსაც კომბალი მუდამ მომარჯვებული აქვს და თვალებიც ძლიერ დაჭყეტილი, დიდმპყრობელური სიფხიზლისა და ნებასურვილის განხორციელებისათვის. ყოველივე ეს, ცხადია, უფრო მეტად კარიკატურის თემებია. მხატვრული „გადაჭარბების“ მასშტაბითაც კარიკატურად ქცევის თითქოს ყველა პირობაა, მაგრამ იგი ასეთად არ აღიქმება, რადგან ხელოვანის უნაზესი თანაგრძნობის ფონზეა განსახიერებული.

ვის შეეძლო თუ არა გენიალური ინტუიციის ხელოვანს „ერთი ამოსუნთქვით“ ძველი მეეზოვის აბუჩად აგდებული, მაგრამ მაინც „თანამდებობის პირის“ სახე ასე მარტივი საშუალებებით მოეცა?

ფიროსმანის შემოქმედების ლაკონიზმისა და რეალიათა მასშტაბური ტრანსფორმაციის საილუსტრაციოდ მისი მრავალი ნაწარმოების გაანალიზება შეიძლებოდა. გავიხსენოთ, მაგალითად, მდიდარი კინტოებისა თუ ყარაჩოხელების შვილების თემაზე შექმნილი ნაწარმოებები, როგორიცაა „მდიდარი კინტოს შვილი“ და „გოგონა საფრენი ბუშტით“, რომლებშიც მხატვარი უზომოდ ნაკვებსა და სრულიად უაზრო ორ ნორჩ არსებას მხოლოდ ყველაზე საჭირო ატრიბუტებითა და ძუნწი, ძალოვანი ხერხებით საოცარ სიმახვილეს ანიჭებს. ასევე მეტად საყურადღებოა „ორთაჭალელი ქალი“ ხელში მარაოთი. მხატვარს აქ ვნებადაუზოგავი „ტურფა“ ალერსისათვის მუდამ მზადყოფნის სიმკვირცხლითა და სხეულის კონფიგურაციის მხატვრული „გადაჭარბებით“ დიად ქმნილებად უქცევია.

აბა ერთი მცირე ზედმეტი შტრიხი მაინც იპოვეთ მის ამ ხარისხის ნაწარმოებებში. აბა რამე მოუშალეთ ან დაუმატეთ მათ, თუ ესოდენ სახეობრივი სიმახვილე ძლიერ არ დაზარალდეს. გაოცებას იწვევს მხატვრულად აუცილებლისაგან ზედმეტის გამორიცხვის გოლიათური უნარი, რომლითაც აღჭურვილი ყოფილა ეს გაუნათლებელი ადამიანი. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ასე მახვილი, ძლიერ ზემოქმედი, ლაპიდარობამდე ძუნწი ნახატები მრავალი წლის შრომისა და ექსპერიმენტის შედეგი კი არ არის, არამედ „ერთი მონასმისა“ და უმარტივეს საშუალებათა გამოყენების ნაყოფია.

თითოეული სახე აქ რეალისტური განზოგადების ისეთ საზღვრამდეა მიყვანილი, რომლის კიდევ გაზვიადება შეუძლებელიც კი იყო. მაგრამ განზოგადოების ფიროსმანისეულ მასშტაბს არაფერი საერთო არა აქვს არც კარიკატურისა და გროტესკის, და არც პლაკატურ ხმიერებასა თუ „სიმსუბუქესთან“. მის თითოეულ ნაწარმოებს დაზგური ფერწერის ღირსეული სიმკვრივე, ძარღვმაგრობა და ტონალური სოლიდურობა ახასიათებს. ამასთან, პალიტრის სიძუნწის მიუხედავად, იგი ტონალურ მრავალრეგისტრიანობასაც მიმართავს. მაგრამ ვინაიდან იგი მოვლენათა არა ზედაპირის აღმწერი, არამედ არსში ჩამწვდომი ხელოვანია, ფართო სიბრტყეებითა და ფორმებით აზროვნებს. ამიტომაცაა, რომ მისი ქმნილებები ფორმათა მოჩვენებით სიმარტივეში სტიქიური ძალის სიდიადით არიან აღჭურვილნი და ერთხელ ნახვითაც კი თავს არასოდეს არ დაგავიწყებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ლომიძე

# შიო არაგვისპირელის შემოქმედების მხატვრულ-მეტაფორული თავისებურებები

ნე-19 საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის დამდეგს საქართველოში მეტად წინააღმდეგობრივი და მრავალფეროვანი სოციალური სიტუაცია შეიქმნა, რაც ასევე მრავალფეროვნად აისახა ამ პერიოდის ქართველი მწერლების ნაწარმოებებში.

ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. გაუქმდა ბატონყმობა. 50-60-იან წლებში მოხდა გადასვლა მანუფაქტურული წარმოებიდან მანქანურ წარმოებაზე. გაიზარდა და გამრავლდა პროლეტარიატი. იწყება რევოლუციური მოძრაობა. მიუხედავად ამისა, საქართველოს მაინც „არ ჰქონდა დამოუკიდებელი ინდუსტრიული განვითარების საშუალება, რის გამოც ის დიდხანს დარჩა აგრარულ ქვეყნად. საქართველოს მშრომელთა კოლონიური ექსპლუატაცია, რომელიც ხასიათდებოდა იმპერიალისტური ძარცვა-გლეჯისა და ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლუატაციის ყველაზე უხეში ფორმების შეერთებით, კიდევ უფრო ამწვავებდა სხვადასხვა წინააღმდეგობას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და ამით ნიადაგს უქმნიდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას".[1] ამასთან, ამ პერიოდის საქართველოში ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობები უკვე ძირმორღვეულია, კაპიტალისტური კი ჯერ კიდევ არაა მძლავრად ფესვგადგმული. ამ გარემოებას გულისხმობდა ს. ჯიბლაძე, როდესაც წერდა: „ჩვენში არამც თუ მომზადებულია კაპიტალიზმას უმაღლეს საფეხურზე ასავალი ნივთიური ნიადაგი, ჩვენ კიდევაც ავფორთხდით ამ საფეხურზე" („კვალი", 1895, № 4). კლასთა შორის დაპირისპირება ჯერ კიდევ არაა ისეთი ძლიერი, რომ ხელოვნების ნაწამოებების აღქმის მრავალფეროვანი „პარტიტურა" წარმოიქმნას, რათა წარმოქმნას „გაუგებრობის სიტუაცია" სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის თვალსაზრისის ამსახველი ნაწარმოებების აღქმისას და გაბატონდეს აღქმის მეორე ხერხი. ხელოვნების ნაწარმოებები ჯერ კიდევ „გასაგებია" ცნობიერების დონეზე, შინაარსის დონეზე. შესაბამისად, შინაარსეული კომპონენტი გაბატონებულია ხელოვნებაში. ყოველ შემთხვევაში მკითხველი საზოგადოების ყურადღება სწორედ აქეთაა მიმართული და თუმცა ამ პერიოდის მწერლების შემოქმედებაში საკმაოდ ძლიერია ფორმალური მხარე, თანამედროვე საზოგადოება მას ვერ ამჩნევს, გაუგებარს ყოფითად იაზრებს", მის გაცნობიერებას ცდილობს და ჩრდილში ტოვებს ამ მწერალთა შემოქმედების მხატვრულ მხარეს (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ ვიმსჯელებთ კონკრეტული ნაწარმოებების განხილვისას). ამგვარი ინვერსია მხატვრულისა — არამხატვრულზე საერთოდ ძალზე სჩვევია კრიტიკას, ლიტერატურათმცოდნეობას, საზოგადოდ, ხელოვნებათმცოდნეობას, ვინაიდან ხელოვნების შესწავლისას

ადამიანის ინტელექტი, ცნობიერება მხატვრულ-არაცნობიერ ელემენტებს საკუთარ, თვით ამ ელემენტებისათვის უცხო ენაზე თარგმნის: ყოველგვარი ცნობიერი და გონიერი განმარტება, რომელსაც ხელოვანი ან მკითხველი აძლევს ამა თუ იმ ნაწარმოებს, უნდა განვიხილოთ, როგორც გვიანდელი რაციონალიზაცია, ე.ი. როგორც გარკვეული თვითმოტყუება, როგორც საკუთარი გონების წინაშე თავის მართლება, როგორც პოსტფაქტუმ მოგონილი ახსნა“.[2]

ცხადია, არა მარტო მე-19 საუკუნის დასასრულის ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება იყო მიმართული ხელოვნების ცნობიერ-შინაარსეულ მხარეზე, არამედ თვით მწერლებისაც, როგორც ამ საზოგადოების ღვიძლი შვილებისა. მაგრამ რეტროსპექტული ანალიზი აშკარად ავლენს მათი ნაწარმოებების იმ მხატვრულ სიღრმისეულ ფენებს, რომლებიც შეუცნობელი რჩებოდა თანამედროვეთათვის.

ამ პერიოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართველი მწერლის შიო არაგვისპირელის შემოქმედების მხატვრულ-მეტაფორულ თავისებურებათა ანალიზისას მეტაფორებს ვიხილავდით იმ კონტექსტში, რომელიც მათ ჰქონდათ ადამიანთა ისტორიის გარიჟრაჟზე. პირველყოფილთემური საზოგადოების წევრის არაცნობიერ-მხატვრული მეტაფორული აზროვნება ხელოვნების პირველწყაროა, გარკვეული ბაზისია, რომელიც ხელოვნების ყოველ ნაწარმოებში შეიძლება გამოვავლინოთ.

„მითოლოგიური დამოკიდებულება სინამდვილისადმი, განსაკუთრებით „ხალხური ფანტაზიის“, როლი, სავსებით იმსახურებს ლიტერატურის ისტორიკოსის ყურადღებას, რომელიც არ კმაყოფილდება პოეტური პოტენციალის განსაზღვრით ეპოქის გაბატონებულ იდეებზე, საყოველთაოდ ცნობილ ლიტერატურულ წყაროებზე და მწერალთა ბიოგრაფიებზე დაყრდნობით. გადამწყვეტი პრობლემა, რომელსაც მეცნიერები გამუდმებით გვერდს უვლიან, ისაა თუ რამდენად ინარჩუნებს კოლექტიური ფანტაზია, კოლექტიური წარმოსახვა ცნობიერი მხატვრული შემოქმედების გამამდიდრებელი ელემენტის ქმედით ძალას ჩვენს დროში, როდესაც ბუნებაში და საზოგადოებაში ურთიერთკავშირები წინანდებურად მითიური საბურველით არაა შემოსილი... ამ კონტექსტში „მითის“ ცნება ბუნებრივად უკავშირდებოდა „მეტაფორისა“ და „სიმბოლოს“ ცნებებს და გაგებული იყო (მეტაფორა), როგორც თავისთავში ჩაკეტილი მნიშვნელობა...“[3]

დამთხვევათა უსასრულო რიგში, რომელიც პირველყოფილ-მეტაფორულ აზროვნებას ახასიათებდა, ადამიანი ღვთაების ტოლფასი იყო, სიკვდილი — სიცოცხლისა, დაბადებისა, სიბრძნე — სიგიჟისა, სიკეთე — ბოროტებისა, მეფე — მონისა. ადამიანის სიკვდილი ერთდროულად „მსხვერპლის შეწირვისა“ და „ღვთაების რეგენერაციის“ სურათს განასახიერებდა.

შიო არაგვისპირელის მხატვრულ აზროვნებაში ურთიერთდამთხვევათა ეს რიგი დარღვეულია. ადამიანი დახატულია, როგორც კოლექტივს, კლასს მოწყვეტილი არსება, ზოგადს, მარადიულს, საყოველთაოს (მეტაფორულად — — „ღვთაებას“) მოწყვეტილი „მსხვერპლი“. მის ნოველებში „ღვთაების“, ზოგადი საწყისის როლში მხოლოდ ბუნება გვევლინება, ადამიანი კი „მლილია“: „აი, თქვე საცოდავებო, თქვენა!.. რა ჩაგიკიდნიათ თავები და ჩამოგტირით ცხვირ-პირი?! მაგ ერთი მლილისთვის თქვენ მაგრე იქრუშებით და იწუხებთ თავებს...“ („ესაა ჩვენი ცხოვრება!..).

აქედან გამომდინარეობს შიო არაგვისპირელის ნაწარმოებთა ფორმალური თავისებურებები. მათთვის არაა დამახასიათებელი ამბის საინტერესო სიუჟეტური განვითარება, მწერლის ყურადღება არ არის მიმართული იმ კონკრეტულისადმი, რომელშიც უნივერსალური ვლინდება. ის ხატავს უმნიშვნელო, წვრილმან, კერძოობით ამბებს და უმნიშვნელო გმირებს. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, პიროვნება ჩაძირულია ამა თუ იმ სიტუაციაში, რომელიც წინა პლანზეა წამოწეული და წარმოადგენს სიკვდილის, სიცილის, ბრძოლის, მრუშობის, გარდაცვალების აქტების თითქმის „გაშიშვლებულ“ ასახვას. თვით ამ სიტუაციებს ერთი და იგივე — „სააღდგომო“, „საშობაო“ და ა. შ., ევქარისტიული ქვეტექსტი აქვთ. მოქმედება ხშირად ხდება საახალწლოდ, საშობაოდ, სააღდგომოდ. მწერლის ცნობიერებაში მკვიდრადაა გამჯდარი ე. წ. „სააღდგომო კომპლექსი“, განახლების, რეგენერაციის სურვილი და მოლოდინი.

ასე, მაგალითად, ნოველაში „მომილოცნია ახალი წელი“ ნათლად გამომჟღავნდა მწერლის სოციალური სიმპათიები და ანტიპათიები. ნოველის გმირია დედაბერი (სიკვდილის მეტაფორა), რომელიც ახალი წლის ღამეს ცეცხლს უკიდებს მდიდარი მეზობლების სახლებს (სადაც მხიარულება და ზეიმია) და თავს იწვავს.

დედაბერი განასახიერებს ყოველივე დრომოჭმულს, წარმავალს, სიკვდილს. ცეცხლს გამწმენდი მნიშვნელობა აქვს და ბუნებრივია სახლთა გადაბუგვა ამ გამწმენდი ცეცხლით. დედაბერი მსხვერპლის იპოსტასშიც გვევლინება: ის, სისხლით დასვრილი, უერთდება ცეცხლს, ცეცხლს ევქარისტიულ ატმოსფეროში შევყავართ, მართალია, მოქმედება ახალი წლის ღამეს ხდება, მაგრამ დედაბრის სიკვდილს რეგენერაციული მნიშვნელობა არა აქვს. მოქმედების დრო, ისევე, როგორც ცეცხლი და სისხლი, ევქარისტიული კომპლექსის გამოვლინებაა. რეგენერაციას გამორიცხავს ის

გარემოება, რომ ნოველის გმირი დედაბერია, ამჟერად იგი სიკვდილის განსახიერებაა. ნოველა მეტაფორულად მეტად დატვირთულია, გმირი და მისი მოქმედება ერთეულის, კერძოობითის საზღვრებს სცილდება და უახლოვდება პირველყოფილი მეტაფორების ზოგადობას, უნივერსალურობას, რიტუალს:

„— ააა! ... უცნაურის ხმით დაიღრიალა მან და ტანი აუთრთოლდა.

— ააა!.., კიდევ დაიღრიალა, შემდეგ კბილებით თავის გამხმარ ხელს დასწვდა და ერთი ლუკმა ხორცი ამოგლიჯა.

სისხლით შეთხუპნული სწორედ გამძვინვარებულ მხეცს მგვანდა.

— ახალი წელიწადი უკვე დადგა!.. ახალ წელს ეგებებიან! ერთმანეთს სიხარულით ულოცავენ!... ჩემი მტანჯველნი მხიარულობენ!... მეტისმეტი სიასპიტისაგან მიხრინწებულის ხმით შყვიროდა და გამალებული დარბოდა ოთახში იმ დროს, როდესაც როიალის გრიალი და ხმაურობა უფრო და უფრო მკაფიოდ მოისმოდა.

— იმათ უნდა იმხიარულონ?! არა, მაგ მხიარულობას ვაებად გადაგიქცევთ, თქვე მტარვალნო!., — წამოიძახა ბოლოს და ლამპარს ხელი დაავლო.

... სახლში უეცრივ როიალის გრიალი და ხმაურობა შესწყდა. ყველანი გაელვარებულ ფანჯრებს მოაწყდნენ და გულ-დახეთქილებმა ყვირილი მორთეს.

— ხა, ხა, ხა!... მომილოცნია ახალი წელი!...

ხარხარით შესძახა ამ დროს დედაბერმა სარკმლიდან და გაძლიერებულ ცეცხლს შეუერთდა“.

ეს სიცილი, რომელიც სიკვდილს თან ახლავს, ორგიასტული სიცილია, როგორც მარინეს ორგიასტული თამაში ბავშვებთან ეგ. ნინოშვილის „გოგია უიშვილში“., სიკვდილისა და სიცილის სემანტიკური კავშირი უძველესი დროიდან მოდის. სისხლი ღვინოს უტოლდება მეტაფორულად და სისხლით მთვრალი დედაბერი სიკვდილის წინ ორგიასტულ ექსტაზს ეძლევა: „ამგვარი სიკვდილის მომენტი ორგიასტულია და მიმდინარეობს თრობისა და ფალიზმის... გარემოცვაში. აქაა მრავალფეროვანი ტიპების მთელი გალერეა — შეზარხოშებული მკვლელი ლუციუსი, ქალიშვილების მიერ დამთვრალი და მათთან კავშირში ჩათრეული ლოტი, ანტიკური გმირები და სხვა“.5

მსხვერპლის სახით გვევლინება ცალკეული ინდივიდი ნოველაში „ადამიანი“. ნოველის გმირი ავადმყოფია, ჰლექით კვდება. ამხანაგები მასთან ღვინოს მოიტანენ და ხვამენ. „ვინაიდან ევქარისტიული მნიშვნელობის მქონე ეს სისხლი დაკავშირებულია დაკარგვა-აღმოჩენის, სიკვდილ-სიცოცხლის ხატებთან, ასევე ღვინო ინარჩუნებს სიკვდილ-აღდგომისა და სიკვდილ-სიცოცხლის მნიშვნელობას. სისხლის მიწათმოქმედებრივი ექვივალენტი — ღვინო, ფოლკლორში აღნიშნავს ნაყოფიერებას, სიკვდილს გადარჩენას, წარმოებას. სისხლის სმა — ხსნის და განკურნების უძველესი აქტია და ღვინო, რომელიც მის ადგილს იჭერს, იძენს მისსავე სემანტიკას“...6 ნოველის გმირს იმიტომ უკავშირდება სისხლის სახე, რომ ხაზი გაესვას მის „მსხვერპლობას“. მისი ამხანაგებისაგან განსხვავებით რომლებიც ღვინოს სვამენ (ან, პირიქით, ღვინო აძლიერებს სისხლის სემანტიკურ დატვირთულობას და იძლევა სისხლის ორმაგ სახეს). ამრიგად შიო არაგვისპირელი ხატავს მსხვერპლის შეწირვის ტიპიურ სიტუაციას: მსხვერპლი, მისი სისხლი და ღვინის სმა. რატომაა გამოყენებული ღვინის და სისხლის ურთიერთგათიშული მოტივები? იმიტომ, რომ ადამიანის სიკვდილი საბოლოო აქტია და რეგენერაციის უნარი მის სისხლს არ გააჩნია. ამიტომაა ნოველაში შემოტანილი ღვინის მოტივი სისხლის პარალელურად.

საზოგადოდ, მსხვერპლის მეტაფორა გამოყენებულია შ. არაგვისპირელის ბევრ ნოველაში. ასეთია, მაგალითად, „ემ, ჯანდაბას, ჩემი თავი და ტანი“, რომელშიც შეიძლება გამოვავლინოთ ავტორის უაღრესად საინტერესო არაცნობიერი ასოციაციები. მსხვერპლად მოტანის სიტუაცია მოცემულია როგორც ნოველის გმირის — სალახ (ყასაბ) ალექსას რეალურ ცხოვრებაში, ასევე მის სიზმარში: „ხედავს, ბაკში მუხლებამდის წუმპეში სხვა საქონელს შუაა. დაიხედა ძირს და წყალში თავისი თავის მაგივრად ძროხა დაინახა...

„როგორღაც მეცნობა ეს ძროხა... თითქოს მინახავს სადღაც... ღმერთო, მომაგონე!“ — ძირს ცქერით გაიძახდა უსიტყვოდ და გონს ვერ მოსულიყო... უეცრად შეკრთა. უნდოდა წამოეყვირნა: „ნუთუ ეს ძროხა მე ვარო“, როდესაც წუმპიდან ამომჭვრეტ ძროხის ლანდში თავისი ლანდი იცნო. თავი მაღლა ასწია. აღარ უნდოდა ემზირნა...

„ღმერთო, მაპატიე და მიხსენ ამ განსაცდელისაგან!“ — უსიტყვოდ შეევედრა უფალს და უკან მიიხედა. თავის გვერდით მდგომ ხბოს თვალი მოჰკრა. ჩააკვირდა და — ოხ, ღმერთო! — თავისი ანდრო იცნო...“

სიზმარში — არაცნობიერის სამკვიდროში — ჰქრება განსხვავება სუბიექტსა და ობიექტს, მკვლელსა და მსხვერპლს, ადამიანსა და ცხოველს შორის. ძროხადქცეულ ალექსას და მის შვილს თავად დაკლავენ სიზმარში. გამოღვიძებისას ეს ფსიქიკური ფაქტი ინერციით განაგრძობს არსებობას ალექსას პიროვნებაში, რასაც მოსდევს მისი პროფესიული გამოუსადეგარობა. მას აღარ ძალუძს საქონლის დაკვლა-ილვიძებს რეფლექსია და იბადება ეჭვი მსხვერ-

რპლის საჭიროებაში. ეს მდგომარეობა მანამ გრძელდება, ვიდრე ალექსა არ დაითვრება. ღვინო — სისხლის მეტაფორაა და მას ისევ შეჰყავს ნოველის გმირი ევქარისტიულ ატმოსფეროში. ალექსას უბრუნდება საქონლის დაკვლის უნარი:

„ალექსა სალახი კარგა შეხურებული გამოვიდა დუქნიდან და სასაკლაოსკენ გასწია.

ახლა ალექსასთვის სულ ერთი იყო, თავისი თავი დალუპულად სცნო. კაცი რომ წამოუქციონ, იმასაც კი ყელს გამოღადრავს, თორემ საქონელს ხომ სიკეთეს არ დააყრის და არა“.

ნოველის ქვესათაურია „საშობაო ეტიუდი“. მას ეკისრება გარკვეული პასქალური ფონის შექმნა ნოველაში მოთხრობილი ამბისათვის. ალექსას მიერ მისი პროფესიული საქმიანობის გაგრძელება მიგვანიშნებს ღვთაებრივი (ეკლესიაში შესულ ალექსას ყურში ჩაესმის „სად შემოხვედი?... აქ შენი ადგილი არ არის“[1]) და ადამიანური პლანების გათიშულობაზე. საშობაოდ მსხვერპლის მოტანის საჭიროებაში დაეჭვება ღვთაების, მარადიულის, უკვდავის არსებობაში დაეჭვებასაც ნიშნავს.

ონელას „ბაბდო-კი...“ მიწერილი აქვს (სააღდგომო ეტიუდი) და ზემონახსენები ევქარისტიული მნიშვნელობის ნოველათა რიგს ეკუთვნის. აღდგომის ღამეს ხალხი დღესასწაულზე მხიარულობს, მღერიან და თავს იქცევენ. ამავე სოფლის ერთ სახლში კვდება ჭაბუკი ბაბდო. ამ ნოველაში შეპირისპირებულია „აღმდგარი“ ღვთაება და მომაკვდავი ადამიანი.

„მღვდელი და მეფსალმუნე „ქრისტე აღსდგა“ გალობენ. ხალხი ხარობს, „ქრისტე აღსდგა“ გაიძახის...

— დედი, გამიშვი...

— სადა?

— ვერა ხედავ, მეძახის? აგერ, როგორ ბრწყინავს,. აგერ... აგერ!... — ქრისტე აღსდგა!... ბრწყინავს... ის მეძახის... აგერ! წამოიწია და თითი მაცხოვრის ხატისაკენ გაიშვირა, რომელიც მარჯვნივ აღმოსავლეთის კუთხეში ესვენა.

— რას მომცემს ის ქრისტე, რომელიც მე სუგეშს მართმევს...

— სსს... — მწარედ წაისისინა და დედას ტუჩებზე ხელი მიაფარა.

— აბა სად არის?... მე იმას...

— სსს... — კიდევ წაისისინა და უფრო მაგრად დააფარა ხელი. — შეევედრე... შეევედრე... ის... ის... განუ... გე... შებს.. უკანასკნელი ახოები სულ მკრთალად წარმოსთქვა და მოლეშით დედას მიესვენა...“.

სიკვდილ-აღდგომის მეტაფორების მეშვეობით შ. არაგვისპირელი ერთმანეთს უპირისპირებს ღვთაებას და ადამიანს, თითქმის მთლიანად აბსტრაგირებულებს ისტორიული, სოციალური თუ სხვაგვარი შინაარსისაგან, კონკრეტულ-ისტორიული გარემოცვით გათვალისწინებული ყოველგვარი ურთიერთობებიდან, იმას გარდა, რასაც ითვალისწინებდა მეტაფორული აზროვნება — ესაა კვების, სქესობრივი ურთიერთობისა და სიკვდილის აქტები, გააზრებული და წარმოდგენილი მათი მარადიული, უნივერსალური ფორმებით, იმ განსხვავებით, რომ ადამიანური ყოფის პლანში ისინი რეგენერაციის თვისებას მოკლებული არიან. ამიტომ მარადიული, ზოგადი პლანი, რომელიც ეგ. ნინოშვილის ნაწარმოებებში აღწერილ კონკრეტულ სიტუაციებს ერწყმის, შ. არაგვისპირელის მიერ დამოუკიდებელი სახით არის წარმოდგენილი, როგორც ადამიანურ ყოფაზე მაღლა არსებული აბსოლუტური საწყისი. ნოველათა სათაურებში მწერალი მიუთითებს ძირითად მეტაფორებზე, რომლებიც მისი ნაწარმოებების დომინანტებს წარმოადგენენ. ასეთია, მაგალითად, „მამას მიწა მივაყალეთ“, „ქარი — კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“, „ხითხითებს და ხითხითებს“, „ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი“, „მხრები-ლა ავიჩეჩე“, „ხა, ხა, ხა რა სულელი ხარ!“, „ყველაი დავკარგე“ და სხვ. ე. ი. პიროვნება ჩაძირულია სიტუაციაში, რომელიც წინა პლანზეა წამოწეული და წარმოადგენს სიცილის, სიკვდილის, ტირილის, სისხლის, მრუშობის და სხვ. მეტაფორებზე მინიშნებას.

რბოლა, როგორც ადამიანის მოქმედების სახე პირველყოფილ აზროვნებაში გააზრებული იყო, როგორც სიკვდილის მეტაფორა. შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში ეს მეტაფორა გამოყენებულია ნოველებში „მამას მიწა მივაყალეთ“ და „ადამიანი“.

პირველ ნოველაში პატარა გოგონა გამორბის სახლიდან, სადაც ინფექციურმა დაავადებამ (ქოლერა) იმსხვერპლა მისი ოჯახი.

— შვილო, გარეთ გადი, შენც არ შეგეყაროს ხორველა!... წადი, წადი, შვილო! ... ეჰ — ამოიკვნესა შემდეგ და თვალის ქუთუთოები მძიმედ ჩამოიფარა, რომ გულის საკლავი სურათი აღარ დაენახა... — მეც რომ მოვკვდე, ვიღა მოუვლის ჩემს პატარა სოფას!... ღმერთო!... — წამოიძახა მართიკომ და ცრემლები გადმოსცვივდა მილულული თვალებიდან...

... — ძია... — უეცრად წამოიძახა სოფამ და აჩქარებით გაექანა მომავალი კაცისაკენ .

— გოგო, მამა რა უყავ? — ტირილით მოაძახა შორიდან მართიკოს მაზლმა, რომელმაც მინდორში ჭორად გაიგო, რომ იმისი ძმა სოსიკა გუშინ დაასაფლავესო, იგი ნამდვილის შესატყობად წამოვიდა.

გოგო მაშინვე შესდგა, და გულამოსკვნით წამოიძახა:

— მამას მიწა მივაყალეთ!...“

აქ ურთიერთშერწყმულია რბოლისა და ოთახიდან გამოსვლის მეტაფორები, რომელთაც განახორციელებს ბავშვი. ბავშვის ოთახიდან

გამოსვლა მისი რეგენერაციის, სიკვდილის გადარჩენის მნიშვნელობისაა, მაგრამ მისი რბოლა და ნოველის უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც, როგორც სემანტიკური დომინანტა, სათაურშია გამოტანილი, აძლიერებს ავადმყოფობითა დ. სიკვდილით გამოწვეულ მძიმე შთაბეჭდილებას აქცენტი გაძლიერებულია არა სიკვდილის გადარჩენის ფაქტზე, არამედ სიკვდილზე („მამას მიწა მივაყალეთ“).

ნოველაში „ადამიანი“ მომაკვდავ გმირს ესიზმრება გარდაცვლილი სატრფო. ისინი დარბიან მინდვრად, ყვავილებში: „გარბის ელო, უკან თედო მისდევს. ორივენი ცდილობენ რაც შეიძლება, მარდად გაიქცნენ. უეცრად ორივემ იგრძნეს, რომ ფრენა შეუძლიათ. გარბიან, თითქმის დედამიწას ფეხს არ აკარებენ, მიფრინავენ, დასრიალებენ, დანავარდობენ ჰაერში და უზრუნველად ერთმანეთს ეალერსებიან და ეხვევიან. გაისრიალეს ათასფრად აყვავებული ტყე, მინდორი, ღელეები და მთები. ყველა ამათის მზერით სტკბებოდა და ამათ მნახველთ ერთმანეთისადმი გრძნობა უცხოველდებოდათ. თითქოს მთაც, ტყეც და მინდორიც და ყველა მცენარე იმათ გულში სიყვარულს აწვეთებდა“.

უკვე ის ფაქტი, რომ ნოველაში რბოლა სიზმარში ხდება, მიგვანიშნებს მის მნიშვნელობაზე ნოველის გმირისთვის: „ძილი — სიკვდილის მეტაფორიაა. მძინარე ადამიანი მიცვალებულის პოზაშია. რბოლა აქ ირრეალურია და მას ნოველის დასასრულ რეალური სიკვდილი ენაცვლება.

ნოველაში „ოლოლები“ სიკვდილს განასახიერებს რბოლისა და ტყეში წასვლის მეტაფორები. ბავშვები — „ოლოლები“ — დარბიან ტყეში. სირბილის დროს ისინი ფრინველებად გადაიქცევიან. ეს ტრანსფორმაცია ორიგინალური არაა, ფრინველად გადაქცევის მოტივი ხშირია ფოლკლორში. მსგავსი სიუჟეტი დამუშავებული აქვს ვაჟა-ფშაველასაც („როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ“). ბავშვებისადმი, რომლებიც მეტაფორულად მომავალს, მყოფადს განასახიერებენ, სიკვდილის ორმაგი მეტაფორის მიწერა ავლენს ავტორის უკიდურეს უიმედობას, პესიმიზმს.

მოთხრობაში „ღვინის ქურდი“ გლეხებს ღვინის მოპარვა განუზრახავთ. წესის თანახმად („ქრისტეს რომ არ ეწყინოს“) საჭიროა მარანში, ქვევრის თავზე ღვინის დალევა. ღვინის ეს „გასინჯვა“ ქეიფში გადადის, რადგან დიდია „აღდგომისადმი“ ქვეცნობიერი ლტოლვა და ტკბილია ღვინო (სისხლი). როდესაც მარნის პატრონი გამოცხადდება, მას დაარწმუნებენ, რომ მარანი სხვისია და ის საქურდავად არის მოსული. შემდეგ — გაკოჭავენ და მარანშივე დააგდებენ. მარნის პატრონს თვით სჯერა, რომ ის ქურდია. ესაა „მონისა“ და „მეფის“ ურთიერთშეცვლის სატურნალური კომპლექსის გამოვლენა: პატრონი ქურდის როლში გამოდის, ქურდი პატრონისა. ნიშანდობლივია ცეკვა-თამაში და ღრეობა, რომელიც ამ აქტს თან ახლავს. ასევე იქცეოდნენ ადამიანები სატურნალიების დროს, ხოლო რეგენერატორი, რომელიც ქურდს (მონას) პატრონად აქცევს, ღვინოა (სისხლი).

„გაბზარული გულის“ სათაურიც, ისევე როგორც ნოველათა სათაურები, ნაწარმოების სემანტიკური დომინანტაა და ასახავს თვით მწერლის შინაგან გაორებას, გაბზარვას; გულთან, გრძნობასთან, არაცნობიერთან კავშირის დაკარგვას და ამ კავშირის აღდგენისაკენ ლტოლვას.

რამ გამოიწვია შიო არაგვისპირელის დაინტერესება ზღაპრის ჟანრით?

შიო არაგვისპირელი ნოველებში ხატავს იმ სიტუაციებს, რომლებიც ჰქმნიდნენ პირველყოფილ მეტაფორებს, და ამით აღწევს ხელოვნების პირველწყაროსთან — პირველყოფილ მეტაფორულ აზროვნებასთან თავისი შემოქმედების დაკავშირებას, მის განზოგადებას. მწერალი ხაზს უსვამს ამ კავშირს ნოველათა სათაურებში და ქვესათაურებში, მაგრამ შ. არაგვისპირელს არ ძალუძს, დახატოს განზოგადებული გმირი, როდესაც ასახავს მის თანამედროვე სოციალურ სინამდვილეს, ამიტომ ნოველებშიც ის ხშირად მიმართავს ლეგენდარულ სიუჟეტებს, ლეგენდარულ გმირებს, რათა ეს ხარვეზი აღადგინოს.

ზღაპრის ჟანრი კი ზოგადი გმირის ზოგად სიტუაციებში ამოქმედების საშუალებას იძლევა.

ამრიგად, მხატვრულ პლანში „გაბზარული გული“ გამოხატავს მწერლის მისწრაფებას მხატვრული სრულყოფილებისაკენ, ფსიქოლოგიურ პლანში—ზღაპრის ჟანრისადმი მისი მიმართვის აქტი წარმოადგენს შიო არაგვისპირელის თანამედროვე სინამდვილისაგან ზედროულ ფანტაზიის სამყაროში ლტოლვის რეალიზაციას: „ფოლკლორულ ნაწარმოებებში ჩვენ გადავდივართ სხვა, პირობით სამყაროში, მოვლენათა მიმდინარეობის პირობითი დროით. ამით ფოლკლორი მკვეთრად განსხვავდება რეალისტური ხელოვნების ნაწარმოებებისაგან, რომლებშიც დრო ყოველთვის „ღიაა“ და სიუჟეტის ფარგლებიდან გადადის ისტორიული დროის ერთიან ნაკადში“.[7]

მეტაფორულ დონეზე რომანი წარმოგვიდგება, როგორც მზისა და მთვარის სიყვარული. „გაბზარული გულის“ პირველსავე ფურცლებზე მთავარი გმირები უკავშირდებიან ამ მნათობებს. ეთერი ყოველ ღამე უგალობს მთვარეს, რომლის მოდიფიკაციასაც წარმოადგენს: „ეთერი თავის გულის თქმას არავის ანდობდა, გარდა მთვარისა, ისიც იმ დროს, როდესაც ყოველი მთლად ძილს მიეცემოდა. მაშინ გამოაღებდა თავის კოშკის სარკმელს და მთვარეს მიმართავდა ნაღვლიანად: „ჰოი, მთვარევ, ჩემო ერთგუ-

ლო, ყურთ უჩურჩულე ჩემი სახელი, თუ ის სხვაზე ვისმეზე ფიქრობს. გააბი შენი სხივების ქსელი ჩემსა და იმის შორის, რომ ამოძრავდეს იმისი გული ჩემთვის ისე, როგორც ჩემი ძგერს იმისთვის!... ოჰ, მთვარევ, თუ კი ვეღირსე ჩემ წადილს და ოდესმე დედოფალი გავხდი... მთვარევ, ჩემო ერთგულო, მაშინ შენ გემონები მთელ სამეფოთი..."

მეფე-საქმრო მეტაფორულად მზეა. მისი ეპითეტი „ოქროა". ეთერის კოშკის პირდაპირ ერთი საოქრომჭედლო იყო, რომელშიაც ერთი მოხუცებული ოქრომჭედელი მუშაობდა თავისი შეგირდით... ერთ საღამოს, როდესაც სოფელს უკვე ეძინა, ასე გართულს მახარეს შემოესმა ნაზი ხმა, ყურები აცქვიტა და სმენად გადაიქცა...

ზარი, რომელსაც მახარე მალე ჩამოასხამს, მისი და ეთერის შეერთების სიმბოლოა, რადგან მას ეთერის ხმა აქვს და მახარეს შექმნილია. სიმბოლურ შეერთებას მოსდევს მათი რეალური სიყვარული მდინარის პირას. მთვარის და ღამის განსახიერებასთან — ეთერთან შეხვედრისას მახარე გონებას ჰკარგავს, ე. ი. წყვდიადის, სიკვდილის საუფლოში ექცევა: „დაახსომდა კიდევ, მუხლები როგორ ჩაეკეცა... თავში კიდევ გაუელვა მწყემსის არაკმა და გონება დაკარგა..." პაემანის დროს მახარე მთვარისკენაც მიისწრაფვის: „იქნება ეთერი მთვარეს ამოჰყვეს?!

„ჰო, ჰო, ჰო!.." ემოწმებოდა მდინარე „ჰო, მთვარეს ამოჰყვება, თორემ სხვანაირად როგორ გაჩნდება ეთერი აქ!" გაიფიქრა მახარემაც... და მოიხედა სამხრეთისკენ..

ცას ცოტა შუქი შეპარვოდა. ამის დამნახველს შეკუმშული გული ოდნავ მოეფონა, სულ რამდენიმე წუთიც და სამხრეთის მთის მწვერვალს მთვარე მნათობ გვირგვინად თავს მოექცა.

— ააა უუუ! —შემოესმა მახარეს სულ წინაალმდეგ მხრიდან ნაცნობი ხმა.

გული აუკანკალდა, კანკალით ფეხზე წამოიჭრა და ჩრდილოეთისაკენ პირი იბრუნა...

რას ხედავს?!

კლდის ნაპრალის პირას ამართულა თეთრი სამოსით ვინმე ასული... მთვარე ეალერსება ასულს. ასული კიდევ — მთვარეს... აგერ ასულმა მკლავები მთვარისკენ გაიშვირა, ოდნავ წინ წამოიხარა, თითქოს მთვარესთან შესაერთებლად გასრიალებას აპირებსო. მახარეს ფერი კიდევაც ეცვალა..."

შემდგომ, ეთერმა „აამოძრავა თავისი ბაგე და ააჟღერა მწყობრად „შიშის ზარის" ენაც. საუცხოვოდ ახმაურდნენ ორივენი... მახარე ალტაცებაში მოვიდა... ათამაშდა და შეხტა მაღლა, ვერხვის ქვედა ტოტს სტაცა ორივე ხელი და თვალის დახამხამებაზე ზედ წამოსკუპდა...

ეთერმა თვალი შეასწრო იმის მოძრაობას და სიმღერით შეეკითხა:

— მახარე, მახარე, რამ აგაღელვა, რამ გაიძულა მაღლა აფრენა?!

— შენმა სიმშვენიერემ... შენმა ხმამ!.. — ჩამოსძახა ზევიდან მახარემ...

ეთერმა ხელი უშვა ზარის ენას და გულიანად გადაიკასკასა...

— მახარე, ჩემმა ხმამ მთოვარს არ მიგაკრას?! — კისკისით დაუმატა.

— არა, ახლა შენკენ მიზიდავს!"

ამ ურთიერთდაახლოებით მახარესა და ეთერის სიყვარული გადადის მისტიკურ პლანში, გადაიქცევა ჭაბუკისა და ქალწულის, როგორც მზისა და მთვარის, ამავე დროს, სიცოცხლისა (მახარე მამაკაცია, შემოქმედია) და სიკვდილის (ეთერი ქალწულია, მთვარეს, მიწას და ღამეს უკავშირდება) სიყვარულის აქტად. ამასთან, ხაზგასმულია ეთერის სიყვარულის, მახარესთან შეერთების მომენტში მისი, როგორც მთვარის იპოსტასის „მიწიერება". მახარე ჯერ მთვარისაკენ მიილტვის, შემდეგ მიწისაკენ, ეთერისკენ და მათი სიყვარულის დროს მთვარე ჰკარგავს თავის ძალას, სიკვდილის ფაზაშია: „მთვარე მნათობდა-და?!"

ეთერისა და ნადირას სიყვარულიც მთვარის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს: „მთვარე ეთერად" მოეჩვენა, თავის თავი კი — მთად.. სხივები კი.. ეს ეთერის სული იყო და მთელ იმის სამეფოს სიამეს ჰფენდა...

...ეთერი ხან შიშველად, ვითა მთოვარე შუქის მფრქვეველად ეჩვენებოდა, ხან კიდევ თავის გზის მნათობად, თავისი თავი კი— ბრმად... ეთერი ხელს აძლევს და ბეწვის ხიდზე გაჰყავს... ამ დროს ეშინიან, არ გაწყდეს ბეწვის ხიდი და უფსკრულში არ ჩასტყორცნოს.,. გადიან მშვიდობიანად,.. უხარიან...

... ხეფე-წულის ოცნება ათასფეროვანდებოდა, ეხვეოდა საამო ბადეში და უკვე ეთერი დედოფალია, სამეფო ტახტზე ერთად სხედან, მთელი ერი თაყვანსა სცემს... შენატრის ბედნიერებას. ესენი კი მეფურად უხვად ურიგებენ მოწყალებას ყველას. აფრქვევენ სიყვარულს, ვითა მთოვარე სხივებს...".

ზარი ეთერისა და მახარეს შეერთების სიმბოლოა, რადგან მასში გაერთიანებულია მახარეს ნაღვაწი და ეთერისა ხმა. როდესაც მახარე ზარს გადასცემს სატრფოს, თავად გონებას ჰკარგავს (სიყვარული-სიკვდილი). ნადირას მიერ ზარის გაბზარვა ღალატის მეტაფორაა და მართლაც გაბზარული ზარის მოტივის პარალელურად რომანში ვითარდება ნადირას და ეთერის სიყვარულის განუხორციელებლობის მოტივი. მახარეს მიერ ზარის გამთელებას და რაშის გახედნას მოსდევს ორმაგი გამარჯვება სიყვარულში: მახარე იბრუნებს ეთერს და ამხასურებს ნადირას დას — მარეხს სიყვა-

რულს. გახედნვა, როგორც ო. ფრეიდენბერგი განმარტავს შექსპირის, კალდერონის, ბოკაჩოს შემოქმედებათა ანალიზის საფუძველზე, სიკვდილისა და სიყვარულის (შეერთების) მეტაფორაა. ამრიგად, მახარეს ორმაგი ქმედება ორმაგ სიყვარულს იწვევს.

მახარეს ქტონური ორეულებია ნადირა და ირემა. პირველი — სიყვარულის, ხოლო მეორე რაინდობის, გმირობის პლანით. ისინი ენაცვლებიან მახარეს, რომელიც შენაცვლებათა ეტაპზე მიმალულია (ჯერ ტყეში, შემდეგ, ირემას ლალატის გამო) და რომანის დასასრულს ისევ სიკვდილის ფაზაშია, რადგან მის ადგილს ირემა იკავებს. მახარე რჩება ეთერთან და კაცია ბატონთან — ეთერის მამასთან ნადირას სიკვდილის შემდეგ, აქაც სიყვარული და სიკვდილი ურთიერთშერწყმულია.

დამახასიათებელია გმირთა სახელები. უფლისწულს — შემდგომ მეფეს — ნადირა ჰქვია, მახარეს თანამებრძოლს ირემა-ლომა, თვით მახარე უგულოს სახელით გვევლინება, ვიდრე ეთერის სიყვარულს დაიბრუნებდეს. ცხოველთა სახელები — სიკვდილის მეტაფორაა და როდესაც მახარეს „სხვა" ენაცვლება, ამ სხვას, როგორც ვნახეთ, ცხოველის სახელი ჰქვია.

ჩატარებული ანალიზი არ ამოწურავს შიო არაგვისპირელის შემოქმედების მეტაფორულ მრავალფეროვნებას, მაგრამ საშუალებას იძლევა, წარმოვიდგინოთ მწერლის მხატვრული აზროვნების ძირითადი თავისებურებები.

შიო არაგვისპირელის მიერ შექმნილია უნივერსუმის ორიგინალური კონცეფცია, რომელიც გამოსჭვივის მისი ნაწარმოებების სტრუქტურაში, მის შეხედულებებში. აბსოლუტი, ბუნება, ერთიანი ემთხვევა ნაწილს, კერძოს, მჟღავნდება სრულიად უმნიშვნელოში, მცირეში, ერთეულში (აქედან — მისი ნაწარმოებების ფორმა). რაც უფრო უმნიშვნელო და კერძოობითია საგანი და მოვლენა, მით უფრო მკვეთრად ვლინდება მასში ზოგადი, მთელი, თვით მთელი, რომელიც კერძოში, ნაწილში ვლინდება, უზოგადესი, მაქსიმალურად ერთიანი მთელია. მათი ურთიერთდამოკიდებულების დახასიათება სხვაგვარადაც შეიძლება: ერთიანი არ არის ნაწილებისგან შემდგარი. ეს ნაწილი თვით ერთიანია, უსაზღვრო და უკიდეგანო. წინააღმდეგ შემთხვევაში მწერალი დამოუკიდებელ მნიშვნელობას მიანიჭებდა „ნაწილს", ე. ი. დაამუშავებდა ნოველთა სიუჟეტებს, მოძებნიდა საინტერესო მასალას და ა. შ. თუ შევადარებთ შიო არაგვისპირელის შემოქმედებას ბოკაჩოს, მოპასანის, ჩეხოვის და „მცირე ფორმის" სხვა ცნობილი ოსტატების ნაწარმოებებს, დავინახავთ, რომ ყოველი მათგანის თითოეული ნოველა ცხოვრების ერთი თავისთავადი ნაწილია და ზოგადი, უნივერსალური მათ შემოქმედებაში დანაწევრებული სახით არის წარმოდგენილი — ერთიანი განსხვავდება საკუთარი თავისაგან და ეს განსხვავება აბსოლუტიზირებულია: სამყაროს მრავალფეროვნება უსასრულოა.

შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში, მართალია, სამყარო ელემენტარულ (ნოველების) დონეზეა აღქმული, მაგრამ ისინი თვით მთელს, ერთიანს გვიჩვენებს. ის არ შედგება ნაწილებისაგან, ამიტომ არც თავი აქვს, არც დასასრული. ესაა მთლიანობა და არა სიმრავლე. მასში შერწყმულია არსი და არარსი და ეს შერწყმა წარმოდგენილია მდინარების (და არა მრავალფეროვნების) ცვალებადობის სახით. ესაა აბსოლუტის მარადიული მდინარება, ამიტომ ტრადიციული შეხედულება შიო არაგვისპირელზე, როგორც ცხოვრების ერთეული, კერძოობითი მოვლენების მხატვარზე, შეზღუდულია. ის მარადიულის, უნივერსალურის მხატვარია, რომელიც ყველაზე უკეთ უმნიშვნელოში, წვრილმანში ვლინდება.

## მითითებული წყაროები:


[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა და სხვ., საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1958 წ., გვ. 108.

[2] П. С. Выготский. Психология искусства, М., 1968, с. 96.

[3] Р. Вейман, История литературы и мифологии, М., 1975, с. 200—201.

[4] О. Фрейденберг, Поэтика сюжета и жанра, Л., 1936, с. 106.

[5] იქვე, გვ. 82.

[6] Д. С. Лихачев. Поэтика древнерусской литературы, Л., 1967, с. 260.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგი დურმიშიძე

# ერის მეჭურჭლეთუხუცესი

„საფლავი შენისთანა კაცისა
სალოცავია მამულისა“.

აკაკი

1958 წლის ოცდაერთ თებერვალს, ოთხმოცდაათი წლის ასაკში, გარდაიცვალა დიდი ქართველი მამულიშვილი ექვთიმე თაყაიშვილი. ოცდაოთხ თებერვალს იგი მიწას მიაბარეს ვაკის სასაფლაოზე, ქართველ მეცნიერთა განსასვენებელში.

ათი წლის შემდეგ, მისი დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით, მადლიერმა სამშობლომ მას მუდმივ ადგილსამყოფელად დიდუბის ქართველ მოღვაწეთა სავანე მიუჩინა.

წყნარი და ნათელი იყო 1968 წლის ათი მარტის დილა. ამ დღეს ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტი საქართველოს მწერალთა კავშირსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დიდუბის პანთეონში უნდა გადაეტანა. გადაწყდა, რომ გადასვენება ცერემონიალის გარეშე მოხდებოდა. მიცვალებულის თანხლება მხოლოდ ოთხ კაცს ხვდა წილად: აკაკი შანიძეს. ირაკლი აბაშიძეს, ისიდორე დოლიძეს და ამ სტრიქონების ავტორს.

ჩვენს მისვლამდე კუბო საფლავიდან უკვე ამოეღოთ. ნეშტის ახალ კუბოში გადატანა საჭირო აღარ შეიქნა.

ბატონმა აკაკიმ მოითხოვა, რომ კუბო აგვეხადა, მიცვალებული გვენახა.

— ერის წინაშე პასუხს ვაგებთ, რაიმე გაუგებრობა არ მოხდეს, ვიცოდეთ ვისი ნეშტი გადაგვაქვსო.

კუბოს მოწიწებით ავხადეთ თავი... გულის ბაგაბუგი და საფეთქლების უროს ცემა ერთად ვიგრძენი... ველარაფერი გავარჩიე.

ბატონი აკაკი დაღვრემილი და ოდნავ წელში მოხრილი დიდხანს დაჰყურებდა ნეშტს.

მეც ზოგი რამ ცხადად და გარკვევით დავინახე. ფიჯაკის ყველა ღილი შეკრული იყო. კუბოს შიგნით გამოკრული თეთრი ქსოვილი მიცვალებულის სამოსელს მკვეთრ ელფერს აძლევდა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი კარგად შენახულიყო.

აკაკი შანიძე კვლავ კარგახანს იდგა მიცვალებულთან და სდუმდა.

ნელი სვლით წავედით დიდუბისაკენ, იქ ექვთიმეს რამდენიმე ნათესავი დაგვხვდა. როდესაც კუბო ახლადგათხრილი საფლავის პირას დავასვენეთ, ბატონმა აკაკიმ ერთხელ კიდევ ისურვა ეხილა ნეშტი, ისე დაიხარა, თითქოს საიდუმლოდ ებაასებოდა მას. მე მომეჩვენა, რომ ექვთიმეს ხორცი შესხმოდა და მადლიერი თვალებით შესცქეროდა აკაკის. ყველა ჩვენთაგანი ფიქრებს სადღაც შორს წაეღო. ეს უსიტყვო, თავისებური გლოვა ისე დიდხანს გაგრძელდა, რომ მესაფლავემ მოგვმართა:

— ბატონო, ასე რამდენხანს ვიდგეთო!

ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტი ნელა ჩაეშვა მუდმივ სამყოფელში, რბილად მიეყარა მისი სათაყვანო ქართული მიწა.

უკანასკნელად გამოვეთხოვეთ ასი წლის მოხუცს. „ერის მეჭურჭლეთუხუცესი“ სამუდამოდ მიებარა იმ დიდუბის მიწას, სადაც თვითონაც მრავალჯერ მდგარა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ცხედრის წინაშე.

დავტოვეთ ახალმიწამიყრილი საფლავი და ექვთიმეს ძმისშვილის ნუნუ თაყაიშვილის და მის მეუღლეს პეტრე დემეტრაძეს ვესტუმრეთ.

ყველა გრძნობდა, რომ დღეს ჩვენი უსიტყვოდ, უთქმელად, დაშორება შეუძლებელი იყო!

მოზღვავებულმა გრძნობამ ექვთიმესეულ ოჯახში გარდასულ დროთა ამბები გააცოცხლა. რა არ ითქვა ექვთიმეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე...

ერთხანს მოგონებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადავსახლდით.

ძნელია წარმოიდგინო ის ატმოსფერო, რაც ექვთიმე თაყაიშვილთან შეხვედრისას უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სუფევდა.

ჩვენს თვალწინ წლების, შრომისა და გაჭირვებისაგან დამზრალ-მოცახცახე სხეულიდან უდიდესი სულიერი ენერგია ჩქეფდა. მისი ანთებული თვალები იმედითა და ალტაცებით იცქირებოდა დარბაზისაკენ. ყველას უჭირდა მოჭარბებული გრძნობების დაოკება, ყველა ღელავდა....

უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი იდგა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე და გონების თვალი ჯერ კიდევ ვერ გაესწორებია იმ ცვლილებებისათვის, რაც ოცდახუთი წლის მანძილზე ქართულ უნივერსიტეტს, ქართულ კულტურას განეცადა.

იმ დაუვიწყარ დღეს ნიკო კეცხოველის წყალობით მეც მხვდა წილად ახლოს ვმდგარიყავი ლეგენდარულ მოხუცთან.

ექვთიმე ორჯერ შეეკითხა რექტორს:

— ნიკო, ვინ არის ეს ხალხი? — თითქოს სურდა მრავალჯერ დამტკბარიყო სინამდვილით.

— მეცნიერები, უნივერსიტეტის მასწავლებლობა, ასპირანტები, სტუდენტობა, — მრავლისმთქმელი ღიმილით პასუხობდა ნიკო კეცხოველი.

ექვთიმე ხელებით კათედრას დაეყრდნო, თითქოს შინაგანი ღელვის დაფარვა სურსო, მაგრამ სხეული კიდევ უფრო ძლიერად აუთრთოლდა. მცირე შესავალი სიტყვის შემდეგ მან აკაკის ლექსით მოგვმართა:

ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო ,
სნეული დავბრუნებულვარ
მკურნალად შემეყარეო,
დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ
შენს მიწას მიმაბარეო.

ამ შეხვედრის მონაწილენი ახლაც ირწმუნებიან, რომ კვლავ ესმით ყურში მოხუცის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები.

დარბაზში ამ დროს, ალბათ, არავინ არ სუნთქავდა!

სუფრასთან მსჯელობა გაიმართა — კიდევ რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო მისი სახელის უკვდავსაყოფადო. ერთი რამ ყველას სწამდა — ექვთიმე თაყაიშვილის სიყვარული სამშობლოსადმი იმდენად დიდი და უმწიკვლო იყო, რომ იგი საქართველოს ყოველი კუთხის მიწას მთაწმიდად ჩათვლიდა.

შინ წასვლა არავის არ სურდა, ათი წლის წინანდელი ჰრილობა გაიხსნა და ეტყობოდა ძნელი იყო მისი ასე მალე მოშუშება.

დიდი ხანი გავიდა, თითქმის თორმეტი წელი და ერთხელ აკაკი შანიძეს მოკრძალებით შევბედე:

— ბატონო აკაკი, რატომ აგვახდევინეთ ექვთიმე თაყაიშვილის კუბო სამჯერ, რატომ დასცქეროდით ასე ხანგრძლივად მის ნეშტსმეთქი.

— დიდ, ძალიან დიდ ადამიანს, დიდ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ვემშვიდობებოდით, ვემშვიდობებოდით ყველას მაგიერ და ეს იოლი საქმე არ იყოო, — მიპასუხა ბატონმა აკაკიმ.

დროდადრო მოსვენებას არ მაძლევდა აკვიატებული აზრი: როგორი იყო და სად ინახებოდა ოთხმოცდაათი წლის მოხუცის ტვინი.

რამდენიმე ათეული წელია, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრასთან შეიქმნა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების თავის ტვინთა მუზეუმი. აქ ყოველი ფიქსირებული თავის ტვინი ჰერმეტულად დახურულ მინის ქილაშია მოთავსებული. თითოეულ ქილას მრავლისმეტყველი ორ-ორი სიტყვა აწერია: ნიკო ნიკოლაძე, ანდრია რაზმაძე, ზაქარია ფალიაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა დადიანი, ივანე ბერიტაშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი...

ღირსეულთა რა დიდებული კრებულია!

რა მცირეა აზრთა ამ სამეფოების მიერ დაკავებული სივრცე! ყველას ერთად სრულად დაფარავდა თამარ მეფის მიერ ნაქარგი დაფარნა*.

დგახარ ამ საოცარ გარემოცვაში და სული შფოთავს, გული ღელავს და მთელი არსებით თრთი, გეუფლება ფიქრი — ვინ მოგცა უფლება, რომ ხელით ეხები ამ მაღალ ღმერთებს, იქნებ ისინი მთლიანად, განუყოფელად აქ არიან და არა იქ — საძვალეში.

საოცარია, როგორ იბადება, ვაჟკაცდება და ბინადრობს ყოველ ამ ორ პეშვ ტვინის ქსოვილში უსაზღვრო, ოცნება თუ მისწრაფება, მწუხარება და სიხარული, ეჭვი და იმედი, სიყვარული თუ შემოქმედება...

კათედრის გამგე პროფესორი თამარ დეკანოსიძე და აკადემიკოსი ირაკლი ტატიშვილი მოწიწებით იღებენ ხელში ქილას, რომელშიც ექვთიმე თაყაიშვილის ტვინია მოთავსებული და ახასიათებენ მას. „მიუხედავად ზოგიერთი

* „სიწმინდის საფარებელი“ (საბ.).

შესამჩნევი ცვლილებებისა, მხცოვან მეცნიერს თავის ტვინის სისხლით კვება ნორმაში ჰქონდაო“ — ასკვნის ქალბატონი თამარი.

ექვთიმე თაყაიშვილის გვამის პათოლოგ-ანატომიური გამოკვლევა ვლადიმერ ჟღენტს, ირაკლი ტატიშვილს და ლუარსაბ შარაშიძეს ჩაუტარებიათ.

აქ, კათედრაზე თითოეული მოღვაწის თავის ტვინის შესახებ მრავალი ცნობა მოიპოვება. სათანადო აქტებშია ჩაწერილი ტვინის წონა, მოცულობა, ფორმა, ვიზუალური დახასიათება..

ტვინის წონა და ზომა... ეპატიოს მეცნიერებას ეს „კადნიერება“.

რაზე უნდა მიგვანიშნოს ამ ლიტონმა და უბირმა მაჩვენებლებმა, თუ კი ტვინის დიდი ნახევარსფეროების მხოლოდ ქერქში თოთხმეტ მილიარდამდე ნერვული უჯრედია, ხოლო კაპილარული ბადის საერთო სიგრძე ათას ორას კილომეტრს აღწევს!

ბუნების რა დიდი საიდუმლოებებია ჯერ კიდევ ამოუცნობი!

ერთდროულად გვეუფლება აღტაცება და სევდა, როდესაც უსმენ ჩვენს მეცნიერებს, რომ ივანე ჯავახიშვილის ტვინს არ ემჩნევა არავითარი ასაკობრივი ცვლილებები, მიუხედავად იმ ტიტანური შრომისა, რაც მან თავის სიცოცხლეში გასწია.

და თუ ბატონი ივანე სიცოცხლის ბოლო წლებში მაინც ხანდაზმულ კაცს ჰგავდა, ბაირონის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი „დაბერდა დიდთა საქმეთაგან და არა წლებით“.

როდესაც აკადემიკოს ირაკლი ტატიშვილსა და პროფესორ თამარ დეკანოსიძესთან ერთად მინის წმიდა ქილებს კვლავ თავის ადგილზე ვალაგებდით, უმალ აზრი გამოიკვეთა — ამიერიდან ამ ეროვნულ საგანძურს „ქართველ მოღვაწეების ტვინთა სავანე“ ეწოდოს... მასში კი ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის აზროვნებათა სამფლობელოებს ადგილსამყოფელი ერთმანეთის გვერდით მიეჩინოს.

ეს ორი ადამიანი თბილისის უნივერსიტეტის საძირკველთანაც ხომ ერთად იდგა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ერისთავი

# დიმიტრი ერისთავის მხატვრულ სამყაროში

როდესაც უცნობ სახლში სტუმრად მიხვალთ და კარს ბავშვი გაგიღებთ — ცნობისმოყვარედ შემოგხედავთ, აგწონ-დაგწონით; თუ მოეწონეთ, — გაგიღიმებთ, მიამიტ თვალებს შემოგანათებთ, ხელს ჩაგკიდებთ და ნდობას გამოგიცხადებთ, თავისი სამყაროსაკენ წაგიძღვებათ, თავის სტუმრად და მეგობრად მიგიღებთ, — მაშინ თქვენ უნდა ჩამოიშოროთ ყოველგვარი პირობითობა, და უნდა მოიძიოთ თქვენი სულის სალაროში უფაქიზესი უნარი გულწრფელობისა, თორემ უამისოდ ვერაფერს გაუგებთ მის ცხადს და სიზმარს, ვერ შესძლებთ ეზიაროთ ბავშვობის სამყაროში დაბრუნების იშვიათ სასწაულს.

დიმიტრი ერისთავის მხატვრულ სამყაროში პირველად ბავშვებმა გამიღეს კარი იმ მიამიტობით, ნდობით და გატაცებით, რომელიც ბავშვების თვისებაა მხოლოდ (და ხანდახან, ზოგიერთ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე გამყვება ხოლმე)... ეს, ის სამი კნაჭა გოგონა იყო, ცარცით ოთხკუთხედებად დახაზული მიწის პატარა მონაკვეთზე კლასობანას რომ თამაშობდნენ. („კლასობანა". პასტელი.) მათ ხელი ჩამკიდეს და თავიანთ სამყაროში შემიყვანეს. სად არის მათი სამყარო! ირგვლივ არაფერი ჩანს, — მხოლოდ ნეიტრალური ფონია და მიწაზე ცარცით დახაზული უჯრედები... მათი სამყარო მათშია თვითონ: მათი თვალების წრფელ გამომეტყველებაში, მათ გაფაციცებულ ინტერესში თამაშის მიმართ, იმ მოკლეკაბა გოგოს ასკინკილაში, კლასის უჯრედში ჩახატულ „მედალზე" გადახტომას რომ ეპირება და მთელი თავისი სიფრიფანა სხეულით, — ფეხის ტერფიდან დაწყებული აქე-იქით ჯაგრისივით გაპრეხილ კიკინებამდე, — ცდილობს მარჯვედ ისკუპოს. ბევრი გულში ჩამწვდომი და სასოების ღიმილის მომგვრელი დეტალია, რომელიც ერთიანდება ისეთი ფაქიზი ფერებითა და განწყობილებით, რომ სურათი ბავშვობის დაუვიწყარ ხატად იქცევა.

ბავშვების მეგზურობა დიმიტრი ერისთავის მხატვრულ სამყაროში ჩემთვის სიმბოლური აღმოჩნდა. მათ მომამზადეს იმისთვის, რომ ამ მხატვრის ყოველ ნაწარმოებს მივდგომოდი შეუნიღბავი გულწრფელობით; მაგრძნობინეს, რომ მათი შემოქმედი არ გამაწბილებდა, ხაფანგს არ დამიგებდა და მაღალფარდოვნების ფუყე ფიტულს არ შემომთავაზებდა ცრუ ფილოსოფიის მედიდური იერით.

მათვე მიმანიშნეს მხატვრის შინაგან ჰარმონიასა და გარესამყაროს ნათელი აღქმის უნარზე კიდევ მის ერთ თვისებაზე გამამახვილებინეს ყურადღება: რომ მას შეუძლია კონკრეტულ შინაარსში განზოგადებული იდეა განასხეულოს, ერთის შეხედვით მარტივი მოვლენა ცხოვრების დიდ ფილოსოფიამდე აამაღლოს (რასაკვირველია, ეს ბავშვებს ასეთი ფორმულებით არ უთქვამთ; მათ თავიანთი სახის სერიოზულობით, თამაშის ექსტაზის ყოვლისმომცველობით არსებობის სიხარულის უშუალო განცდით მაგრძნობინეს ეს ყოველივე).

აი, ახლა მე ისევ დიმიტრი ერისთავის სურათების გამოფენაზე ვარ. მერამდენჯერ მაკვირვებს მის ტილოებზე ადამიანის მეყსეული შთაბეჭდილებების, ფიქრის თუ გრძნობის წამიერ გაელვებათა აღბეჭდვის, დაჭერის, ფიქსირების ჯადო. მაკვირვებს იმ გაკვირვებით, რომლითაც იწყება ნამდვილი დანახვა, შემეცნება, აღტაცება...

აი ეს სურათები („გასეირნება“, „იების გამყიდველი“, ლადიძის წყლები“, „ველოსიპედისტები“, „დილა გარეუბანში (სამუშაოზე)“, „გადასასვლელი“ და სხვ. — (პასტელითა და გუაშით შესრულებული ნაწარმოებები) — ზოგი ნაცნობი და ზოგიც ახალი; არცერთ მათგანზე არ არის გაიშვიათებული გარემო, სადაც ფიგურები განლაგებული იყოს მხოლოდ კომპოზიციის რაიმე კანონების მიხედვით; არც ფერებისა და შუქჩრდილების მონაცვლეობით შექმნილი მხატვრული ეფექტია. აქ ყველაფერს განსაზღვრავს ურთიერთმიმართება ადამიანთა შორის.

დიმიტრი ერისთავის ეს სურათები ახალგაზრდული ასაკის რომანტიკასა და აღტკინებას გადმოსცემს, ახლადწამოჩიტული გოგონების და უცებტანაყრილი, წოწოლიკა ყმაწვილების მიერ ურთიერთდანახვის, ურთიერთგამსჭვალვის ელდასა და თრთოლვას გადმოსცემს... აქ ქუჩაში შემთხვევითი გამვლელები კი არ არიან, აქ არის სიცოცხლის ქროლვა, რომელიც მოუხელთებლად გადაეცემა ჰაერში და ჰაერი დამუხტულია ადამიანთა განწყობილებით. სახის დაძაბული თუ შემკრთალი გამომეტყველება, უეცრად შეტოკებული კუნთის მრავლისმეტყველი ძუნწი დეტალი; ამ შეკრთომის გამომწვევი მეორე ადამიანის (მეორე გამვლელის) მოჩვენებითი სიმშვიდე და მისი შინაგანი მღელვარების მამხილებელი უხერხული პოზა ან მოძრაობა; — ეს ყველაფერი ახალგაზრდობის ლირიკული მელოდიებია, მხატვრის ფუნჯით ტილოზე ამღერებული.

ან ეს „გაზაფხულის დღე“ (პასტელი), გაზაფხულის დასაწყისი, იქნებ მისი პირველი ძალუმი წამოქროლება; ქალიშვილები სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ მაინც ერთმანეთის მხარდამხარ, ერთ გაშლილ ფრონტად მიდიან სიყვარულის, სილამაზის, სიცოცხლის შესაგებებლად. გამჭვირვალე ქსოვილით შემოკვართული მათი ნაზი სხეულები აჰყოლიან სიცოცხლის მთრთოლვარე რიტმს, ისე როგორც ფესვებში, ტანში და ტოტებში სასიცოცხლო წვენის უეცარი მოძალებით შეცბუნებული, ახლადგამოკვირტული ნორჩი ალვისხეები, ფონს რომ უქმნიან სიწრფელის და სილამაზის ამ საზეიმო მსვლელობას.

ამ სურათს როცა შევყურებ, თითქოს განთიადის სუსხით გაწმენდილ მთის ჰაერს ვსუნთქავ და მზის ამოსვლის წინ აფორიაქებული ჩიტების ჟრიამული და ფრთების ფათქუნი მესმის.

სხვა სურათებზე სხვა განწყობილებაა, მაგრამ ყველას ერთი საერთო ნიშანი აერთიანებს: არც ერთ მათგანში არ იგრძნობა გარეგანი ელვარებისადმი სწრაფვა და თვალის მოტაცების არავითარი სურვილი; არ არის პარადულობის ნიშანწყალი, არავითარი პოზა.

აი, ტუშით ნახატი ეს ორი პატარა ზომის სურათი „სახტუნაო“ და „მზესუმზირა“. ერთის შეხედვით, თითქოს შეიძლება გავაერთიანოთ მსგავსი სახელწოდებით და ორივეს დავარქვათ — ბავშვები თბილისის ფონზე. შინაარსობრივად გამართლებული სახელწოდება იქნება. მაგრამ აქ უფრო ღრმა ხილვაა გაცხადებული,— არა თვალში საცემი, მაგრამ გულისკენ გზის მპოვნელი და გრძნობათა შემძვრელი... პირველ მათგანში („სახტუნაო“) ისევ მოთამაშე გოგონებია, — სახტუნაო თოკის აღმა-დაღმა ქროლვაში აზარტულად ჩაბმულები. ჩვენს თვალწინ ის სანეტარო ასაკია, როცა ადამიანის სხეული და სული დაუმძიმებელი, ერთარსად ქცეული, მიელტვის შეუცნობელ ნეტარებას და თამაშის გულუბრყვილო ფილოსოფიაში ხედავს უდიდეს აზრს არსებობისას; როცა თამაშია სიცილის და ტირილის საბაბი, მიზეზი დარდისაც და სიხარულისაც...

მეორე სურათში, ბავშვები მზესუმზირას ყიდულობენ ერთი ზორბა დედაკაცისაგან, რომელიც ქვის დაბალ გალავანზე ჩამომჯდარა. გოგონას უკვე უყიდია საკნაწუნო და პატარა ქაღალდის პარკით ხელში გვერდზე გამდგარა. ბიჭს კი მოუსურვებია მოკლე შარვლის ჯიბეში მოითავსოს თავისი „ნავაჭრი“ და უნდა ნახოთ, რა მონდომებით გადრეკილა წელში, რომ დედაკაცმა როგორმე მოახერხოს მის პატარა, ვიწრო ჯიბეში მზესუმზირის ჩაყრა. ყველა თავისი საქმითაა უკიდურესობამდე დაკავებული; ქვევით კი, ქვის დაბალი გალავნის მიღმა, ქალაქი ჩანს. ქალაქი ფონია დედაკაცისთვის, რომელიც მზესუმზირას ყიდის, მაგრამ ის მხოლოდ ფონი არ არის ამ პატარა გოგონასა და ბიჭისთვის, მზესუმზირას რომ ყიდულობენ. არ ვიცი რა საშუალებებით, რა ოსტატობით, მაგრამ მხატვარი ახერხებს გვაგრძნობინოს, რომ მათთვის გარემო უბრალო ფონი არ არის, რომ ის რაღაც შინაგანი მაგნიტით მიიზიდება ბავშვების ქვეცნობიერებისაკენ და ისინი, თვითონაც რომ ვერ გრძნობენ, ისე ისრუტავენ ამ ქალაქის ხატებას; მათ შორის მყარდება უხილავი კონტაქტი, — ბევრად უფრო ძლიერი იმ საგნობრივ, ფაქტობრივ ურთიერთობაზე, რომლითაც იმჟამად არიან დაკავებული.

ასევეა ზემოხსენებულ სურათშიც: ის ცელქი გოგონები, თითქოს თავისი თამაშის მეტი რომ არაფერი ახსოვთ, — რაღაც შინაგანი ძაფებით არიან დაკავშირებული იმ ლამაზ ქალაქთან, რომლის ერთერთ ტერასაზე მათი სათამაშო მოედანია.

ამ პატარა სურათებში საოცარი ძალით იგრძნობა რას ნიშნავს მშობლიურ გარემოსთან შეუმჩნევლად შეზრდა და შესისხლხორცება; იგრძნობა ყოველგვარი პათეტიკის და თვალში საცემი მინიშნების გარეშე, რადგან ეს „უხილავი კონტაქტი“ და „შინაგანი ძაფები“, როგორც

ელექტროდენი გადაეცემა სურათის მკითხველსაც.

დიმიტრი ერისთავის გამოფენაზე არის განსხვავებული ხასიათის სურათებიც, სადაც გარემო აქტიური ფონია, და იგი გამოყენებულია ადამიანის მიზანსწრაფვის, შინაგან სამყაროში ჩაღრმავების ხაზგასასმელად და წარმოსაჩენად. ამის ნიმუშია სერია სურათებისა „მშრომელები", რომელთაგან გამოვყოფთ სამს: „ხარაზი", „მესაათე" და „მეცნიერი". უაღრესად ტიპიურ გარემოში, მათი საქმიანობისთვის აუცილებელი უველა ხელსაწყო-იარაღით, ყოველგვარი პროფესიული ატრიბუტებით გარემოცულებს ვხედავთ ამ ადამიანებს. მიუხედავად დეტალების სიმრავლისა, არ არის ნატურალიზმის კვალი; მრავლად არიან საგნები, მაგრამ არ ბატონობენ, თვალში არ გეჩრებიან; თავიანთი ფორმის გამოკვეთილობის მიუხედავად, ისინი მხოლოდ ფონს, გარემოს ქმნიან, — ხოლო წინა პლანზეა ადამიანი და მისი შერწყმა საქმიანობასთან. როგორ სათუთად, მოკრძალებით, როგორი გულმოდგინებით განასხეულებს მხატვარი დიდ ადამიანურ ღირსებას, რომელიც საქმისადმი სიყვარულში, თავდადებაში მჟღავნდება. წმინდათა-წმინდა ადგილად იქცევა ის ადგილი, სადაც ადამიანი გატაცებით ეძლევა შრომას, — არა აქვს მნიშვნელობა, ეს, პატარა თაღოვანი სარკმელებით განათებული სახარაზოს ღარიბული ინტერიერი იქნება, ქუჩაში დიდი ვიტრინით გამომავალი, თვალისმომჭრელი დღის სინათლით გაჩაღებული საათების სახელოსნო, თუ წიგნების თაროებით გაჭედილი და აბაჟურიანი ლამფის რბილ შუქში შეფუთნული მყუდრო კაბინეტი მეცნიერისა; ყველგან ერთია საერთო: — ცხოვრების დიდი აზრის პოვნა მიკროკოსმოსში, საქმიანობაში შთანთქმის პოეზია.

მიზიდავენ გამოფენაზე წარმოდგენილი შექსპირის ტრაგედიის — „ჰამლეტის" ილუსტრაციები, მით უფრო ინტერესით ვათვალიერებ, რომ ვიცი, — ეს ილუსტრაციები შექსპირის სრული ქართული გამოცემის ახალ ხუთტომეულში შევა.

ცენტრალური ადგილი უჭირავს ყოფნა-არყოფნის პრობლემაზე ჰამლეტის მსჯელობის თემას. ეს საყოველთაოდ ცნობილი მონოლოგი, რომელიც ბევრ ჩვენგანს ზეპირად უსწავლია ინგლისურადაც, ქართულადაც, და რომელიც ყოველ ასაკში გვაღელვებს თავისი სიმწვავით, სიმართლით, სიბრძნით, კეთილშობილებით, თავისი სიღრმით და პოეტურობით, უთუოდ ძნელი ხორცშესასხმელია მხატვრობაში. ის შინაგანი მღელვარება, რომელსაც მოუცავს დანიის პრინცის მთელი არსება იმაზე ფიქრისას, თუ „სულდიდ ქმნილებას რა შეჰფერის? — ის რომ იტანჯოს და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნესტრითა გმირვა, თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას და ამ შებრძოლვით მოსპოს იგი?... მოსპოს სიცოცხლე... ბოლოს, მოუღოს, მიიძინოს, სხვა არაფერი..." და შემდგომი დაპირისპირება ამქვეყნიური უსამართლობისა და იმის ექვიანი- ვარაუდისა, თუ „რა მოგველის მას შემდეგ, როს სიკვდილის ძილს მივეცემით და მოვშორდებით მოკვდავთ ცხოვრების მღელვარებას"... — მეტად რთულ ამოცანას სახავს მხატვრის წინაშე.

ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ჰამლეტის სულში მიმდინარე ჭიდილი მხატვარმა მის სახეზე და მის გამომეტყველებაში კი არ გამოავლინა, იგი ორი სამყაროს — „ყოფნისა" და „არყოფნის" სამყაროთა ფიზიკური, ფერისმიერი, ფორმისმიერი დაპირისპირებით გადმოსცა. „ყოფნის" სამყაროს მზე ანათებს. მზეს ადამიანის სახის ფორმა აქვს, — არცთუ ლამაზი, არცთუ კეთილი. მისი მეწამული სხივებით შეღებილი სამყარო სისხლიანი, ავბედითი სამყაროა, სადაც ცოტაა ნათელი ლაქები. მაგრამ კიდევ უფრო საშინელია მთვარის, „არყოფნის" სფერო. მის მახინჯ, დაღრეჯილ სახეს ლურჯ-ყვითელი ფერი აძევს და ასევე, ჯოჯოხეთის ამაზრზენი იერი აქვს მთელ იმ ნახევარს, სადაც მთვარე ბატონობს; შემზარავი ფერებით და შტრიხებით შექმნილი უფსკრულებია, სადაც სული უნდა გადაიჩეხოს... ეს სამყარონი ერწყმიან ერთმანეთს, ერთიმეორეში გადადიან, მათ შორის ზღვარი არ არის. და აი, მათ მიჯნაზე დგას ძვირფასი წამოსასხამით მხრებიდან ფეხის ტერფამდე შემოსილი კაცის ფიგურა; უძრავი როგორც ქანდაკება, უვნებო სახით; ვერ იტყვი რომელ სამყაროს ეკუთვნის ის, საით გადასწონის მისი არჩევანი; ის პასიური ჩანს, უფრო პასიური, ვიდრე ჩემი წარმოდგენის ჰამლეტია. და შინაგანად ვეკამათები მხატვარს. მერე მეხსიერებას ვძაბავ და ვიგონებ მონოლოგს: „ვინ მოითმენდა უამისოდ ჟამთა სიმწარეს, მტარვალის ჩაგვრას, სიამაყის თავგასულობას, ტანჯვასა მწვავსა უარყოფილ სიყვარულისას, მართლ-მსაჯულების გვიანობას, მძლავრთ უკმეხობას, შეურაცხყოფას ღირსეულის უღირსისაგან, — მშვიდობის პოვნა რომ შეგვეძლოს დანის ერთ დაკვრით? ვინა ზიდავდა ჯაფით, კვნესით ამ სიცოცხლის ტვირთს, რომ არა გვქონდეს იმის შიში, თუ სიკვდილ-შემდეგ იქ რა იქნება, იქ, იმ ბნელსა და უცნობ მხარეს, სადით არც ერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება. ეს შიში გვიხშობს ნებისყოფას და უფრო ვრჩევობთ შემოჩვეულის და ნაცნობის ჭირის ატანას, ვიდრე უცნობის შესახვედრად მისწრაფებასა. აი, ასე გვხდის ლაჩრად ჩვენივ ცნობიერება"... ისევ სურათს შევყურებ. მაშ, ეს თავსმოხვეული პასიურობა არ არის. ეს ჰამლეტის პოზიციაა ამ მონოლოგის წარმოთქმის ჟამს. დიახ, ამ დროს ჯერ კიდევ არ არის მიღებული გადაწყვეტილება „ყოფნის" სამყაროში ბოროტებასთან შებრძოლებისა, ჯერ კიდევ ყოყმანია. ეს მთელი ჰამლეტი არ არის. ეს, მისი შეშფოთებული სულის ამოძახილია: „ყოფნა, არყოფნა! საკითხავი, აი, ეს არის..." მე ფარ-ხმალს ვყრი

მხატვრის წინაშე. ბევრი ფიქრისა და ბჭობის შედეგად მივიდა, ალბათ, მონოლოგის ასეთ მხატვრულ გადაწყვეტამდე. მეტად საინტერესო და ფიქრის აღმძვრელი ილუსტრაციაა.

სხვა ილუსტრაციათაგან ორი მომწონს განსაკუთრებით: ჰამლეტის და ჰორაციოს გაბაასება და შეშლილი ოფელიას გაელვება დანიის ხელმწიფისა და დედოფლის წინაშე.

ჰამლეტი და ჰორაციო! მათ ურთიერთშეხებაში, მათ ურთიერთმიმართებაში იგრძნობა მჭიდრო სულიერი კავშირი ამ ორ ადამიანს შორის. რომ არც იცოდეთ ნაწარმოების შინაარსი, სურათი გაგრძნობინებთ სულთა ამ ნათესაობას. ჰამლეტის მხრივ ეს არის გულწრფელი გამდობის, ფიქრის, ზრახვის გაზიარების მოთხოვნილება: მეგობარზე, ადამიანზე დანდობის სურვილი და დაუძლეველი სწრაფვა ამისკენ. მის სახეზე იხატება სასოწარკვეთილებისა და შეურიგებლობის ერთმანეთთან ჭიდილი. ჰორაციოს მხარეზე დაშვებული მისი მარჯვენა ხელი მომთხოვნიც არის და მთხოვნელიც, თანაგრძნობის მაძიებელი და ამავე დროს, — მოიმედე.

ჰორაციო ადამიანია, რომელსაც შეუძლია გაუგოს მეგობარს, ადამიანს. იგი თანამზარხველია და მხარდამჭერი, მრჩეველი და გვერდში ამომდგომი. მისი სახე, მთელი მისი გამომეტყველება, მისი დგომის მანერა ადამიანურ ღირსებას; პირდაპირობას, გულითადობას გამოხატავს.

ეს არის თითქოს, ჩემი წარმოდგენის ჰამლეტი და ჰორაციო. ამიტომ მე სურვილი არ მომსვლია დამეწყო „ჰამლეტის" სხვა ილუსტრაციების ძებნა და შედარება (შექსპირს ილუსტრატორები არ დაჰკლებია), რომელში რა უფრო დამაჯერებლად და ოსტატურადაა გადმოცემული. ეს კერძო სპეციალისტების საქმეა და ალბათ, თავის დროზე აზრიც გამოითქმის ამ მიმართულებით. ჩემთვის კი ხატი ის წარმოდგენაა, რომელიც „ჰამლეტის" ინგლისურად კითხვისას შემექმნა და მისი ქართული თარგმანის კითხვისას განმიმტკიცდა (თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ეს პროცესი პირუკუ დაიწყო: ჯერ თარგმნით გავიცადე ნაწარმოების სიდიადე, ხოლო ორიგინალს უფრო მოგვიანებით ვეზიარე). მაჩაბლისეული თარგმანის ხატი ორიგინალისას ემთხვევა ჩემს წარმოსახვაში. ამას ჰქმნის დედნის არსში წვდომის უტყუარი ალღო. და ამას ჰქმნის საერთოდ, შემოქმედებაში შემოქმედის მთელი არსებით, მთელი გატაცებით, მთელი სიწრფელით ჩაძირვა და თავდაუზოგავად დახარჯვა, — როცა, რა თქმა უნდა, შემოქმედს გააჩნია დასახარჯავი სულიერი დოვლათი.

ამ აზრთან ერთხელ კიდევ დამაბრუნა „ჰამლეტის" დიმიტრი ერისთავისეული ილუსტრაციების ნახვამ. მან იგივე სიხარული განმაცდევინა, რაც „ჰამლეტის" მაჩაბლისეულმა თარგმანმა. ილუსტრაცია ჰგავს თარგმანს თუნდაც იმით, რომ ერთი ორიგინალი რამდენიმე ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და შესაძლებელია, ეს ინტერპრეტაციები სათითაოდ, თავისებურად მართალნი იყვნენ ორიგინალთან, იმდენად რომ, თითოეული მათგანის წაკითხვისას თუ ხილვისას არ აღგვეძრას ეჭვი მათი ორიგინალისადმი ერთგულებისა.

განსაკუთრებით ამაღელვებლად, ემოციურად მეჩვენა ყვავილების გვირგვინით თავშემკული და შორს სივრცეში მაცქერალი ოფელიას დაპირისპირება კლავდიუს მეფისა და დედოფალი გერტრუდას სამყაროსთან. ეს ორი მაღალი წოდების ადამიანი, შეცბუნებული ოფელიას უცნაურობით (რაც მის განსხვავებულ გამომეტყველებასა და გამოხედვაში ამოიკითხება), თავდაჭერილი შეშფოთებით შეჰყურებს მას. მათ გამოხედვაში არც გულითადობაა, არც წუხილი და თანაგრძნობა; თითქოს უახლოვდებიან ოფელიას, თითქოს უნდათ კიდეც შეაჩერონ, თავისკენ მიახედონ, მაგრამ იგრძნობა, რომ ეს უფრო მისგან გამიჯვნის სურვილია, ვიდრე მისკენ მისწრაფებისა...

გამომეტყველებისა და პოზების გარდა, სურათში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფერთა განაწილებას: მეფისა და დედოფლის სამოსი იმ მეწამული ფერისაა, რომლითაც ჰამლეტის მონოლოგის ილუსტრაციაში „ყოფნის ცოდვიანი სამყარო განასხეულა მხატვარმა. ოფელიას სამოსი-მბრწყინავი ყვითელი ფერით მკვეთრად გამოირჩევა მის ფონად ქცეულ დიდებულთა მეწამული სამოსისაგან. ეს თითქოს სიწმინდის სხივია, ამ სისხლიან სამყაროში შემოჭრილი. მეორეს მხრივ, ყვითელი ფერი და თვალების უცნაური გამომეტყველება მისი სიგიჟის სიმბოლოდაც აღიქმება. აქ მჟღავნდება მხატვრისთვის დამახასიათებელი ფაქიზი და დაკვირვებული მიდგომა ნაწარმოებისადმი, მისი არსის ამოკითხვა, — რომ ოფელიას სიგიჟე მან წარმოადგინა არა მხოლოდ როგორც გონების ამღვრევა, არამედ როგორც ცოდვილთა სისხლიან სამყაროსთან დაპირისპირება, უსულგულობისა და ცრუ ეტიკეტით შენიღბული სიყალბისკენ ზურგის ქცევა, ამით თავის სურათში უნაზესი პოეტურობა მიანიჭა ოფელიას სახეს და მკაცრი მსჯავრი დასდო ამა ქვეყნის ძლიერთა ადამიანურ უსუსურობას.

ჩემს ყურადღებას იპყრობს ორი სურათი: „სახინკლე" და „ტირი" (სერიიდან „გასართობი ადგილები მამაკაცთათვის". ტუში, კალამი). ეს არის სურათები, რომელთა აზრი შორს სცილდება მათ სახელწოდებას, სურათები — სავსენი გულისტკივილით, მკაცრი ჰუმანისტური ბრალდებით.

„სახინკლე": ჩვენს თვალწინ არიან დასუქებული, ფორმადაკარგული, ლოყებდაბერილი და თვალებზე სიმძღრის ლიბრგადაკრული მამაკაცები. წინ ხინკლით სავსე გობები უდგათ და ლუდით სავსე კათხები უწყვიათ. ხარბად ეწა-

ფებიან სასმელს, თითებს ილოკავენ მსუნაგად თავისთავად მკაცრი პასკვილი იქნებოდა ,მხოლოდ ჭამა-სმას გადაყოლილ ადამიანებს რომ ამათრახებდეს. მაგრამ ამ უსაზმნო ღრეობას და მის არიფებს უფრო შორსგამწვდომი ბოროტების ტვირთი აჰკიდა მხატვარმა: ეს ადამიანები მარტო ხინკლისა და ლუდის მოყვარულებად როდი აღიქმებიან; ესენი ცხოვრების სინოყივრეს დახარბებული, ადამიანის ფორმაში განსხეულებული ორფეხა ცხოველები არიან, რომლებიც თავისი საკუთარი არსების ფუფუნებაზე, თავიანთ ვნებათა ამოყორვაზე ზრუნავენ მხოლოდ, და ეს მათი სხეულის სიმრგვალე, კოტიტა ხელები და მთლიანად ხორციელი საზრდოსაკენ მიმსწრაფი ფიზიონომიები მათ ამაზრზენ და საშიშ არსებებად აქცევს. ქონი მარტო მათ სხეულს კი არ ატლანქებს და აზულუქებს, ქონი მოსდებია მათ სულსაც; სხვაგვარად, გაუგებარი იქნებოდა ის უაზრო განცხრომის იერი და კმაყოფილების ღორული იდილია, მთელ ამ კოლტს რომ დაუფლებია. საშინელი წარმოსადგენია ამ ბუნაგიდან მათი გამოსვლის პროცესი, მათი ურთიერთობა სხვა ნორმალურ ადამიანებთან, მათი თვალით დანახული სამყარო და მათი იდეალით წარმართული ცხოვრება. ეს ყველაფერი პოტენციურად მოცემულია სურათის იდეაში. ამიტომ არის, რომ არ ეტევა ეს სურათი სახინკლეს ჩარჩოში; უფრო დიდი ასპარეზის მომცველია; უფრო ღიდი გულისტკივილის გამომხატველად გვესახება, ვიდრე უბრალო გურმანობის გაკიცხვა იქნებოდა.

კიდევ უფრო მკაცრი ჰუმანისტური პათოსს გამომხატველია სურათი „ტირი“. არც ეს სურათი თავსდება იმ პატარა დაწესებულების ფარგლებში, რომლის ერთერთ კედელს ამშვენებს მოწოდება „ისწავლეთ მიზანში ზუსტად სროლა“... ეს უფრო მეტია, ბევრად უფრო მეტი. ეს, კაცობრიობის ფესვებიდან მომდინარე შხამია, რომელიც მისი კენწეროსაკენ მიისწრაფვის და რომელსაც აღმოფხვრა სჭირდება. და ძნელია ეს აღმოფხვრა, ძნელზე ძნელი, მაგრამ ჰუმანისტი მხატვრის სურვილია ბოლო მოეღოს ადამიანის მხეცურ ინსტინქტებს, ადამიანი არ იყოს მკვლელი; მაგრამ ვაი, რომ ადამიანს გენებში აქვს ეს ინსტინქტი და დროდადრო იღვიძებს მასში ძმისმკვლელი კაენი. არა, ეს მისტიკა არ არის, ეს სადღეისო პრობლემაა, — ყველაზე მწვავე და საჭირბოროტო; როგორ დაძაბულად დგანან ბიჭები სურათზე; მთელი მათი სხეული, ყოველი კუნთი, ძარღვიც კი ერთი სწრაფვით არის შეპყრობილი: მიზანში მოარტყან ტყვია. ახლა ისინი ვერ ხედავენ ვერაფერს ირგვლივ; ვერ ხედავენ, რომ გარეთ სიცოცხლე ღვივის, სილამაზე ყვავილობს და თავის თაყვანისმცემელს მოელის; არ ესმით ჩიტების ხმა და ფოთლების შრიალი. მთელი მათი არსება, მათი გულისყური თოფის ლულამ შთანთქა და იმ მიზანმა, საითაც ისაა მიმართული. დაძაბული სხეულები მკვიდრად დგანან მიწაზე და გიმზერენ თვალებით კი არა, თოფის ლულებით. და ფიქრობს: ეს ხორცშესხმული ადამიანები კი არ არიან, ამ ლულათა საყრდენები, მათი წარმმართველები არიან მხოლოდ...მაგრამ არა, ეს თმაქოჩორა ბიჭები არიან, ახლა აზარტულად რომ ეჯიბრებიან ერთმანეთს და იქნებ აინუნშიაც არ მოსდით, რომ როდესმე მოუწევთ ამ ლულის ცოცხალი არსებისაკენ მიმართვა. მაგრამ მათი პოზებია საშიში და მათი შთანთქმა ამ გატაცებით, რადგან მათ ზურგსუკან აუარებელი ადამიანები დგანან ბოროტად თოფშემართულნი და კაცობრიობის გრძელი ცხოვრების მანძილზე სისხლის დამთხევნი; აქ არიან თავის დამცველნიც, რომელთაც აიღეს ხელში იარაღი, რათა მოეკლათ, რომ თითონ არ ყოფილიყვნენ უსამართლოდ მოკლულნი. ერთი სიტყვით, ამ ექვსი ბიჭის უკან მთელი ტრაგედია დგას და მათი ლულების წინაშეც თრთის სიცოცხლე, მძაფრია ამ სურათის პათოსი, იგი მთელი კაცობრიობის ტკივილებს ამხელს.

დიახ, არ მომატყუეს, იმედი არ გამიცრუეს ჩემმა პატარა მეგზურებმა: დიმიტრი ერისთავის მხატვრული სამყარო ბოლომდე ჰარმონიული, ნათელი და უკომპრომისო აღმოჩნდა.

ვიმედოვნებ, რომ მომავალში ბევრჯერ მოგველის ამ სამყაროსთან შეხვედრა, მათი შემოქმედის ტკივილთან და სიხარულთან ზიარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხის პოეტური ხმა

ქართულ ხალხურ პოეზიას უმდიდრესი ტრადიციები აქვს. ხალხური პოეზიის მადლი არა ერთი ქართველი პოეტის შემოქმედებას კვებავდა; ის იყო წყარო ჩვენი ლიტერატურის ტიტანებისა, რომლებმაც ხალხური პოეზია საკუთარი სულის ქურაში გადაადნეს და ხალხს უკვდავ მარგალიტებად მოჰფინეს. დღეს ჩვენში ზოგიერთი სკეპტიკოსისაგან გაიგონებთ — ხალხური პოეზია დაქვეითდა, აღარ არსებობსო, და ამ თვალსაზრისის საბუთად თანამედროვე ცივილიზაციას გაიხსენებენ. ასეთმა სკეპტიციზმმა ჩაკლა ჩვენში ტრადიციული ხალხური ხელოსნობა, აქაოდა ფაბრიკა-ქარხნები მრავლად გვაქვსო. განა დასანანი არ არის, რომ სოფლად აღარ არიან ოსტატები, რომლებიც ხვეწდნენ ჯამ-ჭურჭელს, ხონჩებს, თაბახებს, სთლიდნენ საკვნე ხეს, კიდობნებს, ქსოვდნენ ხალიჩებს და ფარდაგებს...

ხალხური სიტყვიერებაც ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და სასიხარულოა, რომ ხალხური პოეზია დღესაც ცოცხლობს საქართველოში. დაიარეთ ჩვენი სამშობლოს კუთხეები, შეხვდით ხალხს და დარწმუნდებით, რომ ეს ასე არის. გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა „სახალხო მთქმელების, მუშა პოეტთა კრებული“ — „ლექსო, ამოგთქომ ოხეროო“. „კრებულში წარმოდგენილი ავტორები მცირე ნაწილია იმ ნიჭიერი და შემოქმედი მასისა, რომელიც ჩვენს დროში ცხოვრობს და თანამედროვე ცხოვრების ავ-კარგიანობაზე ქმნის თავის ნაწარმოებებს. მათი უმრავლესობა სოფლის მშრომელები არიან: მეჩაიეები და მევენახეები, მემინდვრეები და მესაქონლეები, წარმოება-დაწესებულებათა მუშაკები; ბევრ მათგანს გარკვეული განათლება და სპეციალობაც გააჩნია... კრებულში წარმოდგენილი ავტორები მხატვრული ნიჭიერებით, ცხადია, არ არიან თანაბარნი; მრავალთა შორის არიან უკეთესნი და უარესნი. ამ კრებულში წარმოდგენილმა დიდმა ნაწილმა არც იცის, რომ მათი ლექსები იბეჭდება. არ იციან კი იმიტომ, რომ ეს ლექსები ხალხშია შეკრებილი. სად და სად აღარ მღერიან, ლექსობენ და კაფიაობენ ფილიპე ღვინიაშვილის, ივანე წიკლაურის, ალექსანდრე კუდიანაშვილის და სხვათა ლექსებს. ხოლო ხალხი კი ყოველთვის ისეთ ლექსს აიტაცებს, რომელიც მისთვის მოსაწონია და მისაღები, მის მიზნებსა და მისწრაფებებს ეხმაურება და ესთეტიკურ წყურვილს უტკბობს... აი, ვის ვეძახით სახალხო მთქმელებს და არა იმ მოყვარულებს, რომლებიც ძალიან ბევრს წერენ, მაგრამ რვეული თუ ხელიდან გამოართვი, თავის ლექსს თვითონაც ვეღარ გაიხსენებენ“.

ეს სიტყვები ეკუთვნის კრებულის შემდგენელს, ცნობილ ქართველ ფოლკლორისტს, დავით გოგოჭურს. და მართლაც, ჩვენი გამომცემლობებისა და რედაქციების კარზე განა ცოტას შეხვდებით ისეთ მთხზველებს, რომლებსაც არც ხალხურ პოეზიასთან აქვთ საერთო და არც ლიტერატურულ ტრადიციებთან: უბრალოდ უნიჭოდ, უგემოვნოდ, პრიმიტულად წერენ და მხოლოდ ამიტომ, რატომღაც, თავის თავს „სახალხო მთქმელს“ უწოდებენ. ხალხური პოეზიის ასეთ დევალვაციას, სამწუხაროდ, თავისი ხელის შემწყობნიც ჰყავს, რომლებიც ჩვენს პრესაში ადგილს უთმობენ დაბალი დონის ნარჩენებს, სწორედ ნარჩენებს, რადგანაც ასეთი ვაიშემოქმედებისათვის ადგილი არც ხალხურ პოეზიაში არის და ლიტერატურული ცხოვრებაც ვერ შეგუებია. და ეს იმ დროს, როდესაც ჭეშმარიტ სახალხო მთქმელს შორეული მთის სოფელში ვერც კი წარმოუდგენია საით იღება გამომცემლობებისა თუ ჟურნალ-გაზეთების რედაქციების კარი. ცხადი ერთია: როგორც საერთოდ ლიტერატურაში, ისე ხალხურ პოეზიაშიც ჩვენ თუ ზედმიწევნით ნიჭიერ, გამორჩეულ ავტორებს არ შევუწყობთ ხელს ,თუ გზას არ გადაუღობავთ ინერციით კალამსაყოლილ ინდივიდებს, ჩვენ ცუდ სამსახურს გავუწევთ საერთოდ პოეზიას და კერძოდ ხალხური პოეზიის განვითარების საქმეს. ეტყობა ამ კრებულის შედგენის დროსაც ვერ

---

• „ლექსო, ამოგთქომ ოხეროო“, „მერანი“, 1976 წ.

მოხერხდა უტყუარი და ნიჭიერი სახალხო მთქმელების შერჩევა, რაკი წინათქმაში აღნიშნულია — წიგნში „მრავალთა შორის არიან უკეთესნი და უარესნიო“, მაგრამ როგორც ყოველ ახალ საქმეს ამ გამოცემასაც უნდა ზოგი რამ შევუნდოთ.

ვენდოთ წიგნის შემდგენელის კომპეტენციას და კრებულის კითხვა მისი მიერ „წინათქმაში“ აღნიშნული ავტორებით დავიწყოთ. ფილიპე ღვინიაშვილი მართლაც რომ ჭეშმარიტი გამგრძელებელია ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩამოყალიბებული და შემდეგ ტრადიციად ქცეული ხალხური პოეტური ხმისა და ალბათ ამიტომაცაა, რომ მისი ლექსები ასე ფართოდ ვრცელდება საერთოდ ხალხურ და კერძოდ ფშავ-ხევსურული პოეზიის მოყვარულთა შორის.

—

**ფილიპემა თქვა: ოხერი,**
**შამამეპარა სიბერე,**
**ჩამოვჯე დაფიქრებული,**
**დარდიან გულით ვიმღერე.**
**ოხერო წუთისოფელო,**
**რა უგონებლად მიმტირე,**
**სიზმრად მამპარე სოფელი,**
**სიყრმით გულ ველარ ვიჯერე,**
**ჯანსაც დამაკელ, მუხლსაცა**
**ჩემზე ყელ წამოილერე,**
**სუყველაფერში მაჯობე,**
**პირ კი ვერ გამამიკერე.**

და მართლაც ბედს, წუთისოფლის ტრიალს არ შეუძლია შეაჩეროს ადამიანის მუდმივი ლტოლვა თავისი თავის დამკვიდრებისათვის. პოეტის თვალი ფილოსოფიურად აფასებს ყოველივეს და ემოციურად, პოეტურად გადმოსცემს. ფ. ღვინიაშვილის ლექსები გამოირჩევა იმ თავისებურებით, რომლებიც დამახასიათებელია ფშაური კაფიისათვის — გონებამახვილობით, ირონიით...

თუ ფილიპე ღვინიაშვილი კოლმეურნე, გლეხკაცია, ალექსი კუდიანაშვილი ნამასწავლებლარია. თუ ფ. ღვინიაშვილი ფშაური კაფიის მიმდევარია, ალ. კუდიანაშვილის ლექსებს უფრო ლიტერატურული განსწავლულობის კვალი აჩნევია. მათი ლექსების თემატიკაც განსხვავებულია: ფ. ღვინიაშვილი თავის მიკროსამყაროში მოქმედებს და ამით ჰქმნის გულწრფელ ატმოსფეროს, ალ. კუდიანაშვილის ლექსები ეძღვნება სამშობლოს და საერთოდ მის გარემდგომ სამყაროს. ფოლკლორულ ტრადიციებზე დგანან — ბერდია ჰინჭარაული, იოსებ ტუქსიშვილი, სოფიო ბურდული, ზაქარია ფილაური, ივანე წიკლაური, ივლიტა შავერდაშვილი, გიორგი მარცვალაშვილი. ეს პოეტები ფშავ-ხევსურული პოეზიის ტრადიციებზე არიან ღზრდილნი და მათი ლექსები ამ პოეზიისათვის დამახასიათებელი ნიშნებითაა გამორჩეული. აი, ნაწყვეტი ივანე წიკლაურის ლექსიდან „აბრუნდა ლექსის ბორბალი“:

**აბრუნდა ლექსის ბორბალი,**
**თამაშობს კალმისტარია,**
**შირაქს დამაწვა დარდები,**
**იყვის შუალმის ხანია,**
**თოვლიან-ყინულიანნი**
**ჰყრიან ლეკეთის მთანია,**
**ვეფხვთა ჩრდილებში ნაწოლი**
**დუდუნებს ალაზანია.**
**მარსკვლავთ უფროსობს ცისკარი**
**ლეკის მთით ამომხმარია;**
**შენ გეხვეწები ცისკარო,**
**თუ ხარ მთას მიმავალია,**
**ვიცი დაჰყურებ როშკასა,**
**მიამბე, შამიბრალია!**
**სოფელს ლიშნობით გასწავლებ —**
**უველგან ქვის გალავანია,**
**ჩიბინებს თეთრი არაგვი,**
**სოფლის პირს ჩამდინარია...**

კრებულში შესული ოცდაორი პოეტიდან მხოლოდ ორია ქალი. სოფიო ბურდული წარმოშობით ერწო-თიანელია, ამჟამად კი გარდაბნის რაიონში მუშაობს ველტლაბორატორად. მის ლექსებში ძალიან ხშირად წამოჰყოფენ ხოლმიე თავს ყმაწვილქალობის დროინდელი მოგონებები, მოგონებები მშობლიურ კუთხეზე — ერწოზე, თიანეთზე: „ნეტავ ლექსებო, მომწიფდეთ მტევნად, როგორც ვაზს უმწიფს ყურძნის მტევნები, დაბადებულხართ კარგნო, თიანეთს, მშობელი თქვენი მე თავს გევლებით, მაგრამ ქუჩდებით უსუსურები, უხმოდ ჩამოგდით თვალზე ცრემლები“.

ივლიტა შავერდაშვილი კოლმეურნე ქალია, მრავალი წლის შრომა დგას მისი ცხოვრების უკან და ბევრს უნახავს იგი მინდვრად, შესვენების წუთებში კალამმომარჯვებული:

**მიცქერ, არ ამბობ მოსულო,**
**მაგრამ ამბობენ თვალები;**
**გიკვირს გორაკზე რომ მხედავ,**
**დამიწყავ საწერ-კალმები,**
**გვერდს მიგდავ ქოხი სამწყემსო,**
**ფეხზე მაცვია ქალმები...**

ბერდია ჰინჭარაული თავისი ლექსების თემატიკით ჭეშმარიტი მთის შვილია, მისი შაირი ლალი და შემკულია. იგი ბარში ცხოვრობს, მაგრამ ფიქრებით განუწყვეტლივ თავის მთას ელოლიავება. „არც არას მოჯაბრეს ვაძლევ, ვერც არას მტერი მრჩებისა, ძველთაგან მოდის თქმულება, „მგელი არ იცარცვებისა“, როცა არა სცვავ ტანზედა, არც არა გაეხდებისა“. ბერდია ჰინჭარაულის წუხილი, ისევე, როგორც ბარში ჩამოსახლებული მრავალი მთე-

ელისა, ძველი ბუდე და ნააკვნარია. მოვუსმინოთ რა მშვენივრად, რა გულწრფელად გვეუბნება ავტორი თავისი გულის სატკივარს:

ხევსურეთს გგზავნი, წერილო,  
გზა გაიარე ლხინითა,  
კონვერტზე მარკას დაგაკრავ,  
ხვალე გაგზავნი დილითა, —  
ხევსურეთ მოგესალმება  
გულ-მკერდით გადაშლილითა,  
მთებია ქიუხიანი,  
შეჭრელებულნი შიბითა...  
ვინ გაგხსნის ოქროს თითებით,  
სიამოვნებით ტკბილითა,  
ვინ წაგიკითხავს ღიმილით,  
დაღლილი მოლოდინითა:  
შაგვატყობინებს წერილი  
ვიცინითა თუ ვსტირითა...  
თორემ ნახვა და წერილი  
ვინ გადააბა ღილითა,  
ბარში ვის უთამაშებავ,  
მთაში დაკრული სტვირითა.

იოსებ ტუქსიშვილი ფშაველი მოლექსეების ნამდვილი ჩამომავალია, მათ კილო-კავზე და პოეტურ საქცევებზე აღზრდილი. ზაქარია ფილაურის ლექსებში მთაც არის და ბარიც, კავიაც და ტრადიციული შაირიც. შ. მეზურნიშვილზე ასეთი ცნობაა კრებულში: „გარდაბნის რაიონის სოფელ შინდისის მკვიდრი, ტაბახმელის ბიოკომბინატის მეურნეობის მეცხვარე. დაბადებულია 1924 წელს, ლექსებს სისტემატურად აქვეყნებს ჩვენს პერიოდულ პრესაში. გაზეთ „კომუნისტში", „სოფლის ცხოვრებაში", გარდაბნის რაიონულ გაზეთ „სამგორში". წიგნში შესულ ლექსების ავტორებს წინ ყველას ამგვარი ცნობები აქვთ წამძღვარებული და სასიამოვნო აღსანიშნავია, რომ მკითხველს ნამდვილი მშრომელების ფიქრებთან და ოცნებებთან აქვს საქმე.

ნისლაურ-ჯალაბაური შატილში დაბადებულა 1918 წელს, ამჟამად კი ჩრდილოეთ ოსეთის ერთ სოფელში მასწავლებლობს. იგი ერთ ლექსში ამბობს: „წავიდა ის დრო, როდესაც საჯიხვეებში ვმღეროდი, რიჟრაჟზე, გაღიმებული ქიხურებს გადავცქეროდი, ბევრა ცეცხლ გამონავალი ბედის ხელნაკრავს ვშველოდი... ბევრი ზამთარი გადამხდა, მე გაზაფხულებს ველოდი, ვსუნთქავდი ხევსურეთით და ვცოცხლობდი საქართველოთი". კრებულში დაბეჭდილია ნისლაურ-ჯალაბაურის გულწრფელი ლექსი, მიძღვნილი გაბრიელ ჯაბუშანურისადმი. ჰუმანიზმითაა გამსჭვალული კირილე არევაძის პოეზია. ეს შესანიშნავად ჩანს თუნდაც მის ლექსში „სინანული". თუ ვანო ლალიაშვილი ცალკე დგას თავისი შრომის სიმღერებით, იოსებ ბაიაშვილი ბევრი გახმაურებული ლექსის თუ კაფიის ავტორია. თავის ნათქვამებში იოსებ ბაიაშვილი ამათრახებს ადამიანურ მანკიერებებს, დასცინის და ხშირად თავის თავსაც არ ზოგავს.

იოსებ ლონგიშვილის და სამსონ რუხაძის ლექსებში დიდი ადგილი უჭირავს სამამულო ომის უკვდავ თემას. აღსანიშნავია ს. ლონგიშვილის „გიხმობენ მთები" და ს. ხუნდაძის „გიორგი თვაური".

ივანე ქართველიშვილის სახელი ჩვენ არაერთხელ შეგვხვედრია ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, როგორც მთქმელის, მოლექსის და როგორც ეთნოგრაფიული ჩანახატების ავტორისა. თავიანთ ლექსებში მიხეილ შარიქაძე („ვზეიმობთ", „დიდება, დიდება მშვიდობას") და მინაგო მუმლაძე („თბილისის დილა", ვალენტინა ტერეშკოვას" და „სხვა ნიავმა დამქროლა") უმღერიან შრომას, თავდადებას და პატიოსნებას. იგივე ითქმის ალექსანდრე ღორთლიშვილზე, რომელსაც ლექსისთვის „დავკრათ მედგრად", ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: „ზემო აღნიშნული ლექსი ვთქვი ფრონტზე, როდესაც გიორგი ლეონიძემ ტამანში წარმოსთქვა თავისი ლექსი ქართველ მებრძოლისადმი".

თუ გიორგი მარცვალაშვილს ლექსებში მთის ხალხური პოეზიის მოტივებია, დიომიდე გურგენიძე და კარლო მამნიაშვილი სადღესო თემაზე დაწერილი ლექსებით არიან წარმოდგენილნი:

ასე მგონია ყველაფერი იჩქარის სადღაც,  
მთები, ველები და ხეები გარბიან თითქო,  
მე კი ვესწრაფვი მშობლიური თბილისის  
ნახვას,  
რომ ვიგრძნო მეტი სიხარული, ძალა და  
სითბო.

დიომიდე გურგენიძის ამ სტრიქონებში თითქმის ყველა სახალხო მთქმელის ოცნებაა გამოხატული. დიახ, მეტი სიხარული, ძალა და სითბო სჭირია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ ნიჭიერებას, ყურადღება და სითბო უნდა მათ, ვინც არც სახალხო შრომას სცილდებიან და თანაც თავიანთი ნიჭით ჭეშმარიტად სახალხო გრძნობებს გადმოსცემენ.

ხ. ჩიტაური

625/39

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

„МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ